იზო ბაქრაძე

ქართული მართლწერის საკითხები

თბილისი
2020

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილი მართლწერის წესები ძირითადად ემყარება „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ პირველ კრებულსა და ბიულეტენებს, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მიერ შემუშავებულ ნორმაია პროექტებსა და რეკომენდაციებს, აგრეთვე ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ მნიშვნელოვან ენათმეცნიერულ ნაშრომებს. გათვალისწინებულია წინააღმდეგობა სალიტერატურო ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყველებას შორის.

მართლწერის წესები (1000-ზე მეტი) ახლავს მეტყველების ნაწილთა მოკლე გრამატიკულ დახასიათებას. ზოგ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია სინტაქსურ-სტილისტიკური ხასიათის დარღვევებზეც. ნაშრომს ერთვის ორთოგრაფიული საძიებელი.

წიგნი განკუთვნილია უფროსი კლასების მოსწავლეებისათვის, აბიტურიენტებისათვის, სტუდენტებისათვის, მასწავლებლებისა და ქართული მართლწერა-მართლმეტყველებით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისათვის.

„ქართული მართლწერის საკითხები“ გამოიცა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრის თავმჯდომარის, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს იოანე გამრეკელის უშუალო მონდომებითა და ძალისხმევით.

რედაქტორები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ მაღრაძე
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე ჯაგოდნიშვილი

კორექტორი – მარიამ ოვაშვილი

ოპერატორი – თამარ ქორიძე

დამკაბადონებელი – დავით დაუშვილი

© იზო ბაქრაძე
ISBN 978-9941-9690-1-0

მეტყველების ნაწილები

ქართულ ენაში არსებული ყველა სიტყვა დაჯგუფებულია ათ მეტყველების ნაწილად. ესენია:

1. **არსებითი სახელი** (ბავშვი, მთა, ვარდი, სიმამაცე, ქვიშა) [1].
2. **ზედსართავი სახელი** (სათნო, მწვანე, მთვარიანი, თუშური, მოტკბო)
3. **რიცხვითი სახელი** (რვა, ოცდასამი, ორმოცდათორმეტი, მეოცე, მეოთხედი)
4. **ნაცვალსახელი** (ის, შენი, ყველა, ასეთი, ვინმე)
5. **ზმნა** (ათეთრებს, შენდება, ხატია, შრიალებს, დგას)
6. **ზმნიზედა** (შინ, ახლოს, ხვალ, მარდად, ამიტომ)
7. **თანდებული** (-ში, -გან, -მდე, მიერ, გარდა)
8. **კავშირი** (და, ან, ანუ, რომ, რათა)
9. **ნაწილაკი** (-მეთქი, ნუთუ, არ, ნეტავ, ლამის)
10. **შორისდებული** (აჰ, ვაი, ჰეი, არიქა, ვაშა)

აქედან:

ფორმაცვალებადია: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და ზმნა.

ფორმაუცვლელია: ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი და შორისდებული.

სრულმნიშვნელობიანია: სახელები, ზმნა და ზმნიზედა.

დამხმარეა: თანდებული, კავშირი და ნაწილაკი.

განცალკევებით დგას შორისდებული.

---

[1] იხ. გვ. 4, შენიშვნა 1.

არსებითი სახელი

არსებითი სახელი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს საგანს ან გრამატიკული ნიშნებით მასთან გათანაბრებულ, საგნად წარმოდგენილ მოვლენას. მას დაესმის **ვინ** ან **რა** კითხვა.

ლექსიკური (ლექსიკა = სიტყვების მარაგი) მნიშვნელობის მიხედვით არსებით სახელში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები: ვინ ჯგუფისა (კაცი, ბავშვი) და რა ჯგუფის (შველი, მაგიდა), სულიერთა (ქალი, მერცხალი) და უსულოთა (მთა, ქვა), კონკრეტული (სახლი, ტბა) და აბსტრაქტული (ძმობა, სილამაზე), საკუთარი (საქართველო, თამარი) და საზოგადო (ხე, წიგნი), კრებითი (გუნდი, ყვავილნარი), ნივთიერებათა (ვერცხლი, ფქვილი) და მოქმედების აღმნიშვნელი (აყალმაყალი, ბაასი, ჭიკჭიკი, შრიალი).

შენიშვნა 1: წინამდებარე ნაშრომში უამრავი საილუსტრაციო მაგალითია მოყვანილი. ჩამოთვლილი მაგალითების ბოლო კომპონენტი წინასთან **და** კავშირით არ არის შეერთებული ნიშნად იმისა, რომ ჩამოთვლა დასრულებული არ არის. მიუხედავად ამისა, ჩამონათვალის ბოლოს დასმული არ არის მრავალწერტილი, რათა ტექსტი არ აჭრელდეს.

შენიშვნა 2: ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოების მიხედვით მოქმედების აღმნიშვნელი არსებითი სახელია საწყისიც (ხატვა, წერა, შენება), თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ საწყისი უპირო ზმნაა, ამავე დროს – სახელზმნა, ანუ სიტყვა, რომელსაც აქვს როგორც სახელური, ისე ზმნური კატეგორიები.

ჩვენ ვიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც სახელს არ შეიძლება ჰქონდეს ზმნური ნიშნები და მოქმედების აღმნიშვნელ სახელებად უნდა მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ე. წ. პირველადი საწყისები (იხ. უშანგი ყორღანაშვილი, სახელზმნის სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973).

არსებითი სახელი ენაში გამოყენებისას იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით. გრამატიკული რიცხვი შეიძლება იყოს *მხოლობითი* (გამოხატავს ერთ საგანს) და მრავლობითი (გამოხატავს ერთზე მეტ საგანს). ამ უკანასკნელის ფორმა თავის *მხრივ* ორგვარია:

ა) ძირითადი – **-ებ-**ბოლოსართიანი, ე.წ. **ებ**-იანი (I მრავლობითი): მტრედ-**ებ**-ი, ი-**ებ**-ი;

ბ) არქაული – **-ნ-** და **-თ-**ბოლოსართიანი, ე. წ. ნართანიანი (II მრავლობითი): მტრედ-**ნ**-ი, მტრედ-**თ**(ა), მტრედ-**ნ**-ო; ია-**ნ**-ი, ია-**თ**(ა), ია-**ნ**-ო (თუმცა თანამედროვე ქართულში ნარიანი ფორმები იშვიათად დასტურდება).

არსებითი სახელის ბრუნება განსხვავებულია იმისდა მიხედვით, ფუძე ბოლოთანხმოვნიანია თუ ბოლოხმოვნიანი, კუმშვადია თუ უკუმშველი, კვეცადია თუ უკვეცელი. ფუძე სახელის ის უცვლელი ნაწილია, რომელსაც ბრუნვის ნიშნები დაერთვის. მის გამოსაყოფად არსებითი სახელი უნდა ჩავსვათ მხ. რიცხვის მოთხრობით ბრუნვაში და ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი **მ** ან **მა**. რაც დარჩება, ის იქნება ფუძე. მაგ.: ვერხვ-მა (ფუძეა ვერხვ), ია-მ (ფუძეა ია), ხე-მ (ფუძეა ხე), ჩაი-მ (ფუძეა ჩაი).

ახალ ქართულში შვიდი ბრუნვაა: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი.

§ 1. თანხმოვანფუძიან არსებით სახელთა მ ა რ თ ლ წ ე რ ა

თანხმოვანფუძიან სახელებში გვაქვს ორი ქვეჯგუფი: ფუძეუკუმშველი და ფუძეკუმშვადი. უკუმშველებს ფუძე არცერთ ბრუნვაში არ ეცვლებათ, კუმშვადებს კი ბოლოკიდური (დახურული) მარცვლის ხმოვნის დასუსტების ან დაკარგვის შედეგად ფუძე ეკუმშებათ მხოლოობითი რიცხვის სამ ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში (ეს უკანასკნელი უფრო აქტიურია), აგრეთვე **ებ**-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში. იგივე სახელები ნართანიან მრავლობითში უკუმშველია.

დანართი № 1

ბრუნების ნიმუში

მხოლოობითი რიცხვი

	უკუმშველი	კ უ მ შ ვ ა დ ი		
სახელობითი	ფრინველ-ი	სარკმელ-ი	ქედან-ი	მინდორ-ი
მოთხრობითი	ფრინველ-მა	სარკმელ-მა	ქედან-მა	მინდორ-მა
მიცემითი	ფრინველ-ს	სარკმელ-ს	ქედან-ს	მინდორ-ს
ნათესაობითი	ფრინველ-ის	სარკმ■ლ-ის	ქედ■ნ-ის	მინდვრ-ის
მოქმედებითი	ფრინველ-ით	სარკმ■ლ-ით	ქედ■ნ-ით	მინდვრ-ით
ვითარებითი	ფრინველ-ად	სარკმ■ლ-ად	ქედ■ნ-ად	მინდვრ-ად
წოდებითი	ფრინველ-ო	სარკმელ-ო	ქედან-ო	მინდორ-ო

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ფრინველ-ებ-ი	სარკმ■ლ-ებ-ი	ქედ■ნ-ებ-ი	მინდვრ-ებ-ი
მოთხრ.	ფრინველ-ებ-მა	სარკმ■ლ-ებ-მა	ქედ■ნ-ებ-მა	მინდვრ-ებ-მა
მიც.	ფრინველ-ებ-ს	სარკმ■ლ-ებ-ს	ქედ■ნ-ებ-ს	მინდვრ-ებ-ს
ნათ.	ფრინველ-ებ-ის	სარკმ■ლ-ებ-ის	ქედ■ნ-ებ-ის	მინდვრ-ებ-ის
მოქმ.	ფრინველ-ებ-ით	სარკმ■ლ-ებ-ით	ქედ■ნ-ებ-ით	მინდვრ-ებ-ით
ვით.	ფრინველ-ებ-ად	სარკმ■ლ-ებ-ად	ქედ■ნ-ებ-ად	მინდვრ-ებ-ად
წოდ.	ფრინველ-ებ-ო	სარკმ■ლ-ებ-ო	ქედ■ნ-ებ-ო	მინდვრ-ებ-ო

§ 2. ფუძეკუმშვადი სახელები

სახელი იკუმშება იმ შემთხვევაში, თუ მის ფუძეს მარცვლის სახით დაერთვის ხმოვნით დაწყებული ბოლოსართი – ბრუნვის ან I მრავლობითის ნიშანი (**-ის, -ით, -ად, -ებ**) ან სიტყვაწარმოებითი ელემენტი (**-ობა, -ურ, -იან, -ოვან, -ოსან, უ-ო, სა-ო**).

ფუძეკუმშვად სახელთა მართწერასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი თავისებურებანი:

1. კუმშვა ანუ ხმოვანთრედუქცია ქართულში სამ ხმოვანს ეხება. ესენია **ა, ე** და **ო**. ამათგან **ა** და **ე** უკვალოდ ქრება, **ო** კი სუსტდება და **ვ**-დ გადაიქცევა. მაგ.:

> ალუბალი – ალუბ■ლის, რთველი – რთვ■ლის, მინდორი – მინდვრის, პამიდორი (//პომიდორი) – პამიდვრის (// პომიდვრის), ნიორი – ნივრის, მონაზონი – მონაზვნის, მაწონი – მაწვნის, იორი – ივრის.

ზოგჯერ ეს ნარედუქციალი **ვ**-ც შეიძლება დაიკარგოს: ობოლი ⇒ ობვლის ⇒ ობლის; საპონი ⇒ საპვნის ⇒ საპნის.

2. იკუმშება უმთავრესად ისეთი სახელები (მათ შორის უცხოური ენებიდან შემოსული), რომლებიც ბოლოვდება ქვემოთ ჩამოთვლილი მარცვლებით:

ალ	არ	ან	ამ
ელ	ერ	ენ	ემ
ოდ	ორ	ონ	–

მაგ., ბოლო მარცვალია:

ალ: ბორბალი – ბორბ■ლის, გორგალი – გორგ■ლის, ეკალი – ეკ■ლის, თავგადასავალი – თავგადასავ■ლის, იღბალი – იღბ■ლის, კომბალი – კომბ■ლის, უფალი – უფ■ლის, ფორთოხალი – ფორთოხ■ლის, შარვალი – შარვ■ლის;

არ: ზამთარი – ზამთ■რის, ლანგარი – ლანგ■რის, ლაშქარი – ლაშქ■რის, სამოვარი – სამოვ■რის, ტაძარი – ტაძ■რის, ფუტკარი – ფუტკ■რის, ჯიგარი – ჯიგ■რის;

ან: აივანი – აივ■ნის, იასამანი – იასამ■ნის, კაეშანი – კაეშ■ნის, კიდობანი – კიდობ■ნის, ლურსმანი – ლურსმ■ნის, მაყვლოვანი – მაყვლოვ■ნის, მელანი –

მელ■ნის, საბანი – საბ■ნის (ბანი უკუმშველია), ქარავანი – ქარავ■ნის, ქედანი – ქედ■ნის, შადრევანი – შადრევ■ნის, ჩანგალი – ჩანგ■ლის, ჩემოდანი – ჩემოდ■ნის, ჩირაღდანი – ჩირაღდ■ნის, ხეივანი – ხეივ■ნის, ხულიგანი – ხულიგ■ნის;

ამ: ალამი – ალ■მის, კალამი – კალ■მის, ლაგამი – ლაგ■მის, ლერწამი – ლერწ■მის, წალამი – წალ■მის;

ელ: ბეღელი – ბეღ■ლის, ნაღველი – ნაღვ■ლის, სარკმელი – სარკმ■ლის, ფეხსაცმელი – ფეხსაცმ■ლის (**მაგრამ:** ფეხსაცმელები, და არა ფეხსაცმლები), ფურცელი – ფურც■ლის, ჭურჭელი – ჭურჭ■ლის;

ერ: თითბერი – თითბ■რის, კისერი – კის■რის, მეწყერი – მეწყ■რის, მონასტერი – მონასტ■რის, ოფიცერი ოფიც■რის;

ენ: შევარდენი – შევარდ■ნის, ყავარჯენი – ყავარჯ■ნის, ყურძენი – ყურძ■ნის;

ემ: ირემი – ირ■მის, ურემი – ურ■მის;

ოლ: გოდოლი – გოდ■ლის, ფოთოლი – ფოთ■ლის;

ორ: გოდორი – გოდ■რის, კოკორი – კოკ■რის, კოჯორი – კოჯ■რის, ქოჩორი – ქოჩ■რის;

ონ: მაწონი – მაწვნის, მონაზონი – მონაზვნის[2].

შენიშვნა: ომ სტრუქტურის ფუძეები უკუმშველია (ბოქლომი – ბოქლომის, დიპლომი – დიპლომის). **გამონაკლისია დიღომი – დიღმის.**

3. იშვიათად შეიძლება შეიკუმშოს სხვა მარცვლებით დაბოლოებული სახელები. მაგ.:

ბეჭედი – ბეჭ■დის, კაკაბი – კაკ■ბის, ნაბადი – ნაბ■დის, ნიღაბი – ნიღ■ბის, ნიჩაბი – ნიჩ■ბის, სომეხი – სომ■ხის, ყასაბი – ყას■ბის, ხოხობი – ხოხ■ბის.

4. ერთმარცვლიანი ფუძეებიდან იკუმშება:

ა) ა ან **ე** ხმოვნის შემცველი ფუძეები:

---

[2] ინტერნეტი, ice.ge/new/pages/samples/books/Binder4.pdf თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, გვ. 99-117.

კვალი – კვ■ლის, კვ■ლით, კვ■ლად, კვ■ლები, უკვ■ლო (მაგრამ მყარ შესიტყვებაში უკუმშველია: კვალის გაყლება, კვალის დატოვება, კვალის დაჩნევა);
მტერი – მტ■რის, მტ■რები, მტ■რული;
მხალი – მხ■ლის, მხ■ლოვანა;
მხარე – მხარის, მაგრამ ყოველი **მხ■რიდან;**
მხარი – მხ■რის, მხ■რები (**მაგრამ**: უკუმშველია მყარ შესიტყვებებში: მხარის აქცევა, მხარის დამშვენება, მხარის დაჭერა/მიცემა, მხარის მოქცევა);
ქსელი – ქს■ლის, **მაგრამ**: ქსელები, ქსელური;
ძღვენი – ძღვ■ნის, ძღვ■ნობა;
წვენი – წვ■ნის, წვ■ნიანი, **მაგრამ**: წვენები.

ბ) შეიძლება შეიკუმშოს უკუმშველი სიტყვაც, თუ ის კომპოზიტის (რთული სიტყვის) ბოლო ნაწილია:

კარი – კარის, **მაგრამ**: ცისკარი – ცისკ■რის
ბერი – ბერის, **მაგრამ**: დედაბერი – დედაბ■რის
დარი – დარის, **მაგრამ**: ავდარი – ავდ■რის
ღვარი – ღვარის, **მაგრამ**: ნიაღვარი – ნიაღვ■რის
ცხოველი – ცხოველის, **მაგრამ**: სვეტიცხოველი – სვეტიცხოვ■ლის.

5. წარმოქმნილი სახელები შეიძლება ორგზის შეიკუმშოს. მაგ.:

ჯავშანი – ჯავშ■ნოსანი – ჯავშ■ნოს■ნის;
მაყვალი – მაყვ■ლოვანი – მაყვ■ლოვ■ნის.

6. საკუთარ სახელთაგან იკუმშება:

ა) ელ-ით დაბოლოებული ზოგიერთი გვარი:

გვერდწითელი – გვერდწით■ლის
გომართელი – გომართ■ლის
მაჩაბელი – მაჩაბ■ლის
ცაგარელი – ცაგარ■ლის
წერეთელი – წერეთ■ლის

აკაკი შანიძის აზრით, შეკუმშული ფორმით უნდა იწერებოდეს აგრეთვე: გამრეკელი, ზანდუკელი, კორინთელი, როგორც ცოცხალ მეტყველებაშია[3].

---

[3] ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, სალიტერატურო ქართულის საჭირბოროტო საკითხები, თბ., 1979, გვ. 78, 117.

ბ) სახელწოდებად გამოყენებული საზოგადო სახელები: ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია, „ხმელი წიფლის“ ავტორი[4].

გ) გეოგრაფიული სახელები (იხ. გეოგრაფიული სახელები №2).

როგორ შევამოწმოთ სახელი კუმშვადია თუ არა?

სახელთა უმეტესობა შეგვიძლია შევამოწმოთ ამ ხერხით: ჩავსვათ ეს სიტყვა მრავლობითში, თუ არაბუნებრივ ფორმას მივიღებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ საეჭვო სახელი კუმშვადია. მაგ., კაპიტანი კუმშვადია თუ უკუმშველი? მრავლობით რიცხვში გვექნება კაპიტანები (თუ უკუმშველია) და კაპიტნები (თუ კუმშვადია). აქედან არაბუნებრივად ჟღერს კაპიტანები. ე. ი. ეს სახელი კუმშვადია: კაპიტნის, კაპიტნით, კაპიტნები. მინდორის თუ მინდვრის? მინდორები არაბუნებრივია, ე. ი. კუმშვადია: მინდვრის, მინდვრით, მინდვრად, მინდვრები.

მაგრამ არის რამდენიმე სახელი, რომლებიც მხ. რიცხვში კუმშვადია, მრავლობითში კი – უკუმშველი, ან პირიქით. მაგ.:

ბეღელი, ბეღ■ლის, მაგრამ: ბეღელები.
წვენი, წვ■ნის, მაგრამ: წვენები.
ქსელი, ქს■ლის, მაგრამ: სატელეფონო ქსელები.
ფეხსაცმელი, ფეხსაცმ■ლის, მაგრამ: ფეხსაცმელები.
არჩევანი, არჩევანის, მაგრამ: არჩევნები.

შენიშვნა: იგივე ხერხი შეგვიძლია გამოვიყენოთ სახელზმნის კუმშვადობის შესამოწმებლადაც. მაგ., მიმღეობა ამშენებელი უკუმშველი ფორმით მრავლობითში არაბუნებრივად ჟღერს: ამშენებელები ე. ი. კუმშვადია:

ამშენებ■ლის, ამშენებ■ლით, ამშენებ■ლები.

---

[4] გიორგი შალამბერიძე, ქართული მართლწერა, თბ., 1984, გვ. 107.

§ 3. თავისებურად ბრუნებადი ფუძეკუმშვადი სახელები

7. კუმშვა-უკუმშველობა ზოგჯერ მნიშვნელობათა სადიფერენციაციოდ (განსხვავებულ ნაწილებად დასაყოფად) გამოიყენება. მაგ.:

ბალი – ბ■ლის (ხილი): ბლის მურაბა
ბალი – ბალის (1. მეჯლისი, წვეულება; 2. ქულა): ბალის დაწყება, 100 ბალის დაგროვება
თვალი – თვ■ლის (1. ძვირფასი ქვა; 2. ბორბალი; რაიმე ნაგებობის, მოწყობილობის ცალკეული განყოფილება, სათავსი): ბრილიანტის თვ■ლის დამუშავება, ურმის თვ■ლის შეკეთება, სამ თვ■ლად გატიხრული სახლი
თვალი – თვალის (მხედველობის ორგანო): თვალის ახელა, თვალის გასწორება
წელი – წ■ლის (დროის მონაკვეთი): წ■ლის ოთხი დრო
წელი – წელის (ადამიანის სხეულის ნაწილი): წელის ტკივილი, წელის გამართვა.

8. ზოგიერთი კუმშვადი სახელი ენამ გაამარტივა, რადგან კუმშვის შემდეგ ერთმანეთის გვერდით ხვდებოდა რამდენიმე ძნელად გამოსათქმელი თანხმოვანი. მაგ.:

ა) ამბავი ⇒ ამბ■ვის ⇒ ამბის, ამბები;

ბ) ღმერთი ⇒ ღმ■რთის ⇒ ღმთის ⇒ ღვთის; დასაშვებია ამ სიტყვის სამივენაირი ფორმა (ღმერთის, ღმრთის და ღვთის). მყარ შესიტყვებებში გვხვდება **ღვთის**: ღვთის ანაბარა, ღვთის კაცი, ღვთის რისხვა, ღვთის წინაშე, ღვთის წყალობა, ღვთის წყრომა, ძე ღვთისა[5].

[5] მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის, რედ. თამარ ვაშაკიძე, თბ., 2016. გვ. 431.

დანართი № 2

ბრუნების ნიმუში

მხოლობითი რიცხვი

სახ.	ამბავ-ი	ღმერთ-ი	ხუცეს-ი
მოთხრ.	ამბავ-მა	ღმერთ-მა	ხუცეს-მა
მიც.	ამბავ-ს	ღმერთ-ს	ხუცეს-ს
ნათ.	ამბ-ის	ღმერთ-ის // ღვთ-ის	ხუცეს-ის // ხუც-ის
მოქმ.	ამბ-ით	ღმერთ-ით // ღვთ-ით	ხუცეს-ით // ხუც-ით
ვით.	ამბ-ად	ღმერთ-ად // ღვთ-ად	ხუცეს-ად // ხუც-ად
წოდ.	ამბავ-ო	ღმერთ-ო	ხუცეს-ო

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ამბ-ებ-ი	ღმერთ-ებ-ი	ხუცეს-ებ-ი // ხუც-ებ-ი
მოთხრ.	ამბ-ებ-მა	ღმერთ-ებ-მა	ხუცეს-ებ-მა // ხუც-ებ-მა
მიც.	ამბ-ებ-ს	ღმერთ-ებ-ს	ხუცეს-ებ-ს // ხუც-ებ-ს
ნათ.	ამბ-ებ-ის	ღმერთ-ებ-ის	ხუცეს-ებ-ის // ხუც-ებ-ის
მოქმ.	ამბ-ებ-ით	ღმერთ-ებ-ით	ხუცეს-ებ-ით // ხუც-ებ-ით
ვით.	ამბ-ებ-ად	ღმერთ-ებ-ად	ხუცეს-ებ-ად // ხუც-ებ-ად
წოდ.	ამბ-ებ-ო	ღმერთ-ებ-ო	ხუცეს-ებ-ო // ხუც-ებ-ო

§ 4. ფუძეუკუმშველი სახელები

9. **ფუძეუკუმშველია:**

ა) ადამიანისა და ცხოველის სახელები:

დარეჯანი, ვარდისახარი, მზევინარი, ფარსადანი, საღარი;

ბ) გვაროვნული სახელების უმრავლესობა:

ამაშუკელი, ლიჩელი, ქორელი, ციხისელი, შარდენი;

გ) ზემოთ ჩამოთვლილი მარცვლებით დაბოლოებული მრავალი ფუძე, რომელთა მართლწერა ეჭვს არ იწვევს:

ჯაგნარი – ჯაგნარის, სასწორი – სასწორის, ავანჩავანი – ავანჩავანის (ავანჩავანობა), არჩევანი – არჩევანის (**მაგრამ**: არჩევნები), გემბანი – გემბანის, თავანი – თავანის,

თალგამი – თალგამის, წამწამი – წამწამის, ფრინველი – ფრინველის, ცხოველი – ცხოველის, ბრძენი – ბრძენის (მაგრამ: ბრძნული, სიბრძნე), სვიგენი – სვიგენის, გნოლი – გნოლის;

მათ შორის მოქმედების სახელები:

ბაბანი, კაკანი, ფართხალი, ხარხარი;

დ) უცხოური ენებიდან შეთვისებული სახელების უმრავლესობა. მათ შორის:

ფრანგულიდან: კარამელი – კარამელის, კარნაველი, სკანდალი, ფესტივალი, აკვარელი, ბანდეროლი, კორიდორი;
ლათინურიდან: დეკანი – დეკანის, ინტერვალი, ვანდალი, პერსონალი, ტერმინალი, ტრიბუნალი, ანტიკვარი, კანდელი;
ბერძნულიდან: ორგანი [და არა ორღანი] – ორგანის, პროტოკოლი, ფოსფორი, იადონი;
სპარსულიდან: ნუგბარი – ნუგბარის, დუშმანი;
ინგლისურიდან: ტესტერი – ტესტერის, ტოსტერი, ტრაილერი;
გერმანულიდან: შვეიცარი – შვეიცარის, შიფერი, შპალერი, შტეფსელი, შტურვალი, შტურმანი;
იტალიურიდან: ლიმონი – ლიმონის [და არა ლიმნის].

ე) საზღვრულის წინ მდგომი ყველა ატრიბუტული მსაზღვრელი:

ურ■მის, მაგრამ: ურემი შეშის;
მდივ■ნის, მაგრამ: მდივანი ქალის.

როგორც აღნიშნავენ, სახელის ფუძეთა კუმშვა უფრო ტრადიციაა, ვიდრე სტრუქტურული კანონზომიერება. „მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ ერთი და იმავე სტრუქტურის ფუძეთაგან ერთი ექვემდებარება რედუქციას, ხოლო მეორე – არა“[6].

[6] ინტერნეტი, ice.ge/new/pages/samples/books/Binder4.pdf თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, გვ. 115.

§ 5. ხმოვანფუძიან სახელთა მართლწერა

10. ქართულში ხუთი ხმოვანია: **ა, ე, ი, ო** და **უ**. ბოლოხმოვნიანი არსებითი სახელის ფუძე უმთავრესად ბოლოვდება **ა** და **ე** ხმოვნებით, იშვიათად – **ო**-თი და **უ**-თი, ხოლო **ი**-თი დაბოლოებული ფუძეების უმრავლესობა უცხოური ენებიდანაა ნასესხები (ენათმეცნიერებაში ასეთი ტერმინია).

ხმოვანფუძიან სახელებში გამოიყოფა სამი ქვეჯგუფი: ფუძეკვეცადი, კვეცად-კუმშვადი და ფუძეუკვეცელი.

ფუძეკვეცადია არსებითი სახელი, რომელსაც ხმოვნით დაწყებული აფიქსის გამო ჩამოშორდება ბოლო ხმოვანი. ფუძე ეკვეცება **ა**-თი და **ე**-თი დაბოლოებულ სახელებს მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში, **ა**-თი დაბოლოებულებს – **-ებ**-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში.

კვეცად-კუმშვადია არსებითი სახელი, რომელსაც ფუძე ერთდროულად ეკვეცება და ეკუმშება მხოლობითი რიცხვის სამ ბრუნვაში (ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში) და **-ებ**-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში.

ფუძეუკვეცელია არსებითი სახელი, რომლის ფუძეს არ ეკვეცება ბოლოკიდური ხმოვანი.

დანართი № 3

ბრუნების ნიმუში

მხოლობითი რიცხვი

სახ.	ძმა	თელა	ხე	ღობე	ტომარა
მოთხრ.	ძმა-მ	თელა-მ	ხე-მ	ღობე-მ	ტომარა-მ
მიც.	ძმა-ს	თელა-ს	ხე-ს	ღობე-ს	ტომარა-ს
ნათ.	ძმ■-ის	თელ■-ის	ხ■-ის	ღობ■-ის	ტომ■რ■-ის
მოქმ.	ძმ■-ით	თელ■-ით	ხ■-ით	ღობ■-ით	ტომ■რ■-ით
ვით.	ძმა-დ	თელა-დ	ხე-დ	ღობე-დ	ტომ■რ■-ად
წოდ.	ძმა-ო	თელა-ვ	ხე-ო	ღობე-ვ	ტომარ-აე

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ძმ■-ებ-ი	თელ■-ებ-ი	ხე-ებ-ი	ღობე-ებ-ი	ტომ■რ■-ებ-ი

მოთხრ.	ძმ■-ებ-მა	თელ■-ებ-მა	ხე-ებ-მა	ღობე-ებ-მა	ტომ■რ■-ებ-მა
მიც.	ძმ■-ებ-ს	თელ■-ებ-ს	ხე-ებ-ს	ღობე-ებ-ს	ტომ■რ■-ებ-ს
ნათ.	ძმ■-ებ-ის	თელ■-ებ-ის	ხე-ებ-ის	ღობე-ებ-ის	ტომ■რ■-ებ-ის
მოქმ.	ძმ■-ებ-ით	თელ■-ებ-ით	ხე-ებ-ით	ღობე-ებ-ით	ტომ■რ■-ებ-ით
ვით.	ძმ■-ებ-ად	თელ■-ებ-ად	ხე-ებ-ად	ღობე-ებ-ად	ტომ■რ■-ებ-ად
წოდ.	ძმ■-ებ-ო	თელ■-ებ-ო	ხე-ებ-ო	ღობე-ებ-ო	ტომ■რ■-ებ-ო

შენიშვნა 1: პოეზიაში სოგჯერ ერთმარცვლიან სიტყვებთანაც დასტურდება წოდებითი ბრუნვის ნიშნად **ვ**: „ეჰ, **ძმავ**, წადი შენ შენ გზაზე მშვიდობით“ (გრიგოლ ორბელიანი).

შენიშვნა 2: ორ- და მეტმარცვლიანი სახელები წოდებითში იხმარება ფუძის სახითაც: **თელა, ღობე, ტომარა,** თუმცა უმჯობესია **ვ**-ნიშნიანი ფორმები.

შენიშვნა 3: წოდებითში ბრუნვის ნიშნის გარეშე იწერება **ა**-ფუძიანი სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ნათესაობას: დედა, მამა, პაპა, ბაბუა, ბებია, დიდედა, დეიდა, მამიდა, ბიძია (შემოკლებით – ძია), ბიცოლა, გადია, პაპიდა.

11. ა-თი დაბოლოებული ფუძეკვეცადი სახელებია:

ა) საზოგადო (მხოლობითსა და მრავლობითში):

და, მთა, ტბა, ფშა, ძმა, ბიძა, დაფა, გოშია, ბაჭია, მელია;

მათ შორის უცხოური ენებიდან შემოსული, სახელდობრ:

ლათინურიდან: ვენა, ვენდეტა, ვიზა, კოლექცია;
ბერძნულიდან: აიასმა (= ნაკურთხი წყალი), ეკლესია, ეპიტაფია, თემა, იდეა, მანტია, პლეადა;
არაბულიდან: დავა, მასალა, რუკა, ფარდა, უჯრა, ყავა;
სპარსულიდან: ბაღჩა, კაბა, ნუსხა, შარა, ხაზინა, ხურმა;
თურქულიდან: ბოღმა, ჩოხა;
აზერბაიჯანულიდან: ტოლმა, ჩიხირთმა, ყაურმა, ხიზილალა;
ოსურიდან: ვირთხა, მონა;
ინგლისურიდან: კოალა.

ბ) საკუთარი, კერძოდ – გეოგრაფიული (იხ. გვ. 105);

გ) აბსტრაქტული (მხოლობითში, მრავლობითი არა აქვს):

ბედნიერება, მეგობრობა, მშვიდობა, ძმობა;

დ) ბოლოუკვეცელი სახელები მრავლობით რიცხვში:

დედოფალა – დედოფალას, დედოფალათ(ი), **მაგრამ:** დედოფალ■-ებ-ი: დარასელია – დარასელიას(ი), დარასელიათ(ი), **მაგრამ:** დარასელი■-ებ-ი;

მათ შორის ადამიანის სახელები, რომლებიც გამოიყენება ლიტერატურული ტიპის აღსანიშნავად, ზოგადის მნიშვნელობით:

შორენა – შორენას, შორენათ(ი), **მაგრამ:** შორენ-ებ-ი; დათა – დათას, დათათ(ი), **მაგრამ:** დათ-ებ-ი.

12. ე-თი დაბოლოებული ფუძეკვეცადი სახელებია:

ა) საზოგადო (მხოლობითში):

დღე – დღის, დღით (მაგრამ უკვეცელია მყარ გამოთქმებში: **დღე-ის იქით, დღე-ის სწორს**), ფრე, გუბე, თონე, სარკე, სიძე, მენავე, სამელნე;

გამონაკლისია: მართვე – მართვე-ს, მართვე-თი[7];

ბ) საკუთარი, მათ შორის:

- **გვაროვნული (მხოლობითში):** ლეონიძე, ტაბიძე, ჭავჭავაძე;

მათ შორის – წარმოშობით საზოგადო: მებუკე, მენაბდე;

- **მეტსახელთან გათანაბრებული:** გიორგი ბრწყინვალე, ეფრემ მცირე, სვიმეონ მესვეტე, გიორგი მერჩულე, ვახტანგ მეექვსე;
- **ციური სხეულებისა:** მზე, მთვარე;

გ) აბსტრაქტული (მხოლობითში, მრავლობითი არა აქვს):

სილამაზე, სინაზე, სინატიფე, სიალალე, სიმშვიდე.

---

[7] მაგალითები დასახელებულია ვარლამ თოფურიასა და ივანე გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონიდან“, თბ., 1998. სხვა შემთხვევაში წყარო მითითებულია.

13. სახელწოდებად გამოყენებული საზოგადო სახელი ისევე იბრუნვის, როგორც საერთოდ ამ ტიპის საზოგადო სახელი: თუ კვეცადია, იკვეცება:

კაფე „**იის**“ დირექცია, ჟურნალ **„სარკის“** რედაქცია.

§ 6. კვეცად-კუმშვადი არსებითი სახელები

14. ზოგიერთი ხმოვანფუძიანი სახელი კვეცასაც განიცდის და კუმშვასაც. „ ... უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯერ კვეცა ხდება, ხოლო შემდეგ – კუმშვა. ამიტომაც უნდა ეწოდოს ფუძის ამგვარ ცვლილებას კვეცა-კუმშვა“ (ავთანდილ არაბული)[8].

კვეცად-კუმშვადია **-ანა, -არა, -ელა, -არე** დაბოლოების მქონე ზოგიერთი სახელი:

ქარხანა, ქვეყანა, ბეგარა, ფანჯარა, პერპერა, ტომარა, წიფელა, წურბელა, პეპელა, მოყვარე.

15. ეთი დაბოლოებული კვეცად-კუმშვადი სახელი, კვეცადი სახელებისაგან განსხვავებით, **-ებ**-იან მრავლობითშიც იკვეცება:

მოყვარე – მოყვ■რ■-ებ-ი (შეადარეთ: ხე – ხეები).

შენიშვნა: სიმწარე კვეცადია, მაგრამ იდიომატურ გამოთქმებში გვხვდება მისი შეკუმშული ფორმაც: სიმწრის სიცილი, სიმწრით გაზრდილი (თუმცა ის სხვა წარმომავლობისადაა მიჩნეული).

ასევე მხოლოდ კვეცადია **მხარე** (მხარის, მხარით), მაგრამ ლიტერატურაში დასტურდება შეკუმშული ფორმაც: „ჩვენი **მხრის** ქალებს ძნელად შეუყვარდებათ...“ (ალექსანდრე ყაზბეგი).

---

[8] ინტერნეტი, ice.ge/new/pages/samples/books/Binder4.pdf თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, გვ. 122.

დანართი № 4

§ 7. ფუძეუკვეცელი არსებითი სახელები

ბრუნების ნიმუშები

მხოლობითი რიცხვი

სახ.	რტო	წყარო	ბუ	კაკადუ	პონი
მოთხრ.	რტო-მ	წყარო-მ	ბუ-მ	კაკადუ-მ	პონი-მ
მიც.	რტო-ს	წყარო-ს	ბუ-ს	კაკადუ-ს	პონი-ს
ნათ.	რტო-ს	წყარო-ს	ბუ-ს	კაკადუ-ს	პონი-ს
მოქმ.	რტო-თ(ი)	წყარო-თ(ი)	ბუ-თ(ი)	კაკადუ-თ(ი)	პონი-თ
ვით.	რტო-დ	წყარო-დ	ბუ-დ	კაკადუ-დ	პონი-დ
წოდ.	რტო-ო	წყარო-ვ (წყარო)	ბუ-ო	კაკადუ	პონი

მრავლობითი რიცხვი

სახ.	რტო-ებ-ი	წყარო-ებ-ი	ბუ-ებ-ი	კაკადუ-ებ-ი	პონ■-ებ-ი
მოთხრ.	რტო-ებ-მა	წყარო-ებ-მა	ბუ-ებ-მა	კაკადუ-ებ-მა	პონ■-ებ-მა
მიც.	რტო-ებ-ს	წყარო-ებ-ს	ბუ-ებ-ს	კაკადუ-ებ-ს	პონ■-ებ-ს
ნათ.	რტო-ებ-ის	წყარო-ებ-ის	ბუ-ებ-ის	კაკადუ-ებ-ის	პონ■-ებ-ის
მოქმ.	რტო-ებ-ით	წყარო-ებ-ით	ბუ-ებ-ით	კაკადუ-ებ-ით	პონ■-ებ-ით
ვით.	რტო-ებ-ად	წყარო-ებ-ად	ბუ-ებ-ად	კაკადუ-ებ-ად	პონ■-ებ-ად
წოდ.	რტო-ებ-ო	წყარო-ებ-ო	ბუ-ებ-ო	კაკადუ-ებ-ო	პონ■-ებ-ო

შენიშვნა 1: ო და **უ** ხმოვნებით დაბოლოებული ერთმარცვლიანი ფუძეუკვეცელი საზოგადო არსებითი სახელები დასაშვებია წოდებითში იხმარებოდეს - **ვ** დაბოლოებით, განსაკუთრებით – ლექსებში[9]. მაგ.: „**რტოვ** ზეთისხილის, წმინდა სურნელით ხომ არ დაგვათვრე...?“ (მეგი მოლოდინი); „ჰეე, **ბუვ,** ფიქრთამპყრობელო, შენც შემიცოდე ფიქრში მყოფელი?“ (ლევან ფიროსმანაშვილი).

---

[9] თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I კრებული, თბ., 1970 და 1986, გვ. 62.

შენიშვნა2: დრო უკვეცელია, მაგრამ ნათესაობითსა და მოქმედებითში სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს: **დრო-ის, დრო-ით.**

16. ფუძეუკვეცელი სახელებია:

ა) ო-თი დაბოლოებული:

დო – დო-ს, დო-თ(ი), რკო, რტო, აკიდო, დისკო, ერბო, ვეტო, ირაო, კაკაო, კოღო, ლელო, ლობიო, ლოქო, მანტო, მარაო, მდელო, პალტო, საბჭო, საზრდო, სამაჩაბლო, სარჩო, საქართველო, სიმბოლო, სფერო, ურო, ღვინო (მრავლობითში), წებო, წიბო, წყარო, ხაჭო, ჯადო.

შენიშვნა: ღვინო მხოლოობითში კვეცადია (ღვინ-ის, ღვინ-ით), მრავლობითში – უკვეცელი (ღვინო-ებ-ი). როგორც ვარაუდობენ, ამ სიტყვის ბრუნების პარადიგმაში შერეულია ორი სხვადასხვა ფუძის ფორმა: ხმოვანფუძიანი უკვეცელი **ღვინო** და თანხმოვანფუძიანი **ღვინ** (**პარადიგმა** არის სიტყვის ფორმათა ტაბულა, როგორც ბრუნების ან უღლების ნიმუში). სწორედ **ღვინ** გვაძლევს ნათესაობითსა და მოქმედებითში შეკვეცილ ფორმას[10].

გვხვდება ისეთი ფორმებიც, რომლებშიც სიტყვაწარმოებითი (დერივაციული) აფიქსის დართვის შედეგად მოკვეცილია ბოლოკიდური **ო**. მაგ.:

ატმოსფერო – ატმოსფერ-ულ-ი, თარაზო – თარაზ-ულ-ი, იამბიკო – იამბიკ-ურ-ი, ორგანო – ორგან-ულ-ი, ოსმალო – ოსმალ-ურ-ი, სიმბოლო – სიმბოლ-ურ-ი, ლობიო – სალობი-ე (**ლობიანი**, ღვეზელის მნიშვნელობით, ქეგლ-ში მიჩნეულია სასაუბრო ენაში გავრცელებულ ფორმად, მაგრამ დღეს მან სალიტერატურო ენაში მყარად დაიმკვიდრა ადგილი, თუმცა **ლობიოიანიც** არ გამქრალა ენიდან, მას **ლობიანისგან** განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: ითქმის **ლობიოიანი თეფში**)[11];

---

[10] თ ე დ ო (თ ე დ ო რ ე) უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986, გვ. 89.

[11] ვ ა ხ ტ ა ნ გ ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული მართლწერის სადავო საკითხები, თბ., 2016, გვ. 245.

ასევე: საყელო – უ-საყელ-ო, სახელო – უ-სახელ-ო, სითბო – უ-სითბ-ო, სამშობლო – უ-სამშობლ-ო („ელექტრონული ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით – უ-სამშობლო-ო);

მაგრამ: ალო – უ-ალო-ო, ბოლო – უ-ბოლო-ო, დრო – უ-დრო-ო, საზრდო – უ-საზრდო-ო, სარჩო – უ-სარჩო-ო, სასო – უ-სასო-ო, ტარო – უ-ტარო-ო (სიმინდი), **მაგრამ**: ტარ-ი – უ-ტარ-ო (ცული).

მე-ე და **სა-ე** თავსართ-ბოლოსართებით ნაწარმოებ სიტყვებში **ო** ყოველთვის შენარჩუნებულია:

ეზო – მე-ეზო-ვ-ე, სა-ეზო-ვ-ე (**ვ** ჩაერთვის); კუბო – მე-კუბო-ე, სა-კუბო-ე [და არა: მეკუბოვე, საკუბოვე]; კალო – სა-კალო-ე; პალტო – სა-პალტო-ე [და არა საპალტოვე]; უდაბნო – მე-უდაბნო-ე.

სა-ო თავსართ-ბოლოსართიან სიტყვებში გვხვდება ორივენაირი ფორმა:

კალო – სა-კალო-ო, ბოლო – სა-ბოლო-ო, **მაგრამ**: გირაო – სა-გირა-ო, ვიოლინო – სა-ვიოლინ-ო, ვიოლენჩელო – სა-ვიოლენჩელ-ო, კარ-მიდამო – სა-კარმიდამ-ო;

მაგრამ როგორ უნდა დავწეროთ: უერბოო თუ უერბო, უეზოო თუ უეზო, ურადიოო თუ ურადიო, უსაელჩოო თუ უსაელჩო, უსაინგილოო თუ უსაინგილო, უსაქართველოო თუ უსაქართველო, უაწმყოო თუ უაწმყო, უხარაჩოო თუ უხარაჩო? ამ კითხვებზე ორთოგრაფიულ ლექსიკონებში პასუხი არ არის.

„ვფიქრობთ, მიუხედავად იმისა, რომ ენა გამარტივებისკენ ისწრაფის, უმჯობესი იქნება, თუ განსახილველ სიტყვებში ორ **ო**-ს შევინარჩუნებთ. ამით იმ წესსაც გავამყარებთ, რომ **ო** ხმოვანი კვეცას არ ექვემდებარება“[12].

ბ) უ-თი დაბოლოებული:

ბუ – ბუ-ს, ბუ-თ(ი), კუ, ზებუ, თავბრუ, ინტერვიუ, კაკადუ, კენგურუ, მარაბუ, მენიუ, რაგუ, რევიუ, ფრაუ.

მაგრამ ზოგ გეოგრაფიულ სახელში **-ელ** და **-ურ** მაწარმოებლების დართვის შედეგად ბოლოკიდური **უ** ჩამოშორებულია.

---

[12] ვახტანგ იმნაიშვილი, იქვე, გვ. 86.

გვხვდება როგორც ვანუატუ-ურ-ი და ვანუატუ-ელ-ებ-ი, ნაურუ-ულ-ი და ნაურუ-ელ-ებ-ი, სანპაულუ-ურ-ი და სანპაულუ-ელ-ებ-ი, ისე ვანუატ-ურ-ი და ვანუატ-ელ-ებ-ი, ნაურ-ულ-ი და ნაურ-ელ-ებ-ი, სანპაულ-ურ-ი და სანპაულ-ელ-ები. ამ ტიპის სახელებიდან „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ შეტანილია მხოლოდ ურარტულ-ი (⇐ ურარტუ). გაურკვეველია, რომელი შერჩება ენას – კანონიერი თუ გამარტივებული ფორმები.

გ) ი-თი დაბოლოებული:

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ **ი**-ფუძიანი საზოგადო სახელები ქართულში არა გვაქვს. გამონაკლისია **ვი**-ნ და იგი ნაცვალსახელები და რამდენიმე საკუთარი სახელი: დალი, დაჩი, დევი, ლალი, ლელი, ნუკრი, ქუჯი. დანარჩენი უცხოური ენებიდანაა შეთვისებული. რადგან **ი** შეიძლება სახელობითი ბრუნვის ნიშანიც იყოს, ჯერ უნდა დავადგინოთ, ის ფუძისეულია თუ არა. ამისათვის სახელი დავსვათ მოთხრობითში და ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი **მ** ან **მა**. მაგ.: ჟურნალი – ჟურნალ-მა. ფუძეა **ჟურნალ**, ე. ი. **ი** ბრუნვის ნიშანია. ტრამვაი – ტრამვაი-მ. ფუძეა ტრამვაი, ე. ი. **ი** ფუძისეულია.

ი-თი დაბოლოებული უკვეცელი სახელებია:

საზოგადო (მხოლოობითში):

> ალიბი – ალიბი-მ, ალიბი-ს, ალიბი-თ; ავღანი, ასორტი, ბრენდი, ბოი, ბრიჯი, ბრიჯი-მ (შარვალი), **მაგრამ**: ბრიჯ-ი, ბრიჯ-მა (ბანქოს თამაში), დენდი, დისპლეი, ესეი, ეისკი, ზლოტი, კაბუკი, კეპი, კივი, კიი, კოვბოი, კოლჰოტი [და არა კოლკოტკა], ლედი, ლობი, მარტინი, მუფთი, პენალტი, პენი, პიგმეი, პლებეი, პონი, პოპური, უალუზი, ჟიური, ჟოკეი, რაგბი, სამურაი, სარი (როცა ქალის სამოსს აღნიშნავს), სირტაკი, სიტი, ტატამი, ტაქსი, ტიფოზი, შასი, ჩაი, ჩიჩისბეი, ცუნამი, ჰარაკირი, ჰიპი, ჰობი, ჰობოი, ჰოკეი;

საკუთარი, მათ შორის:

- **პირთა:** აკაკი, გიორგი, ირაკლი, ლილი;
- **გვაროვნული (მხოლოობითში):** განდი, გარიბალდი, გორკი, დოსტოევსკი, ვერდი, ზიჩი, ლი, მოდილიანი, პაგანინი, პავაროტი, პუჩინი, როდარი, საადი, ტოლსტოი, შელი.

საზოგადო და გვაროვნული სახელები მრავლობითში იკვეცება (თუ სიტყვა ძალიან მოკლე არ არის).

სწორია: პენალტი-ს გატანა, პენალტი-თ გატანილი ბურთი, **მაგრამ**: პენალტ-ებ-ის სერია; ტრამვაი, **მაგრამ**: ტრამვა-ებ-ი; გარიბალდი-ს ქუდი, **მაგრამ**: გარიბალდ-ების რამდენიმე თაობა; პიგმეი-ს ლოცვა, **მაგრამ**: პიგმე-ებ-ის მუსიკა; ლი-ს მემკვიდრე, ლი-ებ-ის საგვარეულო.

ი დაბოლოება სახელებს შეიძლება ჩამოშორდეს წარმოების დროსაც. მაგ.:

ალიბ-**ი** – უ-ალიბ-ო, პიგმეი – პიგმე-ურ-ი, პლებეი – პლებე-ურ-ი, რაგბი – მო-რაგბ-ე, სა-რაგბ-ო; ნოღაი – ნოღა-ელ-ი, ნოღა-ურ-ი, ჰაიტ-**ი** – ჰაიტ-ელ-ი, გარიბალდი – გარიბალდ-ელ-ი.

თუ სიტყვა მოკლეა, **ი** შეიძლება შენარჩუნდეს:

მარი – მარი-ელ-ი, მარი-ულ-ი; პაი – სა-პაი-ე, უდი – უდი-ურ-ი, ფიჯი – ფიჯი-ელ-ი, ფიჯი-ურ-ი; ჩაი – სა-ჩაი-ე.

ბევრი წარმოქმნილი სახელის მართლწერა დღესაც დაუდგენელია. ეს განსაკუთრებით ითქმის იმ **ი**-ფუძიან სიტყვებზე, რომლებშიც **ი**-ს წინ უძღვის ხმოვანი. მაგ.: რომელია მართებული: ბომბეიელი თუ ბომბეელი? დუბაიელი თუ დუბაელი, ბოიები თუ ბოები? კიიები თუ კიები?

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასაუბრო ენასა თუ პრესაში ძლიერდება პროცესი ფუძისეული **ი**-ს სახელობითი ბრუნვის ფორმანტად გაგებისა[13]. თანდათან მკვიდრდება ფორმები: პენალტმა, პენალტს, რაგბმა, რაგბს, რეფერმა, რეფერს, ტაქსმა, ტაქსს, ცუნამმა, ცუნამს.

განსაკუთრებით ძნელდება **ი**-ს შენარჩუნება თანდებულიან სახელებში. ნაცვლად მართებულად მიჩნეული ფორმებისა – ბელინსკიზე, ტაქსიზე, ტაქსიში, სომალიში, ნაგასაკიში, ტრიპოლიში – თითქმის ყოველთვის ამბობენ და წერენ: ბელინსკზე, ტაქსზე, ტაქსში, სომალში, ნაგასაკში, ტრიპოლში. ამას თავისი ახსნა აქვს: „ქართველი კაცის ცნობიერებაში სახელის ბოლოს მოქცეული **ი**, როგორც წესი, ბრუნვის ნიშნად აღიქმება, რადგან

---

[13] მ ზ ე ქ ა ლ ა შ ა ნ ი ძ ე, ი-ხმოვნიანი საზოგადო სახელები ქართულში. ქსკს, წიგნი XI, თბ., 1982, გვ. 87, ვ ა ხ ტ ა ნ გ ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 60-62.

საკუთრივ ქართული **ი**-ფუძიანი სიტყვები თითზე ჩამოითვლება, ხოლო უცხოური ენებიდან ქართულში შემოჭრილი **ი**-ფუძიანი სახელები რაოდენობით ახლოსაც ვერ მივა ქართულ თანხმოვანფუძიან სახელებთან".[14]

როდისმე, შესაძლოა, ზემოთ ჩამოთვლილი სახელებიც შეუერთდეს უცხოური ენებიდან შემოსულ იმ **ი**-ფუძიან სიტყვებს, რომლებიც თანხმოვანფუძიანთა ჯგუფში ჩაირიცხა. ესენია: მონასტერი, პარასკევი (ბერძნული), ყადი, მუშტარი (არაბული), აბაზი, ზანგი (სპარსული), ელჩი, გემი, ყუთი (თურქული), **მაგრამ ჯერჯერობით, წესის შეცვლამდე, ვალდებული ვართ, დავიცვათ დადგენილი ნორმები.**

17. უკვეცელია ა-თი დაბოლოებული ზოგიერთი სახელი. მათ შორის:

ა) საკუთარი:

- **პირისა ან ცხოველისა:** შოთა, შოთა-ს, შოთა-თ(ი), ილია, მანანა, ლაბა, გიშერა, ყურშა;
- **გვაროვნული (მხოლოობითში):** გუნია, გუნია-ს, გუნია-თ(ი), მაგრამ: გუნი-ებ-ი; ჩიჩუა, კოსტავა, ქეცბა, ინალიფა;

ბ) ნათესაური დამოკიდებულების გამომხატველი, როცა ის საკუთარი სახელის მნიშვნელობით გამოიყენება[15]. მაგ., **დედას წიგნი** (როცა მთქმელის დედა იგულისხმება) და **დედის დარიგება** (როცა ზოგადად დედის, როგორც მშობლის, დარიგებას გულისხმობენ).

ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვებია აგრეთვე: მამა, პაპა, ბაბუა, ბებია, დიდედა, დეიდა, მამიდა, ბიძა (ბიძია, ძია და ბიცოლა ყოველთვის უკვეცელია), გადია, პაპიდა, ბებია (ბაბუდა, ბებო, ბერდედა, დედუა კუთხურია). შეცდომის თავიდან ასაცილებლად აღნიშნული სიტყვები უკვეცელი დავტოვოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ შეიძლება დაერთოს I პირის კუთვნილების გამომხატველი ნაცვალსახელი **ჩემი**[16].

---

[14] ვახტანგ იმნაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 418.

[15] არნოლდ ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლი, ტომი 1, თბ., 1950, გვ. 038.

[16] ლილი ბასილაია, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების თვითმასწავლებელი, თბ., 2014, გვ. 12-13.

გ) მარტივი და რთული არსებითი სახელები (ან გაარსებიიებული ზედსართავები და მიმდეობები), რომლებშიც ა არის მაწარმოებელი აფიქსი ან რთული მაწარმოებლის შემადგენელი ნაწილი (მრავლობითში კვეცადია). თუ ა სიტყვაწარმოებითი აფიქსია, მან სახელს ლექსიკური მნიშვნელობა უნდა შეუცვალოს. შეადარეთ, მაგ.: დედოფალი (1. მეფის ან მთავრის ცოლი; 2. ქვეყნის მმართველი ქალი) და დედოფალა (თოჯინა).

ხშირად ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით უკვეცელ სახელთა ჯგუფშია მოქცეული ა-თი დაბოლოებული ისეთი სიტყვები, რომელთა უკვეცელობა ტრადიციითაა დამკვიდრებული და რომლებშიც ბოლოკიდურ ა-ს ჩათვლა მაწარმოებელ აფიქსად სადავოა. მაგ.:

> ანკარა, ზაზუნა, თხუნელა, კოდალა, ლოკოკინა, ობობა, ტოროლა, ყვინჩილა, ღამურა, ჭინჭრაქა, ჯაფარა, მაქცია, ნიბლია[17].

„ბუნდოვანია, სად გადის ზღვარი ა დაბოლოების დერივაციულ ფუნქციას და მის ფუძისეულ ხმოვნად ჩათვლას შორის“[18].

ზოგჯერ ერთი და იგივე სიტყვა ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით კვეცადია, განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით – უკვეცელი ან პირიქით. ყოველი სიტყვის მართლწერის დამახსოვრება შეუძლებელია, თუ ისინი კვეცა-უკვეცელობის საერთო წესს არ დაემქვემდებარება. ამ ორჭოფული მდგომარეობიდან გამოსავალი იქნებოდა, თუ ა-თი დაბოლოებულ ყველა საზოგადო სახელს შევკვეცდით. ასეთ გამოსავალს გვთავაზობენ კიდეც[19], რასაც ჩვენც ვიზიარებთ. ეფიქრობთ, გამარტივება კეთილი საქმეა.

რომელია ის წარმოქმნილი სახელები, რომლებშიც -ა მაწარმოებელია და დღეს მოქმედი ნორმების მიხედვით მხ. რიცხვში უკვეცელია? ესენია სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ:

---

[17] ვახტანგ იმნაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 360-361.

[18] იქვე, გვ. 362.

[19] ვახტანგ იმნაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 363.

კნინობითობას:

დედოფალ-ა – დედოფალა-ს, დედოფალა-თ(ი), **მაგრამ:** დედოფალ-ებ-ი
ტომს-იკ-ა – ტომს-იკა-ს, ტომსიკა-თ(ი), **მაგრამ:** ტომსიკ-ებ-ი
ბიჭ-უნ-ა – ბიჭუნა-ს, ბიჭუნა-თ(ი), **მაგრამ** ბიჭუნ-ებ-ი
გოგო-ნ-ა (⇐გოგო-უნ-ა) – გოგონა-ს, გოგონა-თ(ი), **მაგრამ:** გოგონ-ებ-ი
თაგ-უნ-ა – თაგუნა-ს, თაგუნა-თ(ი), **მაგრამ:** თაგუნ-ებ-ი
ჩიტ-უნ-ა – ჩიტუნა-ს, ჩიტუნა-თ(ი), **მაგრამ:** ჩიტუნ-ებ-ი
ჩიტ-უნ-ია–ჩიტუნია-ს, ჩიტუნია-თ(ი), **მაგრამ:** ჩიტუნი-ებ-ი
ვარ-იკ-ა – ვარიკა-ს, ვარიკა-თ(ი), **მაგრამ:** ვარიკ-ებ-ი
ბურთ-ულ-ა – ბურთულა-ს, ბურთულა-თ(ი), **მაგრამ:** ბურთულ-ებ-ი
კუნწულ-ა – კუნწულა-ს, კუნწულა-თ(ი), **მაგრამ:** კუნწულ-ებ-ი
ვაჭრ-უკ-ან-ა – ვაჭრუკანა-ს, ვაჭრუკანა-თ(ი), **მაგრამ:** ვაჭრუკან-ებ-ი

მსგავსებას:

ლურჯ-ა – ლურჯა-ს, ლურჯა-თ(ი), ლურჯა-ებ-ი (გამონაკლისი)
ვარდკანაფ-ა – ვარდკანაფა-ს, ვარდკანაფა-თ(ი), **მაგრამ:** ვარდკანაფ-ებ-ი
ვირთაგვ-ა – ვირთაგვა-ს, ვირთაგვა-თ(ი), **მაგრამ:** ვირთაგვ-ებ-ი
ცისარტყელ-ა – ცისარტყელა-ს, ცისარტყელა-თ(ი), **მაგრამ:** ცისარტყელ-ებ-ი
მგელკაც-ა – მგელკაცა-ს, მგელკაცა-თ(ი), **მაგრამ:** მგელკაც-ებ-ი

თვისებას:

ბზრიალ-ა – ბზრიალა-ს, ბზრიალა-თ(ი), **მაგრამ:** ბზრიალ-ებ-ი

შუშხუნ-ა – შუშხუნა–ს, შუშხუნა-თ(ი), **მაგრამ:** შუშხუნ-ებ-ი
კბილ-ან-ა – კბილანა-ს, კბილანა-თ(ი), **მაგრამ** კბილან-ებ-ი
წრუწუნ-ა – წრუწუნა-ს, წრუწუნა-თ(ი), **მაგრამ:** წრუწუნ-ებ-ი

დანიშნულებას:

საბერტყელ-ა – საბერტყელა-ს, საბერტყელა-თ(ი), **მაგრამ:** საბერტყელ-ებ-ი
საგლინველ-ა – საგლინველა-ს, საგლინველა-თ(ი), **მაგრამ:** საგლინველ-ებ-ი
საბუდარ-ა – საბუდარა-ს, საბუდარა-თ(ი), **მაგრამ:** საბუდარ-ებ-ი
საპოვნელ-ა – საპოვნელა-ს, საპოვნელა-თ(ი), **მაგრამ:** საპოვნელ-ებ-ი

ქონებას:

ასფურცელ-ა – ასფურცელა-ს, ასფურცელა-თ(ი), **მაგრამ:** ასფურცელ-ებ-ი
ძირმაგარ-ა – ძირმაგარა-ს, ძირმაგარა-თ(ი), **მაგრამ:** ძირმაგარ-ებ-ი
სამყურ-ა – სამყურა-ს, სამყურა-თ(ი), **მაგრამ:** სამყურ-ებ-ი
რვაფეხ-ა – რვაფეხა-ს, რვაფეხა-თ(ი), **მაგრამ:** რვაფეხ-ებ-ი

წარმომავლობას:

გორულ-ა – გორულა-ს, გორულა-თ(ი), **მაგრამ:** გორულ-ებ-ი
აფხაზურ-ა – აფხაზურა-ს, აფხაზურა-თ(ი), **მაგრამ:** აფხახურ-ებ-ი
კახურ-ა – კახურა-ს, კახურა-თ(ი), **მაგრამ:** კახურ-ებ-ი
რაჭულ-ა – რაჭულა-ს, რაჭულა-თ(ი), **მაგრამ:** რაჭულ-ებ-ი

-ა ბოლოსართით ნაწარმოები ქონება-მსგავსება-თვისების გამომხატველი სახელები ყველაზე ხშირად გამოყენებულია დარგობრივ ტერმინოლოგიაში, სახელდობრ:

- **მემცენარეობაში:** ბაბუაწვერ-ა, გულყვითელ-ა, ეკალ-ა, ვარდკაჭაჭ-ა, ვირისტერფ-ა, თავშავ-ა, კატაბალახ-ა, კატაფშატ-ა, ცხელისწაბლ-ა, ძაღლყურძენ-ა;

- **მეფრინველეობაში:** ბოლოქანქარ-ა, გულწითელ-ა, მწყერჩიტ-ა, ნარჩიტ-ა, ქარიშხალ-ა, ღობემძვრალ-ა, ჩიტბატონ-ა, წიფლისჩიტ-ა, ხეკაკუნ-ა;

- **ენტიმოლოგიაში** (=მწერების შემსწავლელი მეცნიერება): ბოლოწითელ-ა, ციცინათელ-ა, ხარაბუზ-ა, პეწ-იან-ა;

- **იქთიოლოგიაში** (=თევზების შემსწავლელი მეცნიერება): გველთევზ-ა, თავკომბალ-ა, ნაფოტ-ა, სალამურ-ა, წვერ-ა[20].

18. ფუძეუკვეცელია -ე-თი დაბოლოებული ზოგიერთი სახელი, კერძოდ:

ა) საზოგადო სახელები და ქართული გვარები მრავლობით რიცხვში:

კლდე-ებ-ი, ბუდეები, ჭავჭავაძეები, მენაბდეები;

ბ) უცხო წარმოშობის სიტყვები (როგორც მხოლოობითში, ისე მრავლობითში):

ალოე, ატაშე, ატელიე, ბე, ბეზე, ბლანმანჟე, ბუკლე, დეკოლტე, დოსიე, დრაჟე, ვარიეტე, იუბილე, კაბარე, კაფე, კაშნე, კლიშე, კუპე, კოლიე, კომუნიკე, კონფერანსიე, კორიფე, კრუპიე, პენსნე, პროტეჟე, ჟელე, რელე, რეზიუმე, რენომე, ტირე, ფაქსიმილე, ფოიე, ჩიჩერონე;

გამონაკლისი: ოკეანე – ოკეან-ის, ოკეან-ით (ბერძნულიდან შემოსული);

---

[20] მაგალითები წარმოდგენილია ინგა ჯიბუტის სტატიიდან „-იან, -ოვან, -ა სუფიქსთა ფუნქციისათვის ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში“, იხ. ქსკს, წიგნი X, 1993, გვ. 169-184.

გ) პირთა საკუთარი სახელები და უცხოური გვარები:

ელენე, პენელოპე, ქრისტინე, დანტე, პავლე, ფორე, არისტოტელე, ბროსე, გოეთე, დემოკრიტე, ჰაინე;

19. ფუძეუკვეცელ სახელებს, გარდა **ი**-თი დაბოლოებულებისა, მხოლოობითი რიცხვის ნანათესაობითარ სახელობითში დაერთვის ბრუნვის ნიშანი **ი**, ხოლო მოქმედებითში - სავრცობი **ი**:

მდელო – მდელოს-ი, მდელოთ-ი; რუ – რუს-ი, რუთ-ი; ეკალა – ეკალას-ი, ეკალათ-ი; ტირე – ტირეს-ი, ტირეთ-ი; ბეზე – ბეზეს-ი, ბეზეთ-ი;

მაგრამ: ჩაი-ს(ა), ჩაი-თ(ა), და არა ჩაი-ს(ი), ჩაი-თ(ი), რაგბი – რაგბი-ს(ა), რაგბი-თ(ა), და არა: რაგბი-ს(ი), რაგბი-თ(ი); გიგი – გიგი-ს(ა), გიგი-თ(ა), და არა: გიგი-ს(ი), გიგი-თ(ი).

ი-ფუძიანი სახელების **ი**-დაბოლოებიანი ნანათესაობითარი სახელობითის ფორმები (გიგისი, გიგითი) კუთხურია.

§ 8. ვითარებითი ბრუნვის ფორმების დაბოლოება

შეცდომების დიდი წილი მოდის ვითარებითი ბრუნვის ფორმების დაწერილობაზე.

დაიმახსოვრეთ:

1. მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი არის **ით** ან **თ**, ვითარებითისა კი – **-ად** (თანხმოვანფუძიანებში) და **-დ** (ხმოვანფუძიანებში), თუმცა სიტყვის ბოლოს მჟღერი **დ**-ს ნაცვლად ისმის ყრუ **თ** და ხშირად ასეც წერენ (განსაკუთრებით – თანხმოვანფუძიან სახელებში).

სწორია: ბავშე-**ად**, არწივ-**ად**, სპორტსმენ-**ად**, დაფ-**ად**, მთვარე-**დ**, სფერო-**დ**, პიგმეი-**დ**, გურუ-**დ**;

და არა: ბავშვათ, არწივათ, სპორტსმენათ, დაფათ, მთვარეთ, სფეროთ, პიგმეით, გურუ-თ.

2. როგორ ავიცილოთ თავიდან შეცდომა? ერთმანეთისგან გავმიჯნოთ მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმები შინაარსობრივად. შეადარეთ:

ამაყობს შვილ-**ით** და მიიღო შვილ-**ად**; ჩამოვიდნენ ოჯახ-**ით** და გაერთიანდნენ ერთ ოჯახ-**ად**; სოფელმა გამარჯვებას მიაღწია შვიდი სამურაი-**თ** და ყველა გადაიქცა სამურაი-**დ**; გაუმასპინძლდა ჩაი-**თ** და მოეწვენა ჩაი-**დ**;

3. **-დ** დაბოლოება აქვს ბევრ ზმნიზედას, რომლებიც წარმოქმნილია ზედსართავი სახელის ან მიმღეობის ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან[21]:

ლამაზი – ლამაზ-**ად**, სწორი – სწორ-**ად**, მტკიცე – მტკიცე-**დ**, ყრუ – ყრუ-**დ**, აუჩქარებელი – აუჩქარებლ-**ად**.

შედარებით მცირეა მოქმედებითი ბრუნვის ფორმისგან ნა-წარმოები ზმნიზედები და მათი დაწერილობის დამახსოვრება სირთულეს არ წარმოადგენს (მაგ.: წინათ, გარეთ). [22]

§ 9. წოდებითი ბრუნვის ფორმათა მართლწერა

წოდებით ბრუნვას ერთადერთი ფუნქცია აქვს: იგი გამოხატავს მიმართვას მეორე პირად წარმოდგენილი საგნისადმი[23]. მიმართვა გრამატიკულად არ უკავშირდება წინადადების რომელიმე წევრს, მაგრამ მას შეიძლება ახლდეს თავისი ამხსნელი სიტყვები – შეთანხმებული ან მართული (**-ის**-ელემენტიანი) მსაზღვრელები.

1. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით (ნორმები არის რისამე დაკანონებული, სავალდებულო წესი) წოდებით ბრუნვაში ო ნიშნით წარმოითქმის და იწერება:

ა) თანხმოვანფუძიანი სახელები, კერძოდ:

- **საზოგადო**: მეგობარ-ო, ქარ-ო, წიფელ-ო, ხალხო;
- **გვაროვნული**: ბაგრატიონ-ო, ბარათაშვილ-ო, ორბელიან-ო, ბუჩუკურო, ტეტჩერო, ივანოვო [**და არა**: ბაგრატიონი, ბარათაშვი-ლი, ორბელიანი, ბუჩუკური, ტეტჩერ, ივანოვ];

---

[21] იხ. აქვე, ზმნიზედა, № 1, „ვ“.

[22] იქვე, № 1 „დ“.

[23] ლ ე ო კ ვ ა ჭ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996, გვ. 235.

- **გეოგრაფიული**: არაგვ-ო, გორ-ო, კავკასიონო, სვანეთ-ო;
- **ცხოველთათვის შერქმეული**: ბუცეფალ-ო, ნიკორ-ო, როსინანტ-ო;
- **უცხოურიდან მომდინარე ტიტულები**: ბარონ-**ო**, გრაფ-**ო**, ვიკონტ-**ო**, ლორდ-**ო**, მარკიზ-**ო**, მილორდ-**ო**, ჰერცოგ-**ო**, ასევე: ბარონო მიუნჰაუზენ-**ო**, გრაფო მონტე-კრისტო, ლორდო ბაირონ-**ო** და მისთ. [**და არა**: ბარონ მიუნჰაუზენო, ლორდ ბაირონო].

წოდებითიბრუნვისფორმიან წინადადებაში მიმართვის ადრესატი მეორე პირია. მაგ.:

ლექსო, კლდის ნაპრალში შენახულო,
მრავალ ქარ-წვიმისგან შელახულო...
დედის გულო, ხანჯლით ნაჩხვლეტარო...
მწუხრზე დახვრეტილო კელაპტარო...
ფშავში დის ხურჯინში ჩაწყობილო,
ჩემო დაჩეხილო საქართველო...
ქვეყნის კაცობავ და... ხელაშვილო...
მიწადარბეულო... მზეაშლილო!..
(ქეთევან დოლიძე, „მიხა ხელაშვილს“).

ბ) ერთმარცვლიანი ბოლოხმოვნიანი სახელები:

მთა-ო, კლდე-ო, რტო-ო, რუ-ო.

გ) წოდებითი ფორმის **-ო** დაბოლოება შეზრდილია **-იკ** მაწარმოებელთან და ამჟამად გვაქვს: დედიკო, მამიკო, დაიკო, ბიჭიკო, და მისთ. კნინობითი სახელები, რომლებიც ამავე დროს მიმართვის ფორმებია;

დ) -ო დაერთვის აგრეთვე **-ილ** ბოლოსართს. **-ილო** აწარმოებს მარტოოდენ ორ სახელს, რომლებიც მიმართვის ფორმებია: დედილო, მამილო. შეიძლება ამათ მთელი მარცვალი მოეკვეცოთ ბოლოში და მივიღოთ: დედი, მამი[24].

2. პარალელური ფორმებით -ვ ნიშნით ან მის გარეშე იწერება -ა, -ე, და -ო ხმოვნებით გათავებული სახელები (ტენდენცია მიმართულია ბრუნვის ნიშნის ჩამოცილებისაკენ). მაგ.:

ა) ორ- და მეტმარცვლიანი საზოგადო:

ია // ია-ვ, მხარე // მხარევ, სამშობლო // სამშობლოვ;

---

[24] ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, თხზულებანი III, თბ., 1980, გვ. 121.

ბ) გეოგრაფიული (გაიგივებულია საზოგადო სახელებთან):

მცხეთა // მცხეთა-ვ, უშბა // უშბავ, საირმე // საირმევ, ვერე // ვერე-ვ, საინგილო // საინგილო-ვ;

3. -ვ დაბოლოებით **დასაშვებია** იხმარებოდეს ერთმარცვლიანი ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები (მზე-ვ, მთა-ვ, ძმა-ვ, რტო-ვ, ბუ-ვ, კუ-ვ.), განსაკუთრებით – პოეზიაში. მაგ.:

მთა-ვ, შენ ის ჩემი ნათქვამი გულმკერდზე დაიწეროდი!
(ვაჟა-ფშაველა);

მზე შინა და მზე გარეთა, **მზე-ვ** შინ შემოდიო.
(ხალხური).

პოეზიაში შეიძლება შეგვხვდეს **ო** დაბოლოება ორ- და მეტმარცვლიან სახელებთან. მაგ.:

ო, ენავ ჩემო, **დედაო** ენავ! (ირაკლი აბაშიძე).

საქართველოო ლამაზო,
სხვა საქართველო სად არის? (ანა).

4. ბრუნვის ნიშნის გარეშე (ე. წ. ნულოვანი ფორმით) იწერება:

ა) პირთა სახელები (როგორც თანხმოვანფუძიანი, ისე ხმოვანფუძიანი):

თამარ, ვახტანგ, მაია, მიხა, ელენე, პეტრე, ნინო;

და არა: თამარი, ვახტანგი, მაი, მიხავ, ელენევ, პეტრევ, ნინ.

ბ) -ა- და -ე-ფუძიანი გვარები (გათანაბრებულია პირთა სახელებთან):

დარასელია, კოსტავა, ჭავჭავაძე, ნიკოლაძე, ჰაინე;

გ) -ი- და -უ-ფუძიანი პიროვნული, გვაროვნული და გეოგრაფიული სახელები:

ირაკლი, გიორგი, ჩაიკოვსკი, პაგანინი, დელი, ცირუ, ნუნუ, ლანდაუ, რონალდუ, ნაურუ, ტარტუ;

დ) -ი-თი დაბოლოებული საზოგადო სახელები:

პონი, ტაქსი, სამურაი, პიგმეი;

ე) -უ-ით დაბოლოებული ორ- და მეტმარცვლიანი საზოგადო სახელები:

ბებუ, კაკალუ, კენგურუ;

ვ) უცხოური მიმართვის ფორმები, როგორიცაა:

ლედი, მადამ, მის, მისის, მისტერ, სენიორ, სერ, სინიორ, ჯენტლმენ, ჯენტილაინ;

ზ) ნათესაობის აღმნიშვნელი ა-თი დაბოლოებული სიტყვები (გათანაბრებულია პირთა სახელებთან):

დედა, მამა, პაპა, ბაბუა, ბებია, დიდედა, დეიდა, მამიდა;

5. თუ **მამა** გამოყენებულია ღმერთის ან სასულიერო პირის მიმართ, მშობლის აღმნიშვნელი სახელისაგან განსასხვავებლად, წოდებით**ში** მას დაერთვის **-ო**:

მამა-ო (გავიხსენოთ ცნობილი ლოცვა „მამაო ჩვენო“).

მაგრამ შეცდომაა **-ო**-ს დართვა სხვა ბრუნვებში (ანუ შინაარსის გარეშე). მაგ.: მამაო მობრძანდა, მამაომ ბრძანა, მამაოს შემოუთვლია[25]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოვლენა გარკვეული ტენდენციის გამომხატველია: ენა ცდილობს ერთმანეთისგან ფორმობრივად განასხვაოს ხორციელი და სულიერი მამის აღმნიშვნელი სახელი. ეს მიზეზი გზას უკვალავს „ამ სიტყვების (მამაო, დედაო) ენაში დამკვიდრებას. მრევლის მეტყველებაში დასახელებული ფორმები წარმოადგენს არაოფიციალური, ახლობლური, თბილი, მშობლიური განწყობის გამოხატულებას, ხოლო ოფიციალურობის შემთხვევაში აუცილებლად დავწერთ ან ვიტყვით: ჩემმა მოძღვარმა, მამა დავითმა, მღვდელმა იოსებმა... დედა ქეთევანმა... მაგრამ ერთმანეთში საუბრისას ასე მოვიხსენიებთ: მამაომ თქვა, მამაოს ველოდები... (იგულისხმება, რომ ჩემს მოძღვარს ვუცდი...), მაგრამ არასოდეს ვიტყვით: მამაო ალექსიმ მითხრა... მამაო და დედაო ფორმები უფრო ბუნებრივია დამოუკიდებლად ხმარების შემთხვევაში“[26].

---

[25] შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002, გვ. 55.

[26] ნ ი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი – ერთი ფორმის დამკვიდრებისათვის ქართულში, ქსკს, წ. XVI, გვ. 182.

მსაზღვრელად გამოყენებისას **მამას**, როგორც ხმოვანფუძიან სახელს, ბრუნვის ნიშნები არ დაერთვის.

სწორია: **მამა** ანთიმოზი მობრძანდა, **მამა** ამბროსიმ დაგვლოცა, **მამა** გრიგოლს შევხვდით.

და არა: მამაო ანთიმოზი მობრძანდა, მამაო ამბროსიმ დაგვლოცა, მამაო გრიგოლს შევხვდით.

-ო დაბოლოება ზედმეტია მიმართვის დროსაც, (მამაო ზურაბ, დაგვლოცე![27]), თუმცა ლიტერატურაში ასეთი ფორმებიც დასტურდება:
დედაო ნინო, ეევდრე ღმერთსა ჩვენთვის!
დედაო ღვთისა, მზეო მარიამ! (გალაკტიონი).

6. დეფისით შეერთებულ კომპოზიტში წინა სახელი (ან სახელები) ფუძის სახით იწერება, ბრუნვის ნიშანი კი უკანასკნელ კომპონენტს დაერთვის, თანაც იმ წესით, რომელიც მისთვის ჩვეულებრივია ცალკე ბრუნების დროს[28]. მაგ.:

და-ძმა-**ო**, სულხან-საბა, დედ-მამა, ძალ-ღონე // ძალ-ღონე-**ვ**, სიძე-პატარძალ-**ო**.

§ 10. ემფატიკური ა-ს ხმარება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში

მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებს შეიძლება დაერთოს სავრცობი (იგივე მავრცობი) **ა**, რომელსაც გრამატიკულ ლიტერატურაში **ემფატიკურ ხმოვანს** უწოდებენ. ემფატიკური **ა** ხშირად გამოიყენება ცოცხალ მეტყველებაში (განსაკუთრებით –

[27] მ ა რ თ ლ წ ე რ ი ს ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი მ ე დ ი ი ს ა თ ვ ი ს, თბ. 2016 გვ. 245

[28] ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 69.

აღმოსავლურ კილოებში), შედარებით იშვიათად კი – სალიტერატურო ენაში. ძველ ქართულში ის არ დაერთოდა ვითარებითი ბრუნვის ფორმას.

ემფატიკური ა-ს ხმარების ნორმები დადგენილია. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების № 1-2 ბიულეტენში შეტანილია ემფატიკური ა-ს გამოყენების ლაკონიური წესები (ზედმეტად ლაკონიურიც – ი. ბ.). ვინაიდან აღნიშნული ბიულეტენი მკითხველთა ფართო ფენებისათვის ხელმიუწვდომელია, წარმოგიდგენთ ამ წესებს სრულად.

„1. თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში მავრცობი ა-ს ხმარება სავსებით ბუნებრივია და მართებული **და, თუ** კავშირების წინ, როცა ეს კავშირები აერთებს ორ სიტყვას (გარდა ზმნებისა): დასა და ძმას, მიწისა და ცის, წინა და უკან, ამასა თუ იმას...

2. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული (განსაკუთრებით ერთმარცვლიანი) ზმნების წინ ა ხმოვნის გამოყენება თითქოს გამართლებულია, უპირატესობა მაინც უხმოვნო ფორმებს უნდა მიეცეს (შვილივით ზრდიდა და არა – შვილივითა ზრდიდა, ცოცხალს სჯობს და არა ცოცხალსა სჯობს...). გარდა საყოველთაოდ გავრცელებული ისეთი გამოთქმებისა, როგორიცაა აქა ვარ, ვინა ხარ? სადა ხარ? როგორა ხარ? აქა მაქვს, არა მყავს, არა მაქვს და მისთ.

3. თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის არ არის ბუნებრივი და არ უნდა იხმარებოდეს სიტყვათა ა-მავრცობიანი ფორმები წინადადების ბოლოს ან წინადადების გარკვეული, ინტონაციურად გამოყოფილი ნაწილების დამამთავრებლად, ე. ი. იქ, სადაც პაუზაა მოსალოდნელი.

თანამედროვე ქართულში შეინიშნება ემფატიკური ა-ს გამოყენების ორი ძირითადი შემთხვევა: პირველი, როდესაც ეს ა სიტყვის აუცილებელი ელემენტია და, მეორე, როდესაც მისი ხმარება ასეთი აუცილებლობით არ არის გამოწვეული, მაგრამ სრულიად კანონზომიერი და ბუნებრივია“[29] (ნორმების ბიულეტენი № 1-2, თბ., 1985, გვ. 25).

---

[29] თ ა მ ა რ ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, მავრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქართული, ქსკს, წიგნი I, თბ., 1972, გვ. 44-57.

1. ნორმების თანახმად, ემფატიკური ა-ს გამოყენება აუცილებელია[30]:

ა) -ც ნაწილაკის დართვისას (ამ შემთხვევაში **ა** ხმოვანი გვევლინება თანხმოვანთგამყარი ბგერის როლში):

- **თანხმოვანფუძიან სახელებთან**: სახლ-ს-ა-ც, სახლ-ის-ა-ც, სახლ-ით-ა-ც, სახ-ლ-ად-აც;
- **ხმოვანფუძიან კვეცად სახელებთან**: დაფა-ს-ა-ც, დაფ-ის-აც, დაფ-ით-ა-ც; დაფა-დ-ა-ც; ბუდე-ს-ა-ც, ბუდ-ის-ა-ც, ბუდ-ით-ა-ც, ბუდე-დ-ა-ც;
- **ი-თი დაბოლოებულ უკვეცელ სახელებთან (მიცემითში, მოქმედებითსა და ვითარებითში)**: ჩაი-ს-ა-ც, ჩაი-თ-ა-ც, ჩაი-დ-ა-ც;

ც-ნაწილაკიან დანარჩენ უკვეცელ სახელებს **ა** დაერთვის მხოლოდ ორ ბრუნვაში – მიცემითსა და ვითარებითში:

წყარო-ს-ა-ც, წყარო-დ-ა-ც; ბუ-ს-ა-ც, ბუ-დ-ა-ც;

ნათესაობითსა და მოქმედებითში **ა**-ს ფუნქციით მათ **ი** დაერთვის:

წყარო-ს-**ი**-ც, წყარო-თ-**ი**-ც; ბუ-ს-**ი**-ც, ბუ-თ-**ი**-ც.

შენიშვნა: **-ც**-ნაწილაკიანი ხმოვანფუძიანი სახელების მოთხრობითი ბრუნვის ფორმებში გამოვლენილი **ა** შესაძლოა, ბრუნვისნიშნისეული იყოს: კლდემა-ც, ხმა-მა-ც, წყარო-მაც.

ბ) -ვით-თანდებულიან მიცემითთან:

ნიავ-ს-ა-ვით, მთა-ს-ა-ვით, მზე-ს-ა-ვით, ხბო-ს-ა-ვით, ხბორ-ებ-ს-ა-ვით, კუ-ს-ა-ვით;

-ვით-თანდებულიან ფორმაზე **-ც** ნაწილაკის დართვისას ემფატიკური **ა** ორჯერ გვხვდება:

ნიავ-ს-ა-ვით-ა-ც, მთა-ს-ა-ვით-ა-ც;

გ) მართულ (ის-ელემენტიან) მსაზღვრელთან შებრუნებული (ინვერსიული) წყობის დროს:

---

[30] ნორმების ბიულეტენი № 1-2. 1985, გვ. 23.

მზე შემოდგომის-ა (მზე-მ შემოდგომ-ის-ა-მ, მზე-ს შემოდგომის-ა-ს, მზე-ო შემოდგომ-ის-ა-ვ), ყვავილი მთის-ა, ლექსი აკაკის-ა, სალამო მშვიდობის-ა, ხმა ჭიკჭიკის-ა (**შეადარეთ:** შემოდგომის მზე, მთის ყვავილი, აკაკის ლექსი, მშვიდობის სალამო, ჭიკჭიკის ხმა).

ამ შემთხვევაში ა-ს ეკისრება კოსტრუქციის ჩამკეტის (ე. წ. სადემარკაციო) ფუნქცია. ამავე ფუნქციას ასრულებს ემფატიკური ხმოვანი, თუ წინადადების ბოლოს ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელია. მაგ.:

გავხდი ოცი წლისა. ის კმაყოფილი იყო თავისი ბედისა;

შენიშვნა: ძველ ქართულში სახელობითი ბრუნვის ნიშანი ემფატიკური ხმოვნით დაბოლოებულ სახელსაც დაერთოდა. მაგ.: „მან ღმერთი ცათ-ა-ჲ და ქუეყანის-ა-ჲ აღიარა...“ (გიორგი მერჩულე).

დ) თუ მართული (ის-ელემენტიანი) მსაზღვრელი რამდენიმეა, ემფატიკურ ა-ს ურთავენ და კავშირის წინ მდგომ მსაზღვრელსაც.
სწორია: ყვავილები ნუშის, ატმის, ვაშლის, მსხლის-ა და ტყემლის-ა[31].

სტილური საჭიროების მიხედვით შეიძლება ყველა მსაზღვრელის გავრცობა:

ყვავილები ნუშის-ა, ატმის-ა, ვაშლის-ა, მსხლის-ა და ტყემლის-ა[32].

შენიშვნა: აკაკი შანიძის აზრით, ამ ფორმებში **ის** ელემენტი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, სხვა მოსაზრებით[33] კი – დერივაციული (წარმოქმნის) აფიქსი.

ის-ელემენტიანი მსაზღვრელების ინვერსიული წყობის დროს „ორმაგი ბრუნების ფორმები უკანასკნელ მსაზღვრელს აქვს, სხვებს კი შეიძლება ჰქონდეს, შეიძლება – არა“ (ლეო კვაჭაძე). მაგ.:

---

[31] ლ ე ო კ ვ ა ჭ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 27.
[32] იქვე, გვ. 266.
[33] იხ. თ ე დ ო უ თ უ რ გ ა ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 124, ა კ ა კ ი დ ა ვ ი თ ი ა ნ ი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973, გვ. 269-287.

შევხარი ყვავილებ-ს ნუშის, ატმის, ვაშლის, მსხლის-ა და ტყემლის-ა-ს (იქვე)[34];

მაგრამ: მადლსაც სიმართლის-ა-ს, პატიოსნების-ა-ს, სიყვარულის-ა-ს, ნუგეშისცემის-ა-ს, ერთმანეთის განკითხვის-ა-ს, შეწყნარების-ა-ს, შენდობის-ა-ს, — დასაბამად, სათავედ სიბრალულის მადლი აქვს (ილია)[35].

ე) საზღვრულისაგან გათიშულ მსაზღვრელთან:

ფიქრის-ა-ს აგებს ყორესა (ვაჟა-ფშაველა);
სიყვარულის-ა-ს დაგიწნავ გვირგვინს.

პოეზიაში ასეთი ფორმით შეიძლება შეგვხვდეს უშუალოდ საზღვრულის წინ მდგომი მსაზღვრელიც, როცა ის ლოგიკური მახვილის ქვეშაა მოქცეული.

ქედანი დვრინავს, წმინდა თევდორეს
შესთხოვს ოქროს-ა-ს ბოლოს და ფრთასა.
(ვაჟა-ფშაველა).

ვ) ნანათესაობითარ მიცემითთან, რომელიც ზმნიზედადაა ქცეული:

მეზობლის-ა-ს, ამხანაგ-ის-ა-ს, განთიად-ის-ა-ს.

ზ) განმარტოებულ მსაზღვრელთან:

მზის სხივებმა გამათბეს, **მთვარ-ის-ა-მ** — ვერა.

თ) შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის ფუნქციით გამოყენებულ იმავე განმარტოებულ მსაზღვრელთან, როცა მას დაერთვის „არის" მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმა — ა:

ეს ბავშვი **მეზობლ-ის-ა-ა** (გაუჩინარებულია საზღვრული შვილი: მეზობლის შვილია). ეს ხმალი **გიორგის**-აა (საზღვრულად იგულისხმება საკუთრება — გიორგის საკუთრებაა).

ი) როცა „არის" მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმა ეკედლება არა შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს, არამედ წინადადების ნებისმიერ წევრს, რომელიც დგას მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით ან ვითარებით ბრუნვაში:

---

[34] ლ ე ო კ ვ ა ჭ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 27
[35] იქვე, გვ. 291.

ციხური **სახლს-ა-ა** მიშენებული. მზესუმზირა **მზისკენ-ა-ა** გადახრილი. ოჯახი **ბავშვებით-ა-ა** მდიდარი. სურათი **ლამაზად-ა-ა** დახატული.

კ) თანიანი მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვის ფორმებთან მყარ გამოთქმებში:

ბავშვ-**თ-ა** სამყარო, მოზარდ მაყურებელ-**თ-ა** თეატრი, სხდომა-**თ-ა** დარბაზი, ცნობა-**თ-ა** ბიურო, მუშა-**თ-ა** კლასი.

ჩვეულებრივ შემთხვევაში **თ**ანიანი მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა შეიძლება გაუვრცობელი სახითაც შეგვხვდეს. მაგ.:

ინდო-**თ** მეფე მხიარული ასმათს რასმე უბრძანებდა.
(შოთა რუსთაველი).

ამ ბოლო ხანებში შეინიშნება გარკვეული ტენდენცია: „გაიმიჯნოს **-თ(ა)**-ფორმატიანი ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვები: ნათესაობითში **-თა** იხმარება, მიცემითში — **-თ** . . . ჩამოყალიბდა გარკვეული კანონზომიერება. ეს კანონზომიერება ლამობს წიგნური გზით საყოველთაოდ გავრცელდეს და ლიტერატურულ ნორმად იქცეს ამჟამად“[36].

ლ) თანიანი მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან -თვის ან -გან თანდებულის დართვისას (თანამედროვე ქართულში **თ**ანიან ფორმებს სხვა შერწყმული თანდებულები აღარ დაერთვის):

კაცთ-ა-თვის, კაცთ-ა-გან; მამათ-ა-თვის, მამათ-ა-გან.

მ) და ან თუ კავშირის წინ მიცემით ან ნათესაობით ბრუნვაში წარმოდგენილ ორ სახელთან, რომელთაგან მეორე თანდებულიანია:

მთა-ს-ა და ბარ-ში; ტოტებ-ზე, ფოთლებ-ს-ა და ყვავილებ-ზე; ცის-ა და მიწის-ა-გან; დის-ა თუ ძმის-თვის.

---

[36] ბ ე ა ტ რ ი ს ა ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მრავლობითი რიცხვის -თ(ა)-სუფიქსიანი ფორმების გამოყენების შესახებ ახალ სალიტერატურო ქართულში, ქსკს, წიგნი I, თბ., 1972, გვ. 132.

2. მეორე შემთხვევა: ემფატიკური ა არ წარმოადგენს სიტყვის აუცილებელ ელემენტს, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში მისი გამოყენება მართებულია[37]. მაგ.:

ა) და ან თუ კავშირის წინ, როდესაც ისინი აერთებენ მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითის ან ვითარებითის უთანდებულო ფორმებს.

სწორია: დედას-ა და მამას, დედის-ა და მამის, დედით-ა და მამით, დედად-ა და მამად.

ასევე: მოსწავლეთა სასახლეში ბავშვები დადიან შემდეგ წრეებზე: ლიტერატურის, მათემატიკის, ჭადრაკის, მხატვრული კითხვისა და სხვ.

ძველ ქართულში ადამიანის საკუთარ სახელებს ემფატიკური ა არ დაერთოდა, ახალში კი დაერთვის:

სწორია: აკაკი-ს-ა და ილია-ს პოეზია, თინათინ-ის-ა და ნესტან-დარეჯან-ის მეგობრობა, ვამაყობთ აკაკი-თ-ა და ილია-თ-ი.

შენიშვნა: ძველ ქართულში დავით-ის-ა = დავით-ის-ა-დ, ე. ი. ა ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ფუნქციას ასრულებდა[38].

ბ) ნათესაობითში მდგომ სახელთან, რომელიც მოსდევს „გარდა“ თანდებულს და თანდებულის ფუნქციით გამოყენებულ სიტყვებს: ნაცვლად, მიუხედავად, თანახმად, მსგავსად, ნიშნად, წინააღმდეგ. მაგ.:

გარდა მამაჩემ-ის-ა, ნიშნად პატივისცემ-ის-ა, წინააღმდეგ ჩემი სურვილ-ის-ა, თანახმად კანონ-ის-ა, მიუხედავად სიცხ-ის-ა, მსგავსად ბულბულ-ის-ა.

გ) ნათესაობითში მდგომ სახელთან, რომელიც მოსდევს სიტყვებს: არაუადრეს, არაუგვიანეს, არაუმეტეს, არაუდიდეს.

---

[37] ნორმების ბიულეტენი № 1-2, გვ. 24.

[38] ბესარიონ ჯორბენაძე, მანანა კობაიძე, მარინე ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 15.

(ეს სიტყვები ახალი ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით შერწყმულად იწერება)[39]. მაგ.:

შესვედრას დაუნიშნავენ არაუგვიანეს ათი საათ-ის-ა და არაუადრეს – ცხრ-ის-ა.

დ) ნათესაობითში მდგომ სახელთან დედ-ის-ა ეშინია/ რცხვენია/ერიდება/ეხათრება... ტიპის შესიტყვებებში, რომელშიც, როგორც ვარაუდობენ, ჩავარდნილია საზღვრული და ხაზგასმული ფორმა ნანათესაობითარი სახელობითია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ბოლო ხანებში შეინიშნება ტენდენცია მსგავსი შესიტყვებების გაუვრცობელი ფორმით ხმარებისა. მაგ.: „ნანას ყოველთვის ეშინოდა **ზღვის**“ (ოტია იოსელიანი).

შენიშვნა: უკვეცელ სახელებს, გარდა **ი**-თი დაბოლოებულებისა, მსგავს შემთხვევაში დაერთვის ემფატიკური **ი**: შოთა-ს-**ი** მესმის/მერიდება (**ი**-თი დაბოლოებულებს – **ა**: ერიდება გიორგისა).

3. ემფატიკური ა-ს გამოყენება დასაშვებია:

ა) სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმებთან თვის, გან, კენ თანდებულების დართვისას:

ძმ-ის-ა-თვის // ძმ-ის-თვის, ძმ-ის-ა-გან // ძმ-ის-გან, ძმ-ის-ა-კენ // ძმ-ის-კენ, ეზო-ს-ა-კენ // ეზო-ს-კენ;

ბ) ნათესაობითი ბრუნვის -გან-თანდებულიან ფორმებთან -ც ნაწილაკის დართვისას:

ძმ-ის-ა-გან-ა-ც და ძმ-ის-ა-გან-ც (ნორმები, გვ. 103).

ამ ფორმებიდან გაბატონებულია პირველი (ძმისაგანაც)[40].

-ვე ნაწილაკის დართვისას მხოლოდ უანო ფორმაა შესაძლებელი: ძმ-ის-ა-გან-ვე.

---

[39] მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის (რედაქტორი – თამარ ვაშაკიძე). ობ., 2016.

[40] მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა, თანდებულთა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში, ქსკს, წიგნი XVI, გვ. 56.

გ) -ში-თანდებულიან სახელებთან -ც ნაწილაკის დართვისას:

მთა-შიც და მთა-ში-ა-ც; ბარ-ში-ც და ბარ-ში-ა-ც.

ამათგან უპირატესობა უნდა მიეცეს პირველს (ნორმები, გვ. 103).

დ) -თან-თანდებულიან სახელებს **ა** ხმოვანი არ დაერთვის: ამხანაგთან, დედასთან, წყაროსთან. **-ც** ნაწილაკის დართვისას **თან** სახეობის წინაშე უპირატესობა უნდა მიენიჭოს **თანა** სახეობას, **-ვე-**ს დართვისას – პირიქით:

ამხანაგ-**თან-ა-ც**; დედა-ს-**თან-ა-ც**, ამხანაგ-**თან-ვე**,
დედა-ს-**თან-ვე**.

4. სავრცობი ა ზედმეტია:

ა) პაუზის წინ (როგორც წინადადების შიგნით, ისე ბოლოს):

ეს ამბავი მაშინვე შევატყობინე ჩემს მშობლებსა (**უნდა იყოს**: მშობლებს).
ბავშვმა თავი მიაბრუნა დედისკენა (**სწორია**: დედისკენ) და ჩუმად რაღაც ანიშნა.
მოხუცს თავი მოსწონდა სახელოვანი ნათესავებითა (**სწორია**: ნათესავებით).
იმას ყველა მიიჩნევდა თავის მოძღვრადა (**სწორია**: მოძღვრად).

ბ) ზმნების წინ:

შვილივითა (**სწორია**: შვილივით) ზრდიდა, ცოცხალსა (**სწორია**: ცოცხალს) სჯობს, გარდა საყოველთაოდ გავრცელებული ისეთი გამოთქმებისა, როგორიცაა: **აქა ვარ, ვინა ხარ? სადა ხარ? როგორა ხარ? არა მყავს, არა მაქვს**[41].

გ) ხმოვანფუძიანი სახელების მხოლობითი რიცხვის მოთხრობითი ბრუნვის ფორმებთან:

დედამა, მამამა, ელენემა, ნინომა, ანიმა;

სწორია: დედამ, მამამ, ელენემ, ნინომ, ანიმ;

---

41 ნორმების ბიულეტენი № 1-2, გვ. 25.

ე) თანდებულების შემდეგ:

მცენარისათვის, ცისკენა, ლომივით, მთასავითა, სოფლიდანა, სალამოსდისა, ამხანაგისა გამო, ქვეყნისა მიმართ;

სწორია: მცენარისთვის, ცისკენ, ლომივით, მთასავით, სოფლიდან, სალამოსდის/მდე, ამხანაგის გამო, ქვეყნის მიმართ;

ვ) -ც ნაწილაკის შემდეგ:

ხალხმაცა, ტყესაცა, ცასაცა, ხეებსაცა;

სწორია: ხალხმაც, ტყესაც, ცასაც, ხეებსაც;

ვ) სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის წინ:

ქვეყანამაო, ძმასაო, მთასაო, ბადითაო;

სწორია: ქვეყანამო, ძმასო, მთასო, ბადითო.

მაგრამ თუ მართული (**ის**-ელემენტიანი) მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს, ემფატიკური **ა**-ს დართვა **ო** ნაწილაკის წინ აუცილებელია:

მითხრა: დაიხურა კარი ჩემი ბობოქარი **ცხოვრებისაო;**

თუმცა ქართულისათვის უფრო ბუნებრივია, თუ სხვათა სიტყვის ნაწილაკს დავურთავთ ზმნა-შემასმენელს, რომელიც წინადადებას დააბოლოებს (დაიხურაო).

ზ) თუ ერთგვარ წევრებს აერთებს „ან“ კავშირი:

დედისა **ან** მამის გამოძახება მოგვიწევს;

სწორია: დედის ან მამის გამოძახება მოგვიწევს.

შეადარეთ: დედისა **და** მამის გამოძახება მოგვიწევს.

თ) თუ შერწყმულ წინადადებაში წყვილად გამოყენებული კავშირები (არც-არც, ვერ-ვერც, ნურც-ნურც, ხან-ხან, თუნდ-თუნდ, გინდ-გინდ, ან-ან) გაძლიერებულია „და“ კავშირით:

უყურებდა ხან დედასა და ხან მამას.

უმჯობესია „და“ კავშირის გარეშე: უყურებდა **ხან დედას, ხან მამას.**

„დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის ჩვეულებრივი და ბუნებრივი სწორედ ისეთი წინადადებებია, რომლებშიც

ზმნაა წინადადებისა თუ მისი გარკვეული, ინტონაციურად გამოკვეთილი ნაწილის დამაბოლოებელი და, ამის გამო, იმ შემთხვევებშიც, როცა მავრცობი **ა** ბუნებრივად ექცევა პაუზასთან, მასზე მავრცობი **ა**-ს დართვა ამძიმებს და დიალექტურ ელფერს აძლევს ფრაზას“ (ნორმების ბიულეტენი № 1-2, გვ. 25).

5. სალიტერატურო ენის ეს წესები ყოველთვის არ არის დაცული სამწერლობო ენაში, განსაკუთრებით – პოეზიაში, რომელშიც **ა**-ს ხშირად იყენებენ მარცვალთა შესავსებად (ის ლექსის მუსიკალობასაც ემსახურება – მახვილიანია). მაგ.:

მადლობელი ვარ გულითა,
შოთაის სულის ლხენამა!
სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხოს ზენამა
(ვაჟა-ფშაველა).

ემფატიკური ხმოვნისაგან განსხვავდება პროსოდიული **-ა**, რომელსაც რაიმე გრამატიკული ფუნქცია არ გააჩნია და პოეზიაში გამოიყენება მარცვალთა შესავსებად. მაგ.:

მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა:
მთაში – მთა, ბარად – ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცას ვარსკვლავების ჯარია...
(ვაჟა-ფშაველა).

§ 11. ემფატიკური ი

6. ფუძეუკანაცელ სახელებს, გარდა **ი**-თი დაბოლოებულებისა, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის შემდეგ უჩნდება **ი** (მათ შორის **ც**-ნაწილაკიან ფორმებსაც):

წყარო-ს-ი, წყარო-თ-ი; წყარო-ს-ი-ც, წყარო-თ-ი-ც.

სამეცნიერო ლიტერატურაში **ი**-ს ფუნქციის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული. გრამატიკოსთა დიდი ნაწილი მას ემფატიკურ ხმოვნად მიიჩნევს შემდეგი ტიპის ფორმებში:

ეშინია ბუ-ს-**ი**, ერიდება/ეხათრება/რცხვენია/ესმის ელენე-ს-**ი**. სახლი პეტრე-ს-**ი**-ა, ბაღი ირწყვება წყარო-თ-**ი**.

მართული (**ის**-ელემენტიანი) მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული (ინვერსიული) წყობის დროს გაჩენილ **ი**-ს კი სახელობითი ბრუნვის ნიშნად მიიჩნევენ. მაგ.:

პოემა შოთა-ს-**ი**, წყალი წყარო-ს-**ი**, სიმწვანე მდელო-ს-**ი**, ნახტომი კენგურუ-ს-**ი**, დასმა ტირე-ს-**ი**.

დაიმახსოვრეთ:

ი, რომელსაც შეენაცვლება სხვა ბრუნვის ნიშნები, სახელობითი ბრუნვის ნიშანია:

წიგნ-ი ელენე-ს-**ი**, წიგნ-მა ელენე-ს-**მა**[42].

§ 12. მრავლობითი რიცხვის ფორმათა მართლწერა

ქართულში გრამატიკული რიცხვი შეიძლება იყოს **მხოლობითი** (ქალი, ხე) ან **მრავლობითი** (ქალები, ხეები, ქალნი, ქალთა). მრავლობითი რიცხვის ფორმა, თავის მხრივ, ორგვარია: **-ებ**-ბოლოსართიანი, ე. წ. **ებ-იანი** (I მრავლობითი) და **ნ-** და **თ**-ბოლოსართიანი, ე. წ. **ნართანიანი** (II მრავლობითი).

ნართანიანი მრავლობითი თანამედროვე ქართულში იშვიათად გამოიყენება, თუმცა ზოგ შემთხვევაში ის ერთადერთი ფორმაა ან უპირატესობით სარგებლობს. მაგ.: კომპოზიტორთა/მწერალთა/მხატვართა კავშირი, ცნობათა ბიურო, მოსწავლეთა სასახლე.

მრავლობითი რიცხვის ფორმების მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. მრავლობითი რიცხვის უქონელია არსებითი სახელები:

ა) საკუთარი: თამარი, ცოტნე, არაგვი, მარსი, „მნათობი“ (გარდა გვაროვნული საკუთარი სახელებისა);

ბ) აბსტრაქტული: სილამაზე, ბედნიერება, ძმობა, ხასიათი, სტუდენტობა (გამონაკლისი იხ. ქვემოთ);

გ) ნივთიერებათა: წყალი, ღვინო, ოქრო, სილა, ფქვილი, მარილი;

დ) მოქმედების: სიარული, ჩურჩული, ღუღუნი, ფრიალი;

---

[42] ბ ე ს ა რ ი ო ნ ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 206.

ე) კრებითი: ახალგაზრდობა, გენერლობა, სტუდენტობა (კონკრეტული სახელის მნიშვნელობით).

2. გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება ზემოჩამოთვლილ სახელებსაც ეწარმოოს მრავლობითი რიცხვის ფორმა:

> მინერალური წყლები, ქართული ღვინოები, ქიმიური მარილები (როცა ამ ნივთიერებათა სახესხვაობას ვგულისხმობთ), ჩვენი დროის ლუარსაბები, ჯაყოების მომრავლება (როცა ლიტერატურული ტიპის აღსანიშნავად ვიყენებთ).

აბსტრაქტული და მოქმედების სახელები პოეზიაში შეიძლება შეგვხვდეს **ნართ**ანიანი მრავლობითის ფორმით. მაგ.:

> ხელმან შენნი გავიცადენ **სინატიფე-სიტურფენი.**
> (შოთა რუსთაველი).

> ახლა მოდაშია **ჩურჩულები** (გოჩა ლორია).

აბსტრაქტულ სახელს მრავლობითის ფორმა ეწარმოება იმ შემთხვევაშიც, თუ ის მნიშვნელობას შეიცვლის და კონკრეტულ შინაარსს მიიღებს: სიმაღლე – სიმაღლეები, სიმაგრე – სიმაგრეები, სნეულება – სნეულებანი.

არასწორია: წნევები, შიშები, მუსიკები, შუქები, კენჭისყრები, პრაქტიკები[43].

3. ზოგი სიტყვა მხოლოდ მრავლობითში გამოიყენება, მათ შორის – მიკროსკოპული სხეულების სახელები:

> ანტიბიოტიკები, ბაკენბარდები, გლანდები, მიკრობები, ნახშირწყლები, სტაფილოკოკები, სტანსები, ტროპიკები.

4. მხოლოდ მრავლობითის ფორმა აქვს ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელსაც, მაგ.:

> ბაგები, კოშკები, მსხლები, რკონი, ქვები[44].

---

[43] შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002, გვ. 85.

[44] საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი.

ამავე ჯგუფში მოიაზრება გვარებისაგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები[45]. მაგ.:

დორეულები, სარიძეები, თაბაგრები, იარაჯულები, კაიშაურნი, ჩობალაურნი.

ამ პუნქტებში ალბათ მხოლოდ (ან უპირატესად) აღნიშნული გვარების მოსახლეობა ცხოვრობდა. ამგვარი წარმოშობის სახელები ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაც არის დადასტურებული. მაგ.:

ცაბაურთა, გოგოლაურთა, ბულალაურთა, მიგრიაულთა[46].

მრავლობითი რიცხვის ფორმით იხმარება უცხოური ტოპონიმები, რომლებიც რეალურ სიმრავლეს აღნიშნავენ:

ალპები, ანდები, აპენინები, კარპატები, ფილიპინები[47].

5. განსაკუთრებით ბევრია შინაარსობრივად ახლომდგომი ორ-ორი ფუძისაგან შედგენილი კომპოზიტი, რომლის მეორე ნაწილი მრავლობითი რიცხვის ფორმაა.

სწორია: გოგო-ბიჭები, თავად-აზნაურები, მუშა-მოსამსახურეები, მანქანა-იარაღები, ნაცნობ-მეგობრები, პროფესორ-მასწავლებლები, ჩინ-მედლები[48];

და არა: გოგო-ბიჭი, თავად-აზნაური, მუშა-მოსამსახურე, მანქანა-იარაღი, ნაცნობ-მეგობარი, პროფესორ-მასწავლებელი, ჩინ-მედალი;

6. ზოგიერთი არსებითი სახელი მხოლოდ მრავლობითის ფორმით გვხვდება, თუმცა არა აქვს მრავლობითის გამოხატვის ფუნქცია:

---

[45] ვახტანგ მაღრაძე, მრავლობითის ფორმის მქონე არაქართული გეოგრაფიული სახელების გადმოღებისათვის, ქსკს, წიგნი VIII, გვ. 346.

[46] აკაკი შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 196.

[47] ვახტანგ მაღრაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 343 და საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1989.

[48] მიხეილ ჭაბაშვილი, მრავლობით რიცხვში ხმარებული ზოგი არსებითი სახელის შესახებ, ქსკს, წიგნი I, 1972, გვ. 107.

არდადეგები, დედანი (მრავლობითში – დედნები), თავნი (ძირითადი თანხა); სასულიერო წიგნები: დავითნი, ლოცვანი, მარხვანი; ნასესხები სიტყვები: დებატები, კურსები (როცა მოკლევადიანი სასწავლებელი იგულისხმება), მემუარები, ფინანსები.

7. როცა **აღსანიშნი ერთია**, მრავლობითის ფორმით უმართებულოდ გამოიყენება რუსულის გზით შემოსული და ამ ენის ანალოგიით გაფორმებული ზოგი უცხოური სიტყვა.

სწორია: აპლოდისმენტი, ბრიჯი (შარვალი), გასტროლი, კურანტი, რეიტუზი, სათვალე, შორტი, ჯინსი, ჯუნგლი;

და არა: აპლოდისმენტები, ბრიჯები, გასტროლები, კურანტები, რეიტუზები, სათვალეები, შორტები, ჯინსები, ჯუნგლები (ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ სიტყვებს არა აქვთ მრავლობითის ფორმა)[49].

8. ქართულისათვის ბუნებრივია:

თვალი გაახილა, თმა დაივარცხნა, წვერი გაიპარსა, ფეხზე დადგა, ხელი დაიბანა (თუმცა ამ სიტყვების მრავლობითში გამოყენებაც დასაშვებია).

9. მიუღებელია მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად ორმაგი ნიშნის დართვა.

არასწორია: ძმა-ნ-ებ-ი, ბიძა-ნ-ებ-ი, კარ-ებ-ებ-ი, ტოლ-ებ-ნ-ი.

§ 13. თანდებულიან ფორმათა მართვა

თანდებული არის დამხმარე სიტყვა ან ბგერათა კომპლექსი, რომელიც დაერთვის სახელს, მართავს ბრუნვაში და მასთან ერთად აღნიშნავს საგნის მდებარეობას, დანიშნულებას, მსგავსებას, მოქმედების შემსრულებელს, წყაროს, მიზეზს, მიმართულებასა და სხვ. თანდებულს უკავშირდება როგორც ორთოგრაფიის, ისე წინადადებაში მისი სწორად გამოყენების საკითხი.

---

[49] მ ი ხ ე ი ლ ჭ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 118.

თანდებული ერთვის ხუთ ბრუნვას. ესენია: სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი. ერთმარცვლიანები (მარტივი) სახელთან ერთად იწერება, ორ- და მეტმარცვლიანები – ცალკე. ამჯერად შევეხებით ბრუნვის ფორმასთან შერწყმულ თანდებულიან სახელთა მართლწერას.

1. სახელობითი ბრუნვის თანდებულია **-ვით** (თანდებულად ქცეული ნაწილაკი). ის დაერთვის მხოლოდ თანხმოვანფუძიან სახელებს და აღნიშნავს მსგავსებას: **ლომი-ვით, დედა-შვილი-ვით.** -ვით-თანდებულიან სახელობითის ფორმასთან საერცობი **ა** ზედმეტია.

მცდარია: ბავშვი-ვით-ა, ამხანაგი-ვით-ა, ვაცი-ვით-ა.

ასეთ სახელებს ჩვენებითი ნაცვალსახელი სახელობითის ფორმით კი არ ეწყობა (რისი მაგალითებიც ამ ბოლო ხანებში უხვად მოიპოვება), არამედ მიცემითის ფორმით.

სწორია: ამ კაცივით, მაგ კაცივით, იმ კაცივით;

და არა: ეს კაცივით, ეგ კაცივით, ის კაცივით.

ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე **-ვით** თანდებულის დართვა (მაგ., კაცისავით) უხეში შეცდომაა.

2. მიცემითი ბრუნვის თანდებულებია: **-ვით, -თან, -ზე, -ში** (სახელთან შერწყმული), **შუა, შორის** (ცალკე მდგომი). ამასთან:

ა) -ვით დაერთვის როგორც თანხმოვანფუძიან (ქალ-ს-ა-ვით), ისე ხმოვანფუძიან (კლდე-ს-ა-ვით) სახელებს. ბრუნვის ფორმა ყოველთვის გავრცობილია ემფატიკური **ა** ხმოვნით: ამხანაგ-ს-ა-ვით, მდელო-ს-ა-ვით. თუკი ასეთ შემთხვევაში თანდებულიან სახელს **-ც** ნაწილაკი დაერთვის, მაშინ **ა** ხმოვანი განმეორდება (უნდა გამოვიყენოთ **-ც** ნაწილაკის წინაც): მთა-ს-ა-ვით-ა-ც, სახლ-ს-ა-ვით-ა-ც.

ნორმის მიხედვით უპირატესობა უნდა მიეცეს **-ვით** თანდებულის გამოყენებას მიცემით ბრუნვასთან, სახელობითთან კი დასაშვებად იქნეს მიჩნეული (ნორმები, გვ. 104). მაგრამ, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, უკვე ჩანს ფუნქციათა დიფერენციაციის სუსტი ჩანასახი[50]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ **-ვით**-თანდებულიანი სახელობითის ფორმას უფრო ხშირად

---

[50] თ ა მ ა ზ კ ვ ა ჭ ა ნ ტ ი რ ა ძ ე, მსგავსებითი შედარება ქართულში, თბ., 1978, გვ. 35-36.

იყენებენ იმ შემთხვევაში, თუ ქვემდებარე აქტიურია და უნდათ გამოხატონ ასეთი მსგავსება-შედარება: **შენ მექცევი შვილივით**, ე. ი. ისე, როგორც შვილი მომექცეოდა, **-ვით**-თანდებულიან მიცემითს კი ხმარობენ მაშინ, როცა სურთ აღნიშნონ: შენ მექცევი შვილსავით, ე. ი. ისე, როგორც შვილს ექცევიან.

> **შენიშვნა: -ვით** თანდებული პირის ნაცვალსახელებს დაერთვის მიცემითში. ასეთ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ შესაბამისი კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმები:
> ჩემ-ს-ა-ვით, შენ-ს-ა-ვით, თქვენ-ს-ა-ვით, მათ-ს-ა-ვით,
> **და არა**: ჩემ-ი-ვით, შენ-ი-ვით, ჩვენ-ი-ვით, თქვენ-ი-ვით.

ბ) -თან თანდებული გამოხატავს თანაობას, თანხლებას: ამხანაგთან, ხესთან, მოყვარესთან. თუ უსულო საგანს აღნიშნავს (ხესთან), **თან**-თანდებულიანი სახელი სინტაქსურად ადგილის გარემოებაა, თუ – სულიერს, – უბრალო დამატება.

თანხმოვანფუძიან სახელებში მიცემითი ბრუნვის ნიშანი დაკარგულია, ხმოვანფუძიანებში კი – შენარჩუნებული: კაც-ს-თან ⇒ კაც-თან, მაგრამ: ხე-ს-თან. აღმოსავლურ კილოებში -**ს** სუსტდება (დედა-**ჲ**თან) ან სულ იკარგება (დედა-თან).

-ც ნაწილაკის დართვისას გამოიყენება **-თან** თანდებულის ძველი სახეობა **-თანა** (ამხანაგ-თანა-ც). ნორმებით დაშვებულია -**თან**-იანი ფორმაც (ამხანაგ-თან-ც), თუმცა ის კარგა ხანია აღარ იხმარება და ნორმა ამ მხრივ გადასახედია).

-ვე ნაწილაკის დართვისას **-თანა** სახეობასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება **-თან** სახეობას: დედას-თან-ვე, შვილ-თან-ვე, თქვენ-თან-ვე, ჩემ-თან-ვე, მაგრამ: ამა-ს-თანა-ვე (რთული თანდებული **თანავე** დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას, გამოიყენება მხოლოდ საწყისთან და გამოხატავს რაიმე მოქმედების თანამდევრობას, თანადროულობას: გაღვიძებისთანავე, მოსვლისთანავე).

-თან თანდებულის შემდეგ ზედმეტია სავრცობი **ა** ხმოვანი.

მცდარია: მეზობელთანა, ხესთანა, წყაროსთანა, თქვენთანა.

ძველ ქართულში **თანა** დაერთოდა უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელების მიცემითის ფორმას: „შთავიდეთ ვენაჭად, რომელ არს **გზასა თანა** ოპიზისასა“ (გიორგი მერჩულე), სულიერის აღმნიშვნელთან – ნათესაობითი ბრუნვის ფორმას: „წმიდისა მის **კაცისა თანა** ვიყვენით“ (გიორგი მერჩულე).

ზოგჯერ **-თან** თანდებულს უმართებულოდ ენაცვლება **-ზე**. მაგ.,

მცდარი ფორმაა: ჯანმრთელობა დაკავშირებულია ფიზიკურ აქტივობაზე.

უნდა იყოს: ჯანმრთელობა **დაკავშირებულია** ფიზიკურ **აქტივობასთან** (მაგრამ: **დამოკიდებულია** ფიზიკურ **აქტივობაზე**).

გ) -ზე თანდებული სამი სახით გვხვდება: **ზედა** და მისი გამარტივებული ფორმები: **-ზედ** და **-ზე**. **-ზედა** ძველ ქართულში ცალკე მდგომი თანდებული იყო (სახლსა ზედა), თანამედროვე ქართულში კი ამ ფორმით აღარ გამოიყენება და აღდგება მხოლოდ **-ც** ნაწილაკის დართვისას: **მთა-ზედა-ც, სახლ-ზედა-ც**. ფართოდ არის გავრცელებული **ც**-ნაწილაკდართული **-ზე-** თანდებულიანი ფორმებიც: მთა-ზე-ც, სახლ-ზე-ც[51] და ნორმებით მის აკრძალვას უკვე ძალა აქვს დაკარგული (ავთანდილ არაბული).

პოეზიის ენაში ძველი **ზედა** სახეობა **დაშვებულია** სტილისტიკური საჭიროებისათვის (ნორმები, გვ. 103). მაგ.:

> არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
> არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..
>
> რაფიელ ერისთავი.

დ) -ზედ თანდებული თანამედროვე ქართულში აღარ გამოიყენება (**ცხენზედ, გორაზედ, ტანზედ** მოძველებული ფორმებია). ის იხმარება მხოლოდ **-ვე** ნაწილაკის დართვისას (მთაზედვე, სახლზედვე), თუმცა მის პარალელურად **ზე-**თანდებულიანი ფორმებიც გვხვდება (მთა-ზე-ვე, სახლ-ზე-ვე) და ნორმა, რომელიც ამ ფორმას კრძალავს, ამ შემთხვევაშიც გადასახედია[52].

ე) -ზე თანდებულის დართვისას მიცემითი ბრუნვის ნიშანი იკარგება:

> სახლ-ს-ზე ⇒ სახლ-ზე; წყარო-ს-ზე ⇒ წყარო-ზე, **მაგრამ**: მა-ს-ზე, ვი-ს-ზე, არავი-ს-ზე.

---

[51] ბესარიონ ჯორბენაძე და სხვ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 189.

[52] მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა, თანდებულთა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში, ქსკს, წ. XVI, გვ. 46.

საზღვრულის გაუჩინარებისას **-ზე** დაერთვის მართული (**ის**-ელემენტიანი) განმარტოებული მსაზღვრელის გავრცობილ ფორმას. მაგ.:

> ვის შვილზე საუბრობთ? – მეზობლისაზე (=მეზობლის შვილზე).

ვ) უმართებულოა **ზე**-თანდებულიანი მიცემითის გამოყენება შემდეგ შესიტყვებებში:

> ავტობუსზე ავიდა (თუ ზემოდან არ მოექცა ავტობუსს); მანქანა ქუჩაზე გააჩერა; ქორწილზე დაპატიჟა. ბაზარზე ყველნაირ პროდუქტს ყიდიან (ნორმების ბიულეტენი, № 3, გვ. 31-43).

უნდა იყოს: ავტობუსში ავიდა, მანქანა ქუჩაში გააჩერა (მაგრამ ტაბიძის ქუჩაზე); ქორწილში დაპატიჟა; ბაზარში ყველანაირ პროდუქტს ყიდიან[53].

-ზე თანდებულით **-ში**-ს ჩანაცვლება, რაც რუსული ენის გავლენითაა გამოწვეული, უარსაყოფია.

როგორც აღნიშნავენ, ხშირად ჭირს ან თითქმის შეუძლებელია შესიტყვებაში **-ზე** და **-ში** თანდებულების სივრცობრივი მიმართებების დადგენა.

დაიმახსოვრეთ:

- **-ზე** და **-ში** თანდებულთა ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია მოქმედების ადგილის ჩვენებაა. **-ზე** გამოხატავს ვინმეს ან რამის ზემოთ, ზედაპირზე მყოფობას, **-ში** კი – საგნის შინაგან სივრცეში მყოფობას.

ამას გარდა, **-ზე**-თანდებულიანი სახელი აღნიშნავს:

- **შედარება-შეპირისპირებას:**

ჩემზე უფრო დაბალია, **ყველაზე** დიდია;

- **ადგილს: ლექციაზე** იყო, **მდინარეზე** წავიდა;
- **დროს (დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან):** სამ საათზე, გაზაფხულზე, შემოდგომაზე;

---

[53] ვიოლა კალანდაძე, დარღვევები თანდებულთა გამოყენებისას თანამედროვე ქართული პრესის ენაში, ქსკს, წ. III, თბ., 1980, გვ. 172-175.

• **საუბრის (ფიქრის, ოცნების) ობიექტს:** ჩემზე ამბობენ, თავისუფლებაზე ოცნებობს.

ამის მიხედვით სწორია: დაფა**ზე** ჩამოწერა, კედელ**ზე** დახატა, ხე**ზე** ამოკვეთა, მაგიდა**ზე** დგას, კონვერტ**ზე** წერს (მაგრამ: კონვერტს აწერს), ყველა**ზე** ლამაზია, ზღვა**ზე** დაისვენა, კუნძულ ელბა**ზე** გადაასახლეს, ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენების სპეციალობა**ზე** სწავლობს, წყალ**ზე** გაწვა, წყალ**ზე** ტივტივებს (მაგრამ: წყალში ჩახტა/ჩაყვითა/ჩავარდა), ზის მოტოციკლ**ზე**/ ურემ**ზე**/ ცხენ**ზე**/ტახტ**ზე** (მაგრამ: მატარებელ**ში**/ ავტობუს**ში**/ ეტლ**ში**/საავარძელ**ში**); დგას აივან**ზე**/კიბის ბაქან**ზე** (მაგრამ: ლოჯიაში/ოთახში); გადაიფრინა ზღვა**ზე**/ ოკეანე**ზე** (მაგრამ: წავიდა ვენახში/ყანაში).

ქუჩის თემატური წრის სახელების ერთი ნაწილი ტრადიციულად **-ზე**-თანდებულიანია, ნაწილი კი — **-ში**-თანდებულიანი. **-ზე**-თანდებულიანია: მოედანი/პროსპექტი/გამზირი/ქვაფენილი/ბილიკი/სანაპირო/შარა. **-ში**-თანდებულიანია: შესახვევი/გასასვლელი (ქუჩის გასასვლელი)/ჩიხი/ორღობე/შუკა (ნორმების ბიულეტენი № 3, გვ. 32-33).

სწორია: გზაზე მიდიოდა, გზაზე ფეხი დაუცდა, გზაზე ეყარა, ასევე: ცხოვრების გზაზე, მოლიპულ გზაზე, სწორ გზაზე დააყენა, შუა გზაზე გაჩერდა (იქვე, გვ. 34); ბაზრობაზე იყიდა (მაგრამ: იყიდა ბაზარში); პანაშვიდზე/ დაკრძალვაზე იყო (მაგრამ: გასვენებაში); ძროხა მინდორზე გაიშალა (მაგრამ: ნახირი მინდორში გარეკა).

მცდარი სიტყვათშეხამებებია: მაგისტრატურაზე სწავლობს, თეატრალურზე ჩაირიცხა, ვილაზე იმყოფებოდა, ბინაზე მიუკითხებია, პლანტაციაზე მივიდა, ყოფილხართ თეძმის ხეობაზე?[54]

უნდა იყოს: მაგისტრატურა**ში** სწავლობს, თეატრალურ**ში** ჩაირიცხა, ვილა**ში** იმყოფებოდა, ბინა**ში** (ან შინ) მიუკითხებია, პლანტაცია**ში** მივიდა, ყოფილხართ თეძმის ხეობა**ში**?

ზოგი კუნძული ამავე დროს სახელმწიფოა (ან მისი დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული) და, თუ ეს უკანასკნელი

---

[54] ვახტანგ მაღრაძე, **-ზე** თუ **-ში** თანდებული, ქსკს, წიგნი XV, გვ. 50-55.

იგულისხმება, მაშინ გეოგრაფიულ სახელს **-ში** თანდებული უნდა დავურთოთ.

სწორია: დაისვენა კუნძულ ჰაიტიზე, მაგრამ: დასახლდა ჰაიტიში (სახელმწიფოში) (იხ. გეოგრაფიულ სახელთა მართლწერა, № 4 ე).

დროის სემანტიკის მქონე სახელების ერთი ნაწილი **-ზე**-თანდებულიანია (გაზაფხულზე, შემოდგომაზე), მეორე ნაწილი – **-ში**-თანდებულიანი (ზაფხულში, ზამთარში).

ზ) -ში თანდებული გამოხატავს[55]:

- **რისამე შიგნით მყოფობას**: სოფელ-ში (ცხოვრობს), სახლ-ში (ზის);
- **მიმართულებას გარედან შიგნითკენ**: ოთახში (შედის).
- **დროს, მოქმედების ხანგრძლივობას (დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან): თვეში** ეძლევა ასი ლარი; **წელიწადში** თითო წიგნს წერს.
- **იმას, რაშიც რაიმე საფასურს, გასამრჯელოს იძლევიან:** ამ **ქუდში** ასი ლარი მისცა.
- **რამდენიმე საგნიდან ერთ-ერთის ამორჩევას: ამხანაგებში** დავითი განსაკუთრებით უყვარს; **ორში** ერთია: ან ცდება, ან ტყუის[56].

ამის მიხედვით სწორია: დაიბადა აპრილში: ჩამოვა საფხულში: ბოლო ხანებში აღარ ჩანს; 41-ში ომი დაიწყო; 1991-ში საქართველომ ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა; მთაში დაისვენა.

ასევე სწორია: მიზანში იღებს, ოთხში იღებს, პენსიაში გადის, წესრიგში მოჰყავს.

მცდარია: დააჯილდოვეს 2007 წელში (უნდა იყოს: 2007 წელს); გასულ წელში უხვი მოსავალი მოიწიეს (უნდა იყოს: გასულ წელს); მან სკოლა დაამთავრა 1990/91 ს/წელში (უნდა იყოს: ს/წელს); ხალხმა თავი შეაფარა სამების ტაძარში (უნდა იყოს: სამების ტაძარს).

---

[55] ბ ე ს ა რ ი ო ნ ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე და სხვ. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 434-435.

[56] იქვე. გვ. 435

-ში-თანდებულიან სახელს ითხოვს შესიტყვება **მონაწილეობას იღებს**:

> მონაწილეობას იღებს გამოფენებში, კონკურსებში, კარნავალში, კამათში, ყრილობის მუშაობაში, საერთაშორისო ტურნირში[57].

ძველ ქართულში **-ში** თანდებულის ფუნქციით გამოიყენებოდა **შინა** (სახლსა შინა), **შიგან** („კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების“ – შოთა რუსთაველი).

-ში თანდებულის დართვისას იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანი **ს**: სახლ-**ს**-ში ⇒ სახლში, მაგრამ: მას-ში, ვი-ს-ში, არავი-ს-ში.

თ) ნორმების მიხედვით, თუ **-ში**-თანდებულიან სიტყვას **-ც** ნაწილაკი დაერთვის, შეიძლება იხმარებოდეს **-შია** სახეობაც: (სახლ-**შიაც**, მთა-**შიაც**), თუმცა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ასეთი ფორმები თითქმის აღარ გვხვდება.

ი) საზღვრულის გაუჩინარებისას **-ში** დაერთვის მართული (**ის**-ელემენტიანი) განმარტოებული მსაზღვრელის გავრცობილ ფორმას. მაგ.: ვის სახლში რჩები? – მეგობრის-**ა**-ში (= მეგობრის სახლში).

კ) -ზე და **-ში** თანდებულების წინ სახელს ეკარგება მხოლოდ ბრუნვის ნიშანი, და არა ფუძისეული **ს,** ამიტომ:

სწორია: თბილისზე, კრწანისზე; მანგლისში, ქუთაისში;

და არა: თბილიზე, კრწანიზე; მანგლიში, ქუთაიში.

ლ) თუ თანხმოვანფუძიანი სახელი ბოლოვდება იმავე თანხმოვნით, რომლითაც თანდებული იწყება, ბუნებრივია, ერთად თავს მოიყრის ორი ერთნაირი ბგერა.

სწორია: ასპარეზზე, იალბუზზე, კოვზზე; თამაშში, ჯიხაიშში; გაზეთთან, მესხეთთან, საათთან, ქაშუეთთან.

მ) თუ მიცემითი ბრუნვის **რომელიმე თანდებული** დაერთვის ერთგვარ წევრებს, მაშინ **და** კავშირის წინ მდგომი სახელი უთანდებულოდ, ოღონდ გავრცობილი ფორმით უნდა დაიწეროს. მაგ.:

---

[57] ქსკს, წიგნი VII, გვ. 244-247.

მთასა და ბარში თოვლი იდო [და არა: მთა'ში და ბარ'ში ან მთა და ბარ'ში]; ვისაუბრეთ ილიაზე, ვაჟასა და გალაკტიონზე (**მაგრამ**: ვისაუბრეთ ილიაზე, ვაჟაზე, გალაკტიონზე); მეძნელებოდა შეხვედრა დედასა და მამასთან; მეგობრებსა და ტოლ-ამხანაგებსაეით ვერავინ გაგამხიარულებს (**მაგრამ**: მეგობრებივით და ტოლ-ამხანაგებივით ვერავინ გაგამხიარულებს).

ნ) თუ თანდებულიან ერთგვარ წევრებს **ც(ა)** ნაწილაკი დაემატება, ასეთ შემთხვევაში **და**-ს წინ მდგომ სახელსაც შეუნარჩუნდება თანდებული:

ილია ზრუნავდა მამულზედაც, ენაზედაც და სარწმუნოებაზედაც.

ო) თუ **და**-თი შეერთებულ ერთგვარ წევრებს დაერთვის სხვადასხვა თანდებული ან მომდევნო წევრი უთანდებულოა, წინამავალს თანდებული შეუნარჩუნდება:

მეწვიე ზაფხულში და შემოდგომაზე; ყანაში და მის გარშემო უცხო ყვავილებს მოეყარათ თავი.

იგივე წესი მოქმედებს უკავშირო ან სხვა კავშირით შეერთებისას. მაგ.:

საგუშაგოზე მდგარი ფარნა ფიქრობდა სატრფოზე, დედაზე, მეგრულ ფაცხაზე; პასუხს ველი მოუთმენლად ან მაისში, ან ივლისში; დრო კი გადის ნელა-ნელა ხან ტირილში, ხან სიცილში.

3. ნათესაობითი ბრუნვის თანდებულებია: **-თვის, -კენ, -გან, -ებრ, -თანავე, -და, -ადმი (-დმი) (ბრუნვასთან შერწყმული), გამო, მიერ, მიმართ, გარდა, შესახებ (ცალკე მდგომი)**. ამ უკანასკნელთა შესახებ იხ. გვ. 516, ცალკე მდგომი თანდებულები.

ა) -თვის თანდებულის კუთხური სახეობები (**-თვინ, -თვინა, -თვის**) ხშირად გვხვდება მე-19 საუკუნის კლასიკოსთა ენაში. ამჟამად გაბატონებულია მხოლოდ **-თვის** სახეობა. დასაშვებია ბრუნვის ორივე ფორმა – გავრცობილიც და გაუვრცობელიც: სამშობლოსათვის // სამშობლოსთვის, მოყვრისათვის // მოყვრისთვის, წარმატებისათვის // წარმატებისთვის.

ბ) -თვის თანდებული გამოხატავს დანიშნულებას, მიზანს, განკუთვნებას. დროის გამომხატველი სახელები **-თვის** თანდებულის დართვისას აღნიშნავენ დროის გარკვეულ მონაკვეთთან მიახლოებას: **ზამთრისათვის** ვაპირებთ ქალაქში წასვლას[58].

სამეცნიერო ლიტერატურის ენაში **-თვის** თანდებულს განუვითარდა მიახლოებითობის მნიშვნელობა. მაგ., „ქცევის საკითხისათვის“ = ნაშრომი, რომელსაც არა აქვს პრეტენზია მთელი სისრულით ამოწუროს საკითხი[59].

უმართებულოდაა გამოყენებული **-თვის**-თანდებულიანი ფორმები შემდეგ წინადადებებში:

> ყველა გამომსვლელისათვის სიტყვას ის წერდა; დასაჯეს დარღვევევისათვის; დაბრუნდა იმისთვის, რომ ოჯახის მონატრებას ვეღარ გაუძლო.

უნდა იყოს: ყველა **გამომსვლელის** სიტყვას ის წერდა; დასაჯეს **დარღვევების** გამო; დაბრუნდა იმიტომ, რომ ოჯახის მონატრებას ვეღარ გაუძლო.

გ) ზოგჯერ **თვის**-თანდებულიანი ფორმის ნაცვლად, რომელიც მიზანს გამოხატავს, გამოყენებულია მიზეზის ზმნიზედა **იმიტომ**:

> ეს კანონი უნდა მივიღოთ იმიტომ, რომ თავიდან ავიცილოთ მთის სოფლების დაცარიელება. თავად დაჭრილი, უკან იმიტომ დაბრუნდა, რომ დაცხრილული მეგობარი ბრძოლის ველიდან გამოეყვანა.

უნდა იყოს: ეს კანონი უნდა მივიღოთ **იმისთვის,** რომ ... თავად დაჭრილი, უკან **იმისთვის** დაბრუნდა, რომ ...

უმართებულოა **-თვის**-თანდებულიანი სახელის გამოყენება ვნებითი გვარის (საობიექტო) მომავალი დროის მიმღეობის ნაცვლად, რომელსაც ზმნიზედის მნიშვნელობა აქვს. მაგ.:

> ემზადებოდა გამოცდების ჩაბარებისათვის; იბრძოდა სამშობლოს გათავისუფლებისათვის. ყველაფერს აკეთებდა პირობის შესრულებისთვის.

---

[58] ბ ე ს ა რ ი ო ნ ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 192-193.

[59] იქვე, გვ. 193.

უნდა იყოს: ემსახებოდა გამოცდების **ჩასაბარებლად;** იბრძოდა სამშობლოს **გასათავისუფლებლად**; ყველაფერს აკეთებდა პირობის **შესასრულებლად**.

თუ ზმნას საერთოდ არა აქვს მომავალი დროის მიმღეობის ფორმა (ან სალიტერატურო ქართულში ნაკლებადაა გავრცელებული), ასეთ შემთხვევაში დასაშვებია **-თვის**-თანდებულიანი საწყისის გამოყენება მიზნის გარემოების გადმოსაცემად[60]. მაგ.:

იგი იბრძვის მართვის ყველა რგოლის **სრულყოფისათვის. თანამშრომლობისათვის** ყველა მზად იყო.

-თვის-თანდებულიანი საწყისი გვექნება მიზნის გარემოების გადმოსაცემად მაშინაც, როცა მას (საწყისს) წინადადებაში მსაზღვრელად ზედსართავი სახელი (ატრიბუტული განსაზღვრება) ან ვითარებით ბრუნვაში დასმული ვითარების გარემოება ახლავს. მაგ.:

გარკვეული მუშაობაა ჩატარებული ახალგაზრდობის **იდეური მომზადებისათვის**. ძალასა და ენერგიას არ იშურებენ მოსავლის **დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის**[61].

დ) **-კენ**-თანდებულიანი ნათესაობითი აღნიშნავს მიმართულებას: მზესუმზირა მუდამ იყურება **მზისკენ**. ჯარისკაცი დაეშვა **სოფლისკენ**. ის შეიძლება შეგვხვდეს გავრცობილი (კედლის-აკენ) და გაუვრცობელი (კედლის-კენ) ფორმით.

-კენ დაერთვის როგორც კონკრეტულ, ისე აბსტრაქტულ სახელებს (გასწია ქალაქისაკენ, ისწრაფის ჭეშმარიტებისკენ). საწყისები – სწრაფვა, ლტოლვა, მიდრეკილება – ქმნიან **-კენ** და **-ადმი**-თანდებულიან სინონიმურ სიტყვათშეხამებებს: სწრაფვა გამარჯვებისაკენ და სწრაფვა გამარჯვებისადმი, მისწრაფება მშვენიერებისაკენ და მისწრაფება მშვენიერებისადმი. პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად ენაში შეინიშნება სინონიმურ სიტყვათშეხამებათა შინაარსობრივი დიფერენციაციის ცდა. კერძოდ: თუ ხაზგასმულია მოქმედების გარკვეული მიმართულებით გავრცე-

---

[60] ვიოლა კალანდაძე, დარღვევები თანდებულთა გამოყენებისას თანამედროვე ქართული პრესის ენაში, ქსკს, წ. III, გვ. 209.

[61] იქვე, გვ. 210.

ლება, გამოიყენოს **-კენ** თანდებული (სწრაფვა გამარჯვებისაკენ), ხოლო, თუ აქცენტირებულია მოქმედების გარკვეული დანიშნულებით მიმართულება, – **-ადმი** თანდებული, როგორც მიმართულების გამოხატვის თვალსაზრისით უფრო ნეიტრალური (სწრაფვა გამარჯვებისადმი)[62].

უმართებულოა ფორმები, რომლებშიც **-კენ** თანდებულია გამოყენებული:

> დილისკენ ყველა დაქანცული იყო. მატჩის ბოლოსკენ გუნდმა თამაშს უმატა. 12 საათისკენ სპექტაკლი დამთავრდა. გადაცემა ბოლოსკენ მიდიოდა.

ყველა დასახელებული მაგალითი რუსულის კალკია (ვახტანგ მაღრაძე, **-კენ** თანდებულის უმართებულო გამოყენების შესახებ, ქსკს, წიგნი XV, გვ. 41).

> **უნდა იყოს**: დილისთვის (ან დილას) ყველა დაქანცული იყო. მატჩის ბოლოს გუნდმა თამაშს უმატა. 12 საათისთვის სპექტაკლი დამთავრდა. გადაცემა დასასრულს უახლოვდებოდა (იქვე, გვ. 40).

ე) **-გან**-თანდებულიანი ნათესაობითი აღნიშნავს:

- **მოქმედების შემსრულებელს**: მწევრისგან მოღლილი კურდღელი ბუჩქის უკან გაინაბა;
- **წყაროს, ვისგანაც ან რისგანაც მომდინარეობს მოქმედება**: ბავშვი დაისაჯა მშობლებისაგან (უმჯობესია: მშობლების მიერ);
- **მასალას, რომლისგანაც რაღაც კეთდება**: მწყემსმა ლერწმისაგან სალამური გააკეთა;
- **ვინმესგან ან რაიმესგან დაშორებას, დაცილებას, თავის დაღწევას, გათავისუფლებას**: წასვლა მეუღლისაგან (**მაგრამ**: ოჯახიდან), თავის დაღწევა პასუხისმგებლობისაგან, ხსნა გაჭირვებისაგან, გათავისუფლება გამგის მოვალეობისაგან (**მაგრამ**: მოხსნა, გათავისუფლება სამსახურიდან), გათავისუფლება მჩაგვრელებისაგან, ჩაგვრისაგან, დამოკიდებულებისაგან (**მაგრამ**: გათავისუფლება პატიმრობიდან, ჯარიდან). ეს სახელები მიუგებენ კითხვებზე: ვისგან? რისგან? და წინადადებაში ასრულებენ უბრალო დამატების ფუნქციას.

---

[62] ვ ი ო ლ ა კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, კენ-თანდებულიანი შესიტყვებები და მათი ფუნქციურ-სემანტიკური ეკვივალენტები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. ქსკს, წიგნი VIII, გვ. 240.

• **მოქმედების მიზეზს**: მაიმუნი ჟაკო **სიხარულისგან** ხტოდა (შეიძლება სიტყვა **სიხარულისაგან** შეიცვალოს **გამო**-თანდებულიანი ფორმით: სიხარულის გამო).

-გან-თანდებულიანი ნათესაობითის ფორმები უმართებულოდაა გამოყენებული შემდეგ შესიტყვებებში:

> ჩიტისგან მოტანილი ამბავი, ქარხნისგან გამოშვებული მანქანა-იარაღები, ადამიანის გონებისაგან შექმნილი, გააკეთე შენგან დამოკიდებული;

უნდა იყოს: ჩიტის მოტანილი, ქარხნის გამოშვებული, გონებით შექმნილი, შენზე დამოკიდებული.

ვ) -თვის, -კენ, -გან თანდებულები დაერთვის ბრუნვის ორიეე ფორმას: გავრცობილსაც და გაუვრცობელსაც: ძმისათვის // ძმისთვის, სახლისაკენ // სახლისკენ, ამხანაგისაგან // ამხანაგისგან.

-თვის და **-გან** დაერთვის თანიანი მრავლობითის მხოლოდ გავრცობილ ფორმას: კაც-თა-გან, კაც-თა-თვის (სხვა შერწყმული თანდებულები მეორე მრავლობითს არ დაერთვის).

-გან-თანდებულიან სახელებზე **-ც** ნაწილაკის დართვისას დასაშვებია ნათესაობითი ბრუნვის როგორც გავრცობილი (**ძმისგან-ა-ც**), ისე გაუვრცობელი (**ძმისგან-ც**) ფორმა, თუმცა ეს უკანასკნელი აღარ გამოიყენება.

-ვე ნაწილაკის დართვისას კანონიერია მხოლოდ გაუვრცობელი ფორმა: **ძმის-გან-ვე** (ან **ძმის-ა-გან-ვე**) (ნორმები, გვ. 103).

ზ) რთული თანდებული **-ადმი** აღნიშნავს განკუთვნებას, მიმართებას:

> უსაზღვროა მისი სიყვარული სამშობლოსადმი. **მოყვასისადმი** თანაგრძნობის გამოხატვა ადამიანის უპირველესი მოვალეობაა.

კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმებთან ამავე ფუნქციით გამოიყენება **-დამი**:

> **შენდამი** სიყვარული გულწრფელია. ნეტავ რას გრძნობს **ჩემდამი**?

უთანდებულო ფორმებს ანიჭებენ უპირატესობას ასეთ წინადადებებში:

> **სამშობლოს** სიყვარული ყველას მოვალეობაა. **ხალხის** სამსახური მისი მოწოდებაა. „შენგან **ჩემი** სიყვარული ამით უფრო გაამყარე“ (შოთა რუსთაველი).

ასევე სწორია შესიტყვებები:

> მტრის სიძულვილი [და არა მტრისადმი], კანონის [და არა კანონისადმი] პატივისცემა, ჯარის [და არა ჯარისადმი] ხელმძღვანელობა, ხალხის [და არა ხალხისადმი] სამსახური, საკუთარი თავის [და არა თავისადმი] რწმენა[63].

თ) თუ ნათესაობითში დასმულ ერთგვაროვან წევრებს ერთი და იგივე თანდებული დაერთვის, **და**-ს წინ მდგომი სახელი უთანდებულოდ, გავრცობილი ფორმით დაიწერება:

> მამულისა და რჯულისათვის იბრძოდა. გაოცებისა და დაბნეულობისაგან პირი დააღო. იმისი ერთგულება ახლობლებისა და ოჯახისადმი საარაკოა.

4. მოქმედებითი ბრუნვის თანდებულებია **-გან** და **-ურთ**.

ა) **-გან**-თანდებულიანი მოქმედებითი აღნიშნავს მოქმედების დაწყების ადგილს (სოფლი**დან** წამოვიდა) ან დროს (იმ საღამო**დან** აღარავის უნახავს) და მიუგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან? (ძველად იხმარებოდა უთანდებულო ფორმა: „მოვიდეს **ქართლით**“ – გიორგი მერჩულე).

-იდან და **-დან** მიღებულია მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისა და **-გან** თანდებულის შერწყმის შედეგად: სახლ-ით-გან ⇒ სახლ-იდ-გან ⇒ სახლ-იდ-ან; მთ-ით-გან ⇒ მთ-იდ-გან ⇒ მთ-იდ-ან (თანხმოვანფუძიანებსა და ხმოვანფუძიან კვეცადებში), წყარო-თ-გან წყარო-დ-გან ⇒ წყარო-დ-ან (ხმოვანფუძიან უკვეცელებში).

-გან თანდებული დაერთვის როგორც ნათესაობითი, ისე მოქმედებითი ბრუნვის ფორმებს, რის გამოც ხშირად ხდება მათი აღრევა. სადავო საკითხები წარმოიშობა მაშინ, როცა **გან**-თანდებულიანი (**-იდან-** ან **-დან**-დაბოლოებიანი) მოქმედებითი გადმოსცემს

---

[63] ვ ი ო ლ ა კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, ქსკს, წიგნი III, გვ. 236-237.

სიმრავლიდან გამოყოფას. ასეთ დროს ჯერ კიდევ იყენებენ **-გან**-თანდებულიანი ნათესაობითის ფორმას, რაც ენამ კარგა ხანია უარყო, როგორც სტილისტურად მოძველებული. აშკარად ნაძალადევია ნათესაობითის გამოყენება შემდეგ წინადადებაში: ხუთი მოსწავლისაგან ოთხი უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სიმრავლიდან გამოყოფის, გამორჩევის სემანტიკა გადმოიცემა **-გან**-თანდებულიანი (**-იდან, -დან**-დაბოლოებიანი) მოქმედებითის ფორმით, თუმცა ეს ცვლილება ნორმებში ჯერ არ არის გათვალისწინებული[64]. მაგ.:

> ამ **ჯგუფიდან** განსაკუთრებით გამოირჩევა ერთი გოგონა. წლევანდელი **კურსდამთავრებულებიდან** ბევრმა გვასახელა. **მოჭიდავეებიდან** თითქმის ყველამ მედალი ჩამოიტანა. 5 **კანდიდატიდან** ერთი ადრეც იყო დასახელებული.

როგორც აღნიშნავენ, **-გან**-თანდებულიანი მოქმედებითის ეკვივალენტია მეგრულის დაშორებითი ბრუნვის ფორმა[65].

მეორე მრავლობითში სიმრავლიდან გამოყოფის შინაარსის გადმოსაცემად გვაქვს მხოლოდ ნათესაობითის ფორმა: **ამ გოგონათაგან** ერთი დამამახსოვრდა. მისი პარალელური **-ებ**-იანი მრავლობითის ფორმაა: **ამ გოგონებიდან** ერთი დამამახსოვრდა.

> **შეადარეთ**: თავსაფრიანი დედაკაცი გარდაიცვალა უპატრონოდ, შვილთაგან (შვილებისაგან) დაუტირებელი.

I და II პირის ნაცვალსახელები კონტექსტის მიხედვით გამოყენებულია როგორც ნათესაობითი (**შენ-გან ამას არ მოველოდი**), ასევე მოქმედებითი (**შენ-გან წამოვიდა**) ბრუნვის ფუნქციით. ასევე: ჩემ-გან, ჩვენ-გან, თქვენ-გან.

იგივე ფორმები იხმარება სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის გადმოსაცემად. მაგ.:

> ჩვენგან ამაზე არავინ დათანხმდება.
> თქვენგან ერთ-ერთი უნდა წამოვიდეს.

---

[64] ვიოლა კალანდაძე, სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის მქონე **-გან**-თანდებულიანი კონსტრუქციები თანამედროვე ქართულში, ქსკს, წიგნი XI, გვ. 154-155.

[65] ამირან ლომთაძე, დაშორებითი ბრუნვის შესახებ მეგრულში, მაცნე, № 4, 1973, გვ. 120.

ამავე ფუნქციით III პირის ნაცვალსახელებთან (ამათგან) ერთად გამოიყენება ზმნიზედა **აქედან**, რომელიც ამ შემთხვევაში დაცლილია სივრცული მნიშვნელობისაგან[66]. მაგ.:

> ჩვენს სკოლაში სამი უცხოელი მასწავლებელი მოავლინეს. აქედან ერთს განსაკუთრებით დავუახლოვდით.

უმართებულოა **-გან**-თანდებულიანი (**-იდან**-დაბოლოებიანი) მოქმედებითის გამოყენება შემდეგ წინადადებებში:

> ისინი ცდილობდნენ ქუჩიდან (უნდა იყოს: ქუჩისათვის) გამოეგლიჯათ ეს უიღბლო არსება. ქვევრი განსაკუთრებული თიხიდან (უნდა იყოს: თიხისგან) მზადდება. დავალებას მუდამ ამხანაგიდან (უნდა იყოს: ამხანაგისგან) იწერდა. ეს ამბავი დედიდან (უნდა იყოს: დედისგან) ვიცოდი.

ბ) -იდან/-დან-დაბოლოებიანი მოქმედებითი, სხვა თანდებულიანი ფორმებისაგან განსხვავებით, თანდებულს ინარჩუნებს **და** კავშირის წინაც. ამის მიზეზი ისაა, რომ მოქმედებითში **-გან** თანდებული და ბრუნვის ნიშანი ფონეტიკური სახეცვლილების შედეგად შერწყმულია და ჭირს ბრუნვის ნიშნის გამოყოფა.

> **სწორია**: **ინდოეთიდან** და **აფრიკიდან** სტუმრები ჩამოუყვანიათ. **მაისიდან** და **აგვისტოდან** საქონლის ახალ კოლექციას ელიან. **სკოლებიდან** და უმაღლესი სასწავლებლებიდან მოცეკვავეები შეარჩიეს.
> **შეადარეთ**: მეგობრებითა და უცხოელი სტუმრებითურთ ჩარგალში აეედით.

გ) თანაობას აღნიშნავს მოქმედებითი ბრუნვის თანდებული **-ურთ**, რომელიც თანამედროვე ქართულში იშვიათად იხმარება. **-ურთ**-თანდებულიანი მოქმედებითის ფორმას (**ცოლ-შვილითურთ** ჩამოვიდა) ხშირად ცვლის **-იან**-ბოლოსართიანი ვითარებითი (**ცოლშვილიანად** ჩამოვიდა).

5. ვითარებითი ბრუნვის თანდებულებია **-მდე** და **-მდის** (სახლამდე // სახლამდის). გრამატიკულად ორივე ვარიანტი სწორია, თუმცა **-მდე** უფრო გავრცელებული სახეობაა.

---

[66] ვიოლა კალანდაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 152.

-მდის გამოყენებულია ზოგიერთ გაქვავებულ გამოთქმაში, როგორიცაა გამოთხოვების ფორმები: ნახვამდის, ხვალამდის.

-მდე (**-მდის**) ვითარებითი ბრუნვის ფორმაზე დართვისას იწვევს ფონეტიკურ ცვლილებას: ქალაქ-ა~~ს~~-მდე ⇒ ქალაქ-ამდე; დილა-~~ს~~-მდე ⇒ დილა-მდე.

-მდი, -მდინ, -მდისინ კუთხური ფორმებია;

-ამდე/მდე- ან **-ამდის/-მდის**-დაბოლოებიანი ვითარებითი თანდებულს ინარჩუნებს **და** კავშირის წინაც.

სწორია: სვანეთამდე და ხევსურეთამდე შეუღლმფრენი მგზავრობენ.

§ 14. ნაწილაკიან არსებით სახელთა მართლწერა

სახელის თანდებულიან ან უთანდებულო ფორმებს შეიძლება დაერთოს ნაწილაკები: **-ც(ა), -ღა, -ვე, -მც(მცა), -ა, -თქო, მეთქი** და სხვ. (უმეტესობა ზმნიზედასაც დაერთვის). ნაწილაკიანია პირველი ექვსი ბრუნვა, წოდებითთან კი გვხვდება მხოლოდ სიტყვასიტყვითი ნაწილაკები (**-ო, -თქო, -მეთქი**) და ე. წ. პროსოდიული ხმოვნები (**-ა, -ო**).

დასახელებული ნაწილაკები (**-თქო**-სა და **-მეთქი**-ს გარდა) სახელთან შერწყმულად იწერება (იხ. ნაწილაკის მართლწერა). მაგ.:

დედაც, შვილმაღა, სახლშივე, წყალსამც.

ნაწილაკიან არსებით სახელთა მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. **-თქო** და **-მეთქი** სიტყვისაგან დეფისით გამოიყოფა:

ნახევარი ობლებისაა-**მეთქი**;
ძალიან შემოგეხვეწა დედა-**თქო**.

2. **-ც(ა)** ნაწილაკი იხმარება სიტყვის მნიშვნელობის გასაძლიერებლად, სიტყვაზე ყურადღების გასამახვილებლად.

ყველამ გიორგის შეხედა და მეფეც ბრძანების გასაცემად მოემზადა.

ამასთან:

ა) მან შეიძლება გამოხატოს დამატებითობაც (**აგრეთვე**-ს მნიშვნელობა):

ნინოც მოვიდა; მეზობლებსაც დავპატიჟებთ.

-ც ნაწილაკის წინ აუცილებლად უნდა იყოს ხმოვანი, ამიტომ აღდგება ხოლმე ემფატიკური ელემენტი ან მორფემის ძველი ფორმა, რომელსაც ხმოვანი ჰქონდა ბოლოში.

მამულიც, მამულმაც, მამულსაც, მამულისაც, მამულითაც, მამულადაც.

ხმოვანფუძიან სახელებსაც მოთხრობით ბრუნვაში მოუდით არა **მ**, არამედ **მა**:

მთა-მა-ც, წყარო-მა-ც, რუ-მა-ც, ტაქსი-მა-ც.

ბოლოუკანასკნელ სახელებში, გარდა **ი**-თი დაბოლოებულისა, ნათესაობითსა და მოქმედებითში ჩნდება ემფატიკური **ი**, ვითარებითში – **ა** (მათ შორის **ი**-თი დაბოლოებულებშიც):

წყარო-ც, წყარომა-ც, წყაროს(ა)-ც, წყაროს(ი)-ც, წყაროთ(ი)-ც, წყაროდ(ა)-ც.

მაგრამ: პონი-ც, პონიმა-ც, პონის-ა-ც (მიცემითსა და ნათესაობითში), პონი-თ-ა-ც, პონი-დ-ა-ც (თუმცა ზეპირმეტყველებაში ეს უკანასკნელი ფორმა არ გვხვდება).

ბ) **-ც** ნაწილაკის დართვისას მიცემით ბრუნვაში აღდგება **-ზე** და **-თან** თანდებულის ძველი სახეობები: **-ზედა, -თანა**:

თერგ-ზედა-ც, ამხანაგ-თანა-ც.

პარალელურად იხმარება **ზე**-თანდებულიანი ფორმებიც (თერგ-ზე-ც, მყინვარ-ზე-ც, მდელო-ზე-ც, რუ-ზე-ც), თუმცა ეს ფაქტი ნორმებში ჯერ ასახული არ არის. მოძველებულია ნორმებით დაშვებული ფორმები: ძმის-გან-ც და მთა-ში-აც. მართებულია: ძმის-გან-ა-ც და მთა-ში-ც.

გ) **-ც** ნაწილაკმა შეიძლება შეასრულოს მაჯგუფებელი კავშირის ფუნქცია შერწყმულ წინადადებაში:

დაეიპყარით უშბაც, შხარაც.

თუ **და**-თი გაერთიანებული ერთგვაროვანი წევრები გაძლიერე-ბით უნდა წამოითქვას, **ც** დაერთვის ყოველ მათგანს:

> დაბრუნდნენ დედაც და მამაც (ან: დედა დაბრუნდა, მამაც); წიგნები აწყვია მაგიდაზედაც და სკამ'ზედაც ან მაგიდაზეც და სკამ'ზეც [და არა: მაგიდასა და სკამ'ზედაც ან სკამ'ზეც].

თუ **-ც** დაერთვის გამაერთიანებელ სიტყვას, ერთგვაროვან წევრებთან ის იხმარება სტილისტური საჭიროების მიხედვით:

> შემოვიდნენ მეზობლებიც: გვანცა, გიული, ნონა;

შეადარეთ: მეზობლებიც დაეპატიჟე: გვანცაც, გიულიც, ნონაც.

დ) გაძლიერებითი **-ც** ნაწილაკი წინადადებაში დაერთვის ასახსნელ-დასაზუსტებელ წევრს, და არა განკერძოებულ სიტყვას:

> გამოჩნდა უშბაც, სვანეთის სიამაყე. მალე დაბრუნდა დედაც, დაღლილი და შეფიქრიანებული.

3. -მცა(//-**მც**) დაერთვის სახელებს ნატვრითობის ფუნქციის გასაძლიერებლად:

> ვერცხლის თასადამც მაქცია,
> რო ღვინით აგევსებოდე (ხალხური).

ზოგჯერ ამავე ფუნქციით გვხვდება **-ც**, რომელიც მიღებულია **-მცა** ნაწილაკის ფონეტიკური ცვეთის საფუძველზე: წყალსაც (⇐ წყალსამც) წაუღია!

4. -ვე ნაწილაკი არსებით სახელს დაერთვის ბრუნვის ნიშნისა და თანდებულის შემდეგ. იგი აზუსტებს მოქმედების ადგილსა და დროს (სოფელ'ში**ვე**, ზაფხულ'ში**ვე**), მოქმედ ან სამოქმედო პირს: დედამ**ვე**, ძმისგან**ვე**, ძმას**ვე**, მიწას**ვე**).

-ვე დაერთვის როგორც **-ზედ**-თანდებულიან, ისე **-ზე**-თანდებულიან ფორმებს:

> სახლზედ**ვე**, წყალზედ**ვე**, სახლზე**ვე**, წყალზე**ვე**.

ნორმა, რომლის მიხედვითაც არამართებულია **-ვე**-ნაწილაკდართული **-ზე**-თანდებულიანი ფორმები, მოძველებულია.

5. -და ნაწილაკი არსებით სახელთან იხმარება მის გამოსარჩევად, **მხოლოდ** ნაწილაკის მნიშვნელობით. მაგ.:

საკლასო ოთახში მასწავლებელი**ლა** დარჩა (ე. ი. მხოლოდ მასწავლებელი დარჩა).

მაგრამ არამართებულია ორივე ნაწილაკის ერთდროულად გამოყენება. მაგ.: საკლასო ოთახში **მხოლოდ** მასწავლებელი**ლა** დარჩა.

§ 15. არსებითი სახელის ბრუნვის ნიშნები და ბრუნვათა ფუნქციები

სახელობითი ბრუნვა

ი — • თანხმოვანფუძიან არსებით სახელებთან: კაც-ი, ვახტანგ-ი, კაც-ებ-ი.
• ვით-თანდებულიან თანხმოვანფუძიან სახელებთან: კაც-ი-ვით.

0 — • ხმოვანფუძიან არსებით სახელებთან: მიწა, ნინო.
• ძვ. ქართულში ადამიანის თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელთან: აღდგა ადამ.

ნ — აწარმოებს სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმებს სახელობით ბრუნვასა და წოდებითის ფორმაში: კაც-ნ-ი, კაც-ნ-ო. ახალ ქართულში უპირატესად სტილისტური დანიშნულებით გამოიყენება[67].

მოთხრობითი ბრუნვა

მა — • თანხმოვანფუძიან სახელებთან: კაც-მა, ვახტანგ-მა.
• ხმოვანფუძიან სახელებთან ებ-იან მრავლობითში: ძმ-ებ-მა.

მ — ხმოვანფუძიან სახელებთან: მიწა-მ, მდელო-მ, ნინო-მ, ბუ-მ.

თ — გამოხატავს მრავლობით რიცხვს და მოთხრობით, მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვას ე. წ. ნართანიან (II)

---

[67] ბ ე ს ა რ ი ო ნ ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე და სხვ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 308.

მრავლობითში. გამოიყენება სტილისტური დანიშნულებით (აღზევებული და არქაული სტილის დროს), აგრეთვე მყარ შესიტყვებასა და კომპოზიტებში: **მოსწავლეთა** სასახლე, ქალთა დღე, მეფეთმეფე, მზეთამზე.

მიცემითი ბრუნვა

ს — • თანხმოვანფუძიან უთანდებულო სახელებთან: კაც-ს, ვახტანგ-ს.
• ხმოვანფუძიან სახელებთან: მიწა-ს, მდელო-ს, ნინო-ს, ბუ-ს.
• **-თან**-თანდებულიან ხმოვანფუძიან სახელებთან: მიწა-ს-თან, მდელო-ს-თან.

სა — **-ვით**-თანდებულიან სახელებთან: კაც-სა-ვით, მიწა-სა-ვით, მდელო-სა-ვით.

0 — • **ზე/ში**-თანდებულიან სახელებთან: კაც-ზე/ში, მიწა-ზე/ში.
• **თან**-თანდებულიან თანხმოვანფუძიან სახელებთან: კაც-თან.

ნათესაობითი ბრუნვა

ის — • თანხმოვანფუძიან სახელებთან: კაც-ის.
• -ებრ-თანდებულიან სახელებთან: კაც-ის-ებრ.
• -ადმი-თანდებულიან ფორმებთან კაც-ის-ადმი, მიწ-ის-ადმი.
• ხმოვანფუძიან კვეცად სახელებთან: მიწ-ის.
• **-ებრ**-თანდებულიან კვეცად სახელებთან: მიწ-ის-ებრ.

ისა — უბრალო დამატებასთან ეშინია, რცხვენია, ერიდება, ეხათრება ზმნებთან: ეშინია კაც-ისა, მიწ-ისა. როგორც ვარაუდობენ, ამ შესიტყვებაში ჩავარდნილია საზღვრული, რომლის აღდგენის შემთხვევაში მართული მსაზღვრელი **კაცისა** იქნებოდა საზღვრულთან შეთანხმებული სახელობით ბრუნვაში (მაგ.: ეშინია კაცის გაბრაზება).

ის(ა) — • **-თვის/-გან/-კენ**-თანდებულიან თანხმოვანფუძიან სახელებთან: კაც-ისა(ა)-თვის/გან/კენ.

- **-თვის/-გან/-კენ** თანდებულიან ხმოვანფუძიან კვეცად სახელებთან: მიწ-ის(ა)-თვის/გან/კენ.
- **-მებრ**-თანდებულიან სახელებთან: წეს-ისა-მებრ ⇐ წეს-ისა-ვე-ბრ (ბესარიონ ჯორბენაძე და სხვ.).

ს —
- ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებთან: მდელო-ს, ნინო-ს.
- თან-თანდებულიან ხმოვანფუძიან სახელებთან: მიწა-ს-თან, მდელო-ს-თან.

სა — **-ი**-ფუძიან სახელებთან: ეშინია პონი-სა, გიორგი-სა.

ს(ა) — **-თვის/-გან/-კენ**-თანდებულიან უკვეცელ სახელებთან: მდელო-ს(ა)-თვის/გან/კენ.

სი — ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებთან: მდელო-სი, ნინო-სი ეშინია, ერიდება, ეხათრება, რცხვენია ზმნებთან.

0 — **-ებრ**-თანდებულიან თანხმოვანფუძიან სახელებთან: (კაც-ებრ, კაცის-ებრ) და I და II პირის ნაცვალსახელებთან (ჩემ-ებრ, შენ-ებრ).

მოქმედებითი ბრუნვა

ით —
- თანხმოვანფუძიან უთანდებულო სახელებთან: კაც-ით.
- **-ურთ**-თანდებულიან თანხმოვანფუძიან სახელებთან: კაც-ით-ურთ.
- ხმოვანფუძიან კვეცად სახელთან: მიწ-ით.
- **-ურთ**-თანდებულიან კვეცად სახელებთან: მიწ-ით-ურთ (თანამედროვე ქართულში -ურთ-თანდებული ხშირად შეცვლილია -იან-ბოლოსართიანი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმით: მიწ-იან-ად).

ი —
- **-გან**-თანდებულიან თანხმოვანფუძიან სახელებთან: კაც-ით-გან ⇒ კაც-იდ-გან ⇒ კაც-ი-დან.
- **-გან**-თანდებულიან კვეცად სახელებთან: მიწ-ით-გან ⇒ მიწ-ი-დან.

თ(ი) — ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებთან: მდელო-თ(ი), ნინო-თ(ი).

თ — **ურთ**-თანდებულიან უკვეცელ სახელებთან: გიორგი-თ-ურთ.

ვითარებითი ბრუნვა

ად – თანხმოვანფუძიან უთანდებულო სახელებთან: კაც-ად.

ა – **-მდე**-თანდებულიან თანხმოვანფუძიან სახელებთან: კაც-ად-მდე ⇒ კაც-ა-მდე.

დ – ხმოვანფუძიან კვეცად და უკვეცელ სახელებთან: მიწა-დ, მდელო-დ, ბუ-დ, ნინო-დ.

0 – **მდე**-თანდებულიან ხმოვანფუძიან სახელებთან: მიწა-დ-მდე ⇒ მიწა-მდე, მდელო-დ-მდე ⇒ მდელო-მდე; ბუ-დ-მდე ⇒ ბუ-მდე; ნინო-დ-მდე ⇒ ნინო-მდე.

წოდებითი ბრუნვა

ო –
- თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან: კაც-ო.
- თანხმოვანფუძიან გვარებთან: წერეთელ-ო, ბარათაშვილ-ო.
- ერთმარცვლიან კვეცად და უკვეცელ სახელებთან: ძმა-ო, მზე-ო, მთა-ო, ხბო-ო, ყრუ-ო.
- თანხმოვანფუძიან გეოგრაფიულ სახელებთან (გაიგივებულია საზოგადო სახელებთან): გორ-ო, თბილის-ო, მტკვარ-ო.

ვ –
- ერთმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელებთან (ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით – ლექსებში): მზე-ვ, მთა-ვ, ძმა-ვ.
- ორ- და მეტმარცვლიან ხმოვანფუძიან სახელებთან: სამშობლო-ვ, წყარო-ვ.
- ცხოველთა საკუთარ ხმოვანფუძიან სახელებთან: ლაბა-ვ, შვინდა-ვ, ნიშა-ვ.
- ხმოვანფუძიან გეოგრაფიულ სახელებთან: სამტრედია-ვ, აბაშა-ვ, ვოლგა-ვ.

0 –
- ადამიანის საკუთარ სახელებთან: ვახტანგ, ნინო, გიორგი.
- ხმოვანფუძიან გვარებთან: ჭავჭავაძე, კოსტავა, დარასელია, თოდუა.
- საკუთარ სახელთან გატოლებულ ზოგ საზოგადო სახელთან: დედა, მამა, ნათლია.

- უ-თი დაბოლოებულ ორ- და მეტმარცვლიან სახელებთან: ზებუ, კენგურუ.
- იკო-დაბოლოებიან სახელებთან: დედ-იკო, მამ-იკო.

§ 16. ბრუნვათა ფუნქციები

სახელობითი ბრუნვა გამოხატავს:

ა) მოქმედს გარდამავალი ზმნის I სერიის ფორმებთან:

კაც-ი აშენებს სახლს.
მხატვარ-ი ხატავს სურათს.

და გარდაუვალი ზმნის სამივე სერიის ფორმებთან:

კაც-ი დგას/იდგა/მდგარა.
ყვავილ-ი იშლება/გაიშალა/გაშლილა.

ბ) სამოქმედო ობიექტს გარდამავალი ზმნის II და III სერიის ფორმებთან:

კაცმა ააშენა სახლ-ი;
მხატვარმა დახატა სურათ-ი.
მხატვარს დაუხატავს სურათ-ი.

გ) შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს:

სტუმარი აღმოჩნდა მოხუცი **კაც-ი**.
ნინოს დედა არის **მასწავლებელ-ი**.

მოთხრობითი ბრუნვა გამოხატავს:

ა) მოქმედს (სუბიექტს) გარდამავალი ზმნის II სერიის ფორმებთან:

კაც-მა ააშენა სახლი.
მხატვარ-მა დახატა სურათი.

ბ) სუბიექტს საშუალმოქმედებითი გვარის ზმნების II სერიის ფორმებთან:

კაც-მა დიდხანს იფიქრა.
ერეკლე-მ ქართლში იმეფა.

მიცემითი ბრუნვა გამოხატავს:

ა) სუბიექტს გარდამავალი ზმნის III სერიის ფორმებთან (ეს ზმნები III სერიაში ინვერსიულია):

კაც-ს სახლი აუშენებია.
მხატვარ-ს სურათი დაუხატავს.

ბ) ირიბ ობიექტს გარდამავალი ზმნის I და II სერიის ფორმებთან:

კაცი მეზობელ-ს სახლ-ს უშენებს.
კაცმა მეზობელ-ს სახლი აუშენა.

გ) პირდაპირ ობიექტს გარდამავალი ზმნის I სერიის ფორმებთან:

კაცი სახლ-ს აშენებს.
მხატვარი ხატავს სურათ-ს.

დ) ირიბ ობიექტს გარდაუვალი ზმნის ფორმებთან:

კაცი **სახლ-ს** უახლოვდება. კაცი **სახლ-ს** მიუახლოვდა.
კაცი **სახლ-ს** მიახლოებია.
კაცი კედელ-ს ეფარება. კაცი კედელ-ს მოეფარა.
კაცი კედელ-ს მოჰფარებია.

ე) ადრესატს:

კაცმა **ოჯახ-ს** შეუთვალა.
ილიამ **აკაკი-ს** წერილი მისწერა.

ვ) ირიბ ობიექტს ორპირიანი საშუალმოქმედებითი გვარის ზმნების I და II სერიის ფორმებთან:

კაცი **სახლ-ს** სდარაჯობს.
კაცმა **სახლ-ს** უდარაჯა.

ზ) სუბიექტს საშუალმოქმედებითი გვარის ზმნის III სერიის ფორმებთან:

მის ბედის **ბორბალ-ს** ბევრჯერ უკუღმა უტრიალია.

თ) რეალურად მოქმედ პირს (ლოგიკურ სუბიექტს) ინვერსიულ ზმნებთან:

კაც-ს სწყურია წყალი.

თანდებულიანი ფორმები გადმოსცემენ უბრალო დამატებასა და გარემოებას:

გიორგი **კესო-ს-თან** მივიდა.
ისინი **თავისუფლება-ზე** ოცნებობდნენ.
ცაზე მსეა, **ქვეყანაზე** შენა ხარ.
ზამთარში ქალაქში ბრუნდებოდა.

ნათესაობითი ბრუნვა გამოხატავს:

ა) უბრალო დამატებას:
დიასახლისმა **სადილის** მზადება დაიწყო.

ბ) კუთვნილებას:

მეზობლ-ის სახლში სუფრა უკვე გაეშალათ.

გ) მასალას:

კაცმა **ხის** სახლი დაიდგა.

დ) დანიშნულებას:

უნივერსიტეტის წინ **ჩაი-ს** სახლი გახსნეს.

ე) წარმომავლობას:

ირემმა **წყარო-ს** წყალი დალია.

ვ) სამოქმედო ობიექტს:

თვალებ-ის დახუჭვა, **თმ-ის** შეჭრა.

ზ) მოქმედების ადრესატს (უბრალო დამატებას):

ერიდება **მამ-ისა.**

როგორც ვარაუდობენ, ჩავარდნილია საზღვრული. მაგ.:
ერიდება მამის შეწუხება.

თ) შემსრულებელს:

სახლი აშენდა **კალატოზის მიერ**.

თანდებულიანი ფორმები გამოხატავენ უბრალო დამატებასა და გარემოებას:

კაცს **მეზობლ-ის-თვის** სახლი აუშენებია.
ჭურჭელი **თიხისგან** დაამზადეს.
გიორგი **ორი დღის შემდეგ** დაბრუნდა.
კესოს უნდოდა **სახლის წინ** ბაღი გაეშენებინა.
სიცხის გამო ყვავილებმა მოიწყინეს.

უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვა გამოხატავს:

ა) თანაობას:

მოვიდა **ცოლ-ით** და **შვილებ-ით**.

ბ) ინსტრუმენტატივს:

მანქან-ით სეირნობს. **ფუნჯ-ით** ღებავს.

გ) გარემოებას:

თაგვს **შიშით** თვალთ დაუბნელდა.

დ) განკერძოებული დანართის კავშირს:

ოტია ქამუშაძე, **წოდებით** აზნაური, ნამდვილი გლეხი იყო.

თანდებულიანი მოქმედებითი გამოხატავს ადგილისა და დროის გარემოებებს:

ონისე **მთიდან** დაეშვა.
ოთარაანთ ქვრივი სისხამ **დილიდან** იწყებდა მუშაობას.

მოქმედებითის ფორმები გამოიყენება აგრეთვე პარონომაზიულ გამოთქმებში:

სმ-ით ისინი ვერ სვამენ, **ჭამ-ით** ვერ ჭამენ.

თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციების შესახებ იხ. გვ. 59, №4.

ვითარებითი ბრუნვის ფორმა გამოხატავს:

ა) გარდაქცევითობას:

სამშობლოს შეწირული შინდისის გმირები თურმე **ვარსკვლავებად** გადაიქცნენ.

ბ) ვითარებას:

ხეხილი **წითლად, ყვითლად, თეთრად** ყვაოდა.
(ვაჟა-ფშაველა).

გ) შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს:

დარჩა **ქვრივ-ად** ჩვენი ლუარსაბი.

დ) უბრალო დამატებას:

ესტატე **ცოლ-შვილიანად** დაბრუნდა.

ე) მიზნის გარემოებას:

კაცები **სანადიროდ** წავიდნენ.

ვ) დანართის კავშირს:

ოტია, **გვარად** ქამუშაძე, წოდებით აზნაური, ნამდვილი გლეხი იყო.

ზედსართავი და რიცხვითი სახელებისაგან აწარმოებს ზმნიზედებს:

კარგი – კარგად, ძირითადი – **ძირითადად,** პირველი – **პირველად**.

რიგობითი სახელებისაგან აწარმოებს წილობით რიცხვით სახელებს:

მესამე – მესამედი, მეოთხე – მეოთხედი.

თანდებულიანი ვითარებითი ბრუნვის ფორმა გამოხატავს ადგილისა და დროის გარემოებებს:

ქუთაისამდე ორი დღის სავალი იყო.
მათ მამლის **ყივილამდე** ეღვიძათ.

წოდებითი ბრუნვა გამოხატავს მიმართვას II პირისადმი ან II პირად წარმოდგენილი საგნისადმი:

ჩვენო არაგვო! რარიგ მიყვარხარ!.. (ილია).
თავო ჩემო, ბედი არ გიწერია! (აკაკი).

საკუთარ სახელთა მართლწერა

საკუთარია ისეთი სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომელიმე საგანს სხვებისგან გამოსარჩევად. ასეთებია: ადამიანის (ან ცხოველისათვის შერქმეული) სახელები, გვარები, ფსევდონიმები ან ზედწოდებები, გეოგრაფიული (კონტინენტების, ქვეყნების, დასახლებული პუნქტების, მთების, მდინარეების, ზღვების, ტბების და სხვ.), ჟურნალ-გაზეთების, წიგნების, ნაწარმოებების, ორგანიზაცია-დაწესებულებების, კინო-თეატრების, სასტუმროების, კაფე-რესტორნების, მუსიკალური კოლექტივების, სატელევიზიო გადაცემების, სასაქონლო ნიშნების, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების, სადღესასწაულო დღეებისა და სხვ. სახელები. მაგ.:

თამარი, ორბელიანი, ვაჟა-ფშაველა, დავით აღმაშენებელი, აზია, საქართველო, მთაწმინდა, არაგვი, ბუცეფალი (ალექსანდრე მაკედონელის ცხენი), „ცისკარი“ (ჟურნალი), „მერანი“ (ლექსი), „ერისიონი“ (ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი), „ურეკის მარგალიტები“ (სასტუმრო), „სამურზაყანო“ (რესტორანი), „ია“ (მაღაზია), „ბავშვთა დაცვის დღე“ (დღესასწაული), „ბრიო“ (სარეცხი ფხვნილის სასაქონლო ნიშანი), „ქრონიკა“ (საინფორმაციო გადაცემა).

ამჯერად განვიხილოთ ადამიანის საკუთარ სახელთა მართლწერა.

§ 17. ადამიანთა სახელებისა და გვარების მ ა რ თ ლ წ ე რ ა

1. პირთა საკუთარ სახელთა უმრავლესობა მრავლობითი რიცხვის ფორმით არ გამოიყენება. **გამონაკლისია:**

ა) გვარები (როგორც ქართული, ისე უცხოური):

ქართველიშვილები, პაიჭაძეები, მესხები, დარასელიები, ბროსეები, ზიჩები, განდები.

ბ) ადამიანის სახელები, თუ ისინი გამოიყენება ლიტერატურული ტიპის აღსანიშნავად, ზოგადის მნიშვნელობით:

თანამედროვე ჯაყოებს კვლავ შენს მიწა-წყალზე უჭირავთ თვალი. ისევ გამოჩნდებიან ავთანდილები განსაცდელში ჩავარდნილი მეგობრის გადასარჩენად.

გ) ისტორიულ პირთა ზედწოდებები ზოგადის მნიშვნელობით:

ნუთუ აღარ დაიბადებიან გიორგი ბრწყინვალეები, დიმიტრი თავდადებულები?

2. უკუმშველია:

ა) **ადამიანის სახელები**. მაგ.: ნესტან-დარეჯანის [და არა ნესტან-დარეჯნის], ღვთისავარის, სარიდანის;

ბ) **ადამიანის გვარებისა და ზედწოდებების უმეტესობა;**

გამონაკლისია: ამილახვარი – ამილახვრის, მაჩაბელი – მაჩაბლის, წერეთელი – წერეთლის, დავით აღმაშენებელი – დავით აღმაშენებლის, მაქსიმე აღმსარებელი – მაქსიმე აღმსარებლის, თევდორე მღვდელი – თევდორე მღვდლის (იხ. §2 № 6).

3. უკვეცელია:

ა) **ადამიანის სახელები**: მანანა, სალომე, ფორე, ნინო, დუტუ, რატი, არტურო, ჯუსეპე;

ბ) **-ა, -ავა, -ია, -უა, -ყვა მარცვლებით დაბოლოებული ქართული და აფხაზური გვარები მხ. რიცხვში**:

კოსტავა, გამსახურდია, სტურუა, ინგოროყვა, თარბა, შინკუბა, ძიაფშიპა;

გ) **მხ. რიცხვში დასმული უცხოური გვარები, ფსევდონიმები ან ზედწოდებები, რომლებიც ბოლოვდება:**

ა-თი: ანტონოვსკაია – ანტონოვსკაია-ს, ანტონოვსკაია-თ(ი); გევარა, დე სიკა, ლორკა, ლუმუმბა, იედლიჩკა, კაზანოვა, კაპაბლანკა, კაფკა, მარადონა, პეტრარკა;

ე-თი: ბრონტე, ბროსე, გალიფე, დიოკლეტიანე, კაბალიე, ლავუაზიე, მერიმე, მიუსე, მონტესკიე, ნიცშე, ოლივიე, პლუტარქე, პელე, რილკე, რიშელიე, ჰაინე, ჰეროსტრატე, ჰიპოკრატე;

ო-თი: ბოკაჩო [და არა ბოკაჩიო] – ბოკაჩო-ს, ბოკაჩო-თ(ი); ბრუნო, რემბო, რუსო, ჯონ უმიწაწყლო, ჰიუგო;

უ-თი: კამიუ – კამიუ-ს, კამიუ-თ(ი); მობუტუ, ნერუ, პომპიდუ, რონალდუ;

ი-თი: გარიბალდი – გარიბალდი-ს, გარიბალდი-თ; დისნეი, ვერდი, ზიჩი, მესი, პუჩინი;

დ) თი-დაბოლოებიანი ოსური გვარები:

სანაყოთი, სანაყოთი-ს, სანაყოთი-თ; ჯუსოითი;

ე) ლი- ან **ოღლი-**დაბოლოებიანი თურქულენოვანი (მათ შორის აზერბაიჯანული) გვარები:

ჯაფარლი, ჯაფარლი-ს, ჯაფარლი-თ; ჯაფაროღლი.

ვ) ე-თი დაბოლოებული გვარები მრ. რიცხვში:

პაიჭაძე – პაიჭაძე-ებ-ი; მებუკე, მენაბდე, ბიზე, გოეთე.

4. კვეცადია:

ა) ე-თი დაბოლოებული ქართული გვარები და ზედწოდებები მხ. რიცხვში (უცხოური გვარები უკვეცელია):

მაჩაიძე – მაჩაიძ-ის, მაჩაიძ-ით; გიორგი ბრწყინვალე, გიორგი მერჩულე, **მაგრამ**: გოეთე – გოეთე-ს, გოეთე-თ(ი);

ბ) -ა, -ავა, -ია, -უა, -ყვა მარცვლებით დაბოლოებული ქართული და აფხაზური გვარები მრ. რიცხვში:

ხარშილავა-ხარშილავები, დარასელია, ვეკუა, როყვა, ტარბა.

5. ადამიანის საკუთარი სახელი იბრუნვის ისე, როგორც სათანადო ფუძის საზოგადო სახელი. განსხვავება თავს იჩენს მხოლოდ წოდებით ბრუნვაში, რომელშიც ანთროპონიმებს ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის. **შეადარეთ**: თამარ! ნინო! და მეგობარო! ძმაო!

შეცდომა ყველაზე ხშირად მოსდით თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნების დროს. ამის მიზეზია **-ი**, რომელიც ხან ფუძისე-

ულად პიარნიათ, ხან სახელობითი ბრუნვის ნიშნად. ამის გასარკვევად სახელი დავსვათ გვარის (ან პროფესიის, თანამდებობის, წოდების) აღმნიშვნელი სიტყვის წინ. თუ სახელი შეიძლება დაიწეროს **ი** ხმოვნის გარეშე, ამ შემთხვევაში ის თანხმოვანფუძიანია. მაგ., თამარ წერეთელი [და არა თამარი წერეთელი]. მაშასადამე, **თამარ-ი** თანხმოვანფუძიანია, **ი** კი – სახელობითი ბრუნვის ნიშანი. მაგრამ: გიორგი ბაგრატიონი [და არა გიორგ ბაგრატიონი]. მაშასადამე, გიორგ**ი** ხმოვანფუძიანია, **ი** კი – ფუძისეული.

გვთავაზობენ ასეთ ხერხსაც: ჩავსვათ ადამიანის საკუთარი სახელი მოთხრობით ბრუნვაში. თუ ბრუნვის ნიშან **მა**-ს დართვისას არაბუნებრივ ფორმას მივიღებთ, მაშინ ეს სახელი **ი**-ფუძიანია. მაგ.: გიორგი – გიორგმა, რატი – რატმა, ლილი – ლილმა. **შეადარეთ**: ოთარი – ოთარმა, რამაზი – რამაზმა, ასმათი – ასმათმა. მაშასადამე, **გიორგი, რატი** და **ლილი** ხმოვანფუძიანია (**ი** – ფუძისეული), **ოთარ-ი, რამაზ-ი** და **ასმათ-ი** კი – თანხმოვანფუძიანი (**-ი** – სახელობითი ბრუნვის ნიშანი).

თანხმოვანფუძიან სახელს სახელობითი ბრუნვის ნიშანი **-ი** სხვა ბრუნვებში არ გადაჰყვება, **ი**-ფუძიანს კი **-ი** დაბოლოება გადაჰყვება ყველა ბრუნვაში, მათ შორის – წოდებითში, რომელშიც ადამიანის საკუთარ სახელს ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის, ი-მოკვეცილი ფორმა კი არაბუნებრივია. მაგ., წოდებითში გვაქვს: გიორგი [და არა გიორგ], ირაკლი [და არა ირაკლ], მაგრამ: ოთარ [და არა ოთარ-ი], რამაზ [და არა რამაზ-ი].

> **შენიშვნა:** **-ი**-ფუძიანი სახელების ამოცნობის ეს ხერხი საზოგადო სახელებზედაც შეგვიძლია გამოვიყენოთ. მაგ., **ტაქსი** წოდებითში იქნება **ტაქსი** [და არა ტაქსო], **ამხანაგ-ი** კი – **ამხანაგ-ო**. ე. ი. ტაქს**ი** ხმოვანფუძიანია, ამხანაგ-ი – თანხმოვანფუძიანი.

როგორც ცნობილია, **-ი**-ფუძიანი სიტყვები ქართულში უცხოური ენებიდანაა შემოსული. თუ სიტყვა მასესხებელ ენაშიც **-ი**-თი ბოლოვდება (აქ არ იგულისხმება ის ენა, რომლის გზითაც შემოვიდა), ის ქართულშიც ხმოვანფუძიანია (გამონაკლისის შესახებ იხ. ქვემოთ შენიშვნა). მაგ., იტალიურად იწერება Vespucci – ვესპუჩი, Mazzini – მაძინი, ე. ი. ეს გვარები ჩვენს ენაშიც **ი**-ფუძიანია (საკუთარი სახელი, რომელშიც გაორმაგებული თან-

ხმოვანია, ქართულ'ში ერთი თანხმოვნით გადმოდის[68].

ასეთივეა რუსული ან პოლონური წარმოშობის გვარები, რომლებსაც -ий, -ый ან -ой დაბოლოება აქვთ: ჩერნიშევსკი, დოსტოევსკი, ბელინსკი, გორკი, ტოლსტოი.

6. -**ი** სახელობითი ბრუნვის ნიშანია შემდეგ სახელებში:

აბესალომ-ი, აეთანდილ-ი, ამირან-ი, ანზორ-ი, ასმათ-ი, ბესიკ-ი, ბეუან-ი, გურამ-ი, გულნაზ-ი, გულქან-ი, დავით-ი, დარეჯან-ი, ვახტანგ-ი, ზაურ-ი, ზეინაბ-ი, თამაზ-ი, თენგიზ-ი, ლევან-ი, მალხაზ-ი, მარეხ-ი, მერაბ-ი, მურმან-ი, ნესტან-ი, ნოდარ-ი, ნუგზარ-ი, ოთარ-ი, რამაზ-ი, ტარიელ-ი, ფრიდონ-ი, ჯიმშერ-ი, ჯუმბერ-ი.

შენიშვნა: ზოგ სახელში ფუძისეული **-ი** სახელობითი ბრუნვის ფორმანტად იქნა მიჩნეული ძველთაგანვე და სხვა ბრუნვებში ჩამოსცილდა ფუძეს, ამიტომ მათ ახლა თანხმოვანფუძიანებად მიიჩნევენ. ასეთებია: **ანტონ-ი, ბასილ-ი, გრიგოლ-ი**. მათი რაოდენობა უფრო მეტია საზოგადო სახელებში (ნორმები, გვ. 76).

7. **ი** ფუძისეულია შემდეგ სახელებში:

აკაკი, ალექსი, ამბროსი, ანატოლი, ბადრი, გამიხარდი, გენადი, გივი, გიორგი, გოდერძი, დალი, დაჩი, დევი, დიმიტრი, დომენტი, ევგენი, ზიზი, ირაკლი, იური, კახი, კლიმენტი, კორნელი, ლალი, ლელი, ლილი, მარი, მერი, ნანული, ნუკრი, ჟიული, რატი, ტარასი, ტერენტი, ფატი, ქიშვარდი, ქუჯი, ჯარჯი.

8. ძირეული ანთროპონიმები ზოგჯერ გადმოცემულია გარკვეული ბრუნვის (უმთავრესად – ნათესაობითი და წოდებითი) ფორმით. მაგ.:

ხატისა, მზისა, მთვარისა (ან პირიმზისა, პირიმთვარისა), ლერწამისა, შმაგო, ცაცო, ძიკო, ცუკო.

---

[68] უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1989, გვ. 18.

9. უმახვილო ი-ს შემცველი რუსული და რუსულის გზით შემოსული საკუთარი სახელები, გვარები და გეოგრაფიული სახელები ქართულში გადმოიცემა ო-თი (იხ. ნორმები, გვ. 31). ტრანსლიტერაციის წესები შეტანილია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების კრებულში (იხ. ნორმების I კრებული, თბ., 1970, II გამოცემა, 1986, გვ. 23-60, აგრეთვე ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004, გვ. 74-82). აფხაზურ ფონემათა ქართულად გადმოცემის წესებთან დაკავშირებით იხ. თეიმურაზ გვანცელაძე, სპეციფიკურ აფხაზურ ფონემათა ქართულად გადმოცემის (ტრანსლიტერაციის) საკითხისათვის, ქსკს, IX, გვ. 374-380, ჩერქეზულ სახელთა ტრანსლიტერაციის წესებთან დაკავშირებით – ვაჟა შენგელია, ქსკს, წ. XIV, გვ. 159-163 (ხმოვნები), ქსკს, წ. XV, გვ. 111-114 (სპირანტები და სონორები). ჩეჩნურთან დაკავშირებით – როსტომ ფარეულიძე, ჩეჩნურ ანთროპონიმთა ქართული ტრანსლიტერაციის საკითხები, ქსკს, XIII, თბ., 2013.

როგორც ცნობილია, ბევრი საკუთარი სახელი რუსულში, ისევე როგორც ქართულში, შემოსულია ძველი ებრაულიდან, ბერძნულიდან, ლათინურიდან. რუსულში დამკვიდრებულია აგრეთვე თანამედროვე ევროპული ენებიდან მომდინარე სახელები.

რუსული ტექსტების თარგმნისას ზოგი სახელი ცვლილებას არ განიცდის, ზოგი გადმოღებულია რუსული ფორმით. როგორც აღნიშნავენ, რუსულში დამკვიდრებული სახელები ქართულად თარგმნის თვალსაზრისით სამ ჯგუფად იყოფა: სახელები, რომლებიც ქართულად გადმოღებისას არავითარ ცვლილებას არ განიცდიან, სახელები, რომლებიც გადმოიცემა რუსული ფორმით, და სახელები, რომლებსაც საუკუნოვანი ტრადიციის მიხედვით შეესაბამება ქართულად გაფორმებული სახელები (მიხეილ ჭაბაშვილი).

რუსულში დამკვიდრებული სახელების სარეკომენდაციო ქართული ფორმებია:

> აკიმ-ი, ალექსანდრე, ალექსეი, ანატოლი, არხიპ-ი, გავრილ-ი, მიხაილ-ი, ფიოდორი; ქალის სახელები: აქსინია, ალევტინა, ანასტასია, ანგელა, ანტონინა, ლიობოვ-ი, ლიუდმილა, მაია, მინადორა, მირა, მონიკა, ნინა, ნინელი, ნონა, ოქსანა, ოლივია, ოლგა, პელაგია, პოლინა, როზა, როქსანა, სილვა, სტელა, ფიოკლა, ცეცილია, ელეონორა, ელა, ელვირა, იულია, იუნონა და სხვ.[69].

---

[69] მ ი ხ ე ი ლ ჭ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, რუსული პირთა სახელების ქართულად გადმოცემისათვის, ქსკს, წიგნი XI, გვ. 355-387.

დანართი № 5

ადამიანთა საკუთარი სახელების ბრუნება

სახ.	ლევან-ი	მაია	ფორე
	თანდებულიანი ფორმა		
	ლევან-ი-ვით	–	–
მოთხრ.	ლევან-მა	მაია-მ	ფორე-მ
მიც.	ლევან-ს	მაია-ს	ფორე-ს
	თანდებულებიანი ფორმები		
	ლევან-სა-ვით	მაია-სა-ვით	ფორე-სა-ვით
	ლევან-თან	მაია-ს-თან	ფორე-ს-თან
	ლევან-ზე	მაია-ზე	ფორე-ზე
	ლევან-ში	მაია-ში	ფორე-ში
ნათ.	ლევან-ის	მაია-ს	ფორე-ს
	თანდებულებიანი ფორმები		
	ლევან-ის(ა)-თვის	მაია-ს(ა)-თვის	ფორე-ს(ა)-თვის
	ლევან-ის(ა)-გან	მაია-ს(ა)-გან	ფორე-ს(ა)-გან
	ლევან-ის(ა)-კენ	მაია-ს(ა)-კენ	ფორე-ს(ა)-კენ
მოქმ.	ლევან-ით	მაია-თ(ი)	ფორე-თ(ი)
	თანდებულიანი ფორმები		
	ლევან-იდან	მაია-დან	ფორე-დან
ვით.	ლევან-ად	მაია-დ	ფორე-დ
	თანდებულიანი ფორმები		
	ლევან-ამდე	მაია-მდე	ფორე-მდე
წოდ.	ლევან	მაია	ფორე

შენიშვნა 1: ბრუნების პარადიგმაში თვალსაჩინოებისათვის შევიტანეთ აქტანტების (სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელების) ყველა ფორმა (თანდებულიანიც), რომლებსაც აერთიანებთ ერთი და იგივე ლექსიკური მნიშვნელობა. ამავე მიზნით ბრუნვის ნიშნები და თანდებულები გამოყოფილია დეფისით.

შენიშვნა 2: ზმნიზედის (გარემოების) ფუნქციით გამოყენებულ სახელებში ფლექსიური (ფორმის შემცველი) ელემენტი დერივაციულ (მაწარმოებელ) აფიქსად გარდაიქმნება.

სახ.	ნინო	ნუნუ	რატი
	თანდებულიანი ფორმები		
	—	—	—
მოთხრ.	ნინო-მ	ნუნუ-მ	რატი-მ
მიც.	ნინო-ს	ნუნუ-ს	რატი-ს
	თანდებულებიანი ფორმები		
	ნინო-სა-ვით	ნუნუ-სა-ვით	რატი-სა-ვით
	ნინო-ს-თან	ნუნუ-ს-თან	რატი-ს-თან
	ნინო-ზე	ნუნუ-ზე	რატი-ზე
	ნინო-ში	ნუნუ-ში	რატი-ში
ნათ.	ნინო-ს	ნუნუ-ს	რატი-ს
	თანდებულებიანი ფორმები		
	ნინო-ს(ა)-თვის	ნუნუ-ს(ა)-თვის	რატი-ს(ა)-თვის
	ნინო-ს(ა)-გან	ნუნუ-ს(ა)-გან	რატი-ს(ა)-გან
	ნინო-ს(ა)-კენ	ნუნუ-ს(ა)-კენ	რატი-ს(ა)-კენ
მოქმ.	ნინო-თ(ი)	ნუნუ-თ(ი)	რატი-თ(ი)
	თანდებულიანი ფორმები		
	ნინო-დან	ნუნუ-დან	რატი-დან
ვით	ნინო-დ	ნუნუ-დ	რატი-დ
	თანდებულიანი ფორმები		
	ნინო-მდე	ნუნუ-მდე	რატი-მდე
წოდ.	ნინო	ნუნუ	რატი

ამის მიხედვით **მცდარი ფორმებია**:

რატივით, ლევანიმ, ლევანისავით, ლევანისთან, ლევანიზე, ლევანიში; წოდებითში: ლევანი.

შენიშვნა: ნათესაობითში ერიდება, ეშინია, რცხვენია, ეხათრება ზმნებთან გვაქვს: ერიდება ნინოსი, ნუნუსი, რატისა. მოქმედებითში ერთმანეთს ერწყმის ბრუნვის ნიშანი და თანდებული **-გან**: ით-გან ⇒ იდ-გან ⇒ იდ-ან ან თ-გან ⇒ დ-გან ⇒ დ-ან; ვითარებითში კი – ბრუნვის ნიშანი და თანდებული **-მდე/-მდის**: ად-მდე ⇒ ა-მდე ან დ-მდე ⇒ მდე.

§ 18. ადამიანთა გვარების მართლწერა

-ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია:

ა) ქართულ გვარებში, როგორიცაა:

ვარაზ-ი, ლაშხ-ი, მესხ-ი, ჟღენტ-ი, ტუღუშ-ი, ქალდან-ი, ღლონტ-ი, ჯიბუტ-ი და **შვილით** დაბოლოებული ყველა გვარი.

ბ) უცხოურ გვარებსა და ფსევდონიმებში. მაგ.:

მარკუს ავრელიუს-ი, ჰანს კრისტიან ანდერსენ-ი, გიიომ აპოლინერ-ი, ლუი არაგონ-ი, ნაპოლეონ ბონაპარტ-ი (წარმოშობით – ბუონაპარტე), ონორე დე ბალზაკ-ი, ჯორჯ ნოელ გორდონ ბაირონ-ი, ჯორჯ ვილერს ბაკინგემ-ი [და არა ბუკინგემი], ჯორჯ ბალანჩინ-ი, ანრი ბარბიუს-ი, იოჰან ბახ-ი, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენ-ი, ინგმარ ბერგმან-ი, რობერტ ბერნს-ი, რობერტ პირპონტ ბლეიკ-ი, შარლ ბოდლერ-ი, ჰიერონიმუს ბოსხ-ი, ლუი ბრაილ-ი, ჯონ ბრაუნინგ-ი, გაბრიელ გარსია მარკეს-ი, პოლ ეჟენ ანრი გოგენ-ი, გერჰარდტ დეეტერს-ი, ჯუზეპე დე სანტის-ი, ხოსე დიას-ი, ჩარლზ დიკენს-ი, თეოდორ დრაიზერ-ი, ლეონარდ ეილერი, ალექსანდრ გიუსტავ ეიფელ-ი, ვილჰემ რიხარდ ვაგნერ-ი, ვინსენტ ვან გოგ-ი, უიულ ვერნ-ი, ფრანსუა ვიიონ-ი, მარი ფრანსუა ვოლტერ-ი, რაბინდრანათ თაგორ-ი, გაიუს იულიუს კეისარ-ი, მარია კალას-ი, იმანუელ კანტ-ი, ქრისტეფორე კოლუმბ-ი, ნიკოლოზ (მიკოლაი) კოპერნიკ-ი, გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიც-ი, არტურ ლაისტ-ი, დეივიდ ლანგ-ი, აბრაამ ლინკოლნ-ი, ჯეკ ლონდონ-ი, ფერნანდო მაგელან-ი, თომას მან-ი, გაბრიელა მისტრალ-ი, გი დე მოპასან-ი, ისააკ ნიუტონ-ი, ალფრედ ბერნჰარდ ნობელ-ი, ომარ ხაიამ-ი, იუჯინ გლადსტონ ო'ნილ-ი, ბლეზ პასკალ-ი, ერიხ მარია რემარკ-ი, ტომას მაინ რიდ-ი, უოლტერ სკოტ-ი, ანრი მარი სტენდალ-ი, სტრაბონ-ი, მარგარეტ ჰილდა ტეტჩერ-ი, მარკ ტვენ-ი, ტიციან-ი, უოლტ უიტმენ-ი, მარჯორი სკოტ უორდროპ-ი, ფრანსის სკოტ ფიცჯერალდ-ი, გიუსტავ ფლობერ-ი, ჰანს ფოგტ-ი, ლიონ ფოიხტვანგერ-ი, უილიამ ფოლკნერ-ი, ზიგმუნდ ფროიდ-ი, ქსენოფონტ-ი, ჟან შარდენ-ი, უილიამ შექსპირ-ი, ფრედერიკ ფრანციშეკ შოპენ-ი, არტურ შოპენჰაუერ-ი, რუდოლფ შტაინერ-ი, იოჰან შტრაუს-ი, ფრანც პეტერ შუბერტ-ი, ჰუგო შუხარტ-ი,

ჩარლზ სპენსერ ჩაპლინ-ი, მარკუს ტულიუს ციცერონ-ი, ხო ში მინ-ი, ჯალალედინ-ი, ბარკა ჰანიბალ-ი, გერჰარტ ჰაუპტ-მან-ი, ალფრედ ჰიჩკოკ-ი, ჰომეროს-ი, ჰუგო ჰუპერტ-ი, სადამ ჰუსაინ-ი;

ასევე: ალექსანდრე გერცენ-ი, ნიკოლაი დობროლიუბოვ-ი, მიხა-ილ ლომონოსოვ-ი, ალექსანდრე პუშკინ-ი, ალექსანდრე სუვოროვ-ი, იოსებ სტალინ-ი, ივანე ტურგენევ-ი და მისთ., რომლებიც რუსულ ენაზე ფუძის სახით იწერება.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ:

ა) უმახვილო **о**-ს შემცველი რუსული საკუთარი სახელები და გვარები და გეოგრაფიული სახელები ქართულში გადმოიცემა **ო**-თი, მაშასადამე, გვექნება:

ბორის გოდუნოვი [და არა ბარის გადუნოვი], დოსტოევ-სკი [და არა დასტაევსკი], ლომონოსოვი [და არა ლამანო-სოვი], პიროგოვი [და არა პირაგოვი], ტოლსტოი [და არა ტალსტოი], მოსკოვი, ორიოლი, პოლტავა და სხვ. (იხ. ნორმები, გვ. 31).

ბ) რუსული და რუსული გზით შემოსული სიტყვების **ё** ქართულში გადმოიცემა **იო** კომპლექსით, **ж**, **ш** და **ч** თანხმოვნების შემდეგ კი - მხოლოდ ო-თი:

ბუდიონი, კოვალიოვი, გრინიოვი, ჩორნი.

თანხმოვანფუძიანი გვარები (როგორც ქართული, ისე უცხო-ური) ისე იბრუნვის, როგორც საზოგადო სახელები.

и-თი ბოლოვდება ბევრი არაქართული (იტალიური, ინ-გლისური, ფრანგული და სხვა) წარმოშობის გვარები და ფსევ-დონიმები. მაგ.:

დანტე ალიგიერი, მიქელანჯელო ანტონიონი, იოსებ ბროდსკი, მიქელანჯელო ბუონაროტი, სანდრო ბოტიჩე-ლი, გალილეო გალილეი, პოპანდას კარამჩანდ განდი, ფიოდორ დოსტოევსკი, ოდისეი დიმიტრიადი, პოლ ვა-ლერი, ამერიგო ვესპუჩი, ლეორანდო და ვინჩი, ლუკინო ვისკონტი, ვლადიმერ ვისოცკი, მიხაი ზიჩი, დოლორეს იბარური, ნიკოლო მაკიაველი, ანა მანიანი, მარჩელო

მასტროიანი, ლორენცო მედიჩი, ამედეო მოდილიანი, ისქანდერ მუნში, მიშელ ნეი, ნიზამი განჯევი, ნიკოლო პაგანინი, ლუჩანო პავაროტი, საადი, ევანჯელისტა ტორიჩელი, არტურო ტოსკანინი, ფედერიკო ფელინი, პერსი ბიშ შელი, ბენიამინო ჯილი, ერნესტ მილერ ჰემინგუეი.

დანართი № 6

ადამიანთა გვარების ბრუნება

სახ.	მესხ-ი	სუვოროვ-ი	ლორკა
		თანდებულიანი ფორმა	
	მესხ-ი-ვით	სუვოროვ-ი-ვით	–
მოთხრ.	მესხ-მა	სუვოროვ-მა	ლორკა-მ
მიც.	მესხ-ს	სუვოროვ-ს	ლორკა-ს
		თანდებულებიანი ფორმები	
	მესხ-სა-ვით	სუვოროვ-სა-ვით	ლორკა-სა-ვით
	მესხ-თან	სუვოროვ-თან	ლორკა-ს-თან
	მესხ-ზე	სუვოროვ-ზე	ლორკა-ზე
	მესხ-ში	სუვოროვ-ში	ლორკა-ში
ნათ.	მესხ-ის	სუვოროვ-ის	ლორკა-ს
		თანდებულებიანი ფორმები	
	მესხ-ის(ა)-თვის	სუვოროვ-ის(ა)-თვის	ლორკა-ს(ა)-თვის
	მესხ-ის(ა)-გან	სუვოროვ-ის(ა)-გან	ლორკა-ს(ა)-გან
	მესხ-ის(ა)-კენ	სუვოროვ-ის(ა)-კენ	ლორკა-ს(ა)-კენ
მოქმ.	მესხ-ით	სუვოროვ-ით	ლორკა-თ(ი)
		თანდებულიანი ფორმა	
	მესხ-იდან	სუვოროვ-იდან	ლორკა-დან
ვით.	მესხ-ად	სუვოროვ-ად	ლორკა-დ
		თანდებულიანი ფორმა	
	მესხ-ამდე	სუვოროვ-ამდე	ლორკა-მდე
წოდ.	მესხ-ო	სუვოროვ-ო	ლორკა

ასევე:

სახ.	ბროსე	ზიჩი
	თანდებულიანი ფორმები	
	—	—
მოთხრ.	ბროსე-მ	ზიჩი-მ
მიც.	ბროსე-ს	ზიჩი-ს
	თანდებულებიანი ფორმები	
	ბროსე-სა-ვით	ზიჩი-სა-ვით
	ბროსე-ს-თან	ზიჩი-ს-თან
	ბროსე-ზე	ზიჩი-ზე
	ბროსე-ში	ზიჩი-ში
ნათ.	ბროსე-ს	ზიჩი-ს
	თანდებულებიანი ფორმები	
	ბროსე-ს(ა)-თვის	ზიჩი-ს(ა)-თვის
	ბროსე-ს(ა)-გან	ზიჩი-ს(ა)-გან
	ბროსე-ს(ა)-კენ	ზიჩი-ს(ა)-კენ
მოქმ.	ბროსე-თ(ი)	ზიჩი-თ
	თანდებულიანი ფორმები	
	ბროსე-დან	ზიჩი-დან
ვით.	ბროსე-დ	ზიჩი-დ
	თანდებულიანი ფორმები	
	ბროსე-მდე	ზიჩი-მდე
წოდ.	ბროსე	ზიჩი

ამის მიხედვით **მცდარი ფორმებია**:

მოთხრობითში: მესხი-მ, ზიჩ-მა; მიცემითში: მესხი-ს, მესხი-**სა**-ვით; მესხი-ზე, მესხი-ში, ზიჩ-ს, ზიჩ-**სა**-ვით, ზიჩ-ზე, ზიჩ-ში; ვითარებითში: ზიჩ-ად, მესხი-მდე, ზიჩ-ა-მდე; წოდებითში: მესხი, სუვოროვ, ლორკა-ვ, ბროსე-ვ, ზიჩ-ო.

მრავლობითის სწორი ფორმებია: მესხ-ებ-ი, სუვოროვ-ებ-ი, ლორკ-ებ-ი, ბროსე-ებ-ი, ზიჩ-ებ-ი.

-შვილით და **-ძე** მარცვლით დაბოლოებული გვარები ისე იბრუნვის, როგორც საზოგადო სახელები: **შვილი** და **ძე**, მაგრამ ერთი განსხვავებით: ხმოვანფუძიან გვარებს წოდებითში ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის: ლორკა, ბროსე, ზიჩი, ჰიუგო, რონალდუ, ტაბიძე.

დანართი № 7

მხოლობითი რიცხვი

სახ.	ბარათაშვილ-ი	ტაბიძე
	თანდებულიანი ფორმა	
	ბარათაშვილ-ი-ვით	–
მოთხრ.	ბარათაშვილ-მა	ტაბიძე-მ
მიც.	ბარათაშვილ-ს	ტაბიძე-ს
	თანდებულებიანი ფორმები	
	ბარათაშვილ-სა-ვით	ტაბიძე-სა-ვით
	ბარათაშვილ-თან	ტაბიძე-ს-თან
	ბარათაშვილ-ზე/ში	ტაბიძე-ზე/ში
ნათ.	ბარათაშვილ-ის	ტაბიძ-ის
	თანდებულებიანი ფორმები	
	ბარათაშვილ-ის(ა)-თვის/გან	ტაბიძ-ის(ა)-თვის/გან
მოქმ.	ბარათაშვილ-ით	ტაბიძ-ით
	თანდებულიანი ფორმა	
	ბარათაშვილ-იდან	ტაბიძ-იდან
ვით.	ბარათაშვილ-ად	ტაბიძე-დ
	თანდებულიანი ფორმა	
	ბარათაშვილ-ამდე	ტაბიძე-მდე
წოდ.	ბარათაშვილ-ო	ტაბიძე [და არა: ტაბიძევ]

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ბარათაშვილ-ებ-ი	ტაბიძე-ებ-ი
	თანდებულიანი ფორმა	
	ბარათაშვილ-ებ-ი-ვით	ტაბიძე-ებ-ი-ვით
მოთხრ.	ბარათაშვილ-ებ-მა	ტაბიძე-ებ-მა
მიც.	ბარათაშვილ-ებ-ს	ტაბიძე-ებ-ს

თანდებულებიანი ფორმები

	ბარათაშვილ-ებ-სა-ვით	ტაბიძე-ებ-სა-ვით
	ბარათაშვილ-ებ-თან	ტაბიძე-ებ-თან
	ბარათაშვილ-ებ-ზე/ში	ტაბიძე-ებ-ზე/ში
ნათ.	ბარათაშვილ-ებ-ის	ტაბიძე-ებ-ის

თანდებულებიანი ფორმები

	ბარათაშვილ-ებ-ის(ა)-თვის/გან	ტაბიძე-ებ-ის(ა)-თვის/გან
მოქმ.	ბარათაშვილ-ებ-ით	ტაბიძე-ებ-ით

თანდებულიანი ფორმა

	ბარათაშვილ-ებ-იდან	ტაბიძე-ებ-იდან
ვით.	ბარათაშვილ-ებ-ად	ტაბიძე-ებ-ად

თანდებულიანი ფორმა

	ბარათაშვილ-ებ-ამდე	ტაბიძე-ებ-ამდე
წოდ.	ბარათაშვილ-ებ-ო	ტაბიძე-ებ-ო

10. ორმაგი გვარის (ან სახელის) ბრუნებისას ბრუნვის ნიშნებს დაირთავს მეორე გვარი (ან სახელი), პირველი კი ფუძის სახით დაიწერება. მაგ.:

ბაგრატიონ-მუხრანელ-ი, ბაგრატიონ-მუხრანელ-მა, ბაგრატიონ-მუხრანელ-ს, ბაგრატიონ-მუხრანელ-ის, ბაგრატიონ-მუხრანელ-ით, ბაგრატიონ-მუხრანელ-ად, ბაგრატიონ-მუხრანელო; დგებუაძე-ფულარია, დგებუაძე-ფულარია-მ, დგებუაძე-ფულარია-ს, დგებუაძე-ფულარია-ს(ი), დგებუაძე-ფულარია-თი, დგებუაძე-ფულარია-დ, დგებუაძე-ფულარია. **ასევე**: ნესტან-დარეჯან-ი, ნესტან-დარეჯან-მა, ნესტან-დარეჯან-ს, ნესტან-დარეჯან-ის, ნესტან-დარეჯან-ით, ნესტან-დარეჯან-ად, ნესტან-დარეჯან; მარი-ლუიზა, მარი-ლუიზა-მ, მარი-ლუიზა-ს, მარი-ლუიზა-ს, მარი-ლუიზა-თ(ი), მარი-ლუიზა-დ, მარი-ლუიზა.

მსგავსი ვითარებაა ორი გეოგრაფიული სახელის შეერთების შემთხვევაშიც:

ანანურ-ფასანაურ-ი, ანანურ-ფასანაურ-მა, ანანურ-ფასანაურს და ა.შ.

აკაკი შანიძის აზრით, ამგვარადვე უნდა გაფორმდეს რკინიგზის მატარებლების დასახელებაც: თბილის-ბათუმი [და არა თბილისი-ბათუმი][70].

11. გარდა ზემოთ ჩამოთვლილებისა, დეფისი იწერება შემდეგ გვარებში, ფსევდონიმებსა და ზედწოდებებში:

შაჰ-აბასი (აბას I), ასატ-ხანი, ალაყერდი-ხანი, აღა-მაჰმად-ხანი, ბათო-ყაენი, ბიჩერ-სტოუ, გეორგიუ-დეკი, დაუდ-ფაშა გურჯი, ერისთავ-ხოშტარია, ერკმან-შატრიანი (ორი მწერლის ლიტერატურული სახელია), ვაჟა-ფშაველა, სკლოდოვსკა-კიური, სუმბათაშვილ-იუჟინი, ნადირ-შაჰ ავშარი, ჟოლიო-კიური, სალტიკოვ-შჩედრინი, სენ-სანსი, სენ-სიმონი, სენტ-ეგზიუპერი, ყარჩიხა-ხანი, ჩინგიზ-ყაენი.

შენიშვნა: უცხოური პირთა სახელები მოყვანილია „უცხოურ პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონიდან“, თუმცა, ჩვენი აზრით, ზოგი დაწერილობა სადავოა და გამარტივებას საჭიროებს.

12. უდეფისოდ იწერება:

ავიცენა, იგივე აბუ ალი იბნ სინა (= მამა ალისა და ძე სინასი), ათათურქი, ბუღა თურქი, დე ლა როსა, თემურლენგი, ლაროშფუკო, მაქსველი, მურვან ყრუ, იგივე მარვან II იბნ მუჰამადი.

13. ნორმების მიხედვით დაუშვებელია მოფერებითი, შინაური სახელების შეტანა პასპორტში, პირადობის მოწმობაში, ატესტატში, დიპლომში ან სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში. ასეთია:

ა) ქალის სახელები: ანიკო, ანო, ანუკა, ბაბო, ბაბუცა, გოგუცა, გულიკო, გუქა, დარიკო, დარო, ეკა, ელიკო, ელო, ეფრო, ვარდიკო, ვერიკო, ზინა, თაკო, თალიკო, თამრიკო, თამუნა, თებრო, თეკო, თიკა, თიკო, თინა, თინიკო, ია, იაკო, ირა, კატო, კესო, ლიზა, ლიზიკო, ლიკა, მაგდა, მათიკო, მაიკო, მაკო, მაკუნა, მარგო, მარიკო, მარო, მელანო, მელო, ნატო, ნინიკო, ნუცა, ოლიკო, პელო, რუსიკო, სიდო, სოფო, ტასო, ტატო, ფაცია,

---

[70] აკაკი შანიძე, ორმაგი გვარის ბრუნებისათვის, ქსკს, წიგნი I, გვ. 37.

ფეფიკო, ფეფო, ქეთათო, ქეთინო, ქეთო, შუშანა, ციცო (ნორმები, გვ. 224-228).

ბ) ვაჟის სახელები: ავთო, ანდრო, ბათუ, ბენე, ბენო, ბეჟია, ბესო, გაბო, გენო, გია, გიგლა, გიგო, გიგოლი, გიო, გოგი, გოგიტა, გუჯა, დათა, დათიკო, დათო, დიტო, დუტუ, ვალიკო, ვაჟია, ვაჟიკო, ვანო, ვასიკო, ვასო, ზალიკო, ზაქრო, ზუკა, ზურა, ზურიკო, თადე, თემო, იკა, ილა, ილიკო, ილო, კაკი, კაკო, კალე, კარპე, კახა, კოხტა, კოტე, ლადო, ლევიკო, ლეო, ლექსო, ლუა, მექი, მიტო, მიშიკო, მიხა, მიხაკო, მიხო, ნიკა, ნიკო, ოსიკო, ოქრო, პეტო, რაფო, რეზო, სიკო, სიმონიკა, სოსიკო, სოსო, ტაია, ტატე, ტიტიკო, ფარნა, ფიდო, შაკო, შალიკო, შაქრო[71].

14. მშობლიური ენის უპატივცემულობა და პროვინციალიზმია რუსულბოლოსართიანი სახელებით მოდური გატაცება. მაგ.:

ანკა, ელენკა, ვასკა, ლენკა, ნადკა, ნანკა, ოლინკა, რუსკა, მიშკა.

15. კულტურული ადამიანი არ გამოიყენებს ისეთ კნინობით ფორმებს, რომლებსაც დამამცირებელი ელფერი აქვთ, და არა მოფერებითი. ასეთია აღმოსავლურ კილოებში: გივია, გურამა, ეთერა, ნოდარა, ომარა, ჯუმბერაი; დასავლურში კი – ბიჭიკია, ნადიე, ნანულია, ნოდარია, ჭიჭიკია.

16. სიების შედგენისას, როცა, ჩვეულებრივ, ჯერ გვარი იწერება და შემდეგ – სახელი, ეს უკანასკნელი ფუძის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი. მაგ., აბაშიძე გრიგოლ. სიის ამოკითხვის დროსაც ეს ფორმა უნდა გამოვიყენოთ, წინადადებაში კი სახელსაც უნდა დავურთოთ ბრუნვის ნიშანი. მაგ.:

სიაში პირველი წერია აბაშიძე **გრიგოლ-ი**. ხარხელაური **ტარიელ-ი** თავის ლირიკულ გმირს ჰგავს.

მიმართვისას გვარი უნდა დაისვას წოდებითში (თუმცა უმჯობესია სახელით მიმართვა):

ქალდან-ო თამარ, გამოდი დაფასთან. ხუციშვილო იოსებ, უპასუხე ამ კითხვებს. ცერაძე ნინო, მოჰყევი გაკვეთილს. ხვედელიძე [და არა ხვედელიძევ], დაცვას მიხედე!

---

71 ნორმები, გვ. 229-237.

17. ვინაობის აღნიშვნისას (მაგ., განცხადებებში, იურიდიულ დოკუმენტებში) ჯერ სახელი იწერება, შემდეგ – გვარი. მაგ.: მარიამ წიკლაური, ეკა ბაქრაძე, მარინე ზერეკიძე, თემურ ღლონტი, ნუგზარ ჭავჭავაძე, გურამ ნიკოლაიშვილი, როსტომ ჩხეიძე, ნესტან რჩეულიშვილი, ნანა ბოტკოველი.

18. ქართულისათვის ბუნებრივი არ არის სახელითა და მამის სახელით ან მხოლოდ მამის სახელით მიმართვა, რაც ჩვენში გავრცელდა საქართველოსა და რუსეთს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარების შედეგად. ჩვენს ძველ ხელნაწერებში პირი მამისსახელობით მხოლოდ ვინაობის აღნიშვნისას მოიხსენიებოდა, და არა მიმართვისას (მაგ.: იაკობ ზებედესი, ნიკოლოზ საგდუხტისი, მარკოზ თადეოზისი)[72].

ქართველი ქართველს უნდა მიმართავდეს მართებული ქართული ფორმებით: ბატონო გიორგი, ქალბატონო ნინო, პატივცემულო ვახტანგ [**და არა**: კუკუროვიჩ, ძუკუევიჩ, სიყვარულოვიჩ, ნიკალაევნა], ხოლო ფორმით **ტატიანა ივანეს ასულო** – რუსს. ეს უკანასკნელი ფორმა ორიგინალური ლიტერატურის ენაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზომიერად, მხოლოდ როგორც სტილისტიკური ხერხი. „მხატვრულ თარგმანში კი მხარი უნდა დავუჭიროთ რუსულისებურ მიმართვას (აკაკი აკაკიევიჩისა და პულხერია ივანოვნას ტიპისას), როგორც ორიგინალის ეროვნული სპეციფიკის გამოვლენის ერთ-ერთ მოხერხებულ საშუალებას“[73].

როგორც აღნიშნავენ, „სწორედ ამ ტიპის რუსულენოვანი მიმართვის, უწინარესად – **მოხსენიების ფორმებს** შემოჰყვა და დაინერგა ქართულ წერით მეტყველებაში სახელისა და მამის სახელის ინიციალებით აღნიშვნა: ი. ჭავჭავაძე, ა. რ. წერეთელი“[74], რაც თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება ნაირგვარ გამოცემებსა თუ პრესაში. კერძოდ, სახელს გამოხატავენ ერთი ასოთი, თუნდაც ის ხმოვანი იყოს, გვარს კი კვეცენ მომდევნო ხმოვანთან.

---

[72] ც ი რ ა კ ა ლ ა ძ ე, სახელ-მამისსახელობით მიმართვა ქართულში, ქსკს, წიგნი VI, გვ. 311.

[73] იქვე, გვ. 328.

[74] მ ე დ ე ა ღ ლ ო ნ ტ ი, ინიციალები ქართულში – ქართული პირის სახელების მართლწერისათვის, ქსკს, წიგნი XVI, გვ. 129.

19. აღვნიშნოთ თუ არა სახელი ინიციალებით?

ძველ ქართულ ხელნაწერებში გამოიყენებოდა სიტყვის შემოკლების ერთ-ერთი ხერხი – დაქარაგმება, რაც განპირობებული იყო ძვირად ღირებული და ძნელად მოსაპოვებელი საწერი მასალის ეკონომიით. მაგ.:

ღ~ი = ღმერთი, ი~უ = იესუ, ქ~ე = ქრისტე, გ~ი = გიორგი, წ~ = წმიდაი, რ~ = რამეთუ, ხ~ = ხოლო.

დღევანდელ დღეს, როდესაც საწერი ქაღალდის ეკონომიის საჭიროება არ არის, აზრს კარგავს სახელების ინიციალებით აღნიშვნა და ამ გზით ბუნდოვანებისა და გაუგებრობის გამოწვევა. ვეთანხმებით იმ აზრს, რომ „სახელოვან მამულიშვილთა და კორიფეთა სახელების ინიციალებით აღნიშვნისას ილახება პიროვნების მოხსენიების ქართული საუკუნოვანი ეტიკეტისთვის ნიშანდობლივი კრძალულება, ქართულენოვანი ტრადიცია კი გვკარნახობს, რომ სახელების ამგვარი შეკვეცა-შემოკლებით ხელთ შეგვრჩება ნაცვლად კრძალვით წარმოსათქმელი:

შოთა რუსთაველისა – **შ.** რუსთაველი,
სულხან-საბა ორბელიანისა – **ს. ს.** ორბელიანი,
დავით გურამიშვილისა – **დ.** გურამიშვილი,
აკაკი წერეთლისა – **აკ.** წერეთელი,
ნიკოლოზ ბარათაშვილისა – **ნ.** ბარათაშვილი,
ივანე ჯავახიშვილისა – **ი.** ჯავახიშვილი,
წმინდა **ილია** მართლისა (ჭავჭავაძისა) – **ი.** ჭავჭავაძე,
ნეტარი **გრიგოლ** ხანძთელისა – **გრ.** ხანძთელი,
წმინდა მოწამე **დიმიტრი** თავდადებულისა – **დიმ.** თავდადებული და მისთ.“[75].

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ხალხი გამორჩეულ პოეტებს მხოლოდ სახელით მოიხსენიებს. მაგ.: შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, ანა, მუხრანი.

> **შენიშვნა:** ვაჟა პირველი კომპონენტია პოეტ ლუკა რაზიკაშვილის ფსევდონიმისა, რომელსაც თვით პოეტი ასე წერდა: ვაჟა-ფშაველა.

20. გამონაკლისის სახით დასაშვებია ინიციალების გამოყენება ოფიციალურ დოკუმენტაციაში, უფრო კი – დამოწმებული

---

[75] მ ე დ ე ა ღ ლ ო ნ ტ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 134.

ავტორის სახელისა და გვარის ნუსხებში (მაგ.: ი. ჭავჭ., ა. წერეთ.)[76], მაგრამ არ შეიძლება შემოკლდეს პირის (მეფის, მწერლის, მოწამის და სხვა მოღვაწის) სახელი ზედწოდებასთან ან ფსევდონიმთან ერთად ქუჩების, მოედნების სახელწოდებებში და, საერთოდ, ნებისმიერ საინფორმაციო წყაროში. მაგ., უმართებულოა ი. ცურტაველის ქუჩა (იაკობ ცურტაველის ქუჩის ნაცვლად), დ. აღმაშენებლის ხეივანი (დავით აღმაშენებლის ხეივნის ნაცვლად).

სრულად უნდა დაიწეროს: პეტრე იბერი, აბო თბილელი, გრიგოლ ხანძთელი, ილარიონ ქართველი, გიორგი მერჩულე, გიორგი მთაწმინდელი, ექვთიმე ათონელი, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, შოთა რუსთაველი, ანთიმოზ ივერიელი, ვაჟა-ფშაველა, ვახტანგ გორგასალი, აშოტ კურაპალატი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, შალვა ახალციხელი, დიმიტრი თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე, ზაზა ფანასკერტელი, ქეთევან წამებული.

ასევე: ალექსანდრე მაკედონელი, კარლოს დიდი, ესაია წინასწარმეტყველი, ბასილი II ბულგართმმუსვრელი, რიჩარდ I ლომგული, ივანე მრისხანე, პეტრე დიდი, ალექსანდრე ნეველი, სულეიმან I კანუნი, ლუი XIII სამართლიანი.

21. ზედწოდების შემოკლება შეიძლება, თუ ის დინასტიის გამომხატველი რომაული რიცხვითაა წარმოდგენილი. მაგ.:

გიორგი I, ვახტანგ VI, ერეკლე II, ნაპოლეონ III, ლუი XIV, პეტრე I, ნიკოლოზ II, გიორგი XI.

ამგვარ საკუთარ სახელებს შეიძლება ახლდეს საზოგადო სახელი. მაგ.:

მეფე დიმიტრი თავდადებული, მეფე სოლომონ I, იმპერატორი ეკატერინე მეორე, იმპერატორი ნაპოლეონ I.

22. რომაული რიცხვით გამოხატულ რიგობით სახელს ბრუნვის ნიშანი (გარდა სახელობითისა), თანდებული და ნაწილაკი დეფისით გამოეყოფა.

---

[76] იქვე, გვ. 135.

დანართი № 8

სახ.	გიორგი I	ერეკლე II
	თანდებულიანი ფორმა	
	გიორგი I-ივით	–
მოთხრ.	გიორგი I-მა	ერეკლე II-მ
მიც.	გიორგი I-ს	ერეკლე II-ს
	თანდებულებიანი ფორმები	
	გიორგი I-სავით	ერეკლე II-სავით
	გიორგი I-თან	ერეკლე II-სთან
	გიორგი I-ზე/ში	ერეკლე II -ზე/ში
ნათ.	გიორგი I-ისა	ერეკლე II-ისა
	თანდებულებიანი ფორმები	
	გიორგი I-ის(ა)თვის/გან	ერეკლე II-ის(ა)თვის/გან
მოქმ.	გიორგი I-ით	ერეკლე II-ით
	თანდებულებიანი ფორმა	
	გიორგი I-იდან	ერეკლე II-იდან
ვით.	გიორგი I-ად	ერეკლე II-დ
	თანდებულებიანი ფორმა	
	გიორგი I-ამდე	ერეკლე II-მდე
წოდ.	გიორგი I-ო	ერეკლე II-ვ

23. თუ დინასტიის აღმნიშვნელი რიცხვი სიტყვიერადაა წარმოდგენილი (პირველი, მეორე), ის იბრუნვის ჩვეულებრივად, როგორც დამოუკიდებლად გამოყენებული რიგობითი რიცხვითი სახელი (პირველ შემთხვევაში – როგორც თანხმოვანფუძიანი, დანარჩენ შემთხვევაში – როგორც ხმოვანფუძიანი):

გიორგი პირველ-ი, გიორგი პირველ-მა, გიორგი პირველ-ს და ა.შ.; ერეკლე მეორე, ერეკლე მეორე-მ, ერეკლე მეორე-ს და ა.შ. (იხ. აქვე, № 22).

სახელისა და გვარის ერთად ბრუნება

24. სახელისა და გვარის ერთად ბრუნებისას, თუ სახელი უსწრებს გვარს, ბრუნვის ნიშნებს ეს უკანასკნელი (ე. ი. დანართი) დაირთავს, სახელი კი – არა. მაგ.:

დანართი № 9

სახ.	ექვთიმე	თაყაიშვილ-ი	ილია ჭავჭავაძე
		თანდებულიანი ფორმა	
	ექვთიმე	თაყაიშვილ-ი-ვით	–
მოთხრ.	ექვთიმე	თაყაიშვილ-მა	ილია ჭავჭავაძე-მ
მიც.	ექვთიმე	თაყაიშვილ-ს	ილია ჭავჭავაძე-ს
		თანდებულებიანი ფორმები	
	ექვთიმე	თაყაიშვილ-სა-ვით	ილია ჭავჭავაძე-სა-ვით
	ექვთიმე	თაყაიშვილ-თან	ილია ჭავჭავაძე-ს-თან
	ექვთიმე	თაყაიშვილ-ზე/ში	ილია ჭავჭავაძე-ზე/ში
ნათ.	ექვთიმე	თაყაიშვილ-ის	ილია ჭავჭავაძ■-ის
		თანდებულებიანი ფორმები	
	ექვთიმე	თაყაიშვილ-ის(ა)-თვის/გან	ილია ჭავჭავაძ■-ის(ა)-თვის/გან
მოქმ.	ექვთიმე	თაყაიშვილ-ით	ილია ჭავჭავაძ■-ით
		თანდებულიანი ფორმები	
	ექვთიმე	თაყაიშვილ-იდან	ილია ჭავჭავაძ■-იდან
ვით.	ექვთიმე	თაყაიშვილ-ად	ილია ჭავჭავაძე-დ
		თანდებულიანი ფორმები	
	ექვთიმე	თაყაიშვილ-ამდე	ილია ჭავჭავაძე-მდე
წოდ.	ექვთიმე	თაყაიშვილ-ო	ილია ჭავჭავაძე

ასევე:

სახ.	ბიძინა	კულუმბეგოვ-ი	თენგიზ მალანია

თანდებულიანი ფორმები

	ბიძინა კულუმბეგოვ-ი-ვით		–
მოთხრ.	ბიძინა კულუმბეგოვ-მა	თენგიზ	მალანია-მ
მიც.	ბიძინა კულუმბეგოვ-ს	თენგიზ	მალანია-ს

თანდებულებიანი ფორმები

	ბიძინა კულუმბეგოვ-სა-ვით	თენგიზ	მალანია-სა-ვით
	ბიძინა კულუმბეგოვ-თან	თენგიზ	მალანია-ს-თან
	ბიძინა კულუმბეგოვ-ზე/ში	თენგიზ	მალანია-ზე/ში
ნათ.	ბიძინა კულუმბეგოვ-ის(ა)	თენგიზ	მალანია-ს

თანდებულებიანი ფორმები

	ბიძინა კულუმბეგოვ-ის(ა)-თვის/გან	თენგიზ	მალანია-ს(ა)-თვის/გან
მოქმ.	ბიძინა კულუმბეგოვ-ით	თენგიზ	მალანია-თ(ი)

თანდებულიანი ფორმები

	ბიძინა კულუმბეგოვ-იდან	თენგიზ	მალანია-დან
ვით.	ბიძინა კულუმბეგოვ-ად	თენგიზ	მალანია-დ

თანდებულიანი ფორმები

	ბიძინა კულუმბეგოვ-ამდე	თენგიზ	მალანია-მდე
წოდ.	ბიძინა კულუმბეგოვ-ო	თენგიზ	მალანია

ასევე:

სახ.	პოლ ვალერი	მარინა ცვეტაევა

თანდებულიანი ფორმები

	–	–
მოთხრ.	პოლ ვალერი-მ	მარინა ცვეტაევა-მ
მიც.	პოლ ვალერი-ს	მარინა ცვეტაევა-ს

თანდებულებიანი ფორმები

	პოლ ვალერი-სა-ვით	მარინა ცვეტაევა-სა-ვით
	პოლ ვალერი-ს-თან	მარინა ცვეტაევა-ს-თან

	პოლ ვალერი-ზე/ში	მარინა ცვეტაევა-ზე/ში
ნათ.	პოლ ვალერი-ს	მარინა ცვეტაევა-ს
	თანდებულებიანი ფორმები	
	პოლ ვალერი-ს(ა)-თვის/გან	მარინა ცვეტაევა-ს(ა)-თვის/გან
მოქმ.	პოლ ვალერი-თ	მარინა ცვეტაევა-თ(ი)
	თანდებულიანი ფორმები	
	პოლ ვალერი-დან	მარინა ცვეტაევა-დან
ვით.	პოლ ვალერი-დ	მარინა ცვეტაევა-დ
	თანდებულიანი ფორმები	
	პოლ ვალერი-მდე	მარინა ცვეტაევა-მდე
წოდ.	პოლ ვალერი	მარინა ცვეტაევა

25. სახელის, მამის სახელისა და გვარის ერთად ბრუნების დროს მამის სახელი უშუალოდ მოსდევს პირის სახელს. სახელი და მამის სახელი არ დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს, გვარი იბრუნვის ჩვეულებრივად, ხოლო **ძე** და **ასული** – როგორც შესაბამისფუძიანი მსაზღვრელი საზღვრულთან ერთად. მაგ.:

დანართი № 10

სახ.	დარეჯან	არჩილის	ასულ-ი	ბაგრატიონ-ი
	თანდებულიანი ფორმა			
	დარეჯან	არჩილის	ასულ-ი	ბაგრატიონ-ი-ვით
მოთხრ.	დარეჯან	არჩილის	ასულ-მა	ბაგრატიონ-მა
მიც.	დარეჯან	არჩილის	ასულ	ბაგრატიონ-ს
	თანდებულებიანი ფორმები			
	დარეჯან	არჩილის	ასულ	ბაგრატიონ-სა-ვით
	დარეჯან	არჩილის	ასულ	ბაგრატიონ-თან
	დარეჯან	არჩილის	ასულ	ბაგრატიონ-ზე/ში
ნათ.	დარეჯან	არჩილის	ასულ-ი	ბაგრატიონ-ის
	თანდებულებიანი ფორმები			
	დარეჯან	არჩილის	ასულ-ი	ბაგრატიონ-ის(ა)-თვის/გან
მოქმ.	დარეჯან	არჩილის	ასულ-ი	ბაგრატიონ-ით

თანდებულიანი ფორმა

	დარეჯან	არჩილის	ასულ-ი	ბაგრატიონ-იდან
ვით.	დარეჯან	არჩილის	ასულ	ბაგრატიონ-ად

თანდებულიანი ფორმა

	დარეჯან	არჩილის	ასულ	ბაგრატიონ-ამდე
წოდ.	დარეჯან	არჩილის	ასულ-ო	ბაგრატიონ-ო

ასევე:

სახ.	ალექსი	აკაკის	ძე	წერეთელ-ი

თანდებულიანი ფორმა

	ალექსი	აკაკის	ძე	წერეთელ-ი-ვით
მოთხრ.	ალექსი	აკაკის	ძე	წერეთელ-მა
მიც.	ალექსი	აკაკის	ძე	წერეთელ-ს

თანდებულებიანი ფორმები

	ალექსი	აკაკის	ძე	წერეთელ-სა-ვით
	ალექსი	აკაკის	ძე	წერეთელ-თან
	ალექსი	აკაკის	ძე	წერეთელ-ზე/ში
ნათ.	ალექსი	აკაკის	ძე	წერეთ■ელ-ის

თანდებულებიანი ფორმები

	ალექსი	აკაკის	ძე	წერეთ■ელ-ის(ა)-თვის/გან
მოქმ.	ალექსი	აკაკის	ძე	წერეთ■ელ-ით

თანდებულიანი ფორმა

	ალექსი	აკაკის	ძე	წერეთ■ელ-იდან
ვით.	ალექსი	აკაკის	ძე	წერეთ■ელ-ად

თანდებულიანი ფორმა

	ალექსი	აკაკის	ძე	წერეთ■ელ-ამდე
წოდ.	ალექსი	აკაკის	ძე	წერეთელ-ო

26. ერთზე მეტ სახელთან გვარი იწერება მრავლობით რიცხვში. მაგ.:

დანართი № 11

სახ.	ჯემალ	და	გია	ბაღაშვილ-ებ-ი
		თანდებულიანი ფორმა		
	ჯემალ	და	გია	ბაღაშვილ-ებ-ი-ვით
მოთხრ.	ჯემალ	და	გია	ბაღაშვილ-ებ-მა
მიც.	ჯემალ	და	გია	ბაღაშვილ-ებ-ს
		თანდებულებიანი ფორმები		
	ჯემალ	და	გია	ბაღაშვილ-ებ-სა-ვით
	ჯემალ	და	გია	ბაღაშვილ-ებ-თან
	ჯემალ	და	გია	ბაღაშვილ-ებ-ზე/ში
ნათ.	ჯემალ	და	გია	ბაღაშვილ-ებ-ის
		თანდებულებიანი ფორმები		
	ჯემალ	და	გია	ბაღაშვილ-ებ-ის(ა)-თვის/გან
მოქმ.	ჯემალ	და	გია	ბაღაშვილ-ებ-ით
		თანდებულიანი ფორმა		
	ჯემალ	და	გია	ბაღაშვილ-ებ-იდან
ვით.	ჯემალ	და	გია	ბაღაშვილ-ებ-ად
		თანდებულიანი ფორმა		
	ჯემალ	და	გია	ბაღაშვილ-ებ-ამდე
წოდ.	ჯემალ	და	გია	ბაღაშვილ-ებ-ო

ასევე იბრუნება: გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, აშოტ და ბაგრატ კურაპალატები, მაგრამ: **მამა-შვილი ბაღაშვილი, და-ძმა ჩხეიძე** და მისთ.

27. თუ ადამიანის სახელი მოსდევს გვარს, მათი ერთად ბრუნება დამოკიდებულია გვარის (რომელიც ამ შემთხვევაში მსაზღვრელია) სახეობაზე – თანხმოვანფუძიანია თუ ხმოვანფუძიანი, ატრიბუტულია თუ სუბსტანტიური, ანუ ისე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის მსაზღვრელი საზოგადო სახელით გამოხატულ საზღვრულთან ერთად[77]. ნორმა, რომლის მიხედვითაც სახელს სახელობითში ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის (იხ. ნორმები, გვ. 134), გადასახედია. ეს არ ეხება გვარ-სახელის სიებს.

[77] თ ა მ ა რ ე ა შ ა კ ი ძ ე, სახელისა და გვარის შებრუნებული წყობისათვის, ქსკს, წიგნი XIV, თბ., 2014, გვ. 52.

დანართი № 12

გვარისა და სახელის ბრუნება

	ა) გვარი ხმოვანფუძიანია		ბ) გვარი თანხმოვანფუძიანია	
სახ.	ჭავჭავაძე	ილია	თაყაიშვილ-ი	ექვთიმე
		თანდებულიანი ფორმა		
	–	–	–	–
მოთხრ.	ჭავჭავაძე	ილია-მ	თაყაიშვილ-მა	ექვთიმე-მ
მიც.	ჭავჭავაძე	ილია-ს	თაყაიშვილ	ექვთიმე-ს
		თანდებულებიანი ფორმები		
	ჭავჭავაძე	ილია-სა-ვით	თაყაიშვილ	ექვთიმე-სა-ვით
	ჭავჭავაძე	ილია-ს-თან	თაყაიშვილ	ექვთიმე-ს-თან
	ჭავჭავაძე	ილია-ზე/ში	თაყაიშვილ	ექვთიმე-ზე/ში
ნათ.	ჭავჭავაძე	ილია-ს(ი)	თაყაიშვილ-ი	ექვთიმე-ს(ი)
		თანდებულებიანი ფორმები		
	ჭავჭავაძე	ილია-ს(ა)-თვის/გან	თაყაიშვილ-ი	ექვთიმე-ს(ა)-თვის/გან
მოქმ.	ჭავჭავაძე	ილია-თ(ი)	თაყაიშვილ-ი	ექვთიმე-თ(ი)
		თანდებულებიანი ფორმები		
	ჭავჭავაძე	ილია-დან	თაყაიშვილ-ი	ექვთიმე-დან
	ჭავჭავაძე	ილია-თ-ურთ	თაყაიშვილ-ი	ექვთიმე-თ-ურთ
ვით.	ჭავჭავაძე	ილია-დ	თაყაიშვილ	ექვთიმე-დ
		თანდებულიანი ფორმები		
	ჭავჭავაძე	ილია-მდე	თაყაიშვილ	ექვთიმე-მდე
წოდ.	ჭავჭავაძე	ილია	თაყაიშვილ-ო	ექვთიმე

ასევე:

სახ.	მალანია	თენგიზ-ი	კულუმბეგოვ-ი	ბიძინა
		თანდებულიანი ფორმები		
	მალანია	თენგიზ-ი-ვით	–	
მოთხრ.	მალანია	თენგიზ-მა	კულუმბეგოვ-მა	ბიძინა-მ
მიც.	მალანია	თენგიზ-ს	კულუმბეგოვ	ბიძინა-ს

		თანდებულებიანი ფორმები		
	მალანია	თენგიზ-სა-ვით	კულუმბეგოვ	ბიძინა-სა-ვით
	მალანია	თენგიზ-თან	კულუმბეგოვ	ბიძინა-ს-თან
	მალანია	თენგიზ-ზე/ში	კულუმბეგოვ	ბიძინა-ზე/ში
ნათ.	მალანია	თენგიზ-ის	კულუმბეგოვ-ი	ბიძინა-ს(ი)
		თანდებულებიანი ფორმები		
	მალანია	თენგიზ-ის(ა)-თეის/გან	კულუმბეგოვ-ი	ბიძინა-ს(ა)-თეის/გან
მოქმ.	მალანია	თენგიზ-ით	კულუმბეგოვ-ი	ბიძინა-თ(ი)
		თანდებულებიანი ფორმები		
	მალანია	თენგიზ-იდან	კულუმბეგოვ-ი	ბიძინა-დან
	მალანია	თენგიზ-ით-ურთ	კულუმბეგოვ-ი	ბიძინა-თ-ურთ
ვით.	მალანია	თენგიზ-ად	კულუმბეგოვ	ბიძინა-დ
		თანდებულიანი ფორმები		
	მალანია	თენგიზ-ამდე	კულუმბეგოვ	ბიძინა-მდე
წოდ.	მალანია	თენგიზ	კულუმბეგოვ-ო	ბიძინა

28. თუ შებრუნებული წყობისას (გვარი + სახელი) გვარსაც დავურთავთ ბრუნვის ნიშნებს, სახელი განკერძოვდება და დასაზუსტებელი სიტყვისაგან მძიმით გამოიყოფა[78]. მაგ.:

> თავადს ქეჩოში სტაცა ხელი ჭავჭავაძემ, **ილიამ**. დამირეკა მალანიამ, **თენგიზმა**. ამის შესახებ დაწერა კულუმბეგოვმა, **ბიძინამ**. „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“ უწოდეს თაყაიშვილს, **ექვთიმეს**. ყველას ერიდებოდა ჭავჭავაძისა, **ილიასი**. ვამაყობთ თაყაიშვილით, **ექვთიმეთი**. მან თავი გაგვაცნო მალანიად, **თენგიზად**. სია გადმოწერე კულუმბეგოვამდე, **ბიძინამდე**.

29. გვარისგან განსხვავდება პირთა ზედწოდებები, თუმცა, თუ სახელი წინ უსწრებს მსაზღვრელ ზედწოდებას, მათი ბრუნება არ განსხვავდება სახელ-გვარის ბრუნებისაგან. მაგ.:

---

[78] თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 54.

ვარიანტი № 13

სახ.	სოლომონ	ბრძენ-ი	მურვან	ყრუ
		თანდებულიანი ფორმები		
	სოლომონ	ბრძენ-ი-ვით	–	–
მოთხრ.	სოლომონ	ბრძენ-მა	მურვან	ყრუ-მ
მიც.	სოლომონ	ბრძენ-ს	მურვან	ყრუ-ს
		თანდებულებიანი ფორმები		
	სოლომონ	ბრძენ-სა-ვით	მურვან	ყრუ-სა-ვით
	სოლომონ	ბრძენ-თან	მურვან	ყრუ-ს-თან
	სოლომონ	ბრძენ-ზე/ში	მურვან	ყრუ-ზე/ში
ნათ.	სოლომონ	ბრძენ-ის	მურვან	ყრუ-ს(ი)
		თანდებულებიანი ფორმები		
	სოლომონ	ბრძენ-ის(ა)-თვის/გან	მურვან	ყრუ-ს(ა)-თვის/გან
მოქმ.	სოლომონ	ბრძენ-ით	მურვან	ყრუ-თი
		თანდებულებიანი ფორმები		
	სოლომონ	ბრძენ-იდან	მურვან	ყრუ-დან
	სოლომონ	ბრძენ-ითურთ	მურვან	ყრუ-თურთ
ვით.	სოლომონ	ბრძენ-ად	მურვან	ყრუ-დ
		თანდებულიანი ფორმები		
	სოლომონ	ბრძენ-ამდე	მურვან	ყრუ-მდე
წოდ.	სოლომონ	ბრძენ-ო	მურვან	ყრუ

30. აღნიშნულ შესიტყვებებში საკუთარ სახელად მიიჩნევა არა მხოლოდ საზღვრული (სოლომონი, მურვანი), არამედ მთლიანად გამოთქმა: სოლომონ ბრძენი, მურვან ყრუ. თუ ამგვარ გამოთქმებში რიგს შევცვლით, საკუთარი სახელი საზღვრულად გადაიქცევა და ბრუნვის ნიშნებსაც ის დაირთავს, მსაზღვრელი (ბრძენი, ყრუ) კი საზოგადო სახელთა ბრუნების წესებს დაემორჩილება. მაგ.:

დანართი №14

	მსაზღვრელი თანხმოვანფუძიანია		მსაზღვრელი ხმოვანფუძიანია	
სახ.	ბრძენ-ი	სოლომონ-ი	ყრუ	მურვან-ი
		თანდებულიანი ფორმები		
	ბრძენ-ი	სოლომონ-ი-ვით	ყრუ	მურვან-ი-ვით
მოთხრ.	ბრძენ-მა	სოლომონ-მა	ყრუ	მურვან-მა
მიც.	ბრძენ	სოლომონ-ს	ყრუ	მურვან-ს
		თანდებულებიანი ფორმები		
	ბრძენ	სოლომონ-სა-ვით	ყრუ	მურვან-სა-ვით
	ბრძენ	სოლომონ-თან	ყრუ	მურვან-თან
	ბრძენ	სოლომონ-ზე/ში	ყრუ	მურვან-ზე/ში
ნათ.	ბრძენ-ი	სოლომონ-ის	ყრუ	მურვან-ის
		თანდებულებიანი ფორმები		
	ბრძენ-ი	სოლომონ-ი-ს(ა)-თვის/გან/კენ	ყრუ	მურვან-ის(ა)-თვის/გან/კენ
მოქმ.	ბრძენ-ი	სოლომონ-ით	ყრუ	მურვან-ით
		თანდებულიანი ფორმები		
	ბრძენ-ი	სოლომონ-იდან	ყრუ	მურვან-იდან
ვით.	ბრძენ	სოლომონ-ად	ყრუ	მურვან-ად
		თანდებულიანი ფორმა		
	ბრძენ	სოლომონ-ამდე	ყრუ	მურვან-ამდე
წოდ.	ბრძენ-ო	სოლომონ	ყრუ	მურვან

31. სუბსტანტიურ მსაზღვრელ საკუთარ სახელს ბრუნვის ნიშნები არ დაერთვის. მაგ.:

დანართი № 15

სახ.	ოთარაანთ	მარიამ-ი	ჭავჭავაძიანთ	ეკატერინე
		თანდებულიანი ფორმები		
	ოთარაანთ	მარიამ-ი-ვით	–	–
მოთხრ.	ოთარაანთ	მარიამ-მა	ჭავჭავაძიანთ	ეკატერინე-მ
მიც.	ოთარაანთ	მარიამ-ს	ჭავჭავაძიანთ	ეკატერინე-ს
		თანდებულებიანი ფორმები		
	ოთარაანთ	მარიამ-სა-ვით	ჭავჭავაძიანთ	ეკატერინე-სა-ვით
	ოთარაანთ	მარიამ-თან	ჭავჭავაძიანთ	ეკატერინე-ს-თან
	ოთარაანთ	მარიამ-ზე/ში	ჭავჭავაძიანთ	ეკატერინე-ზე/ში
ნათ.	ოთარაანთ	მარიამ-ის	ჭავჭავაძიანთ	ეკატერინე-ს(ი)
		თანდებულებიანი ფორმები		
	ოთარაანთ	მარიამ-ის(ა)-თვის/გან	ჭავჭავაძიანთ	ეკატერინე-ს(ა)-თვის/გან
მოქმ.	ოთარაანთ	მარიამ-ით	ჭავჭავაძიანთ	ეკატერინე-თ(ი)
		თანდებულებიანი ფორმები		
	ოთარაანთ	მარიამ-იდან	ჭავჭავაძიანთ	ეკატერინე-დან
	ოთარაანთ	მარიამ-ით-ურთ	ჭავჭავაძიანთ	ეკატერინე-თ-ურთ
ვით.	ოთარაანთ	მარიამ-ად	ჭავჭავაძიანთ	ეკატერინე-დ
		თანდებულიანი ფორმები		
	ოთარაანთ	მარიამ-ამდე	ჭავჭავაძიანთ	ეკატერინე-მდე
წოდ.	ოთარაანთ	მარიამ	ჭავჭავაძიანთ	ეკატერინე

§ 19. გეოგრაფიულ სახელთა მართლწერა

გეოგრაფიულია სახელი, რომელიც ეწოდება კონტინენტს, ოკეანეს, ზღვას, დინებას, ტბას, ყურეს, მდინარეს, მთას, ზეგანს, დაბლობს, სტეპს, უდაბნოს, კუნძულს, კონცხს, ჭაობს, ტყეს, მინდორს, ველს, ქვეყანას, მხარეს, ოლქს, დასახლებულ პუნქტს (ქალაქს, დაბას, სოფელს, ქუჩას).

გეოგრაფიული ობიექტების (ადგილის) სახელწოდების (იგივე ტოპონიმების) მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. გეოგრაფიული საკუთარი სახელები იწარმოება **-ეთ, სა-ეთ** (დაერთვის ძირითადად ტომობრივ და ეთნიკურ სახელებს), **სა-ე, სა-ო, ნა-არ (ალ), ნა-ევ, ნო-ევ, -ის, -ნარ, -ით** აფიქსებით. ისინი გვხვდება სხვა ქვეყნების ქართულ სახელწოდებებშიც.

სწორია: აფხაზეთი, იმერეთი, კახეთი, სვანეთი; საირმე, საჩხერე, საინგილო, სამაჩაბლო, სამურზაყანო, საქართველო; ნატახტარი, ნასაკირალი; ნაღვარევი, ნოქალაქევი; ახრისი, მანგლისი, რუისი, ურბნისი, ქიწრისი, ყინწვისი, შინდისი, წავკისი; დაფნარი, იფნარი, ჭოგნარი; ბობოთი, მუხუთი, ბეღლითი, ბორითი[79].

ასევე: ესპანეთი, ესტონეთი, თათრეთი [და არა თათარსტანი], მოლდავეთი [და არა მოლდოვა], მორდვეთი [და არა მორდვა], სომხეთი [და არა სასომხეთი], ტაჯიკეთი [და არა ტაჯიკისტანი], ყაბარდო-ბალყარეთი [და არა კაბარდინო-ბალკარია], ყაზახეთი [და არა ყაზახისტანი], ყალმუხეთი [და არა კალმიკია], ყარაყალპაკეთი [და არა კარაკალპაკია], ყარაჩაეთ-ჩერქეზეთი [და არა კარაჩაი-ჩერკესია], ყირგიზეთი [და არა ყირგიზსტანი], შვედეთი // შვეცია, ჩეჩნეთი [// ჩაჩნეთი], ჩუვაშეთი [და არა ჩუვაშია], საბერძნეთი, საფრანგეთი.

-ეთ გვარსახელების მიხედვით აწარმოებს სოფლის სახელწოდებას (სიმონ-ეთ-ი, დარჩი-ეთ-ი), პოეტურ მეტყველებაში კი გამოიყენება ფიქციური ტოპონიმების საწარმოებლადაც, როგორიცაა: გზეთი, სულეთი, ვარსკვლავეთი, მოუსავლეთი, შავეთი. მაგ.:

---

[79] იხ. საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1989.

ამას ებრძანებ: ვინცა გინდა ეპატრონოს ინდოეთსა,
ეგრეც მე მაქვს პატრონობა, უგზოს ვლიდენ,
თუნდა **გზეთსა**! (შოთა რუსთაველი).

თხაო, ნუ გაგხარებია,
განა **სამგლეთი** დაიქცა? (ხალხური).

2. ქართული გეოგრაფიული სახელები, სხვა საკუთარი სახელებისაგან განსხვავებით, საზოგადო სახელების მსგავსად იკუმშება, ანუ იკუმშება უმთავრესად ისეთი ტოპონიმები, რომელთა ბოლო მარცვალია:

ალ: გრაკალი – გრაკლის, გრაკლით; სვეტმაღალი – სვეტმაღლის, ქვასათალი – ქვასათლის, ჩარგალი – ჩარგლის, წინანდალი – წინანდლის, ჭართალი – ჭართლის; აგრეთვე **წყალ** კომპონენტის შემცველი ყველა ტოპონიმი, მაგ.: ბახვისწყალი, ცხენისწყალი, ხანისწყალი;

არ: ავლაბარი – ავლაბრის, ავლაბრით; გარეჯვარი – გარეჯვრის, გუდამაყარი – გუდამაყრის, მტკვარი – მტკვრის, მჭადიჯვარი – მჭადიჯვრის, ნატახტარი – ნატახტრის, ნაქალაქარი – ნაქალაქრის;

ამ: თეძამი – თეძმის, ოკამი – ოკმის;

ან: აბასთუმანი – აბასთუმნის, აბასთუმნით; ალაზანი – ალაზნის, ახალუბანი – ახალუბნის, გარდაბანი – გარდაბნის, ვაშლოვანი – ვაშლოვნის, იშხანი – იშხნის, ფარავანი – ფარავნის, ქსანი – ქსნის, შორაპანი – შორაპნის, ვარდისუბანი – ვარდისუბნის, ჩალაუბანი – ჩალაუბნის, წეროვანი – წეროვნის, წილკანი – წილკნის;

ელ: ახალსოფელი – ახალსოფლის, ახალსოფლით; ენისელი – ენისლის, ფშაველი – ფშაველის, ყვარელი – ყვარლის;

ერ: ეწერი – ეწრის, ეწრით; ზღუდერი – ზღუდრის, შულავერი – შულავრის;

ორ: იორი – ივრის, ივრით; კოჯორი – კოჯრის;
ომ: დიღომი – დიღმის, დიღმით.

ზოგჯერ ერთნაირი ფუძეები გამიჯნულია იმის მიხედვით, საქართველოს რომელ მხარესაა ესა თუ ის გეოგრაფიული

ობიექტი. მაგ., **დაბა ჯვარი**, რომელიც არის დასავლეთ საქართველოში (კერძოდ – სამეგრელოში), უკუმშველია (მაგ., დაბა **ჯვარის** მოსახლეობა), მაგრამ კუმშვადია აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე **ჯვრისხევი, ჯვრის** უღელტეხილი. ასევე უკუმშველია **კლდეკარი, ზეკარი**, მაშინ როდესაც კუმშვადია **ტაშისკარი, ხიდიკარი**[80].

არაქართული ტოპონიმები ძირითადად უკუმშველია.

3. იკვეცება:

ა) ა-ფუძიანი ქართული და უცხოური ტოპონიმები, გარდა ადამიანის (პირის) სახელისაგან წარმოქმნილებისა, მათ შორის:

ქართული: აბაშა – აბაშის, აბაშით; ანაგა, ანაკოფია, ასპინძა, ახმეტა, ბედია, ბიჭვინთა, გაგრა, გურია, მარაბდა, მახათა, მცხეთა, ორსანტია, ოტობაია, რაჭა, რიწა, სიდა, უშბა, ქედა, შხარა, ჩიხურა, ძირულა, ხურჩა.

უცხოური: ავსტრალია – ავსტრალიის, ავსტრალიით; აზია, ანტარქტიდა, ანტარქტიკა, არქტიკა, ასტანა, აფრიკა, ბელორუსია [და არა ბელარუსი], მაგრამ: ბელორუსი (კაცი), ბრაზილია, ბუხარა, გენუა, გვადალახარა, გრენლანდია, დანია, ევროპა, ვარშავა, ვენა, ვენეცია, ვერონა, ვოლგა, კოლუმბია, კორეა, ლიეტუვა (ყოფილი ლიტვა), ლაპლანდია, მალტა, მედინა, მექა, პალესტინა, პარმა, პიზა, ჟენევა, ტირანა, ფლორენცია, ჰააგა, ჰავანა;

სწორია: გუმისთის, მეჯუდის, ტანის, ღალიძგის, ჩიხურის, ძირულის წყალი; ფოკის, ხანძთის მონასტრები; ორსანტიის, ოტობაიის, ხურჩის სკოლები;

ასევე: ალაბამის, არიზონის, ინდიანის, კაროლინის, მინაზოდის, ოკლაჰომის, ჯორჯიის შტატები; ბარსელონის, გენუის, ვალენსიის გუნდები; ბრატისლავის, მანაგუის, მედინის, მექის, ნიკარაგუის, ტირანის, ჰიროსიმის მოსახლეობა; ელბის, ვისლის, ლენის, ნევის, სენის, ტემზის დინება, პიზის კოშკი, ნიაგარის ჩანჩქერი, ფუძიამის ამოფრქვევა, ჯომოლუნგმის მწვერვალი.

მაგრამ: მაკრატელას, ნაქერალას, უნაგირას, შავნაბადას მთები;

---

[80] იხ. სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, დანართი № 1.

ასევე: ვიქტორიას მიწა, მარიანას კუნძულები, დედოფალ ალექსანდრას ქედი;

ბ) ე-ფუძიანი ქართული ტოპონიმები (უცხოური უკვეცელია):

ბოდბე – ბოდბის, ბოდბით; ვარციხე, ვერე, ზვარე, ნოსტე, სავანე, სამშვილდე, სამცხე, ფრონე;

სწორია: ბოდბის, დიდუბის ეკლესიები; ვერის, ფრონის ხეობა.

4. უკვეცელია:

ა) ლე-ე- და **ო-ე-**აფიქსიანი ქართული, კერძოდ მეგრული, ტოპონიმები:

ლე-უვანი-ე, ლე-ფოჩხუ-ე, ლე-სხულუხი-ე, ო-კვინორ-ე, ო-ხარჩქუ-ე[81].

ბ) ე-თი დაბოლოებული უცხოური ტოპონიმები:

დუშანბე (ყოფილი დუშამბე) – დუშანბეს, დუშანბეთი; ზაპოროჟიე, ზიმბაბვე, იორდანე, პეტროვსკოე, პოლესიე, პრიმორიე, ულან-უდე, ჩილე;

გამონაკლისი: ეგვიპტე – ეგვიპტის, ეგვიპტით, რომელშიც ფუძისეული **ე** არ არის უცხო წარმოშობისა.

გ) ო-თი დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები, მათ შორის:

ქართული: საგარეჯო – საგარეჯოს, საგარეჯოთი; სამეგრელო, საჩინო, სნო, შუაფხო, ხულო, ჯოყოლო;

უცხოური: ბილბაო – ბილბაოს, ბილბაოთი; ბორდო, გაბროვო, გლაზგო, ვატერლოო, კაირო, კილიმანჯარო, კოლორადო, კონგო, კოსოვო, მაროკო, მეხიკო, მონაკო, მონტევიდეო, ოსლო, პალერმო, საკრამენტო, სორენტო, ტოკიო, ჩიკაგო, ჰოკაიდო.

უკანასკნელ ხანებში ხშირად გვხვდება მაგალითები, რომლებშიც **ო**-ფუძიან გეოგრაფიულ სახელებში ბოლოკიდური ხმოვანი მოკვეცილია, რაც ნორმების უხეში დარღვევაა. ამ პროცესის გაძლიერებას ხელს უწყობს სიტყვაწარმოებითი ბოლოსართები: **-ელ** და **-ურ**.

---

[81] იხ. სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, დანართი № 1.

სწორია: ბარისახოს, ბახმაროს, კუმურდოს, ომალოს, საგარეჯოს (საგარეჯოული), საგურამოს, სამურზაყანოს (სამურზაყანოელი, სამურზაყანოული), წყალტუბოს (წყალტუბოელი, წყალტუბოური);

ასევე: გროზნოს (გროზნოელი), დომოდედოვოს, ენუკოვოს, ივანოვოს (ივანოვოელი), კემეროვოს (კემეროვოელი) კოლორადოს (კოლორადოული), კოსოვოს (კოსოვოელი, კოსოვოური), მაროკოს (მაროკოელი, მაროკოული, მონაკოს (მონაკოური), მონტენეგროს (მონტენეგროული), ტოკიოს (ტოკიოური), ტორონტოს, ყაბარდოს (ყაბარდოული), ჩიკაგოს (ჩიკაგოური);

მცდარი ფორმებია: ბარისახის, ბახმარის, კუმურდის, ომალის, საგარეჯის (საგარეჯული), საგურამის, სამურზაყანის (სამურზაყანელი, სამურზაყანული), საჯავახელი, საჯავახური, წყალტუბის (წყალტუბელი, წყალტუბური);

ასევე: გროზნის (გროზნელი), დომოდედოვის, ენუკოვის, ივანოვის (ივანოველი), კემეროვის (კემეროველი), კოლორადის (კოლორადული), კოსოვის (კოსოველი, კოსოვური), მარიკის (მაროკელი, მაროკული), მონაკოს (მონაკური), მონტენეგრის (მონტენეგრული), ტოკიის (ტოკიური), ტორინტის, ყაბარდის (ყაბარდული), ჩიკაგის (ჩიკაგური) (მაგალითები მოყვანილია ვახტანგ იმნაიშვილის წიგნიდან)[82].

დ) **უ**-თი დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები, თუმცა ამ შემთხვევაშიც გვხვდება **უ**-ს მოკვეცის მაგალითები. ეს განსაკუთრებით ეხება ახლად წარმოქმნილი ჯუჯა სახელმწიფოების სახელებს.

სწორია: დვაბზუ – დვაბზუს (დვაბზუელი, დვაბზუური), ჩხოროწყუ – ჩხოროწყუს (ჩხოროწყუელი, ჩხოროწყუული); ასევე: ვანუატუ – ვანუატუს (ვანუატუელი, ვანუატუური), მალიბუ – მალიბუს, ნაურუ – ნაურუს (ნაურუელი, ნაურუული), ტუვალუ – ტუვალუს (იქვე);

და არა: დვაბზის (დვაბზელი, დვაბზური), ჩხოროწყის (ჩხოროწყელი, ჩხოროწყული); ასევე: ვანუატის (ვანუატელი, ვანუატური), მალიბის, ნაურის (ნაურელი, ნაურული), ტუვალის.

---

[82] იხ. ვ ა ხ ტ ა ნ გ ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული მართლწერის სადავო საკითხები, თბ., 2016, გვ. 343-355.

ე) ი-თი დაბოლოებული უცხოური ტოპონიმები (ქართული არა გვაქვს):

ბომბეი – ბომბეი-ს, ბომბეით; ბრუნეი, გობი, დელი, დუბაი, დუნაი, ენისეი, კაპრი, მალი, მისისიპი, ნაგასაკი, პარაგვაი, სალონიკი, სიდნეი, სომალი, ტაიტი, ტრიპოლი, ურუგვაი, ფიჯი, შანხაი, ჰავაი, ჰაიტი, ჰელსინკი.

სწორია: ისვენებს კაპრი-ზე, დასახლდა მალი-ში, გადაუფრინა გობი-ს.

და არა: ისვენებს კაპრზე, დასახლდა მალში, გადაუფრინა გობს.

ზოგჯერ ერთი და იგივე დასახელება აქვს კუნძულსაც და სახელმწიფოსაც. ეს უნდა გავითვალისწინოთ თანდებულების დართვისას. **-ზე** თანდებული უნდა გამოვიყენოთ, თუ ვგულისხმობთ კუნძულს, **-ში** კი უნდა დავურთოთ კუნძულ-სახელმწიფოს.

სწორია: დასახლდა ბაჰამი**ზე**, ჰავაი**ზე**, ჰაიტი**ზე** (კუნძულები იგულისხმება), ცხოვრობს გოია**ში** (ინდოეთის პროვინციაა), ჰავაი**ში** (ამერიკის შტატია), ჰაიტი**ში** (სახელმწიფოა ვესტინდოეთში).

შენიშვნა: ქართულ ენაში უკანასკნელ ხანს გაძლიერებული პროცესი – **ი**-ფუძიანი სახელების გადასვლა თანხმოვანფუძიანი სახელების რიგში – **ი**-თი დაბოლოებულ უცხოურ ტოპონიმებსაც შეეხო. სალაპარაკო ენაში სულ უფრო ხშირად გვხვდება ასეთი ფორმები: დელში გაფრინდა, სალონიკში დასახლდა, ტრიპოლში იმოგზაურა, ჰელსინკში გადაიხვეწა... და ძნელია ამ პროცესის შეჩერება აკრძალვით.

5. ზოგ გეოგრაფიულ სახელს წერენ დამახინჯებული ფორმით.

სწორია: ალასკა, ანთალია, ბირმინგემი, დიუსელდორფი, **ზ**აარბრიუკენი, **თ**ელ-ავივი, ისპაანი, კაირო, კარაჩი, **კ**ატარი, კელნი, ლაიფციგი, ოჰაიო, სან-პაულუ, ყარაღანდა, შტუტგარტი, ჰიროსიმა, ჰონკონგი[83].

---

[83] საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1989.

და არა: ალიასკა, ანტალია, ბირმინჰემი, დუსელდორფი, საარბრიუკენი, სან-პაულო, ყარაგანდა, ტელ-ავივი, ისპაჰანი, ქაირო, ყარაჩი, ყატარი, კიოლნი ან კოლნი, ლეიფციგი ან ლაიპციგი, ოგაიო, შტუტჰარტი, ხიროსიმა, გონკონგი.

რიგ შემთხვევაში უცხოურ საკუთარ სახელთა ქართული დაწერილობა ტრადიციითაა განპირობებული. მაგ., ფრანგული Paris ქართულად გადმოდის როგორც პარიზი [და არა პარი], Washington – როგორც ვაშინგტონი [და არა უოშინგტონი][84].

6. უცხოური სიტყვა, კერძოდ საკუთარი სახელი, რომელშიც გაორმაგებული თანხმოვანია, ქართულში გადმოდის ერთი თანხმოვნით[85].

სწორია: გალია, ზელანდია, თესალია, იოჰანესბურგი, კასტილია, მასაჩუსეტსი, ჰოლანდია (ნიდერლანდის არაოფიციალური სახელწოდება).

7. მხოლოდ მრავლობითის ფორმა აქვს ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელს:

ბაგები, ბოსლები, კოშკები, მსხლები, რკონი, ჭანდრები, ვაშლევი, ძეგლევი (**-ევ -ებ** ნიშნის ნაირსახეობაა, რომელიც გამოიყენებოდა ქართული ენის ერთ-ერთ ისტორიულ დიალექტში) (აკაკი შანიძე)[86]; დუდაურები, მიგრიაულები, დორეულები; გელაძეები, გორგაძეები, დიაკონიძეები, ვანაძეები, ზარიძეები, ირემაძეები, ცენტერაძეები, ძებნიაურები; კაიშაურნი, ეეშაგურნი, თოთიაურნი, მეჯილაურნი, სეთურნი; თინიკაანი, მამულაანი, მაჭარაანი, შიუკაანი (ყველა სოფელია, გარდა ბაგებისა და რკონისა).

8. მრავლობითი რიცხვის ფორმით იხმარება უცხოური ტოპონიმები, რომლებიც რეალურ სიმრავლეს აღნიშნავენ:

ალპები, ანდები, აპალაჩები, აპენინები, კარპატები, კორდილიერები, ფილიპინები;

---

[84] იქვე, გვ. 18.

[85] იქვე, გვ. 19.

[86] ბესარიონ ჯორბენაძე, მანანა კობაიძე, მარინე ბერიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 133.

მაგრამ: ნიდერლანდი [და არა ნიდერლანდები].

9. ზოგიერთ გეოგრაფიულ ადგილს სახელწოდება შეეცვალა:

> კალკუტა ⇒ კოლკატა, ლენინგრადი (მანამდე – პეტროგრადი, სანქტ-პეტერბურგი) ⇒ სანქტ-პეტერბურგი, კამბოჯა ⇒ კამპუჩია, ცეილონი ⇒ შრი-ლანკა (როგორც აღნიშნავენ, შრი-ლანკა რუსულის გავლენით მიღებული ფორმაა, უნდა იყოს: სრი-ლანკა)[87].

10. ბევრი გეოგრაფიული სახელი კომპოზიტი ან შესიტყვებაა. **მათი დაწერილობა (განსაკუთრებით – უცხოური ტოპონიმებისა) ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია.**

გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონების მიხედვით **დეფისით ერთდება:**

ა) ერთმანეთის გვერდით მდებარე გეოგრაფიულ ადგილთა სახელები (I კომპონენტი ფუძის სახით იწერება):

> გურია-სამეგრელო, ერწო-თიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამცხე-საათაბაგო, ტაო-კლარჯეთი, ფშავ-ხევსურეთი, ქართლ-კახეთი, ციე-გომბორი; ასევე: ელზას-ლოთარინგია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთი;

ბ) გაორკეცებული ფუძეები: ბადენ-ბადენი;

გ) შესიტყვების ფორმის მქონე უცხოური ტოპონიმები, რომლებიც ქართულში **რატომღაც** დეფისით იწერება (ალბათ რუსული ენის გავლენით), ან შეთანხმებულმსაზღვრელიანი კომპოზიტები, რომელთაც ერთვის არტიკლები, თანდებულები, ნაწილაკები, ბრუნვის ნიშნები: ლე, ლა, ლას, ლოს, დე, დელ, დი, ელ, ო, ოვ, დენ. მაგ.:

> ადის-აბება, ალმა-ათა, ბელაია-რეჩკა, ბუენოს-აირესი, ბურკინა-ფასო, გეორგე-გეორგიუ-დეჟი, ელ-ჯაზირა, ვერხნი-ტაგილი, თელ-ავივი, კარლოვი-ვარი, ლა-მანში, ლას-ვეგასი, ლოს-ანჯელესი, მინერალნიე-ვოდი, მონტე-კარლო, ნიუნი-ტაგილი, ნიუ-იორკი, პუერტო-

---

[87] ვახტანგ იმნაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 463.

რიკო, სან-დიეგო, სან-მარინო, სან-რემო, სანტა-ბარბარა, სანტო-დომინგო, სან-ფრანცისკო, სანქტ-პეტერბურგი, სენ-ბერნარი, სირ-დარია, სტარი-კრიმი, სუხე-ბატორი, ულან-ბატორი, ულან-უდე;

სამკომპონენტიანები: პა-დე-კალე, რიო-დე-ჟანეირო, სანტიაგო-დე-კუბა;

ოთხკომპონენტიანები: სან-ბერნარდუ-დუ-კამპუ, რიო-გრანდე-დე-სანტიაგო, ლიმბურგ-ან-დერ-ლანი.

ერთი და იმავე მსაზღვრელებით შედგენილი კომპოზიტებიდან ქართულად ზოგი დეფისითაა წარმოდგენილი, ზოგი – უდეფისოდ, შერწყმულად. მაგ.: ტიან-შანი (ციური მთები), მაგრამ: ტიანძინი (ციური კარი – მდინარე), ნიუ-იორკი (ახალი იორკი), მაგრამ: ნიუპორტი (ახალი პორტი).

„რატომ გავრცელდა ჩვენში რთული ტოპონიმების ამგვარი დაწერილობა? რუსულში წერენ ამგვარად და წლების წინ ჩვენს თავში ჩაცემენტებულ ჩვეულებას, რომ ყველაფერი რუსულის მსგავსად, რუსულის წამხედურობით, მისი გავლენით უნდა გაგვეკეთებინა, თავი ვერ დავაღწიეთ“[88].

ქართული ორთოგრაფიის პრინციპების მიხედვით ყველა ერთცნებიანი კომპოზიტი უდეფისოდ, ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს უგამონაკლისოდ (ვახტანგ მაღრაძე). ამ თვალსაზრისს ჩვენც ვიზიარებთ.

11. უდეფისოდ, ერთ სიტყვად იწერება:

ა) შეთანხმებულმსაზღვრელიანი კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტი არ აღიქმება გეოგრაფიული ადგილის სახელად:

ახალგორი, ახალდაბა, ახალუბანი, დიდგორი, კოხტაგორა, ოქროყანა, სამგლეგორა, ღრმაღელე, შუამთა, შუახევი, ცხრაწყარო, წითელწყარო, წითელხევი, წინაუბანი, წინარეხი, წინწყარო;

ზოგჯერ მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა ინვერსიულია:

---

[88] ვ ა ხ ტ ა ნ გ ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 469.

გიორგიწმინდა, დაბაძველი, ერთაწმინდა, მთაწმინდა, მსხალდიდი, ნიკორწმინდა, სვეტმაღალი, წყალწმინდა, ჭალადიდი, ჭყონდიდი, ხევგრძელი, ხემაღალი;

ბ) ერთმარცვლიანი მსაზღვრელის ან საზღვრულის შემცველი ტოპონიმები:

ხემაღალი, რუსთავი, ვაკეტყე, შუამთა, შუაფხო[89];

გ) ტოპონიმები, რომელთა პირველი კომპონენტი მორფოლოგიურად გაცვეთილია (ფუძის სახითაა წარმოდგენილი) ან ნაწილობრივ აქვს მოკვეცილი ბრუნვის ნიშანი, მაგ.:

წითელწყარო, ვაკიჯვარი, ხუცუბანი[90];

დ) უცხოური ტოპონიმების ნაწილი, რომლებიც მსესხებელ ენაზედაც უდეფისოდ, ერთ სიტყვად იწერება: ვლადიოსტოკი, ზაარბრიუკენი, ლუქსემბურგი, ლიხტენშტაინი, მესოპოტამია (=შუამდინარეთი), ნოვოროსიისკი, ნოვოსიბირსკი, სტაროდუბი, ყარაყორუმი, ჯეიმსტაუნი, ჯომოლუნგმა.

ე) ე. წ. მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტია მცირე ოდენობის აღმნიშვნელი სიტყვები: კარი, პირი, უბანი, ძირი, წყალი, ხევი. მაგ.: გუბისწყალი, ვანისწყალი, აჭარისწყალი, ბახვისწყალი, ბოდბისხევი, გამდლისწყარო, გორისუბანი, დედოფლისწყარო, ვარდისუბანი, ველისციხე, კავთისხევი, ლამისყანა, მაცხოვრისკარი, მეჯვრისხევი, მთისძირი, უფლისციხე, ყვირილისწყალი, ციხისჯვარი, ცოდნისკარი, ცრემლისხიდი; ბერთუბანი, თანდილაანთკარი, მთიულთუბანი, წინამძღვრიანთკარი, ხევსურთსოფელი.

12. ზოგი ტოპონიმი შესიტყვებაა, რომლის პირველი კომპონენტია: ახალი, ძველი, გაღმა, გამოღმა, გადაღმა, დიდი, პატარა, ზედა, ქვედა, ზემო, ქვემო და სხვ. გეოგრაფიული ადგილის სახელწოდებაში შეიძლება მეორე კომპონენტად შედიოდეს: არქიპელაგი, არხი, დაბლობი, დინება, ვაკე, ველი, ზეგანი, ზღვა, კუნძული, კონცხი, მასივი, მაღლობი, მთა (მთები), მთიანეთი, მინდორი, მიწა, მხარე, ნაპირი, ნახევარკუნძული, ოკეანე, ოლქი, პიკი, პლატო, სრუტე, სტეპი, ტბა, უბე, უღელტეხილი, ქედი, ქვაბული, ღარი, ღრმული, ყელი, ყურე, წყალსაცავი, ჭაობი, ჭიუხი.

---

[89] ნორმების ბიულეტენი № 3, გვ. 11.

[90] იქვე.

ცალ-ცალკე იწერება:

ქართული: ახალი ათონი, ახალი სამგორი, ძველი აბაშა, ძველი ქანდა, გაღმა ბოსლევი, გამოღმა ნოღა, გადაღმა წყალწითელა, დიდი ლიახვი, დიდი ჯიხაიში, მცირე კავკასიონი, პატარა მეჯვრისხევი, პატარა ცემი, ზედა ეწერი, ქვედა საზანო, ზემო ბოდბე, ქვემო ჭყვიში;

ასევე: თრიალეთის ქედი, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, კუს ტბა, ლიხის მთა, მწვანე კონცხი, ნუცუბიძის პლატო, პირიქითი ქედი (თუშეთის ქედი), შავი ზღვა;

უცხოური: ახალი გვინეა, დიდი ბრიტანეთი, დიდი კანიონი, მცირე აზია, პატარა სენ-ბერნარი, ზემო ავსტრია, ქვემო ავსტრია;

ასევე: აზოვის ზღვა, ანატოლიის ზეგანი, ანდალუსიის მთები, ანტიოკიის მასივი, აპენინის ნახევარკუნძული, არალის ზღვა, ატლანტის ოკეანე, კარიბის ანდები, კორეის ყელი, კორინთის არხი, კოსოვოს მინდორი, კრომველის დინება, კურილის [და არა კურილიის] კუნძულები, ლაჟვარდოვანი ნაპირი, მალტის სრუტე, მარმარილოს ზღვა, ოქროს ნაპირი, სპილოს ძვლის ნაპირი, ხმელთაშუა ზღვა.

3. -ეთ ბოლოსართით იწარმოება მხარეთა აღმნიშვნელი სახელებიც: აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი, ჩრდილოეთი. ეს სიტყვები ზოგჯერ დამოუკიდებლად იხმარება: აღმოსავლეთი მოიარა, დასავლეთში გადასახლდა და მისთ., ზოგჯერ კი – მსაზღვრელად: აღნიშნავს გეოგრაფიული ადგილის ნაწილს, რომელიც ამ მხარესაა.

სწორია: აღმოსავლეთი ევროპა, დასავლეთი საქართველო, ჩრდილოეთი კორეა, მაგრამ: ჩრდილო(ეთ)კორეელი; სამხრეთი კავკასია // ამიერკავკასია.

და არა: აღმოსავლეთ ევროპა, დასავლეთ საქართველო, ჩრდილოეთ კორეა, სამხრეთ კავკასია.

ასეთ სახელწოდებათა მსაზღვრელს ტოპონიმთან ერთად ბრუნებისას ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშნები არ დაერთვის (ისევე როგორც ხელობა-თანამდებობა-წოდების აღმნიშვნელ სახელებს საკუთარ სახელთან ერთად ბრუნებისას).

დანართი № 16

სახ.	დასავლეთ-ი	მხარე	დასავლეთ-ი	გერმანია
მოთხრ.	დასავლეთ-მა	მხარე-მ	დასავლეთ-მა	გერმანია-მ
მიც.	დასავლეთ	მხარე-ს	დასავლეთ	გერმანია-ს
		თანდებულებიანი ფორმები		
	დასავლეთ	მხარე-სა-ვით	დასავლეთ	გერმანია-სა-ვით
	დასავლეთ	მხარე-ს-თან	დასავლეთ	გერმანია-ს-თან
	დასავლეთ	მხარე-ზე/ში	დასავლეთ	გერმანია-ზე/ში
ნათ.	**დასავლეთ-ი**	**მხარ■-ის**	**დასავლეთ**	**გერმანი■-ის**
		თანდებულებიანი ფორმები		
	დასავლეთ-ი	**მხარ■-ის(ა) - თვის/გან**	**დასავლეთ**	**გერმანი■-ის(ა) - თვის/გან**
მოქმ.	**დასავლეთ-ი**	**მხარ■-ით**	**დასავლეთ**	**გერმანი■-ით**
		თანდებულიანი ფორმა		
	დასავლეთ-ი	**მხარ■-იდან**	**დასავლეთ**	**გერმანი■-იდან**
ვით.	დასავლეთ	მხარედ-დ	დასავლეთ	გერმანია-დ
		თანდებულიანი ფორმა		
	დასავლეთ	მხარე-მდე	დასავლეთ	გერმანია-მდე
წოდ.	დასავლეთ-ო	მხარე-ვ	დასავლეთ-ო	გერმანია-ვ

ასე რომ, **სწორია:** აღმოსავლეთ ევროპის ვაკე, დასავლეთ ავსტრალიის დინება, ჩრდილოეთ კორეის მთები, სამხრეთ ჩინეთის ზღვა.

14. თუ გეოგრაფიული ერთეული რაიმე ტერიტორიის ნაწილი კი არ არის, არამედ ასეთ ტერიტორიაზეა (მაგ., მიედინება მდინარე), მაშინ სწორი ფორმებია:

აღმოსავლეთის მთები, აღმოსავლეთის გასასვლელი, დასავლეთის ბუგი, დასავლეთის დვინა, დასავლეთის მანიჩი, დასავლეთის დიდი ერგი, დასავლეთის შელფური მყინვარი, სამხრეთის ოკეანე, სამხრეთის ქვაბული, სამხრეთის პასატური დინება, სამხრეთის ქვაბული, ჩრდილოეთის არხი, ჩრდილოეთის დვინა, ჩრდილოეთის ზღვა, ჩრდილოეთის პოლარული ზღვა, ჩრდილოეთის საზღვაო არხი, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე, ჩრდილო-აღმოსავლეთის გასასვლელი, ჩრდილო-დასავლეთის ქვაბული.

შენიშვნა: ტოპონიმებისა და ტოპონიმური წარმოშობის სახელწოდებათა გადმოღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის კანონი, რომელიც გაერთიანებული ორგანიზაციის მეორე საერთაშორისო კონფერენციამ მიიღო 1972 წელს ლონდონში, გეოგრაფიულ სახელთა სტანდარტიზაციის საკითხებთან დაკავშირებით. ეს კანონი გულისხმობს თარგმნადი ტოპონიმების შეცვლას ტრანსკრიფციით ან ტრანსლიტერაციით ანბანის ბუნების შესაბამისად (მაგ., ტოპონიმური Blue Mountains – „ბლუ მაუნტინზ“, და არა „ცისფერი მთები“)[91].

[91] მ ა ნ ა ნ ა ტ ა ბ ი ძ ე, ქტემატონიმებისა და პრაგმატონიმების შესახებ ქართულში, ქსკს, წიგნი VIII, თბ., 1988, გვ. 359.

§ 20. სასაქონლო ნიშნების სახელები

საკუთარ სახელებს შეიძლება მივაკუთვნოთ სხვადასხვა სასაქონლო ნიშნის სახელები. ესენია: სასტუმროების, კინოთეატრების, კაფე-რესტორნების, გემების, თვითმფრინავების, იარაღის, მუსიკალური ინსტრუმენტების, საიუველირო ნაკეთობათა, ძვირფასი ქვების, ჟურნალების, გაზეთების, სადღესასწაულო დღეების, სხვადასხვა საფირმო სახელწოდებების და სხვ. მაგ.: გემები: „ქერჩი“, „რუსთაველი“, „საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი“... მუსიკალური კოლექტივები: „კოლხეთი“, „ივერია“... დღესასწაულები: „ბავშვთა დაცვის დღე“, „ყვავილების დღესასწაული“... მაღაზიები: „ლუქსი“, „წითელქუდა“, „ზურმუხტი“... კინოთეატრები: „ეკრანი“, „გაზაფხული“, „ამირანი“... სასტუმროები: „მედეა“, „ივერია“, „აჭარა“... რესტორნები: „დარიალი“, „სამადლო“, „არაგვი“. სხვა ენაზე გადატანისას სავაჭრო ნიშნები ექვემდებარებიან ტრანსკრიფციას (= რომელიმე ენის ბგერათა ზუსტი გადმოცემა პირობითი ასოებით, და არა ამ ენის წერის სისტემის საშუალებით) ან ტრანსლიტერაციას (= ერთი დამწერლობის ასოების გადაცემა სხვა დამწერლობის ასოებით)[92]. მაგ.:

„გაზაფხული“ – Газархули (და არა „Весна“)
„Новость“ – „ნოვოსტი“ (და არა „სიახლე“)
„Чайка“ – „ჩაიკა“ (და არა „თოლია“)

შეიძლება ითარგმნოს ორი ან რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარი „მიძღვნითი“ სახელები. მაგ., „საბჭოთა საქართველოს 50 წელი“ – „50 лет советской Грузии“[93].

---

[92] უცხო სიტყვათა ლექსიკონი (შეადგინა მიხეილ ჭაბაშვილმა), თბ., 1989.

[93] მ ა ნ ა ნ ა ტ ა ბ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 358-359.

არსებითი სახელი მსაზღვრელად

არსებით სახელს წინადადებაში შეიძლება განსაზღვრავდეს არსებითი სახელივე, ანუ დანართი. ასეთ შემთხვევაში მივიღებთ მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილს, რომელშიც წამყვანი (გაბატონებული) სიტყვაა საზღვრული, ხოლო დამოკიდებული (დაქვემდებარებული) – მსაზღვრელი. მსაზღვრელი ორგვარია: ატრიბუტული (შეთანხმებული) და სუბსტანტიური (ე. წ. მართული, სხვა თვალსაზრისით – **-ის**-ელემენტიანი).

ატრიბუტულია მსაზღვრელი, რომელიც გადმოიცემა ზედსართავით ან საზღვრულთან ზედსართავსავით შეწყობილი სხვა სახელით (ან სახელზმნით). მაგ.: **ჩემი ორი პატარა მოსწავლე** გოგონა, **გახარებული სტუნდენტი** გოგონა.

სუბსტანტიურია მსაზღვრელი, რომელიც გადმოიცემა ნათესაობით ბრუნვაში მდგომი არსებითი სახელით (ან მასთან გათანაბრებული სიტყვით): **მეგობრის** წიგნი, **ხის** ბოძი, **ჩაის** სახლი, **წვიმის** წვეთი, **ლამაზის** თვალები, **შინდისის** გმირები.

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება დამოკიდებულია რამდენიმე გარემოებაზე.

კერძოდ:

ა) მსაზღვრელი ატრიბუტულია თუ სუბსტანტიური,
ბ) თანხმოვანფუძიანია თუ ხმოვანფუძიანი,
გ) საზღვრულისაგან გათიშულია თუ გაუთიშავი,
დ) საზღვრული საზოგადო სახელია თუ საკუთარი,
ე) -ებ-იან მრავლობითშია თუ ნართანიანში,
ვ) წარმოდგენილია თუ გაუჩინარებული,
ზ) მსაზღვრულ-საზღვრულის წყობა პირდაპირია თუ ინვერსიული (შებრუნებული).

§ 21. ატრიბუტული მსაზღვრელი არსებითი სახელისა და საზღვრულის მართლწერა

ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოიყენება ისეთი არსებითი სახელი, რომელიც აღნიშნავს: ზომა-წონას (მეტრი, ტონა, გრამი), საწყაოს (ურემი, კასრი, დოქი), ფართობს (ჰექტარი, დესეტინა,

დღიური), პროფესია-მოსაქმეობას (ექიმი, სტუდენტი, მებაღე), წოდებას (დოცენტი, გენერალი, თავადი), თანამდებობას (მინისტრი, მმართველი, დირექტორი). ატრიბუტული მსაზღვრელებია აგრეთვე მიმართვისას გამოსაყენებელი (ძია, დეიდა, ბატონი) და სხვა სიტყვები (ცალი, ფრთა, კომლი).

არსებითი სახელის, როგორც ატრიბუტული მსაზღვრელის, საზღვრულთან ერთად ბრუნებისას უნდა გავითვალისწინოთ:

1. თუ მსაზღვრელი ხმოვანფუძიანია და წინ უძღვის საზღვრულს, ის არცერთ ბრუნვაში არ დაირთავს ბრუნვის ნიშანს:

> მეფე ქალი, მეფე ქალ-მა, მეფე ქალ-ს, მეფე ქალ-ის, მეფე ქალ-ით, მეფე ქალ-ად, მეფე ქალ-ო. მეუფე იოანე, მეუფე იოანე-მ, მეუფე იოანე-ს, მეუფე იოანე-ს, მეუფე იოანე-თ(ი), მეუფე იოანე-დ, მეუფე იოანე.

2. თუ მსაზღვრელი თანხმოვანფუძიანია და წინ უსწრებს საზღვრულს, განარჩევენ ორგვარ შემთხვევას:

ა) თუ საზღვრული საზოგადო სახელია, მსაზღვრელი სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ნაწილობრივ (მხოლოდ **ი**-ს) – ნათესაობითსა და მოქმედებითში, საერთოდ არ დაირთავს მიცემითსა და ვითარებითში (ბრუნების ნიმუში იხ. ქვემოთ: გენერალი კაცი). ასევე იბრუნება სიტყვათშეხამება, რომელშიც დანართია ბატონი ან ქალბატონი.

პირდაპირი წყობის (მსაზღვრელი + საზღვრული) მაგალითებია:

> კოსმონავტი ქალი, დოცენტი მეგობარი, სტუდენტი ახალგაზრდა, სტილისტი გოგონა, ოპერატორი ვაჟი, ფინჯანი ყავა.

ბ) თუ საზღვრული საკუთარი სახელია, მსაზღვრელი კი პროფესიის, თანამდებობის, წოდების, ტიტულის, ჩინის და მისთ. აღმნიშვნელი სიტყვა (ექიმი, რექტორი, დოცენტი, ოფიცერი, ამხანაგი, მწერალი, პოეტი, ჟურნალისტი, გრაფი, ლორდი, თავადი, აზნაური, ქალაქი, გაზეთი, ჟურნალი, რომანი, ლექსი), მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნებს დაირთავს მხოლოდ სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში (ე. ი. ნათესაობითსა და მოქმედებითში ი-ს არ დაირთავს), რაც უთუოდ ევროპულ ენათა გავლენას უნდა მიეწეროს (განსაკუთრებით – რუსულისას)[94].

---

[94] აკაკი შანიძე, თხზულებანი, III, თბ., 1980, გვ. 88-89.

ბრუნების ეს წესი ვრცელდება დანართიან სათაურ-სახელ-წოდებებზეც (იხ. ცალკე).

თანხმოვანფუძიანი დანართის შემცველი შესიტყვებებია:

აკადემიკოსი არაბული, პოეტი ლეონიძე, მწერალი წულეისკირი, გრაფი ტოლსტოი, დოცენტი კარბელაშვილი, პროფესორი კვაჭაძე, ექიმი კულუმბეგოვი, რეჟისორი პატარაია, პრეზიდენტი ტრამპი, ამხანაგი ღინტუ, ფილმი „რეკორდი“, ქალაქი გორი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, ჟურნალი „თბილისელები“.

დანართი: № 17

შეადარეთ:

სახ.	გენერალ-ი	კაც-ი	გენერალ-ი	დვალ-ი
		თანდებულიანი ფორმები		
	გენერალ-ი	კაც-ი-ვით	გენერალ-ი	დვალ-ი-ვით
მოთხრ.	გენერალ-მა	კაც-მა	გენერალ-მა	დვალ-მა
მიც.	გენერალ	კაც-ს	გენერალ	დვალ-ს
		თანდებულებიანი ფორმები		
	გენერალ	კაც-სა-ვით	გენერალ	დვალ-სა-ვით
	გენერალ	კაც-თან	გენერალ	დვალ-თან
	გენერალ	კაც-ზე/ში	გენერალ	დვალ-ზე/ში
ნათ.	**გენერალ-ი**	**კაც-ის**	**გენერალ**	**დვალ-ის**
	გენერალ-ი	**კაც-ის(ა)-თვის/გან**	**გენერალ**	**დვალ-ის(ა)-თვის/გან**
მოქმ.	**გენერალ-ი**	**კაც-ით**	**გენერალ**	**დვალ-ით**
		თანდებულიანი ფორმები		
	გენერალ-ი	**კაც-იდან**	**გენერალ**	**დვალ-იდან**
ვით.	გენერალ	კაც-ად	გენერალ	დვალ-ად
		თანდებულიანი ფორმები		
	გენერალ	კაც-ამდე	გენერალ	დვალ-ამდე

წოდ.	გენერალ-ო	კაც-ო	გენერალ-ო	დვალ-ო

შეადარეთ:

სახ.	ქალბატონ-ი	მანანა	ექიმ-ი	მანანა
		თანდებულიანი ფორმები		
	—	—	—	—
მოთხრ.	ქალბატონ-მა	მანანა-მ	ექიმ-მა	მანანა-მ
მიც.	ქალბატონ	მანანა-ს	ექიმ	მანანა-ს
		თანდებულებიანი ფორმები		
	ქალბატონ	მანანა-სა-ვით	ექიმ	მანანა-სა-ვით
	ქალბატონ	მანანა-ს-თან	ექიმ	მანანა-ს-თან
	ქალბატონ	მანანა-ზე/ში	ექიმ	მანანა-ზე/ში
ნათ.	**ქალბატონ-ი**	**მანანა-ს**	**ექიმ**	**მანანა-ს**
		თანდებულებიანი ფორმები		
	ქალბატონ-ი	**მანანა-ს(ა)-თვის/გან**	**ექიმ**	**მანანა-ს(ა)-თვის/გან**
მოქმ.	**ქალბატონ-ი**	**მანანა-თ(ი)**	**ექიმ**	**მანანა-თ(ი)**
		თანდებულებიანი ფორმები		
	ქალბატონ-ი	**მანანა-დან**	**ექიმ**	**მანანა-დან**
	ქალბატონ-ი	**მანანა-თ-ურთ**	**ექიმ**	**მანანა-თ-ურთ**
ვით.	ქალბატონ	მანანა-დ	ექიმ	მანანა-დ
		თანდებულიანი ფორმები		
	ქალბატონ	მანანა-მდე	ექიმ	მანანა-მდე
წოდ.	ქალბატონ-ო	მანანა	ექიმ-ო	მანანა

გ) საკუთარ სახელებთან ბრუნებისას ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავენ ბატონისა და ქალბატონისადმი მიმართვის (ან ხსენების) ევროპული შესატყვისები, როგორიცაა:

დონ, დონა, ლედი, მადამ, მადმუაზელ, მესიე, მის, მისის, მისტერ, პან, პანი, სერ, სენიორ, სენიორა, სენიორიტა (მიმართვა ესპანურად), სინიორ, სინიორა, სინიორინა (მიმართვა იტალიურად), ფრაუ, ფრეკენ, ფროილაინ, ფრუ, ჰერ.

სწორია: სინიორა შიკოლონე, სინიორა შიკოლონემ, სინიორა შიკოლონეს, სინიორა შიკოლონეს, სინიორა შიკოლო-

ნეთ(ი), სინიორა შიკოლონედ, სინიორა შიკოლონე; მისტერ კოლინზი, მისტერ კოლინზმა, მისტერ კოლინზს, მისტერ კოლინზის, მისტერ კოლინზით, მისტერ კოლინზად, მისტერ კოლინზო [და არა მისტერ კოლინზ].

3. შებრუნებული წყობისას (საზღვრული + მსაზღვრელი) ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს საზღვრული საკუთარი ან საზოგადო სახელი, თუ მას მსაზღვრელად მოსდევს იმავე პროფესია-თანამდებობის, წოდებისა და მისთ. აღმნიშვნელი სიტყვა (ამ უკანასკნელის ბრუნება კი მის ფუძეზეა დამოკიდებული). ასეთი წყვილებია, მაგ.:

ნინო ექიმი, ნაირა მასწავლებელი, ეფემია მონაზონი, გიორგი V, გაიოზ რექტორი, მოსე მწერალი, a კუთხე, X რიცხვი, ABC სამკუთხედი, „აშენებს“ ზმნა.

დანართი № 18

სახ.	ნაირა	მასწავლებელ-ი	„აშენებს“ ზმნა
		თანდებულიანი ფორმები	
	ნაირა	მასწავლებელი-ვით	–
მოთხრ.	ნაირა	მასწავლებელ-მა	„აშენებს“ ზმნა-მ
მიც.	ნაირა	მასწავლებელ-ს	„აშენებს“ ზმნა-ს
		თანდებულებიანი ფორმები	
	ნაირა	მასწავლებელ-სა-ვით	„აშენებს“ ზმნა-სა-ვით
	ნაირა	მასწავლებელ-თან	„აშენებს“ ზმნას-თან
	ნაირა	მასწავლებელ-ზე/ში	„აშენებს“ ზმნა-ზე/ში
ნათ.	ნაირა	მასწავლებ■ლ-ის	„აშენებს“ ზმნ-ის
		თანდებულებიანი ფორმები	
	ნაირა	მასწავლებ■ლ-ის(ა)-თვის/გან	„აშენებს“ ზმნ-ის(ა)-თვის/გან
მოქმ.	ნაირა	მასწავლებ■ლ-ით	„აშენებს“ ზმნ-ით
		თანდებულებიანი ფორმები	
	ნაირა	მასწავლებ■ლ-ით-ურთ	„აშენებს“ ზმნ-ით-ურთ
	ნაირა	მასწავლებ■ლ-იდან	„აშენებს“ ზმნ-იდან
ვით.	ნაირა	მასწავლებ■ლ-ად	„აშენებს“ ზმნ-ად

თანდებულიანი ფორმები

	ნაირა	მასწავლებ■ლ-ამდე	„აშენებს“ ზმნ-ამდე
წოდ.	ნაირა	მასწავლებელ-ო	„აშენებს“ ზმნა-ვ

4. -ებ-იან მრავლობითში დასმულ სახელთან მსაზღვრელი მხოლოობით რიცხვშია (ექიმი კაცები), თუმცა ზეპირმეტყველებაში შეიძლება შეგვხდეს **დები ჩაფიჩაძეების** ტიპის შესიტყვება.

5. საზღვრული მრავლობითში არ დაისმის:

ა) თუ მას განსაზღვრავს ზომა-წონისა და სხვა ოდენობის გამომხატველი არსებითი სახელი:

> ორი **ტონა** ვაშლი, სამი **კილო** პური, ნახევარი **ჰექტარი** მიწა.

ბ) თუ მსაზღვრელადაა განუსაზღვრელი სიმრავლის გამომხატველი არსებითი სახელი, გამოყენებული ზედსართავის ფუნქციით: ზღვა, მილეთი, ქვეყანა. ამგვარი მსაზღვრელები უმთავრესად კრებით სახელებთან იხმარება. მაგ.:

> **ზღვა** მასალა მქონდა მოგროვებული. მოედანზე **ზღვა ხალხი** შეკრებილიყო. ქალაქში **მილეთის (ქვეყნის) ხალხი** ირევა.
>
> **შენიშვნა**: ფორმის მიუხედავად **მილეთის** და **ქვეყნის** მსაზღვრელები ატრიბუტულთა რიგში ექცევა[95].

6. განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელ სახელთა შორის შეიძლება იყოს **რიგი** და **წყება** (მათ სხვა მნიშვნელობაც აქვთ). ამ სახელებით შედგენილი შესიტყვებები, რომლებიც ქართულში რუსულის გზით დამკვიდრდა, გვხვდება სამგვარი ფორმით. კერძოდ: რიგი საკითხებისა (ეს პირდაპირი თარგმანია რუსული გამოთქმისა „Ряд вопросов“), რიგი საკითხი და რიგი საკითხები. აქედან უფრო ხშირად გვხვდება ბოლო შესიტყვება, სადაც საზღვრული (საკითხები) მრავლობით რიცხვშია, „თუმცა იგრძნობა, რომ აღნიშნული შესიტყვება ქართულისათვის ბუნებრივი ჯერ კიდევ არ გამხდარა“ (ნორმების ბიულეტენი № 3, გვ. 60).

---

[95] იხ. ც ი რ ა კ ა ლ ა ძ ე, საზღვრულის რიცხვი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან, ქსკს, წიგნი XIV, გვ. 215-216.

რიგის ან **წყების** ნაცვლად სიმრავლის აღმნიშვნელ სახელად უმჯობესია გამოვიყენოთ **მრავალი, არაერთი, ზოგი, რამდენიმე, სხვადასხვა**. აი რას წერს ამის შესახებ პროფ. გიორგი შალამბერიძე: „რომ არ გექონდეს ეს სიტყვები, კიდევ ჰო, მაგრამ რომ გვაქვს? რად დავიწყოთ, რად დავიწუნოთ საკუთარი და რად მივცეთ სხვას უპირატესობა?“[96]

ასე რომ, უმჯობესია ვწეროთ:

> წასვლის სურვილი გამოთქვა არაერთმა (რამდენიმე/მრავალმა/ზოგმა) ალპინისტმა; დავათვალიერეთ რამდენიმე ქალაქი.

და არა: წასვლის სურვილი გამოთქვა რიგმა ალპინისტმა (ან გამოთქვეს რიგმა ალპინისტებმა); დავათვალიერეთ რიგი ქალაქებისა.

§ 22. სუბსტანტიური (-ის-ელემენტიანი) მსაზღვრელი არსებითი სახელისა და საზღვრულის მ ა რ თ ლ წ ე რ ა

სუბსტანტიური (**-ის**-ელემენტიანი) მსაზღვრელი აღნიშნავს[97]:

ა) მასალას ან ნივთიერებას: ხის კიბე, ოქროს ბეჭედი, ვერცხლის სამაჯური, ბრინჯაოს ქანდაკება, აბრეშუმის კაბა, ქვის შენობა, ბროლის ლარნაკი, მარგალიტის მძივი, ვაზის ჯვარი, ხავერდის ფარდა, ტყავის პალტო, ისლის სახურავი, თოლის გუნდა, ცომის გუნდა;

ბ) დანიშნულებას: ღვინის ჭიქა, ლუდის კათხა, მოსწავლეთა სასახლე, ტელეფონის ჯიხური, სუფრის ღვინო, მურაბის ქილა, შაქრის ქარხანა, ხალიჩების ფაბრიკა, წიგნის მაღაზია, ტელევიზორის მაგიდა;

გ) წარმომავლობას: ზღვის კენჭი, ტბის თევზი, ძროხის რძე, ყვავის ბახალა, კატის კნუტი, წყაროს წყალი, მთის მდინარე, წვიმის წვეთი, ინდაურის ხორცი;

---

[96] გ ი ო რ გ ი შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე, ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი, გვ. 15.

[97] ლ ი ა ლ ე ჟ ა ვ ა, მსაზღვრელთა რიგი რამდენიმე არაეროგვარ მსაზღვრელებიან შესიტყვებაში, ქსკს, წიგნი I, თბ., 1972, გვ. 58-98.

დ) კუთვნილებას: ამხანაგის წიგნი, მასპინძლის სახლი, საქართველოს ცა, მტრის ჯარი, მეთევზეთა სოფელი, დედის ხელი, სპილოს ხორთუმი, ვირის ყურები, არწივის ფრთები, ხის ტოტი, მაგიდის უჯრა, ავტობუსის ბორბალი;

ან კუთვნილების ნიუანსს: ხახმატის ხატი, მცხეთის ტაძარი, შიომღვიმის მონასტერი, თბილისის უნივერსიტეტი, ზამთრის ღამე, აპრილის საღამო, შემოდგომის წვიმა, სექტემბრის ქარი, სიყრმის მეგობარი.

სუბსტანტიური (**-ის**-ელემენტიანი) მსაზღვრელი საზღვრულთან ბრუნებისას იჩენს არაერთ თავისებურებას.

1. **პირდაპირი წყობის დროს:**

ა) არ დაირთავს ბრუნვის ნიშნებს: მთის წყარო, მთის წყარომ, მთის წყაროს და ა.შ.;

ბ) ვერ შეეთანხმება საზღვრულს რიცხვში: მთის წყაროები, მთის წყარონი;

> **შენიშვნა**: ასეთი მსაზღვრელი ზოგჯერ მრავლობითშიც დაისმის, მაგრამ მისი მრავლობითობა საზღვრულით არ იქნება გამოწვეული: **მთების** წყაროები.

გ) საზღვრულისაგან გათიშული მსაზღვრელი დაირთავს ბრუნვის ნიშნებსა და ემფატიკურ ა-ს:

> „**ალმასისა** ხამს ლახვარი ლახვრად გულისა სალისა“.
> (შოთა რუსთაველი).

მარტოობისას ავიგებ ტაძარს.

დ) განმარტოებული მსაზღვრელი დაირთავს ნაგულისხმები (გაუჩინარებული) საზღვრულის ბრუნვის ნიშნებსა და თანდებულს:

> დავითის შვილმა ისწავლა, **ვახტანგისამ** – არა.
> **ვაჟკაცობისას** ამბობენ, ერთურთის დანდობისასა...
> (ვაჟა-ფშაველა).

თავს თელიდა არა სოფლის მცხოვრებად, არამედ **ქალაქისად**. ხან დედის სოფელში ვისვენებდი, ხან – **მამისაში**.

სუბსტანტიურ მსაზღვრელს შეიძლება ახლდეს ასეთივე მსაზღვრელი:

ამაღე მუზეუმშია **თამარის ოქროს** ჯვარი.
ირემმა **ვაჟას წყაროს** წყალი დალია.
ჯერ ხომ **მცხეთის სვეტიცხოვლის** დიდ ტაძარში საქართველოს ცხელი გული ასვენია (ლადო ასათიანი).

ე) ზოგჯერ -ებ-იან ფორმებთან შედარებით უპირატესობა ენიჭება სუბსტანტიური (**-ის**-ელემენტიანი) მსაზღვრელის თანიანი მრავლობითის ფორმებს. ესენია მყარი გამოთქმები: მეცნიერებათა აკადემია, მწერალთა კავშირი, ცნობათა ბიურო, მუშათა კლასი, მშობელთა კრება, მოსწავლეთა სასახლე და მისთ.

2. მაღალი ხის კიბემ თუ მაღალმა ხის კიბემ?

ორივე სწორია, ოღონდ თავ-თავის ადგილას. პირველ შემთხვევაში მაღალი განსაზღვრავს ხეს, მეორე შემთხვევაში კი – კიბეს და მას ეთანხმება ბრუნვაში (მაღალი კიბე, მაღალმა კიბემ).

მაშასადამე, სწორია როგორც: მაღალი ხის კიბე, მაღალი ხის კიბე-მ, მაღალი ხის კიბე-ს, მაღალი ხის კიბ-ის, მაღალი ხის კიბ-ით, მაღალი ხის კიბე-დ, მაღალი ხის კიბე-ვ;

ისე: მაღალი ხის კიბე, მაღალ-მა ხის კიბე-მ, მაღალ ხის კიბეს, მაღალ-ი ხის კიბ-ის, მაღალ-ი ხის კიბ-ით, მაღალ ხის კიბე-დ, მაღალ-ო ხის კიბე-ვ.

ისმება კითხვა, მეორე შემთხვევაში, როცა **მაღალი** განსაზღვრავს კიბეს, რატომ არა გვაქვს ასეთი წყობა: ხის მაღალი კიბე, ხის მაღალ-მა კიბე-მ და ა.შ.?

დაიმახსოვრეთ:

წესის თანახმად, არ შეიძლება ატრიბუტული (შეთანხმებული) მსაზღვრელი ჩაისვას ისეთი სიტყვათშეხამების კომპონენტებს შორის, რომელშიც სუბსტანტიური (**-ის**-ელემენტიანი) მსაზღვრელი აღნიშნავს მასალას (ნივთიერებას), დანიშნულებას ან წარმომავლობას[98]. მაგ.:

---

[98] ლ ი ა ლ ე ქ ა ვ ა, სტილისტიკური შეცდომები წინადადებაში სიტყვაგანლაგებისას თანამედროვე ქართული პრესის ენაში, ქსკს III, 1980, გვ. 321-322.

სუბსტანტიური მსაზღვრელი გამოხატავს:

- მასალას:

სწორია: ორი **ოქროს** ბეჭედი, ყველა **ვერცხლის** სამაჯური, ლამაზი **ბრინჯაოს** ქანდაკება, მოქარგული **აბრეშუმის** კაბა;

და არა: ოქროს ორი ბეჭედი, ვერცხლის ყველა სამაჯური, ბრინჯაოს ლამაზი ქანდაკება, აბრეშუმის მოქარგული კაბა.

- დანიშნულებას:

სწორია: ერთი **ლუდის** კათხა, ეს **მოსწავლეთა** სასახლე, მშრალი **სუფრის** ღვინო, ახალშეღებილი **ტელეფონის** ჯიხური;

და არა: ლუდის ერთი კათხა, მოსწავლეთა ეს სასახლე, სუფრის მშრალი ღვინო, ტელეფონის ახალშეღებილი ჯიხური.

- წარმომავლობას:

სწორია: ავტომანქანაში იდგა უსიამოვნო **ბენზინის** სუნი. თამადას მიართვეს შემწვარი **გოჭის** თავი.

და არა: ავტომანქანაში იდგა ბენზინის უსიამოვნო სუნი. თამადას მიართვეს გოჭის შემწვარი თავი.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ უმრავლესობა არ იცავს ამ წესებს, იმ მოტივით, რომ ასეთი სიტყვათშეთანხმებებით ირღვევა ქართული მეტყველების ბუნებრიობა.

იდეომატური გამოთქმა არ გაითიშება.

სწორია: ასეთი **ანგარიშის გასწორება** დროული არ იქნება. ამას ჰქვია მოულოდნელი **ბედის გაღიმება.**

თუ სიტყვათშეხამება კუთვნილებას გამოხატავს, ის ითიშება და ატრიბუტულ მსაზღვრელს შუაში ჩაისვამს (იქვე).

სწორია: ამხანაგის საინტერესო **წიგნი, მასპინძლის** ორსართულიანი **სახლი, სპილოს** გრძელი **ხორთუმი, მაგიდის** ოთხი **უჯრა, ავტობუსის** გამოსაცვლელი **ბორბალი.**

ამავე ჯგუფს განეკუთვნება ისეთი შესიტყვებები, რომლებშიც -ის-ელემენტიანი მსაზღვრელი საზღვრულს ახასიათებს

ადგილისა და დროის მიხედვით, ანუ შესიტყვება კუთვნილების ნიუანსის მქონეა.

სწორია: თბილისის პირველი **სკოლა, კახეთის** ყველა **სოფელი, ზამთრის** ცივი **ღამე, შემოდგომის** გაბმული **წვიმები, სიყრმის** უნახავი **მეგობარი.**

ამ შემთხვევაში სხვაგვარი წყობა მოსალოდნელი არ არის: არავინ იტყვის: პირველი თბილისის სკოლა, ყველა კახეთის სოფელი და მისთ.

ითიშება ისეთი სიტყვათშეხამებაც, რომელშიც საზღვრულად მოქმედების სახელი ან საწყისია:

ჩიტების ზღაპრული ჭიკჭიკი, ციკნების მხიარული კიკინი, მეცნიერების მკვეთრი აღმაელობა, ბაყშვების ყოველმხრივი განვითარება.

3. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია თუ ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია?

დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახელწოდების შემცველი შესიტყვებები განეკუთვნება კუთვნილების აღმნიშვნელ ჯგუფს, ამიტომ ატრიბუტული მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაში მდგომი სახელის შემდეგ დაისმის. მაგ.: **სოხუმის** სახელმწიფო **უნივერსიტეტი, თბილისის** სახელმწიფო სამედიცინო **უნივერსიტეტი.** მაგრამ ხშირად ასეთ შესიტყვებას ახლავს ვისიმე სახელობის აღმნიშვნელი სახელი. პირველ ადგილზე იქნება ნათესაობითში დასმული გეოგრაფიული სახელი, შემდეგ კი – სახელობის აღმნიშვნელი.

სწორია: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია;

და არა: ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

თუ სახელწოდებაში ერთდროულად რამდენიმე ამგვარი მსაზღვრელია, გეოგრაფიული სახელის შემდეგ უნდა დაიწეროს რიგის აღმნიშვნელი მსაზღვრელი, შემდეგ – დანიშნულებისა,

ბოლოს კი – თვისების აღმნიშვნელი მსაზღვრელი“ (ნორმების ბიულეტენი № 1-2, გვ. 40-41).

სწორია: თბილისის 53-ე საშუალო სკოლა, თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი.

ჯილდოს აღმნიშვნელი მსაზღვრელი უნდა მოსდევდეს სახელობის აღმნიშვნელს (იქვე, გვ. 41).

სწორია: თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

საუწყებო დაქვემდებარების აღმნიშვნელ სახელწოდებაში პირველ ადგილზე უნდა დაისვას მეთაური ორგანიზაციის აღმნიშვნელი მსაზღვრელი (იქვე, გვ. 40).

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია წოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

შებრუნებული წყობის დროს:

ა) ნათესაობით ბრუნვაში მდგომი მსაზღვრელი ზოგ ბრუნვაში დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, ზოგში – არა, ზოგ ბრუნვაში კი საერთოდ არ გამოიყენება.

მსაზღვრელი, რომელიც გადმოცემულია თანხმოვანფუძიანი ან ხმოვანფუძიანი კვეცადი სახელით, სახელობითში დაირთავს **ა**-ს (ფოთოლი ნეკერჩხლისა, წყარო მთისა):

ამაგი დედისა, ამაგმა დედისამ, ამაგს დედისას (არ იხმარება: ამაგის დედისა, ამაგით დედისა), ამაგად დედისა, ამაგო დედისა(ვ).

ბ) ხოლო ფუძეუკვეცელი სახელით გადმოცემული მსაზღვრელი, გარდა **ი**-თი დაბოლოებულისა, სახელობით ბრუნვაში დაირთავს **ი**-ს (წიგნი ვაჟასი, ალერსი სიოსი, თვალები ბუსი), ხოლო წოდებითში – **ო**-ს. მაგ.: წიგნო ნიკოსო, თარგმანო სახოკიასო (ნორმები, გვ. 136).

ი-ფუძიანი მსაზღვრელი დაირთავს **ა**-ს (ხმალი გიორგისა). ბოლოუკვეცელ მსაზღვრელებს ბრუნვის ნიშნები დაერთვის სახელობითსა და წოდებითში. მაგ.:

> წიგნი ნინოსი, წიგნმა ნინოსამ, წიგნს ნინოსას, წიგნო ნინოსო; რომანი გამსახურდიასი, რომანმა გამსახურდიასამ, რომანს გამსახურდიასას, რომანო გამსახურდიასო. მოქმედებითსა და ვითარებითში არ გვხვდება.[99]

ა-ს დაირთავს აგრეთვე მრავლობით რიცხვში დასმული მსაზღვრელი (ხოდაბუნები თავთუხებისა, თამაში ფერთა).

გ) თუ სუბსტანტიური (-ის-ელემენტიანი) მსაზღვრელი რამდენიმეა, ემფატიკურ **ა**-ს ურთავენ **და** კავშირის წინ მდგომ მსაზღვრელსაც: სტუმრობა მეგობრების, მეზობლების, ნათესავებისა და თანამშრომლებისა. შეიძლება ყველა მსაზღვრელის გავრცობა.

დ) ნორმის თანახმად, ნართანიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს **ის**-ელემენტიანი მსაზღვრელი რიცხვში არ ეთანხმება (ისევე როგორც პირდაპირი წყობის დროს). მაგ.: ყვავილნი **მთისა** (თუმცა არის შეთანხმების ტენდენცია: „ქალები?! განსაკუთრებით **ქალები ქალაქისანი**! – მე მოვკვდე, თუ არ მერჩიოს **ტირიფნი არაგვისანი**!“ – მუხრან მაჭავარიანი).

ასეთი მსაზღვრელი არც ბრუნვის ნიშნებს დაირთავს: ყვავილნი მთისა, ყვავილთა **მთისა**, ყვავილნო **მთისა** (ნორმები, გვ. 147).

თანამედროვე ქართულში იშვიათია საზღვრულის შემდეგ მსაზღვრელის გამოყენების შემთხვევები და გამართლებულია მხოლოდ სტილისტიკური საჭიროებით.

„შედარებით აქტუალურია მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ფორმები: დადგმა ა. ეასაძისა, დადგმა ა. ხორავასი, თარგმანი გერონტი ქიქოძისა, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, მუსიკა ზაქარია ფალიაშვილისა, მუსიკა იონა ტუსკიასი“[100].

---

[99] რ უ ს უ დ ა ნ ზ ე ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მართლწერის საკითხები. თბ., 2004, გვ. 46.

[100] თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1970, 1986, გვ. 188.

§ 23. სათაურ-სახელწოდებათა მართლწერა

შეცდომების დიდი წილი მოდის ლიტერატურული ნაწარმოებების, წიგნების, გაზეთების, ჟურნალების, ფილმების და მისთ. სათაურ-სახელწოდებათა მართლწერაზე, რომლის ნორმებიც რამდენჯერმე შეიცვალა უკანასკნელ ხანებში და რომლის შესახებაც ყოველთვის იყო აზრთა სხვადასხვაობა. ამჯერად გრამატიკოსთა ბოლო რეკომენდაციებით გამარტივებულია დანართისა და სათაურ-სახელწოდებათა ბევრი ფორმა, გაუქმებულია ბევრი აკრძალვა, გათვალისწინებულია ვარიანტების მრავალფეროვნება და ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხი აქვს გაცემული თითქმის ყველა კითხვას[101].

სათაურ-სახელწოდებას უმეტესწილად წინ უძღვის დანართი სიტყვა, ანუ არსებითი სახელით გამოხატული მსაზღვრელი (მაგ.: ლექსი, მოთხრობა, პოემა, კომედია, გაზეთი, კინოფილმი, სასტუმრო, რესტორანი, მაღაზია, გემი და მისთ). და, ბუნებრივია, მათი მართლწერა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორია დანართი და როგორია სათაურ-სახელწოდება (განსაკუთრებით ამ უკანასკნელის აგებულებასა და ფორმას ენიჭება მნიშვნელობა). ამ მხრივ გასარჩევია რამდენიმე მოცემულობა.

I. როგორია მსაზღვრელი დანართი:

ა) ხმოვანფუძიანი თუ თანხმოვანფუძიანი;
ბ) ცალკე მდგომი თუ მსაზღვრელებით გავრცობილი.

II. როგორია სათაურ-სახელწოდება:

ა) ერთსიტყვიანი თუ ორ- და მეტსიტყვიანი;
ბ) თანდებულიანი თუ უთანდებულო (იგულისხმება ბოლო სიტყვის ფორმა);
გ) უკავშირო თუ და-კავშირიანი;
დ) გამოხატულია სახელით თუ ზმნით, სრულმნიშვნელობიანი თუ დამხმარე სიტყვით, ფორმაცვალებადით თუ ფორმაუცვლელით, სახელობით თუ დანარჩენ ბრუნვებში დასმული სახელით, შესიტყვებით თუ წინადადებით;

---

[101] თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე, ერთი ტიპის დანართიანი სათაურის მართლწერისათვის, ქსკს, წ. XIV, თბ., 2014, გვ. 16-27, იხ. აგრეთვე შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, დანართიანი სათაურ-სახელწოდებიანი კონტექსტში, სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2011, დანართი № 7.

ე) მხოლოობითი თუ მრავლობითი რიცხვის ფორმით, **-ებ**-იანი თუ **ნართ**ანიანი მრავლობითით;

ვ) თუ მსაზღვრელ-საზღვრულია, წყობა პირდაპირია თუ შებრუნებული, მსაზღვრელი ატრიბუტულია თუ სუბსტანტიური, ხმოვანფუძიანი თუ თანხმოვანფუძიანი.

როგორც აღვნიშნეთ, ხმოვანფუძიანი დანართი, რომელიც უსწრებს საზღვრულს, ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს: **მეფე** ქალი, **მეფე** ქალმა, **მეფე** ქალს; **მეუფე** იოანე, **მეუფე** იოანემ, **მეუფე** იოანეს. მაგრამ ვითარება შეიძლება შეიცვალოს, თუ საზღვრულად ბრჭყალებში ჩასმული სათაურ-სახელწოდებაა: ამ უკანასკნელს შეიძლება ისეთი ფორმა ჰქონდეს (მაგ., თანდებულიანი), რომ მისი ბრუნება შეუძლებელი იყოს. ასეთ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით, ვაბრუნოთ თვით დანართი, თუნდაც ის ხმოვანფუძიანი იყოს. მაგ., თუ მოთხრობის სათაური „მარიტა“ თავისუფლად იბრუნვის და მართებული ფორმებია: მოთხრობა „მარიტა“, მოთხრობა „მარიტამ“, მოთხრობა „მარიტას“, სათაური „ზოოპარკში“ ბრუნვის ნიშნებს ვერ დაირთავს და უმართებულოა: ბავშვები დააინტერესა მოთხრობა „ზოოპარკში-მ“, ახლა ვკითხულობთ მოთხრობა „ზოოპარკში-ს“.

სწორია: ბავშვები დააინტერესა მოთხრობამ „ზოოპარკში“; ახლა ვკითხულობთ მოთხრობას „ზოოპარკში“.

მაგრამ ისმება კითხვა: მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, ხმოვანფუძიან დანართს ბრუნვის ნიშნები დავურთოთ, როდესაც შეუძლებელია სათაურის ბრუნება? – არა, შეიძლება სათაური იბრუნებოდეს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სტილურად უფრო დახვეწილი და გამართული იყოს ეს მეორე ვარიანტი. მაგ.,

შეადარეთ:

ბავშვები დაინტერესდნენ მოთხრობა „მარიტათი“; ამოწერეთ მეტაფორები მოთხრობა „მარიტადან“ და ბავშვები დაინტერესდნენ მოთხრობით „მარიტა“; ამოწერეთ მეტაფორები მოთხრობიდან „მარიტა“.

აშკარაა, რომ ეს ბოლო წინადადებები უფრო მისაღებია, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება პირიქით იყოს და დანართის ბრუნებით წინადადება უფრო გაუმართავი აღმოჩნდეს. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ სინტაქსურად როგორ უკავშირდება

სათაური მომდევნო წევრებს, როდესაც ის წინადადების თავში ან შუაშია მოქცეული. **შეადარეთ,** მაგ.:

> მოთხრობის „მარიტა“ ეკრანიზაციაა ფილმი „ნატვრის ხე“ და მოთხრობა „მარიტას“ ეკრანიზაციაა ფილმი „ნატვრის ხე“.

სათაურ-სახელწოდებათა **ხმოვანფუძიანი დანართებია**: პოემა, მოთხრობა, ნოველა, ესეი, მინიატიურა, პიესა, დრამა, კომედია, ტრაგედია, სტატია, შრომა, ოდა, ოპერა, ტელეკომპანია, მაღაზია, ფაბრიკა, სასტუმრო, იახტა.

რაც შეეხება თანხმოვანფუძიან დანართს, სათაურ-სახელწოდებასთან ერთად ის იბრუნვის ისე, როგორც ხელობა-პროფესიის, თანამდებობის, წოდებისა და მისთ. გამომხატველი მსაზღვრელი, რაც იმას ნიშნავს, რომ სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს სამ ბრუნვაში: სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, საერთოდ არ დაირთავს დანარჩენ ოთხ ბრუნვაში: მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. მაგრამ თუ სათაურ-სახელწოდების ბრუნება შეუძლებელია, ამ შემთხვევაში თანხმოვანფუძიანი დანართიც ყველა ბრუნვაში დაირთავს ბრუნვის ნიშნებს. მაგ., თუ ლექსის სათაურია სახელობით ბრუნვაში დასმული „ხარი“, სწორი იქნება: კონცერტზე ბავშვი წაიკითხავს ლექს „ხარს“, მაგრამ თუ სათაურია თანდებულიანი „იყალთოში“, მაშინ უმართებულო იქნება: კონცერტზე ბავშვი წაიკითხავს ლექს „იყალთოში-ს“. მაშასადამე, ბრუნვის ნიშანი უნდა დავურთოთ თვით მსაზღვრელ დანართს: კონცერტზე ბავშვი წაიკითხავს **ლექსს** „იყალთოში“. პირველი ვარიანტი (ლექს „ხარს“) იქნება მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნების მიღებული ნორმა, მეორე (ლექს-ს „იყალთოში“) კი თვით ენაში გამოვლენილი ტენდენციის ამსახველი ნორმა[102].

თანხმოვანფუძიანი დანართებია: ლექსი, სონეტი, ჰიმნი, რომანი, იგავ-არაკი, ზღაპარი, მითი, წიგნი, კრებული, ალმანახი, გაზეთი, ჟურნალი, ნარკვევი, წერილი, ბალეტი, რომანსი, რესტორანი, სუპერმარკეტი.

ახლა ისღა დაგვრჩენია, გავარკვიოთ, რა შემთხვევაში შეიძლება სათაურის ბრუნება. ჯერ განვიხილოთ ერთსიტყვიანი სათაურის დაწერილობა (გავითვალისწინოთ, რომ **ორცნებიანი კომპოზიტიც ერთი სიტყვაა**).

---

[102] ნ ე ლ ი ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დანართის ძირითადი სტილისტიკური ფუნქციები და მართლწერასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ქსკს, წიგნი V, თბ., 1983, გვ. 133.

სათაურ-სახელწოდებას შეგვიძლია დავურთოთ ბრუნვის ნიშნები და თანდებულები:

ა) თუ ის მხოლოობითი რიცხვის **სახელობით ბრუნვაშია**:
მოთხრობა „ქუჩი“ (ვაჟა-ფშაველა) / „ჩორეხი“ (გიორგი ლეონიძე) / „ალავერდობა“ (გურამ რჩეულიშვილი) / „ცისარტყელა“ (რევაზ ინანიშვილი) / „ქამელეონი“ (ანტონ ჩეხოვი) / „კუსპარა“ (ალბერტო მორავია); პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (შოთა რუსთაველი) / „სტუმარ-მასპინძელი“ / „ბახტრიონი“ (ვაჟა-ფშაველა); სტატია „ფშავ-ხევსურეთი“ (ვაჟა-ფშაველა) / „მძლავრი“ (ნოდარ წულეისკირი); მინიატიურა „ისტორია“ (გოდერძი ჩოხელი); ტელეკომპანია „ერთსულოვნება“; ლექსი „ელეგია“ (ილია) / „განდეგილი“ (აკაკი) / „არწივი“ (ვაჟა-ფშაველა) / „მამული“ (გალაკტიონი) / „დარიანული“ (პაოლო იაშვილი) / „ოლე“ (გიორგი ლეონიძე) / „სალაღობო“ (ლადო ასათიანი) / „ხარი“ (შოთა ნიშნიანიძე) / „ნადირობა“ (მორის ფოცხიშვილი) / „ბეთანია“ (ჯანსუღ ჩარკვიანი) / „საბა“ (მუხრან მაჭავარიანი) / „წეროები“ (ზაურ ბოლქვაძე) / „მარტოობა“ (რევაზ ამაშუკელი) / „ქართლი“ (მანანა ჩიტიშვილი) / „ხორბალი“ (ერეკლე საღლიანი) / „წუთისოფელი“ (ხალხური) / რომანი „ელგუჯა“ (ალექსანდრე ყაზბეგი) / „თუთარჩელა“ (ნოდარ წულეისკირი); ბალეტი „ოტელო“ (ალექსი მაჭავარიანი) / „გორდა“ (დავით თორაძე).

ბ) თუ ის (სათაური) -ებ-იანი მრავლობითის **სახელობითი ბრუნვის ფორმითაა**. მაგ.:
მოთხრობა „ფესვები“ (ვაჟა-ფშაველა) / „მაჩვები“ (გულო კობიაშვილი); ნოველა „კაცები“ (რევაზ ინანიშვილი), პოემა „ბოშები“ (ალექსანდრე პუშკინი) / დრამა „მოჩვენებები“ (ჰენრი იოჰან იბსენი); ლექსი „ამორძალები“ / „ბერმუხები“ / „ძაღლები“ (შოთა ნიშნიანიძე) / „რემინისცენციები“ (გიორგი ლეონიძე) / „ღრუბლები“ (ანა კალანდაძე) / „მთები“ (გოდერძი ჩოხელი; რომანი „მისტერიები“ (კნუტ ჰამსუნი), თხზულებების კრებული „ბილიკები“ (როსტომ ჩხეიძე) / „ფიქრები“ (მარკუს ავრელიუსი) / „აზრები“ (ბლეზ პასკალი).

დანართი № 19

დანართიანი სათაურის ბრუნება

დანართი ხმოვანფუძიანია

ა) ბრუნვის ნიშნები და თანდებულები დაერთვის სათაურს

სახ.	პოემა	„ბახტრიონ-ი“	ნოველა	„კაც-ებ-ი“
		თანდებულიანი ფორმები		
	პოემა	„ბახტრიონ-ი-ვით“	ნოველა	„კაც-ებ-ი-ვით“
მოთხრ.	პოემა	„ბახტრიონ-მა“	ნოველა	„კაც-ებ-მა“
მიც.	პოემა	„ბახტრიონ-ს“	ნოველა	„კაც-ებ-ს“
		თანდებულებიანი ფორმები		
	პოემა	„ბახტრიონ-სა-ვით“	ნოველა	„კაც-ებ-სა-ვით“
	პოემა	„ბახტრიონ-თან“	ნოველა	„კაც-ებ-თან“
	პოემა	„ბახტრიონ-ზე/ში“	ნოველა	„კაც-ებ-ზე/ში“
ნათ.	პოემა	„ბახტრიონ-ის“	ნოველა	„კაც-ებ-ის“
		თანდებულებიანი ფორმები		
	პოემა	„ბახტრიონ-ის-თვის/გან“	ნოველა	„კაც-ებ-ის-თვის/გან“
მოქმ.	პოემა	„ბახტრიონ-ით“	ნოველა	„კაც-ებ-ით“
		თანდებულიანი ფორმები		
	პოემა	„ბახტრიონ-იდან “	ნოველა	„კაც-ებ-იდან“
ვით.	პოემა	„ბახტრიონ-ად“	ნოველა	„კაც-ებ-ად“
		თანდებულიანი ფორმები		
	პოემა	„ბახტრიონ-ამდე“	ნოველა	„კაც-ებ-ამდე“
წოდ.	პოემა	„ბახტრიონ-ო“	ნოველა	„კაც-ებ-ო“

ბ) ბრუნვის ნიშნები და თანდებულები დაერთვის დანართს

სახ.	პოემა	„ბახტრიონი“	ნოველა	„კაცები“
		თანდებულიანი ფორმები		
	–	–	–	–
მოთხრ.	პოემა-მ	„ბახტრიონი“	ნოველა-მ	„კაცები“
მიც.	პოემა-ს	„ბახტრიონი“	ნოველა-ს	„კაცები“

თანდებულებიანი ფორმები

	პოემა-სა-ვით	„ბახტრიონი“	ნოველა-სა-ვით	„კაცები“
	პოემა-ს-თან	„ბახტრიონი“	ნოველა-ს-თან	„კაცები“
	პოემა-ზე/ში	„ბახტრიონი“	ნოველა-ზე/ში	„კაცები“
ნათ.	პოემ■-ის	„ბახტრიონი“	ნოველ■-ის	„კაცები“

თანდებულებიანი ფორმები

	პოემ■-ის(ა)-თვის/გან	„ბახტრიონი“	ნოველ■-ის(ა)-თვის/გან	„კაცები“
მოქმ.	პოემ■-ით	„ბახტრიონი“	ნოველ■-ით	„კაცები“

თანდებულიანი ფორმები

	პოემ■-იდან	„ბახტრიონი“	ნოველ■-იდან	„კაცები“
ვით.	პოემა-დ	„ბახტრიონი“	ნოველა-დ	„კაცები“

თანდებულიანი ფორმები

	პოემა-მდე	„ბახტრიონი“	ნოველა-მდე	„კაცები“
წოდ.	(პოემა-ვ	„ბახტრიონი“)	(ნოველა-ვ	„კაცები“)

დანართი № 20

დანართი თანხმოვანფუძიანია

ა) ბრუნვის ნიშნები დაერთვის სათაურს

სახ.	ლექს-ი	„ხარ-ი“	ჟურნალ-ი	„თბილისელ-ებ-ი“

თანდებულიანი ფორმები

	ლექს-ი	„ხარ-ი-ვით“	ჟურნალ-ი	„თბილისელ-ებ-ი-ვით“
მოთხრ.	ლექს-მა	„ხარ-მა“	ჟურნალ-მა	„თბილისელ-ებ-მა“
მიც.	ლექს	„ხარ-ს“	ჟურნალ	„თბილისელ-ებ-ს“

თანდებულებიანი ფორმები

	ლექს	„ხარ-სა-ვით“	ჟურნალ	„თბილისელ-ებ-სა-ვით“
	ლექს	„ხარ-თან“	ჟურნალ	„თბილისელ-ებ-თან“
	ლექს	„ხარ-ზე/ში“	ჟურნალ	„თბილისელ-ებ-ზე/ში“
ნათ.	ლექს	„ხარ-ის“	ჟურნალ	„თბილისელ-ებ-ის“

თანდებულებიანი ფორმები

	ლექს	„ხარ-ის(ა)-თვის/გან/კენ“	ჟურნალ	„თბილისელ-ებ-ის(ა)-თვის/გან/კენ“
მოქმ.	ლექს	„ხარ-ით“	ჟურნალ	„თბილისელ-ებ-ით“

თანდებულებიანი ფორმები

	ლექს	„ხარ-ით-ურთ“	ჟურნალ	„თბილისელ-ებ-ით-ურთ“
	ლექს	„ხარ-იდან“	ჟურნალ	„თბილისელ-ებ-იდან“
ვით.	ლექს	„ხარ-ად“	ჟურნალ	„თბილისელ-ებ-ად“

თანდებულიანი ფორმები

	ლექს	„ხარ-ამდე“	ჟურნალ	„თბილისელ-ებ-ამდე“
წოდ.	ლექს-ო	„ხარ-ო“	ჟურნალ-ო	„თბილისელ-ებ-ო“

ბ) ბრუნვის ნიშნები და თანდებულები შეგვიძლია დავურთოთ მხოლოდ დანართს

სახ.	ლექს-ი	„ხარი“	ჟურნალ-ი	„თბილისელები“

თანდებულიანი ფორმები

	ლექს-ი-ვით	„ხარი“	ჟურნალ-ი-ვით	„თბილისელები“
მოთხრ.	ლექს-მა	„ხარი“	ჟურნალ-მა	„თბილისელები“
მიც.	ლექს-ს	„ხარი“	ჟურნალ-ს	„თბილისელები“

თანდებულებიანი ფორმები

	ლექს-სა-ვით	„ხარი“	ჟურნალ-სა-ვით	„თბილისელები“
	ლექს-თან	„ხარი“	ჟურნალ-თან	„თბილისელები“
	ლექს-ზე/ში	„ხარი“	ჟურნალ-ზე/ში	„თბილისელები“
ნათ.	ლექს-ის	„ხარი“	ჟურნალ-ის	„თბილისელები“

თანდებულებიანი ფორმები

	ლექს-ის(ა)-თვის/გან	„ხარი“	ჟურნალ-ის(ა)-თვის/გან	„თბილისელები“
მოქმ.	ლექს-ით	„ხარი“	ჟურნალ-ით	„თბილისელები“

თანდებულიანი ფორმები

	ლექს-იდან	„ხარი“	ჟურნალ-იდან	„თბილისელები“
ვით.	ლექს-ად	„ხარი“	ჟურნალ-ად	„თბილისელები“

	თანდებულიანი ფორმები			
	ლექს-ამდე	„ხარი“	ჟურნალ-ამდე	„თბილისელები“
წოდ.	(ლექს-ო	„ხარი“)	(ჟურნალ-ო	„თბილისელები“)

§ 24. სათაური მსაზღვრელ-საზღვრულია

ახლა განვიხილოთ პირდაპირი წყობის მსაზღვრელ-საზღვრულით წარმოდგენილი სათაურ-სახელწოდების დაწერილობა. იმისათვის, რომ სათაურ-სახელწოდება იბრუნებოდეს, ძალაში რჩება მთავარი პირობა – ის (ამ შემთხვევაში სათაურის ბოლო სიტყვა) უნდა იდგეს სახელობით ბრუნვაში. რაც შეეხება პირველ კომპონენტს, აქ გამოიყოფა ორი ტიპი: ერთი, რომელიც ფორმის მიხედვით უცვლელია, როგორც ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი (ამ შემთხვევაში სათაურის ბოლო სიტყვა შეიძლება ვაბრუნოთ), და მეორე, რომელიც ბრუნვის ნიშნებს დაირთავს, როგორც თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი (ამ შემთხვევაში ბრუნვის ნიშნები და თანდებულები უნდა დავურთოთ მხოლოდ დანართს).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით მსაზღვრელ-საზღვრულით წარმოდგენილ სათაურს ბრუნვის ნიშნები და თანდებულები შეიძლება დავურთოთ:

ა) თუ მისი მსაზღვრელი ნაწილი ატრიბუტულია და ხმოვანფუძიანი:

> მოთხრობა „დეიდა მაიკო“ (გიორგი ლეონიძე) / „ბებია მარიამი“ (რევაზ ინანიშვილი) / „პატარა პრინცი“ (ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი); ნოველა „უსაფლავო კაცი“ (გივი სიხარულიძე); პუბლიცისტური წერილი „მეცხრამეტე საუკუნე“ (ილია); ლექსი „კაი ყმა“ (ვაჟა-ფშაველა) / „ლურჯა ცხენები“ (გალაკტიონი) / „მეცამეტე საუკუნე“ (გიორგი ლეონიძე);

ბ) თუ მსაზღვრელი სუბსტანტიურია. მაგ.:

> მოთხრობა „მკვდრის მზე“ (გიორგი შატბერაშვილი) / „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“ (რუდოლფ ერიხ რასპე) / „შვლის ნუკრის ნაამბობი“ (ვაჟა-ფშაველა); / ნოველა „მამიდას ანდერძი“ (გივი სიხარულიძე), სტატია

„ოსმალოს საქართველო“ / „ქვათა ღაღადი“ (ილია); რომანი „ჯაყოს ხიზნები“ (მიხეილ ჯავახიშვილი) / „მთვარის მოტაცება“ (კონსტანტინე გამსახურდია) / „ცხოველების ფერმა“ (ჯორჯ ორუელი); ლექსი „ატმის ყვავილები“ / „მთაწმინდის მთვარე“ (გალაკტიონი) / „ნინოწმინდის ღამე“, „ყივჩაღის პაემანი“ (გიორგი ლეონიძე) / „ვაზის სიმფონია“ (შოთა ნიშნიანიძე) / „მამის ხალათი“ (მანანა ჩიტიშვილი); წიგნი „ვეფხისტაოსნის სახისმეტყველება“ (ზვიად გამსახურდია), ფილმი „უძინართა მზე“ (რეჟისორი თემურ ბაბლუანი).

დანართი № 21

ატრიბუტულმსაზღვრელიანი სათაურის ბრუნება

ა) ბრუნვის ნიშნები და თანდებულები დაერთვის სათაურს

დანართი ხმოვანფუძიანია

სახ.	**მოთხრობა**	„პატარა პრინცი“
	თანდებულიანი ფორმა	
	მოთხრობა	„პატარა პრინციეით“
მოთხრ.	**მოთხრობა**	„პატარა პრინცმა“
მიც.	**მოთხრობა**	„პატარა პრინცს“
	თანდებულებიანი ფორმები	
	მოთხრობა	„პატარა პრინცსავით“
	მოთხრობა	„პატარა პრინცთან“
	მოთხრობა	„პატარა პრინცზე/ში“
ნათ.	**მოთხრობა**	„პატარა პრინცის“
	თანდებულებიანი ფორმები	
	მოთხრობა	„პატარა პრინცის(ა)-თვის/გან“
მოქმ.	**მოთხრობა**	„პატარა პრინცით“
	თანდებულიანი ფორმა	
	მოთხრობა	„პატარა პრინციდან“

ვით	მოთხრობა	„პატარა პრინცად“
	თანდებულიანი ფორმა	
	მოთხრობა	„პატარა პრინცამდე“
წოდ.	მოთხრობა	„პატარა პრინცო“

დანართი თანხმოვანფუძიანია

სახ.	ლექსი	„ლურჯა ცხენები“
	თანდებულიანი ფორმა	
	ლექსი	„ლურჯა ცხენებივით“
მოთხრ.	ლექსმა	„ლურჯა ცხენებმა“
მიც.	ლექს	„ლურჯა ცხენებს“
	თანდებულებიანი ფორმები	
	ლექს	„ლურჯა ცხენებსავით“
	ლექს	„ლურჯა ცხენებთან“
	ლექს	„ლურჯა ცხენებზე/ში“
ნათ.	ლექს	„ლურჯა ცხენების“
	თანდებულებიანი ფორმები	
	ლექს	„ლურჯა ცხენების(ა)-თვის/გან“
მოქმ.	ლექს	„ლურჯა ცხენებით“
	თანდებულიანი ფორმა	
	ლექს	„ლურჯა ცხენებიდან“
ვით	ლექს	„ლურჯა ცხენებად“
	თანდებულიანი ფორმა	
	ლექს	„ლურჯა ცხენებამდე“
წოდ.	ლექსო	„ლურჯა ცხენებო“

ბ) ბრუნვის ნიშნები და თანდებულები შეგვიძლია დავურთოთ მხოლოდ დანართს:

სახ.	მოთხრობა	„პატარა პრინცი“

თანდებულიანი ფორმა

—

მოთხრ.	მოთხრობამ	„პატარა პრინცი“
მიც.	მოთხრობას	„პატარა პრინცი“
	თანდებულებიანი ფორმები	
	მოთხრობასავით	„პატარა პრინცი“
	მოთხრობასთან	„პატარა პრინცი“
	მოთხრობაზე/ში	„პატარა პრინცი“
ნათ.	მოთხრობ■ის	„პატარა პრინცი“
	თანდებულებიანი ფორმები	
	მოთხრობ■ის(ა)-თვის/გან	„პატარა პრინცი“
მოქმ.	მოთხრობ■ით	„პატარა პრინცი“
	თანდებულიანი ფორმა	
	მოთხრობ■იდან	„პატარა პრინცი“
ვით.	მოთხრობად	„პატარა პრინცი“
	თანდებულიანი ფორმა	
	მოთხრობამდე	„პატარა პრინცი“
წოდ.	მოთხრობავ	„პატარა პრინცი“

ასევე:

სახ.	ლექსი	„ლურჯა ცხენები“
	თანდებულიანი ფორმა	
	ლექსივით	„ლურჯა ცხენები“
მოთხრ.	ლექსმა	„ლურჯა ცხენები“
მიც.	ლექსს	„ლურჯა ცხენები“
	თანდებულებიანი ფორმები	
	ლექსსავით	„ლურჯა ცხენები“
	ლექსთან	„ლურჯა ცხენები“
	ლექსზე/ში	„ლურჯა ცხენები“
ნათ.	ლექსის	„ლურჯა ცხენები“

თანდებულებიანი ფორმები

ლექსის(ა)-
თვის/გან „ლურჯა ცხენები“

მოქმ. ლექსით „ლურჯა ცხენები“

თანდებულიანი ფორმა

ლექსიდან „ლურჯა ცხენები“

ვით. ლექსად „ლურჯა ცხენები“

თანდებულიანი ფორმა

ლექსამდე „ლურჯა ცხენები“

წოდ. (ლექსო „ლურჯა ცხენები“)

დანართი № 22

მართულმსაზღვრელიანი სათაურის ბრუნება

ა) დანართი ხმოვანფუძიანია

სახ. სტატია „ქვათა ღაღადი“

თანდებულიანი ფორმა

სტატია „ქვათა ღაღადივით“

მოთხრ. სტატია „ქვათა ღაღადმა“

მიც. სტატია „ქვათა ღაღადს“

თანდებულებიანი ფორმები

სტატია „ქვათა ღაღადსაკით“
სტატია „ქვათა ღაღადთან“
სტატია „ქვათა ღაღადზე/ში“

ნათ. სტატია „ქვათა ღაღადის“

თანდებულებიანი ფორმები

სტატია „ქვათა ღაღადის(ა)-
თვის/გან“

მოქმ. სტატია „ქვათა ღაღადით“

თანდებულიანი ფორმა

სტატია „ქვათა ღაღადიდან“

ვით. სტატია „ქვათა ღაღადად“

თანდებულიანი ფორმა

სტატია „ქვათა ღაღადამდე“

წოდ. სტატია „ქვათა ღაღადო“

ბ) დანართი თანხმოვანფუძიანია

სახ. რომანი „მთვარის მოტაცება“

თანდებულიანი ფორმა

მოთხრ. რომანმა „მთვარის მოტაცებამ“

მიც. რომან „მთვარის მოტაცებას“

თანდებულებიანი ფორმები

რომან „მთვარის მოტაცებასავით“

რომან „მთვარის მოტაცებასთან“

რომან „მთვარის მოტაცებაზე/ში“

ნათ. რომან „მთვარის მოტაცებ■ის“

თანდებულებიანი ფორმები

რომან „მთვარის მოტაცებ■ის(ა)-თვის/გან“

მოქმ. რომან „მთვარის მოტაცებ■ით“

თანდებულიანი ფორმა

რომან „მთვარის მოტაცებ■იდან“

ვით. რომან „მთვარის მოტაცებად“

თანდებულიანი ფორმა

რომან „მთვარის მოტაცებამდე“

წოდ. რომანო „მთვარის მოტაცებავ“

გ) ბრუნვის ნიშნები და თანდებულები შეგვიძლია დავურთოთ მხოლოდ დანართს:

სახ.	სტატია	„ქვათა ღაღადი“
	თანდებულიანი ფორმა	
	–	–
მოთხრ.	სტატიამ	„ქვათა ღაღადი“
მიც.	სტატიას	„ქვათა ღაღადი“
	თანდებულებიანი ფორმები	
	სტატიასავით	„ქვათა ღაღადი“
	სტატიასთან	„ქვათა ღაღადი“
	სტატიაზე/ში	„ქვათა ღაღადი“
ნათ.	სტატი■ის	„ქვათა ღაღადი“
	თანდებულებიანი ფორმები	
	სტატი■ის(ა)-თვის/გან	„ქვათა ღაღადი“
მოქმ.	სტატი■ით	„ქვათა ღაღადი“
	თანდებულიანი ფორმა	
	სტატი■იდან	„ქვათა ღაღადი“
ვით.	სტატიად	„ქვათა ღაღადი“
	თანდებულიანი ფორმა	
	სტატიამდე	„ქვათა ღაღადი“
წოდ.	(სტატიავ	„ქვათა ღაღადი“)

ასევე:

სახ.	რომანი	„მთვარის მოტაცება“
	თანდებულიანი ფორმა	
	რომანივით	„მთვარის მოტაცება“
მოთხრ.	რომანმა	„მთვარის მოტაცება“
მიც.	რომანს	„მთვარის მოტაცება“
	თანდებულებიანი ფორმები	
	რომანსავით	„მთვარის მოტაცება“
	რომანთან	„მთვარის მოტაცება“
	რომანზე/ში	„მთვარის მოტაცება“
ნათ.	რომანის	„მთვარის მოტაცება“

თანდებულებიანი ფორმები

რომანის-თვის/გან		„მთვარის მოტაცება“
მოქმ.	რომანით	„მთვარის მოტაცება“
	თანდებულიანი ფორმა	
	რომანიდან	„მთვარის მოტაცება“
ვით.	რომანად	„მთვარის მოტაცება“
	თანდებულიანი ფორმა	
	რომანამდე	„მთვარის მოტაცება“
წოდ.	(რომანო	„მთვარის მოტაცება“)

იგივე წესები ვრცელდება სახელობით ბრუნვაში დასმული სახელ-გვარის ან **თამარ მეფის** ტიპის მყარი სიტყვათშეთანხმებით წარმოდგენილ სათაურზე (აქაც პირველი კომპონენტი უცვლელია), თუმცა ის შებრუნებული წყობის მსაზღვრელ-საზღვრულია: სახელი საზღვრულია, ხოლო გვარი ან მასთან გათანაბრებული ზედწოდება – მსაზღვრელი. მაგ.:

> მოთხრობა „იოთამ ზედგენიძე“ (იაკობ გოგებაშვილი), პოემა „თორნიკე ერისთავი“ (აკაკი) / „ალუდა ქეთელაური“ / „ძაღლიკა ხიმიკაური“ (ვაჟა-ფშაველა); ლექსი „გულბაათ ჭავჭავაძე“ (ლადო ასათიანი), რომანი „არსენა მარაბდელი“ (მიხეილ ჯავახიშვილი) / „დათა თუთაშხია“ (ჭაბუა ამირეჯიბი), „ჯეინ ეარი“ (შარლოტა ბრონტე).

თუ სათაური ისეთი ორ- ან მეტკომპონენტიანი შესიტყვებაა, რომლის ბოლო წევრი სახელობითშია, ხოლო წინა კომპონენტი ფორმაუცვლელი სიტყვა, მას (სათაურს) შეიძლება დაერთოს ბრუნვის ნიშნები და თანდებულები. მაგ.:

> მოთხრობა „არსაიდან მოსული“, მოთხრობა „არსაიდან მოსულმა“, მოთხრობა „არსაიდან მოსულს“ და ა.შ.; ნოველა „წითლად მოღაღანე ყვავილი“, ნოველა „წითლად მოღაღანე ყვავილმა“, ნოველა „წითლად მოღაღანე ყვავილს“, ლექსი „ისევ საბა“, ლექსმა „ისევ საბამ“, ლექს „ისევ საბას“ და ა.შ.

დანართი № 23

სათაური სახელ-გვარია

ა) დანართი ხმოვანფუძიანია

სახ.	პოემა	„ალუდა ქეთელაურ-ი“
		თანდებულიანი ფორმა
	პოემა	„ალუდა ქეთელაურ-ი-ვით“
მოთხრ.	პოემა	„ალუდა ქეთელაურ-მა“
მიც.	პოემა	„ალუდა ქეთელაურ-ს“
		თანდებულებიანი ფორმები
	პოემა	„ალუდა ქეთელაურ-სა-ვით“
	პოემა	„ალუდა ქეთელაურ-თან“
	პოემა	„ალუდა ქეთელაურ-ზე/ში“
ნათ.	პოემა	„ალუდა ქეთელაურ-ის“
		თანდებულებიანი ფორმები
	პოემა	„ალუდა ქეთელაურ-ის(ა)-თვის/გან“
მოქმ.	პოემა	„ალუდა ქეთელაურ-ით“
		თანდებულიანი ფორმა
	პოემა	„ალუდა ქეთელაურ-იდან“
ვით.	პოემა	„ალუდა ქეთელაურ-ად“
		თანდებულიანი ფორმა
	პოემა	„ალუდა ქეთელაურ-ამდე“
წოდ.	პოემა	„ალუდა ქეთელაურ-ო“

ბ) დანართი თანხმოვანფუძიანია

სახ.	რომან-ი	„არსენა მარაბდელ-ი“
		თანდებულიანი ფორმა
	რომან-ი	„არსენა მარაბდელ-ი-ვით “
მოთხრ.	რომან-მა	„არსენა მარაბდელ-მა“
მიც.	რომან	„არსენა მარაბდელ-ს“

თანდებულებიანი ფორმები

	რომან	„არსენა მარაბდელ-სა-ვით“
	რომან	„არსენა მარაბდელ-თან“
	რომან	„არსენა მარაბდელ-ზე/ში“
ნათ.	**რომან**	„არსენა მარაბდელ-ის“

თანდებულებიანი ფორმები

	რომან	„არსენა მარაბდელ-ის(ა)-თვის/გან“
მოქმ.	**რომან**	„არსენა მარაბდელ-ით“

თანდებულიანი ფორმა

	რომან	„არსენა მარაბდელ-იდან“
ვით.	**რომან**	„არსენა მარაბდელ-ად“

თანდებულიანი ფორმა

	რომან	„არსენა მარაბდელ-ამდე“
წოდ.	**რომან-ო**	„არსენა მარაბდელ-ო“

შეგვიძლია ბრუნვის ნიშნები და თანდებულები დავურთოთ მხოლოდ დანართს, ისევე როგორც სათაურების ბრუნების ნიმუშების „ბ“ ვარიანტშია (იხ. დანართი №22 გ).

დანართი №24

§ 25. სათაურის პირველი კომპონენტი ფორმაუცვლელი სიტყვაა

ბრუნვის ნიშნები და თანდებულები დაერთვის სათაურს:

სახ.	მოთხრობა	„უკუღმა დაჭედილ-ი“

თანდებულიანი ფორმა

	მოთხრობა	„უკუღმა დაჭედილ-ი-ვით“
მოთხრ.	მოთხრობა	„უკუღმა დაჭედილ-მა“
მიც.	მოთხრობა	„უკუღმა დაჭედილ-ს“

თანდებულებიანი ფორმები

	მოთხრობა	„უკუღმა დაჭედილ-სა-ვით“
	მოთხრობა	„უკუღმა დაჭედილ-თან“
მოთხრობა	„უკუღმა დაჭედილ-ზე/ში“	

ნათ.	მოთხრობა	„უკუღმა დაჭედილ-ის“
		თანდებულებიანი ფორმები
	მოთხრობა	„უკუღმა დაჭედილ-ის(ა)-თეის/გან“
მოქმ.	მოთხრობა	„უკუღმა დაჭედილ-ით“
		თანდებულიანი ფორმა
	მოთხრობა	„უკუღმა დაჭედილ-იდან“
ვით.	მოთხრობა	„უკუღმა დაჭედილ-ად“
		თანდებულიანი ფორმა
	მოთხრობა	„უკუღმა დაჭედილ-ამდე“
წოდ.	მოთხრობა	„უკუღმა დაჭედილ-ო“

შენიშვნა: შეგვიძლია ბრუნვის ნიშნები და თანდებულები დავურთოთ მხოლოდ დანართს.

თუ სათაურის ბოლო სიტყვა სახელობითშია, მაგრამ სათაური ისეთი შესიტყვებაა, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი მაინც შეიძლება იბრუნებოდეს მოცემულ მომენტში, ბრუნვის ნიშნები და თანდებულები უნდა დავურთოთ მხოლოდ დანართს. ვთქვათ, სათაურია „ერთი მუჭა მიწა“ (ოთარ მამფორიას პოემაა), **მიწა** სახელობითშია, მსაზღვრელი **მუჭაც** არ იცვლის ფორმას (მუჭა მიწა, მუჭა მიწა-მ), მაგრამ მსაზღვრელი **ერთი** იბრუნება (**ერთ-ი** მუჭა მიწა, **ერთ-მა** მუჭა მიწა-მ). მაშასადამე, ასეთ შესიტყვებას ვერ ვაბრუნებთ, რათა არ გაჭირდეს სათაურის აღქმა. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამ და ყველა დანარჩენ შემთხვევაში, გარდა ზემოთ ჩამოთვლილებისა, ბრუნვის ნიშნები და თანდებულები უნდა დავურთოთ მხოლოდ დანართს.

მაშასადამე, **ბრუნვის ნიშნები და თანდებულები დაერთვის მხოლოდ დანართს, ხოლო სათაური უცვლელი რჩება ყველა ბრუნვაში, თუ ის:**

ა) მსაზღვრელ-საზღვრულია, წყობა პირდაპირია, ბოლო სიტყვა სახელობითშია, მაგრამ წინა კომპონენტი ფორმის მიხედვით ცვალებადია, რადგან **თანხმოვანფუძიანი** ატრიბუტული მსაზღვრელია. მაგ.:

> ბალადა „თავფარავნელ-ი ჭაბუკი“ (ხალხური), მოთხრობა „მართალ-ი აბდულა“ (მიხეილ ჯავახიშვილი), ნოველა

„ჩოჩარიელ-ი გოგონა“ (ალბერტო მორავია), რომანი „მიმქრალი შარავანდედი“ (ვასილ ბარნოვი) / „ლამაზ-ი მეგობარი“ (გი დე მოპასანი) / „დიდ-ი გეტსბი“ (ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი)/ „უბედურ-ი რუსი“ (შალვა დადიანი); ლექსი „ქართულ-ი ენა“ (ლადო ასათიანი) / „აფხაზურ-ი კანტატა“ (შოთა ნიშნიანიძე), „იღბლიან-ი ბორბალი“ (შერმადინ ქალდანი).

როგორც ხედავთ, სათაურების ყველა პირველი კომპონენტი იბრუნება („**თავფარავნელ-მა** ჭაბუკ-მა“, „**მართალ-მა** აბდულა-მ“, „**ჩოჩარიელ-მა** გოგონა-მ, „**დიდმა** გეტსბ-მა“, „**ქართულ-მა** ენა-მ“, „**აფხაზურ-მა** კანტატა-მ“, „**იღბლიან-მა** ბორბალ-მა“ და ა.შ.), ამიტომ ასეთი სათაურები არ უნდა ვაბრუნოთ.

დაიმახსოვრეთ:

ორ- ან მეტკომპონენტიანი სათაურისათვის ბრუნვის ნიშნებისა და თანდებულების დართვის ძირითადი პირობაა: ბოლო სიტყვა უნდა იდგეს სახელობით ბრუნვაში, ხოლო ხელშემშლელი ფაქტორია: თუ რომელიმე კომპონენტი სახელობითში მდგომ ბოლო სიტყვასთან ერთად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს.

დანართი № 25

§ 26. ორსიტყვიანი სათაურის პირველი კომპონენტი თანხმოვანფუძიანია

ბრუნვის ნიშნები და თანდებულები დაერთვის მხოლოდ დანართს

სახ.	**ლექს-ი**	„აფხაზური კანტატა“
	თანდებულიანი ფორმა	
	ლექს-ი-ვით	„აფხაზური კანტატა“
მოთხრ.	**ლექს-მა**	„აფხაზური კანტატა“
მიც.	**ლექს-ს**	„აფხაზური კანტატა“
	თანდებულებიანი ფორმები	
	ლექს-სა-ვით	„აფხაზური კანტატა“
	ლექს-თან	„აფხაზური კანტატა“
	ლექს-ზე/ში	„აფხაზური კანტატა“

ნათ.	ლექს-ის	„აფხაზური კანტატა“
	თანდებულებიანი ფორმები	
	ლექს-ის(ა)-	„აფხაზური კანტატა“
	თვის/გან	
მოქმ.	ლექს-ით	„აფხაზური კანტატა“
	თანდებულიანი ფორმა	
	ლექს-იდან	„აფხაზური კანტატა“
ვით.	ლექს-ად	„აფხაზური კანტატა“
	თანდებულიანი ფორმა	
	ლექს-ამდე	„აფხაზური კანტატა“
წოდ.	(ლექს-ო	„აფხაზური კანტატა“)

ბ) და კავშირით შეერთებული ორი სიტყვაა. მაგ.:

> მოთხრობა „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ (იაკობ გოგებაშვილი), ნოველა „ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები“ (რევაზ ინანიშვილი), ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა“, (უილიამ შექსპირი); იგავ-არაკი „კუ და მორიელი“ (სულხან-საბა ორბელიანი), ლექსი „მე და ღამე“ (გალაკტიონი), პუბლიცისტური წერილი „ერი და ისტორია“ (ილია) / „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ (ვაჟა-ფშაველა); ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“ ხალხური);

სწორია: „იგავ-არაკ-მა „კუ და მორიელი“, იგავ-არაკ-ს „კუ და მორიელი“, იგავ-არაკ-ის „კუ და მორიელი“, იგავ-არაკ-ით „კუ და მორიელი“, იგავ-არაკ-ად „კუ და მორიელი“, (იგავ-არაკ-ო „კუ და მორიელი“).

და არა: იგავ-არაკ-მა „კუ და მორიელ-მა“, იგავ-არაკ-ს „კუ და მორიელ-ს“ ან „კუსა და მორიელს“, იგავ-არაკ-ის „კუ და მორიელ-ის ან „კუ-სი და მორიელ-ის“;

გ) სახელობით ბრუნვაშია, მაგრამ ნართანიანი მრავლობითის ფორმით (მნიშვნელობა არა აქვს, წყობა პირდაპირია თუ შებრუნებული). მაგ.:

> მოთხრობა „ძმანი“ (რევაზ მიშველაძე) / „მთანი მაღალნი“ (ვაჟა-ფშაველა); ლექსი „თვალნი ელამნი“ (იოსებ გრიშაშვილი), რომანი „საბრალონი“ (ვიქტორ ჰიუგო).

დ) მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობაა (მნიშვნელობა არა აქვს, მსაზღვრელი ატრიბუტულია თუ სუბსტანტიური). მაგ.:

> თხზულება „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ (იოანე ზოსიმე), მოთხრობა „სხივი წარსულისა“ (იაკობ გოგებაშვილი) / „სიკვდილი ბარბალე ბადიაურისა“ (რევაზ ინანიშვილი); პოემა „ბედი ქართლისა“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი), ლექსი „სწაელა მოსწაელეთა“ (დავით გურამიშვილი)/ „სული ობოლი“ / „ხმა იდუმალი“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი), „სიტყვა ეული“ (ვაჟა-ფშაველა) / „ლექსი მეწყერი“ (ტიციან ტაბიძე / „დილა ნარგიზნარევი“ / „ღამე ივერიისა“ (გიორგი ლეონიძე); რომანი „ტრფობა წამებული“ (ვასილ ბარნოვი) / „სამოსელი პირველი“ (გურამ დოჩანაშვილი); იგავ-არაკთა კრებული „სიბრძნე სიცრუისა“;

სწორია: მოთხრობა-მ „სხივი წარსულისა“, მოთხრობა-ს „სხივი წარსულისა“, მოთხრობის „სხივი წარსულისა“, მოთხრობ-ით „სხივი წარსულისა“, მოთხრობ-ად „სხივი წარსულისა“, (მოთხრობავ „სხივი წარსულისა“);

და არა: მოთხრობა-მ „სხივმა წარსულისა-მ“, მოთხრობა-ს „სხივ-ს წარსულისა-ს“, მოთხრობის „სხივ-ის წარსულისა“ და ა.შ.

ე) არასახელობით ბრუნვაშია:

> ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი) / „ქართველის დედას“ (ილია) / „ნაძალადებ საქმროს“ (აკაკი) / „ჩემის კაცობის გვირგვინო“ / „ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტს“ / „ალექსანდრე ყაზბეგს“ (ვაჟა-ფშაველა) / „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ / „ჰიმნი ქართულ ანბანს“ (გალაკტიონი) / „ჩემს ეშხისავარს“ (იოსებ გრიშაშვილი) / „პავლე ინგოროყვას“ / „წერილი დედას“ (პაოლო იაშვილი), „თამუნია წერეთელს“ (ტიციან ტაბიძე) / „ვაჟას“ (ჯანსუღ ჩარკვიანი) / „სამეგრელოს“ / „დავით მეფეც, ჩემო ხატო“ (თინათინ მღვდლიაშვილი) / „მიწავ“ (გოდერძი ჩოხელი) / „ხოტბა საქართველოს კეკლუცებს“ (იონათან ნაყაში) / „საქართველოს პოეტებს“ (ოვანეს თუმანიანი); წერილი „კატკოვის პასუხად“ (ილია);

ვ) თანდებულიანი სახელია:

> ლექსი „ხატის წინ“ (აკაკი) / „ჩარგალში“ (გიორგი ლეონიძე) / „ანანურთან“ (ტიციან ტაბიძე) / „შიომღვიმეში“

(ანა კალანდაძე) / „ბარიერთან“ (შოთა ნიშნიანიძე) / „საქართველოსთვის“ (გოდერძი ჩოხელი);

ზ) თანდებულიანი შესიტყვებაა:

„გიორგი სააკაძის სურათზე“ (ვაჟა-ფშაველა) / „ციცინათელები თმებში“ (იოსებ გრიშაშვილი) / „ლხინი კახელებთან“ (ლადო ასათიანი) / „ბეთანიის გზაზე“ (ანა კალანდაძე)/ „შემოდგომა თბილისში“ (იოსებ ნონეშვილი).

თ) გადმოცემულია ფორმაუცვლელი სიტყვებით:

სტატია „ნუთუ?“ (ილია) / „მახლას!“ (ვაჟა-ფშაველა); ლექსი „ჰეი“ (გიორგი ლეონიძე) / „როცა“ (ანა კალანდაძე);

სწორია: სტატია „ნუთუ?“, სტატია-მ „ნუთუ?“, სტატია-ს „ნუთუ?“ და ა.შ.

და არა: სტატია „ნუთუ?“-მ (ან „ნუთუმ?“), სტატია „ნუთუ?“-ს (ან „ნუთუს?“) და ა.შ.

ი) გადმოცემულია ზმნით:

მოთხრობა „ამოდის, ნათდება“ (ვაჟა-ფშაველა), ლექსი „გიყვარდეს!“ (ილია) / „დამიბრუნდი, დამიბრუნდი“ (იოსებ გრიშაშვილი) / „ნუ გათათრდები“ (გიორგი ლეონიძე) / „არ გამაგონო“ (ალიო მირცხულავა) / „მელა-პარაკე“ (ვაჟა ოთარაშვილი); წერილი „ვიცინოთ თუ ვიტიროთ“ (ილია) / „ვერ მოჰკლეს!“ (ვაჟა-ფშაველა);

კ) გადმოცემულია ზმნური შესიტყვებით:

მინიატიურა „იყიდება საქართველო“ (ნიკო ლორთქიფანიძე), ლექსი „შემომეყარა ყივჩაღი“ (ხალხური) / „წამყე ბეთანიისაკენ“ (გალაკტიონ ტაბიძე) / „არ ემსგავსო ბეითალმანს“ (მარიამ წიკლაური);

სწორია: ვკითხულობ მარიამ წიკლაურის უბრწყინვალეს **ლექსს** „არ ემსგავსო ბეითალმანს“;

და არა: ვკითხულობ მარიამ წიკლაურის უბრწყინვალეს **ლექს** „არ ემსგავსო ბეითალმანს-ს“;

ლ) გადმოცემულია წინადადებით (მათ შორის – კითხვის- ან ძახილისნიშნიანით):

მოთხრობა „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“ (რევაზ ინანიშვილი), რომანი „ვის უხმობს ზარი?“ (ერნსტ ჰემინგუეი); ლექსი „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“ (მურმან ლებანიძე) / „უსამშობლოდ ვარ ავად!“ (მიხეილ ჩაჩუა) / „იმაზე ცოტა მეტი ვარ“ (ვაჟა ოთარაშვილი) / „ხმალი ავლესოთ, ქართველებო, ხმალი ავლესოთ!“ (თინათინ მღვდლიაშვილი).

მ) უსათაურო ლექსებში პირველი სტრიქონია. მაგ.:

ლექსი ... („აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს“) /... („უპირველესად ვაღმერთებ ქართველს“) (მურმან ლებანიძე) / ... („ჩემს ქალაქში არაფერი მაოცებს“) (ნიკო გომელაური).

დანართი № 26

სახ.	**მოთხრობა**	„მართალი აბდულა“
	თანდებულიანი ფორმა	
	—	—
მოთხრ.	**მოთხრობა-მ**	„მართალი აბდულა“
მიც.	**მოთხრობა-ს**	„მართალი აბდულა“
	თანდებულებიანი ფორმები	
	მოთხრობა-სა-ვით	„მართალი აბდულა“
	მოთხრობა-ს-თან	„მართალი აბდულა“
	მოთხრობა-ზე/ში	„მართალი აბდულა“
ნათ.	**მოთხრობ■-ის(ა)**	„მართალი აბდულა“
	თანდებულებიანი ფორმები	
	მოთხრობ■-ის(ა)-თვის/გან	„მართალი აბდულა“
მოქმ.	**მოთხრობ■-ით**	„მართალი აბდულა“
	თანდებულიანი ფორმა	
	მოთხრობ■-იდან	„მართალი აბდულა“
ვით.	**მოთხრობა-დ**	„მართალი აბდულა“
	თანდებულიანი ფორმა	
	მოთხრობა-მდე	„მართალი აბდულა“
წოდ.	**(მოთხრობა-ვ**	„მართალი აბდულა“)

დანართი № 27

სათაური ზმნური შესიტყვებაა

ბრუნვის ნიშნები და თანდებულები დაერთვის დანართს

სახ.	**ლექს-ი**	„შემომეყარა ყივჩაღი“
	თანდებულიანი ფორმა	
	ლექს-ი-ვით	„შემომეყარა ყივჩაღი“
მოთხრ.	**ლექს-მა**	„შემომეყარა ყივჩაღი“
მიც.	**ლექს-ს**	„შემომეყარა ყივჩაღი“
	თანდებულებიანი ფორმები	
	ლექს-სა-ვით	„შემომეყარა ყივჩაღი“
	ლექს-თან	„შემომეყარა ყივჩაღი“
	ლექს-ზე/ში	„შემომეყარა ყივჩაღი“
ნათ.	**ლექს-ის**	„შემომეყარა ყივჩაღი“
	თანდებულებიანი ფორმები	
	ლექს-ის(ა)-თვის/გან	„შემომეყარა ყივჩაღი“
მოქმ.	**ლექს-ით**	„შემომეყარა ყივჩაღი“
	თანდებულიანი ფორმა	
	ლექს-იდან	„შემომეყარა ყივჩაღი“
ვით.	**ლექს-ად**	„შემომეყარა ყივჩაღი“
	თანდებულიანი ფორმა	
	ლექს-ამდე	„შემომეყარა ყივჩაღი“
წოდ.	**(ლექს-ო**	„შემომეყარა ყივჩაღი“)

ასევე:

სახ.	**მინიატიურა**	„იყიდება საქართველო“
	თანდებულიანი ფორმა	
	—	—
მოთხრ.	**მინიატიურა-მ**	„იყიდება საქართველო“
მიც.	**მინიატიურა-ს**	„იყიდება საქართველო“

თანდებულებიანი ფორმები

	მინიატიურა-სა-ვით	„იყიდება საქართველო“
	მინიატიურა-სთან	„იყიდება საქართველო“
	მინიატიურა-ზე/ში	„იყიდება საქართველო“
ნათ.	**მინიატიურ-ის**	„იყიდება საქართველო“

თანდებულებიანი ფორმები

	მინიატიურ-ის(ა)-თვის/გან	„იყიდება საქართველო“
მოქმ.	**მინიატიურ-ით**	„იყიდება საქართველო“

თანდებულიანი ფორმა

	მინიატიურ-იდან	„იყიდება საქართველო“
ვით.	**მინიატიურა-დ**	„იყიდება საქართველო“

თანდებულიანი ფორმა

	მინიატიურა-მდე	„იყიდება საქართველო“
წოდ.	**(მინიატიურა-ვ**	„იყიდება საქართველო“)

მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ თუ მოთხრობა „კაცია-ადამიანში?!“

ილიას ამ მოთხრობის სათაური არ არის „კაც-ადამიანი“, რომ თავისუფლად შეგვეძლოს მისი ბრუნება. ხელშემშლელი მიზეზი კი ორი გვაქვს: შეიცავს ზმნას, რომელიც შეკვეცილია და ა ხმოვნით არის წარმოდგენილი (კაცია) და სათაურის ბოლოს კითხვა-ძახილის ნიშანია დასმული. ასეთ შემთხვევაში კი ბრუნვის ნიშნები და თანდებულები დაერთვის მხოლოდ დანართს. მაგ.:

> მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“, მოთხრობა-მ „კაცია-ადამიანი?!“, მოთხრობა-ს „კაცია-ადამიანი?!“, მოთხრობ-ის „კაცია-ადამიანი?!“, მოთხრობ-ით „კაცია-ადამიანი?!“, მოთხრობა-დ „კაცია-ადამიანი?!“ და მოთხრობა-ვ „კაცია-ადამიანი?!“ (თუმცა ეს უკანასკნელი ფორმა პრაქტიკულად არ იხმარება).

დაიმახსოვრეთ:

1. თუ დანართი გავრცობილია მსაზღვრელებით, ბრუნვის ნიშნები და თანდებულები შეგვიძლია დავურთოთ ან დანართს,

ან სათაურს (თუ ამ უკანასკნელის აგებულება არ ქმნის დაბრკოლებას), **თუმცა უმჯობესია, დავურთოთ დანართს,** რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგ შემთხვევაში წინადადება სტილურად ასე უფრო დახვეწილია. **შეადარეთ:**

> რეჟისორი დაინტერესდა გამოჩენილი ქართველი მწერლის რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „დედუნათი“ და რეჟისორი დაინტერესდა გამოჩენილი ქართველი მწერლის რევაზ ინანიშვილის **მოთხრობით „დედუნა“**. ამოიწერეთ მეტაფორები შესანიშნავი ქართველი პოეტის პაოლო იაშვილის ლექს „დარიანულიდან“ და ამოიწერეთ მეტაფორები შესანიშნავი ქართველი პოეტის პაოლო იაშვილის **ლექსიდან „დარიანული“**.

როგორც ხედავთ, მეორე ვარიანტები სტილური თვალსაზრისით უფრო გამართულია.

2. ზოგჯერ სათაურ-სახელწოდებას ახლავს საკუთარი მსაზღვრელებით წარმოდგენილი დანართი. ასეთ შემთხვევაშიც სათაურები იბრუნება ზემოთ ჩამოთვლილი წესების მიხედვით. მაგ.:

> მოსწავლეები აღაფრთოვანა დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსმა „თოვლმა“. მოსწავლეები ზეპირად სწავლობენ დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექს „თოვლს“.

შესაძლოა, ბრუნვის ნიშნებითა და თანდებულებით გაფორმდეს თავად დანართი. მაგ.:

> მოსწავლეები აღაფრთოვანა დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსმა „თოვლი“. მოსწავლეები ზეპირად სწავლობენ დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „თოვლი“.[103]

3. შეიძლება თუ არა წინადადებაში სათაური წარმოდგენილ იქნეს დანართის გარეშე? – შეიძლება. ასეთია სახელობითში დასმული პირდაპირი წყობის მქონე სათაურები, რომლებიც

---

[103] თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე, დანართიან და უდანართო სათაურ-სახელწოდებათა მართლწერისათვის, ქსკს, წიგნი XV, თბ., 2015, გვ. 21-22.

დაირთავენ ბრუნვის ნიშნებსა და თანდებულებს. კერძოდ: ერთსიტყვიანები („თოვლი“), სახელ-გვარით ან ზედწოდებით წარმოდგენილები („გივი შადური“, „ლუარსაბ წამებული“), მართულმსაზღვრელიანი („მამის მკვლელი“), ხმოვნით დაბოლოებული ატრიბუტულმსაზღვრელიანი („ლურჯა ცხენები“). მაგ.:

„მამის მკვლელმა“ გრიგოლ ორბელიანზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

დანარჩენი ფორმისა და აგებულების სათაურები წინადადებაში მხოლოდ დანართთან ერთად გამოიყენება (ბრუნვის ნიშნებიცა და თანდებულებიც მხოლოდ დანართს დაერთვის). ესენია სათაურები, რომლებიც გადმოცემულია: არასახელობითი ბრუნვის ფორმით, უთანდებულო („ვაჟას“) ან თანდებულიანი („ანანურთან“, „ხმა კატამონთან“), ნართანიანი მრავლობითის ფორმით („კაცნი“, „მთანი მაღალნი“), ფორმაუცვლელი სიტყვით („ნუთუ?“), და კავშირით შეერთებული სახელებით („მე და ღამე“), ისეთი მსაზღვრელ-საზღვრულით, რომლის წინა კომპონენტი (მსაზღვრელი ნაწილი) თანხმოვანფუძიანია და საზღვრულთან ბრუნებისას ბრუნვის ნიშნებს დაირთავს („ქართულ-ი ენა“, „ქართულ-მა ენა-მ“), მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობით („სიტყვა ეული“, „ღამე ივერიისა“), ზმნით („გიყვარდეს!“), ზმნური შესიტყვებით („შემომეყარა ყივჩაღი“), წინადადებით („ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“).

ზემოთ ჩამოთვლილი წესები ვრცელდება სასტუმროების, რესტორნების, მაღაზიების, გემების, სატელევიზიო- და რადიოგადაცემების და სხვ. სახელწოდებებზედაც.

წარმოქმნილი არსებითი სახელები

§ 27. წარმოქმნილ არსებით სახელთა მართლწერა

სიტყვა ორნაირად იცვლება. ერთ შემთხვევაში იცვლება გრამატიკულად (ამას ფლექსია ეწოდება, ხოლო შესაბამის აფიქსებს ფლექსიური), მეორე შემთხვევაში – ლექსიკურად (ეს დერივაციაა, შესაბამისი აფიქსები კი – დერივაციული). წარმოქმნა ამ უკანასკნელ ცვლილებას გულისხმობს.

ძირეულ ფუძეზე დართვის ადგილის მიხედვით მაწარმოებელი აფიქსები სამი სახისაა: თავსართები, ბოლოსართები და თავსართ-ბოლოსართები. ქართულში სახელთა წარმოსაქმნელად უმთავრესად გამოიყენება ბოლოსართები და თავსართ-ბოლოსართები. შედარებით ცოტაა მხოლოდ თავსართიანი წარმოების სიტყვები. გამოიყოფა წარმოქმნილ არსებით სახელთა რამდენიმე შინაარსობრივი ჯგუფი: აბსტრაქტული, ქონების, უქონლობის, ხელობის, წინა ვითარების, გეოგრაფიული და სხვ.

წარმოქმნილ სახელთა მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. აბსტრაქტულ სახელთა მართლწერა მრავალფეროვნებით ხასიათდება, კერძოდ:

ა) ზოგიერთ ზედსართავ სახელს ჩამოშორდება **ელ** და **ილ** ბოლოსართი, როცა მათგან იწარმოება აბსტრაქტული სახელი:

ბრტყ-ელ-ი – **სი**-ბრტყ-ე, გრძელი – სიგრძე, ცხელი – სიცხე, ტკბილი – სიტკბო, თბილი – სითბო, სქელი – სისქე.

ბ) თუ სახელის ფუძე **ო**-თი ბოლოვდება, **-ობა** ბოლოსართის დართვისას ერთად თავს მოიყრის ორი **ო**:

ალო-**ობა**, კალოობა, მარტოობა, უდროობა.

აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებლებია **-ება, -ობა**. მაგ.: ღვთა-ება, სამ-ება, გულად-ობა. **-ობა** კონკრეტულ სახელთა მაწარმოებელიცაა. მაგ.: სტუდენტობა, ახალგაზრდობა, ჭაბუკობა. ეს სახელები პოლისემიურნი არიან (= მრავალმნიშვნელობიანი, სიტყვას რომ ერთზე მეტი მნიშვნელობა აქვს) – კონტექსტის (=

წერილობითი ტექსტის შინაარსობრივად დასრულებული ნაწყვეტი, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს მასში შემავალი ცალკეული სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობა) შესაბამისად კრებითობასაც აღნიშნავენ და აბსტრაქტულ სახელთა როლშიც გვევლინებიან[104].

გ) ზოგჯერ **-ება** მაწარმოებლის ადგილს უმართებულოდ იჭერს **-ობა**.

სწორია: აგებულ-**ება**, მიმართულება, უთახმოება, შეხედულება, წლოვანება;

და არა: აგებულ-ობა, მიმართულობა, უთახმობა, შეხედულობა, წლოვანობა.

დ) სი-ე და **-ობა/-ება** აფიქსები ხშირად დაერთვის ერთსა და იმავე ფუძეს. თუ **-ობა** ბოლოსართით კრებითობის შინაარსის სახელია ნაწარმოები, ენა ცდილობს იმავე ფუძისგან **სი-ე** თავსართ-ბოლოსართით აწარმოოს აბსტრაქტული სახელი[105]. მაგ.:

ღარიბ-**ობა** – **სი**-ღარიბ-**ე**, ყმაწვილობა – სიყმაწვილე, ჭაბუკობა – სიჭაბუკე.

თუ ორივე აფიქსი აბსტრაქტულობას გამოხატავს, უფრო მართებულ ფორმად მიიჩნევა **სი-ე**-მაწარმოებლიანი სახელი. მაგ.:

სი-ამ-ე, სი-მძლავრ-ე, სი-ძუნწ-ე, სი-ღარიბ-ე, სი-ჭაბუკ-ე.

იშვიათად უპირატესობა ეძლევა **-ობა**-ბოლოსართიან წარმოებას.

უმჯობესია: ბავშვ-ობა, ბედშაობა, ვაჟკაცობა, ველურობა, თავმდაბლობა, კოჭლობა, მსუნაგობა;

და არა: სი-ბავშვ-ე, სიბედშავე, სივაჟკაცე, სიველურე, სითავმდაბლე, სიკოჭლე, სიმსუნაგე;

ე) კიდევ უფრო მეტი თავისებურებით სახიათდება ის აბსტრაქტული სახელები, რომელთა ამოსავალ ფუძედ ხმოვნით დაბოლოებული ფორმები გვევლინება. **ა**-ფუძიანი სახელები

---

[104] მ ა ნ ა ნ ა ტ უ ს კ ი ა, სიტყვაწარმოებითი აფიქსების ფუნქციები და შეხამებადობა სახელურ ფუძეთა სემანტიკური ჯგუფების მიხედვით, ქსკს, წიგნი X, თბ., 1993, გვ. 141.

[105] იქვე, გვ. 143.

იკვეცება ხმოვნით დაწყებული მაწარმოებლების გავლენით, **ე**-ფუძიანები კი შეიძლება შეიკვეცოს, შეიძლება – არა[106]. მაგ.:

> ახალგაზრდა – ახალგაზრდ-**ობა**, თამადა – თამადობა, მეტიჩარა – მეტიჩრობა, მცხეთა – მცხეთობა; ზერელე – ზერელ-ობა, საუსმე – საუსმობა, ძალ-ღონე – უძალ-ღონობა, ხელმრუდე – სელმრუდობა, **მაგრამ**: მემკვიდრე – მემკვიდრე-ობა, მეუდაბნოე – მეუდაბნოობა, მეფუტკრე – მეფუტკრეობა, მექრთამე – მექრთამეობა, მეხოტბე – მეხოტბეობა, მეჯოგე – მეჯოგეობა, მოღალატე – მოღალატეობა.

ვ) არ იკვეცება ქონებისა და მსგავსების აღნიშვნელი მაწარმოებელი **ა**:

> ბაქია – ბაქია-ობა, მანჭია – მანჭიაობა, მასხარა – მასხარაობა, ყელყელა – ყელყელაობა, ჩხირკედელა – ჩხირკედელაობა.

ასეთივე ყალიბს იყენებენ ე. წ. საბავშვო თამაშობების აღმნიშვნელი სახელები:

> ასკინკილა-ობა, პამპულაობა, ჩილიკა (ჯოხი) – ჩილიკაობა, ძიძგილაობა[107].

2. წინა ვითარების სახელებიდან ერთმანეთშია აღრეული გაარსებითებული ზედსართავის, მიმღეობისა და მიმღეობის ტიპის ფორმების წარმოება **ნა-ევ/ნა-ებ** აფიქსებით. ნორმების მიხედვით წინა ვითარების სახელებთან უნდა გამოვიყენოთ **-ევ** ბოლოსართი, ხოლო ვნებითი გვარის მიმღეობასა და მიმღეობის ტიპის ფორმებთან – **-ებ** ბოლოსართი.

„ზოგი სახელური ფუძისაგან უფრო ბუნებრივია წინა ვითარების სახელების საწარმოებლად **ნა-არ** აფიქსების გამოყენება. ლიტერატურული ენის თავალსაზრისით მართებული, ბუნებრივი და გაბატონებულია ნაწარმოები სახელები: ნასახლარი, ნასოფლარი, ნატუსაღარი, ნაყაჩაღარი, ნაყვავილარი, ნაცოლარი და მისთ.,

---

[106] მ ე რ ი შ ი ნ ჯ ი ა შ ვ ი ლ ი, განყენებული შინაარსის სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის თანამედროვე ქართულში, ქსკს, წიგნი VI, გვ. 212.

[107] იქვე, გვ. 214.

ხოლო უკუსაგდებია: ნასახლევი, ნასოფლევი, ნატუსაღევი, ნაყაჩაღევი, ნაყვავილევი, ნაცოლევი და სხვა. ეს უკანასკნელები პირველთ სალიტერატურო ენაში მეტოქეობას ვერ უწევენ“[108].

3. წარმოქმნილ სახელთა მართლწერას ართულებს სიტყვის ფუძეში ვ-თანხმოვნის კლებისა თუ ჩართვის შემთხვევებიც. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით დადგენილია შემდეგი წესები:

1. ფუძისეული ვ უნდა დაცულ იქნეს:

ა) -ობა ბოლოსართის წინ, თუ ბოლოკიდურ **ვ**-ს წინ თანხმოვანი უძღვის[109]:

> ბავშვი – ბავშ**ვ-ობა**, ბრიყვი – ბრიყვობა, დათვი – დათვობა, თაგვი – თაგვობა, მორცხვი – მორცხვობა, გულუხვი – გულუხვობა.

ბ) თუ **-ობა** დაერთვის **ივ**-ბოლოკიდურიან უცხო წარმომავლობის სიტყვებს:

> აქტივ-ობა, პასივობა, უინიციატივობა, უპერსპექტივობა, ინტენსივობა[110].

2. ფუძისეული ვ იკარგება[111]:

ა) -ობა ბოლოსართის წინ, თუ ბოლოკიდურ **ვ**-ს წინ ხმოვანი უძღვის:

> ბედშავი – ბედშაობა, ბეჩავი – ბეჩაობა, გამბედავი – გამბედაობა, თავი – თაობა (**მაგრამ**: ერისთავი – ერისთავობა), ნათესავი – ნათესაობა, ნარგავი – ნარგაობა, ნაძალადევი – ნაძალადეობა, პარასკევი – პარასკეობა, სანახავი – სანახაობა, საცოდავი – საცოდაობა, უნახავი – უნახაობა, შესახედავი – შესახედაობა, ხევი – ხეობა.

მაგრამ: მოურავი – მოურავობა.

---

[108] ნორმების ბიულეტენი № 3, გვ. 17.

[109] ნორმები, გვ. 12 და 16.

[110] იქვე, გვ. 18.

[111] იქვე, გვ. 17.

ბ) -ობა ბოლოსართის წინ, თუ აბსტრაქტული სახელი ნაწარმოებია **ივ**-ბოლოკიდურიანი ქართული სიტყვებისაგან:

ბუნებრივი – ბუნებრიობა, კაცობრივი – კაცობრიობა, კლასობრივი – კლასობრიობა, მიზეზობრივი – მიზეზობრიობა, საზოგადოებრივი – საზოგადოებრიობა, წოდებრივი – წოდებრიობა.

გამონაკლისია: მრავალმხრივი – მრავალმხრივობა, მუდმივი – მუდმივობა, ცალმხრივი – ცალმხრივობა, ხანგრძლივი – ხანგრძლივობა.

3. ვ ჩაერთვის[112]**:**

ა) ფუძისეულ და ბოლოსართისეულ ხმოვნებს შორის, თუ **ე** ან **ო** ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს დაერთვის **მე-ე** ან **სა-ე** აფიქსები:

ტყე – მე-ტყე-ვ-ე, რძე – მერძევე, სარძევე; ეზო – მეეზოე (ესენი გაარსებითებული ზედსართავებია);

ბ) თუ **სი-ე** თავსართ-ბოლოსართი დაერთვის **ა** ან **ო** ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს:

კოხტა – სი-კოხტა-ვ-ე, ბრმა – სიბრმავე, სუფთა – სისუფთავე, ფართო – სიფართოვე, ახლო – სიახლოვე.

უ-ფუძიან სახელებს ვ არ ჩაერთვის:

ყრუ – სი-ყრუ-ე, ცრუ – სიცრუე.

---

[112] ნორმები, გვ. 20.

უცხო სიტყვების მართლწერა

ორთოგრაფიული შეცდომების ერთ-ერთი წყაროა უცხოური ენებიდან შემოსული საერთაშორისო (ინტერნაციონალური) სიტყვები. ეს შეცდომები განსაკუთრებით **ნ** ასო-ბგერის ხმარებასთან არის დაკავშირებული. როგორც აღნიშნავენ, შეინიშნება სამი შემთხვევა: როცა **ნ** აკლია, **ნ** ზედმეტია და **ნ**-ს ენაცვლება **მ** (იხ. მარინე კერესელიძე, სონორი თანხმოვნებისა და ხმოვნების უმართებული ხმარებისათვის საერთაშორისო სიტყვებში, ქსკს, წ. XI, თბ., 1998, გვ. 76-78).

-ენტ/-ანტ- ან -ენცია/-ანცია-ბოლოსართიან არსებით სახელებში ზოგჯერ გამოტოვებულია ძირეული ან ბოლოსართისეული **ნ**. მაგ.:

სწორია:	მცდარია:
ინსტი**ნ**ქტი	ინსტიქტი
ი**ნ**სტანცია	ისტანცია
კონდე**ნ**სატორი	კონდესატორი
კონდე**ნ**საცია	კონდესაცია
კონტი**ნ**გენტი	კონტიგენტი
კორესპო**ნ**დენტი	კორესპოდენტი
კორესპო**ნ**დენცია	კორესპოდენცია
კომენდა**ნ**ტი	კომენდატი ან კომედანტი
კონიუ**ნ**ქტურა	კონიუქტურა
კონსე**ნ**სუსი	კონსესუსი
კონიუ**ნ**ქტივი	კონიუქტივი
პრეტე**ნ**დენტი	პრეტედენტი
რესპო**ნ**დენტი	რესპოდენტი
სეკუ**ნ**დანტი	სეკუდანტი

შედარებით მცირეა ისეთი შემთხვევები, როცა **ნ** ზედმეტია.

სწორია:	მცდარია:
ინვე**ს**ტიცია	ინვენსტიცია
ინცი**დ**ენტი	ინციდენტი
კომპე**ტ**ენცია	კომპენტენცია
კომპე**ტ**ენტური	კომპენტენტური
კომპრომე**ტ**აცია	კომპრომენტაცია
კონსტა**ტ**აცია	კონსტანტაცია
სტიპენდია**ტ**ი	სტიპენდიანტი ან სტეპენდიანტი

ზოგჯერ **ნ**-ს უმართებულოდ ენაცვლება **მ**. ეს უმეტესად ხდება **ფ** ბგერის წინ, რადგან ეს უკანასკნელი ნაწილობრივ იმსგავსებს წინამავალ **ნ**-ს.

სწორია:	მცდარია:
ინფანტილიზმი	იმფანტილიზმი
ინფარქტი	იმფარქტი
ინფლაცია	იმფლაცია
ინფილტრატი	იმფილტრატი
კონფედერაცია	კომფედერაცია
კონფლიქტი	კომფლიქტი
კონფორმიზმი	კომფორმიზმი
კონფრონტაცია	კომფროტაცია

დაიმახსოვრეთ:

1. რუსული ენის გზით შემოსულ უცხოურ (ძირითადად ფრანგულ) სიტყვებში თავს იჩენს პარალელური ფორმები: იმპროვიზება // იმპროვიზირება (რუსულად – импровизировать).

სწორია: იმპროვიზება // იმპროვიზაცია, დემობილიზება // დემობილიზაცია, დემორალიზება // დემორალიზაცია, ვიტამინიზება, მოდერნიზება // მოდერნიზაცია, ნაციონალიზება // ნაციონალიზაცია, სტერილიზება // სტერილიზაცია (ასევე: იმპროვიზებული, დემობილიზებული, მოდერნიზებული და ა.შ.);

და არა: იმპროვიზირება, დემობილიზირება, დემორალიზირება, ვიტამინიზირება, მოდერნიზირება, ნაციონალიზირება, სტერილიზირება (ასევე: იმპროვიზირებული, დემობილიზირებული, ვიტამინიზირებული, მოდერნიზირებული და ა.შ.).

2. რუსულ ენაში გვხვდება – шин(а) ბოლოსართით ნაწარმოები სახელები, რომლებიც ასახავენ საზოგადოებრივ თუ საყოფაცხოვრებო მოვლენას ან იდეურ მიმდინარეობას. ამ სახელების მნიშვნელობას ეს ბოლოსართი უარყოფით ელფერს ანიჭებს (ალექსანდრე კობახიძე, ქსკს, წ. II, გვ. 294-303).

„ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ მხარს უჭერს ბოლოსართით ნაწარმოები სიტყვების უთარგმნელად გადმოღებას ქართულ ენაზე. მაგ.:

სტოლიპინშჩინა, ობლომოვშჩინა, მანილოვშჩინა და მისთ.

3. ზოგჯერ ერთმანეთთან აიგივებენ **-ატ** და **-ანტ** აფიქსებს (იხ. § 28 პარონიმული წყვილები):

ადრესატი – ადრესანტი, დიპლომატი – დიპლომანტი, რეფერატი – რეფერანტი, ფაბრიკატი – ფაბრიკანტი.

პარონიმები და პარონიმია

რა მოვლენაა პარონიმია? – პარონიმების ერთმანეთში აღრევა. პარონიმები რაღაა? – შინაარსით სხვადასხვა, მაგრამ ბგერობრივად მსგავსი სიტყვები, რომელთა გამოყენებისას ენაში დასტურდება აღრევა. ამ სიტყვებს შეიძლება საერთო ძირი ჰქონდეთ, შეიძლება – არა. ზოგი პარონიმი წყვილი შეიძლება შინაარსობრივადაც ახლოს იდგეს ერთმანეთთან და ამ მიზეზით იყოს გამოწვეული აღრევა. მაგრამ უფრო ხშირად პარონიმიის მიზეზი სიტყვის მნიშვნელობის უცოდინრობაა. ეს განსაკუთრებით ეხება უცხო ენებიდან შემოსულ სიტყვებს. პარონიმი წყვილების ერთმანეთში აღრევა უხეშ სტილისტიკურ შეცდომად არის მიჩნეული.

მხატვრული სიტყვის ოსტატები პარონიმებს კალამბურად (ზმად) იყენებენ (**კალამბური** არის სიტყვათა თამაში, რომელიც ემყარება ერთნაირი ბგერითი შედგენილობის სხვადასხვა სიტყვის, ანდა ერთი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობის გამოყენებას)[113]. მაგ.:

ვენდე ბინდს... ხან ვენდე ბონდოს... ხანაც ბანდებს ვენდე. რაღაც დამჩემდა ოხვრები, შემომეჩვივნენ ახვრები (ნიკო გომელაური).

---

[113] იხ. ანდრო ჭილაია, რამაზ ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, გვ. 106

§ 28. არსებითი სახელების პარონიმული წყვილები[114]

ადრესანტი – წერილის გამგზავნი,
ადრესატი – წერილის მიმღები.

ბზა – დაბალი ან საშუალო სიმაღლის მარადმწვანე წერილფოთლებიანი ხე ან ბუჩქი;
ბზე – პურეულის ნამჯის ნალეწი.

ბოცმანი – საზღვაო ფლოტში უმცროსი მეთაური; გემბანის რაზმის უშუალო უფროსი;
ლოცმანი – გარკვეულ უბანზე გემების გატარების სპეციალისტი, რომელმაც კარგად იცის ნაოსნობის ადგილობრივი პირობები.

დამწერლობა – ამა თუ იმ ენის გრაფიკული ნიშნები, ასოების სისტემა, წერის ხელოვნება;
მწერლობა – 1. მწიგნობრობა; 2. მწერლის საქმიანობა, სამწერლო მოღვაწეობა; 3. ამა თუ იმ ხალხის ლიტერატურულ ნაწარმოებთა ერთობლიობა, ლიტერატურა.

დელეგაცია – დელეგატთა კრებული, ერთობლიობა;
დეპუტაცია – დეპუტატთა კრებული, ერთობლიობა.

დეპორტი – სპეციალური გარიგება ბირჟაზე საკურსო განსხვავების მისაღებად;
დეპორტაცია – იძულებითი გასახლება ქვეყნიდან.

დიპლომანტი – სტუდენტი, რომელიც სადიპლომო შრომას ამზადებს;
დიპლომატი – პირი, რომელიც დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწევა.

ემიგრანტი – სამშობლოდან სხვა ქვეყანაში იძულებით ან ნებაყოფლობით გადასახლებული პირი (უმთავრესად პოლიტიკური მიზეზით); ემიგრაციაში მყოფი;
იმიგრანტი – ამა თუ იმ ქვეყანაში დასახლებული უცხოელი;

---

[114] მაგალითები დასახელებულია ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონიდან (რედაქტორი თამარ ვაშაკიძე), თბ. 2011.

მიგრანტი – ვინც, რაც (ცხოველები, ფრინველები, თევზები) იცვლის საცხოვრებელ ადგილს, გადაადგილდება ცხოვრების პირობების შეცვლის გამო (ესენი პარონიმთა სამეულში შედიან).

ექსპონატი – მუზეუმში გამოსაფენი საგანი;
ექსპონენტი – ექსპონატის მფლობელი; გამომფენი.

თემა – საკითხი, რომელსაც ეხება თხზულება (რომანის... თემა);
თემატიკა – თემათა ერთობლიობა, თემათა სისტემა.

თვალსაზრისი – ჩამოყალიბებული შეხედულება, პოზიცია რაიმეს შესახებ (მისაღები თვალსაზრისი);
მოსაზრება – ვარაუდი, აზრი ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით (ეს მოსაზრება თავში ამწუთას მოუვიდა).

იდეა – მთავარი აზრი, დედააზრი (პროგრესული იდეა);
იდეალი – საოცნებო მისაბაძი ვინმე ან რაიმე (ზნეობრივი იდეალი).

კამპანია – ერთობლივ, კოლექტიურ ღონისძიებათა მიმდინარეობა (საარჩევნო **კამპანია**) ან ერთ საბრძოლო ასპარეზზე გაჩაღებული ომი, ლაშქრობა, რომელიც სათანადო გეოგრაფიულ სახელს უკავშირდება (ყირიმის **კამპანია**);
კომპანია – სავაჭრო, სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა სახის გაერთიანება, ამხანაგობა (მაგ., **ავიაკომპანია**); გ ა დ ა ტ. წრე, ჯგუფი (მეგობართა **კომპანია**).

კანფეტი – საკონდიტრო ნაწარმი, ტკბილეული;
კონფეტი – ქაღალდის ფერად-ფერადი (პაწაწინა), მრგვალი ნაჭრები, რომლებსაც საზეიმო შეხვედრებზე თავზე აყრიან ერთმანეთს.

კობრა – მეტისმეტად შხამიანი გველი;
კობრი – მდინარისა და ზღვის ერთგვარი თევზი;

ლამპა – 1. გასანათებელი მოწყობილობა (**ლამპის** შუშა); 2. სხვადახვა სახის გასახურებელი და გასანათებელი (სარჩილავი **ლამპა**);
ლამფა – ჭერის თხელი ფიცარი (კოჭებზე ქვევიდან მიჭედებული); ასეთი ფიცრის ჭერი.

ლიტრი – სითხის საზომი ერთეული;
ლიტრა – თიხის პატარა ვიწროყელიანი ჭურჭელი.

მგზავრი – გზაში მყოფი; ვინც მგზავრობს;
მოგზაური – სამოგზაუროდ, მხარეთა დასათვალიერებლად, მოსახილველად მავალი.

მცნება – დიდაქტიკური აზრის (ზნეობრივი ხასიათის გამოხატვების) შემცველი წინადადება; მაგ., **ათი მცნება**; „მოჰყევ დავითის **მცნებასა**“ (დავით გურამიშვილი);
ცნება – ერთი სიტყვის მნიშვნელობა (მაგ., სამშობლოს **ცნება**).

პირი – ადამიანის ამა თუ იმ ზოგადი სტატუსის მაჩვენებელი (სამოქალაქო/სასულიერო/სამხედრო **პირი**);
პიროვნება – ადამიანის ინდივიდუალური თვისებების აღმნიშვნელი (დადებითი/კეთილშობილი/უარყოფითი **პიროვნება**).

პლაგიატი – ლიტერატურული ან სამეცნიერო ნაშრომის მითვისება (ქურდობა);
პლაგიატორი – სხვისი ნაშრომის მიმთვისებელი (ქურდი).

რტო – შტო ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: ხის ან ბუჩქის გამონაზარდი (შეისხა **რტო**; ბუჩქის **შტო**), მაგრამ შტოს სხვა მნიშვნელობაც აქვს: მდინარის, ქედის, რკინიგზის... განაყოფი სხვადასხვა მხარეს; განშტოება (მთის / მდინარის... **შტო**); შეადარეთ: გვარის **შტო**.

საპილოტე – პილოტისათვის განკუთვნილი (საპილოტე ფორმა);
საპილოტო – რისი პილოტირებაც უნდა მოხდეს, რაც უნდა გამოიცადოს, შემოწმდეს (სახელმძღვანელოს საპილოტო ვერსია, საპილოტო პროგრამა).

სონატა – ერთი ან ორი საკრავისათვის დაწერილი მუსიკალური ნაწარმოები (ჰაიდნის/მოცარტის/ბეთჰოვენის... **სონატა**);
სონეტი – თოთხმეტსტრიქონიანი ლექსი რითმების თავისებური განლაგებით (შექსპირის სონეტები).

ტურნე – 1. მოგზაურება წრიული მარშრუტით; 2. მსახიობთა საგასტროლო მოგზაურობა სხვადასხვა ქალაქში;
ტურნირი – შეჯიბრება რაიმე სპორტულ თამაშობაში (ჭადრაკში, შაშში...), რომლის თითოეული მონაწილე ხვდება ყველა დანარჩენ მონაწილეს რიგრიგობით.

ფაბრიკანტი – ფაბრიკის პატრონი;
ფაბრიკატი – მზა საფაბრიკო ნაწარმო, ნახევრად ფაბრიკატი (ნაწილობრივ დამუშავებული).

ქეჩა – 1. მატყლის ქსოვილის ჩამონაჭრების წნული საფენი; 2. ნაბადი;
ქეჩო – კისრის ზედა ნაწილი (**ქეჩოში** სწვდა).

ღერი – ცალი (ასანთის/შეშის/თმის/ბალახის... **ღერი**);
ღერო – მცენარის ძირითადი ორგანო, ტანი, რომელზედაც ტოტები და ფოთლებია გამოსხმული (სიმინდის... **ღერო**).

შტორმი – ქარიშხალი (ზღვაზე);
შტურმი – გადამწყვეტი იერიში მოწინააღმდეგის გამაგრებული ადგილის ასაღებად.

შტურვალი – ბორბლისებური საჭე (გემის, თვითმფრინავის, კომბაინის...);
შტურმანი – ხომალდებისა და თვითმფრინავების მიმოსვლის საქმის სპეციალისტი, რომელიც იღებს სათანადო კურსს და აღნიშნავს მოძრაობას.

წიწილი – (გველისა);
წიწილა – (ქათმისა).

წყობა – 1. შენობის კედლის ამოყვანა (აგურით, ქვით); 2. განლაგება (რაზმისა, ჯარისა); 3. რაზმეული, გუნდი (რაზმში ათი **წყობაა,** წყობაში – 50 კაცი); 4. აგებულება, სტრუქტურა (გრამატიკული **წყობა**);
წყობილება – მმართველობის წესი (გვაროვნული წყობილება).

ხანი – 1. ქართული ანბანის 31-ე ასოს სახელწოდება; 2. დრო, ჟამი (ბოლო **ხანებში**; ერთი **ხანია**; ერთხანს; კარგა **ხანია**; რა **ხანია**); 3. ასაკი, ხნოვანება (ადამის ხნისა; **ხანში** შესული); 4. თურქი, მონღოლი ხალხის მეფე, მთავარი;
ხანა – 1. დროის განსაზღვრული მონაკვეთი; პერიოდი; ეპოქა (ქვის / ბრინჯაოს / გარდამავალი... **ხანა**); 2. ლექსის სტროფი.

ჯირკი – კუნძი;
ჯორკო – დაბალ სკამად გათლილი ნამორი.

ჰაერი – 1. ჟანგბადის, აზოტისა და სხვა უფერო გაზების ნარევი, რომელიც ქმნის დედამიწის ატმოსფეროს; 2. გარემო, სივრცე; „ტყვია-წამლის სუნი ჰაერში ტრიალებს“ (ილია);
ჰავა – ამა თუ იმ ადგილისათვის ჩვეულებრივი მეტეოროლოგიური პირობების ერთობლიობა (სომიერი / მკაცრი / თბილი... ჰავა).

ჰიპერტონია – სისხლის წნევის აწევა, მომატება;
ჰიპოტონია – სისხლის წნევის დაქვეითება.

ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი გამოხატავს საგნის ან მოქმედების ნიშან-თვისებას. ის მიუგებს კითხვაზე: როგორი? რომელი? სადაური? როდინდელი? მაგ.: თბილი, უფროსი, აქაური, გუშინდელი.

ზედსართავი სახელი ორგვარია: ვითარებითი და მიმართებითი. ვითარებითი ანუ პირველადი საგნის (ან მოქმედების) ნიშან-თვისებას აღნიშნავს უშუალოდ (თეთრი, მაღალი), მიმართებითი კი (რომელიც სხვა სიტყვისგანაა ნაწარმოები) – ძირეულ ფორმასთან მიმართებით (ბავშვ-ი – ბავშვ-ურ-ი, მამა – მამ-ის-ეული).

ზედსართავი სახელით გამოხატული ნიშან-თვისება შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები ოდენობისა, ე. ი. სხვადასხვა ხარისხისა. განარჩევენ ხარისხის სამ ფორმას. ესენია: დადებითი (დიდი), ოდნაობითი (მო-დიდ-ო) და აღმატებითი (იგივე უფროობითი: უ-დიდ-ეს-ი).

§ 29. ზედსართავი სახელის მართლწერა

1. ზედსართავი სახელი, ჩვეულებრივ, არსებითი სახელით ან სახელზმნით გამოხატულ წევრს ახლავს წინადადებაში როგორც მსაზღვრელი (ნაზი ია, მთვარიანი ღამე, ლურსმული დამწერლობა, სათავო ოფისი, სამარხვო საჭმელი, ჟინიანი ბავშვი, ნელი სვლა). ცალკე აღებული ზედსართავი ითავსებს არსებითი სახელის ფუნქციას: აღნიშნავს არა საგნის ნიშან-თვისებას, არამეს საგანს. მაგ.: **მწიფეს** ესროდნენ და **მკვახე** ცვიოდაო (ანდაზა).

როგორც წესი, საზღვრულთან ერთად ბრუნებისას ზედსართავის ფუძე არც იკუმშება, არც იკვეცება, დამოუკიდებლად გამოყენებული კი ისევე იბრუნვის როგორც სათანადო ფუძის არსებითი სახელი. კუმშვის წესებიც ძირითადად იგივეა, რაც არსებით სახელებში: ამოვარდება **ა** და **ე** ხმოვანი და იკუმშება **ალ, ელ, არ, ან** და სხვ. მარცვლებით დაბოლოებული ფუძეები. მაგრამ ფუძე არ შეიკუმშება თუ ამავე ხმოვნებს წინ უძღვის ან მოსდევს ერთი და იგივე თანხმოვანი (თედო უთურგაიძე):

> ახალი – ახლის, მაღალი – მაღლის, მდიდარი – მდიდრის, მსუქანი – მსუქნის, ყვითელი – ყვითლის;
>
> **მაგრამ: თამამი – თამამის, ალალი – ალალის, ქართლელი – ქართლელის.**

2. ერთმარცვლიანი ზედსართავი მხოლოდ ვითარებით ბრუნვაში იკუმშება. ის მთლიანად ზმნიზედური ბუნებისაა და დაერთვის ზმნას ან სახელზმნას. მაგ.:

ბრტყელი – ბრტყლად, ვრცელი – ვრცლად, თხელი – თხლად, მთელი – მთლად, მრგვალი – მრგვლად, სქელი – სქლად, ცხელი – ცხლად.

3. მხოლოდ ვითარებითში იკუმშება ზოგი **-იერ(იელ)**-ბოლოსართიანი ზედსართავიც, რომლებშიც აღდგება **ვ** (ისინი ვითარებითი ზედსართავების რიცხვს მიეკუთვნებიან, რადგან ხარისხის ფორმები ეწარმოებათ):

გან-იერ-ი (⇐ გან-ივ-ერ-ი) – გან-ი**ვრ**-ად, გონიერი – გონი**ვრ**ად, მშვენიერი – მშვენი**ვრ**ად, ღონიერი – ღონივრად (ღონიერად);

მაგრამ: ბედნიერი – ბედნიერად [და არა ბედნივრად], გემრიელი – გემრიელად [და არა გემრივლად], ლმობიერი – ლმობიერად [და არა ლმობივრად], წესიერი – წესიერად [და არა წესივრად].

4. ზედსართავების უმეტესობა მიმართებითია. ისინი გამოხატავენ კუთვნილებას (ქონებას), უქონლობას, თვისება-მსგავსებას, სადაურობას, წინა ვითარებას, დანიშნულებას, ხარისხს და სხვ. წარმოქმნილი ზედსართავების ძირითადი მაწარმოებლებია: **-იან, -ოსან, -ოვან, -ა, უ-ო, უ-ურ, -ელ, -ურ, მე-ე, მე-ურ, სა-ე, საო, -ებრივ, -ობრივ, უ-ეს, მი-ო**.

მიმართებითი ზედასართავებიდან იკუმშება **-ოსან**-ბოლოსართიანი კუთვნილების (ქონების) გამომხატველი სახელები:

ფრიადოსანი – ფრიად-ოსნ-ის, შავფაროსანი – შავფაროსნის, მედალოსანი – მედალოსნის (მოსალოდნელი იყო მედლოსანი, მაგრამ ორთოგრაფიული ლექსიკონები უპირატესობას ანიჭებენ გაბატონებულ ფორმას - **მედალოსანი**).

ვითარებით ბრუნვაში შეკუმშულ **ოვან**-მაწარმოებლიან ზედსართავებს ზმნიზედის მნიშვნელობა აქვთ. მაგ.: ერთსულოვანი – **ერთსულოვნად**, ერთფეროვანი – **ერთფეროვნად**, მაღალფარდოვანი – **მაღალფარდოვნად**, მაღალხარისხოვანი – **მაღალხარისხოვნად**, სახელოვანი – **სახელოვნად**.

შენიშვნა: ხელოვანი ახალი ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით უკუმშველია: ხელოვანის, ხელოვანები[115].

5. მხ. რიცხვში უკვეცელია:

ა) -ა-ბოლოსართიანი ყოლა-ქონებისა და მსგავსება-თვისების აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები:

ქერა – ქერას, ქერათი, მაგრამ: ქერები; ჯაჯღანა – ჯაჯღანას, ჯაჯღანათი, მაგრამ: ჯაჯღანები; ზოზინა – ზოზინას, ზოზინათი, მაგრამ: ზოზინები.

ასევე: გულნამცეცა, თეთრტარა, კუდმაკრატელა, ლოყაწითელა, მრავალწახნაგა, ქოსატყუილა, ღორმუცელა, შავთვალა, შავთვალწარბა, ცისფერთვალა//ცისფერთვალება;

ბ) იმ რთული აფიქსებით ნაწარმოები კნინობითი სახელები, რომელთა შემადგენელი ნაწილი -ა ბოლოსართია:

ბებრ-უც-ან-ა, ბებრუცუნა, ბებრუხანა, ბებრუხუნა, ვაჭრუკანა, ტიტლიკანა, კაუჭა[116].

გ) -ა-თი დაბოლოებული კომპოზიტები, რომელთა ბოლო ნაწილი დამოუკიდებლად ხმარებისას კვეცადია. მაგ.:

ჩოხა – ჩოხის, მაგრამ: შავჩოხა – შავჩოხას (გამო); კაბა – კაბის, მაგრამ: ლურჯკაბა – ლურჯკაბას (გამო)

ასევე: გულქვა, თმაჭაღარა, მრავალწყება, ორლულა, პირწმინდა, ტკბილსიტყვა, ცალყბა, წითელლოყა[117].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ სახელებში **-ა,** რომელიც გააზრებულია მქონებლობის გამომხატველ აფიქსად, შესაძლებელია, მიღებული იყოს ძირეული და მაწარმოებელი ხმოვნების შერწყმით (თედო უთურგაიძე და სხვ.).

---

[115] იხ. მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის (რედაქტორი – თამარ ვაშაკიძე), თბ., 2016, გვ. 507.

[116] მ ა ნ ა ნ ა ტ უ ს კ ი ა, სიტყვაწარმოებითი აფიქსების ფუნქციები და შეხამებადობა სახელურ ფუძეთა სემანტიკური ჯგუფების მიხედვით, ქსკს, წიგნი X, თბ., 1993, გვ. 159-160.

[117] თ ა მ ა რ ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა საკითხისათვის, ქსკს, წიგნი IX, თბ., 1989, გვ. 238-239.

6. მართლწერის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ხარისხის სახელები. დადებითი (ამოსავალი) ზედსართავისგან ხარისხის ორგანული (წარმოქმნითი) ფორმები იწარმოება **უ-ეს** და **მო-ო** აფიქსებით. **უ-ეს** აწარმოებს აღმატებით ხარისხს (ნატიფ-ი – უ-ნატიფ-ეს-ი, ახალი – უ-ახლ-ეს-ი), **მო-ო** – ოდნაობითს (მძიმე – მო-მძიმ-ო, მცირე – მო-მცრ-ო, შავი – მო-შავ-ო).

ზოგჯერ ზედსართავს (უმეტესწილად ერთმარცვლიანი ფუძის მქონეს) ხარისხის ფორმათა წარმოებისას ჩამოშორდება **-ელ** და **-ილ** ბოლოსართები:

ბრტყ-ელ-ი – მო-ბრტყ-ო, გრძელი – მოგრძო, უგრძესი; სქელი – მოსქო, უსქესი; ტკბ-ილ-ი – მო-ტკბ-ო, უ-ტკბ-ეს-ი; მსხვილი – მომსხო, მაგრამ: უმსხვილესი.

ძველ ქართულში სიტყვა **კარგის** მნიშვნელობით იხმარებოდა **კეთილი**, რომლის აღმატებითი ხარისხის ფორმა იყო უკეთილესი ⇒ უკეთესი. ახალ ქართულში კეთილის ლექსიკური მნიშვნელობა შეიცვალა, მაგრამ **უკეთესი** მაინც დარჩა **კარგის** აღმატებითი ხარისხის ფორმად.

7. თუ ძირეული ფუძე **უ**-თი იწყება, აღმატებითი ხარისხის მაწარმოებლის დართვისას თავს იყრის ორი **უ**:

უუბედურესი, უუგნურესი, უუხვესი.

8. წითელი და **ყვითელი** ოდნაობითში **ე**-ს იცვლიან **ა**-დ.

სწორია: მოწითალო, მოყვითალო;

და არა: მოწითანო ან მოწითლო, მოყვითანო ან მოყვითლო.

9. იშვიათად **მო-ო** დაერთვის არსებით სახელს და აღნიშნავს იმ პირს, რომელსაც „ფუძით“ დასახელებულ მოვლენასთან ან საგანთან აქვს მცირეოდენი კავშირი[118]. მაგ.:

მო-ფაშისტ-ო, მოლიბერალო, მოფილოსოფოსო, მო-პოეტო, მომწერლო.

შენიშვნა: ოდნაობითი შინაარსი ან ორჭოფობა (დაეჭვება) ქართული ენის დიალექტებში შეიძლება

---

[118] მ ა ნ ა ნ ა ტ უ ს კ ი ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 156.

გადმოიცეს ზმნაზე **-ვით** თანდებულის დართვით: მტკივასავით, მომშივდასავით, ვენატრებისავით, მცივასავით, აცივდასავით[119].

10. ნიშან-თვისებათა მეტნაკლებობა შეიძლება აღწერილობითაც გადმოიცეს. მაგ.:

ოდნავ წითელი (=მოწითალო), უფრო ლამაზი (=ულამაზესი), ძალიან წმინდა, წმიდათაწმიდა (=უწმინდესი), მეტად//ძლიერ მცირე (=უმცირესი).

აღმატებითი შინაარსისაა ასეთი გამოთქმებიც: თეთრზე თეთრი, მდიდარზე მდიდარი, ყველაზე ლამაზი. **მაგრამ უმართებულოა:** უფრო ულამაზესი, უფრო უმცირესი, თეთრზე უთეთრესი, მდიდარზე უმდიდრესი, ყველაზე ულამაზესი.

აღწერით ფორმასთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს ხარისხის გრამატიკულ ფორმას, მაგრამ, თუ ზედსართავს არ ეწარმოება ხარისხის ფორმები, მაშინ, რასაკვირველია, აღწერითი უნდა გამოვიყენოთ. მაგ.:

ნელი – უფრო ნელი, ოდნავ ნელი; სველი – უფრო სველი, ოდნავ სველი; კოჭლი – ოდნავ კოჭლი, ძალიან კოჭლი; ჩუმი – ძალიან ჩუმი.

11. რთული ბოლოსართი **-ებრივ (⇐ებრ-ივ)** გამოხატავს საგნის ან მოვლენის დანიშნულება-რაგვარობას.

სწორია: თვისება – თვის-ებრივ-ი (//თვისობრივი), მოწამე – მოწამებრივი, სამსახური – სამსახურებრივი;

და არა: მოწამეობრივი, სამსახურეობრივი.

12. -ობრივ ბოლოსართით იწარმოება თვისების აღმიშვნელი ზედსართავი სახელები.

სწორია: რას-ობრივ-ი, რიცხობრივი, საუკუნეობრივი, შინაარსობრივი;

და არა: რასობლივი, რიცხობლივი, საუკუნოებრივი, შინაარსობლივი.

---

[119] ბ ე ს ა რ ი ო ნ ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე და სხვები, დასახელებული ნაშრომი, გვ. 170.

13. ახალი ორთოგრაფიული ლექსიკონების მიხედვით კვლავ მართებულ ფორმებადაა მიჩნეული **ტიპობრივი (ან ტიპური)** და **ფაქტობრივი**, ხოლო არაკანონიერის „სტატუსი აქვთ მინიჭებული“ **ტიპიურსა და ფაქტიურს**, თუმცა ზეპირმეტყველებაში სწორედ ეს უკანასკნელი ფორმები იხმარება უგამონაკლისოდ (მხედველობაში არ მიიღება ის ძალდანტანებითი წარმოთქმა, როდესაც პირი ცდილობს „სწორი“ ფორმა გამოიყენოს, რათა მას ქართული ენის ნორმების არცოდნა არ დაჰბრალდეს)[120].

ჩვენც ვიზიარებთ იმ აზრს, რომ **ტიპურთან** შედარებით უპირატესობა მიენიჭოს **ტიპიურს**, როგორც ფართოდ გავრცელებულ და გაბატონებულ ფორმას (მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ენებიდან ნასესხებ სიტყვებს **იურ** (⇐**ივურ**) მაწარმოებელი არ დაერთვის).

რაც შეეხება **ფაქტობრივსა** და **ფაქტიურს**, ჩვენი აზრით, ეს სიტყვები განსხვავებული მნიშვნელობით არის დამკვიდრებული სალაპარაკო ენაში: ფაქტობრივი – როგორც ფაქტების შემცველი, ფაქტიური კი – როგორც ფაქტების შესაბამისი, რეალური.

> **შენიშვნა: ობრივ** ბოლოსართი დაერთვის როგორც ზედსართავ სახელს, ისე ზმნიზედას. ფუძის სახით წარმოდგენილი ფორმა ზმნიზედაა (მაგ., ფაქტობრივ, ადგილობრივ), ხოლო ბრუნვაში გაფორმებული – ზედსართავი (ფაქტობრივი, ადგილობრივი).

14. წინა ვითარების სახელებიდან ერთმანეთშია აღრეული ზედსართავის (ან გაარსებითებული ზედსართავის) მიმღეობისა და ე. წ. მიმღეობის ტიპის ფორმების წარმოება **ნა-ევ/ნა-ებ** აფიქსე-ბით. ნორმების თანახმად[121], ზედსართავ სახელთან (ან გა-არსებითებულ ზედსართავთან) უნდა გამოვიყენოთ **-ევ** ბოლოსართი, ხოლო ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობასა და მიმღეობის ტიპის ფორმებთან **-ებ** ბოლოსართი, თუმცა ზოგ შემთხვევაში დასაშვებად არის მიჩნეული **-ევ**-ბოლოსართიანი ფორმებიც.

> **სწორია:** ნა-მონასტრ-ევ-ი (ადგილი, სადაც მონასტერი იყო), ნაოპერაციევი (ადგილი, რომელზედაც ოპერაცია გაუკეთდათ), მაგრამ: ნაოპერაციები (ვისაც ოპერაცია გაუკეთეს),

---

[120] ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ორთოგრაფიულად მცდარად მიჩნეულ ფორმაწარმოების რამდენიმე კერძო შემთხვევის ახსნისათვის თანამედროვე ქართულში. ქსკს, წიგნი XV, თბ., 2015, გვ. 145.

[121] ნორმების ბიულეტენი, № 3, გვ. 12-21.

ნასადილევი (⇒ნასადილევს – დრო სადილის შემდეგ), მაგრამ: ნასადილები (ვინც ისადილა), ნასაუზმევს, მაგრამ: ნასაუზმები (ვინც ისაუზმა), ნაქმრევი (ყოფილი ქმარი), მაგრამ: ნაქმრები (ვისაც ქმარი ჰყავდა), ნაყმევი (ყოფილი ყმა), ნაპატრონევი (ყოფილი პატრონი), ნაწუქურთმევი (ადგილი, სადაც ჩუქურთმა იყო), ნაწუქურთმები (ჩუქურთმით შემკული), ნაასპარეზევი (ადგილი, სადაც ასპარეზი იყო), ნაასპარეზები (ვინც იასპარეზა).

ზოგი სახელური ფუძისაგან უფრო ბუნებრივია წინა ვითარების სახელების საწარმოებლად **ნ-არ** აფიქსის გამოყენება. მაგ.:

ნასახლარი, ნაციხარი, ნაყაჩაღარი, ნაყვაილარი, ნაცოდვილარი (// ნაცოდვილები), ნაცოლარი (ყველა გაარსებითებულია).

15. უყოლობა-უქონლობის სახელები იწარმოება **უ-ურ(ულ)** და **უ-ო** აფიქსებით (ისინი ქონების სახელთა ანტონიმებია). მაგ.:

უ-გუნ-ურ-ი [და არა უგნური], უთვალო (კაცი) უთვლო (ბეჭედი), უსიამოვნო [და არა უსიამო], უენო, მაგრამ: უენაპირო, უზნეო [და არა უზნეური], უპირო [და არა უპირული], უწესო [და არა უწესური].

16. თუ ამოსავალი ფუძე **უ** ხმოვნით იწყება, თავს იყრის ორი **უ**:

უ-ულვაშ-ო, უუნაგირო, უუნარო, უუფლებო, უუფროსო, უუჯრედო.

17. თუ ცალკე აღებული სიტყვა კუმშვადია, ნაწარმოებ სახელთა უმეტესობაც კუმშვადია:

ბეჭედი – ბეჭდის – უ-ბეჭდ-ო [და არა უბეჭედო], უმესობლო, უმშობლო, უნაღვლო, უსაძირკვლო, უფოთლო, უღრუბლო, უძვლო;

მაგრამ: მტვერი – მტერ-ის – უ-მტვერ-ო;

18. თუ ცალკე აღებული სიტყვა კვეცადია, ამოსავალი ფუძეც ხმოვანმოკვეცილია.

სწორია: ძმა – ძმ-ის – უ-ძმ-ო; უგზო, უენო, უთმო, ურქო, უხმო, უდავო, უდედო, უიდეო, უსიტყვო, უმეფო, უმთვარო, უღონო, უსიცოცხლო.

გამონაკლისია: ე-თი დაბოლოებული ერთმარცვლიანი ფუძეები: მზე– მზ-ის, მაგრამ: უ-მზე-ო, უზნეო, უმწეო, ურძეო, უტყეო;

ასევე: უ-ბინა-ო, უსუფთაო.

19. უ-ო თავსართ-ბოლოსართის დართვისას **ო**-თი დაბოლოებული სახელების ნაწილი ინარჩუნებს ბოლო ხმოვანს.

სწორია: ბოლო – უ-ბოლო-ო, უდროო [და არა უდროვო], უპალტოო, უსაზრდოო, უსარჩოო, უსასოო, უტაროო, უშტოო;

მაგრამ: უ-სამშობლო (მოსალოდნელი იყო: უსამშობლოო), უსაყელო, უსითბო, უღვინო, უპურღვინო, უშნო, უთაბოლო.

20. ქართულში უქონლობის სახელები შეიძლება იწარმოოს **არ** და **არა** ნაწილაკებითაც, ამასთან, ზედსართავისგან ნაწარმოები სიტყვები დაირთავენ **არა**-ს, მიმღეობისგან წარმოქმნილები კი – ორივეს, მაგრამ ჭარბობს **არა**-თი ნაწარმოები ფორმები[122]. მაგ.:

> არაადეკვატური, არააკადემიური, არააკურატული, არაამქვეყნიური, არააპრობირებული, არაარსებითი, არააქტუალური, არაადამიანური, არაბუნებრივი, არაგეგმური, არაგონივრული, არაგულწრფელი, არაეკონომიური, არაერთგაროვანი, არაეროვნული, არაესთეტიკური, არაეფექტური, არაზუსტი, არათავსებადი, არათანაბარი, არაკანონიერი (=უკანონო), არაკეთილმოსურნე, არაკეთილსაიმედო, არაკვალიფიციური, არაკოლეგიალური, არაკომპეტენტური, არამიწიერი, არამკაფიო, არამკითხე, არამუდმივი, არამყარი, არამხატვრული, არანივთიერი, არანორმალური, არაორდინარული, არაოფიციალური, არასაიმედო, არასრული, არასწორი, არაწმინდა;

ასევე: არადაინტერესებული, არადამაკმაყოფილებელი, არადამაჯერებელი, არამართებული, არაუზრუნველყოფილი;

მაგრამ: არარსებული, არგაგონილი, არგამტანი, არდასარჩენი, არდასაცალებელი, არნახული.

უკანასკნელ ხანებში ძალზე გავრცელდა **არ(ა)** და **ვერ** ნაწილაკებით ახალი სიტყვების ხელაღებით წარმოება (ძირითადად უცხო ენების ანალოგიით).

---

[122] ლ ა ტ ა ვ რ ა გ ე ლ ე ნ ი ძ ე, **არ/არა**-ნაწილაკიანი სახელები ქართულში, ქსკს, წიგნი VI, გვ. 174.

უმართებულოა: არამცდარი, არმქონე, არმცოდნე, არდაწყებული, არჩადენილი, არდავარცხნილი, ვერგამოსული;

უნდა იყოს: შეუმცდარი (ან უცდომელი), უქონელი, უცოდინარი, დაუწყებელი, ჩაუდენელი, დაუვარცხნელი, გამოუსვლელი[123].

21. უქონლობის ზედსართავი შეიძლება წარმოიქმნას ე. წ. ტოლადშერწყმული სახელისაგან. მაგ.: მიწა-წყალი – უმიწაწყლო, ცოლ-შვილი – უცოლშვილო, სახლ-კარი – უსახლკარო. მაგრამ აშკარად ხელოვნური ჩანს მსაზღვრელ-საზღვრულისაგან ნაწარმოები ასეთივე ფორმები: უახალსახლებო ქუჩა, უმწვანეპარკო ქალაქი, მანქანის უქართველსახელო ნაწილები, უქართველმომღერლებო კოლექტივი[124].

უმჯობესია: ქუჩა ახალი სახლების გარეშე, ქალაქი მწვანე პარკის გარეშე და მისთ.

22. სადაურობა-წარმომავლობისა და პროფესია-მიმდევრობის სახელების მართლწერასთან დაკავშირებით უნდა დაიმახსოვროთ შემდეგი:

ა) -ელ და **-ურ(ულ)** მაწარმოებლებს ფუნქციები განაწილებული აქვთ: ვინ ჯგუფის (ანუ ადამიანის აღმნიშვნელ) სახელებთან უნდა გამოვიყენოთ **-ელ** ბოლოსართი, დანარჩენებთან – **-ურ(ულ)**. მაგ.:

ქართლ-ი – ქართლ-ელ-ი, რაჭა – რაჭველი (ჩაერთვის **ვ**), ეგრისი – მეგრელი (ემატება **მ**), გორი – გორელი, გერმანია – გერმანელი (მოსალოდნელი იყო გერმანიელი), იაპონია – იაპონელი (მოსალოდნელი იყო იაპონიელი), ნაზარეთი – ნაზარეველი (ჩაერთვის **ევ**), ფერეიდანი – ფერეიდნელი,

-ელ-ბოლოსართი ზოგიერთი არსებითი სახელისაგან აწარმოებს ვისიმე ან რისამე მიმდევრობისა ან ხელობა-საქმიანობის გამომხატველ სახელებს. მაგ.:

---

[123] ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ა ღ რ ა ძ ე, კვლავ არ(ა) და ვერ ნაწილაკებით უმართებულოდ ნაწარმოები სიტყვების შესახებ, ქსკს, წიგნი XIV, თბ., 2014, გვ. 104-118.

[124] მ უ რ მ ა ნ ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, უარყოფითი წარმოების ერთი შემთხვევისათვის ქართულში, ქსკს, წიგნი VI, გვ. 175-181.

ილია – ილი-ელი, ფეხბურთი – ფეხბურთელი, პოლიცია – პოლიციელი.

შენიშვნა: XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში **ელ** ბოლოსართი მიმდევრობას აღნიშნავდა **-იან**-ბოლოსართიან ფორმაზე დართვით: ვოლტერ-იან-ელ-ი, კანტ-იან-ელ-ი, ნიცშე-ან-ელ-ი, ჰეგელ-იან-ელ-ი[125].

ისტორიულად **-ელ** ბოლოსართი გეოგრაფიული სახელებისაგან აწარმოებდა ეპისკოპოსებისა და მთავრების ზედწოდებას: რუსთველი (იგულისხმება რუსთავის ეპისკოპოსი), მანგლელი (მანგლისის ეპისკოპოსი), ამავე დანიშნულების იყო **მ-** თავსართთან ერთად ნაწარმოები სახელებიც: მ-როე-ელ-ი (რუისის ეპისკოპოსი), მ-აწყვერ-ელ-ი (აწყურის ეპისკოპოსი). ამ რიგის სახელები შემდეგ გამოყენებულ იქნა ოდენ წარმომავლობის აღმნიშვნელ სახელებად[126].

ბ) -ელ დაერთვის ვინ ჯგუფის კრებით სახელებსაც.

სწორია: ქართველი [და არა ქართული] ხალხი/ერი/მრეველი/ საზოგადოება, ევროპელი სტუდენტობა, გერმანელი მწერლობა, უცხოელი ახალგაზრდობა, სოფლელი მასწავლებლობა, ამერიკელი ელექტორატი.

როგორც აღნიშნავენ, **-ცია**-თი დაბოლოებულ ზოგადი შინაარსის შემცველ სახელებში მხოლოდ **-ურ(ულ)**-მაწარმოებლიანი ფორმები დასტურდება: ქართული დელეგაცია, ქართული დეპუტაცია, ქართული ინტელიგენცია. სწორედ ამიტომ სალიტერატურო ენაში ასეთი ფორმების გამოყენებას უწევენ რეკომენდაციას[127].

გ) სადაურობისა და მიმდევრობის გამომხატველი აფიქსის დამატება არ სჭირდება ზოგიერთი ეროვნების აღმნიშვნელ სახელს, როგორიცაა: არაბი, აფხაზი, ბასკი, ბერძენი, თურქი, მონღოლი, რუსი, ფრანგი, ჩეხი.

---

[125] მ ა ნ ა ნ ა ტ უ ს კ ი ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 134.

[126] ბ ე ს ა რ ი ო ნ ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 141.

[127] ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა რ ა ბ უ ლ ი, ქსკს, წიგნი XVI, გვ. 12.

სწორია: არაბი [და არა არაბული] ხალხი, თურქი [და არა თურქული] ჯარი, რუსი [და არა რუსული] ინტელიგენცია, ჩეხი გლეხობა.

უაფიქსოა ზოგიერთი გვარტომობის აღმნიშვნელი სახელიც.

სწორია: თუში/ინგილო/მესხი/სვანი/ჭანი (ლაზი)/ოსი/ჯავახი მოსახლეობა.

ძველად ადამიანის წარმომავლობას აღნიშნავდა **-იონ** ბოლოსართიც: არხოტიონი (=არხოტელი), შატილიონი (= შატილელი).

დ) -ურ(-ულ) აწარმოებს რა ჯგუფის (ცხოველისა და ნივთის) სახელების სადაურობა-წარმომავლობას.

სწორია: თუშური ცხვარი, ინგილოური კილო, ლაკონიური (⇐ ლაკონია) წარწერა, ნუსხური [და არა ნუსხახუცური] დამწერლობა, სვანური კოშკი, უცხოური // უცხო ენა, ფშაური კაფია, ხიდისთაური ატამი.

-ულ იხმარება ისეთ სიტყვებში, რომელთა ფუძეში ურევია თანხმოვანი **რ**:

აზერბაიჯანული [და არა აზერბაიჯნული] ნავთობი, გორული ვაშლი, იმერული ყველი, მეგრული აჯიკა, რაჭული ლორი, ხევსურული ძროხა, ქართული სახელმწიფო/ეკლესია/კულტურა/კინო/ცეკვა/სიმღერა.

ე) -ურ(-ულ) ზოგჯერ ადამიანის სადაურობასაც აღნიშნავს. მაგ.: აქაური, მანდაური, ქვემოური, სადაური. **გურული** და **ქუთათური** ადამიანზეც ითქმის და რა ჯგუფის სახელზეც. წესის მიხედვით ნაწარმოები **გურიელი** (⇐ გურიული) მარტოოდენ გურიის ყოფილ მფლობელთა საგვარეულოს მიეკუთვნა, **ქუთათელი** კი ქუთაისელ (⇐ ქუთათისელ) ეპისკოპოსთა ტიტულად იქცა[128].

სწორია: აქაური კაცი/ჩოხა, გურული ქალი/იუმორი, ქუთათური მსახიობი/ენაწყლიანობა.

ვ) -ელ და **-ურ(ულ)** მაწარმოებლების დართვისას ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელს **-ეთ** ბოლოსართი ეკვეცება:

---

[128] ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 128.

იმერეთი – იმერელი, იმერული; აღმოსავლეთი – აღმოსავლელი, აღმოსავლური; დასავლეთი – დასავლელი, დასავლური; ჩრდილოეთი – ჩრდილოელი, ჩრდილოური; მაგრამ: არგვეთი – არგვეთელი, არგვეთული; სამხრეთი – სამხრეთელი, სამხრეთული.

ნორმების თანახმად, სალიტერატურო ენაში **-ეთ**-ბოლოსართიანი სადაურობის სახელების გვერდით **დასაშვებადაა** მიჩნეული ძველი წარმოების ისეთი ფორმები, როგორიცაა:

დუშელი, დუშური, თიანელი, თიანური, კაკაბელი, კაკაბური, ქვიშხელი, ქვიშხური (**შეადარეთ**: დუშეთელი, დუშეთური, თიანეთელი, თიანეთური, კაკაბეთელი, კაკაბეთური, ქვიშხეთელი, ქვიშხეთური)[129].

ზ) ძველად სადაურობის სახელებში იკარგებოდა **-ის** დაბოლოება: ბოლნისი – ბოლნელი, ბოლნური; ურბნისი – ურბნელი, ურბნული; მანგლისი – მანგლელი, ტფილისი – ტფილელი.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში გაბატონებულია **-ის**-აფიქსიანი ფორმები: ბოლნისელი, ურბნისელი, მანგლისელი, თბილისელი (სასაუბრო ენაში გვხვდება შეკუმშული ფორმებიც: თბილისლები, ქუთაისლები).

23. ლირიკული თუ ლირიული? ფანტასტიკური თუ ფანტასტიური?

-ურ(-ულ) ბოლოსართი ახალ ქართულში თვისების აღმნიშვნელ ზედსართავთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელია. მაგ.:

ბავშვ-ურ-ი, კაცური, მდიდრული, ღვთიური, ქრისტიანული, პლატონური.

-ურ(-ულ) აწარმოებს ზედსართავს იმ შემთხვევაშიც, როცა ამოსავალ ფუძედ უცხოური სიტყვაა აღებული. ქართულში ამგვარ სიტყვათა რუსული ენის გზით შემოსვლა იწვევს არევ-დარევას მათს მართლწერაში. მართებულად რომ ვწეროთ უცხოური ენებიდან შემოსული სიტყვებისაგან წარმოქმნილი ზედსართავები, „საჭიროა გვახსოვდეს შემდეგი წესი: ჯერ უნდა გავიგოთ, რა სიტყვისგანაა ნაწარმოები ზედსართავი სახელი, შემდეგ ეს სიტყვა

---

129 ნორმების ბიულეტენი № 1-2, გვ. 29.

დაესვათ ნათესაობით ბრუნვაში, ჩამოეაცილოთ ბრუნვის ნიშანი - **ის** და დარჩენილ ფუძეს დაეურთოთ **-ურ** სუფიქსი“[130].

ქართულში გვაქვს ბერძნულიდან შემოსული სიტყვები: ლირიკა და ფანტასტიკა. ამათგან ნაწარმოები ზედსართავებია: ლირიკა – ლირიკ-ის – ლირიკ-ულ-ი (დისიმილაციით), და არა ლირი-ულ-ი; ფანტასტიკა – ფანტასტიკ-ის – ფანტასტიკ-ურ-ი, და არა ფანტასტი-ურ-ი.

ასევე სწორი ფორმებია:

აპრიორი – აპრიორ-ის – აპრიორ-ულ-ი (აპრიორი = ცდის-
გან დამოუკიდებლად, ცდის გარეშე, იმთავითვე)
მინიატიურა – მინიატიურ-ის – მინიატიურ-ულ-ი
დინამიკა – დინამიკ-ის – დინამიკ-ურ-ი
[და არა დინამი-ურ-ი]
ელასტიკა – ელასტიკ-ის – ელასტიკ-ურ-ი
[და არა ელასტი-ურ-ი]
ეპიკა – ეპიკ-ის – ეპიკ-ურ-ი [და არა ეპი-ურ-ი]
ესთეტიკა – ესთეტიკ-ის – ესთეტიკ-ურ-ი
[და არა ესთეტი-ურ-ი]
ვაკანსია – ვაკანსი-ის – ვაკანსი-ურ-ი [და არა ვაკანს-ურ-ი]
კორპორაცია – კორპორაცი-ის – კორპორაცი-ულ-ი
[და არა კორპორატ-იულ-ი]
ლაკონია – ლაკონი-ის – ლაკონი-ურ-ი
[და არა ლაკონ-ურ-ი]
მითი – მით-ის – მით-ურ-ი [და არა მითი-ურ-ი]
მისტიკა – მისტიკ-ის – მისტიკ-ურ-ი [და არა მისტი-ურ-ი]
პათეტიკა – პათეტიკ-ის – პათეტიკ-ურ-ი
[და არა პათეტი-ურ-ი]
რომანტიკა – რომანტიკ-ის – რომანტიკ-ული
[და არა რომანტი-ულ-ი]
სპეციფიკა – სპეციფიკ-ის – სპეციფიკ-ურ-ი
[და არა სპეციფი-ურ-ი]
ფსიქიკა – ფსიქიკ-ის – ფსიქიკ-ურ-ი [და არა ფსიქი-ურ-ი]
ქაოსი – ქაოს-ის – ქაოს-ურ-ი [და არა ქაოტ-ურ-ი]

გამონაკლისია: გერმანული, იაპონური (როგორც აღვნიშნეთ, მოსალოდნელი იყო გერმანიული, იაპონიური).

---

[130] გ ი ო რ გ ი შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე, ქართული მართლწერა, გვ. 31.

24. პარადოქსული თუ პარადოქსალური? ინსტრუმენტული თუ ინსტრუმენტალური?

ნორმების თანახმად, თუ მხოლოდ ზედსართავია ნასესხები (და სათანადო არსებითი სახელი კი – არა), ქართული ბოლოსართი ემატება სათანადო უცხოური ენის ზედსართავის ფუძეს. მაგ.: აქტუალ-ურ-ი, კონკრ-ეტ-ულ-ი (**-ალ** და **-ეტ** უცხოური მაწარმოებლებია). მაგრამ როცა ნასესხებია სათანადო არსებითი სახელიც, ქართული ბოლოსართი ემატება არსებითი სახელის ფუძეს (ნორმები, გვ. 126). ამრიგად, ჯერ უნდა დავადგინოთ, გვაქვს თუ არა ქართულში სხვა ენიდან შემოსული არსებითი სახელი, რომლისგანაც ზედსართავს ვაწარმოებთ. ამ სახელის შეკუმშულ და ბოლომოკვეცილ ფუძეს (თუ სახელი კუმშვადი და კვეცადია) დავურთოთ **-ურ** ბოლოსართი. ამ წესის მიხედვით გვექნება:

პარადოქს-ი – პარადოქს-ული [და არა პარადოქსალ-ურ-ი]
ინსტრუმენტ-ი – ინსტრუმენტ-ულ-ი [და არა ინსტრუმენტალ-ურ-ი]

მაშასადამე, სწორი ფორმებია:

დოკუმენტი – დოკუმენტ-ურ-ი [და არა დოკუმენტალ-ურ-ი]
ემოცია – ემოცი-ურ-ი [და არა ემოციონალ-ურ-ი]
ექსპერიმენტი – ექსპერიმენტ-ულ-ი
[და არა ექსპერიმენტალ-ურ-ი]
კოლეგია – კოლეგი-ურ-ი [და არა კოლეგიალ-ურ-ი]
მომენტ-ი – მომენტ-ურ-ი (//მომენტ-ალ-ურ-ი)
მონუმენტ-ი – მონუმენტ-ურ-ი [და არა მონუმენტალ-ურ-ი]
ორთოდოქს-ი – ორთოდოქს-ულ-ი
[და არა ორთოდოქსალ-ურ-ი]
პრემია – პრემი-ულ-ი [და არა პრემიალ-ურ-ი]
პრინციპი – პრინციპ-ულ-ი [და არა პრინციპიალ-ურ-ი]
პროვინცია – პროვინცი-ულ-ი [და არა პროვინციალ-ურ-ი]
პროპორცია – პროპორცი-ულ-ი
[და არა პროპორციალ-ურ-ი]
ტერიტორია – ტერიტორი-ულ-ი
[და არა ტერიტორიალ-ურ-ი]
ტრიუმფი – ტრიუმფ-ულ-ი (**მაგრამ: ტრიუმფალ-ურ-ი** თაღი)
ფენომენ-ი – ფენომენ-ურ-ი (//ფენომენალ-ურ-ი)
ფუნდამენტ-ი – ფუნდამენტ-ური
[და არა ფუნდამენტალ-ურ-ი]

ზოგჯერ ასეთ ფორმებს შორის შინაარსობრივი სხვაობაა. მაგ.: კონტინენტური (ჰავა) და კონტინენტალური (კონტინენტისთვის დამახასიათებელი), რეგიონული (დაყოფა) და რეგიონალური (სესია).

ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონში ისინი უკვე გამიჯნულია (ნინო ჯორბენაძე, იამზე გაგუა, ქსკს, წ. XVI).

გამონაკლისის სახით წარმოების დასაყრდენად შეიძლება მიღებულ იქნეს უცხოური ზედსართავის ფუძეც, თუ ეს წარმოება სალიტერატურო ენაში გაბატონებულია (დისიმილაცია არ ხდება, როცა **რ** თანხმოვანს მოსდევს **ლ**, თუნდაც – არაუშუალოდ). მაგ.:

ფორმ-ალ-ურ-ი, მატერიალური, მუსიკალური, ცენტრალური[131].

ასევე: აქტუალური, ვიზუალური, კოლოსალური, კომუნალური, ნეიტრალური, ნომინალური, რიტუალური, უნივერსალური[132].

25. უნდა გაირჩეს ერთმანეთისგან ზედსართავების პარონიმული წყვილები, ანუ შინაარსობრივად განსხვავებული ზედსართავები, რომლებიც გარეგნულად (ბგერობრივად) ნაწილობრივ ჰგვანან ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში ანგარიში ეწევა ამოსავალ ფუძეს:

მასა – მას-ურ-ი, მას-ობრივ-ი, მაგრამ: მასივი – მასი-~~ვ~~ურ-ი ⇒ მასი-ურ-ი

პროფესია – პროფესი-ულ-ი, მაგრამ: პროფესიონალ-ი – პროფესიონალ-ურ-ი

პოზიტივ-ი – პოზიტი-ურ-ი, მაგრამ: პოზიცია – პოზიცი-ურ-ი

ორატორ-ი – ორატორ-ულ-ი, მაგრამ ორატორია – ორატორი-ულ-ი

26. წარმოქმნილ ზედსართავებში **ვ** დაცულია:

ა) უქონლობის **უ-ო** და დანიშნულების **სა-ო** აფიქსების დართვისას, თუ ამოსავალი ფუძე თავდება **ვ** ბგერით ან **ა, ე** ხმოვნით, რომელსაც წინ უზის **ვ** (განურჩევლად იმისა ამ უკანასკნელის წინ თანხმოვანია თუ ხმოვანი):

---

[131] ნორმები, გვ. 127.

[132] ალექსანდრე კობახიძე, როგორ ვიცავთ ქართული ენის ნორმებს, ქსკს, წიგნი XI, თბ., 1998, გვ. 72.

ბავშვ-ი – უ-ბავშვ-ო, სა-ბავშვ-ო; ჯაჭვი – უჯაჭვო, დაჯა – უდავო, სადავო, ერისთავი – საერთისთავო, ეჭვი – საეჭვო, ზავი – საზავო, თავი – უთავო, სათავო, მზითევი – უმზითვო, სამზითვო; ნავი – უნავო, სანავო; ნათესავი – უნათესავო, სანათესავო, სიტყვა – უსიტყვო, სხივი – უსხივო, ქცევა – უქცევო.

იმავე პოზიციაში **ვ** იკარგება, თუ ძირეული არ არის:

სა-საკლა-~~ვ~~-ო (ვ თემისნიშნისეულია), სასაფლაო, სამრეცხაო, საკაცობრიო.

ბ) -ურ(-ულ) ბოლოსართის დართვისას, თუ ამოსავალი ფუძე თავდება **ვ** ბგერით, რომელსაც **წინ უძღვის თანხმოვანი**, ან კვეცადია და ბოლოკიდურ ხმოვანს წინ უზის **ვ**:

ბავ**შვ**-ი – ბავ**შვ**-ურ-ი, ბრიყვი – ბრიყვული, დათვი – დათვური, ჯაჭვი – ჯაჭვური (მაგრამ: მიჯაჭვავს – მიჯაჭვული), პირუტყვი – პირუტყვული, მორდვა – მორდვული (ნორმები, გვ. 12).

27. ვ იკარგება:

ა) იმავე პოზიციაში, თუ მას წინ უძღვის ხმოვანი:

კავთისხევ-ი – კავთისხე-~~ვ~~-ურ-ი, მეჯვრისხევი – მეჯვრისხეული, ფშავი – ფშაური[133], მოხევე – მოხეური, ხიდისთავი – ხიდისთაური.

ეს ეხება ნასესხებ სიტყვებსაც[134]:

აქტივ-ი – აქტი-~~ვ~~-ურ-ი, ექსკლუზივი – ექსკლუზიური, კოლექტივი – კოლექტიური, პასივი – პასიური, პოზიტივი – პოზიტიური, რეაქტივი – რეაქტიული.

მაგრამ ზოგჯერ ასეთ პოზიციაში (როცა **ვ**-ს წინ უძღვის ხმოვანი) **ვ** შემონახულია:

თავ-ი – თავ-ურ-ი, მოსკოვი – მოსკოვური, სლავი – სლავური, სხივი – სხივური.

---

[133] ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004, გვ. 154.

[134] ნორმები, გვ. 18.

ბ) -ოსან ბოლოსართის დართვისას, თუ ბოლოკიდურ **ვ**-ს წინ უძღვის ხმოვანი:

თავ-ი – თა-ვ-ოსან-ი, ნავი – ნაოსანი, პატივი – პატიოსანი, შავი – შაოსანი, ვეფხის ტყავი – ვეფხისტყაოსანი.

გამონაკლისია: სხივი – სხივოსანი.

28. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ზედსართავი სახელის მართლწერას უკავშირდება რამდენიმე წესი. კერძოდ:

დეფისიანია რთული ზედსართავი სახელი, რომლის შემადგენელ ფუძეებს შორის იგულისხმება **და** კავშირი. ასეთი კომპოსიტები მიღებულია:

ა) ფუძის გაორკეცებით: ლამაზ-ლამასი, მოკლე-მოკლე, პატარა-პატარა, ტალიკ-ტალიკი, ფერად-ფერადი, შავ-შავი, ცივ-ცივი, ცხელ-ცხელი, წვრილ-წვრილი, ჭროღა-ჭროღა, ხმელ-ხმელი.

ბ) სინონიმურ ფუძეთა შეერთებით: ალალ-მართალი, ოხერ-ტიალი, ღარიბ-ღატაკი, შიშველ-ტიტველი.

გ) ანტონიმურ ფუძეთა შეერთებით: დიდ-პატარა, მუშურგლეხური, ტკბილ-მწარე, შავ-თეთრი.

დ) მნიშვნელობის მხრივ ერთმანეთთან დაკავშირებული ფუძეების გაერთიანებით: ინგლისურ-ქართული (ლექსიკონი), რუსულ-ფრანგულ-ქართული, ქართლ-კახური // ქართლურ-კახური, სკიპტრო-სან-გვირგვინოსანი, ლათინურ-ამერიკული (ცეკვა) [და არა ლათინო-ამერიკული].

29. თუ წარმოქმნილი ზედსართავი სახელის პირველი ნაწილი ციფრებით გამოსახული რიცხვითი სახელია, მომდევნო ნაწარმოებ სიტყვას ის დეფისით დაუკავშირდება[135].

სწორია: 75-ბინიანი, 60-იანი, 30-გრადუსიანი, 100-პროცენტიანი, 9- და 16-სართულიანი, 2- ან 3-ოთახიანი.

ასევე: a-კუთხიანი, x-უცნობიანი, -გან-თანდებულიანი, შე-ზმნისწინიანი (იქვე).

30. უდეფისოდ იწერება:

---

[135] მ ი ხ ე ი ლ ჭ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, კუთვნილებითი კომპოზიტების მართლწერისათვის, ქსკს, წიგნი VIII, თბ., 1988, გვ. 105.

ა) ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტები, რომელთა შემადგენელი ნაწილები სხვადასხვა ტიპის ფუძეებია და რომლებიც ვერ შეიცვლება **და**-კავშირიანი შესიტყვებით. მაგ., **ორპირი** და **წელწვრილი** ვერ შეიცვლება **და**-თი დაკავშირებული სიტყვებით: არ ითქმის ორი და პირი, წელი და წვრილი. მაშასადამე, ეს ზედსართავები დაიწერება უდეფისოდ.

ზოგჯერ უჭირთ კომპოზიტის გარჩევა შესიტყვებისაგან და რთულ სიტყვას წერენ დაშლილად. მაგ., წინადადებაში „ქუჩაში იდგა ქორფაბავშვიანი მოხუცი“ თუ მსაზღვრელ კომპოზიტს ორ სიტყვად დავწერთ (ქორფა ბავშვიანი მოხუცი), გამოვა, რომ ბავშვიანი მოხუცია ქორფა.

სწორია: გონებანათელი, გულფიცხი, გულქართლი (=გულმართალი, გულუხვი, პურადი), ზოგადეროვნული, თავმდაბალი, თვალნათელი, საერთოეროვნული [და არა საერთო-საეროვნო, მაგრამ: საერთო-სახალხო, საერთო-საკაცობრიო, საერთო-სახელმწიფოებრივი], შავბნელი, ცოცხალმკვდარი (მაგრამ: ცოცხალ-მკვდარი = ცოცხალი და მკვდარი);

ბ) მიმღეობიანი კომპოზიტები, რომელთა მეორე ნაწილი (უმთავრესად – წარსული დროის საობიექტო მიმღეობა) განსაზღვრავს პირველს, ორივე ერთად კი გვიჩვენებს სხვა საგნის ნიშანს[136]. ამდენად, მათ ზედსართაული მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, არ გვიჩვენებენ საგნის მუდმივ ნიშანს. გრამატიკოსთა ნაწილს ასეთი კომპოზიტი მიმღეობად მიაჩნია. მაგ., არნოლდ ჩიქობავას აზრით, „ამგვარი წარმოებისათვის ნიშანდობლივია ობიექტის დასმა „ვნებითი“ გვარის მიმღეობის წინ და ამ გზით გარდამავლობის აღნიშვნა“, მთელი რთული ფუძე (სახელი და მიმღეობა) კი მოქმედებითი გვარის მიმღეობაა[137]. მაგ.:

გულგაუტეხელი (ხალხი), თავბრუდახვეული (ახალგაზრდა), თავგანწირული (მეომარი), თერგდალეული (მწერალი), წელგამართული (ოჯახი), ხელგაშლილი (მასპინძელი), ხმალამოწვდილი (მებრძოლი).

ზოგჯერ ერთდება ორზე მეტი (ნარევი) ფუძე:

---

[136] ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 158.

[137] ა რ ნ ო ლ დ ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლი, ტომი I, გვ. 077

გულხელდაკრეფილი, თავქუდმოგლეჯილი, სრულსაშუალოსკოლადამთავრებული.

მიმღეობა იშვიათად შეიძლება წინ დაერთოს სახელს:

გაწეწილთმიანი, დაბუშტულტუჩებიანი, დაცეცებულთვალებიანი.

გ) დეფისიანი (ორმნიშვნელობიანი) კომპოზიტებისგან ნაწარმოები ზედსართავები:

ადგილ-მამული – **სა**ადგილმამ**ულო**, ავ-კარგი – ავკარგ**იანი**, ბატონ-ყმა – ბატონყმ**ური**, დედა-შვილი – დედაშვილ**ური**, იგავ-არაკი – იგავარაკ**ული**, სახლ-კარი – **უ**სახლკარ**ო**, ცოლ-შვილი – ცოლშვილ**იანი**.

დ) უდეფისო (ერთნიშვნელობიანი) კომპოზიტებისგან ნაწარმოები ზედსართავები:

დედაღორი – დედაღორ**ული**, დედაკაცი – დედაკაც**ური**, ლუკმაპური – **უ**ლუკმაპურ**ო**, ნიშანწყალი – **უ**ნიშანწყლ**ო**, პურლვინო – პურლვინ**იანი**, ქუდბედი – ქუდბედ**იანი**.

ე) მსაზღვრელ-საზღვრულისაგან ნაწარმოები ზედსართავები:

დიდი ბუნება – დიდბუნებ**ოვანი** [და არა დიდბუნოვანი], ზემო სვანეთი – ზემოსვან**ური**, თალხი კაბა – თალხკაბ**იანი**, მერვე კლასი – მერვეკლას**ელი**, ორი სერია – ორსერი**იანი** [და არა ორსერიანი], სამი ფეხი – სამფეხა, უცხო პლანეტა – უცხოპლანეტ**ელი**, ქვემო რაჭა – ქვემორაჭ**ული**, შავი ჩოხა – შავჩოხ**ოსანი**, შვიდი თვე – შვიდთვ**იანი**, შიდა ქართლი – შიდაქართლ**ური**, შუა საუკუნე – შუასაუკუნ**ებრივი**, ხუთი თვალი – ხუთთვალ**იანი** (ბეჭედი).

ასევე: მცირეტირაჟიანი, სამგანზომილებიანი, შეზღუდულხილვადობიანი, ციცაბოაღმართიანი[138].

ვ) ორი სხვადასხვა სიტყვის (სხვადასხვა ბრუნვის ფორმის) შეერთების შედეგად მიღებული კომპოზიტები, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც ბრუნვის ნიშანი მოკვეცილი აქვთ:

---

[138] მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა, ერთი სახის კომპოზიტთა (თუ ტერმინთა) დაწერილობისათვის თანამედროვე ქართულში, ქსკს, წიგნი XV, თბ., 2015, გვ. 30.

თავდასხმა, ჯვარცმული (მოკვეცილი აქვთ მიცემითი ბრუნვის ნიშანი **ს**) გულისხმიერი, დედისერთა, თავისჩება, თავისუფალი, კეთილისმყოფელი (გავლენა), მეფისდროინდელი, ღვთისმოშიში, პატივსაცემი [და არა საპატივცემო], თავმომწონე (ბოლო ორს მოკვეცილი აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი **-ის**).

ზ) კომპოზიტები, რომლებშიც პირველ წევრად ფორმაუცვლელი სიტყვაა:

ანტიხალხური, ვაიპატრიოტი, ზეაპყრობილი, ზედგამოჭრილი, თანდაყოლილი, კვაზირევოლუციური, ორმხრივაოზნექილი, პირქვედამხობილი, ტრანსკავკასიური, ფსევდომეცნიერული, წინდახედული.

თ) -ეულ-მაწარმოებლიანი კომპოზიტები:

სწორია: ივანემაჩაბლისეული, მარჯორიუორდროპისეული, თუმცა უმჯობესია, თუ მსაზღვრელს ვიხმართ დასახელებული პირის სახელის გარეშე[139]. მაგ.: შექსპირის ტრაგედიების მაჩაბლისეული თარგმანი, „ევფხისტყაოსნის“ უორდროპისეული თარგმანი;

და არა: ივანე (ან ი.) მაჩაბლისეული, მარჯორი (ან მ.) უორდროპისეული.

31. თუ ზედსართავს წინ უძღვის **-ში-** ან **-ზე-**თანდებულიანი სიტყვა (გარემოება ან უბრალო დამატება), ისინი ცალკე დაიწერება:

ბალიშში თავჩარგული, იღლიაში ჩანთაამოჩრილი, მუხლებში ძალაგამოლეული, ტუჩებზე ღიმილშერჩენილი, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, თავსა და წელზე შალმოხვეული[140].

ასევე: გონზე მოსული, თავზე ლაფდასხმული (მაგრამ: თავლაფდასხმული – ქეგლი), თავზე ხელაფარებული (მაგრამ: თავზეხელაღებული – ქეგლი), თვალებზე ქუდჩამოფხატული, ისტერიკაში ჩავარდნილი, მიზანში ამოღებული, პირში ჩალაგამოვლებული (მაგრამ: პირჩალაგამოვლებული – ქეგლი).

---

[139] მიხეილ ჭაბაშვილი, კუთვნილებითი კომპოზიტების მართლწერისათვის, ქსკს, წიგნი VIII, გვ. 105.

[140] მიხეილ ჭაბაშვილი, კუთვნილებითი კომპოზიტების მართლწერისათვის, ქსკს, წიგნი VIII, გვ. 104.

§ 30. მსაზღვრელი ზედსართავის მართლწერა

ზედსართავი სახელი საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს, ამდენად, ის არსებითი სახელის მსაზღვრელია. მსაზღვრელად გამოყენებული ზედსართავის ფორმა დამოკიდებულია მის ფუძეზე (თანხმოვანფუძიანია თუ ხმოვანფუძიანი), წყობაზე (პირდაპირია თუ ინვერსიული, ანუ საზღვრულის წინ არის თუ მოსდევს მას, საზღვრულისგან გათიშულია თუ გაუთიშავი) და საზღვრულის რიცხვზე.

დაიმახსოვრეთ:

1. ხმოვანფუძიან ზედსართავს ბრუნვის ნიშნები არ დაერთვის, თუმცა იგულისხმება იმავე ბრუნვაში, რომელშიც საზღვრულია (ძველ ქართულში ატრიბუტული მსაზღვრელი სრულად იღებდა საზღვრულის ბრუნვის ფორმას). ეს წესი ვრცელდება ხმოვანფუძიან ერთგვაროვან მსაზღვრელებზედაც:

> პატარა და კოხტა ია, პატარა და კოხტა იამ, პატარა და კოხტა იას, პატარა და კოხტა იის, პატარა და კოხტა იით, პატარა და კოხტა იად, პატარა და კოხტა იავ (ან ია).

2. თანხმოვანფუძიან ზედსართავს სრული დაბოლოება აქვს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ბრუნვის ნიშანი მთლიანად ეკვეცება მიცემითსა და ვითარებითში, ხოლო ნაწილობრივ (მხოლოდ თანხმოვანი) – ნათესაობითსა და მოქმედებითში:

> ნაზ-ი ია, ნაზ-მა ია-მ, ნაზ ია-ს, ნაზ-ი ი-ის, ნაზ-ი ი-ით, ნაზ ია-დ, ნაზ-ო ია-ვ (ან ია).
>
> **ასევე:** ნაზ-ი და ლამაზ-ი ია, ნაზ-მა და ლამაზ-მა იამ, ნაზ და ლამაზ იას და ა.შ.

3. თუ ატრიბუტული მსაზღვრელი რამდენიმეა, **და**-ს წინ მდგომს **შეიძლება** სრულად დაერთოს ბრუნვის ნიშნები მიცემითსა და ნათესაობითში[141]:

> ამ **ფარულსა** და იდუმალ ეჭვს ვერაფერი მოუხერხა.

---

[141] ლ ე ო კ ვ ა ჭ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996, გვ. 206.

ძველისა და ახალი თაობის ბრძოლა დამთავრდა.

4. ებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს მსაზღვრელი ზედსართავი რიცხვში არ შეეთანხმება (ლამაზი ბავშვები), თუმცა შეიძლება გაორკეცდეს (ლამაზ-ლამაზი ბავშვები).

ნორმების მიხედვით ზედსართავი მხოლოობითის ფორმით იხმარება ნართანიან მრავლობითში დასმულ საზღვრულთანაც, ამასთან, ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს, თანხმოვანფუძიანი კი დაირთავს მხოლოდ სახელობითსა და წოდებითში.

> სუფთა სახლ-ნ-ი, სუფთა სახლ-თ-ა, სუფთა სახლ-ნ-ო; მაღალ-ი მთა-ნ-ი, მაღალ მთა-თ-ა, მაღალ-ო მთა-ნ-ო (ნორმები, გვ. 146).

> **შენიშვნა:** ბოლო ხანებში გამოიკვეთა ნარიან მრავლობითში დასმულ არსებითთან თანხმოვანფუძიანი ზედსართავის რიცხვში შეთანხმების ტენდენცია: დიდ-ნ-ი ხე-ნ-ი, დიდ ხე-თა, დიდ-ო ხე-ნ-ო, წვრილ-ნ-ი ვარსკვლავ-ნ-ი, წვრილ ვარსკვლავ-თა, წვრილ-ნ-ო ვარსკვლავ-ნ-ო. ეს შეთანხმება მხოლოდ ფორმობრივია, რადგან საგნის ნიშანი, თვისება არათვლადი აბსტრაქციაა და, აქედან გამომდინარე, ზედსართავ სახელს არ შეიძლება ჰქონდეს რიცხვის კატეგორია[142].

5. ნორმების თანახმად, თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის ბრუნებისას **დასაშვებია** ბრუნვის ნიშნების სრულად დართვა მიცემითსა და ნათესაობითში (დიდს საქმეს, დიდის საქმის), ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დართვა მოქმედებითში (დიდის საქმით), ხოლო მიცემითისა – ვითარებითში (დიდს საქმედ). ეს განსაკუთრებით საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც მსაზღვრელად წარმოდგენილია მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის ნიშნებით ნაწარმოები სახელები (ნორმები, გვ. 133). მაგ.:

> დღეს შევხვდი **შემთხვევითს** ნაცნობს. მივედი **პირველადს** პროფორგანიზაციაში. შევუთანხმდით **დროებითს** მთავრობას.

---

[142] ა ს მ ა თ პ ა პ ი ძ ე, მსაზღვრელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები, ქსკს, წიგნი, XI, გვ. 95.

ამ ზედსართავთა უსანო ფორმები შესაძლებელია ზმნიზედად იქნეს მიჩნეული (შემთხვევით შევხვდი, პირველად მივედი, დროებით შევუთანხმდით), **ს** ნიშნის დართვით კი ორაზროვნება თავიდან აცილებულია.

6. სრული ფორმების გამოყენება გარკვეული სტილებრივი ფონის შესაქმნელადაც შეიძლება[143]. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნების სრული სახეობა (**დიდის საქმის** ტიპისა) მაღალ, გამორჩეულ, მარკირებულ სტილს უნდა მივაკუთვნოთ (გივი მაჭავარიანი). მაგ.:

> სტუმარი დიდის ამბით გააცილეს.
> შეუდარეთ: პური დიდი დანით დაჭრეს.

„როცა კონტექსტით ორაზროვნება არ არის მოსალოდნელი და არც რაიმე სტილებრივი ფონის შექმნის საჭიროება არსებობს, სრული შეთანხმებული ფორმების გამოყენება მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება“[144].

7. შებრუნებული წყობისას დადგენილია საზღვრულ-მსაზღვრელის ბრუნების შემდეგი წესები:

ა) ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს როგორც თანხმოვანფუძიანი, ისე ხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი:

> ია ნაზ-ი, ია-მ ნაზ-მა, ია-ს ნაზ-ს, ი-ის ნაზ-ის, ი-ით ნაზ-ით, ია-დ ნაზ-ად, ია-ვ ნაზ-ო.
> ია პატარა, ია-მ პატარა-მ, ია-ს პატარას, ი-ის პატარ-ის, ი-ით პატარ-ით, ია-დ პატარა-დ, ია-ვ პატარა-ვ.

ბ) ებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან ზედსართავი მხოლოობითის ფორმით იხმარება:

> იები ნაზი, იებმა ნაზმა, იებს ნაზს და ა.შ.

საზღვრულთან რიცხვში შეთანხმებული მსაზღვრელი მხოლოდ პოეზიაში გვხვდება:

---

[143] ვ ი ო ლ ა კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, საშუალო სკოლის მათემატიკის სახელმძღვანელოთა ენობრივი დახასიათება, ქსკს, წიგნი V, გვ. 215.

[144] იქვე.

მთები თაეჩაჩქნიანები, ქედები ნისლიანები, თვალები შხამიანები, მკლავები ტოტიანები, სერები ტევრიანები, თუშები თექიანები, ხევები ბექიანები.

გ) შებრუნებული წყობისას (საზღვრული + მსაზღვრელი) ნართანიან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელიც ნართანიან მრავლობითშია:

მთანი მაღალნი, მთათა მაღალთა, მთანო მაღალნო (ნორმები, გვ. 146).

8. გათიშულ მსაზღვრელს (როგორც თანხმოვანფუძიანს, ისე ხმოვანფუძიანს) ბრუნვის ნიშნები სრულად უნდა დაერთოს:

იმავ დღეს, შვილო, დედილამ,
ჭრელს ჩავიცომდი **კაბასა**... (ვაჟა-ფშაველა).

დილის ნიავი დაქროდა ნელი (ილია).

თუშთ შაიჭირვეს ძალიან,
ცრემლით ატირდნენ ცხარითა (ვაჟა-ფშაველა).

9. მსაზღვრელს სრულად დაერთვის ბრუნვის ნიშნები, თუ საზღვრული წარმოდგენილი არ არის, მაგრამ იგულისხმება:

მთვარიან ღამეს ვეტრფი,
ბნელს – გავურბი და ვწყევლი.

10. ზედსართავი სახელი და მიმღეობა ხშირად გვხვდება პრედიკატული (შემასმენლური) მსაზღვრელის როლში. ასეთი მსაზღვრელი აღნიშნავს საზღვრულის ისეთ ნიშანს, რომელიც მას (საზღვრულს) ახასიათებს ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების პროცესში. პრედიკატული მსაზღვრელი ერთდროულად დაკავშირებულია როგორც ზმნა-შემასმენელთან, ისე სუბიექტ-ობიექტთან, მაგრამ ფორმის მხრივ (ბრუნვასა და რიცხვში) ანგარიშს უწევს ამ უკანასკნელს. შეადარეთ:

გულამოვარდნილმა ბავშვმა ჩემთან მოირბინა (**გულამოვარდნილი** განსაზღვრავს სუბიექტს) და ბავშვმა **გულამოვარდნილმა მოირბინა** ჩემთან (იგივე სიტყვა განსაზღვრავს შემასმენელს, მაგრამ ბრუნვასა და რიცხვში მას ითანხმებს სუბიექტი **ბავშვი**).

მან დაჭრილს **ცოცხალს მიუსწრო** (**ცოცხალს** პრედიკატული განსაზღვრებაა, რომელსაც ბრუნვასა და რიცხვში ითანხმებს ირიბი ობიექტი).

ქალები გახარებულები იდგნენ (**გახარებულები** პრედიკატული განსაზღვრებაა, რომელსაც მრავლობით რიცხვში ითანხმებს სუბიექტი). შეადარეთ: **ქალები გახარებული** არიან (**გახარებული** შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია, გადმოცემული საობიექტო მიმღეობით, ამიტომ მხოლოობით'ში იწერება, თუმცა მრავლობით'შიც ხშირად გვხვდება. მაგ.: ისინი გახარებულნი არიან).

11. თუ მსაზღვრელად განუსაზღვრელი რაოდენობის გამომხატველი ზედსართავი სახელია, საზღვრული მხოლოობით'ში დაისმის. ასეთი ზედსართავები უმთავრესად წარმოქმნილია გარკვეული და გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელებისგან **-ნაირ(ი)** და **-გვარ(ი)** მაწარმოებლებით[145] (ბევრნაირი, მრავალნაირი, ყოველნაირი, ამდენნაირი, იმდენნაირი, რამდენიმენაირი, ათასნაირი; ბევრგვარი, მრავალგვარი, ყოველგვარი, ამდენგვარი, ათასგვარი) (ნორმების ბიულეტენი, №3):

შიგ **მრავალგვარი ცხოველი** [და არა ცხოველები] ირეოდა.
იმ საფლობ ლექში **ათასნაირი ქვემძრომი** დაძერებოდა.

მხოლოდ კრებით სახელებთან იხმარება ზედსართავი სახელები: მრავალათასიანი, მრავალმილიონიანი და მისთ.:

მრავალათასიანი არმია ქალაქს მიადგა.
კარნავალის დღეებში ქუჩაში გამოვიდა **მრავალმილიონიანი** მასა.

---

[145] ც ი რ ა კ ა ლ ა ძ ე, საზღვრულის რიცხვი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან, ქსკს, წიგნი IV, გვ. 216.

§ 31. ზედსართავი სახელის პარონიმული წყვილები

არისტოკრატიული – (არისტოკრატიული მმართველობა);
არისტოკრატული – (არისტოკრატული მანერები / იერი).

აქტიური – ენერგიული, მუდმივად რაიმე საქმიანობაში ჩართული (**აქტიური** მასწავლებელი / მოსწავლე);
აქტუალური – დროის გარკვეულ მონაკვეთში არსებითი მნიშვნელობის მქონე (**აქტუალური** ამოცანები/თემა).

ახალწვეული – ვინც ახლად გაიწვიეს ჯარში;
წვევამდელი – ვისაც ჯარში გაწვევის დრო მოუვიდა.

ბიუროკრატიული – ამ მმართველობის სისტემისათვის დამახასიათებელი (ბიუროკრატიული აპარატი);
ბიუროკრატული – ბიუროკრატისათვის დამახასიათებელი; ფორმალური (ბიუროკრატული მიდგომა / ჩვევები).

დაბალი – (დაბალი კაცი / შენობა);
მდაბალი – 1. მოკრძალებული, მორჩილი (მდაბალი სალამი); 2. ზნედაცემული (მდაბალი სულის მქონე).

დეკორატიული – ადგილის დამამშვენებელი, ლამაზი, ეფექტური (დეკორატიული მცენარეები / ვაზა);
დეკორაციული – დეკორაციასთან დაკავშირებული; დეკორაცია – 1. სცენაზე მოქმედების ადგილის მხატვრული გაფორმება; 2. გ ა დ ა ტ. მოჩვენებითი რამ ნაკლის დასაფარავად (დეკორაციული კოსმეტიკა).

დიფერენციული – განსხვავებული (სიდიდის, პირობების... მიხედვით);
დიფერენციალური – **დიფერენციალური** აღრიცხვა – უმაღლესი მათემატიკის დარგი.

ეთიკური – ეთიკასთან დაკავშირებული (**ეთიკური** ნორმები). ეთიკა = მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ.
ესთეტიკური – ესთეტიკასთან დაკავშირებული (**ესთეტიკური** სიამოვნება). ესთეტიკა = მოძღვრება ხელოვნებისა და, საერთოდ, მშვენიერების შესახებ.

ეკლესიური – (**ეკლესიური** ყოფა; შეადარეთ: ეკლესიური ადამიანი);
საეკლესიო – (**საეკლესიო** სკოლა/მიწები; შეადარეთ: **საეკლესიო** მწერლობა, ლიტერატურა).

ეკონომიური – ეკონომიის მომცემი, მომჭირნეობითი (**ეკონომიური** ხარჯვა);
ეკონომიკური – ეკონომიკაზე დამყარებული; ეკონომიკასთან დაკავშირებული (**ეკონომიკური** დონე/პოლიტიკა, ტერმინოლოგია (**გამონაკლისია პოლიტიკური ეკონომია**)).

ეპიდემიური – (**ეპიდემიური** ავადმყოფობა);
ეპიდემიოლოგიური – (ეპიდემიოლოგიური სადგური).

ერთფერი – ერთი ფერისა;
ერთფეროვანი – ერთსახოვანი, არასხვადასხვაგვარი; გ ა დ ა ტ. უფერული, მოსაწყენი, უშინაარსო (**ერთფეროვანი** გარემო/ცხოვრება).

ზეთიანი – (**ზეთიანი** ჭურჭელი, საჭმელი, თითები);
ზეთოვანი – (**ზეთოვანი** კულტურები).

ზეციერი – (**ზეციერი** მამა);
ზეციური – (**ზეციური** ძალა/სიტკბოება/სათნოება/თვისება).

თანამდები – ძვ. მოვალე;
თანამდევი – ვინც ან რაც თან სდევს; ვინმესთან ან რამესთან მყოფი.

კორექტული – სწორი, მოსაწონი, ტაქტიანი (**კორექტული** საქციელი);
კორექტურული – კორექტურასთან დაკავშირებული (**კორექტურული** შეცდომა).

ლიტერატურული და სალიტერატურო – ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: მხატვრული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი (**ლიტერატურული/ სალიტერატურო** ენა, ფორმა); შეადარეთ: **ლიტერატურული** მემკვიდრეობა/ფაქტი/ ტრადიციები/მოღვაწეობა, **მაგრამ სალიტერატურო ენა**: ლიტერატურაში, მწერლობაში გამოყენებული ენა, რომელიც გარკვეული ნორმებით არის განსაზღვრული (**სალიტერატურო** ენის ისტორია, **სალიტერატურო** ენის კურსი; **სალიტერატურო** ენის ნორმები).

მასიური – დიდი მოცულობის მქონე, მძიმე (**მასიური** ავეჯი/ ქანდაკება);
მასობრივი – მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობით განხორციელებული რამ (**მასობრივი** არეულობა/ გამოსვლა);
მასური – ფ ი ზ. მასის მიხედვით (**მასური** წონა).

მეწინავე – წინ მავალი (**მეწინავე** ჯარი);
მოწინავე – განვითარების დონის მიხედვით წინ მდგომი, წარმატებული (**მოწინავე** სახელმწიფო/სტუდენტი/ მუშაკი).

ორდინალური – რიგობითი (მ ა თ ე მ. **ორდინალური** რიცხვი);
ორდინარული – ჩვეულებრივი (**ორდინარული** გარეგნობა).

პროფესიული – (პროფესიული გამოცდილება/დაავადება);
პროფესიონალური – (პროფესიონალური კვლევა).

სამამულე – (**სამამულე** რქა);
სამამულო – (**სამამულო** ომი).

სამწერლო – (**სამწერლო** ასპარეზი);
სამწერლობო – (**სამწერლობო** ენა).

საპილოტე – პოლოტისათვის განკუთვნილი (**საპილოტე** ფორმა);
საპილოტო – რისი პილოტირებაც უნდა მოხდეს; რაც უნდა გამოიცადოს, შემოწმდეს (სახელმძღვანელოს საპილოტო ვერსია; **საპილოტო** პროგრამა/ პროექტი).

საქორწილო – (საქორწილო მზადება);
საქორწინო – (საქორწინო ბეჭედი).

უებარი – (უებარი წამალი/მალამო/საშუალება);
უებრო – (უებრო მეგობარი/ადამიანი/მოსაუბრე).

უკვალო – რასაც კვალი არ დარჩა, რამაც კვალი არ დატოვა (ამ ამბავმა **უკვალოდ** ჩაიარა);
უკვლო – გზააბნეული, გზადაკარგული.

უწვერო – წვერი რომ არა აქვს (**უწვერო** კაცი); შეადარეთ: **უწვერო** ფანქარნი/ნემსი;
უწვერული – წვერი ჯერ რომ არ ამოსვლია, ჭაბუკი.

უწიგნო – (**უწიგნო** კარადა/თარო);

უწიგნური – (**უწიგნური** ადამიანი).

უწყალო – შეუბრალებელი, დაუნდობელი ადამიანი;
უწყლო – (უწყლო მიწა/ადგილი/ჭურჭელი).

ფაკულტატიური – საკუთარ არჩევანზე დამოკიდებული; არასავალდებულო, არაძირითადი (**ფაკულტატიური** საგნები);
ფაკულტეტური – ფაკულტეტისათვის განკუთვნილი (ფაკულტეტური ღონისძიება/გაზეთი).

ფიგურული – 1. რაიმე ფიგურის სახისა (**ფიგურული** შოკოლადი), 2. (ს პ ო რ ტ. **ფიგურული** სრიალი);
ფიგურალური – ხატოვანი (ფიგურალური თქმა/მეტყველება).

ცარიელი – (**ცარიელი** სუფრა/ოთახი/ჩანთა); შეადარეთ: **ცარიელი** სიტყვა, ცარიელზე დარჩენა;
ცარიელა – (**ცარიელა** პური/მჭადი).

ცერემონიული – (**ცერემონიული** სალამი);
ცერემონიალური – (**ცერემონიალური** მარში).

ცივილური – არასამხედრო, სამოქალაქო (**ცივილური** ტანსაცმელი);
ცივილიზებული – ცივილიზაციას ზიარებული, კულტურული (**ცივილიზებული** ქვეყანა).

ძალოვანი – (**ძალოვანი** სტრუქტურა);
ძალოსანი – (**ძალოსანი** სპორტსმენი).

ძვლიანი – ძვლის (ძვლების) მქონე (**ძვლიანი** ხორცი/ნაჭერი);
ძვლოვანი – ს პ ე ც. ძვლებისაგან შედგენილი (**ძვლოვანი** ქსოვილი).

ხანიერი – ხანგრძლივი; მუდმივი: „ხამს მიჯნური ხანიერი“ (შოთა რუსთაველი);
ხნიერი – ხანში შესული.

რიცხვითი სახელი

ნათქვამია: მსოფლიოს რიცხვები მართავენო. ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებიც რიცხვითი სახელებითაა ასახული. მეტყველების ნაწილებიდან რიცხვითი სახელი ერთადერთია, რომელიც სიტყვიერადაც გამოიხატება და ციფრებითაც. სწორედ ციფრებით გამოსახულ რიცხვით სახელებს ვუწოდებთ რიცხვებს, რომელთა რაოდენობა უსასრულოა. ე. ი. რიცხვითი სახელების რაოდენობაც უსასრულოა. ამითაც განსხვავდება იგი სხვა მეტყველების ნაწილებისაგან. ალბათ ამიტომაც მის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

გავიხსენოთ რიცხვითი სახელის რაობა. ტრადიციული განმარტებით, **რიცხვითი სახელი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს საგნის რაოდენობას, რიგს ან ნაწილს მთელთან შეფარდებით**. ამის მიხედვით იგი სამგვარია: რაოდენობითი (ოთხი, ასი, ბევრი), რიგობითი (პირველი, მეორე, ოცდამეოთხე) და წილობითი (მეოთხედი, ნახევარი, ასმერვედი).

რაოდენობით რიცხვით სახელთა უმეტესობა საგნის გარკვეულ (განსაზღვრულ) რაოდენობას აღნიშნავს. მაგ.: ათი, ოცდათხუთმეტივე, ორასი, ათას ხუთასი. გაურკვეველ (განუსაზღვრელ) რაოდენობას გამოხატავენ რიცხვითი სახელები: ბევრი, ცოტა, მრავალი, უამრავი, უთვალავი, ურიცხვი (ზოგი გრამატიკოსი მათ ზედსართავებად მიიჩნევს).

რაოდენობითი რიცხვითი სახელი შედგენილობის მიხედვით არის მარტივი (რიცხვები ერთიდან ათამდე, ოცი, ასი და რიცხვთა უმაღლესი კლასის გამომხატველი ნასესხები სახელები: მილიონი, მილიარდი, ტრილიონი, კვადრილიონი, კვინტილიონი, სექსტილიონი) და რთული (თხუთმეტი, ოცდაშვიდი, ორმოცი, სამოცდაათი, სამასი).

რთული სახელი რამდენიმე ცალკე მდგომი რიცხვითაც გადმოიცემა. მაგ.: ას ორი, ოთხას სამოცდათვრამეტი, ორი ათასი. ზოგი მათ შედგენილ რიცხვით სახელს უწოდებს.

რაოდენობითი და წილობითი სახელების შეხამებით რიცხვითი სახელი თანასწორ ნაწილებად დაყოფილი მთელის ნაწილთა რაოდენობასაც აღნიშნავს. მაგ.: ორი მესამედი, ოთხი მეხუთედი (როდესაც ამბობენ „მესამედი“, რიცხობრივად გულისხმობენ წილადს, რომლის მრიცხველია ერთი).

რაიმე სიდიდის რიცხვითი მნიშვნელობა შერეულ სიტყვათა შეკავშირებითაც გადმოიცემა. მაგ.: ოთხი მთელი ერთი მესამედი, ათი მთელი შვიდი მეათედი.

ზოგ რიცხვით სახელს ძველად სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. მაგ., **ბევრი** ნიშნავდა ათი ათასს, **ერგასი** და **ერგასისი** – ორმოცდაათს, **ფრიადი** – მრავალს, **სხვა** და **მერმედ** – მეორეს, **ზოგი** – ერთ მეორედს.

§ 32. რაოდენობითი რიცხვითი სახელის მართლწერა

რიცხვითი სახელის მართლწერასთან არაერთი საკითხია დაკავშირებული: ორთოგრაფიული, მორფოლოგიური, სინტაქსური, სტილისტიკური. თავისებურია რიცხვითი სახელის წარმოება, რთული (შედგენილი) სახელების ბრუნება, რომაული და არაბული ციფრებით გამოსახვა, საზღვრულთან მიმართება, ზმნასთან სინტაქსური კავშირი.

მართლწერის თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა სახისაა რიცხვითი სახელი – რაოდენობითი, რიგობითი თუ წილობითი, რადგან თითოეული მათგანის თავისებურება მართლწერის ნორმებშიც აისახება. გასათვალისწინებელია ისიც, სიტყვიერად ვწერთ რიცხვით სახელს თუ ციფრებით (შესაძლებელია, განსხვავებაც იყოს ჩაწერასა და წარმოთქმას შორის).

უპირველესად განვიხილოთ სიტყვიერად გადმოცემული რიცხვითი სახელის მართლწერა. ამ მხრივ ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევენ რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელები. ზოგი მათგანი შერწყმულად იწერება, ზოგი – ცალ-ცალკე, ზოგი – დეფისით.

1. ერთ სიტყვად იწერება:

ა) რიცხვითი სახელები ასის ჩათვლით: თვრამეტი, ოცდათოთხმეტი, ორმოცდაათი, სამოცი;

ბ) ასეულების აღმნიშვნელები: ორასი, ექვსასი, ათასი.

გ) დაზუსტებითი რიცხვითი სახელები: ორადორი[146], სამადსამი.

2. ცალ-ცალკე იწერება:

ა) რთული შედგენილობის რიცხვითი სახელები ასის ზევით (ასეულების აღმიშვნელების გარდა): ას ოთხი, სამი ათას ოთხასი, ათი მილიონ ასი ათასი;

---

[146] მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის, თამარ ვაშაკიძის რედაქციით, გვ. 313.

ბ) მყარი გამოთქმები: არა ერთი და ორი (ერთზე მეტი, ბევრი), ორში ერთი (ან ერთი, ან მეორე), ათასში ერთი (იშვიათი).

3. დეფისით ფორმდება:

ა) ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტები: ოთხ-ოთხი, ას-ასი, ცოტ-ცოტა, ბევრ-ბევრი (ეს ფორმები იხმარება, როცა სურთ გამოხატონ განაწილება);

> **შენიშვნა 1**: **ერთი და ერთის** მნიშვნელობით გამოიყენება **თითო-თითო**.
>
> **შენიშვნა 2**: ჩართული **ბევრი-ბევრი** სხვა მნიშვნელობისაა (= დიდი-დიდი). მაგ.: **ბევრი-ბევრი**, ორი კგ გამოვიდეს.

ბ) მომიჯნავე რიცხვით სახელთა შეერთების შედეგად მიღებული სიტყვები (ამ დროს წინა კომპონენტი სახელობით ბრუნვაში დგას):

სამი-ოთხი, ექვსი-შვიდი, ცხრა-ათი, ორიოდ-სამიოდე;

ასევე: ერთი-ორი, თითო-ოროლა, რომლებიც ოდნაობა-სიმცირის აღსანიშნავად იხმარება გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელების (ანუ დაუკონკრეტებელი სიმრავლის) საპირისპიროდ[147].

დეფისი შეიძლება ენაცვლებოდეს როგორც **და**, ისე **ან** კავშირს. საზღვრულის რიცხვი ზოგჯერ ამაზეა დამოკიდებული.

სწორია: ოთახში შემოვიდნენ ხუთი-ექვსი წლის **ბავშვები** (როცა დეფისი ცვლის **და** კავშირს).

მაგრამ: ოთახში შემოვიდა ხუთი-ექვსი წლის **ბავშვი** (როცა დეფისი ცვლის **ან** კავშირს).

სწორია: 2013-2014 **წლები** უხვმოსავლიანი იყო (დეფისი ცვლის **და** კავშირს).

მაგრამ: თუ არ ვცდები, ეს უნდა ყოფილიყო 2013-2014 **წელი** (დეფისი ცვლის **ან** კავშირს).

საზღვრული მხოლოობითში დაისმის სასწაველი წლის აღნიშვნის დროსაც.

---

[147] შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, რიცხვში შეთანხმების პრინციპებისათვის ქართულში, ქსკს, წიგნი XIII, გვ. 80.

სწორია: 2014-2015 სასწავლო წელს მოსწავლეთა რიცხვი გაორმაგდა.

შენიშვნა: თარიღის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ყოველთვის ციფრებით იწერება.

4. ტირეთი აერთებდნენ რიცხვით სახელებს, თუ ამათ შორის სხვაობა ერთზე მეტი იყო. ახლა ასეთ კომპოზიტისებურ სახელებსაც დეფისით აფორმებენ[148]. მაგ.:

მკურნალობას ორი-ოთხი თვე სჭირდება (ე. ი. ორიდან ოთხ თვემდე);
რაიონის ცენტრამდე ორმოცი-ორმოცდაათი კმ-ია.

§ 33. რაოდენობითი რიცხვითი სახელის ბრუნება

5. საზღვრულის გარეშე გამოყენებული რიცხვითი სახელი არსებითი სახელის ფუნქციას ასრულებს, ე. ი. აღნიშნავს საგანს, თუმცა ამავე დროს საგნის რაოდენობაზედაც მიუთითებს. ასეთ შემთხვევაში მისი მნიშვნელობა მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილის ტოლფასია.

საზღვრული ხშირად არის გამოტოვებული ანდაზებში, რადგან ამ უკანასკნელთათვის დამახასიათებელია ლაკონიურობა და სინტაქსური სიმარტივე. მაგ.:

ორი ერთზე ლაშქარიაო; ერთი შეგირდს მისცხე და ხუთი – გამზრდელსაო; ცოტავ, სად მიდიხარ და – ბევრთანაო.

გაარსებითებული რიცხვითი სახელი ხშირად იხმარება სასაუბრო მეტყველებაში საგნის ღირებულების, დროის მონაკვეთის, წლოვანების აღსანიშნავად. მაგ.:

ბილეთი ორი და ორმოცი ღირს (ე. ი. ორი ლარი და ორმოცი თეთრი ღირს); ოთხის ნახევარია (ე. ი. მომდევნო საათის ოცდაათი წუთია); ქალი ორმოცდაათს იყო

---

148 იხ. ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, (რედაქტორი თამარ ვაშაკიძე), თბ. 2011, გვ. 349 და მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის, (რედაქტორი თამარ ვაშაკიძე) თბ., 2016, გვ. 33 და 315.

გადაცილებული (ე. ი. ორმოცდაათ წელს იყო გადაცილებული); ჩემი ძმა ომიდან ორმოცდახუთში დაბრუნდა (ე. ი. ორმოცდახუთ წელს დაბრუნდა).

არითმეტიკული ოპერაციების დროს რიცხვითი სახელი განყენებულად აღნიშნავს მათემატიკურ სიდიდეს.

6. დამოუკიდებლად გამოყენებული რაოდენობითი რიცხვითი სახელი ისევე იბრუნვის, როგორც მსგავსი ფუძის საზოგადო არსებითი სახელი, იმ განსხვავებით, რომ იშვიათად გვხვდება წოდებით ბრუნვაში.

კვეცადია **რვა, ცხრა** და ამ სიტყვებით გათავებული რთული რიცხვითი სახელები. უკვეცელია **ცოტა, თითო, თითო-ოროლა,** აგრეთვე **ოდე-** და **ვე-ნაწილაკიანი** რიცხვითი სახელები: ათიოდე, ორმოციოდე, ასიოდე, შვიდივე, ოცივე. კუმშვადია **მრავალი**.

7. რაოდენობით რიცხვით სახელს **ებ**-იანი მრავლობითი არა აქვს. გამონაკლისია ათასი, მილიონი, მილიარდი და მისთ. მაგ.:

მინისტრებმა პრემიის სახით ათასები გამოიწერეს (ე. ი. ათასობით ლარი). არეულობის დროს ზოგმა მილიონები იშოვა (ე. ი. მილიონობით ლარი).

ორები, ოთხები და მისთ. სასაუბრო ენაში სასკოლო ნიშნებს აღნიშნავენ, ამიტომ გრამატიკული რიცხვიც (ებ-იანი მრავლობითი) ჩვეულებრივ ეწარმოებათ. მაგ.:

ნინოს ყველა საგანში ოთხები (ანუ ოთხიანები) უწერია.

8. ნართანიან მრავლობითში მდგომი რიცხვითი სახელი გრამატიკული რიცხვის გაგებას მოკლებულია (გრამატიკული რიცხვი გულისხმობს ერთს ან ერთზე მეტს):

ძმა მაშინ მოგაგონდება, **შვიდნი** რომ გცემდნენ მარტოსა (ანდაზა). **ბევრნი** ფიქრობდნენ ასე.

შვიდი და შვიდნი, ბევრი და ბევრნი რაოდენობრივად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან.

9. რიცხვითი სახელი **ერთი** მრავლობითში არ იხმარება: **ერთნი** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია (=ზოგნი).

ერთი ზოგჯერ უპირისპირდება მეორეს:

ერთი კაცი ეკლესიას აშენებდა, მეორე ანგრევდაო (ანდაზა). ერთ ყურს ჰქვია „ისმინეო“, მეორეს – „ისხლიტეო“ (ანდაზა).

ჩართულის როლში ხშირად გვხვდება სიტყვათშეხამებები: ერთი მხრივ//ერთი მხრით... მეორე მხრივ//მეორე მხრით [და არა ერთის მხრივ/მხრით... მეორეს მხრივ/მხრით], ჯერ ერთი... მეორეც. მაგ.:

ბლოკის ავადმყოფობა იმანაც დააჩქარა, რომ თავ-თავის მხარეს ეწეოდნენ, ერთი მხრივ, დედა და, მეორე მხრივ, მეუღლე.
ქვეყანას ვერ დატოვებდა: ჯერ ერთი, ნოსტალგიას ვერ გაუძლებდა, მეორეც, მოხუც მშობლებს უმწეოდ ვერ დაყრიდა.

დანართი № 28

რაოდენობითი რიცხვითი სახელის ბრუნების ნიმუში

სახ.	ოთხ-ი	თორმეტ-ი	ხუთას-ი	ოცდარვა
		თანდებულიანი ფორმები		
	ოთხ-ი-ვით	თორმეტ-ი-ვით	ხუთას-ი-ვით	–
მოთხრ.	ოთხ-მა	თორმეტ-მა	ხუთას-მა	ოცდარვა-მ
მიც.	ოთხ-ს	თორმეტ-ს	ხუთას-ს	ოცდარვა-ს
		თანდებულებიანი ფორმები		
	ოთხ-სა-ვით	თორმეტ-სა-ვით	ხუთას-სა-ვით	ოცდარვა-სა-ვით
	ოთხ-თან	თორმეტ-თან	ხუთას-თან	ოცდარვა-ს-თან
	ოთხ-ზე/ში	თორმეტ-ზე/ში	ხუთას-ზე/ში	ოცდარვა-ზე/ში
ნათ.	ოთხ-ის	თორმეტ-ის	ხუთას-ის	ოცდარვ■-ის
		თანდებულებიანი ფორმები		
	ოთხ-ის-თვის/გან	თორმეტ-ის-თვის/გან	ხუთას-ის-თვის/გან	ოცდარვ■-ის(ა)-თვის/გან
მოქმ.	ოთხ-ით	თორმეტ-ით	ხუთას-ით	ოცდარვ■-ით
		თანდებულიანი ფორმები		
	ოთხ-იდან	თორმეტ-იდან	ხუთას-იდან	ოცდარვ■-იდან

ვით.	ოთხ-ად	თორმეტ-ად	ხუთას-ად	ოცდარვა-დ
		თანდებულიანი ფორმები		
	ოთხ-ამდე	თორმეტ-ამდე	ხუთას-ამდე	ოცდარვა-მდე
წოდ.	[ოთხ-ო]	[თორმეტ-ო]	[ხუთას-ო]	[ოცდარვა-ვ]

შენიშვნა: ბრუნვის ნიშნები და თანდებულები დეფისით გამოყოფილია თვალსაჩინოებისათვის.

დანართი № 29

რაოდენობითი რიცხვითი სახელის ბრუნება არსებით სახელთან ერთად

	თანხმოვანფუძიანი ↓		ხმოვანფუძიანი ↓	
სახ.	სამას-ი	არაგველ-ი	რვა	ბავშვ-ი
		თანდებულიანი ფორმები		
	სამას-ი	არაგველ-ი-ვით	რვა	ბავშვ-ი-ვით
მოთხრ.	სამას-მა	არაგველ-მა	რვა	ბავშვ-მა
მიც.	სამას	არაგველ-ს	რვა	ბავშვ-ს
		თანდებულებიანი ფორმები		
	სამას	არაგველ-სა-ვით	რვა	ბავშვ-სა-ვით
	სამას	არაგველ-თან	რვა	ბავშვ-თან
	სამას	არაგველ-ზე/ში	რვა	ბავშვ-ზე/ში
ნათ.	სამას-ი	არაგველ-ის	რვა	ბავშვ-ის
		თანდებულებიანი ფორმები		
	სამას-ი	არაგველ-ის(ა)-თვის/გან	რვა	ბავშვ-ის(ა)-თვის/გან
მოქმ.	სამას-ი	არაგველ-ით	რვა	ბავშვ-ით
		თანდებულიანი ფორმები		
	სამას-ი	არაგველ-იდან	რვა	ბავშვ-იდან
ვით.	სამას	არაგველ-ად	რვა	ბავშვ-ად

თანდებულიანი ფორმები

	სამას	არაგველ-ამდე	რვა	ბავშვ-ამდე
წოდ.	[სამას-ო	არაგველ-ო]	[რვა	ბავშვ-ო]

10. რიცხვითი სახელი, ჩვეულებრივ, არსებით სახელს ახლავს ატრიბუტულ მსაზღვრელად და იბრუნვის ისე, როგორც შესაბამისი ფუძის ზედსართავი არსებითთან ერთად, თუმცა გარკვეული თავისებურებაც ახასიათებს. მაგ., ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები **ათასს** შეეწყობა სახელობითი ბრუნვის ფორმით, რიცხვთა მაღალი კლასის აღმნიშვნელ უცხოურ სახელებს (მილიონს, მილიარდს და მისთ.) კი – ატრიბუტული მსაზღვრელის ბრუნების საერთო წესის მიხედვით. შეადარეთ:

დანართი № 30

სახ.	ოთხი	ათას-ი	კაც-ი	ოთხ-ი	მილიონ-ი	კაცი
			თანდებულიანი ფორმები			
	ოთხი	ათას-ი	კაც-ი-ვით	ოთხ-ი	მილიონ-ი	კაც-ი-ვით
მოთხრ.	ოთხი	ათას-მა	კაც-მა	ოთხ-მა	მილიონ-მა	კაც-მა
მიც.	ოთხი	ათას	კაც-ს	ოთხ	მილიონ	კაც-ს
			თანდებულებიანი ფორმები			
	ოთხი	ათას	კაც-სა-ვით	ოთხ	მილიონ	კაც-სა-ვით
	ოთხი	ათას	კაც-თან	ოთხ	მილიონ	კაც-თან
	ოთხი	ათას	კაც-ზე/ში	ოთხ	მილიონ	კაც-ზე/ში
ნათ.	ოთხი	ათას-ი	კაც-ის	ოთხ-ი	მილიონ-ი	კაც-ის
			თანდებულებიანი ფორმები			
	ოთხი	ათას-ი	კაც-ის(ა)-თვის/გან	ოთხ-ი	მილიონ-ი	კაც-ის(ა)-თვის/გან
მოქმ.	ოთხი	ათას-ი	კაც-ით	ოთხ-ი	მილიონ-ი	კაც-ით
			თანდებულიანი ფორმები			
	ოთხი	ათას-ი	კაც-იდან	ოთხ-ი	მილიონ-ი	კაც-იდან
ვით.	ოთხი	ათას	კაც-ად	ოთხ	მილიონ	კაც-ად

თანდებულიანი ფორმები

	ოთხი	ათას	კაც-ამდე	ოთხ	მილიონ	კაც-ამდე
წოდ.	[ოთხი	ათას-ო	კაც-ო	[ოთხ-ო	მილიონ-ო	კაც-ო]

11. თუ რიცხვითი სახელი სამი ან მეტი კომპონენტისგან შედგება, **მილიარდი, მილიონი, ათასი** ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი მათი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელები – სახელობითი ბრუნვის ფორმით, უკანასკნელი რიცხვითი სახელი კი ბრუნვის ნიშნებს დაირთავს ისე, როგორც სათანადო ფუძის ატრიბუტული მსაზღვრელი.

დანართი № 31

სახ.	ოთხი	მილიონ	სამასი	ათას	ორას-**ი**	კაცი
			თანდებულიანი ფორმები			
	ოთხი	მილიონ	სამასი	ათას	ორას-**ი**	კაც-ი-ვით
მოთხრ.	ოთხი	მილიონ	სამასი	ათას	ორას-**მა**	კაც-მა
მიც.	ოთხი	მილიონ	სამასი	ათას	ორას	კაც-ს
			თანდებულებიანი ფორმები			
	ოთხი	მილიონ	სამასი	ათას	ორას	კაც-სა-ვით
	ოთხი	მილიონ	სამასი	ათას	ორას	კაც-თან
	ოთხი	მილიონ	სამასი	ათას	ორას	კაც-ზე/ში
ნათ.	ოთხი	მილიონ	სამასი	ათას	ორას-**ი**	კაც-ის
			თანდებულებიანი ფორმები			
	ოთხი	მილიონ	სამასი	ათას	ორას-**ი**	კაც-ის(ა)-თვის/გან
მოქმ.	ოთხი	მილიონ	სამასი	ათას	ორას-**ი**	კაც-ით
			თანდებულიანი ფორმები			
	ოთხი	მილიონ	სამასი	ათას	ორას-**ი**	კაც-იდან
ვით.	ოთხი	მილიონ	სამასი	ათას	ორას	კაც-ად
			თანდებულიანი ფორმები			
	ოთხი	მილიონ	სამასი	ათას	ორას	კაც-ამდე

12. თუ მსაზღვრელად თანხმოვანფუძიანი **ფუძეგაორკეცებული** რიცხვითი სახელია, ბრუნვის ნიშნები დაერთვის ბოლო ფუძეს.

დანართი № 32

სახ.	ოთხ-ოთხ-**ი**	კაცი	რვა-რვა	კაცი
		თანდებულიანი ფორმები		
	ოთხ-ოთხ-**ი**	კაც-ი-ვით	რვა-რვა	კაც-ი-ვით
მოთხრ.	ოთხ-ოთხ-**მა**	კაც-მა	რვა-რვა	კაც-მა
მიც.	ოთხ-ოთხ	კაც-ს	რვა-რვა	კაც-ს
		თანდებულებიანი ფორმები		
	ოთხ-ოთხ	კაც-სა-ვით	რვა-რვა	კაც-სა-ვით
	ოთხ-ოთხ	კაც-თან	რვა-რვა	კაც-თან
	ოთხ-ოთხ	კაც-ზე/ში	რვა-რვა	კაც-ზე/ში
ნათ.	ოთხ-ოთხ-**ი**	კაც-ის	რვა-რვა	კაც-ის
		თანდებულებიანი ფორმები		
	ოთხ-ოთხ-**ი**	კაც-ის(ა)-თვის/გან	რვა-რვა	კაც-ის(ა)-თვის/გან
მოქმ.	ოთხ-ოთხ-**ი**	კაც-ით	რვა-რვა	კაც-ით
		თანდებულიანი ფორმები		
	ოთხ-ოთხ-**ი**	კაც-იდან	რვა-რვა	კაც-იდან
ვით.	ოთხ-ოთხ	კაც-ად	რვა-რვა	კაც-ად
		თანდებულიანი ფორმები		
	ოთხ-ოთხ	კაც-ამდე	რვა-რვა	კაც-ამდე

13. სხვადასხვაფუძიანი რიცხვითი სახელებიდან ბრუნვის ნიშნებს დაირთავს თანხმოვანფუძიანი პირველი სახელიც:

დანართი № 33

სახ.	ოთხი-ხუთი	ბავშვი
	თანდებულიანი ფორმები	
	ოთხი-ხუთი	ბავშვივით

ოთხმა-ხუთმა ბავშვმა

მიც.	ოთხ-ხუთ	ბავშვს
	თანდებულებიანი ფორმები	
	ოთხ-ხუთ	ბავშვსავით
	ოთხ-ხუთ	ბავშვთან
	ოთხ-ხუთ	ბავშვს(ე)/ში
ნათ.	ოთხი-ხუთი	ბავშვის
	თანდებულებიანი ფორმები	
	ოთხი-ხუთი	ბავშვის(ა)-თვის/გან
მოქმ.	ოთხი-ხუთი	ბავშვით
	თანდებულიანი ფორმა	
	ოთხი-ხუთი	ბავშვიდან
ვით.	ოთხ-ხუთ	ბავშვად
	თანდებულიანი ფორმა	
	ოთხ-ხუთ	ბავშვამდე

14. თუ ფუძეგაორკეცებული ან სხვადასხვაფუძიანი რიცხვითი სახელი ე. წ. მართული სახელის მსაზღვრელადაა, პირდაპირი წყობისას ბრუნვის ნიშანი მის არცერთ ფუძეს არ დაერთვის. მაგ.:

ოთხ-ოთხი წლის ბავშვები, ოთხ-ოთხი წლის ბავშვებმა, ოთხ-ოთხი წლის ბავშვებს და ა. შ.
ოთხი-ხუთი წლის ბავშვი, ოთხი-ხუთი წლის ბავშმა, ოთხი-ხუთი წლის ბავშს და ა. შ.

შენიშვნა: ი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაწილია. გავიხსენოთ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება: ხუთის წლის ⇒ ხუთი წლის.

15. უკანასკნელ ხანებში უცხო ენებთან მჭიდრო კონტაქტის გამო სიმრავლის აღმნიშვნელ სახელებთან ხშირად სვამენ საზღვრულს მრავლობით რიცხვში, რაც ქართულისათვის არაბუნებრივია.

დაიმახსოვრეთ:

საზღვრული მხოლობითში დაისმის, თუ მისი მსაზღვრელი რაოდენობითი რიცხვითი სახელია. კერძოდ:

ა) თუ მსაზღვრელი გარკვეული რაოდენობის აღმნიშვნელი სახელია:

> სამი მუშკეტერი, ათას ერთი ღამე, ორივე სტუდენტი, სამიოდე ხე;

ბ) თუ მსაზღვრელი გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელია:

> ბევრი ხალხი (ღვინო, ოქრო, ფული, ლაპარაკი, საქმე, მუშაობა);
> ურიცხვი მტერი (ჯარი, საქონელი, თვალ-მარგალიტი);
> მრავალი ქალაქი (მდინარე, ტურისტი, სტუმარი, წელი, წერილი, შემთხვევა).

> **შენიშვნა:** ზეპირმეტყველებაში **ათასი** და **მილიონი** შესაძლოა გაურკვეველ რაოდენობასაც აღნიშნავდნენ. მაგ.: ათასი (მილიონი) საქმე მაქვს (ე. ი. ბევრი საქმე).

გ) თუ რაოდენობითი რიცხვითი სახელები განსაზღვრავენ ერთგვაროვან ატრიბუტულ ან მართულ მსაზღვრელებს[149]:

> ორი დიდი და სამი პატარა სახლი;
> ვაჟთა სამი და ქალთა ოთხი გუნდი.

დ) თუ საზღვრული ზომა-წონისა და ოდენობის გამომხატველი არსებითი სახელია. მაგ.:

> ოცი მტკაველი ქსოვილი, სამი ტონა ფქვილი, ერთი ჰექტარი მიწა, თითო ჭიქა ღვინო, ათი გოდორი ყურძენი.

აქ დგება ზოგიერთი სახელის დაწერილობის საკითხი. რომელია სწორი ფორმები:

- ორი მეტრი თუ ორი მეტრა (ან მეტრო)? განა როდისმე ვამბობთ: სანტიმეტრა ან სანტიმეტრო? **სწორია: ორი მეტრი,** მეტრა კი რუსულია.
- კუბმეტრი თუ კუბომეტრი (ან კუბამეტრი)? **სწორი ფორმაა: კუბმეტრი,** რომელიც აბრევიატურაა კუბური მეტრისა.

---

[149] ც ი რ ა კ ა ლ ა ძ ე, საზღვრული სახელის რიცხვი ორ ან მეტ მსაზღვრელთან (დიდი და პატარა სახლი თუ დიდი და პატარა სახლები?), ქსკს, წიგნი II, 1979, გვ. 139.

- ერთი ლიტრი თუ ერთი ლიტრა ბენზინი?
  სწორია: ერთი ლიტრი, როცა ვგულისხმობთ სითხის საზომ ერთეულს (= 1000 მგ), ლიტრა კი არის:
  1. თიხის პატარა ვიწროყელიანი ჭურჭელი.
  2. ძველებური წონის ერთეული (= 1–4 კგ).

16. თუ მსაზღვრელი რიცხვითი სახელი ნართანიან მრავლობითშია, საზღვრულიც მრავლობითშია, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს წარმოება ფორმალურია და მხოლოდ პოეტურ მეტყველებაში გამოიყენება. მაგ.:

> თუშნო, ნუ ჩახვალთ ხოშარას, ხოშარა ეკლიანია,
> შიგ **სამნი მგელნი** ბუდობენ, სამივე ლეკვიანია (ხალხური).

17. მსაზღვრელად გამოყენებული რაოდენობითი რიცხვითი სახელი **-ებ**-იან მრავლობითში არ იხმარება, თუმცა პოეზიაში ასეთი ფორმებიც გვხვდება, ისიც მხოლოდ შებრუნებული წყობისას. მაგ.:

> ავთანდილ უთხრა ტარიელს ესე სიტყვები ორები.
> (შოთა რუსთაველი).

18. სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან მხოლოობით რიცხვში შეწყობილი სუბიექტი ზმნისგანაც იმავე რიცხვის ფორმას მოითხოვს.

> **ორი** თავგატეხილი **კოდალა** ერთმანეთს **შესჩიოდაო.**
> წელს ბათუმს **უამრავი ტურისტი** ეწვია.

შემასმენელი მხოლოობით რიცხვში დაისმის, თუ ერთგვარ ქვემდებარეებს რაოდენობის აღმნიშვნელი ერთი მსაზღვრელი ახლავს:

> წელს ბათუმს **უამრავი** ტურისტი და დამსვენებელი ეწვია (**უამრავი** განსაზღვრავს ტურისტსაც და დამსვენებელსაც).

მაგრამ: საღამოს ორი თანამშრომელი და სამი მეგობარი მესტუმრნენ.

იგივე ეხება სუბიექტის ან ობიექტის რიცხვის მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნებსაც.

სწორია: დასახმარებლად **უამრავი** მაშველი და მოხალისე მოეარდა;

ან: დასახმარებლად ორი მაშველი მოვარდა;

მაგრამ: სამი მაშველი და ოთხი მოხალისე მოცვივდნენ.

19. რაოდენობით რიცხვით სახელს დაერთვის სახელთან შერწყმული ნაწილაკები: **-ვე, -ოდე, -ც** და **-ღა.** შეცდომების დიდი წილი მოდის **-ვე**-ნაწილაკიან სიტყვებზე. რიცხვით სახელთან **-ვე აღნიშნავს გამოუკლებლობას** (ათივე მოვიდა). ბრუნებისას ის გვიჩვენებს ორ ნაირსახეობას:

ა) მიხორცებულია ფუძეს, ე. ი. წინ უძღვის ბრუნვის ნიშანს (ათი-ვე-მ); იხ. გვ. 214.

ბ) მოსდევს ბრუნვის ნიშანს (ათ-მა-ვე).

სალიტერატურო ქართულში გაბატონებულია პირველი ნაირსახეობა (სახელის ფუძე + ნაწილაკი + ბრუნვის ნიშანი), ოღონდ ფუძედ სახელობითი ბრუნვის ფორმაა აღებული, შეუხორცებელი წარმოება (სახელის ფუძე + ბრუნვის ნიშანი + ნაწილაკი) კი დასაშვებადაა მიჩნეული (ნორმები, გვ. 89-91).

20. -ოდე ნაწილაკი მეტყველების ნაწილებიდან მხოლოდ რაოდენობით რიცხვით სახელს დაერთვის. ისიც სახელობითი ბრუნვის ფორმასაა მიხორცებული: ათი – ათი-ოდე, ათი-ოდე-მ. **-ოდე**-ნაწილაკიანი და **-მდე/-მდის**-თანდებულიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელები მიახლოებითს რაოდენობას გამოხატავენ. მაგ.:

> დავალება ექვსიოდე (ექვსიოდ) მოსწავლეს (ე. ი. დაახლოებით ექვსს) ჰქონდა შესრულებული. ჯგუფში ათამდე სტუდენტი იყო (ე. ი. ათზე ცოტა ნაკლები).
>
> **შენიშვნა: -მდე** ზოგჯერ რიცხვითი სახელის საზღვრულს დაერთვის. მაგ.: „ხუთი ათას კაცამდე ნაცნობი და უცნობი მოდის იმის პანაშვიდზე“ (ილია).

მიახლოებითი რაოდენობა, შესაძლოა, ცალკე მდგომი ნაწილაკითაც გამოიხატოს.

სწორია: სპექტაკლში **თითქმის** ოცდაათი მსახიობი მონაწილეობდა.

მცდარია: სპექტაკლში სადღაც ოცდაათი მსახიობი მონაწილეობდა.

ნაწილაკიან რაოდენობით რიცხვით სახელთა ბრუნება

სახ.	ორი-ვე	ორი-ოდე	ორ-ი-ც	ორ-ი-ღა
მოთხრ.	ორი-ვე-მ	ორი-ოდე-მ	ორ-მა-ც	ორ-მა-ღა
მიც.	ორი-ვე-ს	ორი-ოდე-ს	ორ-ს-ა-ც	ორ-ს-ღა
		თანდებულებიანი ფორმები		
	ორი-ვე-სა-ვით	ორი-ოდე-სა-ვით	ორ-ს-ა-ვით-ა-ც	ორ-ს-ა-ვით-ღა
	ორი-ვე-ს-თან	ორი-ოდე-ს-თან	ორ-თან-ა-ც	ორ-თან-ღა
	ორი-ვე-ზე/ში	ორი-ოდე-ზე/ში	ორ-ზე-ც/ში-ც	ორ-ზე-ღა /ში-ღა
ნათ.	ორი-ვე-ს	ორი-ოდე-ს	ორ-ის-ა-ც	ორ-ის-ღა
		თანდებულებიანი ფორმები		
	ორი-ვე-ს(ა)-თვის/გან	ორი-ოდე-ს(ა)-თვის/გან	ორ-ის-(ა)-თვის-ა-ც/ გან-ა-ც	ორ-ის-თვის-ღა/ გან-ღა
მოქმ.	ორი-ვე-თ(ი)	ორი-ოდე-თ(ი)	ორ-ით-ა-ც	ორ-ით-ღა
		თანდებულიანი ფორმები		
	ორი-ვე-დან	ორი-ოდე-დან	ორ-იდან-ა-ც	ორ-იდან-ღა
ვით.	ორი-ვე-დ	ორი-ოდე-დ	ორ-ად-ა-ც	ორ-ად-ღა
		თანდებულიანი ფორმები		
	ორი-ვე-მდე	ორი-ოდე-მდე	ორ-ამდე-ც	ორ-ამდე-ღა

დასაშვებია:

ა) მხ. რიცხვში: ორმავე, ორსავე, ორსავითვე, ორთანვე, ორზევე/შივე, ორითვე, ორიდანვე, ორადვე, ორამდევე.

პოეტურ ენაში ძველი, შეუხორცებელი სახეობის წოდებითი ბრუნვის ფორმაც გვხვდება: „ბროლო და ლალო-**ოროვე** კვლა ერთგან შენათხზენაო!“ (შოთა რუსთაველი).

ბ) მრავლობით რიცხვში: სახელობითში – ორივენი // ორნივე, მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში – ორთავე (თუმცა ეს უკანასკნელი ფორმა პრაქტიკულად აღარ იხმარება).

სახელობითის ფორმა ორთავენი, როგორც წარმოების მიხედვით არასწორი, უარსაყოფია (ნორმები, გვ. 88).

-ვე და **-ოდე**-ნაწილაკდართული სახელი საზღვრულთან ერთად იბრუნვის როგორც ხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი, ანუ არ დაირთავს ბრუნვის ნიშნებს.

სწორია: ორივე მშობელი, ორივე მშობელმა, ორივე მშობელს და ა.შ. [და არა: ორთავე მშობელი, ორთავე მშობელმა, ორთავე მშობელს და ა.შ.]; ორიოდე (ორიოდ) ხე, ორიოდე ხემ, ორიოდე ხეს და ა.შ.

§ 34. რიგობითი რიცხვითი სახელის მართლწერა

21. რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება გარკვეული რაოდენობის აღმნიშვნელ სახელზე **მე-ე** აფიქსის დართვით, ამასთან, თანხმოვანფუძიანებს მაწარმოებლები დაერთვის ფუძეზე (**ოთხ-ი ⇒ მე-ოთხ-ე**), ხმოვანფუძიანებს კი – ხმოვანმოკვეცილ ფორმებზე (**რვა ⇒ მე-რვ-ე**). თანხმოვანფუძიანთაგან **გამონაკლისია ერთი**, რომლის რიგობითის ფორმა (**მე-ერთ-ე**) მხოლოდ რთულ ფუძეებში გვხვდება, ცალკე კი გამოიყენება **პირველი**.

სწორია: ოცდაერთი – ოცდამეერთე [და არა ოცდაპირველი], ას ერთი – ასმეერთე [და არა ასპირველი].

შენიშვნა: პირველი მსაზღვრელად არ გამოდგება ისეთ სახელთან, რომლის ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა თავად შეიცავს რიგით პირველის გაგებას. ასეთი სიტყვებია: პირმშო, დებიუტი, ნათლია, მეკვლე, პრემიერა, პრეცედენტი[150].

ასევე არასწორია სიტყვათშეხამება **ორი პირმშო**, ტყუპიც რომ იყოს, რადგან მათგანაც მხოლოდ ერთია პირველი.

23. რიცხვითი სახელები ერთიდან ოცის ჩათვლით **მე-** მაწარმოებელს თავში დაირთავენ (მე-ორ-ე, მე-თხუთმეტ-ე, მე-ოც-ე), ოცის

---

[150] ქსკს, წიგნი VII, გვ. 276.

შემდეგ კი ზოგი თავში დაირთავს, ზოგი – შუაში. კერძოდ: **მე-** თავში დაერთვის ლუწ ოცეულებს (ორმოცი – მეორმოცე, სამოცი – მესამოცე, ოთხმოცი – მეოთხმოცე), ყველა ასეულს (ასი – მეასე, ორასი – მეორასე, ხუთასი – მეხუთასე), ყველა ათასეულს (ათასი – მეათასე, ორი ათასი – მეორიათასე, ასი ათასი – მეასიათასე).

24. **და** კავშირის შემცველ რთულ რიცხვით სახელებს რიგობითის მაწარმოებელი დაერთვის და-ს შემდეგ: ოც**და**ორი – ოც**და**მეორე [და არა მეოცდაორე], ორმოც**და**ერთი – ორმოცდა**მე**ერთე [და არა მეორმოცდაერთე], სამოც**და**ცამეტი – სამოცდა**მე**ცამეტე [და არა მესამოცდაცამეტე].

25. მაგრამ, თუ შედგენილი რაოდენობითი რიცხვითი სახელის ბოლო კომპონენტია **ათასი, მილიონი, მილიარდი** და **მისთ.** და მათი რიცხვითი მსაზღვრელი შედგება მაქსიმუმ ორი წევრისაგან, **მე-** თავსართი თავში მოუდის შედგენილ რიცხვით სახელს, **ე** კი – ბოლოში[151]. ამასთან,

ა) ათასის წინამავალი რიცხვითი მსაზღვრელი წარმოდგენილი უნდა იქნეს სახელობითი ბრუნვის ფორმით, **მილიონის, მილიარდის და მისთ.** (უცხო წარმოშობის სიტყვების) წინამავალი მსაზღვრელი კი – ფუძის სახით[152]:

ოთხი ათასი ⇒ მეოთხიათასე, ორას ათი ათასი ⇒ მეორასათიათასე;

მაგრამ: შვიდი მილიონი ⇒ მეშვიდმილიონე, ოცი მილიარდი ⇒ მეოცმილიარდე;

ბ) თუ მსაზღვრელად **და-**თი შეერთებული რიცხვითი სახელია, ასეთ შემთხვევაშიც **მე-** თავში მოუდის რაოდენობით სახელს:

ოცდასამი ათასი ⇒ მეოცდასამიათასე, სამოცდაორი მილიონი ⇒ მესამოცდაორმილიონე.

26. აზრთა სხვადასხვაობაა იმაზე, ერთ სიტყვად დაიწეროს თუ არა ისეთი რთული (შედგენილი) რიცხვითი სახელისაგან ნაწარმოები რიგობითი, რომლის ბოლო ნაწილს წინ უძღვის უფრო მაღალი კლასის რიცხვის აღმნიშვნელი სიტყვები. მაგ., ას ათი

---

[151] ქ ე თ ე ვ ა ნ დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი, რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოებისათვის ქართულში, ქსკს, წიგნი XI, გვ. 93.

[152] იქვე, გვ. 99.

(ათზე მაღალი კლასისაა ასი), ათას ორასი (ორასზე მაღალი კლასისაა ათასი).

რომელია მართებული დაწერილობა: ასმეხუთე თუ ას მეხუთე? შვიდასორმოცდამეათე თუ შვიდას ორმოცდამეათე? ათასორასმესამოცე თუ ათას ორას მესამოცე?

ნორმების მიხედვით რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები ერთად, ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს (ნორმები, გვ.73). ასეთია წარმომქმნელი აფიქსებით სიტყვათწარმოების ზოგადი წესი. მაგრამ შეუძლებელია სამ-, ოთხ- და მეტკომპონენტიანი რიგობითი სახელის წაკითხვა (მაგ., ორასიათასხუთასსამოცდამეჩვიდმეტე), **ამიტომ, ჩვენი აზრით, მისაღებია ენათმეცნიერთა რეკომენდაცია – გამარტივდეს რიგობითი რიცხვითი სახელების დაწერილობა და ერთ სიტყვად დაიწეროს მხოლოდ ერთ- და ორწევრიანი (რომელთაგან ერთი აღნიშნავს ასეულებს, მეორე კი – ოცეულებს, ათეულებსა და ერთეულებს[153]) რიგობითი რიცხვითი სახელები, სამ- და მეტწევრიანი კი დაიწეროს ცალცალკე**, როგორც ეს შესაბამის რაოდენობით რიცხვით სახელებშია მიღებული, ამასთან, ერთ სიტყვად გაფორმდეს **მე-ე** თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები წევრი[154]:

> ას ხუთი – ასმეხუთე, ორას ათი – ორასმეათე, შვიდას სამოცდათექვსმეტი – შვიდასსამოცდამეთექვსმეტე;

მაგრამ: ათას ოთხას ოცდაჩვიდმეტი – ათას ოთხას ოცდამეჩვიდმეტე, სამასი ათას ხუთას სამოცდაათი – სამასი ათას ხუთას სამოცდამეათე, ექვსი მილიონ შვიდი ათას ოცდათვრამეტი – ექვსი მილიონ შვიდი ათას ოცდამეთვრამეტე, ორას ათი მილიარდ შვიდი მილიონი – ორას ათი მილიარდ მეშვიდმილიონე[155].

ამავე აზრისა იყო ბევრი ენათმეცნიერი: აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, ლეო კვაჭაძე, გიორგი შალამბერიძე. ასეთივე დაწერილობა დასტურდება დიდ ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც:

> ათას მეერთე, ათას მეორე, ათას ოცდამეთხუთმეტე.

---

153 ქსკს, წიგნი XI, გვ. 92.

154 ქსკს, წიგნი XI, გვ. 92-93 და ქსკს, წიგნი XVI, თბ. გვ. 14.

155 ქსკს, წიგნი XI, გვ. 93.

27. რიგობითი რიცხვითი სახელები, გარდა პირველისა, ფუძეკვეცადია. მათ ეწარმოებათ ორივე მრავლობითის ფორმები. მაგ.:

ეს ქალბატონები რიგში **პირველები (პირველნი)** არიან.

საზღვრული შეიძლება იყოს როგორც მხოლოობით, ისე მრავლობით რიცხვში:

დარბაზის მარცხენა მხარეს **პირველი რიგი** სტუმრებმა შეავსეს. დარბაზში **პირველი რიგები** სტუმრებმა შეავსეს.

28. რომელ რიცხვშია საზღვრული, თუ მის მსაზღვრელად რამდენიმე ერთგვაროვანი რიგობითი რიცხვითი სახელია? მეორე და მესამე ტომი თუ ტომები? მეცხრე და მეათე საუკუნე თუ საუკუნეები?

ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს მტკიცედ დადგენილი წესი. და კავშირით გაერთიანებულ ერთგვაროვან რიგობით მსაზღვრელებთან საზღვრული გვხვდება როგორც მხოლოობით, ისე მრავლობით რიცხვში. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი თვალსაზრისით, თუ რამდენიმე ერთგვაროვანი მსაზღვრელი აშკარას ხდის ორი (ან მეტი) საგნის არსებობას, საზღვრულის მრავლობითში დასმა საჭირო არ არის[156]. მართლაც, ქართულისათვის უფრო ბუნებრივია მხოლოობითის ფორმები (პირველი და მესამე თარო, პირველი და მეორე სერია, მეორე და მესამე პირი, მესამე და მეოთხე ტიპის უღლება), თუმცა ასეთი ფორმები სულ უფრო იშვიათად გვხვდება. ტენდენცია მიმართულია იქითკენ, რომ მსგავს შესიტყვებებში საზღვრული დაისვას მრავლობით რიცხვში (რასაც ხელს უწყობს გარეენობრივი გავლენა). მაგ.:

გარემონტდა მეთორმეტე და მეცამეტე **კორპუსები.**
სპორტული მოედნები მოეწყო მეოთხე და მეხუთე **მიკრორაიონებში.**

საზღვრული თითქმის ყოველთვის მხოლოობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, თუ ერთგვაროვანი რიგობითი რიცხვითი სახელების შესაერთებლად გამოყენებულია კავშირები: როგორც... ისე, არც... არც, ან, ან... ან, ხან... ხან. შეადარეთ:

---

[156] ც ი რ ა კ ა ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, ქსკს, წიგნი II, გვ. 127.

მეცხრე **და** მეათე **საუკუნეები** საქართველოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ძვრებით აღინიშნა.

ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, დასავლეთ საქართველოს ეკლესიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა მეცხრე **ან** მეათე **საუკუნეში**.

დანართი № 34

რიგობითი რიცხვითი სახელის ბრუნება

სახ.	პირველ-ი	მეორე	ოცდამეათე
	თანდებულიანი ფორმები		
	პირველ-ი-ვით	–	–
მოთხრ.	პირველ-მა	მეორე-მ	ოცდამეათე-მ
მიც.	პირველ-ს	მეორე-ს	ოცდამეათე-ს
	თანდებულებიანი ფორმები		
	პირველ-სა-ვით	მეორე-სა-ვით	ოცდამეათე-სა-ვით
	პირველ-თან	მეორე-ს-თან	ოცდამეათე-ს-თან
	პირველ-ზე/ში	მეორე-ზე/ში	ოცდამეათე -ზე/ში
ნათ.	პირველ-ის	მეორ■-ის	ოცდამეათ■-ის
	თანდებულებიანი ფორმები		
	პირველ-ის(ა)-თვის/გან	მეორ■-ის(ა)-თვის/გან	ოცდამეათ■-ის(ა)-თვის/გან
მოქმ.	პირველ-ით	მეორ■-ით	ოცდამეათ■-ით
	თანდებულიანი ფორმები		
	პირველ-იდან	მეორ■-იდან	ოცდამეათ■-იდან
ვით.	პირველ-ად	მეორე-დ	ოცდამეათე-დ
	თანდებულიანი ფორმები		
	პირველ-ამდე	მეორე-მდე	ოცდამეათე-მდე
წოდ.	[პირველ-ო]	[მეორე-ე]	[ოცდამეათე-ე]

§ 35. წილობითი რიცხვითი სახელი

29. წილობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რიგობითის ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან, ამიტომ მასზედაც ვრცელდება რიგობითის მართლწერის ზოგი წესი. მაგ.:

სწორია: ოცდამეოთხედი [და არა მეოცდაოთხედი], ასმეხუთედი [და არა ას მეხუთედი ან მეასხუთედი];

მაგრამ: ათას ორას სამოცდაათი ⇒ ათას ორას სამოცდამეათე ⇒ ათას ორას სამოცდამეათედი; ასი ათას ხუთას ორმოცდაორი ⇒ ასი ათას ხუთას ორმოცდამეორე ⇒ ასი ათას ხუთას ორმოცდამეორედი.

რამდენიმე რიცხვით სახელში შემორჩენილია წილობითის ძველი მაწარმობელი **ნა-ალ**: ნასამალი, ნაოთხალი, ნაათალი, ნაასალი.

30. წილობითის ფორმა **მეორედი** ცალკე არ გამოიყენება. ის გვხვდება მხოლოდ წილადებსა და რთულ რიცხვით სახელებში (ერთი მეორედი, ოცდამეორედი, ასმეორედი), მის ნაცვლად კი ცალკე იხმარება ნახევარი. მაგ.:

> სტადიონის ნახევარი უცხოეთიდან ჩამოსულმა გულშემატკივრებმა შეავსეს. მილიონის ნახევარი უდრის ხუთასი ათასს.

სასაუბრო მეტყველებაში ხშირია ასეთი გამოთქმა: „ნახევარი ქალაქი იქ იყო“, თუმცა ამ სიტყვებში მთქმელი გაურკვეველ სიმრავლეს (ბევრს) გულისხმობს, და არა კონკრეტულ რაოდენობას.

როდესაც ნახევარი სხვა რიცხვითი სახელის შემადგენლობაში შედის, მისგან დეფისით გამოიყოფა (დეფისი ცვლის **და** კავშირს):

> ორ-ნახევარი, რვა-ნახევარი, ას-ნახევარი.

შეიძლება მათ შორის ჩაერთოს აღრიცხვადი არსებითი სახელები (თვე, წელიწადი, ლარი).

31. რომელია სწორი დაწერილობა: ორთვე-ნახევარი თუ ორ თვე-ნახევარი?

დაიმახსოვრეთ:

სწორია ორთვე-ნახევარი[157].

მართლწერასთან დაკავშირებული სირთულეები არ გვხვდება კომპოზიტებში:

მეტრ-ნახევარი (= ერთი მეტრი და მეტრის ნახევარი), კილო-ნახევარი, ჭიქა-ნახევარი, ღღე-ნახევარი.

შენიშვნა: უდეფისოდ იწერება წლინახევრის (= წელიწად-ნახევრის).

წილობითი რიცხვითი სახელი, რაოდენობითი სახელისაგან განსხვავებით, შეიძლება უშუალოდ დაერთოს კრებითსა და ნივთიერებათა სახელებს. მაგ.:

მოსახლეობის ორი მესამედი ქალაქებში ცხოვრობს.
მუშებმა ხრეშის მესამედი გზის გადაღმა დაყარეს.

32. წილობითი რიცხვითი სახელი უმთავრესად გამოიყენება მათემატიკაში, რომელშიც ის, როგორც მთელის რაღაც ნაწილი, ამ ნაწილთა რაოდენობასთან ერთად წილადისა და ათწილადის სახით გამოიხატება. მაგ.: სამი მეოთხედი ($\frac{3}{4}$), ორი მთელი ოთხი მეათედი (2,4). ამ შემთხვევაში წილობითის მნიშვნელობა რაოდენობითი რიცხვითი სახელის მნიშვნელობას უახლოვდება. კითხვაც შესაბამისი დაესმის (რამდენი?).

წილადი და ათწილადი იბრუნვის როგორც სათანადო ფუძის ზედსართავი არსებითთან ერთად:

ორი მესამედი, ორმა მესამედმა, ორ მესამედს და ა.შ.
ნული მთელი ხუთი მეათედი, ნულმა მთელმა ხუთმა მეათედმა, ნულ მთელ ხუთ მეათედს და ა.შ.

წილობით სახელთან არსებითი სახელი ხშირად არის სუბსტანტიური (**-ის**-ელემენტიანი) მსაზღვრელის როლში. მაგ.:

---

[157] მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის (რედაქტორი თამარ ვაშაკიძე), თბ., 2016, გვ. 314.

სახ.	საუკუნის	ნახევარ-ი
	თანდებულიანი ფორმა	
	საუკუნის	ნახევარ-ივით
მოთხრ.	საუკუნის	ნახევარ-მა
მიც.	საუკუნის	ნახევარ-ს
	თანდებულებიანი ფორმები	
	საუკუნის	ნახევარ-საკით
	საუკუნის	ნახევარ-თან
	საუკუნის	ნახევარ-ზე/ში
ნათ.	საუკუნის	ნახევ■რ-ის
	თანდებულებიანი ფორმები	
	საუკუნის	ნახევ■რ-ის(ა)თვის/გან
მოქმ.	საუკუნის	ნახევ■რ-ით
	თანდებულიანი ფორმა	
	საუკუნის	ნახევ■რ-იდან
ვით.	საუკუნის	ნახევ■რ-ად
	თანდებულიანი ფორმა	
	საუკუნის	ნახევ■რ-ამდე

33. ნული მათემატიკური ნიშანია, რომელიც ცალკე აღნიშნავს სიდიდის არარსებობას, თუმცა, თუ რაიმე რიცხვს მარჯვნივ მიუწერენ, მის მნიშვნელობას ათჯერ გაზრდის. ნული არის აგრეთვე ათვლის დასაწყისი სკალაზე, საზღვარი დადებითსა და უარყოფით რიცხვებს შორის და სხვ.

რომელია ამ სიტყვის სწორი დაწერილობა – ნული თუ ნოლი? ძირითადი ორთოგრაფიული ლექსიკონების მიხედვით სწორია ნული, რომელიც გამოიყენება მეცნიერებისა და ტექნიკის ენაში (თუმცა ზეპირმეტყველებაში ფეხმოკიდებულია ნოლი). მაგ.:

> ნებისმიერი რიცხვი ნულ ხარისხში უდრის ერთს.
> ბუნებაში შესაძლო ტემპერატურიდან ყველაზე დაბალ ტემპერატურად მიჩნეულია აბსოლუტური ნული (= -273,15^0 C).

ნოლი იწერება რაიმე სიდიდეების შედარების დროს. მაგ.:

> ქართველმა რაგბისტებმა გაიმარჯვეს ანგარიშით ორ-მოცდაერთით ნოლი.

§ 36. რიცხვითი სახელის გამოხატვა ციფრებით

34. რიცხვები გრაფიკულად ორნაირად გამოიხატება: სიტყვიერად და ციფრებით. „სიტყვიერად უმთავრესად გამოხატავენ მხატვრულ ლიტერატურაში, მხატვრულ პუბლიცისტიკასა და მნიშვნელოვან საფინანსო ან სხვა სახის დოკუმენტებში, ციფრებით კი – სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურასა და არამხატვრულ პუბლიცისტიკაში, ასევე უბრალო მნიშვნელობის დოკუმენტებში, სადაც რიცხვის გადასწორება მოსალოდნელი არ არის. რაოდენობის ხაზგასმით აღსანიშნავად შეიძლება ერთი და იგივე რიცხვი ციფრითაც იწერებოდეს და სიტყვიერადაც“[158].

ციფრი ორნაირია: არაბულად წოდებული, წარმოშობით ინდური (0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9), და რომაული (M, D, C, L, X, V, I). რაოდენობითი და წილობითი რიცხვითი სახელები არაბული ციფრებით აღინიშნება, რიგობითი კი – ორივეთი. ისინი მთელ მსოფლიოში გამოიყენება, ანუ ინტერნაციონალურია.

35. ჩვეულებრივ (არამათემატიკურ) ტექსტში ერთნიშნა რიცხვები სიტყვიერად უნდა დაიწეროს (ეს არ ეხება დროის აღმნიშვნელ ან ნუმერაციისათვის გამოყენებულ რიცხვებს). რიცხვითი სახელი სიტყვიერად უნდა დაიწეროს სათაურებსა და ქვესათაურებში, აგრეთვე წინადადების თავში, თუმცა, უმჯობესია, წინადადება სხვა სიტყვით იწყებოდეს.

დაიმახსოვრეთ:

36. მრავალნიშნა რიცხვების ციფრებით გამოხატვისას ათასეულების ასეულებისაგან, აგრეთვე სხვა სამციფრიანი ჯგუფების ერთმანეთისაგან გამოსაყოფად სვამენ წერტილს [და არა მძიმეს] ან შესაბამის ციფრებს ცოტათი აშორებენ ერთმანეთს. მაგ.:

53.200 ან 53 200; 150.623.704 ან 150 623 704.

ოთხნიშნა რიცხვი შეიძლება ჩვეულებრივ დაიწეროს (მაგ., 2105), მაგრამ, თუ ხუთ- ან მეტნიშნა რიცხვებთან ერთად მოხვდება გრაფაში, მაშინ ისიც ჯგუფებად უნდა დაიყოს. მაგ.: 2.105 ან 2 105.

---

[158] ნ ი კ ა ნ დ რ ო ბ ა ს ი ლ ა ი ა, ქართული მართლწერის საკითხები (ნაკვთი I), სოხუმი, 1960, გვ. 189.

37. ქართულში კალენდარული თარიღი (რიცხვი, თვე და წელი) აღინიშნება არაბული ციფრებით გამოსახული რაოდენობითი რიცხვითი სახელით.

სწორია: 25.09.2014, 11.11.2008, 3.04.1986, 8.06.1985;

და არა: 25/IX-2014, 11/XI-2008, 3/IV-1986, 8/VI-1985;

38. არაბული ციფრები გამოიყენება საგნების (სახლების, ბილეთების, სასტუმროს ნომრების, საკონცერტო და სხვა სახის დარბაზებში ან სტადიონის ტრიბუნებზე დასასხდომი ადგილების) დასანომრავადაც. რიცხვებს ხშირად წინ უძღვის ნიშანი №, რომელიც ნაბეჭდ ტექსტში ციფრს ერთი დანაყოფით უნდა დავაშოროთ. მაგ.:

> ილია ჭავჭავაძის გამზირი № 5 (ან ილია ჭავჭავაძის გამზირი, 5;), მერაბ კოსტავას ქ. № 4 და 6.

ციფრს ერთი დანაყოფით უნდა დავაშოროთ აგრეთვე პროცენტისა და პარაგრაფის აღმნიშვნელი ტექნიკური ნიშნები. მაგ.:

> 20-21 % [და არა 20 % - 21 %], 20-25 %, § 30, §§ 30-34.

ციფრებით დაწერილი რაოდენობითი რიცხვითი სახელებისგან დეფისით გამოიყოფა ბრუნვის ნიშნები (გარდა სახელობითისა) და თანდებულები.

> **შენიშვნა:** მჟღერი თანხმოვნებით დაწყებული თანდებულები ფონეტიკურად იცვლება მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნებთან (ით-გან ⇒ ით-გან ⇒ იდან ან თ-გან ⇒ დან), ამიტომ ციფრს დეფისით უნდა გამოეყოს მთლიანად -იდან ან -დან ფორმანტი, მიღებული შეცვლილი ბრუნვის ნიშნისა და თანდებულის შერწყმით[159].
>
> ვითარებითი ბრუნვის ნიშნისა და თანდებულის შერწყმით მიღებულია: ად-მდე ⇒ ამდე (თანხმოვანფუძიან სახელებში) ან დ-მდე ⇒ მდე (ხმოვანფუძიანებში).

---

[159] თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, თანდებულიან და ნაწილაკდართულ რიცხვით სახელთა მართლწერისათვის, ქსკს, წიგნი XIV, გვ. 27-28.

დანართი № 35

ციფრებით გამოსახული თანხმოვანფუძიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელების ბრუნება

სახ.	4	4-4	4-5	4 %
		თანდებულიანი ფორმები		
	4-ვით	4-4-ვით	4-5-ვით	4 %-ვით
მოთხრ.	4-მა	4-4-მა	4-მა-5-მა	4-მა %-მა
მიც.	4-ს	4-4-ს	4-5-ს	4 %-ს
		თანდებულებიანი ფორმები		
	4-სავით	4-4-სავით	4-5-სავით	4 %-სავით
	4-თან	4-4-თან	4-5-თან	4 %-თან
	4-ზე/ში	4-4-ზე/ში	4-5-ზე/ში	4 %-ზე/ში
ნათ.	4-ის	4-4-ის	4-5-ის	4 %-ის
		თანდებულებიანი ფორმები		
	4-ის(ა)-თვის/გან	4-4-ის(ა)-თვის/გან	4-5-ის(ა)-თვის/გან	4 %-ის(ა)-თვის/გან
მოქმ.	4-ით	4-4-ით	4-5-ით	4 %-ით
		თანდებულიანი ფორმები		
	4-იდან	4-4-იდან	4-5-იდან	4 %-იდან
ვით.	4-ად	4-4-ად	4-5-ად	4 %-ად
		თანდებულიანი ფორმები		
	4-ამდე	4-4-ამდე	4-5-ამდე	4 %-ამდე

დანართი № 36

ციფრებით გამოსახული ხმოვანფუძიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელების ბრუნება

სახ.	8	8-8	8 %
		თანდებულიანი ფორმები	
	—	—	—
მოთხრ.	8-მ	8-8-მ	8 %-მა

მიც.	8-ს	8-8-ს	8 %-ს
		თანდებულებიანი ფორმები	
	8-საით	8-8-საით	8 %-საით
	8-სთან	8-8-სთან	8 %-თან
	8-ზე/ში	8-8-ზე/ში	8 %-ზე/ში
ნათ.	8-ის	8-8-ის	8 %-ის
		თანდებულებიანი ფორმები	
	8-ისა-თვის/გან	8-8-ის(ა)-თვის/გან	8 %-ის(ა)-თვის/გან
მოქმ.	8-ით	8-8-ით	8 %-ით
		თანდებულიანი ფორმები	
	8-იდან	8-8-იდან	8 %-იდან
ვით.	8-დ	8-8-დ	8 %-ად
		თანდებულიანი ფორმები	
	8-მდე	8-8-მდე	8 %-ამდე

შენიშვნა: ხმოვანფუძიან სახელებს სახელობითი ბრუნვის **ვით**-თანდებულიანი ფორმა არა აქვთ, თანხმოვანფუძიანებთან კი დასაშვებადაა მიჩნეული (ნორმები, გვ. 104).

39. როგორც აღვნიშნეთ, **-ვე** და **-ოდე** ნაწილაკები დაერთვის რაოდენობითი რიცხვითი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმას, ამიტომ ციფრით გამოხატვისას სახელობითი ბრუნვის ნიშანი დეფისით არ გამოიყოფა. **-ც** და **-ღა** ნაწილაკები შეხორცებულია ბრუნვის ნიშნებთან და ციფრისაგან მათთან ერთად გამოიყოფა[160].

[160] თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, თანდებულიან და ნაწილაკდართულ რიცხვით სახელთა მართლწერისათვის, ქსკს, წიგნი XIV, გვ. 28-29.

დანართი № 37

ნაწილაკიანი რიცხვითი სახელების ბრუნება

სახ.	ნ-ვე	ნ-ოდე	ნ-იც	ნ-იღა
მოთხრ.	ნ-ვემ	ნ-ოდემ	ნ-მაც	ნ-მაღა
მიც.	ნ-ვეს	ნ-ოდეს	ნ-საც	ნ-სღა
		თანდებულებიანი ფორმები		
	ნ-ვესავით	ნ-ოდესავით	ნ-სავითაც	ნ-სავითღა
	ნ-ვესთან	ნ-ოდესთან	ნ-თანაც	ნ-თანღა
	ნ-ვეზე/ში	ნ-ოდეზე/ნ-ოდეში	ნ-ზედაც//ზეც ნ-შიც	ნ-ზეღა ნ-შიღა
ნათ.	ნ-ვეს	ნ-ოდეს	ნ-ისაც	ნ-ისღა
		თანდებულებიანი ფორმები		
	ნ-ვეს(ა)-თვის/გან	ნ-ოდეს(ა)-თვის/გან	ნ-ის(ა)-თვისაც/განაც	ნ-ის(ა)-თვისღა/განღა
მოქმ.	ნ-ვეთი	ნ-ოდეთი	ნ-ითაც	ნ-ითღა
		თანდებულიანი ფორმები		
	ნ-ვედან	ნ-ოდედან	ნ-იდანაც	ნ-იდანღა
ვით.	ნ-ვედ	ნ-ოდედ	ნ-ადაც	ნ-ადღა
		თანდებულიანი ფორმები		
	ნ-ვემდე	ნ-ოდემდე	ნ-ამდეც	ნ-ამდეღა

ნორმებით დასაშვებია: ნ-მავე, ნ-სავე, ნ-სავითვე, ნ-თანვე, ნ-ზედვე, ნ-შივე, ნ-ისვე, ნ-ისათვისვე, ნ-ისაგანვე, ნ-ითვე, ნ-იდანვე, ნ-ადვე, ნ-ამდევე (იხ. ნორმები, გვ. 91).

40. რიგობითი რიცხვითი სახელის არაბული ციფრებით გამოსახვისას დეფისით გამოიყოფა ან თავსართი (**მე**), ან ბოლოსართი (**ე**). ასე რომ, დაწერილობა არ ემთხვევა წარმოთქმას. ამასთან,

ა) თუ **მე** აფიქსი რიცხვით სახელს თავში დაერთვის, ჯერ ის იწერება, შემდეგ დეფისი და ბოლოს – რიცხვი. მაგ.:

10 – მე-10 (მეათე), 20 – მე-20 (მეოცე), 40 – მე-40 (მეორმოცე), 100 – მე-100 (მეასე), 500 – მე-500 (მეხუთასე), 1000 – მე-1000 (მეათასე), 10 000 – მე-10 000 (მეათიათასე) 23 000 – მე-23 000 (მეოცდასამიათასე), 210 000 – მე-210 000 (მეორასათიათასე), 1 000 000 – მე-1 000 000 (მემილიონე), 7 000 000 – მე-7 000 000 (მეშვიდმილიონე), 62 000 000 – მე-62 000 000 (მესამოცდაორმილიონე), 20 000 000 000 – მე-20 000 000 000 (მეოცმილიარდე).

ბ) თუ **მე** მოქცეულია რიცხვითი სახელის შიგნით, დეფისით გამოიყოფა **-ე** ბოლოსართი სხვა ელემენტებთან ერთად:

21 – 21-ე (ოცდამეერთე), 29 – 29-ე (ოცდამეცხრე), 30 – 30-ე (ოცდამეათე), 50 – 50-ე (ორმოცდამეათე), 99 – 99-ე (ოთხმოცდამეცხრამეტე), 101 – 101-ე (ასმეერთე), 105 – 105-ე (ასმეხუთე), 210 – 210-ე (ორასმეათე), 776 – 776-ე (შვიდასსამოცდამეთექვსმეტე), 1437 – 1437-ე (ათას ოთხას ოცდამეჩვიდმეტე), 300 570 – 300 570-ე (სამასი ათას ხუთას სამოცდამეათე).

შენიშვნა: იმის გამო, რომ რიგობითი სახელები კვეცადია, არაბული ციფრებით გამოსახვისას ერთმანეთს დაემთხვევა რაოდენობითი და ე-ბოლოსართიანი რიგობითი რიცხვითი სახელების ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმები (21-ის, 21-ით). ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად რიგობით რიცხვით სახელს წინ წავუმძღვაროთ სიტყვა „რიგით“. მაგ.: რიგით 21-ის (წავიკითხოთ: რიგით ოცდამეერთის), რიგით 21-ით, რიგით 21-ის(ა)თვის (და არა როგორც უკვეცელი: 21-ესთვის).

41. არაბული ციფრით თავისებურად იწერება **პირველი**. ის ერთადერთი რიცხვითი სახელია, რომელიც სხვა მეტყველების ნაწილისგანაა ნაწარმოები: პირ-ე-ელ-ი. ერთისაგან განასხვავებლად მისგან დეფისით გამოყოფენ **ლ**-ს (სხვა ელემენტებთან ერთად).

ზოგი ენათმეცნიერი მთლიანად **-ელ** მაწარმოებელს გამოყოფს, რაც ლოგიკას არ არის მოკლებული[161].

---

[161] თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, რიგობით რიცხვით სახელთა მართლწერის ზოგიერთი საკითხისათვის, ქსკს, წიგნი XVI, გვ. 16.

42. პირველის დაწერილობასთან დაკავშირებულია კიდევ ერთი საკითხი. როდესაც ვწერთ თვესა და რიცხვს, ვიყენებთ რაოდენობით რიცხვით სახელს (2 იანვარი, 28 აგვისტო), მაგრამ არ ითქმის 1 (ერთი) იანვარი, 1 (ერთი) სექტემბერი და მისთ. მართებულია 1-ლი ან 1-ელი (პირველი) იანვარი, 1-ლი ან 1-ელი სექტემბერი. ასე უნდა ეწეროს კალენდარშიც და აბრებზედაც[162].

დანართი № 38

ციფრებით გამოხატული რიგობითი რიცხვითი სახელის ბრუნება

სახ.	მე-4	25-ე	1-ლი ან	1-ელი
		თანდებულიანი ფორმები		
			1-ლივით	1-ელივით
მოთხრ.	მე-4-მ	25-ემ	1-ლმა	1-ელმა
მიც.	მე-4-ს	25-ეს	1-ლს	1-ელს
		თანდებულებიანი ფორმები		
	მე-4-საით	25-ესაით	1-ლსაით	1-ელსაით
	მე-4-სთან	25-ესთან	1-ლთან	1-ელთან
	მე-4-ზე/ში	25-ეზე/ეში	1-ლზე/ლში	1-ელზე/ელში
ნათ.	მე-4-ის	რიგით 25-ის	1-ლის	1-ელის
		თანდებულებიანი ფორმები		
	მე-4-ისა-თვის/გან	რიგით 25-ის(ა)-თვის/გან	1-ლის(ა)-თვის/გან	1-ელის(ა)-თვის/გან
მოქმ.	მე-4-ით	რიგით 25-ით	1-ლით	1-ელით
		თანდებულიანი ფორმები		
	მე-4-იდან	რიგით 25-იდან	1-ლიდან	1-ელიდან
ვით.	მე-4-დ	25-ედ	1-ლად	1-ელად
		თანდებულიანი ფორმები		
	მე-4-მდე	25-ემდე	1-ლამდე	1-ელამდე
წოდ.	[მე-4-ვ]	[25-ევ]	[1-ლო]	[1-ელო][163]

[162] იქვე, გვ. 15-16.

[163] თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, იქვე, გვ. 16.

12. რიგობითი რიცხვითი სახელის ციფრებით გამოსახვისას **-ც** ნაწილაკი ფუძისაგან დეფისით გამოიყოფა ბრუნვის ნიშანსა და თანდებულთან ერთად (**ღა-** და **-ვე**-ნაწილაკიანი ფორმები იშვიათად გვხვდება).

სახ.	მე-4-ც	25-ეც
მოთხრ.	მე-4-მაც	25-ემაც
მიც.	მე-4-საც	25-ესაც
	თანდებულებიანი ფორმები	
	მე-4-სავითაც	25-ესავითაც
	მე-4-სთანაც	25-ესთანაც
	მე-4-ზედაც//ზეც	25-ეზეც
	მე-4-შიც	25-ეშიც
ნათ.	მე-4-ისაც	რიგით 25-ისაც
	თანდებულებიანი ფორმები	
	მე-4-ისა-თვისაც/განაც	რიგით 25-ის(ა)-თვისაც/განაც
მოქმ.	მე-4-ითაც	რიგით 25-ითაც
	თანდებულიანი ფორმები	
	მე-4-იდანაც	რიგით 25-იდანაც
ვით.	მე-4-დაც	25-ედაც
	თანდებულიანი ფორმები	
	მე-4-მდეც	25-ემდეც

სახ.	1-ლივე ან 1-ელივე	1-ლიც ან 1-ელიც	1-ლიღა//1-ელიღა
	თანდებულიანი ფორმები		
	–	1-ლივითაც	1-ლივითღა
მოთხრ.	1-ლივემ	1-ლმაც	1-ლმაღა
მიც.	1-ლივეს	1-ლსაც	1-ლსღა
	თანდებულებიანი ფორმები		
	1-ლივესავით	1-ლსავითაც	1-ლსავითღა
	1-ლივესთან	1-ლთანაც	1-ლთანღა
	1-ლივეზე	1-ლზედაც//1-ლზეც	1-ლზეღა
	1-ლივეში	1-ლშიც	1-ლშიღა
ნათ.	1-ლივესი	1-ლისაც	1-ლისღა

თანდებულებიანი ფორმები

	ს-ლიევეს(ა)-თვის/გან	ს-ლის(ა)-თვისაც/განაც	ს-ლის(ა)-თვისღა/განღა
მოქმ.	ს-ლიევეთი	ს-ლითაც	ს-ლითღა

თანდებულიანი ფორმები

	ს-ლიევედან	ს-ლიდანაც	ს-ლიდანღა
ვით.	ს-ლიევედ	ს-ლადაც	ს-ლადღა

თანდებულიანი ფორმები

	ს-ლიევემდე	ს-ლამდეც .	ს-ლამდეღა[164]

12. ციფრებით გამოსახულ წილობით სახელებს ბრუნვის ნიშნები და სხვა ელემენტები ისეთივე პრინციპით გამოეყოფა დეფისით, როგორითაც თანხმოვანფუძიან რაოდენობით რიცხვით სახელებს. მაგ.:

$\frac{2}{5}$, $\frac{2}{5}$-მა, $\frac{2}{5}$-ს, $\frac{2}{5}$-საით, $\frac{2}{5}$-ის(ა)თვის, $\frac{2}{5}$-იდან, $\frac{2}{5}$-ამდე, $\frac{2}{5}$-ვე, $\frac{2}{5}$-იღა, $\frac{2}{5}$-იც, $\frac{2}{5}$-მაც და ა.შ.

ასევე: 2,3, 2,3-მა, 2,3-ს, 2,3-ის(აგან), 2,3-ამდე; 2,3-იღა, 2,3-იც, 2,3-მაც.

13. ბოლო ხანებში გახშირდა ათწილადი ნაწილის არასრულად წარმოთქმის შემთხვევები, რაც უხეში დარღვევაა. მაგ.:

4,3 უნდა წარმოითქვას: ოთხი მთელი სამი მეათედი [და არა ოთხი მთელი სამი];
3,01 უნდა წარმოითქვას: სამი მთელი ერთი მეასედი [და არა სამი მთელი ერთი].

---

[164] თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, იქვე, გვ. 16-17.

§ 37. რიცხვითი სახელის გამოსახვა რომაული ციფრებით

14. ჩვენს დროში რიგობით რიცხვით სახელებს ხშირად გამოსახავენ რომაული ციფრებით (ძველად რაოდენობა აღინიშნებოდა). ესენია: I (პირველი), V (მეხუთე), X (მეათე), L (ორმოცდამეათე), C (მეასე), D (მეხუთასე), M (მეათასე). სხვა რიცხვები გადმოიცემა ამ ნიშნების მიმატება-გამოკლების გზით.

რომაული შიფრით წერის პრინციპის მიხედვით:

1. ციფრების მნიშვნელობები ჯამდება, თუ ისინი მეორდება ან მცირე რიცხვი მოსდევს დიდ რიცხვს. მაგ.,

$$II = I+I = 1+1 = 2; \quad VI = V+I = 5+1 = 6$$

შენიშვნა: აქაც და ქვემოთაც არაბული ციფრებით აღნიშნულია რომაული რიცხვების თავდაპირველი (რაოდენობრივი) მნიშვნელობა.

2. დიდ რიცხვს აკლდება მის მარცხნივ მდგომი მცირე რიცხვი. მაგ.:

$$IV = V-I = 5-1 = 4$$

გამოკლება მხოლოდ ერთი რიცხვისა შეიძლება.

3. არსებობს გამოკლების ექვსი ვარიანტი: IV (5-1 = 4), IX (10-1 = 9), XL (50-10 = 40), XC (100-10 = 90), CD (500-100 = 400), CM (1000-100 = 900). მათი საშუალებით იწერება IV-ის შემდეგ ყოველი მეხუთე რიცხვი, ანუ ის რიცხვები, რომლებიც შეიცავს 4-იანს ან 9-იანს. მაგ.: 14, 19, 24, 29, 34, 39 და ა.შ.

4. საკლები მაკლებზე მხოლოდ ხუთჯერ ან ათჯერ ნაკლები უნდა იყოს. მაგრამ ჩვენს დროში ზოგი კომპიუტერული პროგრამა (მაგალითად Microsoft Excel) ითვალისწინებს რომაული ციფრების გამარტივებულად ჩაწერას, რისთვისაც საკლებად იღებს ნებისმიერ რიცხვს. მაგალითად, 499 იწერება ასე: CDXCIX (400+90+9), გამარტივებულად კი იქნება ID (500-1).

5. ციფრები იწერება მარცხნიდან მარჯვნივ კლების მიხედვით: ათასეულები, ასეულები, ათეულები, ერთეულები, მაგრამ

რიგი იცვლება, როცა ჩასაწერია გამოკლებით მიღებული რიცხვი (მაგალითად IX).

რომაული ნიშნების ადვილად დასამახსოვრებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ მნემონიკის (დახსომების ხელოვნების) ერთერთი ხერხი – წინადადების შედგენა დასამახსოვრებელი ასოებით დაწყებული სიტყვებით. მაგ.:

Mე (1000) **D**ღესაც (500) **C**აცხვის (100) **L**ამაზ (50) **X**ეს (10) **V**რგავ (5) **I**სევ (1).

§ 38. როგორ გამოსახავდნენ რიცხვებს რომაული ნიშნებით?

1 = I
2 = 1+1 = I+I = II
3 = 1+1+1 = I+I+I = III
4 = 5-1 = V–I = IV (საკლები მაკლებს მიეუწერეთ მარცხნივ).
5 = V
6 = 5+1 = V+I =VI
7 = 5+1+1 = V+I+I = VII
8 = 5+1+1+1 = V+I+I+I = VIII
9 = 10-1 = X–I = IX (საკლები მაკლებს მიეუწერეთ მარცხნივ).

10 = X

ამის შემდეგ ერთეულებს აღარ დავშლით.
11 = 10+1 = X+I =XI
12 = 10+2 = X+II =XII
13 = 10+3 = X+III =XIII
14 = 10+4 = X+IV =XIV
15 = 10+5 = X+V =XV
16 = 10+6 = X+VI =XVI
17 = 10+7 = X+VII =XVII
18 = 10+8 = X+VIII = XVIII
19 = 10+9 = X+IX =XIX

20 = 10+10 = X+X = XX

ამის შემდეგ ათეულებს აღარ დავშლით.
21 = 20+1 = XX+I = XXI
22 = 20+2 = XX+II = XXII

23 = 20+3 = XX+III = XXIII
24 = 20+4 = XX+IV = XXIV
25 = 20+5 = XX+V = XXV
26 = 20+6 = XX+VI = XXVI
27 = 20+7 = XX+VII = XXVII
28 = 20+8 = XX+VIII = XXVIII
29 = 20+9 = XX+IX = XXIX

30 = 20+10 = XX+X = XXX
31 = 30+1 = XXX+I = XXXI
32 = 30+2 = XXX+II = XXXII
33 = 30+3 = XXX+III = XXXIII
34 = 30+4 = XXX+IV = XXXIV
35 = 30+5 = XXX+V = XXXV
36 = 30+6 = XXX+VI = XXXVI
37 = 30+7 = XXX+VII = XXXVII
38 = 30+8 = XXX+VIII = XXXVIII
39 = 30+9 = XXX+IX = XXXIX

40 = 50-10 = L-X = XL
(საკლები მაკლებს მივუწერეთ მარცხნივ)
41 = 40+1 = XL+I = XLI
42 = 40+2 = XL+II = XLII
43 = 40+3 = XL+III = XLIII
44 = 40+4 = XL+IV = XLIV
45 = 40+5 = XL+V = XLV
46 = 40+6 = XL+VI = XLVI
47 = 40+7 = XL+VII = XLVII
48 = 40+8 = XL+VIII = XLVIII
49 = 40+9 = XL+IX = XLIX

50 = L
51 = 50+1 = L+I = LI
52 = 50+2 = L+II = LII
53 = 50+3 = L+III = LIII
54 = 50+4 = L+IV = LIV
55 = 50+5 = L+V = LV
56 = 50+6 = L+VI = LVI
57 = 50+7 = L+VII = LVII
58 = 50+8 = L+VIII = LVIII
59 = 50+9 = L+IX = LIX

60 = 50+10 = L+X = LX
61 = 60+1 = LX+I = LXI
62 = 60+2 = LX+II = LXII
63 = 60+3 = LX+III = LXIII
64 = 60+4 = LX+IV = LXIV
65 = 60+5 = LX+V = LXV
66 = 60+6 = LX+VI = LXVI
67 = 60+7 = LX+VII = LXVII
68 = 60+8 = LX+VIII = LXVIII
69 = 60+9 = LX+IX = LXIX

70 = 50+20 (ან 60+10) = L+XX (ან LX+X) = LXX
71 = 70+1 = LXX+I = LXXI
72 = 70+2 = LXX+II = LXXII
73 = 70+3 = LXX+III = LXXIII
74 = 70+4 = LXX+IV = LXXIV
75 = 70+5 = LXX+V = LXXV
76 = 70+6 = LXX+VI = LXXVI
77 = 70+7 = LXX+VII = LXXVII
78 = 70+8 = LXX+VIII = LXXVIII
79 = 70+9 = LXX+IX = LXXIX

80 = 50+30 (ან 70+10) = L+XXX (ან LXX+X) = LXXX
81 = 80+1 = LXXX+I = LXXXI
82 = 80+2 = LXXX+II = LXXXII
83 = 80+3 = LXXX+III = LXXXIII
84 = 80+4 = LXXX+IV = LXXXIV
85 = 80+5 = LXXX+V = LXXXV
86 = 80+6 = LXXX+VI = LXXXVI
87 = 80+7 = LXXX+VII = LXXXVII
88 = 80+8 = LXXX+VIII = LXXXVIII
89 = 80+9 = LXXX+IX = LXXXIX

90 = 100-10 = C-X = XC
(საკლები მაკლებს მივუწერეთ მარცხნივ)
91 = 90+1 = XC+I = XCI
92 = 90+2 = XC+II = XCII
93 = 90+3 = XC+III = XCIII
94 = 90+4 = XC+IV = XCIV

95 = 90+5 = XC+V = XCV
96 = 90+6 = XC+VI = XCVI
97 = 90+7 = XC+VII = XCVII
98 = 90+8 = XC+VIII = XCVIII
99 = 90+9 = XC+IX = XCIX
გამარტივებული = 100-1 = C-I = IC
(საკლები მაკლებს მივუწერეთ მარცხნივ)

100 = C
149 = 100+40+9 = C+XL+IX = CXLIX
150 = 100+50 = C+L = CL
200 = 100+100 = C+C = CC
300 = 100+100+100 = C+C+C = CCC
399 = 300+90+9 = CCC+XC+IX = CCCXCIX
400 = 500-100 = D-C = CD
(საკლები მაკლებს მივუწერეთ მარცხნივ)
444 = 400+40+4 = CD+XL+IV = CDXLIV
500 = D
555 = 500+50+5 = D+L+V = DLV
600 = 500+100 = D+C = DC
700 = 500+100+100 (ანუ 600+100) = D+C+C (ანუ DC+C) = DCC
800 = 500+100+100+100 = D+C+C+C = DCCC
888 = 800+80+8 = DCCC+LXXX+VIII = DCCCLXXXVIII
900 = 1000-100 = M-C = CM
(საკლები მაკლებს მივუწერეთ მარცხნივ)
999 = 900+90+9 = CM+XC+IX = CMXCIX
გამარტივებული = 1000-1 = M-I = IM
(საკლები მაკლებს მივუწერეთ მარცხნივ)
1000 = M
1500 = 1000+500 = M+D = MD
1950 = 1000+900+50 = M+CM+L = MCML
გამარტივებული = 1000+(1000-50) = M+(M-L) = M+LM = MLM
(საკლები L მაკლებ M-ს მივუწერეთ მარცხნივ)
2000 = 1000+1000 = M+M = MM
2014 = 2000+14 = MM+XIV = MMXIV
2015 = 2000+15 = MM+XV = MMXV
2900 = 2000+900 = MM+CM = MMCM
2999 = 2000+900+90+9 = MM+CM+XC+IX = MMCMXCIX
გამარტივებული = 2000+(1000-1) = MM+(M-I) = MM+IM = MMIM
(საკლები I (1) მაკლებ M-ს (1000-ს) მივუწერეთ მარცხნივ)

3000 = 1000+1000+1000 = M+M+M = MMM
3999 = 3000+900+90+9 = MMM+CM+XC+IX = MMMCMXCIX
გამარტივებული = 3000+(1000-1) = MMM+(M-I) = MMM+IM = MMMIM

ჩამოთვლილი წესების მიხედვით გამოსახული მაქსიმალური ოდენობის რიცხვი შეიძლება იყოს 3999. ამაზე დიდი რიცხვების დასაწერად შემოიღეს ციფრის ზემოდან ხაზის გასმა, რაც ნიშნავს ათასზე გამრავლებას. მაგ.:

$4000 = \overline{IV}$, 4020 = $\overline{IV}$XX, 5200 = $\overline{V}$CC, 123123 = $\overline{CXXIII}$CXXIII.

ციფრის ზემოდანაც და ქვემოდანაც ხაზის გასმა ნიშნავს მილიონზე გამრავლებას: $\underline{\overline{IV}}$ არის ოთხი მილიონი.

47. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს დროში რომაული ციფრებით ჩაწერილი რიცხვები გამოხატავენ რიგითობას, ამიტომ შესაბამისი მაწარმოებლები (**მე-ე**) აღარ დაერთვის.

სწორია: XX (მეოცე), C (მეასე), L (ორმოცდამეათე), XC (ოთხმოცდამეათე), CIV (ასმეოთხე);

და არა: მე-XX, მე-C, L-ე, XC-ე, CIV-ე.

სხვა აფიქსები ისევე გამოეყოფა დეფისით, როგორც არაბული ციფრებით გამოსახულ რიგობით რიცხვით სახელებს. გამონაკლისია **პირველი**, ერთადერთი თანხმოვანფუძიანი რიგობითი სახელი.

48. თუ ისტორიული პირის ზედწოდებაში შედის რიგობითი რიცხვითი სახელი, ის შეიძლება გამოვხატოთ როგორც სიტყვიერად (მაგალითად, ერეკლე მეორე ან მეფე ერეკლე მეორე), ისე რომაული ციფრებით (ერეკლე II). მაგ.:

გიორგი I, დავით IV, ვახტანგ VI, გიორგი XI, რიჩარდ I ლომგული, სულეიმან I კანუნი, ლუი XIII, ნაპოლეონ II.

ბრუნვის ნიშნები და სხვა ელემენტები ამ შემთხვევაშიც დეფისით გამოიყოფა.

დანართი № 39

სახ.	გიორგი	I	დავით	IV
		თანდებულიანი ფორმები		
	გიორგი	I-ვით	–	
მოთხრ.	გიორგი	I-მა	დავით	IV-მ
მიც.	გიორგი	I-ს	დავით	IV-ს
		თანდებულებიანი ფორმები		
	გიორგი	I-სავით	დავით	IV-სავით
	გიორგი	I-თან	დავით	IV-სთან
	გიორგი	I-ზე/ში	დავით	IV-ზე/ში
ნათ.	გიორგი	I-ის	დავით	IV-ის
		თანდებულებიანი ფორმები		
	გიორგი	I-ის(ა)თვის/გან	დავით	IV-ის(ა)თვის/გან
მოქმ.	გიორგი	I-ით	დავით	IV-ით
		თანდებულიანი ფორმები		
	გიორგი	I-იდან	დავით	IV-იდან
ვით.	გიორგი	I-ად	დავით	IV-დ
		თანდებულიანი ფორმები		
	გიორგი	I-ამდე	დავით	IV-მდე
წოდ.	გიორგი	I-ო	დავით	IV-ვ

49. რომაული ციფრებით გამოსახული რიცხვები უმთავრესად გამოიყენება წიგნების ტომების, ნაწილების, თავების, აგრეთვე საუკუნის, ათასწლეულის ან რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის (ყრილობის, კონფერენციის და სხვ.) რიგითი ნომრის მისათითებლად. მაგ.:

> II ათასწლეული ჩვენს წელთაღრიცხვამდე, XXI საუკუნე, თავი III, ქართული ენის I ყრილობა ფერეიდანში, VII საერთაშორისო ოლიმპიადა პროგრამირებაში, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის V საერთაშორისო კონფერენცია, X კლასი.

§ 39. რიცხვების გამოსახვა ასოებით

50. არაბული ციფრების შემოღებამდე (და შემდგომაც – თითქმის მე-18 საუკუნემდე) ჩვენში რიცხვებს გამოსახავდნენ ასოებით. ერთეულები, ათეულები, ასეულები და ათასეულები აღინიშნებოდა ანბანის დასაწყისიდან ყოველი მომდევნო 9-9 ასოთი. სულ უკანასკნელი (ϑ) ნიშნავდა ბევრს, ე. ი. ათი ათასს (იხ. ცხრილი).

როგორც ცნობილია, ქართული თვლის სისტემა ნაწილობრივ ათობითია, ნაწილობრივ – ოცობითი. რიცხვების წერა და წარმოთქმა ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგ., ოციდან ოთხმოცდაცხრამეტამდე თვლა ოცობითია, წერის სისტემა კი – ათობითი.

ქართული ასოების რიცხობრივი მნიშვნელობა

ერთეულები	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	ჱ	თ
	1	2	3	4	5	6	7	8	9
ათეულები	ი	კ	ლ	მ	ნ	ჲ	ო	პ	ჟ
	10	20	30	40	50	60	70	80	90
ასეულები	რ	ს	ტ	უ	ფ	ქ	ღ	ყ	შ
	100	200	300	400	500	600	700	800	900
ათასეულები	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჴ	ჯ	ჰ
	1000	2000	3000	4000	5000	6000	7000	8000	9000
ბევრეული	ϑ								
	10000								

ცხრილის მიხედვით: ია = 10+1 = 11, იბ = 10+2= 12, კა = 20+1 = 21, ლგ = 30+3 = 33, რა = 100+1 = 101, რთ = 100+9 = 109, უა = 400+1 = 401, ქდ = 600+4 = 604, ჩა = 1000+1 = 1001, ჭვ = 5000+6 = 5006, რია = 100+10+1 = 111, როვ = 100+70+6 = 176, სპდ = 200+80+4 = 284, ჩუ = 1000+400 = 1400, წღპზ = 4000+700+80+7 = 4787.

შენიშვნა: რამდენიმე ასო ანბანის გამარტივების გამო აღარ იხმარება (ჱ, ჲ, ჯ, ჴ).

§ 40. ჩამონათვალის ნუმერაცია

სამეცნიერო ან სხვა სპეციალურ ტექსტში განსახილველი საკითხების, თეზისებისა და სხვა დანაყოფების დასანომრავად იხმარება რომაული და არაბული ციფრებით გამოსახული რიცხვები, აგრეთვე ასოები, პატარა გეომეტრიული ფიგურები და სხვ. (არჩევანი სუბიექტურია). ქვენუმერაციის დროს ციფრების თანმიმდევრობა ძირითადად ასეთია: რომაული, არაბული და ფრჩხილიანი არაბული (ან ასოები)[165].

სამ დონეზე მეტი დანაყოფი იშვიათია.

ჩამონათვალის ნუმერაციისას უნდა დავიცვათ რამდენიმე წესი:

1. ერთ ნაშრომში უნდა გამოვიყენოთ ერთი ტიპის ნუმერაცია.

2. ნებისმიერი დონის დანაყოფი უნდა შედგებოდეს ერთზე მეტი ერთეულისაგან.

3. ნაწილებად დაყოფილ ტექსტში თავების ნომრები მიყოლებით უნდა დაიწეროს (ნუმერაციისათვის გამოყენებული რაოდენობითი რიცხვითი სახელი იკითხება როგორც რიგობითი).

4. თავების დანომვრისას გასათვალისწინებელია ფურცელზე რიგის აღმნიშვნელი რიცხვისა და სათაურის ადგილმდებარეობა. კერძოდ:

ა) თუ ციფრი სტრიქონის შუაშია, ტექსტის სათაურის გარეშე, მასთან წერტილი არ დაისმის (იხ. სქემა № 1), ხოლო, თუ მას იმავე სტრიქონზე მოსდევს სათაური, მაშინ წერტილის (დასავლური ნორმით – ტირეს ან ორწერტილის) დასმა აუცილებელია (იხ. სქემა № 2);

ბ) თუ სათაურს უშუალოდ მოსდევს ტექსტი, წერტილი დაისმის სათაურის შემდეგაც (იხ. სქემა № 3), თუმცა ახლანდელ დროში გამოსაყოფი ერთეულები სხვადასხვა ვიზუალური ხერხით (შრიფტი, განლაგება...) იმიჯნება დანარჩენი ტექსტისაგან[166].

---

[165] ნიკანდრო ბასილაია, პუნქტუაცია, გვ. 115.

[166] შუქია აფრიდონიძე, პუნქტუაციის ძირითადი წესები, ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, თბ. 2011, დანართი II, გვ. 362.

სქემა № 1	სქემა № 2	სქემა № 3
IV მორფოლოგია ან IV თავი მორფოლოგია	IV. მორფოლოგია ან § 34. ზმნა	**§ 34. ზმნის რაობა.** ზმნა ეწოდება საგნის მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელ სიტყვას.

5. ქვეთავები შეიძლება არ დაინომროს, ხოლო, თუ დაინომრება, მაშინ ყოველ თავში ნუმერაცია ახლიდან უნდა დაიწყოს. მაგ.: 4.1., 4.2., 4.3.; 5.1., 5.2., 5.3. და ა.შ. (იხ. სქემა № 4).

სქემა № 4

თავი 4
ლოგიკის ძირითადი კანონები
4.1. იგივეობის კანონი
ლოგიკის ყველაზე პირველი და მნიშვნელოვანი კანონი იგივეობის კანონია და ა.შ.
4.2. გამორიცხული მესამის კანონი
მსჯელობა შეიძლება იყოს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთსაპირისპირო და ა.შ.

ან

მეოთხე თავი
სინტაქსური სტილისტიკა
§ 1. მარტივი წინადადება
წინადადება მეტყველების ერთეული მნიშვნელოვანი ერთეულია და ა.შ.
§ 2. სახელდებითი წინადადება
სახელდებით წინადადებას ძირითადად მიმართავენ ეკონომიურობისათვის და ა.შ.

6. ქვენუმერაციის გამოყენებისას რიგის აღმნიშვნელი რიცხვების შემდეგ აუცილებელია წერტილის ან მარჯვენა ჩამკეტი ფრჩხილის დასმა, რათა ეს რიცხვები მსაზღვრელებად არ მიეიჩნიოთ. მაგ.: 1., ა., 1), ა).

შენიშვნა: ეს წესი განსხვავდება დასავლეთის ქვეყნებში მიღებული წესისაგან, რომლის მიხედვითაც განსახილველი საკითხების ან ილუსტრაციების ნუმერაცია ხდება ორმხრივი ფრჩხილების საშუალებით: (1), (2), (3)...[167]

---

[167] შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, თბ., 2011, დანართი II, გვ. 358.

7. ჩამოთვლილი საკითხები ერთმანეთისაგან გამოიყოფა წერტილით ან წერილ-მძიმით, თუ მოკლე ფრაზებითაა წარმოდგენილი, – მძიმით; თუ ჩამოთვლა დასრულებული არ არის, – მრავალწერტილით. კითხვითსა და ბრძანებით წინადადებებს დაესმის შესაბამისი სასვენი ნიშანი. მაგ.:

ადამიანის სიბრიყვის ძირითადი კანონები ხუთია.

1. ვერასოდეს ვერც ერთი ადამიანი სათანადოდ ვერ აფასებს სულელი ინდივიდების რაოდენობას მის გარშემო.

2. ადამიანის სისულელე აბსოლუტურად დამოუკიდებელია ამავე ადამიანის ნებისმიერი სხვა მახასიათებლისაგან.

3. სულელი არის ის, ვინც ზიანს აყენებს სხვა ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს ისე, რომ, ამავე დროს, თავად არანაირ სარგებელს არ ნახულობს; მეტიც, შეიძლება თავადაც ზარალდებოდეს საკუთარი ქმედებით.

4. არასულელი ადამიანები ვერასოდეს აფასებენ სათანადოდ სულელი ადამიანების ზიანის მომტან პოტენციალს. უფრო ზუსტად: არასულელს მუდმივად ავიწყდება, რომ სულელთან საქმის დაჭერისას კრახი გარდაუვალია და ეს შეცდომა ძალიან ძვირად დაუჯდება.

5. სულელი ადამიანი ადამიანის ყველაზე საშიში ტიპია (კარლო მ. ჩიპოლა).

8. ჩამონათვალში საკითხები იწერება როგორც შეუღლად, ისე თარაზულად. მაგ.:

სიტყვა **მამულს** აქვს რამდენიმე მნიშვნელობა:

1. ძველად – სახნავ-სათესი მიწა, ბაღ-ვენახი და მისთ., რომელიც ვისიმე საკუთრება იყო.

2. სამშობლო[168].

ან:

სიტყვა **სამშობლოს** აქვს რამდენიმე მნიშვნელობა:
1. ქვეყანა, მხარე, სადაც დაიბადა ადამიანი და რომლის მოქალაქედაც ის ითვლება. 2. ვისიმე დაბადების ადგილი. 3. გ ა დ ა ტ. სადაც წარმოიშვა, შეიქმნა რამე – ჩაის სამშობლო. 4. იგივეა, რაც მშობლიური.

შენიშვნა: ჩამოთვლილ საკითხებს შორის შეგვიძლია დავსვათ წერტილ-მძიმე.

---

[168] ქეგლ-ის ერთტომეული, თბ., 1985, გვ. 282.

9. თუ ჩამონათვალი წინა წინადადების შემადგენელი ნაწილია, იგი დაინომრება **ფრჩხილიანი რიცხვებით ან ასოებით**. საკითხები ერთმანეთისაგან გამოიყოფა წერტილ-მძიმით ან მძიმით. მაგ.:

მოცილე ფორმათაგან უპირატესობა უნდა მიეცეს იმას, რომელიც:
ა) კანონიერია გრამატიკულად;
ბ) უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში;
გ) მარტივია წარმოების მიხედვით.

ან:

ინვერსიის საკითხთან დაკავშირებით დღეს ერთმანეთს უპირისპირდება ორი თვალსაზრისი, კერძოდ:
1) **უყვარს** ტიპის ზმნები არ არის ინვერსიული;
2) ამგვარი ზმნები ინვერსიულად უნდა ჩაითვალოს.

ფრჩხილიანი რიცხვებით ან ასოებით დანომრილ საკითხებს შორის წერტილის დასმა არ არის რეკომენდებული, თუმცა პრაქტიკულად ასეთი გამონაკლისები არცთუ იშვიათია (როცა ჩამოთვლილი საკითხები გავრცობილია).

რიცხვებისა და ასოების ნაცვლად ჩამონათვალის წინ შეიძლება დაისვას ტირე ან პატარა გეომეტრიული ფიგურები (ვარსკვლავი, კვადრატი, წრე, რომბი).

10. ნაბეჭდ ტექსტში შეუღლად ჩამოწერილ ჩამოთვლასთან შეიძლება სულ არ დავსვათ სასვენი ნიშანი. მაგ.:

ლოგიკის ძირითადი კანონებია:
1. იგივეობის კანონი
2. ორმაგი უარყოფის კანონი
3. გამორიცხული მესამის კანონი.

ან:

მორფოლოგიური თვალსაზრისით სიტყვათა ფორმაცვალება ორი სახისაა:
ა) ბრუნება
ბ) უღლება.

11. სასვენი ნიშნები არ დაისმის გრაფაში მოთავსებული რიგის გამომხატველი რიცხვებისა და ჩამოთვლილი საკითხების შემდეგ[169]. მაგ.:

---

[169] ნიკანდრო ბასილაია, პუნქტუაცია, გვ. 34.

სალექციო საათების განაწილება

№	ლოგიკის ძირითადი კანონები	საათების რაოდენობა
1	იგივეობის კანონი	2
2	წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი	2
3	გამორიცხული მესამის კანონი	2
4	საკმარო საფუძვლის კანონი	2

12. სარჩევში ჩემოთვლილი საკითხების შემდეგ სასვენი ნიშნები არ დაისმის (თუ წინადადება კითხვითი ან ბრძანებითი შინაარსისა არ არის).

§ 41. რიცხვითი სახელისგან წარმოქმნილ სახელთა მართლწერა

1. მართლწერის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს რიცხვითი სახელისგან ნაწარმოებ სხვა მეტყველების ნაწილთა დაწერილობაც.

ერთ სიტყვად იწერება კომპოზიტები:

ერთარსება, პირველმოწამე, პირველმიზეზი, პირველსაწყისი, პირველწოდებული, ორწერტილი, მერვეკლასელი, მეოთხედფინალი, მერვედფინალოსანი, მეტრნახევრიანი, მრავალწერტილი, მრავალწყება, ნახევარსაუკუნე, ორწყალშუა, წვერცამეტა.

განსაკუთრებით პროდუქტიულია ქონების (საკუთრების) აღმნიშვნელი კომპოზიტების წარმოება (ოთხოთახიანი, ორსერიიანი, ასგვერდიანი). თუ იგი ციფრებითაა წარმოდგენილი, ციფრსა და მეორე ნაწილს შორის იწერება დეფისი. მაგ.:

12-ფურცლიანი, 2-პროცენტიანი (ან 2 %-იანი), 11-სართულიანი, $2\frac{1}{2}$-ათასიანი, 60-იანი წლები (= წწ. 60-იდან 69-მდე).

2. თუ ორი ან მეტი კომპოზიტის ბოლო ნაწილი ერთი და იგივე სიტყვაა, ისინი გამარტივებულად ჩაიწერება, მაგ.:

4- და 5-სართულიანი (ან სიტყვიერად — ოთხ- და ხუთსართულიანი) სახლები; 1-, 2- და 3-ოთახიანი ბინები, 2-

ან 4-ადგილიანი მანქანა (ან მანქანები, თუ ერთზე მეტი იგულისხმება)[170].

3. დეფისით იწერება სპეციალური ტერმინები და დასახელებები, მათ შორის აბრევიატურები, რომელთა შემადგენლობაშიც შედის ციფრული გამოსახულებები. მაგ.:

5-ნოკი, 5-ბრომურაცილი, „ტუ-104“.

§ 42. რიცხვითი სახელი სიტყვათა მყარ შენაერთებში

4. რიცხვითი სახელი ხშირად მონაწილეობს სიტყვათა მყარ ანუ ფრაზეოლოგიურ შენაერთებში, კერძოდ – იდიომებში. როგორც ცნობილია, იდიომატურ (ხატოვან) გამოთქმებში სიტყვები გადატანითი მნიშვნელობით იხმარება, ამიტომ რიცხვითი სახელით გამოხატული რაოდენობაც პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ.

თავისუფალი შესიტყვებისაგან განსხვავებით, იდიომი ენაში მზა სახით არსებობს და გაუმართლებელია მისი კომპონენტების გადაადგილება (გარდა ზმნისა), გრამატიკული ფორმის შეცვლა ან სხვა სიტყვებით გათიშვა.

რიცხვითი სახელი შედის იდიომებში: ერთი სული აქვს (ძალიან ეჩქარება); ორ სკამზე ჯდომა (მერყეობა, უპრინციპობა); კვირაში შვიდი პარასკევი აქვს (ცვალებადი ხასიათი აქვს, გადაწყვეტილებას ხშირად იცვლის); ცხრა თოკში გამძვრალი (გაქნილი, ცბიერი, ეშმაკი, მოხერხებული) და სხვ.[171].

როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში იხმარება აგრეთვე ე. წ. ფრთიანი სიტყვები, რომელთა ძირითადი კომპონენტია რიცხვითი სახელი. მაგ.: ერთი მუჭა (ძლიერ ცოტა, პატარა), პირველი მერცხალი (რამის პირველად წამომწყები), მეორე ნახევარი (მეუღლე), მეცამეტე გოჭი (მეტიჩარა, არამკითხე).

---

[170] მ ი ხ ე ი ლ ჭ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, კუთვნილებითი კომპოზიტების მართლწერისათვის, ქსკს, წიგნი VIII, გვ. 105.

[171] ალ ე ქ ს ა ნ დ რ ე ო ნ ი ა ნ ი, ქართული იდიომები, თბ., 1966.

ნაცვალსახელი

§ 43. ნაცვალსახელის ჯგუფები

ნაცვალსახელი იხმარება სახელის ნაცვლად. შინაარსისა და ფუნქციის მიხედვით ის შეიძლება იყოს:

პირის: მე, შენ, ის, იგი, ეს, ეგ, ჩვენ, თქვენ, ისინი, ესენი, ეგენი;

უკუქცევითი: თავი (თავი გამოიდო/გაწირა/იმართლა/ მოიკატუნა/მოიმკვდარუნა).

ჩვენებითი (მიუთითებს საგანზე ან მის თვისება-რაოდენობაზე): ეს, ეგ, ის, ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამისთანა, ამნაირი, ამდენი.

კუთვნილებითი (მიღებულია პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან): ჩემი, შენი, მისი, ამისი, მაგისი, იმისი, თავისი, თავიანთი, სხვისა // სხვისი, ჩვენი, თქვენი, მათი.

კითხვითი: ვინ? რა? რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი? მერამდენე? მერამდენედი?

კითხვით-კუთვნილებითი: ვისი? რისა?//რისი?

მიმართებითი (მიღებულია კითხვითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელებისგან **-ც** ნაწილაკის დართვით): ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც, მერამდენეც, მერამდენედიც, ვისიც, რისაც.

უარყოფითი: არავინ, ვერავინ, ნურავინ, არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი, არარა, ვერარა, ნურარა, არცერთი, ვერცერთი, ნურცერთი, აღარავინ, ველარავინ, ნუღარავინ, აღარაფერი, ველარაფერი, ნუღარაფერი, არავითარი, ვერავითარი, ნურავითარი.

განსაზღვრებითი: ერთ-ერთი (=ორიდან ან ბევრთაგან რომელიმე), თვით, თვითონ, თავად, თითოეული, თითო (თითოეულის მნიშვნელობით), მთელი (მთელი ხალხი = უკლებლივ ყველა), სხვა, სხვადასხვა, ყველა, ყოველი, ყოველივე, ყველაფერი, ცალკეული (ზოგჯერ განუსაზღვრელ ნაცვალსახელს (მაგ., **ზოგიერთს**) ენაცვლება).

განუსაზღვრელობითი: ვინმე, რამე, რომელიმე, რამდენიმე, ვიღაც, რაღაც, რომელიღაც, ერთი, ზოგი (ზოგიერთი), კაცი, მავანი (ეს უკანასკნელი ზოგი სახელმძღვანელოს მიხედვით განსაზღვრებითია).

ურთიერთობითი: ერთმანეთი, ერთურთი, ურთიერთი, ერთიმეორე.

§ 44. ნაცვალსახელთა მართლწერა

1. ნაცვალსახელთა მართლწერისათვის აუცილებელია იმ თავისებურებათა გათვალისწინება, რომლებსაც ისინი იჩენენ ბრუნების დროს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა პირის, კითხვითი და კითხვითისაგან წარმოქმნილი ნაცვალსახელები. მათი უმრავლესობა ან არ იბრუნვის, ან არ გააჩნია ყველა ბრუნვის ფორმა. ზოგს არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვი. მაგ.:

ა) უბრუნველი ნაცვალსახელია:
განსაზღვრებითი: თვით, თვითონ, თავად.

ბ) უკვეცელია: ყველა, ვინმე, რომელიმე, რამდენიმე, რაღა.

გ) მრავლობითი რიცხვის ფორმებს ვერ აწარმოებენ:

- **I და II პირის ნაცვალსახელები**: მე, შენ. ფუძემონაცვლეობით გამოხატავენ სიმრავლეს ჩვენ, თქვენ (აგრეთვე ჩვენი, თქვენი)
- **კითხვითი:** ვინ?
- **მიმართებითი:** ვინც, რაც, რამდენიც, მერამდენეც. ისინი წევრ-კავშირების როლს ასრულებენ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში: ის, ვინც; ისეთი, როგორიც (მაგრამ: ისე, როგორც); ის სახლი, რომელიც.
- **უარყოფითი:** არავინ, ვერავინ, ნურავინ, არცერთი, ვერცერთი, ნურცერთი.
- **განსაზღვრებითი:** თითოეული, თვით, თვითონ, თავად, ყველაფერი, მთელი, ერთ-ერთი.
- **ურთიერთობითი:** ერთმანეთი, ურთიერთი, ერთიმეორე.

დ) მხოლოდ ნართანიანი მრავლობითის ფორმები ეწარმოება ნაცვალსახელებს: ზოგი, ის, მავანი, ყველა. იშვიათად იხმარება **ჩემნი** (ჩემები, ჩვენები, შენები, თქვენები კუთხურია).

ე) მხოლოდ ებიან მრავლობითში გვხვდება: ვიღაც(ა) – ვიღაც-ები, რაღაც(ა) – რაღაცები.

2. თუ I პირის ნაცვალსახელი **მე** გაარსებითებულია, ის დაირთავს ბრუნვის ნიშნებსა და თანდებულებს, რომლებიც მისგან დეფისით გამოიყოფა. ასეთ შემთხვევაში **მე** ბრჭყალებში ჩაისმის. მაგ.:

ის ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის „მე“-ს.
ის თავის „მე“-ში რაღაცას ებრძოდა.

სამეცნიერო ხასიათის ნაშრომებში მხოლოობითის ფუნქციით გამოყენებულია **ჩვენ** (მას ავტორისეულ „მე“-ს უწოდებენ), რაც ხაზს უსვამს ავტორის თავმდაბლობასა და თავაზიანობას. „ჩვენ აღვწერეთ ძველი ხელნაწერები“, – მორიდებით ამბობს მეცნიერი თავის თავზე (თუმცა პირიქითაც შეიძლება მოხდეს და ეს ფორმა მავანმა საკუთარი აღმატებულობის წარმოსაჩენად გამოიყენოს).

3. თავაზიან საუბარში **თქვენ** ნაცვალსახელით („თქვენობით“) მიმართავენ ერთ პირსაც:

თქვენ მკითხულობდით?
მართალს ბრძანებთ, **თქვენმა** მზემ.

„შენობით“ საუბარი მისაღებია უმცროსებთან, თანატოლებთან, ახლობლებთან. **შენ** ზოგჯერ განზოგადებულ სახეს იღებს და ყველა პირს გულისხმობს:

ხომ იცი, როცა ფეხს დაგაჭერენ, შენც გაინძრევი.

იგივე შეიძლება ითქვას II პირის კუთვნილების გამომხატველ ნაცვალსახელზედაც:

შენს თავს შენვე უნდა სცე პატივი.

4. ქართულ ენაში პირის ნაცვალსახელთა ხშირად გამოყენება მიზანშეწონილი არ არის (უცხოური ენებისაგან განსხვავებით), რადგან ზმნაში ისედაც ჩანს, რომელი პირი იგულისხმება. მაგ., ზმნაში მი-ვ-ყვები ვ პირის ნიშანი მიგვანიშნებს, რომ სუბიექტი I პირია, ამიტომ მისი გამოხატვა ნაცვალსახელით აუცილებელი არ არის. მაგრამ როდესაც წინადადებაში ლოგიკური მახვილი პირის ნაცვალსახელით გამოხატულ წევრზე მოდის და მას გარკვეული სტილისტიკური დატვირთვა ენიჭება, მაშინ ეს ნაცვალსახელი აუცილებლად უნდა იქნეს წარმოდგენილი. მაგ.:

ეს კაცი **მე** დავპატიჟე და ყველა ვალდებულია, პატივისცემით მოექცეს. „**მე** სიყვარული მღუპავდა, **შენ** სიძულვილით გადარჩი“ (ნანა მაჩიტიშვილი)

5. III პირის ნაცვალსახელები – **ეს, ეგ, ის, ესენი, ეგენი, ისინი** – ორ ფუნქციას ასრულებენ: აღნიშნავენ III პირს (როცა

ზმნას უკავშირდებიან: ის დგას) ან ჩვენებით ნაცვალსახელს (როცა სახელს განსაზღვრავენ: ის ხე დგას). მათ სახელობითი ბრუნვისათვის ერთი ფუძე აქვთ (ეს, ეგ, ის), დანაჩენებისთვის – მეორე (ამა, მაგა, იმა), რომელიც კვეცადია (ამის, მაგის, იმის).

6. ზოგიერთ კილოში ხშირად ამახინჯებენ პირის (ჩვენებით) ნაცვალსახელებს. მაგ.: (ფრჩხილებში მოთავსებულია მცდარი ფორმები):

> ეს (აგი), ეგ (მაგი), ამ (ემ, ე), ესენი (აგენი), ეგენი (მაგენი), მათზე (მაგენზე), ამათ მოიტანეს (ამგენმა მოიტანეს), იმათ შევხვდი (იმგენს შევხვდი).

7. ჩვენებითი ნაცვალსახელები – **ეს, ასეთი, ასეთნაირი, ამისთანა, ამნაირი, ამგვარი, ამოდენა, ამდენი** – გამოიყენება მაშინ, როცა მიუთითებენ I პირთან (მოუბართან) ახლოს მყოფ საგანზე. **ეგ, ეგეთი, მაგნაირი, მაგისთანა, მაგგვარი, მაგოდენა, მაგდენი** აღნიშნავენ II პირთან (რეალურ ან პირობით თანამოსაუბრესთან) ახლოს მყოფს, ხოლო **ის (იგი), ისეთი, იმისთანა, იმნაირი, იმოდენა, იმდენი** – ორივე პირისგან დაშორებულს.

კუთხურია: ამფერი, მაგფერი, იმფერი, ამნეირი, ამდონი, მაგდონი, იმდონი.

8. იგი-ს ამჟამად მხოლოდ პირის ნაცვალსახელის ფუნქცია აქვს და უმეტესწილად გამოიყენება ადამიანის მიმართ[172]. მისი მრავლობითის ფორმა **იგინი** თანამედროვე ქართულ ენაში აღარ იხმარება[173].

დანართი № 40

III პირის ნაცვალსახელის ბრუნება

სახ.	ეს	ეგ	ის	იგი	ესე-ნ-ი	ეგე-ნ-ი	ისი-ნ-ი [იგი-ნ-ი]	
მოთხრ.	ამა-ნ	მაგა-ნ	იმა-ნ	მა-ნ	ამა-თ	მაგა-თ	იმა-თ	მა-თ
მიც	ამა-ს	მაგა-ს	იმა-ს	მა-ს	ამა-თ	მაგა-თ	იმა-თ	მა-თ

[172] თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, გვ. 172.

[173] იქვე, გვ. 206.

ნათ.	ამ-ის	მაგ-ის	იმ-ის	მ-ის	ამა-თ	მაგა-თ	იმა-თ	მა-თ
მოქმ.	ამ-ით (ამის-ით)	მაგ-ით (მაგის-ით)	იმ-ით (იმის-ით)	მ-ით (მის-ით)	– (ამათ-ით)	– (მაგათ-ით)	– (იმათ-ით)	– (მათ-ით)
ვით.	ამა-დ ამის-ად	მაგა-დ მაგის-ად	იმა-დ იმის-ად	[მა-დ] მის-ად	– –	– –	– –	– –

შენიშვნა 1: როგორც აღნიშნავენ, **მით** რიგის ფორმები უმთავრესად **რა** ჯგუფის სახელებს მოუდით, **მისით** რიგისა კი – **ვინ** ჯგუფისას. ეს უკანასკნელი იხმარება ისეთ ზმნებთან, როგორიცაა: ამაყობს, ხარობს, ცოცხლობს, ცხოვრობს, სარგებლობს, იწყებს და მისთ[174].

მისით ნაცვალსახელის მოდელის მიხედვით მოგვიანებით შემუშავდა **თავისით, სხვისით** ფორმებიც[175].

შენიშვნა 2: **ნ** მოთხრობითი ბრუნვის უძველესი ნიშანია, რომელიც გამოიყოფა **მან (ამან, მაგან, იმან)** და **ვინ** ნაცვალსახელებში[176].

9. მათ თქვეს თუ მათმა თქვეს?

ხშირად ერთმანეთში ურევენ III პირის და ამავე პირის კუთვნილების გამომხატველ ნაცვალსახელთა მოთხრობითი ბრუნვის ფორმებს. **მათმა** უმართებულოა, თუ იმაში პირის ნაცვალსახელი იგულისხმება (ვინ თქვა? – **მათ** თქვეს), მაგრამ მართებულია, თუ ის მრ. რიცხვში III პირის კუთვნილების გამომხატველი ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვის ფორმაა, რომელიც სახელს უკავშირდება და მის მსაზღვრელად გამოიყენება: **მათმა** მოსწავლეებმა თქვეს (ვისმა მოსწავლეებმა თქვეს?).

მაშასადამე სწორია: მათ თქვეს, მათ იმხიარულეს, მათ უპატრონეს;

და არა: მათმა თქვეს, მათმა იმხიარულეს, მათმა უპატრონეს.

---

[174] ლ ე ი ლ ა შ ა ლ ვ ა შ ვ ი ლ ი, **მით-მისით** რიგის ფორმები ქართულში, ქსკს, წიგნი IX, თბ., 1989, გვ. 251.

[175] იქვე, გვ. 248.

[176] ბ ე ს ა რ ი ო ნ ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე და სხვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 308.

მაგრამ: მათმა საგმირო **საქმეებმა** საუკუნეებს გაუძლო.
მათმა სიმამაცემ ყველა აღაფრთოვანა.

10. ამდენი და **ამოდენა** პარონიმული წყვილებია. **ამდენი** აღნიშნავს რაოდენობას (მიუგებს კითხვაზე: რამდენი?), **ამოდენა** კი – ზომას (მიუგებს კითხვაზე: რამოდენა?).

სწორია: ამდენი (მაგდენი, იმდენი ბავშვი, ხალხი, წიგნი, საქმე, ფიქრი, ხანი, წერა:

მაგრამ: ამოდენა (მაგოდენა, იმოდენა) კაცი, სახლი, მთა, თვალები, ბურთი.

11. კითხვითი ნაცვალსახელი **ვინ** მრავლობით რიცხვში არ დაისმის (ვინები არალიტერატურულია). სმნაც ყოველთვის მხოლობითში შეეწყობა. მაგ.: ვინ გესტუმრა? – ამხანაგი/ამხანაგები. გამონაკლისია **არის** სმნის მრ. რიცხვის ფორმა **არიან**: ესენი **ვინ არიან**?[177]

სიმრავლის გამოსახატავად ზოგჯერ **ვინ** ნაცვალსახელი მეორდება: **ვინ** და **ვინ** ჩამოვიდა? – დედა და მამა. შედარებით იშვიათად იხმარება **რა** და **რა**: **რა** და **რა** ფილმი ნახე?

ჩვეულებრივ, როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში მდგომ რა ჯგუფის სახელებს დაესმით **რა** კითხვა: **რა** წიგნი /წიგნები იყიდე? **რა**-ს მრავლობით შინაარსს რიცხვში ფუძემონაცვლე სმნები მიგვანიშნებენ.

სწორია: რა ცვივა ზემოდან? რა გადაყარეს?
(როცა იგულისხმება სუბიექტის ან ობიექტის სიმრავლე).

შეადარეთ: რა ვარდება ზემოდან? რა გადააგდეს?
(როცა სუბიექტი ან ობიექტი ერთია)

რა ნაცვალსახელს აქვს მხოლოდ ნარიანი მრავლობითის სახელობითი ბრუნვის ფორმა **რანი**, ისიც – იშვიათად. მაგ.:

> არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით (ილია).

სასაუბრო ენაში იხმარება **ებ**-იანი ფორმა **რაები**:
ეს რაები სცოდნია? რაები ულაპარაკია?

---

[177] ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა რ ა ბ უ ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 119.

დანართი № 41

კუთვნილებითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელების ბრუნება

სახ.	ვის-ი	მანქანა (არის?)	მის-ი	ვის-ი	რის-ა
მოთხრ.	ვის-მა	მანქანა-მ (მოიყვანა?)	მისა-მ	ვისა-მ	რისა-მ
მიც.	ვის ვის	მანქანა-ს (გამოჰყვა?) მანქანა-ში (ჩაჯდა?)	მისა-ს მისა-ში	ვისა-ს ვისა-ში	რისა-ს რისა-ში
ნათ.	ვის-ი	მანქან-ის(ა)-კენ (წავიდა?)	მის-ის(ა)-კენ	ვის-ის(ა)-კენ	რის-ის(ა)-კენ
მოქმ.	ვის-ი ვის-ი	მანქან-ით (ჩამოვიდა?) მანქან-ი-დან (გადმოვიდა?)	მის-ით მის-ი-დან	ვის-ით ვის-ი-დან	რის-ით რის-ი-დან
ვით.	ვის ვის	მანქანა-დ (იქცა?) მანქანა-მდე (მივიდა?)	მისა-დ მისა-მდე	ვისა-დ ვისა-მდე	რისა-დ რისა-მდე

შენიშვნა: საზღვრულთან ერთად ბრუნებისას **რისა**-ს სახელობითი ბრუნვის ფორმაა **რის-ი** (**რისი სიმბოლო** არის ბორჯღალი?), მოთხრობითისა – **რის-მა** (**რისმა სახმილმა** დაგწვა?), მიცემითისა – **რის** (**რის გაკეთებას** აპირებს პრეზიდენტი?). მოთხრობითსა და მიცემითში ასეთივე ფორმები აქვთ ნაცვალსახელებს **მისი** და **ვისი**: მის-მა, ვის-მა, მის, ვის (იბრუნება ისევე, როგორც **ვისი მანქანა**).

12. თითოეული, თვითეული თუ თითეული?

თითოეული მიღებულია სიტყვა თითოზე **-ეულ** მაწარმოებლის დართვით, თვითეული – თვით ნაცვალსახელზე იმავე მაწარმოებლის დართვით. ჩამოთვლილი ფორმებიდან **მართებულია მხოლოდ თითოეული** (მიუხედავად იმისა, რომ ზოგი გრამატიკოსი დასაშვებად მიიჩნევს თვითეულს).

13. ყველა, ყოველი და თითოეული

განსაზღვრებით ნაცვალსახელებს – **ყველა, ყოველი** და **თითოეული** – გამოყენების საკუთარი სფერო აქვთ. **ყველა** აღნიშნავს

შეკრებილ სიმრავლეს, თითოეულს ერთად (სტუმრები ყველას მიესალმნენ), **ყოველი** კი – თითოეულს ცალ-ცალკე[178].

ყოველი და **თითოეული** დანაწევრებულ სიმრავლეს გულისხმობენ, თუმცა მათ შორის მაინც არის განსხვავება: **ყოველი** ზოგადი, ნებისმიერი სიმრავლიდან გამოცალკევებულ რაოდენობაზე მიუთითებს (სიმღერებს ვუსმენდით **ყოველ** საღამოს), **თითოეული** კი – უფრო განსაზღვრული, კონკრეტული სიმრავლიდან განთითოებულ რაოდენობაზე (ისინი დაერივნენ ჩვენს ვენახებს და თითოეული ხე შეისყიდეს).

14. თვითონ თუ თითონ?

თვითონ მიღებულია **თვით მან** ფორმისაგან, **თვით** კი – სიტყვა **თავის** მოქმედებითი ბრუნვის ფორმისაგან: **თავ-ით ⇒ თვით**. ყველგან გვაქვს **ვ** ბგერა.

მაშასადამე სწორია: თვითონ, და არა თითონ.

თვით და **თვითონ** პარონიმული წყვილებია. ისინი ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: სწორედ ის (ეს, ეგ, იგი): „სამდურავიან კეთილსა **თვით** ბოროტება სჯობია“ (ვაჟა-ფშაველა). მაგრამ სიტყვას **თვითონ** სხვა მნიშვნელობაც აქვს და აღნიშნავს: დამოუკიდებლად, სხვის დაუხმარებლად, სხვის ჩაურევლად. მაგ.: ამ კითხვებს **თვითონ** უნდა გასცეს პასუხი.

15. უარყოფითი ნაცვალსახელების მართლწერასთან დაკავშირებით უნდა **დაიმახსოვროთ** შემდეგი:

ა) უარყოფითი ნაცვალსახელები – არცერთი, ვერცერთი, ნურცერთი – ამჟამად ერთ სიტყვად იწერება[179].

სწორია: არცერთი შემთხვევა არ ახსოვს. ვერცერთი თქვენგანი ვერ წავა. ნურცერთი ნუ მოიტყუებს თავს!

მაგრამ: „ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო არაბი და არც მეორე – ვენეციელი: ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ“ (უიარაღო).

---

[178] ქსკს, წიგნი VII, გვ. 370-371.

[179] მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის თამარ ვაშაკიძის რედაქციით.

ბ) არარა, ვერარა და **ნურარა** წინადადებაში უმეტესწილად სპსითაა გამოხატული:

მან **არა** თქვა **რა, მას არა** უშავს **რა**;
მისი **ნურა** გინდა **რა**! მან **ვერა** გაიგო **რა**.

ამ ნაცვალსახელების ნაცვლად თანამედროვე ქართულში გამოიყენება **არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი,** რომლებიც დანაკლისის ბრუნვებს უკსებენ **რა**-ს შემცველ ნაცვალსახელებს.

სწორია: არაფერმა, არაფრის, არაფრით;

და არა: არარამ, არარის, არარით.

გ) არავინ, ვერავინ, ნურავინ იწერება სრული სახით. მათი შეკუმშული ფორმები (არვინ, ვერვინ, ნურვინ) გამოიყენება იშვიათად, უმთავრესად – პოეზიაში. მაგ.:

მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა,
ცოცხალი **არვინ** არ მიიკარა (ლადო ასათიანი).

ნურვინ გაბედავს, დატყვევებულებს
რომ მიაყენოს შეურაცხყოფა“ (აკაკი).

ალბათ მიმიხვდები, / რატომ დარდიანობ, /
თაფლი ბევრია და / **ვერვინ** დადიანობს
(გელა გელაშვილი).

არრა ⇒ არა, ვერრა ⇒ ვერა ფორმები უნდა გავარჩიოთ უარყოფითი ნაწილაკებისაგან. ისინი, სავარაუდოდ, **არავინ, ვერავინ** ნაცვალსახელების მოკლე ფორმებია. მაგ.:

შენი ქალი **არად** მინდა, გაათხოვე, გამარიდე!
(შოთა რუსთაველი).

უგანგებოდ **ვერას** მიზმენ, შეცამებნენ ხმელთა სპანი...
(შოთა რუსთაველი).

დ) უარყოფითი ნაცვალსახელები **არაკაცი (=არავინ)** და **ვერაკაცი (=ვერავინ)** – გვხვდება დიალექტებში, სალიტერატურო ქართულში კი არ იხმარება.

§ 45. ორმაგი უარყოფა

16. წინადადებაში უარყოფითი ნაცვალსახელების გამოყენებასთან დაკავშირებულია ორმაგი უარყოფის საკითხი. ორმაგია უარყოფა, როცა უკუთქმის ან აკრძალვის გამოსახატავად წინადადებაში იხმარება როგორც უარყოფითი ნაწილაკები (არ, ვერ, ნუ, აღარ, ველარ), ისე უარყოფითი ნაცვალსახელები (არავინ, ვერავინ, ნურავინ, არაფერი, არავითარი) ან ზმნიზედები (არსად, არასდროს, ვერსად, ვერასდროს, ნურსად, ნურასდროს, არცერთხელ). ცალმაგია უარყოფა, თუ აქედან მხოლოდ ერთ-ერთია გამოყენებული. ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე უარყოფის ორივე ფორმის გამოყენება დასაშვებია[180]. შეადარეთ:

მას **არავინ** მოუსმინა და მას **არავინ არ** მოუსმინა.
ვერაფერი გავაწყვე და **ვერაფერი ვერ** გავაწყვე.
სტუმარს **ნურავინ** შეაწუხებს და სტუმარს **ნურავინ ნუ** შეაწუხებს.

ორმაგი უარყოფის უმთავრესი დანიშნულებაა უარყოფის უფრო ექსპრესიულად გადმოცემა. „ამდენად იგი სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება, მისი ხმარება ავტორის სუბიექტურ სტილზეა დამოკიდებული...“[181]

მაგრამ ზოგ შემთხვევაში ორმაგი უარყოფის გამოყენება აუცილებელია. კერძოდ:

ა) როცა უარყოფითობას გამოხატავენ ნაცვალსახელები: არცერთი, ვერცერთი, ნურცერთი და ზმნიზედები: არასგზით, არაფრის დიდებით.

არცერთი სიტყვა **არ** დამცდენია / მხოლოდ იმისთვის, რომ ლექსი მეთქვა (ტიციან ტაბიძე).
ვერცერთი მწერალი **ვერ** განერიდება თანადროულობას.
დაე **ნურცერთ** თქვენგანს **ნუ** ეყოლება ბიწიერი მეგობარი („წმინდა სწავლებანი“). **არაფრის დიდებით** არ თანხმდება.

---

[180] ნ ი კ ა ნ დ რ ო ბ ა ს ი ლ ა ი ა, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, გვ. 255.

[181] გ ი ო რ გ ი შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე, ქართული სწორმეტყველების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1980, გვ. 66.

ბ) როცა უარყოფით ნაცვალსახელს (ან ზმნიზედას) დაერთვის ნაწილაკი **-ც**:

> **არავინაც არ** მოიწვიეს. **ვერაფერსაც ვერ** მათქმევინებ. **არაფერსაც არ** აპირებენ. **არსადაც არ** წავალ.

გ) როცა უარყოფითი ნაცვალსახელი მსაზღვრელად გვევლინება (ამ დროს უარყოფითი სიტყვები ერთმანეთისგან გათიშულია):

> **არავითარი** სხვა სამშობლო ამაზე მეტი **არ** გამაჩნია.
> (მურმან ლებანიძე).
>
> ეკლესია არის ღვთისგან დაარსებული და **ვერავითარი** მიწიერი ბიწება **ვერ** მისწვდება მას (ილია II).

დ) როცა უარყოფითი ნაცვალსახელი (ან ზმნიზედა) გათიშულია უარყოფითი ნაწილაკისაგან:

> **არავინ** ისე მამაცად **არ** იბრძვის სხვის ომში, როგორც სულელი (კონსტანტინე გამსახურდია).

ე) როცა უკუთქმით წინადადებაში ჯერ შემასმენელია და შემდეგ – უარყოფითი ნაცვალსახელი (ან ზმნიზედა):

> **სწორია: არ** ჩანს **არავინ**. **ვერ** დამაყვედრის ლუკმას **ვერავინ** (ფრიდონ ხალვაში).
>
> **მაგრამ: არავინ** ჩანს ან **არავინ არ** ჩანს. **ვერავინ** დამაყვედრის ლუკმას ან **ვერავინ ვერ** დამაყვედრის ლუკმას.

ყოველივე ზემოთქმული ეხება უარყოფით ზმნიზედასაც.

> **სწორია:** ასეთი გუნდი საქართველოს **არცერთხელ არ** უნახავს. **არსადაც არ** წავალ. **არსად** ისე **არ** მღერიან როგორც აქ, ამ ქვეყანაში (გალაკტიონი).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ერთ წინადადებაში უნდა გამოვიყენოთ ერთი ჯგუფის უარყოფითი ნაწილაკები და ნაცვალსახელები (ან ზმნიზედები): არავინ არ, ვერავინ ვერ, ნურავინ ნუ (ასევე: არსად არ, ვერსად ვერ, ნურსად ნუ, არასდროს არ, ვერასგზით ვერ და მისთ.).

> **უხეში სტილისტიკური შეცდომაა**: ვერავინ შეამჩნია: არც დედამ, არც შვილმა.
> ამას არავინ ვერც წარმოიდგენდა.

უნდა იყოს: ვერავინ შეამჩნია: ვერც დედამ, ვერც შვილმა. ამას ვერც ვერავინ წარმოიდგენდა.

17. დეფისით ერთდება ნაცვალსახელის გაორკეცებული ფუძეები:

ჩვენ-ჩვენი, თქვენ-თქვენი, ამდენ-ამდენი, თავ-თავისი (=თითოეულისა ცალ-ცალკე, მოსალოდნელი იყო თავის-თავისი, მაგრამ ფორმა შემოკლებულია), თავ-თავიანთი, რამდენ-რამდენი, ზოგ-ზოგი.

ერთ-ერთი (= ერთი მრავალთაგანი) ნორმების მიხედვით იწერება დეფისით (იხ. ნორმები, გვ. 156), თუმცა სხვა ფუძეგაორკეცებული რიცხვითი სახელებისაგან განსხვავებით, არ გულისხმობს განაწილებას (შეადარეთ: ორ-ორი).

§ 46. თანდებულიან ნაცვალსახელთა მართვა

18. ნაცვალსახელებს ბრუნებისას ბევრი თავისებურება ახასიათებთ. მაგ., I პირის ნაცვალსახელი **მე** სახელობითში, მოთხრობითსა და უთანდებულო მიცემითში უცვლელია, ნათესაობითში, მოქმედებითში, ვითარებითსა და თანდებულიან მიცემითში ენაცვლება კუთვნილებითი ნაცვალსახელთან საერთო ფუძის ბრუნებადი ფორმები, რაც დასტურდება ლიტერატურული ტექსტებით[182].

თვალსაჩინოების მიზნით ვაბრუნოთ არსებითი სახელი და ჩავანაცვლოთ I და II პირის ნაცვალსახელებით.

დანართი № 42

სახ.	კაც-ი (ხატავს)	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მოთხრ.	კაც-მა (დახატა)	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მიც.	კაც-ს (დაუხატავს)	მე	შენ	ჩვენ	თქვენ

[182] ლ ე ი ლ ა შ ა ლ ვ ა შ ვ ი ლ ი, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმებისათვის, გვ. 49-62.

	კაც-სა-ვით	ჩემ-სა-ვით	შენ-სა-ვით	ჩვენ-სა-ვით	თქვენ-სა-ვით
	კაც-ზე	ჩემ-ზე	შენ-ზე	ჩვენ-ზე	თქვენ-ზე
	კაც-თან	ჩემ-თან	შენ-თან	ჩვენ-თან	თქვენ-თან
ნათ.	კაც-ის(ა)-თვის	ჩემ-თვის	შენ-თვის	ჩვენ-თვის	თქვენ-თვის
	კაც-ის(ა)-გან	ჩემ-გან	შენ-გან	ჩვენ-გან	თქვენ-გან
მოქმ.	კაც-ით (ამაყობს)	ჩემ-ით	შენ-ით	ჩვენ-ით	თქვენ-ით
	კაც-იდან (დაიწყო)	ჩემ-იდან	შენ-იდან	ჩვენ-იდან	თქვენ-იდან
ვით.	კაც-ად (იქცა	ჩემ-ად	შენ-ად	ჩვენ-ად	თქვენ-ად
	კაც-ამდე (მიაღწია)	ჩემ-ამდე	შენ-ამდე	ჩვენ-ამდე	თქვენ-ამდე
წოდ.	კაც-ო	–	შენ, შე	–	თქვენ, თქვე

შენიშვნა: შე და **თქვე** ფორმები იხმარება წოდებითში დასმულ სახელთან ერთად: **შე** კაი კაცო, **თქვე** დალოცვილებო.

19. მიცემითი ბრუნვის ცალკე მდგომი თანდებულები **შორის** და **შუა** დაერთვის I და II პირის ნაცვალსახელების უსანო ფორმებს.

სწორია: ჩვენ [და არა: ჩვენს] შორის/შუა, თქვენ შორის/შუა, ჩვენ და თქვენ შორის/შუა, მე და შენ შორის/შუა, მე და თქვენ შორის/შუა, შენ და ჩვენ შორის/შუა.

თუ **მე** მეორე ადგილზე გადაისმის, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეენაცვლება მას **ჩემ**:

შენ და **ჩემ** შორის/შუა, **თქვენ** და **ჩემ** შორის/შუა[183].

20. **-ზე** და **-ში** თანდებულების დართვისას ფონეტიკური პროცესის შედეგად იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანი **-ს** (ზოგ-ს-ზე ⇒ ზოგ-ზე, ყველა-ს-ზე ⇒ ყველა-ზე). გამონაკლისია **იგი** და **ვინ** (ან **ვინ-ით** დაბოლოებული) ნაცვალსახელების ფორმები:

---

[183] ნორმები, გვ. 123.

იგი – მა-ს-ზე, მა-ს-ში (შეადარეთ ის – იმა-ზე, იმა-ში), ვინ – ვი-ს-ზე, ვი-ს-ში, არავინ – არავი-ს-ზე, არავის-ში.

21. **-ზე**-თანდებულიან ფორმაზე **-ც** ნაწილაკის დართვისას აღდგება ამ თანდებულის ძველებური სახეობა **ზედა** (**-ვე**-ს დართვისას – **-ზედ**). ამჟამად დასაშვებია როგორც ძველი, ისე ახალი ფორმა[184]:

მას-ზედა-ც და მას-ზე-ც, ამა-ზედა-ც და ამა-ზე-ც, თქვენ-ზედ-ვე და თქვენ-ზე-ვე.

-ში-თანდებულიან ფორმაზეც **-ც** ნაწილაკის დართვისას შეიძლება იხმარებოდეს **შია** სახეობაც: **ამაშიც** და **ამაშიაც**. ამათგან უპირატესობა უნდა მიეცეს პირველს[185].

22. I და II პირის ნაცვალსახელებს ნათესაობითში არ დაერთვის ბრუნვის ნიშანი (ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ), ამიტომ **ს** ზედმეტია თანდებულიან ფორმებში ჩემსკენ, შენსკენ, ჩემს მიერ, შენს მიერ.

სწორია: ჩემკენ, შენკენ, ჩვენკენ, თქვენკენ, ჩემ მიერ, შენ მიერ, ჩვენ მიერ, თქვენ მიერ, ჩემ გამო, ჩემ გარდა, შენ გარდა, ჩვენ გარდა, თქვენ გარდა, ჩემ მიმართ, შენ მიმართ, ჩვენ მიმართ.

იგივე წესი მოქმედებს, როცა პირის ნაცვალსახელს დაერთვის გათანადებულებული ზმნიზედა.

სწორია: ჩემ წინ, ჩემ გვერდით, ჩემ შემდეგ, შენ გასწვრივ, შენ უკან, შენ თვალწინ, ჩვენ ირგვლივ, ჩვენ წინაშე, ჩვენ ცხვირწინ, თქვენ გარშემო, თქვენ ფეხქვეშ.

გამონაკლისია ძველი ქართულიდან მომდინარე „გაქვავებული“ გამოთქმები:

ჩემს იქით, შენს იქით, ჩვენს იქით, თქვენს იქით (ნორმები, გვ. 122).

23. **ჩვენ** და **თქვენ** ნაცვალსახელებს მრავლობითის ფორმები არ გააჩნიათ. ისინი თვითონ გამოხატავენ მრავლობითს ფუძის

---

[184] ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა რ ა ბ უ ლ ი, ქართული მეტყველების კულტურა, გვ. 107.

[185] ნორმები, გვ. 103.

ცვლილებებით, ამიტომ **-გან**-თანდებულიანი ნანათესაობითარი მართებული ფორმებია **ჩვენ-გან-ი** და **თქვენ-გან-ი** (რაც ნიშნავს ჩვენ შორის ან თქვენ შორის რომელიმეს), და არა ჩვენთაგანი და თქვენთაგანი.

სწორი შესიტყვებებია: არცერთი ჩვენგანი/თქვენგანი; ყოველი ჩვენგანი/თქვენგანი; თითოეული ჩვენგანი/თქვენგანი; ერთი ჩვენგანი/თქვენგანი; ზოგი ჩვენგანი/თქვენგანი; ბევრი ჩვენგანი/თქვენგანი.

მცდარია: თითოეული ჩვენთაგანი, ყოველი თქვენგანი, ვერცერთი თქვენგანი, ასევე: ყველა ჩვენგანი/თქვენგანი, რადგან **ყველა** დაუნაწევრებელ, განუყოფელ სიმრავლეს გულისხმობს.

24. III პირის ნაცვალსახელებს ეწარმოებათ მხოლოდ ნართანიანი მრავლობითი: **ესე-ნ-ი, ეგე-ნ-ი, ისი-ნ-ი, იგი-ნ-ი**. მათ მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმები თანიანი აქვთ: **ამა-თ, მაგა-თ, იმა-თ, მა-თ** (**თ** ბრუნვისა და რიცხვის ნიშანია ერთდროულად), ამიტომ **-გან**-თანდებულიან ნანათესაობითარ ფორმებში ზედმეტია მეორე **თ(ა)**: მათთაგანი, იმათთაგანი.

სწორია: ერთი მათგანი, ზოგი ამათგანი, ყოველი იმათგანი.

25. ძველად გავრცელებული იყო **-და** თანდებული (**-თვის** თანდებულის მნიშვნელობით), რომელიც ნათესაობითი ბრუნვის ფორმას ერთოდა. ამჟამად დაერთვის კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძეს და შემორჩენილია გამოთქმებში: ჩემდა თავად, ჩემდა საბედნიეროდ, ჩემდაუნებურად, შენდა ჭირად, მისდაუნებურად[186], ამისდა მიუხედავად (**თვის** დიალექტებშია **იზა**: შენი გულიზა).

რთული თანდებული **-დამი (და-მი)** დაერთვის პირის ნაცვალსახელებს, მაგ.: ჩემდამი, შენდამი, ჩვენდამი, თქვენდამი და აღნიშნავს მიმართებას (არსებით სახელებთან მის ბადლად გამოიყენება ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმა: ადამიან-ის-ად-მი).

ძველ ქართულში I და II პირში იხმარებოდა **-დამო** (ჩემდამო, შენდამო), III პირში კი – **-დამი**: მათ-დამი, მის-დამი (მისადმიც დასაშვებია). ახალი ქართული პირებს აღარ განასხვავებს[187].

---

[186] ახლა შერწყმულად იწერება: ჩემდაუნებურად, შენდაუნებურად, მისდაუნებურად, ჩვენდაუნებურად, თქვენდაუნებურად, მათდაუნებურად, იხ. მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის თამარ ვაშაკიძის რედაქციით.

[187] ბესარიონ ჯორბენაძე და სხვ. გვ. 102.

I პირის **-და-**თანდებულიანი ნაცვალსახელის ფორმას დაერთოდა **მომართ** თანდებული და აღნიშნავდა იმავეს, რასაც **-დამი**: ჩემდა მომართ, ჩუენდა მომართ. ამჟამად იშვიათად იხმარება[188].

26. გარდა, სხვა თანდებულებისგან განსხვავებით, ზოგჯერ წინ უძღვის სახელს, ზოგჯერ კი მოსდევს. ორივე შემთხვევაში ის იხმარება ნათესაობითთან: **ამის გარდა, გარდა ამისა** (ნორმები, გვ. 122). მაგ.:

> **მის გარდა** ყველა მასწავლებელს ვუყვარდი (აკაკი).
>
> ყველა მოვიდა, **ამის გარდა**. **ამის გარდა** მან სხვა ხელობაც იცოდა.
>
> **გარდა ამისა,** დღეს გაფიცხებული დავიდარაბა აგვიტყდა (ილია).

როგორც „გაქვავებული“ გამოთქმა **გარდა** გვხვდება მიცემითის ფორმასთანაც: **ამას გარდა** (ნორმები, იქვე). მაგ.:

> **ამას გარდა** გადაღმაც გვაქვს კიდევ ადგილები.
> (დავით კლდიაშვილი).
>
> **ამას გარდა,** ეს საკითხი გუშინაც განიხილებოდა (აქ **ამას გარდა** ჩართულია).

27. ზოგჯერ ერთმანეთში ურევენ კუთვნილებით ნაცვალსახელს **თავისი** და III პირის ნაცვალსახელების (ის, იგი, ეს, ეგ) ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს (იმის, მის, ამის, მაგის). **მიერ** თანდებული დაერთვის პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას. მაგ., თუ სახლი აშენებულია III პირის მიერ, უნდა წარმოითქვას და დაიწეროს: სახლი აშენებულია **მის მიერ** [და არა: თავის მიერ].

> **სწორია: მის მიერ** განვლილი გზა ჩვენში ჯერ უვალი იყო.
> (ილია).
>
> კლდის თავზე, **მის მიერ** ამორჩეულ ადგილას, ... ცირცელი ამოვიდა (ვაჟა-ფშაველა).

---

[188] იქვე, გვ. 305.

§ 47. ნაწილაკიან ნაცვალსახელთა მართლწერა

28. ბრუნებისას თავისებურებას იჩენენ **-მე-, -ვე, -ღა-** და **-ღაც(ა)**-ნაწილაკიანი ნაცვალსახელები. თანამედროვე ქართულში გვხვდება მათი ბრუნების სამი სახეობა: ნაწილაკშეხორცებული (ახალი): სახელის ფუძე + ნაწილაკი + ბრუნვის ნიშანი (**რამე**-ს), შეუხორცებელი (ძველი): სახელის ფუძე + ბრუნვის ნიშანი + ნაწილაკი (**რა-ს-მე**) და ნარევი (გარდა-მავალი): სახელის ფუძე + ბრუნვის ნიშანი + ნაწილაკი + ბრუნვის ნიშანი, ანუ ბრუნვის ნიშანი ნაწილაკის წინაც და შემდეგაც (**რა-ს-მე-ს**).

-მე-ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნებისას ძირითად ფორმად მიჩნეულია შეხორცებული სახეობა, დასაშვებია შეუხორცებელი, ხოლო უარყოფილია ნარევი[189].

ვინმე, რამე და **რომელიმე** იხმარება მომავალი დროის გამომხატველ ზმნებთან.

მცდარია: რამე დავხატე, **რომელიმე** წიგნი მომიტანეს, **ვინმე** დავპატიჟე.

სწორია: რამე უნდა დავხატო (ან **რაღაც** დავხატე), **რომელიმე** წიგნს მომიტანენ (ან **რომელიღაც** წიგნი მომიტანეს), **ვინმეს** დავპატიჟებ (ან **ვიღაც** დავპატიჟე).

ვინმე და **რამე** მრ. რიცხვის ფორმებს აწარმოებენ მხოლოდ **-ებ** ბოლოსართით: **ვინმეები, რამეები**, მაგრამ „რამდენადაც მრავლობითის ფორმების ხმარების აუცილებლობა სალიტერატურო ენაში არ იგრძნობა, ეს ფორმები შეიძლება არც ვიხმაროთ“[190].

სახელობით ბრუნვაში **რამე**-ს პარალელურად დასაშვებია **რამ**: ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ქვეყნად ისეთი, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ (უილიამ შექსპირი – „ჰამლეტი“, თარგმანი ივანე მაჩაბლისა).

ნორმებით **რაიმე** დაშვებულია მხოლოდ სახელობითში, თუმცა პრაქტიკულად ყველა ბრუნვაში გამოიყენება.

---

189 ნორმები, გვ. 87.

190 ნორმები, გვ. 88.

დანართი № 43

-მე-ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნება

მხოლოობითი რიცხვი

სახ.	ვინმე	რამე	(// რაიმე)
მოთხრ.	ვინმე-მ	რამე-მ	(// რაიმე-მ)
მიც.	ვინმე-ს	რამე-ს	(// რაიმე-ს)
ნათ.	ვინმე-ს	რამ-ის	(// რაიმე-ს)
მოქმ.	ვინმე-თი	რამ-ით	(// რაიმე-თი)
ვით.	ვინმე-დ	რამე-დ	(// რაიმე-დ)

დასაშვებია: მიცემითში: ვისმე, რასმე, ნათესაობითში: ვისმე, ვისთვისმე, ვისგანმე, რისამე, რისგანმე.

29. -ღა და **-ღაც** ნაწილაკები დაერთვის ვინ და რა ნაცვალსახელებს. აქაც გვხვდება ბრუნების სამი სახეობა. მათგან გაბატონებულია შეხორცებული ვარიანტი (რაღა-ს, რაღაცა-ს).

-ღა-ნაწილაკიანი ნაცვალსახელები უკეცელია, არ გააჩნიათ მრ. რიცხვის ფორმები. ვიღაც(ა) რაღაც(ა) ნაცვალსახელების მრ. რიცხვის ფორმებია: **ვიღაცები (ვიღაც-ვიღაცები)** და **რაღაცები (რაღაც-რაღაცები),** და არა: ვიღაცეები და რაღაცეები. არსებით სახელებთან ერთად ისინი იბრუნვიან როგორც ხმოვანფუძიანი მსაზღვრელები, ე. ი. არ დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს (ვიღაც კაცი, ვიღაც კაცმა, ვიღაც კაცს და ა.შ.; რაღაც ამბავი, რაღაც ამბავმა, რაღაც ამბავს და ა.შ.).

დანართი № 44

-ღა- და -ღაც-ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნება

სახ.	ვიღა (// ვინღა)	რაღა
მოთხრ.	ვიღა-მ	რაღამ
მიც.	ვიღა-ს	რაღა-ს
ნათ.	ვიღა-ს	რაღა-ს
მოქმ.	ვიღა-თი	რაღა-თი
ვით.	ვიღა-დ	რაღად

სახ.	ვიღაცა	რაღაცა
მოთხრ.	ვიღაცა-მ	რაღაცა-მ
მიც.	ვიღაცა-ს	რაღაცა-ს
ნათ.	ვიღაც-ის	რაღაც-ის
მოქმ.	ვიღაც-ით	რაღაც-ით
ვით.	ვიღაცა-დ	რაღაცა-დ

30. **-ვე**-ნაწილაკიანი ნაცვალსახელების ბრუნებისას უნდა გვახსოვდეს, რომ III პირის (ჩვენებითი) ნაცვალსახელები ფუძეს იცვლიან მოთხრობითი ბრუნვიდან. პარალელური ფორმები წარმოიშობა **იგივე**-ს გამოყენებისას. ერთადერთ სწორ ფორმად დატოვებულია შეუხორცებელი (ძველი) წარმოება (**იმა-ს-ვე**, და არა იმავე-ს). მაგრამ შესიტყვებაში **ერთი და იგივე იგივე** გვხვდება შეხორცებული ბრუნების სახით[191].

დანართი № 45

-ვე-ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნება

სახ.	ესვე (// ესევე)	ეგრევე (// ეგევე)	იგივე	–
მოთხრ.	ამანვე	მაგანვე	მანვე	იმანვე
მიც.	ამასვე	მაგასვე	მასვე	იმასვე
ნათ.	ამისვე	მაგისვე	მისვე	იმისვე
მოქმ.	ამითვე	მაგითვე	მითვე	იმითვე
ვით.	ამადვე	მაგადვე	მადვე	ამადვე

სახ.	ერთი	და იგივე	**მაგრამ:**	ერთი	და	იგივე	ამოცანა
მოთხრ.	ერთ-მა	და იმავე-მ		ერთ-მა	და	იმავე	ამოცანამ
მიც.	ერთ-სა	და იმავე-ს		ერთ-სა	და	იმავე	ამოცანას
ნათ.	ერთ-ისა	და იმავე-ს(თვის)		ერთ-ისა	და	იმავე	ამოცანის

[191] ინტერნეტი, ice.ge/new/pages/samples/books/Binder4.pdf თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, გვ. 201.

მოქმ.	ერთ-ითა და იმავე-თი	ერთ-ითა და იმავე	ამო-ცანით
ვით.	ერთ(სა) და იმავე-დ	ერთ(სა) და იმავე	ამოცანად

შენიშვნა: ამ შესიტყვების დაწერილობისას ქართული ენა ავლენს გამარტივების ტენდენციას. ორთოგრაფიული ლექსიკონი და სასკოლო სახელმძღვანელოები მხარს უჭერენ ვითარებითი ბრუნვის ფორმის გამარტივებულ ვარიანტს: ერთ და იმავედ, ერთ და იმავე ამოცანად.

§ 48. ნაცვალსახელი მსაზღვრელად

ნაცვალსახელთა უმრავლესობა მსაზღვრელად გამოიყენება და არსებით სახელთან ერთად ბრუნებისას იჩენს გარკვეულ თავისებურებებს, რაც უშუალოდ დაკავშირებულია მართლწერასთან.

31. პირის ნაცვალსახელებიდან მსაზღვრელებად გამოიყენება **შენ** და **თქვენ** წოდებითი ბრუნვის ფორმით, სადაც მათ თანხმოვანი ეკვეცებათ:

ვაი, მოგონებავ, **შე** საბრალო,
როგორ მტკივდები და ყუჩდები (მეგი მაისურაძე).

მაგრამ აღიარეთ, **თქვე** ულმერთოებო:
ხომ თქვენს სატირალსაც ეტირი?! (შოთა ნიშნიანიძე).

32. ჩვენებითი ნაცვალსახელების მსაზღვრელად გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

ა) ეს, ეგ, ის სახელთან ერთად ბრუნებისას გვხვდება ორნაირი ფორმით: სახელობითის ფორმასთან გვაქვს **ეს, ეგ, ის,** ხოლო დანარჩენ ბრუნვებში – **ამ, მაგ, იმ**:

ეს მთა/მთები, ამ მთამ/მთებმა, მაგ მთამ/მთებმა,
იმ მთამ/ მთებმა.

მაგრამ თუ სახელობითში დასმულ საზღვრულს **-ვით** თანდებული დაერთვის, მასთან მსაზღვრელად გამოიყენება **ეს, ეგ,**

ის ნაცვალსახელების მოთხრობითი, და არა სახელობითი ბრუნვის ფორმა.

ამ ყვავილივით [და არა ეს ყვავილივით], მაგ მთებივით [და არა ეგ მთებივით], იმ ბავშვივით [და არა ის ბავშვივით].

ბ) იგი ნაცვალსახელი მსაზღვრელად გვხვდება მხოლოდ **-ვე**-ნაწილაკდართული:

იგივე კაცი [და არა იგი კაცი] მოვიდა.

გ) ერთმარცვლიანი ჩვენებითი ნაცვალსახელი ზოგჯერ ცალკე სიტყვად აღარ აღიქმის და სხვა სიტყვას უერთდება:

ამჟამად, ამქვეყნად, ამწუთას, ამწამსვე, ამჯერად, იმქვეყნად, იმწამს, იმწამსვე, იმწუთას, იმხანად, იმჯერად.

დ) ჩვენებითი ნაცვალსახელები ცალ-ცალკე იწერება გამოთქმებში:

ესა და ეს (ქალაქი), ესა თუ ის (ქალაქი), ამა და ამ (ამბავმა), ამა თუ იმ (ამბავს).

33. კუთვნილებითი ნაცვალსახელი უმეტესწილად მსაზღვრელად გამოიყენება და არსებით სახელთან ერთად იბრუნვის ისე, როგორც ბოლოთანხმოვნიანი ზედსართავი. ამასთან:

ა) თუ მსაზღვრელადაა **ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი, მათი** კუთვნილებითი ნაცვალსახელი, ნორმის თანახმად, ასეთ მსაზღვრელს მიცემითსა და ვითარებითში უნდა ერთოდეს ბრუნვის ნიშანი **ს** (თუმცა ამ ჩამონათვალში ნაცვალსახელ **მათის** შეტანას მკვლევართა ნაწილი არ იზიარებს და შეიძლება მომავალში ეს ნორმა გადაიხედოს).

ბრუნვის ნიშნის დართვა საჭიროა ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, რათა უსანო ფორმა წინადადების სხვა წევრად არ იქნეს გაგებული. შეადარეთ:

შენ ბავშვს მიხედე და **შენს** ბავშვს მიხედე.

პირველ წინადადებაში **შენ** ქვემდებარეა (II პირის ნაცვალსახელით გამოხატული), მეორეში კი **შენს** განსაზღვრებაა (კუთვნილებითი ნაცვალსახელით გამოხატული).

ბ) წოდებითი ბრუნვის ფორმა მხოლოდ ორ კუთვნილებით ნაცვალსახელს ეწარმოება. ესენია **ჩემი** და **ჩვენი**:

> **ჩემო** თვალნათელო, **ჩემო** სანატრელო,
> ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო (მერმან ლებანიძე).
>
> მამაო **ჩვენო**, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი... („სახარება“).

შენი და **თქვენი** წოდებითს ვერ აწარმოებენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუსული ენის ზეგავლენით მიღებულ ფორმებს: თქვენო აღმატებულებავ, თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ (გვხვდება თარგმნილ ლიტერატურაში)[192].

დანართი № 46

სახ.	ჩემ-ი	(შენ-ი/ჩვენ-ი/თქვენ-ი)	სახლ-ი
მოთხრ.	ჩემ-მა	(შენ-მა/ჩვენ-მა/თქვენ-მა)	სახლ-მა
მიც.	ჩემ-ს	(შენ-ს/ჩვენ-ს/თქვენ-ს)	სახლ-ს
ნათ.	ჩემ-ი	(შენ-ი/ჩვენ-ი/თქვენ-ი)	სახლ-ის
მოქმ.	ჩემ-ი	(შენ-ი/ჩვენ-ი/თქვენ-ი)	სახლ-ით
ვით.	ჩემ-ს	(შენ-ს/ჩვენ-ს/თქვენ-ს)	სახლ-ად
წოდ.	ჩემ-ო	(ჩვენ-ო)	სახლ-ო

სახ.	მის-ი	ძმა	მათ-ი	აზრ-ი
მოთხრ.	მის-მა	ძმა-მ	მათ-მა	აზრ-მა
მიც.	მის	ძმა-ს	მათ-ს	აზრ-ს
ნათ.	მის-ი	ძმ-ის	მათ-ი	აზრ-ის
მოქმ.	მის-ი	ძმ-ით	მათი-	აზრ-ით
ვით.	მის	ძმა-დ	მათ-ს	აზრ-ად
წოდ.		—		—

შენიშვნა: მისი (ასევე — **თავისი**) ნაცვალსახელის მიცემითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმებში მოსალოდნელი იყო ორი **ს**: **მისს (თავისს)**, მაგრამ ბრუნვის ნიშანი დაიკარგა ერთმანეთის გვერდით ერთნაირი თანხმოვნების მოხვედრის გამო[193].

---

[192] აკაკი შანიძე, თხზულებანი III, გვ. 101.

[193] ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა რ ა ბ უ ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 118.

გ) პირდაპირი წყობისას (მსაზღვრელი + საზღვრული) ნართანიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს მსაზღვრელი რიცხვში არ შეეთანხმება[194]:

სახ.	ჩვენი მოძმენი,
მოთხრ.	ჩვენ მოძმეთ
მიც.	ჩვენ მოძმეთ // ჩვენს მოძმეთ
ნათ.	ჩვენ მოძმეთ
მოქმ.	—
ვით.	—
წოდ.	ჩვენო მოძმენო

შებრუნებული წყობისას (საზღვრული + მსაზღვრელი) ნართანიან მრავლობითში დასმული საზღვრული ყოველთვის ითანხმებს მსაზღვრელს:

მოძმე-ნ-ი ჩვენ-ნ-ი, მოძმე-თ(ა) ჩვენ-თ(ა), მოძმე-ნ-ო ჩვენ-ნ-ო.

დ) თავისი თუ მისი?

თუ საგანი (ან მოქმედება) სუბიექტს (მოქმედს) ეკუთვნის ან მისგან გამომდინარეობს, მსაზღვრელად იხმარება კუთვნილებითი ნაცვალსახელი **თავისი**:

ნინომ მეგობარს **თავისი** წიგნი მიუტანა (წიგნი ნინოსია).

თუ საგანი სხვას (გარეშე პირს) ეკუთვნის, მაშინ უნდა ვიხმაროთ **მისი**:

ნინომ მეგობარს **მისი** წიგნი მიუტანა (წიგნი მეგობრისაა ან გარეშე პირისა).

როდესაც გრამატიკული სუბიექტი სხვაა, ხოლო რეალურად მოქმედი — სხვა, ნაცვალსახელი **თავისი** უკავშირდება რეალურ მოქმედს[195]:

შემოსეულმა მტერმა გადააწყვეტინა ბაკურს **თავისი** ცოლ-შვილის ამოწყვეტა.

---

[194] ნორმები, გვ. 146.

[195] თ. ს ი მ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ნაცვალსახელის სწავლება სკოლაში, თბ., 1958, გვ. 61.

ამ წინადადებაში ზმნით გამოხატული სუბიექტი მტერია, მაგრამ თავისი ცოლ-შვილის მიმართ ბაკურმა უნდა იმოქმედოს (ამოწყვიტოს), ამიტომ მსაზღვრელად გამოვიყენეთ **თავისი**.

შუშანიკი ამხნევებდა **მისი** ბედით შეწუხებულ ხალხს.

მართალია, ქვემდებარე (სუბიექტი) შუშანიკია, მაგრამ ხალხისათვის, რომელიც შეწუხდა, შუშანიკის ბედი **მისი** ბედია, და არა თავისი. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც ყურადღება გამახვილდა სახელზმნით გადმოცემულ წევრზე (შეწუხებული).

ძველად **თავისი** გამოხატავდა ყველა პირის (ჩემი, შენი, მისი) კუთვნილებას, რაც შემორჩენილია დიალექტებში. მაგ.:

კარგადაც დამიწყალობნე,
გამიმეტებავ მისთვინა,
როგორც უნდომლად მოკლულის
თავის ლამაზის ძმისთვინა (ვაჟა-ფშაველა).

აქ **თავის** უნდა გავიგოთ, როგორც **ჩემი**.

ამრიგად, თავისი მსაზღვრელად გამოიყენება მაშინ, თუ საუბარია III სუბიექტური პირის კუთვნილებაზე.

სწორია: ყველას უყვარს თავისი სამშობლო, მაგრამ: ყველას გვიყვარს ჩვენი სამშობლო (ამ წინადადების სრული სახეა: ჩვენ, ყველას, გვიყვარს ჩვენი სამშობლო).

ე) **თავისი** და **მისი** ნაცვალსახელების მიცემითი ბრუნვის ფორმებია **თავისას** და **მისას**. ასეთივე ფორმები აქვთ მათ განმარტოებული მსაზღვრელის როლში. მაგ.:

ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა:
იწვა გალაკტიონი და **თავისას** ფიქრობდა.
(მურმან ლებანიძე).

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ამ ფორმათა ანალოგიითაა შექმნილი ჩემსას, შენსას და მისთ[196]. მაგ.:

მე **ჩემსას** ვიტყვი, შენ – **შენსას**.

---

[196] ლ ე ო კ ვ ა ჭ ა ძ ე, ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981, გვ. 211.

ამ წინადადებაში საზღვრული გაუჩინარებულია, მაგრამ იგულისხმება (მე ჩემს სათქმელს ვიტყვი...). ზემოთ ჩამოთვლილი ნაცვალსახელები დამოუკიდებლად ხმარებისას ზმნიზედის მნიშვნელობას იძენენ:

წავიდეთ ჩემსას (// ჩემსა), ჩვენსას (// ჩვენსა), შენსას (// შენსა), თქვენსას (// თქვენსა).

ვ) თავისი ხშირად ტავტოლოგიურ შესიტყვებას ქმნის (ტავტოლოგია არის იმავეს გამეორება სხვა სიტყვებით, რაც უარყოფითი ენობრივი მოვლენაა).

მცდარია: თავისი ავტობიოგრაფია/ავტოპორტრეტი/ავტოგრაფი, თავისი თანაქალაქელი/თანასოფლელი და მისთ.

ზ) ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენ თუ თავის საქმეს?

თავიანთი კუთვნილებითი ნაცვალსახელია და ნიშნავს **მათს** კუთვნილს, ბევრის კუთვნილს (ამავე დროს ეს ბევრი სუბიექტი უნდა იყოს). როგორც აღნიშნავენ, ნაცვალსახელი **თავიანთი** ძველ სალიტერატურო ქართულს არ ჰქონია. ის მე-19 საუკუნიდან შემოდის დიალექტებიდან და დამკვიდრებას ლამობს, „თუმცა ამის აუცილებლობა ყოველთვის არ ჩანს, ვინაიდან **თავის** ნაცვალსახელი ითავსებს მრავლის (ბევრის) კუთვნილების ფუნქციასაც: **მათ** უყვართ **თავისი** სამშობლო, **ისინი თავის** საქმეს აკეთებენ“[197].

შეიძლება ითქვას, რომ ფორმა **თავიანთი** ამჟამად უკვე დამკვიდრებულია და მრავლობითში იხმარება ისეთ სიტუაციაში, როცა მხოლობითში უპირისპირდება ნაცვალსახელი **თავისი**[198]. მაგ.:

მუშა თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ: **მუშები თავიანთ** საქმეს აკეთებენ.

ყველა თავის ოჯახს დაუბრუნდა, მაგრამ: **ყველანი თავიანთ** ოჯახებს დაუბრუნდნენ.

თუ სუბიექტი კრებითი სახელია, მასთანაც **თავისი** გამოიყენება:

ხალხი **თავის** მომავალზე ფიქრობდა.
მრევლი გაოცებული უსმენდა **თავის** მოძღვარს.

---

197 ქსკს, წიგნი VII, გვ. 165.

198 იქვე, გვ. 166.

თავ-თავისი და **თავ-თავიანთი** გამოხატავენ თითოეულის კუთვნილებას ცალ-ცალკე.

სწორია: სამივემ **თავ-თავისი** ოჯახი მოიკითხა.
ყველამ **თავ-თავისი** ჩანთა აიღო.
მუშები **თავ-თავიანთ** სამუშაო ადგილებს დაუბრუნდნენ.

34. მსაზღვრელად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სიმრავლის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი. თუ ის განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელია, საზღვრული დაისმის მხოლოობით რიცხვში. ასეთი ნაცვალსახელებია: ჩვენებითი: ამდენი, მაგდენი, იმდენი; განსაზღვრებითი: ყველა, ყოველი, ყოველივე, ყველაფერი, თითოეული, სხვადასხვა; კითხვითი: რამდენი; განუსაზღრელობითი: ზოგი, ზოგიერთი, რამდენიმე.

სწორია: ყველა ბავშვი, ყოველი ადამიანი, თითოეული მოსწავლე, სხვადასხვა წიგნი, ზოგი კაცი, რამდენიმე ქალი;

და არა: ყველა ბავშვები, სხვადასხვა წიგნები და მისთ.

შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ **ცალკეული** აღნიშნავს განუსაზღვრელ სიმრავლეს, ამ ნაცვალსახელით შედგენილ შესიტყვებებში „ამ შესიტყვებათა სიზუსტის დასაცავად ჯობს, გამონაკლისის სახით, საზღვრული მრ. რიცხვში ვიხმაროთ[199]. მაგ.: კასტელის ჩანახატებში შეიძლება საქართველოს ისტორიის **ცალკეული ეპიზოდების** გაცოცხლება.

სიმრავლის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი საზღვრულთან ერთად იბრუნვის როგორც შესაბამისი ფუძის მსაზღვრელი.

დანართი № 47

სახ.	ყველა	ბავშვი	ყოველ-ი	კაც-ი
მოთხრ.	ყველა	ბავშვმა	ყოველ-მა	კაც-მა
მიც.	ყველა	ბავშვს	ყოველ	კაც-ს
	ყველა	ბავშვსავით	ყოველ	კაც-ს(ა)-ვით
	ყველა	ბავშვთან	ყოველ	კაც-თან
	ყველა	ბავშვს/ში	ყოველ	კაც-ს/ში

[199] ნორმების ბიულეტენი № 3, გვ. 61.

ნათ.	ყველა	ბავშვის	ყოველი	კაც-ის
	ყველა	ბავშვის(ა)-თვის/გან	ყოველი	კაც-ის(ა)-თვის/გან
მოქმ.	ყველა	ბავშვით	ყოველი	კაც-ით
	ყველა	ბავშვიდან	ყოველი	კაც-იდან
ვით.	ყველა	ბავშვად	ყოველ	კაც-ად
	ყველა	ბავშვამდე	ყოველ	კაც-ამდე

§ 49. ნაცვალსახელის ადგილი არაერთგვარმსაზღვრელიან შესიტყვებაში

35. თუ არაერთგვარი ატრიბუტული მსაზღვრელებიდან ერთერთი ნაცვალსახელია, ხოლო მეორე – ან ზედსართავი, ან მიმღეობა, ან რიცხვითი სახელი, პირველ ადგილზე ყოველთვის ნაცვალსახელი დაისმის (თუ სხვანაირი წყობა სტილისტიკური საჭიროებით არ არის გამოწვეული). მაგ.:

საქართველო იყო **მათი უწმინდესი** სახელი.
(ლადო ასათიანი).
მაინც **ეს ერთი** თეთრონი რა გულსაკლავად ჭიხვინებს...
(ლადო ასათიანი).
არ მავიწყდება **მისი გაბრწყინებული** თვალები.

თუ მიმღეობას თავისი ამხსნელი (ან ამხსნელები) ახლავს, მან შეიძლება პირველ ადგილზე გადაინაცვლოს:

სიხარულისგან გაბრწყინებული მისი თვალები არ მავიწყდება.

36. თუ მსაზღვრელებად სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელებია, ჯერ იწერება ჩვენებითი, შემდეგ–კუთვნილებითი ან განუსაზღვრელობითი:

მე ვეტრფი... **ამ ჩემს** პატარა ძველთაძველ მამულს...
(ლადო ასათიანი).

ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე,
დახურული მაქვს გული როგორც საკანი რამე.
(გალაკტიონი).

ან ჯერ იწერება განსაზღვრებითი, შემდეგ –კუთვნილებითი:

„ძმად“ მოსული **ყველა შენი** მტერი
არის მხოლოდ შენი ფეხის მტვერი.

37. სიტყვათშეხამებაში (სინტაქსურ წყვილში) ნაცვალსახელი იშვიათად გეევლინება გაბატონებულ წევრად. ქართულისათვის არაბუნებრივი შესიტყვებაა **ყველა ეს**, რომელიც პირდაპირი თარგმანია რუსული გამოთქმისა „всё это“. აქ ერთ-ერთი ნაცვალსახელი ზედმეტია.

ზეპირმეტყველებაში ხშირად გეხვდება აგრეთვე სიტყვათშეხამება **ეს ყველაფერი**:

ეს ყველაფერი აისახა ჩვენს ცხოვრებაზე;
ამ ყველაფერმა თავი მოგვაბეზრა.

უმჯობესია: ყოველივე ეს აისახა ჩვენს ცხოვრებაზე. **ყოველივე ამან** თავი მოგვაბეზრა[200].

უკუქცევით ნაცვალსახელს **თავი** შეიძლება მსაზღვრელად ახლდეს კუთვნილებითი ნაცვალსახელი: „თქვენმა სიძემ გაახლათ **ჩემი თავი**, ბიძინა ჩოლოყაშვილმა“. მაგრამ კუთვნილებითი ნაცვალსახელის ნაცვლად არ შეიძლება კუთვნილების გამომხატველი არსებითი სახელის ჩასმა: **ამხანაგის თავი** გაახლათ[201].

38. თუ ნაცვალსახელი მართული მსაზღვრელის თანამსაზღვრელია, მისი ადგილი მერყეობს. კერძოდ:

ა) თუ მართულმსაზღვრელიანი შესიტყვება გამოხატავს მასალას, დანიშნულებას ან წარმომავლობას, ის არ გაითიშება და მსაზღვრელი ნაცვალსახელი მის წინ დაისმის[202]. მაგ.:

შორია კრწანისი, დრო წაგებულია, **ის ოქროს საწმისი** გატაცებულია (ოქროს გამოხატავს მასალას), და არა: ოქროს ის საწმისი.
ამ კედლის საათმა წუხელ არ დამაძინა (კედლის გამოხატავს დანიშნულებას), და არა: კედლის ამ საათმა.

---

[200] მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის თამარ ვაშაკიძის რედაქციით, გვ. 173.

[201] ა კ ა კ ი დ ა ვ ი თ ი ა ნ ი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973, გვ. 419.

[202] ლ ი ა ლ ე ჟ ა ვ ა, ქსკს, წ. I. გვ. 81.

ყველა მთის მდინარე სწრაფია (მთის გამოხატავს წარმომავლობას), და არა: მთის ყველა მდინარე.

ბ) თუ მართულმსაზღვრელიანი შესიტყვება კუთვნილების შინაარსს გადმოსცემს, ნაცვალსახელი, სხვა მეტყველების ნაწილებისაგან განსხვავებით, გვხვდება როგორც პირველ, ისე მეორე ადგილზე. მაგ.:

ნაცვალსახელი პირველ ადგილზეა:

ეს მშობლიური ქარია **ჩვენი ალგეთის ველების**
თუ სუნთქვა ქარბუქიანი ფაფარაყრილი მერნების?
(ლადო ასათიანი).

ამდენი მგელთა ყმუილი უამბოდ არ ჩაივლისო.
(ანდაზა).

მეორე ადგილზე დაისმის განსაზღვრებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები:

იმ სოფლის ყველა მცხოვრები ბღუკი იყო.
ხელში **ნეკერჩხლის რამდენიმე ფოთოლი** ეჭირა.

ზოგჯერ აუცილებელი ხდება ჩვენებითი ნაცვალსახელის მეორე ადგილზე დასმა:

დედა დააეჭვა შვილის **ასეთმა** დუმილმა.

§ 50. კომპოზიტის მართლწერა

კომპოზიტი არის რთული ფუძის მქონე სიტყვა. ის შეიძლება მივიღოთ ორნაირი გზით:

ა) ფუძის გაორკეცებით: ლუღლუღი, ხევხუვი, სხვადასხვა, დიდ-დიდი, ქუჩა-ქუჩა;

ბ) სხვადასხვა ფუძის შეერთებით: სვე-ბედი, ტყე-ველი, მესხეთ-ჯავახეთი, ავლა-ჩავლა, თუშ-ფშაველ-ხევსური, ანეკი-ბანეკი. ასევე: ახალგორი, ორწერტილი, თვალჭრელი, თერგდალეული, ცხრაკლასდამთავრებული, ორმხრივშეღებილი; ასევე: უფლისციხე, ღვთისმშობელი, მზეთამზე, კირითხურო, ძმადნაფიცი.

სიტყვათა შეერთების რიგი ასეთია: ჯერ იწერება:

• **მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვა**: და-ძმა, დედალ-მამალი, დედ-მამა, დედობილ-მამობილი, სიდედრ-სიმამრი, ქალ-ვაჟი, მაგრამ: მეფე-დედოფალი, ნეფე-პატარძალი;

• **მოკლე სიტყვა**: ბალ-მასკარადი, ბროლ-მინანქარი, ზნე-ჩვეულება, კარ-ფანჯარა, შობა-ახალწელიწადი, ხოხა-ახალუხი, ცივ-გომბორი (მთებია), ჯამ-ჭურჭელი, პურ-ღვინო; ტოლბიჭები, წესწყობილება, ჭვირნიშანი;

• **ხმოვანფუძიანი სახელი**: გუდა-ნაბადი, დედა-შვილი, მთა-ბარი; ერბოკვერცხი;

• **რიცხვითი სახელი**: ერთგულება, მრავალწერტილი, ნახევარწიწილა, ორღობე, პირელსაწყისი.

მიმღეობა უმეტესწილად კომპოზიტის ბოლოშია:

ავტომრბოლელი, გულანთებული, თვალებ-
აციმციმებული, თმაწვერულვაშგათეთრებული.

კომპოზიტის მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

რთული ფუძის მქონე სიტყვის შემადგენელი ორი ან მეტი კომპონენტი, როგორც წესი, ერთდება დეფისით ან უდეფისოდ.

§ 51. დეფისიანი შეერთება

კომპოზიტი ფორმდება დეფისით, თუ აკმაყოფილებს ორ პირობას:

ა) შეერთებულია ერთი და იგივე მეტყველების ნაწილი და

ბ) ორ- ან მეტმნიშვნელობიანია (ე. ი. მრავალცნებიანია).

ასეთი კომპოზიტის რთული ფუძის მნიშვნელობა უდრის შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს (ეს არ ეხება რიცხვით სახელს), რაც იმას ნიშნავს, რომ შეერთების შემდეგ თითოეული კომპონენტი ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. მაგ., **დედა-შვილი** გულისხმობს დედასაც და შვილსაც, **დედამიწა** კი – მხოლოდ ერთ საგანს.

როგორ შევამოწმოთ კომპოზიტი ერთმნიშვნელობიანია თუ ორ- ან მეტმნიშვნელობიანი? დეფისიანი კომპოზიტის ნაწილებს (კომპონენტებს) შორის ივარაუდება **და** კავშირი, ამიტომ დეფისიანი რთული ფუძე შეიძლება შეიცვალოს **და**-კავშირიანი სიტყვათშეერთებით. თუ ასეთი შენაცვლება შესაძლებელია (ანუ, თუ არ იცვლება სიტყვის მნიშვნელობა), მაშინ კომპოზიტი ორ- ან მეტცნებიანია და, აქედან გამომდინარე, დეფისით უნდა გაფორმდეს.

მაგ., რთულ სიტყვაში **ნიშანწყალი** არ იგულისხმება ნიშანი და წყალი, **ჩარჩოხელშეკრულებაში** – ჩარჩო და ხელშეკრულება, ამიტომ ორივე უდეფისოდ უნდა დაიწეროს.

და-ს ჩასმა შეუძლებელი იქნება სხვადასხვა მეტყველების ნაწილებს შორისაც. მაგ., **წელწვრილი** ვერ შეიცვლება სიტყვებით წელი და წვრილი, **ფრთაგაშლილი** – სიტყვებით ფრთა და გაშლილი, ამიტომ ესენიც შერწყმულად უნდა დაიწეროს.

> **შენიშვნა:** ერთი და იმავე შემადგენლობის კომპოზიტი შეიძლება იყოს ერთ შემთხვევაში ერთცნებიანი, მეორე შემთხვევაში – ორცნებიანი. მაგ., **ცხენირემი** ერთცნებიანია და უდეფისოდ იწერება, თუ **დომბას** აღნიშნავს, მაგრამ ორცნებიანია (**ცხენ-ირემი**), თუ მასში **ცხენი** და **ირემი** იგულისხმება.
>
> ორცნებიან კომპოზიტს (ისევე როგორც ერთცნებიანს) ზმნა-შემასმენელი ყოველთვის მხოლოობით რიცხვში შეეწყობა. მაგ.: სტუმარ-მასპინძელმა საარაკოდ მოილხინა.

დეფისით შეერთებისას წინა სიტყვა (ან სიტყვები) ფუძის სახითაა წარმოდგენილი (იშვიათი გამონაკლისის გარდა).

მაგ.:

> ვარდ-ზამბახი, ტყე-ველი, მიხრა-მოხრა, ქართულ-რუსულ-ინგლისური, **მაგრამ:** დედ-მამა, პატარ-პატარა, აწევ-დაწევა.

> **შენიშვნა:** დეფისიანი კომპოზიტისგან სხვადასხვა აფიქსით ნაწარმოები ახალი სიტყვა შერწყმულად იწერება: იგავ-არაკი ⇒ იგავარაკ**ული**; სტუმარ-მასპინძელი ⇒ სტუმარმასპინძლ**ობა**; ცოლ-შვილი ⇒ ცოლშვილ**იანი**, **უ**ცოლშვილ**ო**; მეტრ-ნახევარი ⇒ მეტრნახევრ**იანი**.

დეფისით ერთდება:

1. სიმრავლის ან ხარისხის გამომხატველი მარტივად გაორკეცებული ფუძეები:

ლამაზ-ლამაზი, შავ-შავი, ხმელ-ხმელი, ორ-ორი, ოთხ-ოთხი, ბევრ-ბევრი, სოგ-სოგი, ჩვენ-ჩვენი, ტკივილ-ტკივილი.

შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ **ერთ-ერთი** გამოხატავს ერთ ცნებას (=ბევრთაგან ერთი რომელიმე), ნორმის მიხედვით დეფისით უნდა შეერთდეს, როგორც ფუძეგაორკეცებული (ნორმები, გვ. 156).

2. არსებითი სახელის ფუძის გაორკეცების შედეგად მიღებული ზმნიზედები (ორივე კომპონენტი იწერება ფუძის სახით):

ადგილ-ადგილ, გვერდ-გვერდ (მაგრამ: გვერდიგვერდ), ნაპირ-ნაპირ, ტყე-ტყე, უბან-უბან, ქუჩა-ქუჩა;

3. ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ფუძეგაორკეცებული ზმნიზედები:

დილ-დილას, დილ-დილით, რიგ-რიგად, რიგ-რიგით, ცალ-ცალად, ცერ-ცერად, წვეთ-წვეთად (მაგრამ: წვეთწვეთობით).

4. სინონიმური მნიშვნელობის ფუძეები:

ალალ-მართალი, ბარგი-ბარხანა, ბედ-იღბალი, გზა-კვალი, ვაი-ვიში, მორთულ-მოკაზმული, ნიშან-თვისება, ძალ-ღონე, წყევლა-კრულვა, ჭირ-ვარამი, ჯანღ-ბურუსი.

5. ანტონიმური (საპირისპირო) მნიშვნელობის ფუძეები:

ავ-კარგი, ასავალ-დასავალი, აქეთ-იქით, აქეთური-იქითური, აღმა-დაღმა, გაღმა-გამოღმა, დღე-ღამე, ზესკნელ-ქვესკნელი, თავ-ბოლო, მეტ-ნაკლებად, მიმატება-გამოკლება, კითხვა-პასუხი, მტერ-მოყვარე, ყოფნა-არყოფნა, ჭორ-მართალი;

6. მნიშვნელობით ერთმანეთთან დაკავშირებული ფუძეები:

ბუკ-ნაღარა, გაზაფხულ-საფხული, დაშლა-დაქუცმაცება, ელვა-ჭექა (მაგრამ: ელჭექი), ზომა-წონა, თვალ-ყური (მაგრამ: თვალყურის დევნება), თოფ-იარაღი, მართლწერა - მართლმეტყველება, მოვლა-დაცვა, ოქრო-ვერცხლი,

სახლ-კარი (მაგრამ: სახლკარ**იანი**), სწავლა-განათლება, ფარ-ხმალი, ქვა-ლოდი (=ქვა და ლოდი), მაგრამ ქვალოდი (= ლოდი ქვა), ყოფა-ცხოვრება, ციხე-ბურჯი, **ციხე-სიმაგრე**[203], წეს-ჩვეულება, ხმა-კრინტი;

ასევე: ანდაზა-გამოცანები, გოგო-ბიჭები, ეკლესია-მონასტრები, თავად-აზნაურები (მაგრამ: თავადაზნაურობა, თავადაზნაურული), მთა-გორები, მუშა-მოსამსახურეები, ჟურნალ-გაზეთები, ქაჯ-ეშმაკები, შენობა-ნაგებობანი, ჩინ-მედლები (იხმარება მხოლოდ მრ. რიცხვში)[204].

7. ერთმანეთის მეზობლად მდებარე გეოგრაფიული ადგილების სახელები:

გურია-სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, ტაო-კლარჯეთი, ფშავ-ხევსურეთი, ქართლ-კახეთი, ელზას-ლოთარინგია.

8. მხოლოდ საპირისპირო მიმართულების ზმნისწინებით განსხვავებული ზმნები. ამასთან, პირველ კომპონენტს ეკარგება პირის, რიცხვის, თემის, მწკრივის ნიშნები, სავრცობი და სხვ.:

აირბენ-ჩაირბენს, გაივლ-გამოივლის, მიინგრევ-მოინგრევა, მიიხედ-მოიხედავს, გადაატარ-გადმოატარებდა, მიედ-მოედება // მიედებ-მოედება, მიყარ-მოყარეს, გადააწერ-გადმოაწერინებს.

9. ამგვარიეე წესით გაერთიანებული მხოლოდ ზმნისწინებით განსხვავებული საწყისები, რომელთა პირველ კომპონენტს, როგორც ორმარცვლიანს, მაწარმოებელი არ ჩამოსცილდება:

გავლა-გამოვლა, მითქმა-მოთქმა, მისვლა-მოსვლა, მიხრა-მოხრა, შეხლა-შემოხლა, ჩასვლა-ამოსვლა.

10. მხოლოდ ზმნისწინებით განსხვავებული ორზე მეტმარცვლიანი საწყისები, რომელთა პირველ კომპონენტს ეკარგება -ა მაწარმოებელი:

გაგზავნ-გამოგზავნა, გაქცევ-გამოქცევა, მიბრუნებ-მობრუნება, მინგრევ-მონგრევა, მიჩეჩ-მოჩეჩა, მიხტომ-მოხტომა;

---

[203] მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის.

[204] მ ი ხ ე ი ლ ჭ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მრავლობით რიცხვში ხმარებული ზოგი არსებითი სახელის შესახებ ქართულში, ქსკს, წიგნი I, გვ. 106-107.

11. სხვადასხვა ზმნისწინიანი მიმღეობები:

გამვლელ-გამომვლელი, მიმსვლელ-მომსვლელი, გადაბმულ-გადმობმული, მიგრეხილ-მოგრეხილი, მიმალ'ულ-მომალ'ული, მიმტან-მომტანი, მიმყვან-მომყვანი.

12. სხვადასხვა ფუძის მქონე ზმნები:

გააციე-გააცხელა, დაწყნარდ-დადუმდა, ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა.

13. ორმაგი გვარები, ფსევდონიმები, სახელები, მეტსახელები:

ბიჩერ-სტოუ, ერკმან-შატრიანი, ერისთავ-ხო'შტარია, ჟოლიო-კიური, მარი-ლუიზა, ნოე-ოთარა (მეტსახელი კაცისა, რომელსაც სახლში ბევრნაირი ცხოველი და ფრინველი ჰყავდა).

14. ახალი მართლწერის ლექსიკონის მიხედვით[205] უკვე დასაშვებად მიიჩნევა ზოგიერთი ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტის უდეფისო დაწერილობა, თუმცა ძირითად ფორმად რატომღაც კვლავ დეფისიანია წარმოდგენილი. ესენია:

გალა-კონცერტი (// გალაკონცერტი), გრან-პრი (// გრანპრი), დე-იურე (// დეიურე), დე-ფაქტო (// დეფაქტო), ვიცე-პრეზიდენტი (// ვიცეპრეზიდენტი), კუნგ-ფუ (// კუნგფუ), პრემიერ-მინისტრი (// პრემიერმინისტრი), წევრ-კორესპონდენტი (// წევრკორესპონდენტი), ჯიუ-ჯიცუ (// ჯიუჯიცუ), ჰეთ-თრიკი (// ჰეთთრიკი).

15. კვლავ დეფისით ფორმდება ორმაგი სახელწოდებები, ე. წ. შერწყმულდანართიანი კომპოზიტები, თუმცა ფაქტობრივად ერთ შინაარსს გამოხატავენ:

აკადემიკოს-მდივანი, გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-მაიორი, გენერალ-პოლკოვნიკი, ექიმ-კონსულტანტი, ექსპერტ-ადმინისტრატორი, ექსპერტ-კრიმინალისტი, ექსპერტ-ლინგვისტი, მეცნიერ-თანამშრომელი, სახლ-მუზეუმი, ტელეფონ-ავტომატი.[206].

---

[205] მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის თამარ ვაშაკიძის რედაქციით, თბ., 2016.

[206] ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა რ ა ბ უ ლ ი, ქართული მეტყველების კულტურა, გვ. 130 და მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის თამარ ვაშაკიძის რედაქციით.

§ 52. უდეფისო შეერთება

უდეფისოდ იწერება:

1. ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, კერძოდ:

ა) რომელთა ნაწილები მნიშვნელობას მოკლებული მარცვლებია. მაგ.:

ბაჯბაჯი, ბუტბუტი, ბუყბუყი, გიზგიზი, გუზგუზი, კაწკაწი, კისკისი, ლასლასი, ლაქლაქი, ლიკლიკი, ლიფლიფი, ლიცლიცი, ლუღლუღი, ჟივჟივი, რაკრაკი, როხროხი, როყროყი, რუხრუხი, ტიკტიკი, ტურტური, ტუსტუსი, ფუსფუსი, ყაპყაპი, ჩაქჩაქი, ცახცახი, ციმციმი, ძაგძაგი, წივწივი, ჭახჭახი, ჭიკჭიკი, ჭუკჭუკი, ჭუხჭუხი, ხარხარი, ჯაყჯაყი;

ბ) ამავე ტიპის კომპოზიტები, რომელთა ერთ-ერთ ფუძეში შეცვლილია ხმოვანი:

ბაკაბუკი // ბაკიბუკი, დაგადუგი, კნაწაკნუწი, ლაწალუწი, რაკარუკი, სხაპასხუპი, ფაცაფუცი, ფაციფუცი, ჩახაჩუხი, ჩხარაჩხური, ჭახაჭუხი, ჭრაჭაჭრუჭი, ჭყაპაჭყუპი, ჯახაჯუხი;

გ) რომელთა შემადგენელი ერთი ფუძე მნიშვნელობის მქონეა, მეორე კი – არა, რადგან გაორკეცებისას ამ უკანასკნელში შეცვლილია ხმოვანი ან თანხმოვანი სხვა ხმოვნით ან თანხმოვნით ან მეორე ფუძეში დამატებულია თანხმოვანი (ზოგ ევროპულ ენაში ასეთ შემთხვევაში დეფისი იწერება):

ახლომახლო, ახალუხლები, ბალახბულახი, ბინდბუნდი, გიჟმაჟი, ელეთმელეთი (სასაუბრო), ერთურთი, კუჭმაჭი, ნაყარნუყარი, რამერუმე, ფერფური, ქოხმახი, ჩამიჩუმი, ცოტამატა, ჭიაჭუა, ჭრელჭრული, ხურდამურდა;

დ) რომელთა ნაწილებს ცალკე სხვა მნიშვნელობა აქვთ:

თაეთაეი, თვალთვალი, წამწამი;

ე) რომელთა პირველი ნაწილი სახელობითი (სხვა თვალსაზრისით, – მოქმედებითი) ბრუნვის ფორმითაა:

კარიკარ, მალიმალ, ნელინელ, შორიშორ // შორიშორს;

ვ) და კავშირით შეერთებულები, რომელთაც უმეტესწილად სმნისედური მნიშვნელობა აქვთ:

> გზადაგზა, გულდაგულ, დროდადრო, თანდათან, თვალდათვალ, კარდაკარ, კვალდაკვალ, მხარდამხარ, პირდაპირ, ცხენდაცხენ, წამდაწამ, წინდაწინ, წყალდაწყალ, ხანდახან, ხელდახელ, ხმალდახმალ, თავიდათავი;

ზ) მართულმსაზღვრელიანები, რომელთაც აღმატებითი (უფროობითი) ხარისხის მნიშვნელობა აქვთ (განსაკუთრებით – ზედსართავებს):

> ბანისბანი, გულისგული, მეტისმეტი, სულისსული, ღონისღონე, ძველისძველი, ძირისძირი, ჭირისჭირი; ახალთახალი, უფალთუფალი, ბრძენთაბრძენი, გმირთაგმირი, მზეთამზე, მძლეთამძლე, ძველთაძველი[207];

> **შენიშვნა: მეფეთმეფე** კომპოზიტია და შერწყმულად დაიწერება, თუკი მას ხარისხის მნიშვნელობა აქვს: ყველაზე ძლიერი, ყველაზე კარგი მეფე, ხოლო **მეფეთ(ა) მეფე** შესიტყვებაა და ცალ-ცალკე დაიწერება, თუ ის პირდაპირი მნიშვნელობითაა და აღნიშნავს მეფეს, რომელსაც ქვეშევრდომებად სხვა მეფეები ჰყავს[208].

2. სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული კომპოზიტები. ესენია:

ა) ერთი და იმავე მეტყველების ნაწილების შეერთების შედეგად მიღებულები. კერძოდ:

• არსებითი სახელების შეერთებით მიღებული ერთცნებიანი (ერთმნიშვნელობიანი) ფუძეები:

> ავლადიდება, ბებიაქალი, გვარტომი, გულმკერდი, ერბიკვერცხი, თავგზა, თავბედი, იერსახე, კვირადღე, მხარბეჭი, ნიავქარი, ნიშანსვეტი, ნიშანწყალი, პირსახე, პურმარილი, პურღვინო, ქარცეცხლი, ქვაყორე, ძალაუფლება, ხეტყე;

---

[207] მ უ რ მ ა ნ ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ერთი ტიპის გაორკეცებული სიტყვების შესახებ ქართულში, ქსკს, წიგნი XI, გვ. 122-123.

[208] იქვე, გვ. 122.

• **და** კავშირით გაერთიანებული რიცხვითი სახელები ოცდაერთიდან ასამდე:

ოცდაერთი, ოცდაათი, ორმოცდახუთი, სამოცდაათი, ოთხმოცდაცხრამეტი;

ბ) სხვადასხვა მეტყველების ნაწილის შეერთებით მიღებული კომპოზიტები. მათ შორის:

• არსებითი სახელის ფუძეზე მიმღეობის, ზედსართავი სახელის ან რიცხვითი სახელის დართვის შედეგად მიღებული კომპოზიტები, რომლებსაც ახალი, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ:

ადგილსამყოფელი, ასლგადამღები [და არა ქსეროქსი], გულგატეხილი, დრომოჭმული, ენამოქარგული, ენაჩავარდნილი, თავდადებული, თავლაფდასხმული, თვალახვეული, თავქუდმოგლეჯილი, კუდამოძუებული, მხრებჩამოყრილი, ქედმოუხრელი [და არა ქედუხრელი], ფეხაწყობილი, ხელგაშლილი, წილხვდომილი, გულთბილი, გულლომი // ლომგული, გულსავსე, მამაზეციერი, პირნათელი, პურძვირი // პურაძვირი, სულგრძელი, სულიწმიდა, სულსწრაფი, ერთგული, ცხენმალი, ძეხორციელი, ორპირი, ხუთჭიდი;

მათ შორის – ორიგინალური: ანბანისხამა, ცითჩამოქნილი, ვეფხისტყაოშემოკვართული, სულჩასაწობელი (ლაშა გახარია).

• კომპოზიტები, რომელთა შემადგენელი ფუძეები შეერთების შემდეგაც ინარჩუნებენ თავ-თავის ლექსიკურ მნიშვნელობას, მაგრამ აღნიშნავენ საგნის ერთ თვისებას:

ბეჭბრტყელი, გზაწვრილი, გზაჯვარედინი, ენამჭევრი, თვალჭრელი, რქათეთრი, საშუალოსკოლადამთავრებული, ტანმაღალი, ტუჩმსხვილი, შუბლგატეხილი;

• ა-ბოლოსართიანები:

გულყვითელა, ენაჭიკჭიკა, თვალშავა, თვალებბრიალა, კუდქიცინა, პირშუშხა, ყურცქვიტა, ძირტკბილა;

შესაძლოა, არსებითი სახელი ბოლოში იყოს:

თალხკაბა, მრავალწყება, ორლულა, შავჩოხა, წითელლოყა;

ამ ტიპის კომპოზიტებში ფუძისეული **-ა** მქონებლობის **-ა** ბოლოსართს უტოლდება, ამიტომ ეს სახელებიც, როგორც ა-მაწარმოებლიანი ყველა სიტყვა, მხოლოობით რიცხვში უკვეცელია (**თალხაბას** გამო), მრავლობითში – კვეცადი (**თალხაბები**).

• კომპოზიტები, რომლებშიც ატრიბუტული (შეთანხმებული) მსაზღვრელის ფუძე შეზრდილია არსებითი სახელის ფუძეს და შესაბამის გარემოში, შესაძლოა, დამოუკიდებელ სიტყვებად დაიშალონ:

> ავსული, ბრმანაწლავი, დიდმარხვა, თავფურცელი (=წიგნის პირველი, დასაწყისი გვერდი), ლუკმაპური (მაგრამ: ერთი ლუკმა პური), პირველმიზეზი, დედაენა, დედასამშობლო (მაგრამ: დედა ჩიტი, დედა კურდღელი და მისთ.), დიდხუთშაბათი, მუშაკაცი (მაგრამ: მუშა ქალი, მუშა ფუტკარი), სამწერტილი, ტკბილქართული, ტოლბიჭები (=ტოლი ბიჭები), მაგრამ ტოლ-სწორი (=ტოლი და სწორი), ქვაკირი (=დაუშლელი კირი), მაგრამ: ქვა-კირი, შუათითი, შუაკაური, შუაწელი (მდინარისა), მაგრამ: შუა წელი (=შუა წელიწადი), ცრუმეცნიერება, ცრუპატრიოტი, ცრურწმენა, წინასიტყვა // წინათქმა // წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვა // ბოლოთქმა // ბოლოსიტყვაობა.

• ასეულების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები:

> ორასი, სამასი, ოთხასი, ხუთასი, რვაასი, ათასი;

• ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებშიც მსაზღვრელი (კუთვნილებითი ნაცვალსახელი) მეორე ადგილასაა დასმული:

> დედაჩემი, მამაშენი, პაპამისი (პაპამაგისი) ან ბაბუამისი (ბაბუამაგისი), მამიდაჩვენი, ბიძათქვენი, დეიდამისი, დიდედაჩვენი, მაგრამ: ჩემი მამა, ჩემი ბიძა.

3. ორი სხვადასხვა ფორმის სიტყვის შეერთების შედეგად მიღებული კომპოზიტები. კერძოდ:

ა) კომპოზიტები, რომლის პირველი შემადგენელი ნაწილი რომელიმე ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი:

> ბასტიბუბუ, ბერიკაცი, ერთმანეთი, ვაჟიშვილი, ზოგიერთი, კაცადკაცი, ორადორი, პირ(ს)ჯვარი,

თაე(ს)ზარი, ქვითკირი, ხელ(ით)ნაწერი, ერთადერთი, ყოველადმოწყალე, უქმადმყოფი;

მათ შორის – ნათესაობითი ბრუნვის ფორმით (ე. წ. მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები):

ბედისმწერალი, გიორგობისთვე, გუთნისდედა, გულისხმა, გულისთქმა, გულისტკენა, გულისტკივილი, გულისცემა, დისშვილი // დისწული, ვარდისუბანი, თავისმოიმედე, თვისთავი (თვისთავზე), კაცისკვლა, კაცისმკვლელი, კეთილისმყოფელი, მაჯისცემა, მეფისდროინდელი, მზისგული, ნუგეშისცემა, ოჯახისთავი, სახლისკაცი, სიყრმის შვილი, ტანისამოსი (მოსალოდნელი იყო ორი **ს**), ტაშისკვრა, ტაშისმკვრელი, ტყისმცველი, ტყუპისცალი, ღვთისმოშიში, ღვთისშვილნი, ყურისწამღები, ცისკიდური, ცოდნისმოყვარე, ცოლისძმა, წილისყრა, წლისთავი, წყაროსთავი, ჭურისთავი, ხელისგული, ჯვრისწერა (// ჯვარისწერა);

მათ შორის – ორიგინალური: ღვთისენა, ჯავრისქვა (ლაშა გახარია).

ასევე: თანიანი მრავლობითის ფორმით (ემფატიკური -ა ხმოვნით ან მის გარეშე):

ბგერათჩანაცვლება, გემთმისადგომი, კაცთმოყვარე, სასწაულთმოქმედი, სიტყვათშეხამება, სხივთკონა, გულთამხილავი, თვალთახედვა, ჟამთააღმწერელი, ძმათამკვლელი, ჭკუათამყოფელი, ხელთამპყრობელი;

მათ შორის – ორიგინალური: საჩუქართსაქმისმწარმოებელი (გურამ დოჩანაშვილი).

ბ) ბრუნვისნიშანმოკვეცილები (მთლიანად ან ნაწილობრივ):

ბარათაშვილი, გოგირდმჟავა, მიქელაძე, ნავსაშენი, წიგნსაცავი, ხელსახოცი, ხელმომწერი, ხელშემშლელი (მაგრამ: ხელის შემშლელი), ფერიცვალება, დედინაცვალი, მამულიშვილი;

მათ შორის – ორიგინალური: საბაქართული, დედოფალსიტყვა (ლაშა გახარია).

გ) თავისებურად ნაწარმოები **ნაცარქექია** ტიპის კომპოზიტები, რომლებიც გამოხატავენ მრავალგზის მოქმედებას და შინაარსით მოქმედებითი გვარის მიმღეობას უახლოვდებიან:

> ბელტიყლაპია, ბუსიჭერია, დოყლაპია, საქიჭამია, თაგვიჭერია, კაციჭამია, ნამიკრეფია, ნემსიპარია, ნემსიყლაპია, ქარიყლაპია, ჩიტირეკია, ხარიპარია, ჯამიტლეკია;

დ) რთული ზმნები, რომლებიც სახელის ან ზმნასთან დაკავშირებული სხვა მეტყველების ნაწილისა და ზმნის შეერთების შედეგად მიღებული ერთმნიშვნელობიანი სიტყვებია:

> თანავუგრძნობ, ნათელვყოფ, სრულყოფს, უვნებელვყოფ, უსრუნველგიყვია, უარვუყვიარ, ღაღადვყოფთ, ღირსყოფს, შეურაცხყოფ, ძალგვიძს [და არა გვძალუძს], ხელვყოფთ;

ე) ზმნიზედები, რომლებშიც ორივე კომპონენტი საკუთარი ფორმითაა შესული:

> ამასწინათ, ასიათასობით, ბანისბანად, დღესდღეობით [და არა დღესდღეისობით], ერთიათასად, თავისდღეში, თავისთავად, თავისდაუნებურად, კინწისკერით, კისრისტეხით [და არა კისრისმტვრევით], მეტისმეტად, ოქროსფრად, რამსიშორით, შეძლებისდაგვარად, შორიახლოს//შორიახლო, ჩემდათავად, ჩვენდაუნებურად, ცამოწმენდილზე.

4. თავისებური კომპოზიტები, რომელთა ბოლო კომპონენტი ერთი და იგივე სიტყვაა და სიმოკლისათვის მხოლოდ ერთხელ მოჰყავთ. ასეთ შემთხვევაში პირველ ნაწილს (ან ნაწილებს) უნდა ახლდეს დეფისი[209]:

> თბო-. და ელექტროსადგური (მაგრამ: თბოელექტროსადგური), თვალებ- და გონებადაბინდული, რადიო- და ტელეგადაცემები, ტელე- და რადიოწამყვანი (მაგრამ: ტელერადიოწამყვანი), ფოტო- ან ტელეგადაღებები, ორ-, სამ- და ოთხსართულიანი (ან 2-, 3- და 4-სართულიანი) სახლები, **-თან-**, **-ზე-** და **-ში-**თანდებულიანი სახელები.

5. მსაზღვრელიანი კომპოზიტები, რომელთა კომპონენტები (ან კომპონენტი) უცხოური ენებიდან შემოსული სიტყვებია:

---

[209] მ ი ხ ე ი ლ ჭ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქსკს, წიგნი VIII, გვ. 101-105.

ბიზნესგარემო, ბიზნესგეგმა, ბიზნესკურიერი, ბიზნესპარტნიორი, ბიზნესცენტრი, ვიზალიბერალიზაცია, იმიჯმეიკერი, ინტერნეტკაფე, ინტერნეტტელევიზია, მეგაპროექტი (მეგა = 1. დიდი ზომის; 2. უზარმაზარი), მედიაკავშირი, მედიაკომპანია, მედიასიერცე, პიარგეგმა, პოპვარსკვლავი, პოპმუსიკა, პრესატაშე, პრესსამსახური, პრესსპიკერი, პრესცენტრი, როკვარსკვლავი, როკკონცერტი, ფრანსპრესი, ჯაზბენდი, ჯაზორკესტრი, ჯაზფესტივალი[210].

დასაშვებია: გალაკონცერტი (= დიდი საზეიმო კონცერტი), ვებგვერდი (= ქსელური გვერდი), ინტერნეტგაზეთი (= საინტერნეტო გაზეთი), ინტერნეტგამოცემა, ინტერნეტკონკურსი, ინტერნეტმომსახურება, ინტერნეტმომხმარებელი, ინტერნეტსიერცე, პიარმენეჯერი, პიარსააგენტო, სერვისცენტრი[211].

6. უცხოური შესიტყვებანი, რომლებიც ქართულში შერწყმულად იწერება:

აუტოდაფე, ეუნდერკინდი, კორდებალეტი, ვიდეოთამაში, ვიდეოკლიპი, ვიდეორგოლი, ტაიმაუტი, ტრეიდმარკი, შაჰინშაჰი.

როგორც ვხედავთ, კომპოზიტის მართლწერა ეფუძნება ერთ მარტივ წესს: თუ რთული სიტყვა ერთმნიშვნელობიანია (ანუ აღნიშნავს ერთ საგანს, ერთ მოვლენას, ერთ თვისებას), მაშინ ის უდეფისოდ იწერება, თუ ორ- ან მეტმნიშვნელობიანია (ანუ მის კომპონენტებს შორის შეიძლება **და** კავშირის ჩასმა), მაშინ დეფისით ფორმდება. მაგრამ საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ ერთი და იგივე კომპოზიტი ქართულ ორთოგრაფიულ და განმარტებით ლექსიკონებში სხვადასხვაგვარი ფორმითაა წარმოდგენილი: ერთში დეფისითაა გაფორმებული, მეორეში უდეფისოდ წერია, მესამეში – ცალ-ცალკე. ეს განსაკუთრებით ეხება უცხოური ენებიდან შემოსულ სიტყვებს. ბევრი მათგანი მასეხებელ ენაში შესიტყვებაა და, ბუნებრივია, ცალ-ცალკე იწერება. ქართულში კი რატომღაც დეფისითაა წარმოდგენილი. ბევრი ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტი, რომლებიც უცხოურ ენაში

---

[210] მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის და თ ე ა ბ უ რ ჯ უ ლ ა ძ ე, ეროი ტიპის რთულ სიტყვათა დაწერილობისათვის, ქსკს, წიგნი XV, გვ. 9-14.

[211] მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის.

დეფისიანია (რადგან ზოგ შემთხვევაში იქ დეფისის დაწერის სხვა წესი მოქმედებს), ქართულშიც ასეა გაფორმებული, თუმცა ამის საჭიროება არ არის.

დაიმახსოვრეთ:

ჩვენთვის ამოსავალი უნდა იყოს რთული სიტყვის დაწერილობის ძირითადი წესი: ერთმნიშვნელობიანია? – ე. ი. უდეფისოდ იწერება. ამიტომ უდეფისოდ, შერწყმულად ვწეროთ ქვემოთ ჩამოთვლილი ერთცნებიანი კომპოზიტები, რომელთა ნაწილი მასესხებელ ენაში შესიტყვებაა, ნაწილი კი – დეფისიანი სიტყვა:

ვაბანკი, კარტბლანში, მეცოსოპრანო, ნოუჰაუ, პენკლუბი, პინგპონგი, პრიმაბალერინა, სენბერნარი, სკეიტბორდი, სტატუსკვო, ტაიმჩარტერი.

შენიშვნა: ეს კომპოზიტები უკვე უდეფისოდაა წარმოდგენილი ელექტრონულ ორთოგრაფიულ ლექსიკონში (სხვა ლექსიკონებისაგან განსხვავებით).

ტრადიციულად დეფისით გადმოაქვთ უცხოური გეოგრაფიული სახელები, რომლებიც მასესხებელ ენაში ცალ-ცალკე იწერება, თუმცა ამ შემთხვევაშიც შეიძლებოდა გაგვემარტივებინა საქმე და უდეფისოდ, შერწყმულად დაგვეწერა ასეთი კომპოზიტები (მაგ., ასე: **ნიუიორკი, სანტაბარბარა**).

დროა, გადაიხედოს ნორმებით დადგენილი წესი ე. წ. დანართიანი კომპოზიტების დაწერილობისაც (ბევრი მათგანი რუსულიდანაა შემოსული და რუსულის მსგავსად გაფორმებული) და უდეფისოდ დაიწეროს ყველა ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტი. ვისაც ეს ეხება, ახსოვდეს: გამარტივება კეთილი საქმეა.

§ 53. აფიქსოიდებით ნაწარმოები სიტყვები

7. სტრუქტურული თვალსაზრისით ცალკე ჯგუფს ქმნიან საერთაშორისო (ძირითადად ბერძნულ-ლათინური) აფიქსოიდებით ნაწარმოები სიტყვები, რომლებიც უხვად გამოიყენება მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიაში. სამეცნიერო ლიტერატურაში მათ სხვადასხვა კვალიფიკაცია ეძლევა: ზოგი კომპოზიტებად მიიჩნევს, ზოგი – ნაწარმოებ

სიტყვებად, ზოგი კი – გარდამავალ ჯგუფად რთულსა და ნაწარმოებ სიტყვებს შორის (როგნედა ღამბაშიძე).

აფიქსოიდები (=აფიქსის მსგავსი) მასესხებელ ენაში სრულმნიშვნელობიანი სიტყვებია, რომლებიც ტერმინელემენტებად ქცევისას ინარჩუნებენ თავიანთ ლექსიკურ მნიშვნელობას, მაგრამ, ამავე დროს, ითავსებენ აფიქსების ფუნქციას[212]. ისინი დაერთვიან როგორც უცხოურ, ისე ქართულ ძირებს ან სიტყვის თავში (პრეფიქსოიდები), ან ბოლოში (სუფიქსოიდები), ან ორივეგან.

პრეფიქსოიდებია:

აერო- – საჰაერო, საავიაციო: აეროგადაღება, აეროთერაპია, აეროსტატი;

ავტო- – თვით, თავისი: ავტობიოგრაფია, ავტომატი (ცეცხლსასროლი იარაღი), ავტონომია;

ავტო- – საავტომობილო: ავტოდრომი, ავტოკოლონა, ავტომანქანა, ავტოსტრადა, ავტოტრანსპორტი;

გეო- – დედამიწა: გეოდეზია, გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოქიმია, გეოცენტრული;

ავტო- – ავტომატური: ავტოკალამი, ავტომატიკა, ავტომატური, ავტოპილოტი;

ენდო- – შინაგანი: ენდოკარდიტი, ენდოკრინოლოგია, ენდოსკოპი, ენდოსკოპია;

ექს- – 1. თავსართი, აღნიშნავს მოძრაობას შიგნიდან გარეთ. მაგ.: ექსტრადიცია, ექსპატრიაცია, ექსგუმაცია;
2. ყოფილი: ექსმინისტრი, ექსპრეზიდენტი, ექსჩემპიონი;

ექსტრა- – -გარე, ზე-; ფარგლებს გარეთ მყოფობა: ექსტრავაგანტური, ექსტრამოდური, ექსტრაორდინალური;

ვიცე- – მოადგილე, შემცვლელი: ვიცეადმირალი, ვიცეკონსული, ვიცეპრეზიდენტი;

ველო- – ველოსიპედისა, საველოსიპედო: ველოგადარბენა, ველოდრომი, ველოსპორტი, ველოტრეკი;

იზო- – თანაბარი, ერთგვარი: იზოთერმები, იზომერები, იზოტოპები;

ინფრა- – ქვე, ქვეშ: ინფრაბგერა, ინფრასტრუქტურა, ინფრაწითელი (სხივები);

კარდიო- – გულისა: კარდიოგრამა, კარდიოექსპრესი, კარდიოლოგი, კარდიოსკლეროზი;

---

[212] ნინო დათეშიძე, აფიქსოიდთა სიტყვაწარმოებითი ფუნქციები ტერმინოლოგიაში, ქსკს, წიგნი XIII, თბ., 2013, გვ. 155.

კვაზი – თითქოს, ვითომცდა; მოჩვენებითი, არანამდვილი: კვაზიმეცნიერული, კვაზირევოლუციური, კვაზინაწილაკები, კვაზიოპტიკა;

კონტრ- და **კონტრა-** – წინააღმდეგ, საწინააღმდეგო, შემხვედრი: კონტრდარტყმა, კონტრმანევრი, კონტრმარში, კონტრრევოლუცია, კონტრადიქტორული, კონტრადიქცია;

მაკრო- – დიდი, მსხვილი: მაკროკლიმატი, მაკროკოსმოსი, მაკრორელიეფი, მაკროსკოპული;

მეგა- – 1. დიდი: მეგალითი, მეგაპროექტი, მეგაფონი, მეგაშოუ; 2. მილიონჯერ მეტი ძირითად ერთეულზე, რომელსაც მეორე სიტყვა გამოხატავს: მეგავატი, მეგავოლტი, მეგავატსაათი, მეგატონა, მეგაჯოული, მეგაჰერცი;

მიკრო- – 1. პატარა, წვრილი: მიკროავტობუსი, მიკროინფარქტი, მიკროკოსმოსი, მიკრორგანიზმი, მიკრორაიონი, მიკროსკოპი; 2. ძირითადი ერთეულის მემილიონედი ნაწილი: მიკროამპერი, მიკროვატი, მიკროვოლტი; 3. პატარა სიდიდეების შესწავლასთან დაკავშირებული: მიკროანალიზი, მიკრობიოლოგია, მიკროლინგვისტიკა;

მონო- – ერთი: მონოგამია (ერთქორწინება), მონოთეიზმი (ერთღმერთობა), მონოთემატიზმი;

ორთო- – სწორი, პირდაპირი, მართალი: ორთოგრაფია, ორთოდოქსული, ორთოეპია (მართლმეტყველება), ორთოპედია;

პარა- – რამესთან მსგავსება, ან რისამე თანხლება, სიახლოვე ან რისამე გადახრა, დარღვევა: პარადოქსი, პარაენა, პარატაქსი, პარატიფი, პარაფრაზი // პერიფრაზი, პარაფსიქოლოგია;

პერი- – ირგვლივ, ახლოს: პერიკარდი, პერიკარდიტი, პერიმეტრი, პერისკოპი;

პოლი- – ბევრი: პოლიგლოტი, პოლივიტამინი, პოლიართრიტი, პოლიგამია, პოლითეიზმი, პოლიფონია;

რადიო- – 1. რადიოსთან დაკავშირებული: რადიოგადაცემა, რადიოგრამა, რადიოლა, რადიომიმღები, რადიოსიგნალი, რადიოსტუდია, რადისტი; 2. რადიუმთან, რადიოაქტიურობასთან, რადიაციასთან დაკავშირებული: რადიობიოლოგია, რადიოთერაპია, რადიოლოგი, რადიოტოქსემია;

სუბ- – 1. ქვეშ: სუბაკვალური, სუბსტრატოსფერო, სუბტიტრი, სუბტროპიკები; 2. დაქვემდებარება: სუბორდინაცია;

სუპერ- – 1. ზევიდან, ზედ: სუპერყდა; 2. ზე; რისამე უმაღლესი ხარისხი: სუპერარტილერია, სუპერმარკეტი, სუპერმენი, სუპერტელესკოპი, სუპერტურნირი; 3. უფროსობა: სუპერარბიტრი, სუპერინტენდენტი, სუპერპრეფექტი;

ტელე- – 1. შორ მანძილზე მოქმედი: ტელეგრამა, ტელეგრაფი, ტელეპათია, ტელესკოპი; 2. ტელევიზიასთან დაკავშირებული: ტელეარხი, ტელეგადაცემა, ტელედადგმა, ტელეეთერი, ტელეეკრანი, ტელევარსკვლავი, ტელეკომპანია, ტელემაუწყებლობა, ტელესივრცე, ტელესტუდია;

ტრანს- – 1. მოძრაობა რისამე გავლით, რისამე გადაკვეთა: ტრანსარქტიკული, ტრანსატლანტიკური, ტრანსკავკასიური, ტრანსკონტინენტური; 2. რისამე საშუალებით გადაცემა ან აღნიშვნა: ტრანსკრიფცია, ტრანსლაცია, ტრანსლიტერაცია;

ულტრა- – იქით, გადაღმა; რისამე ფარგლებს გარეთმყოფი, უკიდურესი: ულტრაბგერა, ულტრაიისფერი, ულტრაიმპერიალიზმი, ულტრამოკლე, ულტრარეაქციული;

ფერო- – რკინისა: ფერომაგნიტური, ფერომანგანუმი, ფეროქარხანა, ფეროქრომი, ფეროშენადნობი;

ფილ- – რისამე მოსიყვარულე: ფილანტროპი, ფილანტროპია, ფილატელია, ფილატელისტი;

ფიტო- – მცენარე: ფიტოგეოგრაფია, ფიტონციდები, ფიტოპათოლოგია, ფიტოფაგი;

ფოტო- – 1. სინათლე; შეესაბამება სიტყვა ფოტოგრაფიულს: ფოტოატელიე, ფოტოგადაღება, ფოტოგრაფია, ფოტოთეკა, ფოტორეპორტიორი; 2. რისამე შესრულება სინათლის საშუალებით: ფოტოთერაპია, ფოტოლიზი, ფოტოსინთეზი;

ფსევდო- – ცრუ, ყალბი: ფსევდომეცნიერული, ფსევდონიმი, ფსევდოპატრიოტიზმი;

ჰელიო- – მზესთან, მზის სხივებთან დაკავშირებული: ჰელიოთერაპია, ჰელიოპლასტიკა, ჰელიოტექნიკა, ჰელიოფიზიკა, ჰელიოცენტრული;

ჰემ- – სისხლი, სისხლთან დაკავშირებული: ჰემატოლოგია, ჰემატომა, ჰემატურია;

ჰემი- – ნახევარი: ჰემიანესტეზია, ჰემიპარეზი, ჰემისფერო;

ჰიპერ- – ზე, ზევით; ნორმის გადამეტება: ჰიპერაქტიური, ჰიპერგლიკემია, ჰიპერინფლაცია, ჰიპერტონია, ჰიპერტროფია;

ჰიპო- – ქვევით ყოფნა, დაქვეითება ნორმასთან შედარებით: ჰიპოგლიკემია, ჰიპოვიტამინოზი, ჰიპოთერმია, ჰიპოტაქსი (ქვეწყობა), ჰიპოტონია, ჰიპოქსია.

სუფიქსოიდებია:

- **გრამა** – ასო, ხაზი, ჩანაწერი: დიაგრამა, რადიოგრამა, ფონოგრამა;
- **გრაფია** – ვწერ: გეოგრაფია, ისტორიოგრაფია, კალიგრაფია, სტენოგრაფია, მონოგრაფია;

- **ლოგი ⇐ ლოგოს** – სიტყვა, ცნება, მოძღვრება: არქეოლოგი, ბიოლოგი, გეოლოგი, უფოლოგი, ფილოლოგი; დიალოგი, მონოლოგი;
- **ლოგია** – მეცნიერება, მოძღვრება: არქეოლოგია, ბიოლოგია, ეკოლოგია, ოფთალმოლოგია, რუსთველოლოგია, ქართველოლოგია;
- **მეტრი** – 1. საზომი ხელსაწყო: ამპერმეტრი, ბარომეტრი, თერმომეტრი, ფოტომეტრი, ჰელიომეტრი; 2. სიგრძის საზომი: დეციმეტრი, კილომეტრი, სანტიმეტრი; 3. ზომა: გეომეტრია, ტელემეტრია, ტრიგონომეტრია, ფოტომეტრია;
- **სკაიპი** – ⇐ ვუყურებ; დაკვირვებისთვის საჭირო ხელსაწყო: მიკროსკოპი, ფონენდოსკოპი, ჰელიოსკოპი;
- **სკოპია** – დაკვირვება, რისამე ვიზუალური შესწავლა: ენდოსკოპია, ექოსკოპია;
- **ფილ და -ფილი** – მიყვარს; ვისიმე, რისამე მოსიყვარულე: ბიბლიოფილი, ქსენოფილი;
- **ფილია** – ვისიმე, რისამე სიყვარული, რამესადმი მიდრეკილება: რუსოფილია, ქსენოფილია, ჰიდროფილია;
- **ფობი** – ვისიმე, რისამე მოძულე, მტერი: ანგლოფობი, რუსოფობი, ქსენოფობი;
- **ფობია** – ვისიმე, რისამე სიძულვილი, ვისიმე, რისამე შიში: კლაუსტროფობია, რუსოფობია, ქსენოფობია.

8. ქართული აფიქსოიდებია (ზოგი მათგანი სრულმნიშვნელობიანი სიტყვაა):

ზე- : ზეადამიანი, ზეადამიანური, ზებუნებრივი, ზეგარდმო, ზესახელმწიფო;

ქვე- : ქვებუდანი, ქვებუდანობა, ქვეგამხედვარი, ქვეგანაყოფი // ქვედანაყოფი, ქვეთავი, ქვეკომიტეტი, ქვეცნობიერი;

თანა- : თანაავტორი, თანაარსებობა, თანადაქვემდებარება, თანადგომა, თანავარსკვლავედი, თანამდები, თანამდევი, თანამემამულე, თანამშრომლობა;

თანაბარ-(შეესატყვისება უცხოურ აფიქსოიდ **იზოს**): თანაბარზომიერება, თანაბარზომიერი, თანაბარმნიშვნელოვანი, თანაბარღირებულებიანი;

თან- : თანგადაყოლილი, თანდართვა, თანდებული, თანმხლები, თანწყობა, თანხვდენილი;

თბო- : თბოელექტროსადგური, თბოენერგია, თბოიზოლაცია, თბოსადგური, თბოუნარიანობა, თბოფიზიკა;

თვით- : თვითაალებადი, თვითგამორკვევა, თვითკრიტიკა, თვითმარქვია, თვითმიზანი, თვითმმართველობა, თვითრეკლამა, თვითშეგნება;

მაღალ- : მაღალსნეობრივი, მაღალიდეური, მაღალმოქალაქეობრივი, მაღალფარდოვანი, მაღალჩინოსანი, მაღალხარისხოვანი;

მრავალ- (აფიქსოიდ **პოლის** ეკვივალენტი): მრავალთავი, მრავალმხრივნელობიანი (სიტყვა), მრავალმნიშვნელოვანი (ღიმილი), მრავალწევრი;

ნახევარ- (ტექნიკურ დარგებში შეესატყვისება უცხოურ აფიქსოიდ **ჰემის**): ნახევარექტორი, ნახევარრკალი, ნახევარსფერო, ნახევარწრე;

სწრაფ-: სწრაფმავალი, სწრაფმზარდი, სწრაფმსრბოლი, სწრაფსროლა;

ურთიერთ- : ურთიერთგაგება, ურთიერთთანამშრომლობა, ურთიერთკავშირი, ურთიერთსიყვარული, ურთიერთშეთანხმება;

ქვე- : ქვებუდანი, ქვედამხედვარი, ქვეზონა, ქვეთავი, ქვეთემა, ქვეკომიტეტი, ქვემდებარე, ქვეპუნქტი, ქვეტექსტი, ქვეცნობიერი;

ცრუ- (**ფსევდოს** ქართული შესატყვისი): ცრუმეცნიერული, ცრუმორწმუნე, ცრუპატრიოტი, ცრუპენტელა, ცრურწმენა;

ჰაერ- : ჰაერგამტარი, ჰაერმწმენდი, ჰაერნაკადი, ჰაერსაბური, ჰაერსაწმენდი;

ასევე:

- **ზედა**: თირკმელზედა, მიწისზედა;
- **ქვეშა**: დახლქვეშა, კუჭქვეშა, ფარქვეშა, წყალქვეშა.

§ 54. შესიტყვებები

9. ზოგჯერ კომპოზიტებად მიიჩნევენ და დეფისით ან უდეფისოდ აერთებენ შესიტყვებების წევრებს.

ცალ-ცალკე უნდა დაიწეროს (იხ. მართლწერის ლექსიკონი მუდიისთვის):

ათასში ერთი
ამა და ამ (საათზე)
არაფრის დიდებით
ახალი თაობა (მაგრამ: ახალთაობა)
ახლად აღმოჩენილი (მაგრამ: ახალაღმოჩენილი)
ახლად დაქორწინებული (მაგრამ: ახალდაქორწინებული)
ბაცი მწვანე
ბოლოს და ბოლოს
ბრმა ნაწლავი
გონს მოსული (მაგრამ: გონწასული)
გულის ძგერა (მაგრამ: გულისცემა, გულისტკენა)
გულის ტკივილი (აწუხებს), მაგრამ: გულისტკივილით (თქვა)
დღეის სწორს
ეგრეთ წოდებული (შემოკლებით – ე. წ.)
ენის წვერზე (ადგას)
ერთი ხანია (მაგრამ: ერთხანს)
ერთხელ და სამუდამოდ
ესა თუ ის
ესე იგი (შემოკლებით – ე. ი.)
ეს-ეს არის, ის-ის იყო
ეჭვს გარეშე (მაგრამ: ეჭვგარეშე)
ვაჭართა უხუცესი (მაგრამ: ვაჭართუხუცესი)
ზემოთ აღნიშნული (მაგრამ: ზემოაღნიშნული)
ზემოთ დასახელებული (მაგრამ: ზემოდასახელებული)
თავისდა საბედნიეროდ (მაგრამ: თავისდაუნებურად)
თავისი თავი (მაგრამ: თავისთავი)
თავის მოყრა (მაგრამ: თავმოყრა)
თავის მხრივ // თავის მხრით
თავის ნებით (მაგრამ: თავისნება)
თავის შეყრა (მაგრამ: თავშეყრა)
თვალის წინ (მაგრამ: თვალწინ)

ისევ და ისევ
კაცის კაცი
კიდევ და კიდევ
მერე და მერე
მისხის მისხი
მოციქულის მოციქული
მტრის მტერი
მხოლოდ და მხოლოდ
მჯობთა მჯობი
რა თქმა უნდა
რა ხანია
საინტერნეტო გამოცემა (// ინტერნეტგამოცემა)
სისხლის ჩაქცევა (მაგრამ: სისხლჩაქცევა)
უფრო და უფრო
ფერის ცვლა (მაგრამ: ფერისცვალება)
ფეხის ათრევა (მაგრამ: ფეხათრევით)
ფეხის აჩქარება (მაგრამ: ფეხაჩქარებით)
ფეხი ფეხზე (შემოედო)
ფიტნესის ცენტრი (// ფიტნესცენტრი)
ქვემოთ აღწერილი (მაგრამ: ქვემოაღწერილი)
ქვემოთ მოყვანილი (მაგრამ: ქვემომოყვანილი)
ღვთის უკეთესი
ყოველივე ეს [და არა: ეს ყველაფერი]
ყოველ კვირას (მაგრამ: ყოველკვირა)
ყოველ საათს (მაგრამ: ყოველსაათობით)
ყოველ ღამეს (მაგრამ: ყოველღამ // ყოველღამე)
ყოველ წელიწადს (მაგრამ: ყოველწლიურად)
ცოტა ხანს (გაუვლია), მაგრამ: ცოტახანს (დამელოდე)
ძნელად მისადგომი (მაგრამ: ძნელმისადგომი)
ძნელად მოსახვედრი (მაგრამ: ძნელმოსახვედრი)
ხანში შესული (მაგრამ: ხანშესული)
ხელის აღება (მაგრამ: ხელაღებით)
ხელის მომწერი (მაგრამ: ხელმომწერი)
ხელის მოწერა (მაგრამ: ხელმოწერა)
ხელის შემშლელი (მაგრამ: ხელშემშლელი)
ხელის შემწყობი (მაგრამ: ხელშემწყობი)
ხელის შეშლა (მაგრამ: ხელშეშლა)
ხელის შეწყობა (მაგრამ: ხელშეწყობა)
ხმის ამოუღებლად // ხმის ამოუღებლივ, მაგრამ ხმაამოუღებლად // ხმაამოუღებლივ).

სიტყვის შემოკლება

აბრევიაცია ენათმეცნიერებაში ნიშნავს ყოველგვარ სიტყვიერ შემოკლებას (ფართო გაგებით). როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. საკუთარ სახელთა მართლწერა, № 18), სიტყვის შემოკლება ადგილისა და დროის დასაზოგავად ქართული დამწერლობისათვის ძველთაგანვე იყო დამახასიათებელი. დღევანდელ დღეს აბრევიაცია ბეჭდურ მედიაში, საცნობარო ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში საყოველთაოდაა მიღებული.

შემოკლებული სიტყვები სხვადასხვა სახისაა. ესენია: აბრევიატურები, კერძოდ რთული შემოკლებული სიტყვები (მასმედია, პროფკომი, სანეპიდსადგური) და ინიციალური აბრევიატურები, ე. წ. აკრონიმები (თსუ, აშშ, გაერო), ასევე გრაფიკულად შემოკლებული სიტყვები. მაგ.: წ. (წელი), მ (მეტრი), ბ-ნი (ბატონი), ს/წ (სასწავლო წელი).

§ 55. აბრევიატურები

აბრევიატურა, ვიწრო გაგებით, აღნიშნავს ორი ან მეტი სიტყვის შემოკლების შედეგად მიღებულ ასოით გამოსახულებას[213]. შეიძლება შემოკლდეს:

ა) სიტყვის დასაწყისი მარცვლები (პირველი ან პირველი და მეორე:

აგრობიზნესი – აგრონომიული ბიზნესი; გენმოდიფიცირებული – გენეტიკურად მოდიფიცირებული; პროფკომი – პროფესიული კომიტეტი; ავტოაუქციონი – საავტომობილო აუქციონი; საქსტატი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო.

ბ) პირველი სიტყვა – შემოკლებულად, მეორე – სრულად:

ევროკავშირი – ევროპის კავშირი; მედპერსონალი – სამედიცინო პერსონალი; სახბანკი – სახელმწიფო ბანკი; ჯანდაცვა – ჯანმრთელობის დაცვა.

---

213 სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2011, გვ. 509

ან პირველი და მეორე სიტყვა – შემოკლებულად, ბოლო სიტყვა – სრულად:

საქტელერადიო – საქართველოს ტელევიზია და რადიო;
ყაზტრანსგაზი – ყაზახეთის (ტრანსპორტირებული) გაზი.

გ) მხოლოდ დასაწყისი ასოები (ასეთ ინიციალურ შემოკლებულ ერთეულს **აკრონიმი** ეწოდება). ბევრი აკრონიმი უცხოური ენებიდანაა შემოსული და გადმოცემულია როგორც ქართული გახმოვანებით, ისე ლათინური ასო-ბგერებით. ისინი ისე გამოითქმის, როგორც აბრევიატურის უცხოენოვან გამოთქმას შეესაბამება (მაგ.: ბიბისი, ეუთო, ნატო, ფიდე, ფიფა და მისთ.).

ქართულში გვხვდება აგრეთვე გამოჩენილ პირთა გვარების დასაწყისი მარცვლების ან ბგერების შეერთების შედეგად მიღებული საკუთარი სახელები, მაგ.: მელსი (**მ**არქსი, **ე**ნგელსი, **ლ**ენინი, **ს**ტალინი), მარლენი (**მარ**ქსი, **ლენ**ინი) ან დედისა და მამის სახელების დასაწყისი მარცვლების შეერთებით მიღებული, მაგ.: გრივერი (**გრი**გოლი, **ვერა**).

აბრევიატურა წინადადებაში დამოუკიდებელ სიტყვას (სახელს) უტოლდება, ამიტომ დგება მისი ბრუნებისა და თანდებულებითა და შერწყმული ნაწილაკებით გაფორმების საკითხი.

დაიმახსოვრეთ:

1. აკრონიმებს ბრუნვის ნიშნები, გარდა სახელობითისა, თანდებულები და შერწყმული ნაწილაკები დეფისით გამოეყოფა. მაგ.:

დღგ (დამატებითი ღირებულების გადასახადი), დღგ-ს, დღგ-ზე, დღგ-დან, დღგ-ც.

2. აბრევიატურას, რომელიც აღნიშნავს მანქანის ან მექანიზმის მარკას, ასევე დეფისით გამოეყოფა ციფრები. მაგ.:

„ГАЗ-51“, „ТУ-104“.

3. აკრონიმებს, რომლებიც სიტყვას უტოლდება (გახმოვანებულია), ბრუნვის ნიშნები, თანდებულები და შერწყმული ნაწილაკები დეფისით არ გამოეყოფა. მაგ.:

გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია), გაერომ. გაეროს, გაეროსავით, გაეროზე/ში, გაეროსთან,

გაეროს(ი), გაეროს(ა)თვის, გაეროს(ა)გან, გაეროს(ა)კენ, გაეროთი, გაეროდან, გაეროდ, გაერომდე, გაეროც, გაეროვე.

4. ინიციალურ აბრევიატურებს უმეტეს შემთხვევაში არ გააჩნიათ მრავლობითი რიცხვის ფორმა. გამონაკლისია ლეგბიტები (და არა ელგებეტეები), ააიპები, ვიპები და სხვ.

5. აბრევიატურები, გარდა თითო-ოროლა გამონაკლისისა, უკუმშველი და უკვეცელია (გამონაკლისია: ექთანი – ექთნის, თემქა – თემქის, მედდა – მედდის). სახელებისაგან განსხვავებით, უკვეცელია **ა** და **ე** ხმოვნებით დაბოლოებული აბრევიატურებიც.

უკვეცელია:

საია, ცეკა, უეფა, ფიფა, ჯიპა; ქსე; ენტეეე; ამო, გაერო, ენჯეო, ეუთო, ცესკო; იუნესკო, ისო, ნატო, უდო, ანსუ, თსუ, თსსუ; შაზსუ; იემსი; ბიბისი, ენდიაი, თიბისი, იუპი.

შენიშვნა: უცხოურ აბრევიატურათა **ი** ხმოვანი ფუძისეულად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შესაბამის ასოთა დასახელებაში შედის[214]. ასეთებია: ბიბისი (C=სი), ენბისი, თიბისი, იუპი, ჯივიპი, ჯიდიჯი.

6. -ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია აკრონიმებში:

ითაგი, კუდი, ლეგბიტი, სოდი, სუსი, ქეგლი, ქეკი, შიდსი, ჰესი; აისბიენი, ასეანი, ბისეკი, გულაგი, ინტერპოლი, იუნისეფი, მაპი, ოპეკი, სიენენი, ტასისი.

7. წლების განმავლობაში მოუგვარებელი იყო აბრევიატურის შედგენისა და გახმოვანების საკითხი. განსაკუთრებით ჭირდა მხოლოდ თანხმოვნებით შედგენილი აბრევიატურების წაკითხვა. ახლახან გამოქვეყნდა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფის მიერ შედგენილი „ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონის“

---

[214] ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა რ ა ბ უ ლ ი, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004, გვ. 135

ელექტრონული ვერსია[215], რომელშიც აკრონიმების უმეტესობა გახმოვანებულია, სარეკომენდაციო ვარიანტები მითითებულია.

ცვლილებებია შეტანილი აკრონიმების ბრუნებაშიც, თუმცა, ჩვენი აზრით, ბევრი წესი გასამარტივებელია[216]. ვფიქრობთ, ლექსიკონზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს.

§ 56. აკრონიმებია:

აიპი – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
აირაი – საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი.
აისბიენი – საერთაშორისო სტანდარტის წიგნის ნომერი.
ამო – ამოუცნობი მფრინავი ობიექტები.
ასეანი (სარეკომენდაციო: **სააქა**) – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია.
ASEAN – Association of South-East Szian Nations.
აშშ – ამერიკის შეერთებული შტატები.
აწსუ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ბიბისი – BBC: British Broadcasting Corporation – ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაცია.
ბიპი – ბრიტანული ნავთობისა და გაზის კომპანია.
ბისეკი (სარეკომენდაციო: **შაზაქთი**) – შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია.
BP – British Petrolium (იხ. ბიპი).
CNN – Cablie News Netwak (იხ. სიენენი).
გაერო – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.
გის (სარეკომენდაციო ვარიანტი: **გისი**) – გეოინფორმაციული სისტემები.
გულაგი – შრომითი გამასწორებელი ბანაკების მთავარი სამმართველო.
ГУЛАГ – Главное управление исправительно-трудовых лагерей (იხ. გულაგი).

---

[215] www.ice.ge/liv/liv/abrv.php, ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონი, შემდგენლები: თამარ ვაშაკიძე, ავთანდილ არაბული და თეა ბურჭულაძე, 2017.

[216] ამ მიზნით წინამდებარე შრომაში წარმოდგენილი არა გვაქვს აკრონიმთა ბრუნების ნიმუშები.

დსთ (სარეკომენდაციო გახმოვანება: **დასთა**) – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა.

დღგ (სარეკომენდაციო: **დაღგი**) – დამატებითი ღირებულების გადასახადი.

ედპ (სარეკომენდაციო: **ედეპა**) – ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

ენბიეი (სარეკომენდაციო: **ესაკა**) – ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია.

ენბისი (სარეკომენდაციო: **არსაკი**) – აშშ-ის რადიომაუწყებლობისა და სატელევიზიო კომპანია.

ენდიაი (სარეკომენდაციო: **ედი**) – ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი.

ენმ (სარეკომენდაციო: **ენმი**) – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.

ენტოვე (სარეკომენდაციო: **დასარი**) – დამოუკიდებელი სატელევიზიო არხი (რუსეთი);

ენჯეო (სარეკომენდაციო: **ასო**) – არასამთავრობო ორგანიზაცია.

ესაპა (სარეკომენდაციო ვარიანტი) – ევროპის სახალხო პარტია.

ეუთო – ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია.

EMC – Human Rights Education and Monitoring Center (იხ. იემსი).

EPP – European People's Party (იხ. ესაპა).

FIFA – Federation Internationale de Footboll Association (იხ. ფიფა).

GDG – Ceorgian Development Group (იხ. ჯიდიჯი).

GWP – Georgian Water and Power (იხ. ჯივიპი).

GIPA – Georgian Institute of Public affairs (იხ. ჯიპა).

IDFI – Institute for Development of Rfeedom of information (იხ. ითაგი).

INTERPOL – International Criminal Police Organization (იხ. ინტერპოლი).

IRI – international Republic Institute (იხ. აირაი).

IRSU – International Black Sea University (იხ. შაზსუ).

ISBN – International Standart Book Number (იხ. აისბიენი).

ISO – International Standards Organization (იხ. ისო).

ვიპი – ძალიან მნიშვნელოვანი პერსონა.

ზდკ (სარეკომენდაციო: **ზდკო**) – ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია.

თიბისი (სარეკომენდაციო: **თბცე**) – თბილისის ბიზნესცენტრი.

თსუ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თსსუ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

TBC – Tbilisi Business Centre (იხ. თიბისი).

შენიშვნა: უცხოური აკრონიმები, რომელთა დასასახელებლად ასო-ბგერათა შესაბამისი სახელებია

საჭირო, იწერებოდა დეფისით (თი-ბი-სი). „ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონის“ მიხედვით ასეთი აკრონიმების დაწერილობა გამარტივებულია: ასო-ბგერათა დასახელებები ერთმანეთისაგან დეფისით აღარ გამოიყოფა. **ასეთებია:** ბიბისი, თიბისი, სიენენი.

იემსი (სარეკომენდაციო: **აუსმიცი**) – ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი.

ითაგი (სარეკომენდაციო ვარიანტი) – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.

იკე – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება.
იბრუნება, როგორც ხმოვანფუძიანი უკვეცელი სახელი.

ინტერპოლი – საერთაშორისო სისხლის სამართლის პოლიციის ორგანიზაცია.

IPPF – International Planued Parenthood Federation – მოსახლეობის დაგეგმარების საერთაშორისო ფედერაცია.

ისო – საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაცია.

იუნესკო – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

იუნისეფი – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ფონდი.

იუპი (სარეკომენდაციო: **ასასი**) – აშშ-ს საინფორმაციო სააგენტო.

კუდი – კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი.

ლეგბიტი (სარეკომენდაციო ვარიანტი), და არა ლგბტ – ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი.

მსკ (სარეკომენდაციო: **მსაკი**) – მხიარულთა და საზრიანთა კლუბი.

მაპი – გაწევრიანების სამოქმედო გეგმა.

MAP – Membershap Action Plan (იხ. მაპი).

ნასა – აერონავტიკის და კოსმოსური კვლევის ეროვნული სამმართველო (აშშ-ში).

NASA – National Aeronautics and Spa Administration (იხ. ნასა).

ნატო– ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია.

NATO – Narth Atlantic Trcaty Oganization (იხ. ნატო).

NBA – National Basketball Association (იხ. ენბიეი).

NBC – National Broodcasting Company (იხ. ენბისი).

NDI – National Democratic Institute (იხ. ენდიაი).

NGO – Non – Govemmental Organization (იხ. ენჯეო).

НТВ – Независимое телевидение(იხ. ენტევე).

ოპეკი – ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია.

OSCE – Organization for Security and Co-operation in Europe (იხ. ეუთო).

OPEC – Organization of Petroleum Exporting Countries (იხ. ოპეკი).
OUN – Organication of United Nations (იხ. გაერო).
საია – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.
სესი – სურსათის ეროვნული სააგენტო.
სოდი – სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი.
სსრკ – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.
სუსი – სახელმწიფო უშიშროების სამსახური.
სიენენი (სარეკომენდაციო: **აასკო**) – აშშ-ის ახალი ამბების სატელევიზიო კომპანია.
ტასისი – ტექნიკური დახმარება დსთ-ის ქვეყნებისადმი.
TWCIS – Technical Assistance to the Commonwelth of indepcadent States (იხ. ტასისი).
უდო – პირობით ვადამდე გათავისუფლება.
უეფა – ევროპის საფეხბურთო ასოციაციის გაერთიანება.
უსლ – უცხო სიტყვათა ლექსიკონი.
ფიფა – საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია;
UEFA – United European Football Association (იხ. უეფა).
UFO – Unidentified Flying Obiects. (იხ. ამო).
UNICEF – United Nations International Chiledzen/s Emergency Fund (იხ. იუნისეფი).
UNESCO – United Nations Wducational, Scientilic and Cultural Organizacion (იხ. იუნესკო).
UPI – United Press International (იხ. იუპი).
УДО – Условное досрочное освобождение (იხ. უდო).
VIP – Very Impartant Person (იხ. ვიპი).
ქდმ (სარეკომენდაციო: **ქდემი**) –ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა.
ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.
ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
ქსკს (სარეკომენდაციო: **ქსიკსა**) – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები.
ქეეკი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.
ქეოლი – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი.
შაზსუ (სარეკომენდაციო ვარიანტი) – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.
შიდსი – შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი.
შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
შშმ (სარეკომენდაციო: **შეშეპი**) – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.
ჩგდ – ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი.

ცეკა – ცენტრალური კომიტეტი.
ცესკო – ცენტრალური საარჩევნო კომისია.
ჯიდიჯი (სარეკომენდაციო: **სადკო**) – საქართველოს დეველოპ-პერული კომპანია.
ჯივიპი (სარეკომენდაციო: **საქწყალძა**) – საქართველოს წყალი და ძალა.
ჯიპა (სარეკომენდაციო: **სასსი**) – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.
ჰესი – ჰიდროელექტროსადგური.

შენიშვნა: როგორც აღნიშნავენ, „რამდენადაც მკითხველისათვის ხშირად საერთოდ გაუგებარია უცხოური ორგანიზაციების აბრევიაციული სახელწოდებების არათუ ქართული, არამედ ინგლისური სრული დასახელებებიც, ამიტომ
(1) სავალდებულოა დადგენილი წესების შესაბამისად აბრევიატურის ქართული ასოებით გადმოტანა და (2) სასურველია სრული დასახელების ქართული შესატყვისის მითითება. პარალელურად სრული სახელწოდების წარმოდგენა, რა თქმა უნდა, არ დასჭირდება საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობ აბრევიატურებს“[217].

§ 57. გრაფიკული შემოკლება

გრაფიკულია შემოკლება, როცა სიტყვა წყდება ტექნიკური დანიშნულებით გამოყენებული გრაფიკული გამოსახულებებით, როგორიცაა წერტილი, დეფისი ან დახრილი ხაზი, და იკითხება მთლიანად (აბრევიატურისაგან განსხვავებით).

სიტყვის მართებულად შესამოკლებლად უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. დაუშვებელია სიტყვის ნებისმიერად შემოკლება, რათა მკითხველს არ გაუჭირდეს მისი სრული ფორმის აღდგენა და აზრის უშეცდომოდ, დაუმახინჯებლად გაგება.

---

[217] თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი, ერთი ტიპის უმართებულო ტენდენციის გამო პრესის ენაში, ქსკს, წიგნი XIV, თბ., 2014, გვ. 142.

2. არ შეიძლება სიტყვის შემოკლება, თუ ის წინადადების ერთადერთი წევრია. მაგ.:

> მეფის ჯილაგი. ქართველი. ლამაზი. უებრო. ჭკვიანი. ერის მოყვარული. მტრის მტერი. უიღბლო და არასვიანი.

3. სიტყვის შესამოკლებლად წერტილი დაისმის:

ა) პირველი ან მეორე საწყისი თანხმოვნის შემდეგ, რომელსაც მოსდევს ხმოვანი. მაგ.:

> დ. – დაიბადა (თარიღთან), თ. – თავი (რიცხვთან), რჩ. – რჩეული, მდ. – მდინარე, მრ. – მრავლობითი (გრამატიკული რიცხვი), ს. დ. – ზღვის დონიდან (ციფრობრივ მონაცემთან), ქართ. – ქართული, სახელმწ. – სახელმწიფო[218].

ბ) თუ სიტყვა მოკლდება ორ ერთნაირ თანხმოვანთან, მათგან შემოკლებულ ნაწილში უნდა დარჩეს პირველი.

სწორია: სამ. – სამმართველო, კონტრ. – კონტრრევოლუცია;

და არა: სამმ., კონტრრ.;

გ) ხმოვანთან შემოკლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იწყებს სიტყვას. მაგ.:

> **ა. გ.** – აღმოსავლეთის გრძედი (გრადუსებთან), **ა. ე.** – ასტრონომიული ერთეული, **ა. წ.** – ამა წლის, **ე. ი.** – ესე იგი, **ე. წ.** – ეგრეთ წოდებული, **თ. ა.** – თარიღის აღუნიშნავად;

დ) ტექნიკური მოსაზრებით ხშირად ამოკლებენ მხატვრული ან სამეცნიერო ტექსტებიდან საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითების ავტორების სახელსა და გვარს. მაგ.:

> ი. ჭავჭ., ა. წერ., ა. ყაზბ., ნ. ბარ., კ. გამს., გ. ტაბ., ლ. ასათ.

---

[218] ყველა შემოკლება მოყვანილია www.ice.ge/liv/liv/abrv.php „ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონის“ ელექტრონული ვერსიიდან. შემდგენლები: თამარ ვაშაკიძე, ავთანდილ არაბული და თეა ბურჭულაძე.

სხვა შემთხვევაში სასურველია, პირის სახელი და გვარი დაიწეროს სრულად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფსევდონიმებისა და ფსევდოდებათა შემოკლება დაუშვებელია.

სწორია: იაკობ ცურტაველი, გრიგოლ ხანძთელი, დაჟით აღმაშენებელი, შოთა რუსთაველი, დიმიტრი თავდადებული, ქეთევან წამებული;

და არა: ი. ცურტაველი, გ. ხანძთელი, დ. აღმაშენებელი, შ. რუსთაველი, დ. თავდადებული, ქ. წამებული;

ე) ერთი და იმავე ძირისაგან წარმოქმნილი სიტყვები მოკლდება ერთნაირად. მაგ.:

ბიოლ. – ბიოლოგია, ბიოლოგიური; თეატრ. – თეატრისა, თეატრალური; რელ. – რელიგია, რელიგიური; რედ. – რედაქცია, რედაქტორი; ყაბ. – ყაბარდოელი, ყაბარდოსი, ყაბარდოული;

ვ) დეფისიანი კომპოზიტის თითოეული კომპონენტი ჩვეულებრივი წესით შემოკლდება.

სწორია: ას.-დას. – ასავალ-დასავალი. სოც.-ეკონომიკ. – სოციალ-ეკონომიკური, საწ.-დაწესებულება – საწარმო-დაწესებულება, ს.-დ. – სოციალ-დემოკრატიული (პარტია), კულტ.-საგანმ. – კულტურულ-საგანმანათლებლო, ვ-ა – ვოლტ-ამპერი;

ზ) უდეფისო კომპოზიტებში მოკლდება ბოლო კომპონენტი. მაგ.:

აგროქიმ. – აგროქიმიისა, აგროქიმიური; უღელტეხ. – უღელტეხილი, წყალსაც. – წყალსაცავი, ხელოვნებათმც. – ხელოვნებათმცოდნეობა;

თ) წერტილი იწერება იმ სიტყვების შესამოკლებლადაც, რომელთა შორისაც დასმულია ტირე. მაგ.:

გაიხსნა საჰაერო ტრასა ქუთ. – მინსკი (ქუთაისი – მინსკი); გავიდა ორსართულიანი მატარებელი თბ. – ბათუმი (თბილისი – ბათუმი);

ი) შემოკლებული სიტყვა ორაზროვნებას არ უნდა იწვევდეს. მაგ., შემოკლებული სიტყვა **არტ**. შეიძლება გავიგოთ, როგორც არტილერია, ან, როგორც არტერია (ან – არტისტული), ამიტომ

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად შემოკლებულ ნაწილს უნდა დავუმატოთ ერთი მარცვალიც: **არტილ.** (არტილერია), მაგრამ: არტისტ. (არტისტული).

ასევე: ნაწილ. – ნაწილაკი, მაგრამ: ნაწ. – ნაწილი; სოციალ- – სოციალისტური, მაგრამ: სოც. – სოციალური; ფილოს. – ფილოსოფია, მაგრამ: ფილ. – ფილოლოგია. ლაბორ. – ლაბორატორია, მაგრამ: ლაბ. – ლაბორანტი.

4. წერტილი არ დაისმის:

ა) თუ შემოკლებას მოცილებული აქვს ხმოვნები, ზოგ შემთხვევაში წერტილი არ დაისმის.

სწორია: კვძ – კვანძი, **მლნ** – მილიონი, **პმგ** – პასუხისმგებელი, **შნშ** – შენიშვნა;

მაგრამ: გრდმ. – გარდამავალი, **შდრ.** – შეადარე, **წგ.** – წიგნი, წიგნში.

ბ) მრავლობითობის გამოსახატავად მიმართავენ შესამოკლებელი სიტყვების თავკიდური ბგერა-ასოების განმეორებას. ასეთ შემთხვევაში წერტილი დაისმის მხოლოდ ორივე ასოს ბოლოს (და არა თითოეულის შემდეგ). მაგ.:

წწ. – წლები, სს. – საუკუნეები, მაგრამ: წწ-ში, სს-ში.

გ) წერტილი არ დაისმის ფიზიკურ სიდიდეთა ერთეულების შემოკლებულ აღნიშვნებთან (თუმცა არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც). მაგ.:

კ – კილო, მაგრამ: კ. – კუნძული; მ – მეტრი, მილი, მაგრამ: მ. – მუხლი; ნ – ნიუტონი (საზომი ერთეული), მაგრამ: ნ. – ნახე; ტ – ტონა, მაგრამ: ტ. – ტომი; ფ – ფარადა (საზომი ერთეული), მაგრამ: ფ. – ფონდი; ც – ცენტნერი, მაგრამ: ც. – ცალი (რაოდენობასთან).

შენიშვნა: შემოკლებულ სიდიდეთა ერთეულების შემდეგ წერტილის დასმასთან დაკავშირებით საყურადღებოა აკადემიკოს ავთანდილ არაბულის რეკომენდაცია: ერთასოიანი ტერმინები შემოკლდეს წერტილით (მეტრი – მ., ტონა – ტ.), რამდენიმე-ასოიანი კი – უწერტილოდ, როგორც აბრევიატურები (მმ, სმ, დმ // დცმ, კგ, კბ, ჰა და მისთ.)

5. დეფისით მოკლდება:

ა) დეფისით ერთდება სიტყვის თავკიდური და ბოლოკიდური მარცვლები (როცა სიტყვას შუაში აკლდება რამდენიმე მარცვალი), თუ შემოკლებული სიტყვა თავდება იმავე ასოებგერით, რომლითაც სრული სიტყვა. მაგ.:

უნ-ტი – უნივერსიტეტი, ფაკ-ტეტი – ფაკულტეტი, ამხობა – ამხანაგობა, თ-დი – თავადი (გვართან), საზ-ება – საზოგადოება, ქ-ები – ქალაქები (სახელწოდებასთან).

ბ) როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ (იხ. 3 „ვ“ და „ზ“), დეფისიანი კოპოზიტი შემოკლებისას კვლავ დეფისით ფორმდება.

სწორია: ს-ლო-სამ-ეურნეო – სასოფლო-სამეურნეო, მაგრამ: ს.მ. – სოფლის მეურნეობა; ექ-ერტ-კრ-ლისტი – ექსპერტ-კრიმინალისტი.

უდეფისო კომპოზიტში იკვეცება ბოლო კომპონენტი.

სწორია: წინაქრისტ-ული – წინაქრისტიანული, გულშემატკ-რი – გულშემატკივარი, გულგატ-ილი – გულგატეხილი, ბავშვობისდრ-დელი – ბავშვობისდროინდელი, თავგადვალი – თავგადასავალი, ხალხმრ-ლი – ხალხმრავალი.

6. დახრილი ხაზით მოკლდება:

ა) შესიტყვებაში პირველი კომპონენტი მოკლდება დახრილი საზით, თუ სიდიდე ორი შემოკლებული სიტყვით არის გადმოსაცემი. მაგ.:

ბრ/წთ – ბრუნი წუთში, კვ/მ – კვადრატული მეტრი, ც/ჰა – ცენტნერი ჰექტარზე.

ბ) არაკალენდარული წლები (ანუ წლები, რომლებიც იწყება და მთავრდება სხვადასხვა კალენდარულ წელს). მაგ.:

2016-2017 ს/წ – 2016-2017 სასწავლო წელი.

7. ბრუნვის ნიშნები და თანდებულები შემოკლებულ სიტყვებს დეფისით გამოეყოფა.

სწორია: „შუშანიკის წამება“ დაიწერა 476-483 წწ-ს შორის. ჯვრის მონასტერი ქართველებმა ააშენეს XI ს-ში.

8. ყველაზე ხშირად მოკლდება:

ა) წოდებისა და თანამდებობის აღმნიშვნელი სიტყვები (თუ ისინი წინ უსწრებენ სახღვრულს):

აკად. – აკადემიკოსი, პროფ. – პროფესორი, დოც. – დოცენტი, მასწ. – მასწავლებელი, ლაბ. – ლაბორანტი;

ბ) მსაზღვრელად ხშირად გამოყენებული საზოგადო სახელები საკუთარ სახელებთან ერთად. მაგ.:

ქ. თბილისი (შემოკლებულია ქალაქი), სოფ. ნოსტე (შემოკლებულია სოფელი), მდ. არაგვი (შემოკლებულია მდინარე), გაზ. (გაზეთი) „ლიტერატურული საქართველო“, ჟურნ. (ჟურნალი) „თბილისელები“;

„შემოკლებით შეიძლება დაიწეროს სიტყვა „ამხანაგი“, თუ იგი წინ უსწრებს სახღვრულს. მაგალითად: სიტყვით გამოვიდა ამხ. მგალობლიშვილი“, მაგრამ არ შეიძლება ასე დაიწეროს: „სიტყვით გამოვიდა ორი ამხ.[219]“.

გ) მისამართის მისათითებლად გამოყენებული საზოგადო სახელები:

ქ. – ქუჩა, კვარტ. – კვარტალი, კორპ. – კორპუსი, სად. – სადარბაზო, სართ. – სართული, ბ. – ბინა;

დ) დროის გამომხატველი სიტყვები:

ა.წ. – ამა წლის, ახ. სტ. – ახალი სტილით (თარიღთან), ახ. წ., ახ. წ-აღ. – ახალი წელთაღრიცხვით, ძვ. წ., ძვ. წ-აღ. – ძველი წელთაღრიცხვით, ქრისტეს შ.-მდე – ქრისტეს შობამდე, წ. – წელი, წელიწადი; წ. ჰ. – წელთაღრიცხვა ჰიჯრით (ჰიჯრა = მუსლიმური წელთაღრიცხვის დასაწყისი), სთ – საათი, წთ – წუთი, წმ – წამი;

ე) ზომა-წონისა და სხვა ფიზიკური სიდიდის ერთეულები. როგორც აღვნიშნეთ, ამ შემოკლებების ბოლოს წერტილი არ დაისმის. ესენია:

ა – ამპერი, გ – გრამი, გ-ეკვ. – გრამ-ეკვივალენტი, გბ – გიგაბაიტი, ^{0}C – გრადუსი ცელსიუსისა, დბ – დეციბალი, დკლ – დეკალიტრი, დმ // დცმ – დეციმეტრი, დნ – დინი, ევ – ელექტრონვოლტი, ვ-ა – ვოლტ-ამპერი, ვტ – ვატი,

---

[219] გ ი ო რ გ ი შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე, ქართული მართლწერა, თბ., 1984. გვ. 46.

ვტ-სთ – ვატ-საათი, კ – კილო, კალ – კალორია, კკალ – კილოკალორია, კარ – კარატი, კგ – კილოგრამი, კვტ –კილოვატი, **კვტ-სთ** – კილოვატსაათი, კმ – კილომეტრი, მ – მეტრი, მილი; მგ – მილიგრამი, მეგაჰც – მეგაჰერცი, მკმ – მიკრომეტრი, მკწმ – მიკროწამი, მლ – მილილიტრი, მქს – მაქსველი, ნმ – ნანომეტრი, ნწმ – ნანოწამი, პა – პასკალი, რ – რენტგენი, რად – რადიანი, ტ – ტონა, ფ – ფარადა, ც – ცენტნერი, ჯ – ჯოული, ჰა – ჰექტარი, ჰ – ჰექტო, ჰც – ჰერცი[220];

9. ტექსტში ხშირად გამოყენებული სიტყვები:

გამოც. – გამოცემა, გრდმ. – გარდამავალი, გრდუვ. – გარდაუვალი, გვ. – გვერდი, თ. – თავი, თხზ. – თხზულება, იხ. – იხილეთ, კრ., კრებ. – კრებული, მაგ. – მაგალითად, ნაწ. – ნაწილი, ნახ. – ნახატი, სქ. – სქოლიო, ტ. – ტომი, შდრ. – შეადარე, შრ. – შრომა, შრომები;

10. საყოველთაოდ ცნობილი შემოკლებანი, რომლებიც სპეციალურ განმარტებას არ საჭიროებენ. მაგ.:

ა) ერთგვარი წევრების მომდევნო მისათითებელი სიტყვები:

და ა. შ. – და ასე შემდეგ, და სხვ. – და სხვანი, სხვები; და მისთ. – და მისთანანი;

ბ) ზოგი კავშირი და ზმნიზედა, რომლებიც მხოლოდ სრული ფორმით წარმოითქმის:

ე. ი. – ესე იგი, ე. წ. – ეგრეთ წოდებული.

11. თუ შემოკლება რამდენიმე რიცხვს უკავშირდება, ის მხოლოდ ერთხელ უნდა დაიწეროს. მაგ.:

იხ. **ნახ.** (ნახატი) 4, 5, 6; იყიდა სხვადასხვა ფერის ქსოვილი, სიგრძით 2, 3 და 5 **მ** ან 2-დან 5 მ-მდე.

12. მიახლოებითი ციფრები შეიძლება მოთავსდეს ფრჩხილებში. მაგ.:

სწორია: (6 ± 0,2) მმ ან 6 მმ ± 0,2 მმ;

და არა: 6 ± 0,2 მმ.

---

[220] იხ. ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონის ელექტრონული ვერსია (ინტერნეტი: http://www.ice.ge/liv/liv/abrv.php).

ზმნა

§ 58. პირისა და რიცხვის ნიშნები

ტრადიციული განმარტებით, **ზმნა არის საგნის მოქმედების ან მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვა**. მისი კითხვებია: რას შვრება? (დარბის, აშენებს) ან რა მდგომარეობაშია? (ზის, აწყვია)

ქართული ზმნა რთული და მრავალფეროვანია. იგი მდიდარია კატეგორიებით, რომელთა შორის აღსანიშნავია პირი და რიცხვი.

ქართულში, სხვა ენებისაგან განსხვავებით, ზმნა მრავალპირიანია. იგი შეიძლება იყოს ერთ-, ორ- და სამპირიანი, იშვიათად – ოთხპირიანიც: **იწერება ის, წერს ის მას, სწერს/უწერს ის მას მას, მიმიწერა მან მე მას ის**. შემინატვრინო (შენ მე მას ის).

ზმნის პირი არის **სუბიექტური** (მოქმედი ან მოქმედების ინიციატორი) და **ობიექტური** (სამოქმედო). ობიექტური პირიც ორგვარია: პირდაპირი და ირიბი. **ობიექტი პირდაპირია**, თუ ის სახელობით ბრუნვაშია ან ზმნის II-III სერიაში გადაყვანისას დადგება სახელობითში (მოქმედება მას ეხება პირდაპირ). მაგ.:

აწმყო	რას შვრება?	ბავშვი აფერადებს სურათს	ის **მას**
წყვეტილი	რა ქნა?	ბავშვმა გააფერადა სურათი	მან **ის**
I თურმეობითი	რა უქნია?	ბავშვს გაუფერადებია სურათი	მას **ის**

თუ მიცემით ბრუნვაში მდგომი ობიექტი სერიებში გადაყვანისას არ შეიცვლის ბრუნვას, მაშინ ის **ირიბია** (სუბიექტის მოქმედება მას პირდაპირ არ ეხება). მაგ.:

აწმყო	რას შვრება?	ბავშვი ძაღლს უმეგობრდება	ის **მას**
წყვეტილი	რა ქნა?	ბავშვი ძაღლს დაუმეგობრდა	ის **მას**
I თურმეობითი	რა უქნია?	ბავშვი ძაღლს დამეგობრებია	ის **მას**

სამპირიან ზმნაში, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, მიმართება ორმაგია – პირდაპირი და ირიბი:

მზე	ფანჯარას	სხივს	სტყორცნის	ის **მას მას**
მზემ	ფანჯარას	სხივი	სტყორცნა	მან **მას ის**
მზეს	ფანჯრისთვის	სხივი	უტყორცნია	მას (მისთვის) **ის**

ყველა ზმნა, რომელსაც პირდაპირი ობიექტი შეეწყობა, გარდამავალია, მოქმედებითი გვარისა.

ზმნის პირი და რიცხვი სპეციალური ნიშნებით გამოიხატება. ესენია:

§ 59. სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები

პირი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I	**ვ** ——	**ვ** —— **თ**
II	———	——— **თ**
III	——— ს, ა, ო	——— ენ, ნენ, ან, ნ, ეს

შენიშვნა: II სუბიექტური პირის ძველი ნიშნები – **ჰ-** და – **ს-** თავსართები – თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აღარ იხმარება (ნორმები, გვ. 193), ხანმეტობისდროინდელი **ხ-** ნიშანი კი ორიოდე ფორმაშია შემორჩენილი: **ხარ, (მო)ხვალ, (მო)ხვედი.**

§ 60. ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები

პირი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I პირდ. და ირიბი	**მ** ——	**გვ** ———
II პირდ. და ირიბი	**გ** ——	**გ** —— **თ**
III პირდაპირი - ირიბი	——— **ჰ, Ø, ს–**	——— **ჰ, Ø, ს** —— (**თ**)

მაგ.:

სუბიექტური წყობა		ობიექტური წყობა	
მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
ვ-არწმუნებ	**ვ**-არწმუნებ-**თ**	**მ**-არწმუნებს	**გვ**-არწმუნებს
არწმუნებ	არწმუნებ-**თ**	**გ**-არწმუნებს	**გ**-არწმუნებ-**თ**
არწმუნებ-**ს**	არწმუნებ-**ენ**	არწმუნებს	არწმუნებს

§ 61. ი ნ ვ ე რ ს ი ა

ზოგიერთ ზმნაში პირის ნიშნები იცვლიან ფუნქციას – სუბიექტური პირის ნიშანი გამოხატავს ობიექტს და პირიქით. ქართულ გრამატიკაში ამ მოვლენას **ინვერსია** ეწოდება (ეს სიტყვა ლათინურია და ნიშნავს გადასმას).

ინვერსია დასტურდება როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში (თუმცა ენათმეცნიერთა ნაწილი ამ უკანასკნელში მას არ აღიარებს).

ინვერსიული ზმნები ძირითადად ოთხი ჯგუფისაა. ესენია:

ა) გარდამავალი ზმნები და მათგან ნასესხები ფორმები III სერიაში. მათ ახასიათებთ სტაბილური ინვერსია. მაგ.:

> **ვ**-აშენებ – **მ**-იშენები-ა; ხატავ – **გ**-იხატავ-ს; აქებ-**ს** – უქი-ა; მი-**ს**-წერ-**ს** – მიუწერი-ა; **ვ**-შეამდგომლობ – **მ**-იშეამდგომლია. ნათელვყოფ – ნათელ-**მ**-იყვია.

ბ) აწმყოშივე ინვერსიული საშუალვნებითი გვარის ზმნები, რომლებიც გამოხატავენ გრძნობა-აღქმას ან ყოლა-ქონებას. მათაც ახასიათებთ სტაბილური ინვერსია, რადგან მიცემითში დასმული სახელი – გრამატიკული ირიბი ობიექტი – ყოველთვის მგრძნობელი, აღმქმელი, მქონებელია, ე. ი. რეალურად აქტიურია, სახელობითში მდგომი გრამატიკული სუბიექტი კი აღქმა-გრძნობისა და ყოლა-ქონების საგანია, ანუ რეალურად ობიექტია[221]. მაგ.:

> **მ**-იყვარ-ს ის მე (გ-იყვარ-ს ის შენ, უყვარ-ს ის მას), მძულს, მახსოვს, მომწონს, მწამს, მწყინს, მინდა, მსურს, მესმის, მტკივა, მშურს, მიკვირს, მიმძიმს, მიჭირს, მჭირს, მჯერა, მიხარია, მწადია, მშია, მწყურია, მცალია, მეშინია, მრცხვენია, მაქვს, მყავს, მიმაქვს, მიმყავს.

პირნაკლი ზმნები: მძინავს, მღვიძავს, მაჟრიალებს, მაკანკალებს, მაციებს, მაცახცახებს, მცივა, მცხელა მთელმს, მამთქნარებს, მახველებს (**მაგრამ**: ვთვლემ, ვამთქნარებ, ვახველებ პირდაპირი წყობისაა).

---

[221] დ ა მ ა ნ ა მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001, გვ. 20.

გ) პასიური სუბიექტის მქონე ის ე-თავსართიანი ვნებითები, რომელთაც აკისრიათ მიჩნევის, გუნების, შესაძლებლობისა და უნებლიე მოქმედების გამოხატვის ფუნქცია (იხ. გვ. 405). მაგ.:

მ-ეპატარავებ-ა, მეცოტავება, მეძვირება, მეჭაშნიკება, მეხალისება;
(რა) მე'სეიმება, (რა) მეთეატრება, (რა) მემღერება, (რა) მექეიფება, (რა) მეხაშ'ურება;
(არ) მედგომება, (არ) მესმეკა, (არ) მეცხოვრება, (არ) დამეჯერება;
მეტირება, მეღიმება, მეცინება, მეძინება, მაეი*წყდება, მე-წერინება, მეხატვინება, შემომელახება.

მათ ახასიათებთ მერყევი (ლაბილური) ინვერსია, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი და იმავე ზმნის წყობა შეიძლება ერთ შემთხვევაში პირდაპირი იყოს, მეორე შემთხვევაში – შებრუნებული (თუ სუბიექტი აქტიურია, ინვერსია გამორიცხულია). მაგ.:

მასპინძელი **ეცეკვება** სტუმარს (წყობა პირდაპირია).
ნეტავ რა **ეცეკვება** ამ სტუმარს (წყობა ინვერსიულია).

დ) ინვერსიულობისაკენ გადახრილი სტატიკური ვნებითის ორპირიანი ფორმები, თუ მიცემითში მდგომი სახელი პერსონალური პირია (ადამიანი). მაგ.:

მაბარია, მაცვია, მახატია, მიწერია, მახურავს, მგონია.

შენიშვნა: ინვერსიული შინაარსისაა შუალობითი კონტაქტის პირნაკლი ფორმები (ყველა მწკრივნაკლია): (რა) მაკეთებინებს, (რამ) ამაშენებინა, (ნეტავი) წამაღებინა[222].

ინვერსიის პროცესი სულ უფრო იფართოებს მოქმედების არეს. ბევრი ზმნა, რომლებსაც სუბიექტი პასიური აქვს, ხოლო მორფოლოგიური ობიექტი (ძირითადად – ადამიანი) – აქტიური, ტენდენციას იჩენს ინვერსიულობისაკენ: სახელობითში მდგომი სახელი კარგავს, ხოლო მიცემითში დასმული იძენს ზმნასთან რიცხვში შეთანხმების უნარს. მაგ.:

უსით, უწევთ, უწუხთ, უძგერთ, ჰყოფნით.

---

[222] დ ა მ ა ნ ა მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 242.

§ 62. პირისა და რიცხვის ნიშნების მართლწერა

პირველი სუბიექტური პირი და რიცხვი

1. I სუბიექტური პირის ნიშანი – **ვ-** თავსართი – არ იწერება **ვალ** და **ვედ** ფუძეების წინ.

სწორია: წავალ, წავედი [და არა: წავვალ, წაველი].

მაგრამ **ვ-** დაჩნდება ამავე ზმნების სასხვისო ქცევის ფორმებში, თუ ობიექტად III პირია.

სწორია: წა-**ვ**-უვალ, წავუველი, ა**ვ**უვალ, ავუველი (მე მას).

2. ვ- წარმოდგენილი არ არის ზმნაში, როცა ობიექტად II პირია:

გ-ხიბლავ (მე შენ), **გ**-აოცებ (მე შენ), **გ**-მადლობ (მე შენ), **გ**-ხატავ-**თ** (მე თქვენ), **გ**-არწმუნებ-**თ** (ჩვენ შენ).

შენიშვნა: გხატავთ (ისევე როგორც **გარწმუნებთ**) შეიძლება ოთხნაირად გავიგოთ: გხატავთ მე თქვენ, ჩვენ თქვენ, ის თქვენ და ჩვენ შენ. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დავუმატოთ სუბ-ქტური პირი. მაგ.:

S O O S O
მე გხატავთ (თქვენ), შენ გხატავთ (ჩვენ), თქვენ
S S O
გხატავთ (ჩვენ), ის გხატავთ (თქვენ).

ვ- ყოველთვის იწერება **უ** და **ო** ხმოვნების წინ, თუმცა წარმოთქმის დროს არ ისმის:

ვ-უხმობ, **ვ**-უთხარი, **ვ**-უპირებ; **ვ**-ოცნებობ, **ვ**-ოხრავ, გა-**ვ**-ოცდი.

3. ორი **ვ** მოუდის ზმნებს, თუ მათი ფუძე **ვ**-თი იწყება (პირის ნიშანი არც ამ შემთხვევაში ისმის). მცდარი დაწერილობის თავიდან ასაცილებლად საეჭვო ფორმას შევუპირისპიროთ II პირის ფორმები. მაგ.:

შენ	**მე**
ვარაუდობ	**ვ-ვ**არაუდობ

ვარდები	**ვ-**ვარდები
ვარცხნი	**ვ-**ვარცხნი
ვარჯიშობ	**ვ-**ვარჯიშობ
ვახშმობ	**ვ-**ვახშმობ
ვნებ	**ვ-**ვნებ

4. ზოგიერთ ზმნას დაერთვის **ვარ** მეშველი ზმნა. ასეთ რთულ ზმნებს I სუბიექტური პირის ნიშანი ორმაგად აღენიშნებათ:

ვ-დგა-**ვ**არ, **ვ-**გა-**ვ**არ, **ვ-**წუხ-**ვ**არ;

ასევე: და-**ვ-**მდგარ-**ვ**არ, და-**ვ-**მალულ-**ვ**არ, გა-**ვ-**მთბარ-**ვ**არ.

მაგრამ II თურმეობითსა და III კავშირებითში მეშველ ზმნას **ვ-** ჩამოსცილდება (დარჩება პირველი **ვ-**):

და-**ვ-**მდგარიყავი, და-**ვ-**მდგარიყო; და-**ვ-**მალულიყავი, და-**ვ-**მალულიყო; გა-**ვ-**მთბარ-იყავი, გა-**ვ-**მთბარიყო.

და არა: დავმდგარვიყავი ან დამდგარვიყავი; დავმალულვიყავი ან დამალულვიყავი და მისთ.

5. რთულ გარდამავალ ზმნებს I პირის ნიშანი მოუდით ზმნური ნაწილის წინ.

სწორია: ხელ-**ვ-**ყოფ, ღირს-**ვ-**ყოფ, თანა-**ვ-**უგრძნობ, უკუ-**ვ-**აგდებ

და არა: ვხელყოფ ან ხელვყოფ, ვღირსყოფ ან ღირსვყოფ, ვუთანაგრძნობ, ვუკუაგდებ ან ვუკუვაგდებ.

6. რთული სახელებისგან ნაწარმოებ ზმნებს I სუბიექტური პირის ნიშანი თავში მოუდით:

თანამშრომელი – **ვ-**თანამშრომლობ; სულდგმული – **ვ-**სულდგმულობ.

ასევე: **ვ-**ავადმყოფობ, **ვ-**თავკაცობ, **ვ-**თავმჯდომარეობ, **ვ-**ქედმაღლობ, **ვ-**გულფიცხობ, **ვ-**ძილფხიზლობ, **ვ-**ხუროთმოძღვრობ.

როგორ შევამოწმოთ, რომელია სწორი ფორმა?

შეცდომის თავიდან ასაცილებლად როგორც რთული, ისე რთული სახელებისგან ნაწარმოები ზმნები უნდა გადავიყვანოთ

I თურმეობითში, რომელშიც I პირის ნიშნის ადგილი ეჭვს აღარ იწვევს, გამოკვეთილია. მაგ.:

ვ-ავადმყოფობ – **მ**-იავადმყოფია (არავინ იტყვის: ავად-მიმყოფია);

მაგრამ: უარ-**ვ**-ყოფ – უარ-**მ**-იყვია (არავინ იტყვის: მიუარყვია).

8. I სუბიექტური პირის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება **-თ** ბოლოსართით.

სწორია: დავხატო-თ, დავაფასო-თ, შევამკო-თ, შევხედე-თ, ვიდავო-თ;

და არა: დავხატოდ, დავაფასოდ, შევამკოდ, შევხედედ, ვიდავოდ.

9. ინვერსიულ ზმნაში სუბიექტი გამოხატულია ობიექტური პირის ნიშნით, ხოლო ობიექტი – სუბიექტური პირის ნიშნით. მაგ.:

აწმყო			**I თურმეობითი**		
(პირდაპირი წყობა)			(ინვერსიული წყობა)		
	S_1	O_3პირდ.			
ვ-თლი	მე	მას	**მ**-ითლი-**ა**	მე	ის

პირველ ზმნაში (წყობა – პირდაპირი) S_1–ს გამოხატავს I სუბიექტური პირის ნიშანი – **ვ**- თავსართი, პირდაპირ ობიექტს კი ნიშანი არა აქვს.

მეორე ზმნაში (წყობა – ინვერსიული) S_1–ს გამოხატავს I ობიექტური პირის ნიშანი – **მ**- თავსართი, O_3-ს – III სუბიექტური პირის ნიშანი – **-ა** ბოლოსართი.

	S_1	O_3ირ.	O_3პირდ.			
მი-**ვ**-აბარებ-**თ**	ჩვენ	მას	მას	მი-**გვ**-იბარები-**ა**	ჩვენ	(მისცემის) ის

პირველ ზმნაში (წყობა–პირდაპირი) S_1–ს აღნიშნავს I სუბიექტური პირის ნიშანი – **ვ**- თავსართი, მის მრავლობითობას – **-თ** ბოლოსართი. III ირიბობიექტური პირის ნიშანი – **ჰ**- თავსართი ხმოვნის წინ იკარგება (თუმცა თანამედროვე ქართულში **ვ**- თავსართის შემდეგ აღარ იხმარება (იხ. აქვე № 37).

მეორე ზმნაში (წყობა – ინვერსიული) S_1–ს მრ. რიცხვში აღნიშნავს I ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშანი – **გვ**- თავსართი, ხოლო III პირის პირდაპირ ობიექტს – III სუბიექტური პირის ნიშანი – **-ა** ბოლოსართი.

მეორე სუბიექტური პირი და რიცხვი

10. როგორც აღვნიშნეთ, II სუბიექტური პირის ნიშნები – **ჰ-** და **ს-** თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აღარ გამოიყენება.

სწორია: ქარგავ, გმობ, პოვე, დაკეცე; თვლი, ტოვებ, წყრები, ჭამ;

და არა: ჰქარგავ, ჰგმობ, ჰპოვე, დაჰკეცე; სთვლი, სტოვებ, სწყრები, სჭამ.


11. II სუბიექტური პირის მრ. რიცხვი ზმნაში აღინიშნება **-თ** ბოლოსართით (იმ შემთხვევაშიც, თუ II პირის ნაცვალსახელი **თქვენ** ეროი პირის მისამართით არის გამოყენებული ან მის ნაცვლად მისი მნიშვნელობის გადმომცემი სიტყვებია), მაგრამ ხშირად კავშირებითი და ბრძანებითი კილოს ფორმებში მის ნაცვლად წერენ **დ**-ს.

სწორია: აანთოთ, იაროთ, დაწეროთ, (არ) დახატოთ, (არ) ჩათვალოთ, (არ) შეხვიდეთ;

და არა: აანთოდ, იაროდ, დაწეროდ, (არ) დახატოდ, (არ) ჩათვალოდ, (არ) შეხვიდედ.

12. ინვერსიულ ზმნებში II სუბიექტურ პირს გამოხატავს II ობიექტური პირის ნიშანი – **გ-** თავსართი, მის მრავლობითობას კი – **-თ** ბოლოსართი.

მაგ.:



(იხ. №13)

მესამე სუბიექტური პირი და რიცხვი

13. III სუბიექტური პირის ნიშნები მხ. რიცხვში **-ს, -ა, -ო** ბოლოსართებია. **-ს** იკარგება, როცა ზმნას დაერთვის II ობიექტური პირის სიმრავლის აღმნიშვნელი **-თ** ბოლოსართი.

სწორია: გთხოვთ, გიბრძანებთ, წარმოგიდგენთ; ასევე: გაქვთ, გყავთ, გძულთ;

და არა: გთხოვსთ, გიბრძანებსთ, წარმოგიდგენსთ, გაქვსთ, გყავსთ, გძულსთ.

14. ზოგ ზმნას წყვეტილში ეწარმოება **-ო** და **-ა**-ბოლოსართიანი პარალელური ფორმები. მათგან უპირატესობას ანიჭებენ **-ო**-ნიშნიანს, თუ დაცულია ორი პირობა: ა) ზმნის ძირი უმარცვლოა და ბ) I და II სუბიექტური პირის ფორმებში წყვეტილის მწკრივის ნიშანია **-ე**[223]. მაგ.:

დავრგე, დარგე – დარგ-**ო**; მივუსღე, მიუსღე – მიუსღ-**ო**; მოვრწყე, მორწყე – მორწყ-**ო**; დავართე, დაართე – დაართ-**ო**; შევიშრე, შეიშრე – შეიშრ-**ო**; შევიშვნე, შეიშვნე – შეიშნ-**ო**.

და არა: დარგა, მიუსღა, მორწყა, დაართა, შეიშრა, შეიშნა.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული პირობებიდან ერთერთი მაინც არ არის დაცული, მართებულად უნდა მივიჩნიოთ **-ა**-ბოლოსართიანი ფორმები. მაგ., ქვემოთ ჩამოთვლილი ზმნების ძირი უმარცვლოა, მაგრამ I და II სუბიექტური პირის ფორმებში წყვეტილის ნიშანია **-ი** [და არა **-ე**], ამიტომ

სწორია: გაუშვა, (გავუშვი, გაუშვი), დაარქვა, თქვა, ჩააცვა.

და არა: გაუშო, დაარქო, თქო, ჩააცო (გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში).

15. ზოგ ზმნას დღეს დაკარგული აქვს სუბიექტური პირის გაგება, მაგრამ პირის ნიშანს (მხ. რიცხვში) მაინც ინარჩუნებს: ღამდებ-**ა**, თენდებ-**ა**, თოვ-**ს**, წვიმ-**ს**. არ ითქმის: ის ღამდება, ის

---

[223] გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, სუბიექტური მესამე პირის **-ო** სუფიქსის შესახებ თანამედროვე ქართულში, ქსკს, წიგნი IV, თბ., 1981, გვ. 94.

თოვს, თუმცა პოეზიაში ესეც დასაშვებია. მაგ.: „თოელი თოვს, ქარი ბობოქრობს...“ (ვაჟა-ფშაველა), „ვითა დავღამდი, ისევ გავსთენდი“ (დავით გურამიშვილი).

16. ერთპირიანი ზმნა, რომელსაც მხოლოდ სუბიექტური პირი შეეწყობა, ჩვეულებრივ, დაირთავს მხოლოდ ერთ აფიქსს – სუბიექტური პირის ნიშანს (თუმცა არსებობს პირნაკლი ფორმები: სთვლემს, სძინავს და სხვ.).

სწორია: მოკურცხლა, ფეთქავს, ქრის, ყვავის; დუმს, ჩანს, ჩქეფს, წუხს, ჭკნება.

და არა: მოჰკურცხლა, ჰფეთქავს, ჰქრის, ჰყვავის; სდუმს, სჩანს, სჩქეფს, სწუხს, სჭკნება.

17. III სუბიექტური პირის ნიშნები მრ. რიცხვში **-ენ, -ნენ, -ან, -ნ** და **-ეს** ბოლოსართებია. ისინი აღნიშნავენ პირსაც და რიცხვსაც. ყოველ მათგანს თავ-თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. კერძოდ:

-ან იხმარება აწმყოს მწკრივში, თუ ზმნას ბოლოში **ი** აქვს: თლი-**ან**, იზრდები-**ან**, სჯობნი-**ან**, ყვირი-**ან**.

-ეს იხმარება წყვეტილში გარდამავალ ზმნასთან ან მისგან ნასესხებ ფორმებთან: გაიგ-**ეს**, დაწერ-**ეს**, დაუშალ-**ეს**; იმეფ-**ეს**, იყეფ-**ეს**, უხელმძღვანელ-**ეს**.

-ნ გვხვდება II კავშირ-თში: აღმართო-**ნ**, ქნა-**ნ**, დაიმალო-**ნ**, იმეფო-**ნ**.

-ენ გვხვდება აწმყოში თითქმის ყველა ზმნასთან, რომლებსაც ფუძე **ი** ხმოვნით არ უთავდებათ: აკეთებ-**ენ**, მალავ-**ენ**, ტეხ-**ენ**, თამაშობ-**ენ**, კვეც-**ენ**.

-ნენ დაერთვის გარდაუვალ ზმნებს: **ა)** წყვეტილსა და II კავშირებითში: დაესწრ-**ნენ**, წავიდ-**ნენ**, ეწვიე-**ნენ**, დაეწიე-**ნენ**, **ბ)** უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითში და აქედან ხოლმეობითსა და მყოფადის კავშირებითში ყველა ზმნასთან: (გა)აკეთებდ-**ნენ**, (და)ესწრებოდ-**ნენ**, (და)წერდ-**ნენ**, (და)ხატავდ-**ნენ**, (მწკრივის ფუძე **დ** თანხმოვნით ბოლოვდება).

18. **-ნენ** I სერიის რამდენიმე მწკრივში დაერთვის როგორც მოქმედებითი, ისე ვნებითი გვარის ზმნებს (და მათგან ნასესხებ

ფორმებს), წყვეტილში კი მოქმედებითებს დაერთვის **-ეს**, ვნებითებს – **-ნენ**. ზოგჯერ ამ ბოლოსართების ნაცვლად დასავლურ დიალექტებში ხმარობენ **-ენ**-ს.

სწორია: აშენებდ-**ნენ**, სდარაჯობდ-**ნენ**, იმალებოდ-**ნენ**, იდგ-**ნენ**; გააღამაზ-**ეს**, დაიმალ-**ნენ**.

და არა: აშენებდენ, სდარაჯობდენ, იმალებოდენ, იდგენ; გააღამაზენ, დაიმალენ (**მაგრამ**: მომავალში ააშენებ-**ენ**, უდარაჯებ-**ენ**, გაალამაზებ-**ენ**).

19. ზოგ ზმნას ტრადიციით აქვს შენარჩუნებული სუბიექტის მრავლობითობის ნიშანი.

სწორია: სჯობია, სწადია, ურჩევნია, უხარია, ჰქვია;

ასევე: ეშინია, რცხვენია, სცალია, სწყურია, შეუძლია, შია;

და არა: სჯობიან, სწადიან, ურჩევნიან, უხარიან, ჰქვიან, ეშინიან და მისთ.

20. ზოგჯერ III სუბიექტური პირის რიცხვი სათანადოდ არ არის ასახული პასიური მოქმედების გამომხატველი ზმნის ფორმაში. ეს მეტწილად მაშინ ხდება, როცა სუბიექტი გადმოცემულია **-ებ**-ბოლოსართიან მრავლობითში მდგომი უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელით, რომელსაც არ მიეწერება სულიერის მოქმედება, ანუ როცა სუბიექტი რეალური ვითარების მიხედვით უმოქმედო, პასიურია. II მრავლობითით გადმოცემული სახელი ზმნას ყოველთვის ითანხმებს რიცხვში. მაგ.:

> ყვავილები გაიშალა. კლდეები ჩამოინგრა. სახლები დგას. ყვავილები, რომლებიც გაიშალა, სხვაგან გადაერგე (**რომლებიც** წევრ-კავშირში იგულისხმება უსულო საგნის გამომხატველი სახელი – ყვავილები). ეზოში ყვავილები დავთესე. როდესაც ისინი გაიშალა, სხვაგან გადავრგე. „ისინი“ „ყვავილების“ ნაცვალია და ზმნაც ამიტომ არ ეთანხმება მას რიცხვში[224].
>
> **შენიშვნა**: ზოგიერთ გარდაუვალ ზმნას სუბიექტური პირის მრ. რიცხვის ფორმები არ ეწარმოება საკუთარი ფუძით, ამიტომ მათ ენაცვლება სხვა ფუძე.

---

[224] ა რ ნ ო ლ დ ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 247.

მაგ.: ქვა გდია – ქვები ყრია; წიგნი დევს – წიგნები აწყვია.

21. ზმნის ფორმა რიცხვის მიხედვით არ არის გარჩეული ერთპირიანი სტატიკური ვნებითის III სუბიექტურ პირში.

სწორია: ისინი მარხია (ძველად იყო **მარხი-ან**), წერია [და არა წერიან], ხატია [და არა ხატიან], **მაგრამ**: მუშა ძირს გდია – მუშები ძირს ყრიან.

22. გრამატიკული სუბიექტის მრავლობითობა არ აღინიშნება ინვერსიულ ორპირიან სტატიკურ ვნებითებში, თუ მიცემითში დასმული სახელი (გრამატიკული ირიბი ობიექტი, რეალურ სუბიექტად გააზრებული) პერსონალური პირია. მაგ.:

ისინი აბარია, არტყია, აფარია, აჩნია, აცვია, აცხია, აწერია, უწერია, უმარხია, ახვევია, ჰგონია, ახურავს.

23. გრამატიკული სუბიექტის სიმრავლე არ აღინიშნება აგრეთვე საშუალვნებითი გვარის ინვერსიულ ზმნებში.

სწორია: შვილები დედას უყვარს [და არა უყვარან].
მეზობლები მე მომწონს [და არა მომწონან].

ზმნას რიცხვში ითანხმებს მიცემითში დასმული სახელი – ლოგიკური სუბიექტი:

მათ ერთი ძმა ჰყავ-თ. ამხანაგებს ის ახსოვ-თ. მშობლებს შვილი ეამაყება-თ.

24. III სუბიექტური პირის მრავლობითობას აღნიშნავს ობიექტური პირის მრ. რიცხვის ნიშანი – **-თ** ბოლოსართი გარდამავალი ზმნის III სერიის ფორმებშიც, რომლებიც ინვერსიულია:

S₃ O₃პირდ. S₃ O₃პირდ.
ამზადებ-**ენ** ისინი მას – დაუმზადები-ა-**თ** მათ ის

S₃ O₃პირდ. S₃ O₃პირდ.
პატიჟებ-**ენ** ისინი მათ – დაუპატიჟია-**თ** მათ ისინი

§ 63. ობიექტური პირის ფორმები

პირველი პირი

დაიმახსოვრეთ:

1. I ობიექტური პირის ნიშნები – **მ-** თავსართი მხ. რიცხვში და **გვ-** თავსართი მრ-ში – ზმნაში ყოველთვის წარმოდგენილია (მნიშვნელობა არა აქვს ობიექტი პირდაპირია თუ ირიბი):

მ-ეფარება ის მე, **გვ**-ეფარება ის ჩვენ (ობიექტი ირიბია);
მ-ხიბლავს ის მე, **გვ**-ხიბლავს ის ჩვენ (ობიექტი პირდაპირია).

2. ორი **მ** მოუდის ზმნას, რომლის ფუძე **მ**-თი იწყება:

მ-მადლობს, **მ**-მალავს, **მ**-მართავს, **მ**-მართებს, **მ**-მატებს, **მ**-მოსავს, **მ**-მტრობს.

3. თუ ზმნის ფუძე **ვ** თანხმოვნით იწყება, მრ. რიცხვის ფორმაში თავს მოიყრის ორი **ვ**, თუ **გვ**-თი, – ორი **გვ**:

ჩა**გვ**-**ვ**არდნია, შე**გვ**-**ვ**აჭრებია, და**გვ**-**ვ**იწყებია, შე**გვ**-**ვ**ედრებია;
გვ-**გვ**ანებია, **გვ**-**გვ**რის, **გვ**-**გვ**ემს, **დაგვ**-**გვ**იანებია.

მეორე პირი

4. II ობიექტური პირის ნიშანი მხ. რიცხვში – **გ-** თავსართი – ზმნაში ყოველთვის წარმოდგენილია (მნიშვნელობა არა აქვს, ობიექტი პირდაპირია თუ ირიბი):

გ-ეფარება ის შენ (ობიექტი ირიბია);
გ-ხიბლავს ის შენ (ობიექტი პირდაპირია).


ამავე პირის სიმრავლე ზმნაში ხან აისახება, ხან – არა. ეს დამოკიდებულია იმაზე, ზმნა პირდაპირი წყობისაა თუ ინვერსიული, სუბიექტი მხ. რიცხვშია თუ მრ. -ში, შინაარსობრივად აქტიურია თუ პასიური.


II ობიექტური პირის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება:


ა) თუ სუბიექტი მხოლობითშია (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ეს უკანასკნელი სულიერი საგნის გამომხატველი სახელითაა გადმოცემული თუ უსულოსი). რიცხვის გარჩევა


ხდება **-თ** ბოლოსართის მეშვეობით. ამ დროს იკარგება ორ თანხმოვანს შორის მოქცეული III სუბიექტური პირის ნიშანი – **-ს**.

მასწავლებელი თქვენ ყოველდღე გამეცადინებთ.



ეს კაბა ძალიან გალამაზებთ. 

თქვენ ახალი სახლი გიშენდებათ. 


მე თქვენ აგარაკზე გპატიჟებთ. 

ბ) თუ სუბიექტი მრავლობითშია, მაგრამ პასიურია და ზმნა გარდაუვალია:


თმები სწრაფად გეზრდებათ, სახლები გიშენდებათ, კაბები გიძველდებათ, ლექციები გეკითხებათ, მაგიდები ეზოში გიდგათ (ისინი თქვენ).

5. II ობიექტური პირის სიმრავლე ზმნაში არ აღინიშნება, თუ სუბიექტი მრავლობითშია და ეს ზმნაში ასახულია სათანადო ნიშნით. სუბიექტ-ქვემდებარესა და ზმნა-შემასმენელს შორის რიცხვში შეთანხმება ხდება მოქმედებით, საშუალ-მოქმედებით და ზოგიერთ ვნებითი გვარის ზმნაში, როცა სუბიექტი სულიერია (ძირითადად – ადამიანი) ან მიეწერება სულიერის მოქმედება. მაგ.:


მასწავლებლები თქვენ ყოველდღე გამეცადინებენ.



ეს კაბები ძალიან გალამაზებენ.



ჩვენ თქვენ გპატიჟებთ აგარაკზე.



ასევე: შვილები გეზრდებიან, მცველები გდარაჯობენ, წვიმის წვეთები ფანჯარაზე გიკაკუნებენ, ყვავილები დაგტირიან, ტალღები გეომებიან, ქარები გემუქრებიან, ხეები // ხენი გეფარებიან.

ინვერსიული წყობა

ინვერსიულ ზმნაში II ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშანს გამოხატავს II სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშანი:

O_2პირდ.

მასწაულებელს/მასწაულებლებს უმეცადინები**ხ**-არ-**თ** მას/მათ თქვენ

ამ კაბას/კაბებს გაულამაზები-**ხ**-არ-**თ**
ამ სახლს/სახლებს ახსოვ-**ხ**-არ-**თ**
მშობელს/მშობლებს თვალში ეპატარავები-**თ** მას/მათ თქვენ

მესამე პირი

6. მესამე პირდაპირობიექტურ პირს ზმნაში ნიშანი არა აქვს. გავიხსენოთ, ფორმის მიხედვით რომელია პირდაპირი ობიექტი. პირდაპირია ბრუნვაცვალებადი ობიექტი, რომელიც I სერიაში მიცემით ბრუნვაშია, ხოლო II და III სერიაში – სახელობითში. მაგ.:

აწმყო	რას შვრება?	გმობს ის **მას**	ფარავს ის **მას**
წყვეტილი	რა ქნა?	დაგმო მან **ის**	დაფარა მან **ის**

მაშასადამე, სწორია: მან ის გაკიცხა, დაკეცა, მოკრიფა, მოქსოვა, შეკრა;

ასევე: გაცვალა, დათვალა, დატანჯა, დაჩაგრა, დაძაბა, დაჯავშნა;

და არა: გაჰკიცხა, დაჰკეცა, მოჰკრიფა, მოჰქსოვა, შეჰკრა; გასცვალა, დასთვალა, დასტანჯა, დასჩაგრა, დასძაბა, დასჯავშნა.

7. ირიბი ობიექტი ბრუნვაუცვლელია – ყველა მწკრივში მიცემითშია. ამის ამოსაცნობადაც გამოვიყენოთ წყვეტილის მწკრივი. თუ ამ მწკრივში ობიექტი მიცემით ბრუნვაში აღმოჩნდება, მაშინ ის ირიბია. შეიძლება ორპირიანმა ზმნამ ვერ აწარმოოს წყვეტილის ფორმა, ამ შემთხვევაშიც ობიექტი ირიბი იქნება. მაგ.:

აწმყო	ემალება ის **მას**	სდარაჯობს ის **მას**	მისწიევის ის მას
წყვეტილი	დაემალა ის **მას**	უდარაჯა მან **მას**	–

ინვერსიულ ზმნაში რეალური სუბიექტია მიცემითში დასმული სახელი – მორფოლოგიური ირიბი ობიექტი, რომლის ნიშნები ყოველთვის წარმოდგენილია შესაბამის ფონეტიკურ გარემოში.

III ირიბობიექტური პირის ნიშნებია ჰ- ან ს- თავსართები, რომლებიც ზმნას დაერთვის, თუ მისი ფუძე იწყება ხშული სამეულებიდან ერთ-ერთი თანხმოვნით. ხმოვნებისა და დანარჩენი თანხმოვნების წინ ეს პირის ნიშნები აღარ იხმარება.

ჰ- იხმარება **ბ, ფ, პ; გ, ქ, კ** და **ყ** თანხმოვნების წინ, ხოლო **ს- – დ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ** თანხმოვნების წინ. ამ ასო-ბგერების დასამახსოვრებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ **მნემონიკის** ხერხი – წინადადების შედგენა დასამახსოვრებელი თანხმოვნებით დაწყე-ბული სიტყვებით. მაგ.:

ჰ-ს შემთხვევაში: კ-ინოთეატრ „ყ-აზბეგში“ ბ-ადის ძ-ართული შ-ილმი პ-ატარა ბ-ავშვებისათვის.

ს-ს შემთხვევაში: დ-ღეს თ-ბილისის ც-ირკში ტ-აშკენტიდან ჩ-ამოდის ძ-ალოსან ჭ-აბუკთა წ-არმატებული ჯ-გუფი.

მაშასადამე, III ობიექტური პირს ზმნაში ნიშანი აქვს, თუ სრულდება ორი პირობა:

ა) ზმნას შეეწყობა ირიბი ობიექტი და
ბ) მისი ფუძე იწყება ხშული სამეულებიდან ერთ-ერთი თანხმოვნით.

8. გარდამავალი ზმნებიდან III ირიბობიექტური პირის ნიშანი წარმოდგენილი უნდა იყოს სამპირიან ფორმებში. მაგ.:

ჰ-გვრის, ჰკადრებს, ჰკარნახობს, ჰკითხავს, აჰკიდებს, მოჰგვრის, მოჰკვეცს, მოჰკითხავს, მოჰპარავს, მოჰფხანს; ს-თხოვს, სთავაზობს, სტაცებს, დასწამებს, მისწერს, მოსწმენდს, მოსჭამს, შესჩივლებს, შესძენს, წასცხებს.

9. ორპირიანი გარდაუვალი ზმნებიდან III ირიბობიექტური პირის ნიშანი წარმოდგენილი უნდა იყოს:

ა) **დინამიკური ვნებითის III სერიის ფორმებში**. კერძოდ:

ე-ნიშნიანებში:

ეგებება – შეჰ-გებებია, ეკარგება – დაჰკარგვია, ეკაწრება – გაჰკაწრია, ეპარება – გაჰპარვია, ეფერება – მოჰფერებია, ექვემდებარება – დაჰექვემდებარებია, ეყინება – გაჰყინვია; ეწვევა – სწვევია, ეტორღიალება – ასტორღიალებია, ეჭიდება – შესჭიდებია, ეჯავრება – შესჯავრებია.

დ-ნიშნიანებში (ნასახელარში):

უბედნიერდება – გაჰ-ბედნიერებია, უკაცდება – გაჰკაცებია, უფითრდება – გაჰფითრებია, უქვაცდება – გაჰქვაცებია, უყვითლდება – გაჰყვითლებია; უთამამდება – გასთამამებია, უჯავრდება – გასჯავრებია, უჩერდება – გასჩერებია, უცივდება – გასციებია, უძნელდება – გასძნელებია, უჭირდება – გასჭირვებია.

უნიშნოებში:

უკვდება – მოჰ-კვდომია, უკრთება – გაჰკრთობია, უფრთხება – გაჰფრთხობია, უქრება – გაჰქრობია;
უთბება – გა-ს-თბობია, უტკბება – გასტკბობია, უცვდება – გასცვეთია, უწყრება – გასწყრომია, უჭკნება – დასჭკნობია.

შენიშვნა: იმ სამპირიან ზმნებს, რომელთაც ერთდროულად შეეწყობა ორი ირიბი ობიექტი **ჰ** და **ს** თავსართები დაერთვის ზემოაღნიშნული წესების მიხედვით: **ჰ**-პირდება, ეკითხება – შეჰკითხვია, უყვება – მოჰყოლია; ასევე: ედავება – შე-**ს**-დავებია, ეცილება – შე**ს**ცილებია.

ბ) სტატიკურ ვნებითებში:

ჰ-გონია, **ჰ**კიდია, **ჰ**ქვია, აკრაეს – **ჰ**კერია, აფარია – **ჰ**ფარებია, უბია – **ჰ**ბმია, უგდია – **ჰ**გდებია;
ს-ჩევია, **ს**ცხია, აცვია – **ს**ცმია, უწერია – **ს**წერებია, უწყია – **ს**წყობია, უჭირაეს – **ს**ჭერია.

გ) საშუალმოქმედებითი გვარის ზმნებში:

ჰ-ბაძავს, **ჰ**კბენს, **ჰ**ქომაგობს, დაჰბ'ხუის, დაჰკანკალებს, მიჰკივის, შეჰბღავის, შეჰყმუის, ჩაჰკირკიტებს;
ს-ცემს (**ს**ცემა მან მას, და არა მან ის),

სძლევს (**ს**ძლია მან მა**ს**, მაგრამ: დაძლია მან ის), **სჯ**ობნის, და**ს**ტრიალებს, და**სხ**ავის, და**ს**ცინის, შე**ს**ტრფის, შე**სც**იცინებს.

დ) საშუალვნებითი გვარის ზმნებში:

უდგას – **ს**-დგმია (გვირგვინი), მაგრამ: **სდ**გომია (მხარში), **უ**ღევს – **სდ**ებია, **უ**სის – **სჯდ**ომია, **უ**წევს – **სწ**ოლია.

ე) საშუალვნებითი გვარის ინვერსიულ ზმნებში:

ჰ-ყავს, მი**ჰ**ყავს, **უ**ყვარს – **ჰ**ყვარებია, აკლია – **ჰ**კლებია; **ს**-ცალია, **სწ**ადია, **სწ**ყურია (რომლებიც სტატიკური ვნებითის დაბოლოებაზე გადავიდნენ), **სძ**ულს, **სწ**ამს, **სწ**ყინს, სჭირს, მოს**წ**ონს, შეს**წ**ევს (ძალა).

10. ზოგ ინვერსიულ ზმნას შეე**წ**ყობა მხოლოდ ობიექტური პირი (რეალური სუბიექტი), რომელიც უნდა გაფორმდეს სათანადო ნიშნით. მაგ.:

და-**ჰ**-ბნელებია (მას თვალებში), **სთ**ვლემს მას (**მაგრამ: თვლემს ის**), **სტ**ეხს მას (ტანში), **სც**ხელა მას (**მაგრამ: ცხელა საერთოდ**), **სც**ივა მას (**მაგრამ: ცივა საერთოდ**), დას**თ**ენებია მას (თავზე).

11. რამდენიმე ზმნას ირიბი ობიექტი არ შეე**წ**ყობა, მაგრამ, ნორმების თანახმად, **ს-** თავსართი მაინც უნდა დავურთოთ (თუმცა ზოგიერთ ზმნასთან დაკავშირებით საკითხი სადავოა[225]). ასეთი გამონაკლისია:

გა-**ს**-ტანს, გა**სწ**ევს, ა**სწ**ევს, გამო**სც**ემს, გა**სც**ემს; (ნორმები, გვ. 202). მაგ.:

შე**ჯ**იბრება ხუთ დღეს გასტანს. ოძელაშვილმა შინისკენ გა**სწ**ია. ვახტანგმა ხელნა**წ**ერები ერთ დიდ წიგნად გამო**სც**ა. მართებლობამ გა**სც**ა სასტიკი ბრძანება.

ასეთივე ზმნებია: ს-ჩადის (მე ჩავდივარ, შენ სჩადიხარ) დანაშაულს, მაგრამ: ჩადის კიბესე, **სც**დის (ბედს), მაგრამ

---

[225] ვ ა ხ ტ ა ნ გ ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ჰ და ს პრეფიქსების ხმარების სრულყოფისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული მართლწერის სადავო საკითხები, ობ., 2016, გვ. 41-54.

ცდის (ლექტორი სტუდენტს), შეისყიდის, მაგრამ: იყიდის, შემოსძახა (მან სიმღერა).

12. ქრისტე აღდგა თუ ქრისტე აღსდგა?

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ დაწერილობა საკამათოა. ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო წრეებში ერთმანეთს უპირისპირდება ორი თვალსაზრისი: **ა)** შესიტყვებაში „ქრისტე აღსდგა“ ზმნას არ შეეწყობა ირიბი ობიექტი, ამიტომ **ს**-თავსართი ზედმეტია და **ბ) „ქრისტე აღსდგა“** უნდა დარჩეს გამონაკლისის სახით, როგორც ტრადიციული შესიტყვება (მილოცვის ფორმულა; აფიქსი **ს** კი, რომელიც ფუძესაა შეხორცებული, ამ შემთხვევაში გამოყენებულია ლექსიკური მნიშვნელობის განსასხვავებლად; ბესარიონ ჯორბენაძე). შეადარეთ:

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით (აღდგომა) – ქრისტე გაცოცხლდა;
ტაძარი აღდგა (აღდგენა) – ტაძარი ხელახლა აშენდა, განახლდა.
კაცი სამსახურში აღდგა (აღდგენა) – სამსახურში ხელახლა მიიღეს.
კაცი ფეხზე აღდგა ძვ. // ადგა.

მართლწერის ახალი ლექსიკონის მიხედვით თანაბარუფლებიანი პარალელური ფორმებია ქრისტე აღსდგა (ტრადიც.) // ქრისტე აღდგა[226].

13. იმ შემთხვევაში, როცა ზმნის ფორმაში III ირიბობიექტურ პირთან ერთად წარმოდგენილია I სუბიექტური პირი, **ვ**-თავსართის შემდეგ **ჰ**- და **ს**- თავსართები აღარ გამოიყენება (ვარლამ თოფურია, ივანე იმნაიშვილი, ავთანდილ არაბული, ოთარ გაჩეჩილაძე, რუსუდან ზექალაშვილი).

ვ-გავარ, **ვ**კითხავ, **ვ**ყავარ, **ვ**თხოვ, შევჩიევლებ, მოვწონვარ.

თუმცა ნორმების მიხედვით ჯერჯერობით თანაბარუფლებიან პარალელურ ფორმებად მიიჩნევა: **ვ**გავარ // **ვჰ**გავარ, **ვ**თხოვ // **ვს**თხოვ და მისთ. (ნორმები, გვ. 201).

---

[226] ნინო ხახიაშვილი, „ქრისტე აღდგა“ თუ „ქრისტე აღსდგა“, ქსკს, წიგნი XIV, თბ., 2014, გვ. 212-216 და მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის, გვ. 72.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **ჰ-** და **ს-** თავსართებს საერთოდ ახასიათებთ გაქრობის ტენდენცია და ადრე თუ გვიან ღღის წესრიგში დადგება ნორმის გადახედვის საკითხი[227].

14. ერთი და იმავე ფუძის მქონე ზმნა შეიძლება იყოს ერთ შემთხვევაში ერთ- ან ორპირიანი, სხვა შემთხვევაში – ორ- ან სამპირიანი. ობიექტური პირის ნიშნებიც ამის გათვალისწინებით უნდა დავურთოთ. შეადარეთ:

ერთ- და ორპირიანები:

გადადის (ის ღობეზე) – გადა**ს**დის (ის მას სახეზე ნათელი/თავზე ქონება); თანხმდება (ის ამაზე) – **ს**თანხმდება (ის მას), მოდგა (აქეთ) – მო**ს**დგა (ის შვილს და გალანძღა); ტირის (ის) – და**ს**ტირის (ის მას), ტყდება (შუშა) – **ს**ტყდება (ტოტი ხეს); შედგება (მოლაპარაკება) – შე**ს**დგება (ის მას ფეხით); ჩამოდის (ის კიბეზე) – ჩამო**ს**დის (ცრემლი მას); ცდება (ის უსაქმოდ) – **ს**ცდება (ის საქმეს); წერია (ის წიგნში) – **ს**წერია (ჯვარი მას); წყდება (თოკი) – **ს**წყდება (ღილი ხალათს); ჭარბობს (ღრუბლიანი დღეები) – **ს**ჭარბობს (წლევანდელი მოსავალი შარშანდელს); ჭირს (მუშაობა) – **ს**ჭირს (გრიპი); ჯობია // ჯობს (დროზე წასვლა) – **ს**ჯობია // **ს**ჯობს (წასვლა წაუსვლელობას).

ორ- და სამპირიანები:

გადადებს (ის საქმეს) – გადა**ს**დებს (ის მას გრიპს); გადაწერს (ის წერილს) – გადა**ს**წერს (ის მას პირჯვარს); დადებს (ის წიგნს) – და**ს**დებს (ის მას პატივს); კვეთს (ის გზას) – **ჰ**კვეთს (ის მას თავს); კრავს (ის ბარგს) – **ჰ**კრავს (ის მას ხელს); წირავს (ის თავს) – **ს**წირავს (ის სამშობლოს თავს), ტეხს (ის ჯოხს / ალიაქოთს) – **ს**ტეხს (ის ხეს ტოტს); წერს (ის დავალებას) – **ს**წერს (ის მას წერილს); წვავს (ის მწვადს) – **ს**წვავს (კვამლი მას თვალებს); წმენდს (ის იატაკს) – **ს**წმენდს (ის მას ცრემლს); წყვეტს (საკითხს) – **ს**წყვეტს (ის მას გულს); ჭამს (ის პურს) – მო**ს**ჭამს (ის მას ჭირს); ჭრის (ის ქაღალდს) – **ს**ჭრის (ის ხეს ტოტს).

---

[227] ლ ე ლ ა ც ი ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, კვლავ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების ერთი საკითხის შესახებ: მიესწერ თუ მიეწერ, ჰკითხავ თუ ეკითხავ? ქსკს, წიგნი XIV, გვ. 184.

15. III ირიბობიექტური პირის რიცხვი ზმნაში შეიძლება აისახოს, შეიძლება – არა. ძველ ქართულში იგი არ აღინიშნებოდა, ახალში კი ვითარება შეიცვალა: ირიბი ობიექტის სინტაქსური ძალა გაიზარდა, თუმცა ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა. რიცხვის გარჩევა ხდება **-თ** ბოლოსართის მეშვეობით.

III ირიბიობიექტური პირის სიმრავლე აისახება:

ა) პირდაპირი წყობის გარდაუვალ ზმნაში, თუ სუბიექტი უსულო პირია (რიცხვს მნიშვნელობა არა აქვს), ირიბი ობიექტი – სულიერი და ზმნა გამოხატავს პასიურ მოქმედებას.

ბავშვებს ფერი წასვლოდა-**თ**. დევნილებს სახლი/სახლები უშენდება-**თ**. სტუდენტებს ლექცია/ლექციები ეკითხება-**თ**. ახალგაზრდებს თმა ეჩეჩება-**თ**. ქალებს კაბა/კაბები უსველდება-**თ**. მატყუარებს ცხვირი ეზრდება-**თ**.

ბ) ინვერსიული წყობის გარდაუვალ ზმნაში, რომელშიც რეალური სუბიექტია მიცემით ბრუნვაში მდგომი სახელი – გრამატიკული ირიბი ობიექტი (მნიშვნელობა არა აქვს, ის სულიერია თუ უსულო):

მცველებს ღამღამობით უცნაური ხმები ესმი-**თ**. მთებს სიტყვის თქმა უჭირ-**თ**. მერცხლებს დაბრუნება უნდა-**თ**.

ასევე: მათ უყვარ-**თ**, სძულ-**თ**, ახსოვ-**თ**, მოსწონ-**თ**, სწამ-**თ**, სწყინ-**თ**, სტკივა-**თ**, უკვირ-**თ**, უმძიმ-**თ**, აქვ-**თ**, ჰყავ-**თ**, მიაქვ-**თ**, მიჰყავ-**თ**, სძინავ-**თ**, ღვიძავ-**თ**, აკანკალებ-**თ**, ეცოტავება-**თ**, ეღიმება-**თ**, შემოელახება-**თ**, ეწერინება-**თ**.

გ) სტატიკური ვნებითის ორპირიან ფორმაში, თუ რეალური სუბიექტი პერსონალური პირია. შეადარეთ:

გალავანი სახლებს არტყია, მაგრამ: სარტყელი ბავშვებს არტყია-**თ**.

კედლებს ნატყვიარები ატყვია, მაგრამ: მეომრებს ჭრილობები ატყვია-**თ**.

ასევე: მათ (ადამიანებს) აბარია-**თ**, აწნია-**თ**, აცვია-**თ**, აცხია-**თ**, აწერია-**თ**, უწერია-**თ**, უმარხია-**თ**, ახვევია-**თ**, ახურავ-**თ**.

დ) საშუალმოქმედებითი გვარის ზმნის III სერიის ფორმაში, რომელიც ინვერსიულია, რაც იმას ნიშნავს, რომ სუბიექტი ირიბობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნებითაა წარმოდგენილი. მაგ.:

მასპინძლები სტუმრებს უბოდიშებენ – მასპინძლებს სტუმრებისთვის მოუბოდიშებია-თ. მცველები სასახლეს სდარაჯობენ – მცველებს სასახლისთვის უდარაჯია-თ.

16. გარდამავალი ზმნის III სერიის ფორმაში, რომელიც ინვერსიულია:

სტუდენტები მეგობრებს იწვევენ – სტუდენტებს მეგობრები მოუწვევია-თ.
სასულიერო პირები ჯარს ლოცავენ – სასულიერო პირებს ჯარი დაულოცავ-თ.
მეფეები ტაძრებს მოახატვინებენ – მეფეებს ტაძრები მოუხატვინებია-თ.

17. III ირიბობიექტური პირი მრ. რიცხვის ნიშანს ვერ აჩენს გარდამავალი ზმნის I და II სერიაში, სადაც ინვერსია არ ხდება. შეადარეთ:

უხატავს ის **მას** მას და უხატავს ის **მათ** მას;
უშენებს ის **მას** მას და უშენებს ის **მათ** მას.

18. III ირიბობიექტური პირის სიმრავლე არ აისახება აგრეთვე გარდაუვალ ზმნაში. თუ სუბიექტი მრავლობითშია და ზმნაშიც სათანადო ნიშნითაა წარმოდგენილი. ეს კი იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ სუბიექტი გადმოცემულია:

ა) სულიერი საგნის აღმნიშვნელი სახელით:

ბავშვები დედებს გაეტირ-ნენ. მკაცრ მშობლებს კარგი შვილები ეზრდები-ან. იქ მათ ამხანაგები ელოდ-ნენ. მოსწავლეები მასწავლებლებს ემადლიერები-ან.

ბ) I ან II პირის ნაცვალსახელით:

ჩვენ ვხელმძღვანელობთ ამ ჯგუფებს.
ვ-ხელმძღვანელობ-თ ჩვენ მათ

თქვენ ეთხოვებით მეგობრებს.
ეთხოვები-თ თქვენ მათ.

გ) -ნ-ბოლოსართიან (ე. წ. ნარიან) მრავლობითში მდგომი უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელით:

ღრუბელნი მთებს მოეფარნენ.
კლდენი მრახველებს ესალმებიან.

დ) -ებ-ბოლოსართიან მრავლობითში მდგომი უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელით, როცა ზმნა გამოხატავს აქტიურ მოქმედებას. გარდაუვალი ზმნებიდან ასეთია დინამიკური ვნებითის ნაწილი და საშუალმოქმედებითი გვარის ზმნები (გავითვალისწინოთ, რომ ამ უკანასკნელის III სერიის ფორმებში, რომლებიც ინვერსიულია, ირიბი ობიექტის მრავლობითობა ყოველთვის ასახულია). მაგ.:

> ქარის დროს ხის ტოტები ტოტებს ეჯახებიან. ქარები ფოთლებს ეჯარჯულებიან. მინდვრები ღრუბლებს წვიმის გამოგზავნას ევედრებიან. იები მწერებს ემალებიან. მაღალი მთები სოფლებს სდარაჯობენ. ხეებს ფესვები აუტირდნენ.

სუბიექტი, შესაძლოა, პერსონალური პირი (ადამიანი) იყოს:

> მასპინძელი სტუმრებს ჭიშკართან შეხვდა.
> სუსტი ადამიანი ძლიერებს ეტმასნება.

იგივე სურათია ე. წ. დეპონენსებშიც (ფორმით ვნებითი, შინაარსით მოქმედებითი გვარის ზმნებში):

> მძღოლი მგზავრებს ედავება. ძმა დებს ესარჯლება. ქარი ფოთლებს ეთამაშება.

ასეთივე ზმნებია: ეკითხება, ეჰატიუება, ეპაექრება, ესაუბრება, ემდურება, ებუტება, ეურჩება.

ზოგი მათგანი პარალელურად გამოიყენება როგორც ჩვეულებრივი ენიანი ვნებითის, ისე დეპონენსური მნიშვნელობით, შესაბამისად რიცხვში შეთანხმებაც სხვადასხვაგვარია. შეადარეთ:

> მაიმუნი ბავშვებს **ემანჭება** (დეპონენსია) და სახე მაიმუნებს **ემანჭება-თ** (ვნებითია); მთვრალი სტუმრებს ფეხებში **ედებოდა** (დეპონენსია) და ქალებს კაბა ფეხებში **ედებოდათ** (ვნებითია).

19. როგორც აღვნიშნეთ, ზმნაში III ირიბობიექტური პირის მრავლობითობის ასახვის პროცესი ჯერ არ დასრულებულა. გრამატიკული ირიბი ობიექტი სულ უფრო მეტ ზმნასთან იძენს რიცხვში შეთანხმების უნარს. მაგ.: თუ სუბიექტიც და მასთან კომბინაციაში მყოფი ირიბი ობიექტიც უსულო პირია და ზმნა გამოხატავს პასიურ მოქმედებას, შეიძლება შეგვხვდეს ირიბი ობიექტის ზმნასთან რიცხვში შეთანხმების შემთხვევებიც. ნორმა

დადგენილი არ არის, ამიტომ შეცდომად არ ითვლება პარალელური ფორმები:

იებს კაბები უსველდება // უსველდება-**თ** (შეადარეთ: **ქალებს კაბები უსველდებათ**). სახელებს ფუძე ეკუმშება // ეკუმშება-**თ**. მათ ბოლო ეკვეცება // ეკვეცება-**თ**. ხეებს უწყლობით ფესვები უხმება // უხმება-**თ**. სახლებს კედლები ერეცა // ერეცა-**თ**. ზარებს ხმა ებზარება // ებზარება-**თ**. მთებს გასახარებლად მათს მკერდზე გაშლილი ყვავილების ღიმილიც ჰყოფნის // ჰყოფნი-**თ**.

20. თ დაერთვის ზმნას მრ. რიცხვის ნიშნად და სახელებს – ე. წ. თანიან მრავლობითში, ამიტომ დაუშვებელია მისი გამოყენება სხვადასხვა გამოთქმაში, რომელთაგან ზოგს შორისდებულის მნიშვნელობა აქვს.

სწორია: არიქა, შენი / თქვენი ჭირიმე, სალამი, საღამო მშვიდობისა, ბოდიში, კარგი, მოდი.

და არა: არიქათ, შენი / თქვენი ჭირიმეთ, სალამით, საღამო მშვიდობისათ, ბოდიშით, კარგით, მოდით.

მაგრამ თუ II პირისადმი მიმართვისას გამოყენებული სიტყვები და გამოთქმები ზმნები ან ზმნური წარმოშობის გამოთქმებია (საალერსო, სამადლობელი, საბოდიშო და სხვ.), მაშინ მრ. რიცხვში (ან ზრდილობიან ფორმაში – „თქვენობით“ მიმართვისას) **თ**-ს დართვა აუცილებელია.

სწორია: გენაცვალე-**თ**, დაგენაცვლე-**თ**, შემოგევლე-**თ**, მოგესალმები-**თ**, აგაშენო-**თ** ღმერთმა, გაკურთხო-**თ** უფალმა, გმადლობ-**თ**, მაპატიე-**თ**, მომიტევე-**თ**, ღმერთმა დაგწყევლო-**თ**.

21. გამარჯობა თუ გამარჯობათ?

გამარჯობა მისასალმებელი ფორმაა, რომელიც წარმომდგარია სიტყვისგან **გამარჯვება**. ანუ ის არ არის ზმნა და, წესით, მრავლობითობის აღმნიშვნელ **-თ** ნიშანს არ უნდა ირთავდეს, მაგრამ, ვინაიდან მისი თანიანი ფორმა ძალიან გავრცელებულია, იგი **დ ა ს ა შ ვ ე ბ** ფორმად არის მიჩნეული გამონაკლისის სახით (იხ. შუქია აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული. გვ. 48). ამრიგად,

სწორია: გამარჯობა (ორივე რიცხვში), გამარჯობა შენი, გამარჯობა თქვენი.

დასაშვებია: გამარჯობათ (ერთზე მეტი პირისადმი ან „თქვენობით“ მიმართვისას).

22. გაგიმარჯოს თუ გაგიმარჯოთ?

გამარჯობის პასუხად ჩვენ უკვე ზმნას ვიყენებთ, რომელსაც მრ. რიცხვში **-თ** დაერთვის.

სწორია: გაგიმარჯო-**ს** (როცა ერთ პირს მიუმართავთ) და გაგიმარჯო-**თ** (როცა ერთზე მეტს მიუმართავთ ან ზრდილობიან ფორმას ვიყენებთ); **ასევე სწორია:** გამიმარჯოს (მე), გაუმარჯოს (მას), გაგვიმარჯოს (ჩვენ), გაუმარჯოთ (მათ).

ზმნისწინი

ზმნისწინი არის ერთი ან ორი მარცვალი, რომელიც ზმნას დაერთვის თავში პირისა და სხვა კატეგორიების ნიშნების წინ და გარკვეულწილად უცვლის მას მნიშვნელობას.

ახალ ქართულში 16 ზმნისწინია. ესენია:

მარტივი	ა (⇐აღ)	გა (⇐გარ)	და	შე	ჩა (⇐შთა)	წა (⇐წარ)	გადა (⇐გარდა)	მი	მო	
რთული	ამო (⇐აღმო)	გამო	–	შემო	ჩამო (⇐შთამო)	წამო (⇐წარმო)	გადმო (⇐გარდმო)	–	–	მიმო

ძველად გამოიყენებოდა აგრეთვე: უკუ და უკმო, წიაღ და წიაღმო, დამო.

ზმნისწინი ფუნქციურად მრავალფეროვანია. იგი ზმნას უცვლის როგორც გრამატიკულ, ისე ლექსიკურ მნიშვნელობას. მაგ., ზმნისწინს შეუძლია:

ა) ახლანდელი დროის ფორმას მიანიჭოს მომავალი დროის მნიშვნელობა და ამავე დროს აწმყოს მწკრივის ფორმას – მყოფადისა:

> აშენებს – ა-აშენებს; ზელს – მო-ზელს; კვეთს – გა-კვეთს; რეკავს – და-რეკავს; იკეცება – ჩა-იკეცება; ეძღვნება – მი-ეძღვნება; ამცივნებს – შე-ამცივნებს.

ბ) გაზარდოს ზმნის პირიანობა (მოქმედებაში ირიბი ობიექტის შემოყვანით):

> იცინის – შე-სცინის; ტირის – მი-სტირის; ყმუის – და-ჰყმუის; წერს – მო-სწერს; წურავს – ჩა-აწურავს.

გ) ცვალოს მიმართებები პირთა შორის. მაგ., სამპირიან ზმნაში I და II პირდაპირობიექტური პირი ჰგუობს **მი-** ზმნისწინს: **მი**-მცემს (ის მას მე), **მი**-გცემს (ის მას შენ), ხოლო ირიბობიექტური – **მო**-ს: **მო**-მ-ცემს (ის მე მას), **მო**-გ-ცემს (ის შენ მას).

დ) უსრული ასპექტის მოქმედება წარმოგვიდგინოს სრული სახისად:

აშენა – ა-აშენა, გა-აშენა, და-აშენა, მი-აშენა, მო-აშენა, ამო-აშენა.

ე) სრულიად შეცვალოს სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა, მათ შორის წარმოქმნას ანტონიმები. მაგ., შეადარეთ:

ა-აგებს, მი-აგებს, ჩა-აგებს, წა-აგებს, წამო-აგებს; გა-აგონებს, ჩა-აგონებს; გა-არჩევს, შე-არჩევს; გა-იქცევა, მო-იქცევა; გა-შლის, ჩა-შლის, წა-შლის, შე-შლის; და-ითხოვს, მო-ითხოვს; და-ხვდება, მო-ხდება, შე-ხვდება; მი-იტანს, შე-ატანს, ჩა-ატანს, წა-ატანს; და-ირცხვენს, შე-ირცხვენს; გა-იღებს, წა-იღებს; წა-ართვა, მი-ართვა; გა-იყარნენ, შე-იყარნენ; მო-გება, წა-გება.

ვ) დააკონკრეტოს ზმნის ძირითადი მნიშვნელობა: მაგ., გამოხატოს მოძრაობის (გადაადგილების) მიმართულება (სივრცული ორიენტაცია), რომელიც ფასდება პირველი (მოუბარი, საორიენტაციო) პირის პოზიციიდან. ამასთან, მეორე პირი (თანამოსაუბრე) ძირითადად I პირის სივრცეში მოიაზრება.

მიმართულება შეიძლება იყოს სააქეთო, ანუ მაახლოებელი (გამოხატავენ **მო-** და **მო-**დართული ზმნისწინები, **მიმო-**ს გარდა) ან საიქითო, ანუ დამაშორებელი (გამოხატავენ **მო-**ჩამოცილებული ზმნისწინები). ამას გარდა, ეს ზმნისწინები აღნიშნავენ მოქმედების მიმართულებას:

ზევიდან ქვევით, სადაც მოუბარი არ არის:

დაეშვა, დაფრინდა, ჩავიდა (კიბეზე), ჩაუყვა (დაღმართს), ჩააგდო.

ზევიდან ქვევით, სადაც მოუბარია:

ჩამოვარდა, ჩამოფრინდა, ჩამოუშვა, ჩამოგზავნა.

ზევიდან ქვევით და შიგნით:

ჩაფლა (ჩავფალი), ჩარგო, ჩაარჭო.

ზევიდან ქვევით და აქეთ:

გადმოწვა, გადმოეკიდა, გადმოდგა (ვინმე აივანზე).

ქვემოდან ზემოთ, სადაც მოუბარი არ არის:

ავიდა, აიტანა, აცოცდა, აღმართა, შეხტა (მაგიდაზე, მაგრამ: შეხტა გარედან შიგნით), შეფრინდა (ქანდარაზე).

ქვემოდან ზემოთ, სადაც მოუბარია:

ამოვიდა, ამოიტანა, ამოცოცდა, ამოხტა, ამოფრინდა.

გარედან შიგნით, სადაც მოუბარი არ არის:

შევიდა, შევარდა, შეგზავნა, შეყარა (ღუმელში).

გარედან შიგნით, სადაც მოუბარია:

შემოვიდა, შემოვარდა, შემოგზავნა, შემოყარა (ოთახში).

შიგნიდან გარეთ:

გამოთქვა (აზრი), გამოცრა (კბილებში), გამოაყარა (სახეზე).

შიგნიდან გარეთ, სადაც მოუბარი არ არის:

გავიდა, გააგდო, გაწერა (საავადმყოფოდან), გაასახლა.

შიგნიდან გარეთ, სადაც მოუბარია:

გამოვიდა, გამოაგდო, გამოწერა, გამოასახლა.

შიგნიდან გარეთ, როცა სუბიექტი გარედან მოქმედებს:

გამოთხარა, გამოიღო, გამოაჩოჩა.

აქედან იქით, სადაც მოუბარი არ არის:

მიდის, მირბის, მიაქვს, მიათრევს.

აქედან იქით მიწევნითობის გარეშე:

წავიდა, წაიღო, წაიყვანა, წაჰყვა; წააწიალებს, წაბაჯბაჯდება, წაყიალდება.

აქედან იქით მიწევნითობის გამოხატვით:

ჩავა, ჩაიყვანს (სოფელში) ჩაჰყვება (ქალაქამდე).

აქედან იქით რაიმე დაბრკოლების გადალახვით:

გადავიდა, გადაიყვანა, გადაცურა.

იქიდან აქეთ, სადაც მოუბარია:

მოაცურა, მოიყვანა, მოირბინა; წამოვიდა, წამოჰყვა.

იქიდან აქეთ მიწევნითობის გამოხატვით:

ჩამოვა, ჩამოიყვანს (სოფლიდან ქალაქში), ჩამოჰყვება (ქალაქამდე).

იქიდან აქეთ და ქვევით:

წამოსცვივდა, წამოყარა.

იქიდან აქეთ რამეზე გამოვლით ან რაიმე დაბრკოლების გადმოლახვით:

გამოვიდა, გადმოიყვანა, გადმოხტა, გადმოანგრია, გადმოდგა (ჭიქა); გამოივლის (ტყეს), გამოატარებს (ხეებს შორის).

რაიმეს გასწვრივ:

ჩაუვლის, ჩაურბენს, ჩაუქროლებს; ჩამოუვლის, ჩამოურბენს, ჩამოუქროლებს.

თანამდევ სვლასთან ერთად:

მიიმღერის (=მიდის და მღერის), მიიბრძვის (=მიდის და იბრძვის), მოდუდუნებს (=მოდის და დუდუნებს), მოქუხს (=მოედინება და ქუხს), მოერეკება (=მოდის და ერეკება), შეანათებს (=შევა და გაანათებს), შემობნელდება (=შემოვა და დააბნელებს).

დაუკონკრეტებელს (განუსაზღვრელს):

დაკუნტრუშებს, დაცოცავს, დაისლაზნება, დაჭორაობს, დალაქლაქებს.

აქეთა და იქითა მიმართულების ერთდროულად გამოსახატავად ზმნას დაერთვის როგორ **მი-**, ისე **მო-** (**მიმო-**), რომელსაც რთული ზმნისწინის სახე აქვს მიღებული:

მიმოაბნევს (=მიაბნ-მოაბნევს), მიმოაყლებს (=მიაყლ-მოაყლებს), მიმოიხედავს (=მიიხედ-მოიხედავს), მიმოფანტავს (=მიფანტ-მოფანტავს), მიმოქრის (=მიქრი-მოქრის).

ზმნისწინის დართვით ზმნამ შეიძლება აღნიშნოს სხვა შინაარსობრივი ნიუანსებიც, კერძოდ მოქმედების ისეთი სახეები, როგორიცაა: ზერელობა – ოდნაობა, სიმძლავრე – სიძლიერე, დაწყებითობა, მოსვენებითობა, შემჭიდროება – გამთლიანება, უნებლიობა და სხვ. (ზოგჯერ ზმნასთან ერთად წარმოდგენილია დამაზუსტებელი სიტყვები: ოდნავ, ცოტათი, თანდათანობით და მისთ.)[228]. მაგ.:

ზერელობა – ოდნაობა:

ოდნავ: გამოაღებს, მობერდება, მოძლიერდება, შეამციცნებს, შეაღებს, შებინდდება, შეშრება, ჩაიცინებს, ჩაილაპარაკებს, წატრუსავს, წაფხაჭნის, წაყვინთვა, წაბალახება.

ცოტა, ცოტათი: მოიგიჟებს, მოისუსტებს, მოსუქდება, შეაგვიანდება, შეაქანებს, შეობება, შეთვრება, შეთხელდება, შემჟავდება, შეფიცხდება, შეწითლდება, შეხმება, წაამატებს, წაივარჯიშებს, წაიკნავლებს, წაიჭორავებს, წაიხუმრებს.

მცირედ, აქა-იქ, ალაგ-ალაგ, ზოგან: გამოკრებს, შეაყვითლებს, შეაჭრელებს, წააძოვებს, წაკრეფს, წაციცქნის.

მცირე, ცოტა, რაღაც ხნით: შეასვენებს, შეაყოვნებს, შეაჩერებს, წაახმარებს, წაიმეცადინებს, წაიტირებს, წაიძინებს.

ნელა, ნელ-ნელა, თანდათანობით: მინელდება, მიჩუმდება, შეარხევს, შემუშავდება, შეუონავს.

ნაწილობრივ: შეარღვევს, შერემონტდება, შესწორდება, წააფშვნის, წააფცქვნის, წაახევს, წაერჭობა.

---

[228] მაგალითების უმეტესობა მოყვანილია ჰარუნ ჩიმქეს დისერტაციიდან „ზმნისწინთა სემანტიკური ნიუანსები ახალ სალიტერატურო ქართულში“ (იხ. ინტერნეტი, www.atsu.edu.ge/en/images/pdf/dissertaciebi/disertacia chimke.pdf) და თამილა სვიადაძის სტატიიდან „წა, წამო ზმნისწინთა ზოგი დამატებითი სემანტიკის ნიუანსები იმერულში“ (იხ. ინტერნეტი, www.ice.ge/new/ არნოლდ ჩიქობავას საკითხავები № 23, გვ. 36).

სახელდახელოდ, ზერელედ, თითქმის: გადაიბანს, გადააელლებს (თვალს), გადააათვალიერებს, შელესავს, წაიბანს, წაიხემსებს, წაფლაცს, შეანახევრებს (თითქმის).

სიმძლავრე—სიძლიერე (მოქმედების ინტენსივობა): გაკეთის, გაყვირის, შეაძაგძაგებს, შეაძრწუნებს, შეაჯანჯღარებს; უფრო შეალამაზებს/შეამსუბუქებს/შემცირდება/შემძიმდება, ჩაიხარშება, ჩაულურჯდება, ჩამწიფდება, ჩამრგვალდება, ჩასუქდება.

ზედაპირის მიმართ განხორციელებული: გადააასწორებს, გადაგლესს, მოკირწკლავს, მორწყავს, შეახებს, შებელავს, შეზეთავს, შერუჯავს, შეწამლავს, წააცხებს (მალამოს), წააწერს, წაახურავს, წაგლესს, წაგოზავს, წააწყეიტა, წაფშვნა.

დაწყებითობა: აბიბინდება, ალაპარაკდება, ამორაკრაკდება, ამღერდება, ატირდება, აშრიალდება, აჩაქჩაქდება, გაიქცევა, გაქანდება, გაქროლდება, გაქუსლავს, დაბარბაცდება, დაბერავს, დატრიალდება, გაქროლავს, შეაბარბაცებს, შეაწრიალებს, შეზანზარდება, შეპროწიალდება, ჩამოგორდება, წააბარბაცებს, წატორტმანდება.

შემთხვევითობა და მოულოდნელობა: შეამთხვევს, შეისწრებს, წაადგება, წაასწრებს.

საურთიერთო: შეაბრძოლებს, შეადუღებს, შეათანხმებს, შეატაკებს, წააჩხუბებს, წაედავება, წაელაპარაკება.

შემჭიდროება, გამთლიანება: შეადუღაბებს, შეაზავებს, შეაჯგუფებს, შეზელს, შეკრებს, შემოიკრებს, წააკერებს, წააქსოვს.

რამეში შეღწევა (სხვადასხვა საშუალებით): შეაბიჯებს, შეგორდება, შეჩოჩდება, შეჭენდება, შეტოპავს, შეამტვრევს, შეანგრევს, შეამსხვრევინებს;
მათ შორის მენტალურ სფეროში: შეაგონებს, შეიგნებს, შეისწავლის, შეიტყობს.

იგივე შეიძლება გამოიხატოს მყარი გამოთქმებით: ეშხში შედის, ისტორიაში შედის, ძალაში შედის, ხანში შედის.

მოძრაობის მანერა: წაბლაყუნება, წაცუნცულება.

მოულოდნელი, უნებლიე მოქმედება: წამოცდენა, წავლება, წამოპარვა.

ძალით ან მოტყუებით შესრულებული მოქმედება: წაღლეტვა, წაფცქვნა.

მოქმედების, პროცესის, მდგომარეობის შეცვლა საპირისპირო მიმართულებით: შეაბრუნებს, შეაყირავებს, შეცვლის, ჩაუმწარებს, წაამწარებს, წაახალისებს, წაახდენს, წაბილწავს, წარყვნის.

სხვის მიმართ მოქმედება: ზემოდან ქვემოთ მყოფი ირიბი ობიექტისადმი: დასცქერის, დაჰბზუის, დაჰკივის, ჩასჩურჩულებს, ჩასჭიკჭიკებს, ჩამოსჭყივის.

ქვემოდან ზემოთ მყოფი ირიბი ობიექტისადმი: შესციცინებს, შესჭიკჭიკებს, შეხარხარებს, შეჰბღავის, შეჰგუგუნებს, შეჰკიკინებს, შემოსტირის, შემოსძახის.

ხმის დადაბლება – დაწევა: წაიბუსღუნებს, წაიბუტბუტებს, წაილაპარაკებს, წაილუღლუღებს, წაისისინებს, წაიღიღინებს.

უნებლიობა: შემოაკვდება, შემოატყდება, შემოელანძღება, შემოელახება.

მოქმედების მყისიერად დაწყება და შეწყვეტა (იმ ზმნებთან, რომლებიც რაიმე ხმის გამოცემას აღნიშნავენ): წამოიკვნესებს, წამოიკივლებს, წამოიკნავლებს, წამოიყეფებს, წამოიყვირებს, წამოიძახებს.

მოქმედების შესრულება სრულად, ერთიანად, მთლიანად: გადაბარა, გადაბუგა, გადათელა, გადარუჯა, გადაწვა, გადაძოვა, გადახნა.

ხელმეორედ რაიმეს შესრულება, მოქმედების განმეორება: გადაამზადებს, გადაამუშავებს, გადაიანგარიშებს, გადაღებავს.

გარდასული, განვლილი მოქმედება: გამოიგლოვა, გამოიზამთრა, გამოიტირა, გამოიძინა.

გადაჭარბებული მოქმედება: გადაამეტებს, გადახარჯავს, გამოათაყვანებს, გამოათრობს, გამოაძღებს, გამოტენის.

მოქმედების შესრულება დიდ ფართობზე ან რკალზე და საწყის ადგილას დაბრუნება: მოივლის, მოითარეშებს, მოილოცავს, მოისტამბულებს, მოიპარიზებს.

რაიმეში მოქცევა: შეახვევს, შებოლავს, შებუმბლავს, შემოსავს, შენისლავს, შეფუთნის.

მოჩვენებითობა: მოიავადებს, მოიგიუანებს, მოიმკვდარუნებს, მოიმძინარებს, მოისულელებს (მაგრამ: ცოტა სულელია, მოსულელო).

მდგომარეობიდან გამოყვანა, შეცვლა: გამოაკეთებს, გამოასწორებს, გამოაცოცხლებს, გამოაჯანსაღებს.

პირველი წყაროდან გადმოღება: გადმოაქართულებს, გადმობეჭდავს, გადმოწერს, გადმოხატავს.

რაღაცისათვის გარკვეული ფორმის მიცემა: გამოაკოპიტებს, გამოაქანდაკებს, გამონაკვთავს, გამოძერწავს, გამოჭრის.

„თითოობით“ (განმეორებით) შესრულებული მოქმედება: დაზრდის, დათლის, დატეხს, დაჩეხს, დაიზრდებიან, დაზრდა, დაზრდილი.

ამ ფუნქციით **და-** ზმნისწინი გეხვედება აღმოსავლურ კილოებში, თუმცა სალიტერატურო ენაში მისი გამოყენება შეცდომად არ ითვლება.

ზმნისწინს შეუძლია ერთდროულად გამოხატოს რამდენიმე ფუნქცია. მაგ.: მომავალი დრო, სრული ასპექტი და მიმართულება (ზიდავს – შე-ზიდავს), მოქმედების დაწყებითობა, მომავალი დრო და სრული ასპექტი (ალაპარაკებს – ა-ალაპარაკებს) და სხვ.

ზოგ ზმნას საერთოდ არ დაერთვის ზმნისწინი (ასეთია ე. წ. საშუალი გვარის ზმნების უმეტესობა და სტატიკური ვნებითები: სწამს, უყვარს, სტუმრობს, ანჩხლობს, წერია, ხატია), ზოგი კი უზმნისწინოდ არ იხმარება (მაგ.: მივიდა, გაიგო, აგრეთვე ე. წ. დონიანი და უნიშნო ვნებითების II სერიის ფორმები: გათეთრდა, გალამაზდა, გაორდა, დაკაცდეს, გათბა).

ძველ ქართულში ზმნისწინსა და ზმნას შორის შეიძლებოდა ჩართულიყო ნაწილაკი, ნაცვალსახელი ან სხვა სიტყვა. ასეთ გათიშვას ეწოდება **ტმესი** (განკვეთა). მაგ.:

> გა-ცა-წყრა, მო-ცა-კვდა, შე-ვით-ვატყვე, შე-ხოლო-ახონ, შე-ღა-მრჩებიან, შე-ვინ-ვიდოდეს.

თანამედროვე ქართულს ტმესი აღარ ახასიათებს, თუმცა იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს პოეზიაში. მაგ.: „განცაცვიფრდეს

უქმი ერი“ (ილია), „ამხედრდა, დაჰკრა, დაცალეწა სამშობლოს მტრები“ (ლადო ასათიანი).

ზმნისწინმა ზოგჯერ შეიძლება ზმნის მაგივრობა გასწიოს. მაგ.: „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი“; „წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე!“ (რუსთაველი).

როდესაც წინადადებაში ზმნა მეორდება, მოხეურ კილოში ხშირად იგი მხოლოდ ზმნისწინითაა წარმოდგენილი. მაგ.: „ჩავიდეს მეფესთან, ჩა“; „მიბრძანე და მარტო მე გავალ ხმალ-დახმალ, გა, შენი რისხვა არა მაქვს“; „გა, გამოდი, გამოდი, ჩემო ყველავ!“ (ალექსანდრე ყაზბეგი).

ზმნისწინი შეიძლება ჩაერთოს მყარ გამოთქმებში. მაგ.: თავის წადება (წაძინება), ხელის წავლება (მიხმარება), კისრის წატეხვა, კაცის წახდენა (თამილა ზვიადაძე).

§ 64. ზმნისწინის მართლწერა

1. თუ ზმნისწინი თავდება იმავე ხმოვნით, რომლითაც იწყება ზმნა, II და III სუბიექტური პირების ფორმებში ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდება ორი ერთნაირი ხმოვანი, ხოლო, თუ ზმნის ფუძე იწყება იმავე ხმოვნით, – სამი, მაგ.:

> აალებს, გააადვილებს, გააათკეცებს, გააანალიზებს, დააარსებს, დააახლოებს, დაახატავს, მიიმღერიან, მოოხრდება, ჩააბარებს, წაახალისებთ.

2. თუ ე. წ. **ენ**იანი ვნებითის ფორმას დავურთავთ **შე-** ზმნისწინს II და III სუბიექტური და III ობიექტური პირების ფორმებში თავს მოიყრის ორი **ე**:

> შეებმება, შეეგებება, შეედავება, შეეკითხებიან, შეეპასუხები, შეეფარებით.

მოქმედებითი გვარის ზმნის II თურმეობითისა და III კავშირებითის ფორმებისათვის ამოსავალია ე. წ. **ენ**იანი ვნებითის წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმები (შესაბამისად). **შე-** ზმნისწინის დართვისას თავს მოიყრის ორი **ე**, ხოლო **ე** ხმოვნით დაწყებულ ფუძესთან – სამი **ე**:

შეეერთებინა, შეეერთებინოს; შეეცვროებინა, შეეცვროებინოს; შეეგუებინა, შეეგუებინოს; შეელამაზებინა, შეელამაზებინოს.

3. მოქმედებითი გვარის ზმნის I თურმეობითის მწკრივი ნაწარმოებია სტატიკური ვნებითის სასხვისო ქცევის ფორმით. მისთვის ამოსავალია I ან II სერიის თემა, ამიტომ **უკუ-** ზმნისწინის დართვისას III პირის ფორმებში ერთმანეთის გვერდით მოხვდება ორი **უ** (ეს ზმნისწინი ახალ ქართულში არაპროდუქტიულია). მაგ.:

უკუუგდია, უკუუფენია, უკუუქცევია, უკუუყრია.

4. ზმნისწინის ხმოვნის შეცვლა არ შეიძლება.

სწორია: გაიარა, გაურიგდა, დაუმალა, მოიტანა, შესვა, შეუთვალა, წაეხუბა;

და არა: გეიარა, გოურიგდა, დუუმალა, მაიტანა, შასვა, შოუთვალა, წიეხუბა.

5. უმართებულოა გადა (⇐ გარდა) ზმნისწინისათვის ა-ს მოკვეცა.

სწორია: გადა-ივლის, გადა-იღლება, გადა-იხვეწება, გადა-ურჩება, გარდა-იქმნება, გარდა-იცვლება;

და არა: გად-ივლის, გად-იღლება, გად-იხვეწება, გად-ურჩება, გარდ-იქმნება, გარდ-იცვლება.

6. სიტყვის დამარცვლისა და გადატანის დროს ზმნისწინთან არ უნდა დარჩეს ზმნის ფუძის საწყისი თანხმოვანი[229].

სწორია:	**მცდარია:**
აღ-შფოთდა	აღშ-ფოთდა
გა-რბოდა	გარ-ბოდა
გა-აჩერა ან გაა-ჩერა	გააჩ-ერა
გან-ვლო	გა-ნვლო და განვ-ლო
მო-კრეფს	მოკ-რეფს
შეი-ტყაპუნა (საუბ.)= შეირხინა	შეიტ-ყაპუნა
შე-რცხვა	შერ-ცხვა

[229] ნორმების ბიულეტენი № 3, გვ. 78.

წა-გვიძღვა	წაგ-ვიძღვა
წარ-დგენა	წა-რდგენა
წარა-დგინა	წარადგ-ინა
წარ-დგება	წა-რდგება ან წარდ-გება
წარ-გზავნა	წა-რგზავნა, ან წარგ-ზავნა.

7. ახალ ქართულში ძველი ზმნისწინები გამარტივებული სახითაა წარმოდგენილი, თუმცა გარკვეულ ზმნებსა და სახელზმნებთან ახლაც გამოიყენება. მაგ., ერთადერთი მართებული ფორმებია:

> აღავლენს, აღიქვამს, აღმოაცენებს, აღუთქვამს, განაგრძობს, განაქიქებს, განაქორწინებს, განელო, წარმოთქვამს, წარმოიშობა.

ეს ფორმები (**განელოს** გარდა) იხმარება როგორც აწმყოს, ისე მყოფადის მწკრივში, ანუ როგორც უსრული, ისე სრული ასპექტის მნიშვნელობით. მწკრივების ერთმანეთისაგან გარჩევა ხდება კონტექსტის (ტექსტის შინაარსობრივად დასრულებული ნაწყვეტის) მიხედვით.

8. უზმნისწინოდ ხმარებისას ზოგიერთი ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა იცვლება. ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად შესაძლებლად არის მიჩნეული ზმნისწინიანი (მყოფადის) ფორმის გამოყენება აწმყოს მნიშვნელობით. მაგ.: შუამდგომლობას აღძრავს, წარმოვადგენ სათანადო საბუთებს[230]. ასეთი ზმნებია:

> აღადგენს, აღბეჭდავს, აღემატება, აღკვეცს, აღმოაჩნდება, აღნიშნავს, აღნუსხავს, აღრიცხავს, აღძრავს, განაგებს, განალაგებს, განაწყობს, განთესავს, განიკითხავს, განიცდის, განიხილავს, განკარგავს, განსჯის, განტვირთავს, განჭვრეტს, გარდაქმნის, შთააგონებს, შთაბერავს, წარმოადგენს, წარმოაჩენს, წამოსახავს.

9. ზოგჯერ პარალელურად იხმარება ზმნისწინის ახალი (გამარტივებული) და ძველი სახეობა. ამ უკანასკნელს უმთავრესად სტილური დანიშნულება აქვს (გამოიყენება არქაული ან აღზევებული სტილის დროს).

---

230 ნორმები, გვ. 174.

თანაბარუფლებიანი ფორმებია:

აღავსებს // აავსებს, აღაპყრობს // ააპყრობს, აღასრულებს // აასრულებს (დანაპირებს), აღიმაღლებს // აიმაღლებს, აღმობრწყინდება // ამობრწყინდება, აღმოხდება // ამოხდება, განასპეტაკებს // გააასპეტაკებს, განაცალკევებს // გააცალკევებს, განიმეორებს // გაიმეორებს, განუქარვებს // გაუქარვებს.

10. ქართულ საცნობარო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი ზოგიერთი ზმნისწინიანი ფორმის დაწერილობა. კერძოდ, თუ ერთში თანაბარუფლებიან პარალელურ ფორმებადაა მიჩნეული ზმნების ძველ- და გამარტივებულ-ზმნისწინიანი ფორმები, მეორეში უპირატესობა აქვს მინიჭებული ძველზმნისწინიანებს. ჩვენთვისაც ეს უკანასკნელია მისაღები. მაგ.:

აღ-მართვა – აღ-ვ-მართაე; აღმო-ფხვრა – აღმო-ვ-ფხვრი; აღ-ნუსხვა – აღ-ვ-ნუსხავ; აღ-ფრთოვანება – აღ-ვ-აფრთოვანებ; გან-დევნა – გან-ვ-დევნი; გან-მტკიცება – ვ-ამტკიცებ, გან-ვ-ამტკიცებ; გან-რისხება – გან-ვ-არისხებ; გან-სხვაება – ვ-ასხვაებ, გან-ვ-ასხვაებ; გან-ცვიფრება – ვ-აცვიფრებ – გან-ვ-აცვიფრებ[231].

11. ზმნისწინის ძველი და ახალი ფორმები გამოყენებულია ლექსიკური მნიშვნელობის განსასხვავებლადაც. მაგ.:

განალაგებს – გარკვეულ ადგილებში გარკვეული წესით მოათავსებს რაიმე ობიექტებს;
გაალაგებს – გაიტანს და დაალაგებს, გააწყობს, გაიტანს. მაგ.: „ლეკმა განალაგა საქართველო“ - სწერდა ერეკლე მეფე ეკატერინე II-ს.

განასახლებს – სამოსახლო ადგილს მიუჩენს, დაამკვიდრებს, დაასახლებს ბევრს;
გაასახლებს – სამოსახლო ადგილიდან იძულებით გაიყვანს, გააძევებს.

განასვენებს – ძვ. მოსვენებას მისცემს, მყუდროებას შეუქმნის;
გაასვენებს – დასაკრძალავად, დასამარხავად გაიტანს მიცვალებულს, წაასვენებს.

---

[231] იხ. ქეგლ-ის ახალი რედაქცია.

განიკითხავს – ერთ-ერთი მნიშვნელობით: განსჯის, გაასამართლებს, პასუხს მოსთხოვს;
გაიკითხავს – ერთ-ერთი მნიშვნელობით: მოწყალებას მისცემს, შეიწყალებს, შეიწყნარებს გაჭირვებულს.

გარდაიცვლება – სულს დალევს, მოკვდება ან შეიცვლება, გარდაიქმნება;
გადაიცვლება – ერთ-ერთი მნიშვნელობით: გადაცვლიან.

12. ზმნისწინი უნდა იყოს ან სრულად წარმოდგენილი, ან მთლიანად ჩამოცილებული. შესაბამისად, უზმნისწინო ფორმები, რომლებშიც ფუძეს შეხორცებულია გან-, აღ-, წარ- ძველი ზმნისწინების ბოლო თანხმოვნები (ნ, ღ, რ), უმართებულოა.

მართებული ფორმებია:	**უმართებულო ფორმებია:**
ადგენს (წარადგენს)	არდგენს
ავითარებს (განავითარებს)	ანვითარებს
აზოგადებს (განაზოგადებს)	ანზოგადებს
ათავისუფლებს	ანთავისუფლებს
ასახიერებს (განასახიერებს)	ანსახიერებს
ასრულებს (აასრულებს//აღასრულებს)	აღსრულებს
აცალკევებს (გააცალკევებს, განაცალკევებს)	ანცალკევებს
ახორციელებს (განახორციელებს)	ანხორციელებს
გაათავისუფლებს	გაანთავისუფლებს
კვეთს (აღკვეთს)	ღკვეთს
კურნავს (განკურნავს)	ნკურნავს
მარტავს (განმარტავს)	ნმარტავს
რიცხავს (აღრიცხავს)	ღრიცხავს

13. როგორც წესი, ჯერ იწერება ზმნისწინი, შემდეგ – პირის, ქცევისა და სხვა კატეგორიების ნიშნები. არ შეიძლება ზმნისწინის გათიშვა და რომელიმე ბგერის (ან ბგერების) გადატანა პირის ნიშნის ან სხვა თავსართის შემდეგ (გამონაკლისი იხ. ქვემოთ).

მართებული ფორმებია:	**უმართებული ფორმებია:**
აღ-ვ-აფრთოვანებ	ა-ვ-აღფრთოვანებ
აღ-მ-იფრთოვანებია	ა-მ-იღფრთოვანებია
აღ-მ-აფრთოვანებს	ა-მ-აღფრთოვანებს
აღ-გვ-აფრთოვანებს	ა-გვ-აღფრთოვანებს

აღ-ვ-უფრთოვანებივარ	ა-ვ-ულრფთოვანებივარ
აღ-ვ-გვი	ა-ვ-ღგვი
აღ-ვ-ხრდი	ა-ვ-ღხრდი
აღ-ვ-აზრდევინებ	ა-ვ-აღზრდევინებ
აღ-ვ-ნიშნავ	ა-ვ-ღნიშნავ
აღ-ვ-ძრავ	ა-ვ-ღძრავ
აღ-მ-იძრავს	ა-მ-იღძრავს
აღ-ვ-იჭურვები	ა-ვ-ილჭურვები
გან-ვ-სასღვრავ	გა-ვ-ნსასღვრავ
გან-ვ-უსასღვრავ	გა-ვ-უნსასღვრავ
გან-გ-ასასღვრინებს	გა-გ-ანსასღვრინებს
გან-მ-ირისხებია	გა-მ-ინრისხებია
გან-გ-ირისხებია	გა-გ-ინრისხებია
წარ-ვ-ადგენ	წა-ვ-არდგენ
წარ-ვ-ადგენინე	წა-ვ-არდგენინე.

14. გამონაკლისია **აღიარებს** ზმნა, რომელშიც ზმნისწინისეული თანხმოვანი ფუძესაა შეხორცებული (ღიარ): ვ-აღიარებ, ვ-აღიარე, მ-იღიარებია, მ-აღიარებს, გ-აღიარებს, ვ-უღიარებივარ; მ-აღიარებ-ელ-ი.

შენიშვნა: ქართული ენის დიდი ორთოგრაფიული ლექსიკონის თანახმად, ჯერ პირის ნიშანი და შემდეგ ზმნისწინი დასტურდება აგრეთვე ზმნაში ვ-შთანთქავ, ვ-შთანთქე, თუმცა III სერიის ფორმებია: შთა-მ-ინთქავს, შთა-მ-ენთქა, შთა-მ-ენთქას[232].

სასუბიექტო მიმღეობა გვხვდება ორნაირი ფორმით: შთა-მ-ნთქმელი და მ-შთანთქმელი. ნორმების მიხედვით სწორი ფორმაა **შთამნთქმელი**.

15. გაათავისუფლებს თუ განათავისუფლებს?

ნორმების მიხედვით გაათავისუფლებს და განათავისუფლებს თანაბარუფლებიანი პარალელური ფორმებია, თუმცა უკანასკნელ ხანს უფრო გავრცელებულია გამარტივებულზმნისწინიანი ფორმები: გაათავისუფლებს, გაათავისუფლა, გაუთავისუფლებია, გაათავისუფლებინებს, გაითავისუფლებს, გაუთავისუფლებს.

---

[232] იხ. ვარლამ თოფურია და იეანე გიგინეიშვილი, ქეოლ, თბ., 1998, გვ. 552.

16. დამირეკე, ხელახლა დამირეკე თუ გადმორეკე ან გადმომირეკე?

გადმო- ზმნისწინი აღნიშნავს მოძრაობის (გადაადგილების) მიმართულებას იქიდან აქეთ (პირველი პირისკენ) რამეზე გამოვლით, გადმოტარებით ან რაიმე დაბრკოლების გადმოლახვით (გადმოვიდა, გადმოანგრია), ან ზევიდან ქვევით და აქეთ რამეზე, ვინმეზე გავლით ან უიმისოდ (გადმოწვა, გადმოეკიდა, გადმოხტა), აგრეთვე იმას, რომ მოქმედება სრულდება პირველადი წყაროდან გადმოღებით (გადმოხატა).

გადმორეკე ტელეფონით დარეკვის მნიშვნელობით უმართებულო (კალკირებური) ფორმაა, გარეკე კი ობიექტური პირის მიხედვით რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნაა. მაგ., თუ ერთ ძროხაზე ვამბობთ: ძროხა საძოვარზე გადენა (ან გააგდო), ბევრზე (ძროხებზე) ვამბობთ: გარეკა. შეიძლება ობიექტი კრებითი სახელი იყოს (ნახირი გარეკა) ან მხოლოობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი, მაგრამ საგნის სიმრავლეს გულისხმობდეს.

გადმორეკე ნიშნავს ბევრის გამორეკვას პირველი პირისაკენ რამეზე გადმოტარებით (მაგ., მთიდან ცხვრები გადმორეკე), დამირეკე კი – ტელეფონით დარეკვას. ამრიგად,

სწორია: დამირეკე, ხელახლა/ხელმეორედ/ისევ დამირეკე,

და არა: გადმორეკე ან გადმომირეკე.

17. მადლობა გადაუხადა თუ მადლობა მოუხადა? მოვალეობა მოიხადა თუ მოვალეობა გადაიხადა?

აწმყოს მწკრივში ერთმანეთს ემთხვევა რამდენიმე მყარი გამოთქმის ზმნური ფორმები: მადლობას იხდის, მოვალეობას იხდის, ბოდიშს იხდის. ზმნისწინანი ფორმები კი ერთმანეთისაგან განსხვავდება.

სწორია: მადლობას გადაიხდის, მადლობას გადაუხდის, მადლობა გადაუხადა, მადლობა გადავუხადე, მადლობა უნდა გადაიხადოს/გადაუხადოს, უნდა (რომ) მადლობა გადაიხადოს/გადაუხადოს; მადლობას გადავიხდი, მადლობას გადავუხდი, მადლობა უნდა გადავიხადო/ გადავუხადო, მინდა (რომ) მადლობა გადავიხადო/ გადა-

ვუხადო/მადლობის (როგორც ვალის) გადახდა, მადლობის გადამხდელი, მადლობის გადასახდელი (მადლობის გადასახდელად), გადახდილი მადლობა;

და არა: მადლობას მოიხდის, მადლობას მოუხდის; მადლობა მოუხადა, მადლობა მოვუხადე; მადლობას მოვიხდი, მადლობას მოვუხდი; მადლობის მოხდა, მადლობის მოსახდელი (მადლობის მოსახდელად).

იხმარება აგრეთვე ამავე შინაარსის სხვა გამოთქმებიც. მაგ.: მადლობას მოახსენებს, მადლობა მოუხსენებია, მადლობა შესწირა; მადლობა უნდა გითხრა, მადლობას მოგახსენებთ, მადლობას შეგწირავთ; მადლობის თქმა, მადლობის მოხსენება, მადლობის შეწირვა, მადლობის მთქმელი (მადლობის სათქმელად).

რაც შეეხება ზემოაღნიშნულ სხვა გამოთქმებს: მოვალეობას იხდის, ბოდიშს იხდის, მათი სრულასპექტიანი ფორმები **მო**ზმნისწინიანია.

სწორია: მოვალეობას მოიხდის, მოვალეობა უნდა მოიხადოს; მოვალეობას მოვიხდი, მოვალეობა უნდა მოვიხადო, მინდა (რომ) მოვალეობა მოვიხადო, მოვალეობას მოიხდი, მოვალეობა მოგიხდია; მოვალეობის მოხდა, მოვალეობის მომხდელი, მოვალეობის მოსახდელი (მოვალეობის მოსახდელად);

ასევე: ბოდიში მოვიხადე, ბოდიშს მოიხდის, ბოდიში მოიხადა, ბოდიში მოუხდია; ბოდიშს მოვიხდი, ბოდიში მომიხდია, ბოდიშს მოუხდი, ბოდიში მოგიხდია; ბოდიშის (როგორც სასჯელის) მოხდა, ბოდიშის მომხდელი, ბოდიშის მოსახდელი (ბოდიშის მოსახდელად), მოხდილი ბოდიში.

და არა: მოვალეობას გადაიხდის, მოვალეობის გადახდა, გადახდილი მოვალეობა.

სწორი ფორმების დასამახსოვრებლად შეგვიძლია ეს ხერხიც გამოვიყენოთ: ამ მყარი გამოთქმების წევრების პირველი მარცვლების ხმოვნები ერთნაირია:

მად-ლობა	მო-ვალეობა	ბო-დიში
გა-დაიხადა	მო-იხადა	მო-იხადა

18. შენთან მოვალ თუ შენთან მივალ?

ორივე სწორია, ოღონდ თავ-თავის ადგილას. როგორც აღვნიშნეთ, II პირი (თანამოსაუბრე) I პირის (მოუბრის) სივრცეში მოიაზრება, ამიტომ მისკენ მიმართული მოქმედებაც სააქეოო (მო-დართული) ზმნისწინებით გამოიხატება. **შენთან მოვალ** ნიშნავს II პირთან მისვლას (ანუ იქ, სადაც II პირი იმყოფება), **შენთან მივალ** კი ნიშნავს: შენს სახლში მივალ (ანუ იქ, სადაც II პირი არ არის).

19. შენ გამოგიგზავნი თუ შენ გაგიგზავნი?

შენ გამოგიგზავნი = II პირისათვის გაგზავნას, შენ გაგიგზავნი კი – I პირის მიერ II პირის დავალებით (ან II პირის კუთვნილი საგნის) III პირისათვის გაგზავნას.

20. ის მოადგა ამას თუ ის მიადგა ამას?

როცა მოქმედების ადრესატი I პირთან (მოუბართან) ახლოს არის და მოქმედება აღნიშნავს მოძრაობის (გადაადგილების) მიმართულებას, უნდა გამოვიყენოთ მო-ზმნისწინიანი ფორმები.

სწორია: ის მოადგა ამას (მაგრამ: ის მიადგა იმას).

მაგრამ თუ ირიბობიექტური პირების მიხედვით ცვლად ზმნაში საჭირო არ არის მიმართულების ჩვენება და ზმნისწინი მხოლოდ ასპექტის მაწარმოებლადაა წარმოდგენილი, მაშინ III პირში გვაქვს ან მხოლოდ **მო-** ან მხოლოდ **მი-**ზმნისწინიანი ფორმები.

> მოაბეზრა, მოუდუღა, მოუკრიფა, მიაყენა, მიესალმა, მიჰყიდა (ამას/იმას).

§ 65. ასპექტის ფორმათა მართლწერა

ასპექტი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება დაუსრულებელია ან დასრულებული (ან აუცილებლად დასრულდება). ამის მიხედვით ასპექტი ორგვარია: უსრული და სრული.

სრული ასპექტის ფორმისა და მნიშვნელობის მისაცემად ახალ ქართულში გამოიყენება ზმნისწინი. მაგ.:

ვათბობ (უსრულია) – გა-ვათბობ, გა-ვათბე (სრული).

ასპექტის ფორმათა წარმოებისას შეცდომები რომ არ მოგვივიდეს, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

ა) ზოგი ზმნა უზმნისწინოდ არ იხმარება. მათ სრული და უსრული ასპექტის ფორმები საზიარო აქვთ (მაგ.: **აღნიშნავს, განმარტავს, განიხილავს, აღწერს**...), თუმცა მნიშვნელობით განსხვავდებიან. მხოლოდ კონტექსტის მიხედვით შეიძლება გაირკვეს, მოცემული ფორმა როგორ მოქმედებას გამოხატავს – დაუსრულებელს თუ ისეთს, რომელიც მომავალში დასრულდება. მაგ.:

მასწავლებელი ამჯერადაც დაწვრილებით **განმარტავს** ახალ წესს (ასპექტი უსრულია).

შეადარეთ: მასწავლებელი შემდეგ გაკვეთილზე **განმარტავს** ახალ წესს (ასპექტი სრულია).

ბ) აწმყო-მყოფადში საზიარო ფორმები აქვს აგრეთვე ზოგ უზმნისწინო ზმნას, რომლებმაც შეიძლება გამოხატონ როგორც სრული, ისე უსრული ასპექტი (გარჩევა ამ შემთხვევაშიც კონტექსტით ხერხდება). ესენია: **სთხოვს, ბრძანებს, უბრძანებს, ითხოვს, ისვრის, პოვებს, უბოძებს**;

გ) სრული ასპექტის გამოსახატავად ზოგჯერ საჭირო ხდება ზმნის ფუძის შენაცვლება. მაგალითად, **უმზერს** (უცქერის, უყურებს) უსრული ასპექტის ფორმებს ენაცვლება **შეხედავს**...

აძლევს – მისცემს (შეაძლევს ფორმას სხვა მნიშვნელობა აქვს).

სვამს – დალევს (სვამს ზმნის ზმნისწინიან ფორმები ოდნავ სხვა ნიუანსის მქონეა. მაგ., მოსვამს – რამის მცირე ნაწილს დალევს; შესვამს – სულ დალევს, გამოცლის).

ასპექტში ფუძემონაცვლე ზმნებს I სერიის მწკრივები განაწილებული აქვთ. უსრულასპექტიანებს აწმყოს წრის ფორმები ეწარმოება, სრულასპექტიანებს – მყოფადისა, II და III სერიის ფორმები კი ორივეს ეწარმოება.

მართებულია: სვამს ღვინოს, დალია ღვინო...

და არა: ლევს ღვინოს (**მაგრამ:** ლევს დღეს, სიცოცხლეს, სულს)...

დანართი № 48

ასპექტში ფუძემონაცვლე ზმნათა უღლება

	უსრული	ენაცვლება	უსრული	ენაცვლება	უსრული	ენაცვლება
აწმყო	სვამს	–	უმზერს	–	აძლევს	–
უწ.ქვეტ.	სვამდა	–	უმზერდა	–	აძლევდა	–
აწმყ.კავშ.	სვამდეს	–	უმზერდეს	–	აძლევდეს	–

		სრული		სრული		სრული
მყოფ.	–	დალევს	–	შეხედავს	–	მისცემს
ხოლმ.	–	დალევდა	–	შეხედავდა	–	მისცემდა
მყ.კავშ.	–	დალევდეს	–	შეხედავდეს	–	მისცემდეს

წქვეტ.	სვა	დალია	უმზირა	შეხედა	აძლია	მისცა
II კავშ.	სვას	დალიოს	უმზიროს	შეხედოს	აძლიოს	მისცეს

I თურმ.	უსვამს	დაულევია	უმზერია	შეუხედავს	უძლევია	მიუცია
II თურმ.	ესვა	დაელია	ემზირა	შეეხედა	ეძლია	მიეცა
III კავშ.	ესვას	დაელიოს	ემზიროს	შეეხედოს	ეძლიოს	მიეცეს

§ 66. თემის ნიშნები

ზმნათა უმეტესობას აწმყოს ფუძის საწარმოებლად (და შემდეგ I სერიის ყველა მწკრივში) დაერთვის ბოლოსართები, რომლებიც II სერიაში ჩამოსცილდება. ამ ბოლოსართებს თემის ნიშნები ეწოდება. ესენია: **ი, ავ, ამ, ებ, ობ, ოფ, ემ**. თემის ნიშნებს უკავშირდება მართლწერის რამდენიმე წესი.

1. ფუძედრეკადი (ხმოვანმონაცვლე) ზმნები თემის ნიშანს არ დაირთავენ. მაგ.:

ბზ-ე-კს (ბზ-ი-კა), ბნელს, ბრეცს, გლესს, გლეჯს, გრეხს, დღეებს, ზელს, ხნექს, თლემს, თქვეფს, იჭერს, კბენს, კვნეტს, კმენდს, კრებს, კრეფს, კრეჭს, ჟლეტს, ულენთს, შრეტს, ჩხვლეტს, ჩხრეკს, ცვეთს, ცრეცს, ცქვეტს, წმენდს, წრეტს, წყვეტს, წყმედს, ჭვლეტს, ხვრეპს, ხვრეტს, ხლეჩს (ნორმები, გვ. 204).

ამ ზმნების დაწერილობისას ორი სახის დარღვევა გვხვდება: ა) ზმნას ურთავენ თემატურ ნიშანს და ბ) აწმყოშიც უცვლიან ფუძისეულ ხმოვანს (ბზიკავს, გრიხავს, კრიფავს).

როგორ შევამოწმოთ, რომელია სწორი ფორმა – ბზეკს თუ ბზიკავს? საკონტროლოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ ორი ხერხი:

პირველი: ზმნა აწმყოს ფორმიდან (კითხვა – რას შვრება?) გადავიყვანოთ წყვეტილში (კითხვა – რა ქნა?). თუ ფუძისეული ხმოვანი შეიცვლება (ე/ი), ეს იმას ნიშნავს, რომ ზმნა ფუძედრეკადია და თემის ნიშანი არ უნდა დავურთოთ. მაგ.:

ბზეკს – ბზიკა (გაბზიკა); გრეხს – გრიხა (დაგრიხა);
კრეფს – კრიფა (დაკრიფა);

მეორე: მოცემული ზმნისგან ვაწარმოოთ საობიექტო მიმღეობა. ამ უკანასნელისთვის ამოსავალი აწმყოს ან მყოფადის ფუძეა):

ძაღლი ბზეკს კუდს. კუდი არის გაბზეკილი
(და არა გაბზიკილი).
კაცი გრეხს თოკს. თოკი არის დაგრეხილი
(და არა დაგრიხილი).
ქალი კრეფს ხილს. ხილი არის დაკრეფილი
(და არ დაკრიფილი).

როგორც ხედავთ, ეს ზმნები ხმოვანმონაცვლეა (ანუ ფუძედრეკადი), ამიტომ თემის ნიშანი არ დაერთვის.

2. -ავ თემატური ნიშნის გარეშე იწერება რამდენიმე არაფუძედრეკადი ზმნაც. ესენია:

კვეთს, კვეცს, ტეხს, ყეფს, ჩეხს, ჩეჩს, წერს, ჭექს, ხეთქს, ხვეტს, ხვეწს, იღეღს, იხვეჭს.

შენიშვნა: ტენდენცია მიმართულია იქითკენ, რომ დანარჩენ უთემისნიშნო ზმნებსაც დაერთოს **-ავ** ბოლოსართი, შესაბამისად, – მათგან ნაწარმოებ სახელზმნასაც. მაგ., ზეპირმეტყველებაში მხოლოდ თემისნიშნიანი ფორმით იხმარება ზმნები: ტეხავს, ჩეხავს, ჩეჩავს, იჩეჩავს, იღეღავს. როგორც აღნიშნავენ, შესაძლებელია, პარალელურად იხმარებოდეს აღნიშნული ზმნების ავ-თემისნიშნიანი და უთემისნიშნო ფორმები (იხ. ციცინო კვანტალიანი, ენაში მიმდინარე ზოგი გრამატიკული ცვლილების შესახებ, ინტერნეტი: www.ice.ge/new/ ენათმეცნიერების ინსტიტუტის 70-ე სამეცნიერო კონფერენცია, გვ. 30-31).

როგორ შევამოწმოთ, დაერთვის თუ არა ზმნას **-ავ** ნიშანი? მოცემული ზმნისგან ვაწარმოოთ საწყისი. საწყისის **ა** მაწარმოებლის დართვის გამო **-ავ** ბოლოსართი იკუმშება და რჩება მხოლოდ **ვ**. თუ საწყისის ფორმაში თემის ნიშნის ნაშთი აღმოჩნდება, ზმნა თემისნიშნიანია. მაგ.:

კვეთს – კვეთ-ა (და არა კვეთვა); კვეცს – კვეცა (და არ კვეცვა); ყეფს – ყეფა (და არა ყეფვა) და ა.შ.

მაგრამ: ხატ-ავ-ს – ხატ-ვ-ა; ხოც-ავ-ს – ხოც-ვ-ა (უწინ იყო: ხოცს – ხოცა).

3. ზოგ უთემისნიშნო ზმნას ახალ ქართულში **-ავ** ნიშანი დაერთო.

სწორია: ბერტყ-ავ-ს, თიბავს, კენკავს, კეტავს, კეცავს, ლესავს, ლეწავს, პენტავს, ჟეჟავს, რეკავს, რეცხავს, ფეთქავს, ქექავს, წალეკავს, წეწავს, ჭედავს, ხეხავს.

შესაბამისად, საწყისის ფორმებიც -ვ-დაბოლოებიანია:

ბერტყ-ვ-ა, თიბვა, კენკვა, კეტვა, კეცვა, ლესვა, ლეწვა და ა.შ.

გამონაკლისია კვება (⇐ კვებავს) და წვეთა (⇐ წვეთავს).

4. ამ ბოლო ხანებში გახშირდა **-ამ** თემის ნიშნის ჩანაცვლება **-ავ** ნიშნით. **-ამ**-თემისნიშნიანი ზმნების რიცხვი მეტად მცირეა. ესენია:

აბ-ამ-ს, არტყამს, ასხამს, აღიქვამს, აღუთქვამს, გაართხამს, დგამს, იცვამს (და არა იცმევს, მაგრამ სხვას აცმევს), სვამს (წყალს), სვამს (სკამზე), ურტყამს, უსვამს, შეუთქვამს, წარმოთქვამს.

სწორი ფორმა საწყისში ვლინდება: თუ საწყისი -ვა მარცვალზე დაბოლოვდება, თემის ნიშანი იქნება -ავ, -მა მარცვალზე დაბოლოების შემთხვევაში კი – -ამ. მაგ.:

აბ-ამ-ს – ბ-მ-ა; შემოატყამს – შემორტყმა; შეასხამს – შესხმა. აღიქვამს – აღქმა; აღუთქვამს – აღთქმა; წირავს – წირვა.

დიალექტებში ხდება პირუკუც: **-ავ**-ს ენაცვლება **-ამ**.

სწორია: ბარ-ავ-ს – ბარ-ვ-ა; თესავს – თესვა; თიბავს – თიბვა; კინძავს – კინძვა;

და არა: ბარამს, თესამს, თიბამს, კინძამს.

თემის ნიშნის ნაშთი სასუბიექტო მიმღეობის ფორმებშიც გამოჩნდება:

ობობა ქსელს გააბ-**ამ**-ს. ობობა არის ქსელის გა-მ-ბ-**მ**-ელ-ი. ჯარი ციხე-სიმაგრეს ალყას შემოარტყ-**ამ**-ს. ჯარი არის ალყის შემო-მ-რტყ-**მ**-ელ-ი. ქალი თესავს სიმინდს. ქალი არის სიმინდის მ-თეს-**ვ**-ელ-ი. გლეხი თიბავს ბალახს. გლეხი არის ბალახის მ-თიბ-**ავ**-ი.

-ამ-თემისნიშნიანებს წყვეტილში აქვთ **ი** დაბოლოება (დაებ-ი, შემოვარტყი, დავასხი), **-ავ**-იანებს კი – **ე** (დავბარ-ე, დაეთესე, გავთიბე).

შენიშვნა: ჩანთქავ-ს (წიგნურად – შთანთქ-ავ-ს) ზმნაში ძველი თემის ნიშანი (**-ამ**) შეცვალა **-ავ** ნიშანმა, საწყისსა და მიმღეობაში კი **-მ** დარჩა: ჩანთქ-**მ**-ა (შთანთქ-**მ**-ა), ჩამნთქ-**მ**-ელი (შთამნთქ-**მ**-ელი), ჩანთქ-**მ**-ული (შთანთქ-**მ**-ული).

5. ნორმის მიხედვით **-ავ** და **-ამ** თემატური ნიშნები ზმნას I თურმეობითშიც გადაჰყვება (ნორმები, გვ.217). თვალსაჩინოებისთვის მართლაც მიგნებაა დამოწმება რუსთაველის ერთი სტრი-

ქონისა, „რომელშიც, თითქოს ჩვენს დასახმარებლადო, ყველა აღნიშნული შემთხვევაა გათვალისწინებული“[233].

რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია!

ამრიგად, გრამატიკულად სწორი ფორმებია:

დაუბამს, დავუბამვარ, დაუბამხარ, დაგიბამვარ, დამიბამხარ; დაუხატავს, დავუხატავვარ, დაუხატავხარ, დაგიხატავვარ, დამიხატაუხარ; მინახავხარ;

და არა: დაუბია, დავუბივარ, დაუბიხარ, დაგიბივარ, გამიბიხარ; დაუხატია, დავუხატივარ, დაუხატიხარ, დაგიხატივარ, დამიხატიხარ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თანამედროვე ქართულში თანდათან ბატონდება გამარტივებული ფორმები (**-ავ** და **-ამ** თემატური ნიშნების გარეშე), რამაც შესაძლოა, მომავალში მიღებული ნორმების გადახედვა გამოიწვიოს. თვით ა. შანიძე წერს: „**ავ** და **ამ** მკვიდრია, როცა ობიექტად მესამე პირია, მაგრამ სხვა ობიექტურ პირებში სხვა ზმნების ანალოგიით აქაც ხდება **ი** სუფიქსზე გადასვლა: ვუნახივარ, უნახიხარ; დავუბივარ, დაუბია... ანალოგიური წარმოება შეიძლება უფრო შორსაც წავიდეს და **ი**ნმა სულ შეცვალოს **ავ** და **ამ**: არ მინახია, არ გამილახია, არ დამიბია, არ მითქვია და მისთ.“[234].

მართლაც, „მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“ უკვე დასაშვებად თვლის I თურმეობითის უთემისნიშნო ფორმას: მინახიხარ[235].

6. -ებ თემატური ნიშანი III სერიაში გადაჰყვება:

ა) მოქმედებითი გვარის ზმნათა უმეტესობას, მათ შორის – ყველა ნასახელარს.

სწორია: აუქუდ-ებ-ია, გაუსამართლებია, დაუმიზნებია, დაუწყებია, მოურიდებია;

---

[233] შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002, გვ. 125.

[234] ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 436.

[235] მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის, გვ. 8 და 268.

ბ) შუალობითი კონტაქტის ყველა ფორმას, რომელთა თემის ნიშანი ყოველთვის არის **-ებ** ბოლოსართი:

ააშენ-ებ-ინ-ებ-ს – აუშენ-ებ-ინ-ებ-ია; ააგ-ებ-ინ-ებ-ს – აუგ-ებ-ინ-ებ-ია; დააგრეხინ-ებ-ს – დაუგრეხ-ინ-ებ-ია; გააჩერ-ინ-ებ-ს – გაუჩერ-ინ-ებ-ია.

III სერიაში თემის ნიშანი არ გადაჰყვება **-ებ**-იან ზმნათა უმცირესობას. ესენია პირველადი ზმნები, რომელთაც უმარცვლო ძირები აქვთ:

ა-ქ-ებ-ს – უ-ქ-ია; აა-გ-ებ-ს – აუ-გია; გაა-ღ-ებს – გაუ-ღ-ია.

7. საწარმოთქმო თავისებურებათა გამო ხოგჯერ უმართებულოდ ხმარობენ **-ობ** თემატური ნიშნის ნაცვლად **-ოფ**-ს. უნდა გვახსოვდეს, რომ **-ოფ** თემატური ნიშანი დაერთვის ერთადერთ ფუძეს – **ყ**-ოფ-ს (გამოყოფს, გაყოფს, მიჰყოფს).

სწორია: ათრ-ობ-ს, ადნობს, აპობს, ართობს, ატყობს, პოეტობს;

და არა: ათროფს, ადნოფს, აპოფს, ართოფს, ატყოფს, პოეტოფს.

8. **-ობ**-თემისნიშნიან მოქმედებითი გვარის ზმნებში **-ობ**-ის **-ებ**-ით ჩანაცვლება მოსალოდნელი არ არის. კითხვები ჩნდება **-ებ**-თემისნიშნიანი ზმნების დაწერილობასთან დაკავშირებით: ანთებს თუ ანთობს? აძლებს თუ აძლობს? აწებს თუ აწობს? „შეგვიძლია პირობითად დავიმახსოვროთ შემდეგი წესი: თუ ზმნას პარალელურად უკეთდება -ებ და -ობ თემის ნიშნები, მაშინ ნორმად მივიჩნიოთ -ებ-თემისნიშნიანი ფორმები“ (თენგიზ სანიკიძე, „ქართული მართლწერა“). ეს წესი ეხება მოქმედებითი გვარის ზმნებს.

ამრიგად, სწორი ფორმებია: ანთებს, აპირებს, აძლებს, აწებს, დაისწრებს, პატიჟებს, წაიცხებს;

და არა: ანთობს, აპირობს, აძლობს, აწობს, დაისწრობს, პატიჟობს, წაიცხობს.

9. როგორც აღნიშნავენ, ე. წ. პირველადი საწყისებისაგან ნაწარმოებ მედიუმებში **-ებ** და **-ობ** თემის ნიშნების განაწილები-

სას შეინიშნება ერთგვარი კანონზომიერება ზმნის სტურუქტურის მიხედვით[236]. კერძოდ:

ა) **-ებ** თემატური ნიშანი გამოიყენება ზმნებში, რომლებშიც მეორდება ფუძისეული ხმოვნები:

ა-ა: ბაბანებს, ბარბაცებს, ვარვარებს, კაკანებს, კასკასებს (მაგრამ: კისკასობს), ლაქლაქებს, ნარნარებს, პარპაშებს, რაკრაკებს, ფანცქალებს, ყაყანებს, ცანცარებს, ძაგძაგებს, წანწკარებს;

ი-ი: ბიბინებს, გიზგიზებს, ვიშვიშებს, ღიღინებს, ჩიფჩიფებს, წიკვინებს, ჭიკჭიკებს ჯიჯღინებს.

უ-უ: ბლუკუნებს, გუგუნებს, დუდუნებს, ზუზუნებს, თუხთუხებს, კუნტრუშებს, ლუღლუღებს, ულურტულებს, სლუკუნებს, ფუსფუსებს, ღუღუნებს, ჩუხჩუხებს;

ბ) **-ობ** თემატური ნიშანი გვხვდება შერეულხმოვნიან ზმნურ ფუძეებში:

ბრახუნობს, რაკუნობს, ფათურობს, ფართხუნობს, ფაცურობს, ყოყმანობს;

გ) **-იალ-**სუფიქსიანი ე. წ. პირველადი საწყისებისაგან ნაწარმოებ უმარცვლო ზმნებს დაერთვის **-ებ** თემატური ნიშანი:

ბრდღვ-იალ-ებ-ს,
ბრჭყვ-იალ-ებ-ს,
გრ-იალ-ებ-ს,
თქრ-იალ-ებ-ს,
ჩხრ-იალ-ებ-ს,
ცქრ-იალ-ებს,
წკრ-იალ-ებს,
ხრ-იალ-ებს;

ხმოვანფუძიანებს დაერთვის **-ობ**:

ბორ-იალ-ობ-ს,
კოტრ-იალ-ობ-ს,
პროწ-იალ-ობ-ს,
წოწ-იალ-ობ-ს,
ხეტ-იალ-ობ-ს.

---

[236] შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, ხმაბაძვითი ზმნების სტრუქტურისა და მართლწერის საკითხები ქართულში, ქსკს, წიგნი X, გვ. 103.

§ 67. შუალობითი კონტაქტის ფორმანტი მ ა რ თ ლ წ ე რ ა

კონტაქტი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, სუბიექტი ობიექტზე მოქმედებს უშუალოდ თუ სხვა პირის მეშვეობით. ამის მიხედვით კონტაქტი ორგვარია: უშუალო (წერს) და შუალობითი (აწერინებს).

შუალობითი კონტაქტის (კაუსატივის) ფორმებს ა წარმოქმნის მარტივი **-ინ** და რთული **-ევინ** ბოლოსართებით. ეს მაწარმოებლები დაერთვის უშუალო კონტაქტის ნიშნათა პირველი სერიის თემას, რომელიც საწყისშია წარმოდგენილი. საწყისის მაწარმოებელი ამ ფორმანტთა დართვისას შეიკუმშება[237]. მაგ.:

წერს – წერა – აწერინებს; ცლის – ცლა – აცლევინებს;
დათვლის – დათვლა – დაათვლევინებს.

შუალობითი კონტაქტის ფორმების არასწორად წარმოქმნის შემთხვევები რამდენიმე სახისაა. კერძოდ:

1. ზოგიერთ კილოში შუალობითი კონტაქტის მაწარმოებლები გამარტივებულია: **-ინ** და **-ევინ** ბოლოსართები წარმოდგენილია **ნ** ფორმანტის გარეშე:

სწორია: კვეცს – კვეცა – აკვეცინებს [და არა აკვეციებს]; ჩეხს – ჩეხა – აჩეხინებს [და არა აჩეხიებს]; დახვეტს – დახვეტა – დაახვეტინებს [და არა დაახვეტიებს]; დაგრეხს – დაგრეხა – დააგრეხინებს [და არა დააგრეხიებს];
ასევე: ცლის – ცლა – აცლევინებს; თლის – თლა – ათლევინებს [და არა ათლევიებს]; მოშლის – მოშლა – მოაშლევინებს [და არა მოაშლევიებს]; გაფცქვნის – გაფცქვნა – გააფცქვნებინებს [და არა გააფცქვნევიებს].

ზოგჯერ **-ინ** ბოლოსართი სრულადაა დაცული ზმნაში, მაგრამ დაკარგულია ფუძისეული **ნ**. ეს ეხება **-ან** და **-ენ**-ბოლოსართიან ზმნებს.

სწორია: ასმენინებს, მოატანინებს, აბანინებს, გამოაცლენინებს;

და არა: ასმეინებს, მოატაინებს, აბაინებს, გამოაცლეინებს.

2. გამოტოვებულია **-ევინ**-მაწარმოებლისეული **ვ**.

---

[237] ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 407.

სწორია: წვავს – წვა – აწვ-ევინ-ებს [და არა აწვევინებს], აბამს – ბმა – აბმევინებს [და არა აბმეინებს]; გაფცქვნის – გაფცქნა – გააფცქნევინებს [და არა გააფცქნეინებს]; დარგავს – დარგვა – დაარგვევინებს [და არა დაარგვეინებს].

3. გამოტოვებულია **-ევ**-ბოლოსართისეული **ვ**.

სწორია: ანგრევს – ნგრევა – ანგრევინებს [და არა ანგრეინებს]; ამღვრევს – მღვრევა – ამღვრევინებს [და არა ამღვრეინებს]; დაარბევს – დარბევა – დაარბევინებს [და არა დაარბეინებს]; დაარწევს – დარწევა – დაარწევინებს [და არა დაარწეინებს].

4. გამოტოვებულია თემისნიშნისეული **ვ**.

როგორც აღვნიშნეთ, შუალობითი კონტაქტის ფორმების წარმოება ეყრდნობა უშუალო კონტაქტის ზმნის საწყისს. თუ საწყისში შენარჩუნებულია თემის ნიშანი (სრულად ან ნაწილობრივ), იგი შუალობითი კონტაქტის ფორმაშიც დარჩება.

-ავ-თემისნიშნიან ზმნებს შუალობითი კონტაქტის ფორმებში **ვ** უნდა შეუნარჩუნდეთ (გამონაკლისი იხ. ქვემოთ).

სწორია: ხატავს – ხატვა – ახატვინებს [და არა ახატინებს]; ზიდავს – ზიდვა – აზიდვინებს [და არა აზიდინებს]; კეცავს – კეცვა – აკეცვინებს [და არა აკეცინებს]; ტვირთავს – ტვირთვა – ატვირთვინებს [და არა ატვირთინებს]; დაბეჭდავს – დაბეჭდვა – დააბეჭდვინებს [და არა დააბეჭდინებს]; წალეკავს – წალეკვა – წაალეკვინებს [და არა წაალეკინებს].

ასევე სწორი ფორმებია: აბერტყვინებს, ათიბვინებს, აკენკვინებს, აკეტვინებს, ალესვინებს, აპენტვინებს, არეცხვინებს, აქექვინებს, აწეწვინებს, ახეხვინებს;

და არა: აბერტყინებს, ათიბინებს, აკენკინებს, აკეტინებს, ალესინებს, აპენტინებს, არეცხინებს, აქექინებს, აწეწინებს, ახეხინებს.

5. გამოტოვებულია ნარნარა ბგერის წინ გადასმული **ვ**.

როგორც ცნობილია, თუ **-ავ**-თემისნიშნიანი ზმნის ფუძე თავდება **ნ, რ** ან **ლ** ნარნარა ბგერით, რომელსაც წინ უძღვის

თანხმოვანი, მოსალოდნელია მეტათეზისი (ბგერის გადანაცვლება ფუძის შიგნით).

სწორია: მარგლავს ⇒ მარგლვა ⇒ მარგვლა ⇒ ამარგვლინებს [და არა ამარგლინებს]; გადაფურცლავს ⇒გადაფურცლვა ⇒ გადაფურცვლა ⇒ გადააფურცვლინებს [და არა გადააფურცლინებს]; ხიზნავს ⇒ ხიზნვა ⇒ ხიზვნა ⇒ ახიზვნინებს [და არა ახიზნინებს]; კაწრავს ⇒ კაწრვა ⇒ კაწვრა ⇒ აკაწვრინებს [და არა აკაწრინებს]; გაშიფრავს ⇒ გაშიფრვა ⇒ გაშიფვრა ⇒ გააშიფვრინებს [და არა გააშიფრინებს].

შენიშვნა: თემისნიშნისეული **ვ** იკარგება მხოლოდ ორ შემთხვევაში: **ა)** თუ ზმნის ფუძე თავდება **ვ** თანხმოვნით და **ბ)** თუ ნარნარა ბგერას წინ უძღვის ვ, რადგან მეტათეზისის შემდეგ ერთმანეთის გვერდით მოხვდება ორი **ვ** (ფუძისეული და თემისნიშნისეული), რასაც ქართული ენის ბუნება ვერ იტანს. მაგ.: ჩეჩქავს ⇒ ჩეჩქვა ⇒ ჩეჩქვა ⇒ აჩეჩქვინებს; მარცვლავს ⇒ მარცვლვა ⇒ მარცვვლა ⇒ მარცვლა ⇒ ამარცვლინებს.

6. გამოტოვებულია **ნ** ინფიქსი იმ ზმნებში, რომელთაც ის უჩნდება საწყისში **ა** მაწარმოებლის წინ.

სწორია: იშოვის ⇒ შოვნა ⇒ აშოვნინებს [და არა აშოვინებს ან აშოვიებს]; იპოვის ⇒ პოვნა ⇒ აპოვნინებს [და არა აპოვინებს ან აპოვიებს]; ითხოვს ⇒ თხოვნა ⇒ ათხოვნინებს [და არა ათხოვინებს ან ათხოვიებს][238].

7. II თურმეობითში გამოტოვებულია -ებინ დაბოლოება.

თანამედროვე ქართულში შუალობითი კონტაქტის ფორმები ყოველთვის **-ებ**-თემისნიშნიანია. როდესაც ამოსავალი ზმნა თვითონაც **-ებ**-თემისნიშნიანია, შუალობითი კონტაქტის ფორმაში **-ებ** ბოლოსართი მეორდება:

აგებს – აგებინებს, აკეთებს – აკეთებინებს,
აშენებს – აშენებინებს.

---

[238] იხ. ნორმების ბიულეტენი № 1-2, 1985, გვ. 32.

II თურმეობითში **-ებ**-თემისნიშნიანი ზმნები ორმაგ **-ებინ** დაბოლოებას იჩენენ (რადგან **-ინ** დაბოლოებაც მეორდება), თუმცა ქართული ენის ზოგ დიალექტში ის ხშირად გამოტოვებულია.

სწორია: გაეკეთებინებინა, გაეჩერებინებინა, აელებინებინა, გაეჩაღებინებინა;

და არა: გაეკეთებინა, გაეჩერებინა, აელებინა, გაეჩაღებინა.

შენიშვნა: III სერიის კაუზატიურ ფორმებს სირთულის გამო ხშირად ენაცვლება აღწერითი ფორმები, რომლებიც I და II სერიის მწკრივებით გადმოიცება: თურმე ააშენებინა = აუშენებინებია.

§ 68. ქცევის ფორმათა მართლწერა

ქცევა გამოხატავს კუთვნილებით-დანიშნულებითს ურთიერთობას სუბიექტსა და ობიექტს ან ობიექტებს შორის. ის შეიძლება იყოს სათავისო (სასუბიექტო), სასხვისო (საობიექტო) და საარვისო (ნეიტრალური).

სათავისო ქცევის ნიშანია თავსართი **ი**, სახვისოსი – **ი** (როცა ობიექტად I ან II პირია) და **უ** (როცა ობიექტად III პირია), საარვისო კი ა-ნიშნიანია ან უნიშნო.

ქცევის ფორმათა წარმოებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. სათავისო ქცევის ფორმებს **მი-**ზმნისწინის დართვისას ორი **ი** მოუდით:

მიიახლოებს, მიიბამს, მიიბნევს, მიიბრუნებს, მიიერთებს, მიიკრავს, მიიმხრობს, მიიშენებს, მიიწერს;

2. თუ ზმნის ფუძე **უ** ხმოვნით იწყება, უ-ნიშნიან სასხვისო ქცევის ფორმებში ორი **უ** მოიყრის თავს:

უუარესებს, უუბედურებს, უუთოებს, უუმჯობესებს, უურვებს, უუქმებს, უუღლებს, უუშნოებს, უუძლურდება, უუხეშდება;

გარდამავალი ზმნის III სერიის ფორმებში **უ** სასხვისო ქცევის ნიშანია, თუმცა ზმნას ქცევის გაგება არა აქვს. მაგ.:

გააუუჯერულებია, შეუუღლებია, უკუუქცევია, უკუუგდია.

3. ა-ნიშნიან საარვისო ქცევის ფორმებში ა ან ა-თი დაბოლოებული ზმნისწინის დართვისას ერთმანეთის გვერდით მოხვდება ორი ა:

აადენს, დაარქმევს, გააობობს, გადაამუშაებს, ჩააქრობს, წაახალისებს.

იმავე პირობებში, თუ ზმნის ძირი ა-თი იწყება, თავს მოიყრის სამი ა:

გააადვილებს, გააათკეცებს, გააასფორებს, გააააქტიურებს, გააახალგაზრდავებს, გააახლებს, გადააადგილებს, დააავადებს, დააამხანაგებს, გააანგარიშებინებს, დააარსებს, დააახლოებს.

4. ქართულში გვხვდება სასხვისო ქცევის ისეთი ფორმებიც, რომლებიც ოთხი პირის გაგებას იძლევა. მაგ.: მიმიბა, მიჭმია, მიმიწერა, მიტაცა (მან მე მას ის). თუ უშუალო კონტაქტის სასხვისო ქცევის ფორმას გადავაკეთებთ შუალობითად, ასეთ შემთხვევაშიც ზმნას ორი ირიბი ობიექტი შეეწყობა:

დამიბეჭდვინე, წამიხდენინე, გადმომიწერინე
(შენ მე მას ის)[239].

იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება შეგვხვდეს გარდაუვალი ზმნის სასხვისო ქცევის ფორმები, რომლებიც სამპირიანია. მაგ.: მიცვია („ცოლს არ მიცვია კაბაო“- ვაჟა–ფშაველა), მიხურავს, მიქვია (ის მე მას)[240].

5. ქართული ბუნებრივი გამოთქმების შესანარჩუნებლად საჭიროა მართებულად გამოვიყენოთ ქცევის ფორმები. საარვისო ქცევის ფორმა უნდა ვიხმაროთ ისეთი მოქმედების გადმოსაცემად, რომელიც არავისთვის არ არის განკუთვნილი. მაგ.: სახლი ავაშენე, ბინა დავალაგე, ნახატი გავაფერადე, ფარდა ჩამოვკიდე. თუ სხვა ენის მატარებელი იტყვის: მე სახლი ავაშენე ჩემთვის, სახლი ავაშენე მისთვის, ქართულად ეს გადმოიცემა მოკლედ: სახლი ავიშენე, სახლი ავუშენე.

ასევე უმჯობესია: მას ულამაზესი ყვავილები შეუკრიე. ამ ამბავმა გული მომიკლა;

და არა: მისთვის ულამაზესი ყვავილები შევარჩიე. ამ ამბავმა ჩემი გული მოკლა.

---

239 ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 367.

240 იქვე, გვ. 344.

მოქმედებითი გვარი

დღეს ქართულ ენათმეცნიერებაში ხდება არაერთი ენობრივი მოვლენის ახლებური ინტერპრეტაცია (ახსნა, განმარტება). ეს უპირველესად ეხება გვარის რაობისა და, აქედან გამომდინარე, რაოდენობის საკითხსაც. ტრადიციული განმარტებით, გვარი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, ზმნით აღნიშნული მოქმედება გამოხატავს სხვა საგნის მიმართ შესრულებულ აქტიურ მოქმედებას (მაგ.: **მებაღე რგავს ხეს**), თუ განმცდელი სუბიექტის პასიურ მოქმედებას (მაგ.: **ხე ირგვება**). მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ორი ფორმა (რგავს და ირგვება) ერთმანეთისაგან განსხვავდება არამარტო შინაარსობრივად, არამედ სინტაქსურ-მორფოლოგიურადაც (კონსტრუქციისა და ყალიბის მიხედვით).

ირგვება არის **რგავს** ზმნის კონვერსიული (შებრუნებული) ფორმა: მისი სუბიექტი მეორე ზმნის პირდაპირი ობიექტია. ამასთან, ქართულში, ევროპული ენებისაგან განსხვავებით, **ირგვება** ზმნის ყალიბით (ფორმით) შეიძლება გამოიხატოს აქტიური მოქმედებაც. მაგ.: ბავშვი იმალება; თამადა ილოცება; ინდაური იფხორება.

ა. შანიძის კლასიფიკაციით ქართულ გრამატიკაში გამოიყოფა გვარის სამი სახე: მოქმედებითი (აქტივი), ვნებითი (პასივი) და საშუალი (მედიუმი). მაგრამ უკანასკნელ ხანებში სადავოდ არის ქცეული საშუალი გვარის არსებობის საკითხი. ზმნას, რომელიც გარდაუვალია, მაგრამ არ თავსდება კონვერსიის სისტემაში, მხოლოდ პირობითად უწოდებენ საშუალი გვარისას („საშუალს“ სამუშაო ტერმინად ხმარობენ), ნამდვილ გვარად კი მოქმედებითსა და ვნებითს მიიჩნევენ.

მოქმედებითი გვარის ზმნა გარდამავალია, ორ- ან სამპირიანი (იშვიათად – ოთხპირიანიც).

აწმყოში მოქმედებითი გვარის ზმნის ზოგადი ყალიბებია:

I. [ზმნური ფუძე] – Ø: კვეთს, კვეცს, ჩეხს, წერს, ხვეწს.

II. [ზმური ფუძე (ე/ი)] – Ø: ზნექს – ზნიქა; კბეჩს – კბიჩა; ყვლეფს – ყვლიფა.

III. [ზმნური ფუძე] – თემის ნიშანი: ათეთრებს, ბარავს, სვამს, ყოფს.

მოქმედებითი გვარის ზმნის კონსტრუქცია სამივე სერიის მიხედვით ასეთია:

ა) **ის** მას, მან ის, მას ის (III სერიის ფორმები ინვერსიულია). მაგ.:

ჩეხს (დაჩეხს), დაჩეხა, დაუჩეხია (დაეჩეხა)
ზელს (მოზელს), მოზილა, მოუზელია (მოეზილა)
სხლეტს (მოსხლეტს), მოსხლიტა, მოუსხლეტია (მოესხლიტა)
ანჯღრევს (გაანჯღრევს), გაანჯღრია, გაუნჯღრევია (გაენჯღრია)
ღრღნის (დაღრღნის), დაღრღნა, დაუღრღნია (დაეღრღნა)
ქსოვს (მოქსოვს), მოქსოვა, მოუქსოვია (მოექსოვა)
რეკავს (დარეკავს), დარეკა, დაურეკავს (დაერეკა)
აწებს (ჩააწებს), ჩააწო, ჩაუწია (ჩაეწო)
აუმჯობესებს (გააუმჯობესებს), გააუმჯობესა, გაუუმჯობესებია (გაეუმჯობესებინა)
იზეპირებს (დაიზეპირებს), დაიზეპირა, დაუზეპირებია (დაეზეპირებინა)
ამკობს (შეამკობს), შეამკო, შეუმკია (შეემკო)
აცხობს (გამოაცხობს), გამოაცხო, გამოუცხვია (გამოეცხო),

მაგრამ: მე გამოვაცხვე, შენ გამოაცხვე, მათ გამოაცხვეს
პოულობს (იპოვის), იპოვა, უპოვია (ეპოვა)
ქირაობს (იქირავებს), იქირავა, უქირავია (ექირავა)
ასხამს (შეასხამს), შეასხა, შეუსხამს (შეესხა)
ყოფს (გაყოფს), გაყო, გაუყვია (გაეყო), მაგრამ: მე გავყავი, შენ გაყავი, მათ გაყვეს.

ბ) ის მას მას, მან მას ის, მას ის (მისთვის) (III სერიის ფორმები ინვერსიულია). მაგ.:

აღუწერს (აღუწერს), აღუწერა, აღუწერია (აღეწერა)
უკრეფს (დაუკრეფს), დაუკრიფა, დაუკრეფია (დაეკრიფა)
უთევს (გაუთევს), გაუთია, გაუთევია (გაეთია)
უკუუქცევს (უკუუქცევს), უკუუქცია, უკუუქცევია (უკუექცია)
სწირავს (შესწირავს), შესწირა, შეუწირავს (შეეწირა)
აღუძრავს (აღუძრავს) აღუძრა, აღუძრავს (აღეძრა)
სცხებს (წასცხებს), წასცხო, წაუცხია (წაეცხო)
უქებს (შეუქებს), შეუქო, შეუქია (შეექო)
უბრუნებს (დაუბრუნებს), დაუბრუნა, დაუბრუნებია (დაებრუნებინა)

უვიწყებს (დაუვიწყებს), დაუვიწყა, დაუვიწყებია (დაევიწყებინა)
უტრიალებს (მოუტრიალებს), მოუტრიალა, მოუტრიალებია (მოეტრიალებინა)
უყურთხობს (დაუყურთხობს), დაუფრთხო, დაუფრთხია (დაეფრთხო)
უსვამს (წაუსვამს), წაუსვა, წაუსვამს (წაესვა)
აშენებინებს (ააშენებინებს), ააშენებინა, აუშენებინებია (აეშენებინებინა)
ახატვინებს (დაახატვინებს), დაახატვინა, დაუხატვინებია (დაეხატვინებინა).

გ) ის მას მას მას, მან მას მას ის, მას ის (III სერიის ფორმები ინვერსიულია). მაგ.:

უტაცებს (უტაცებს), უტაცა (მან მას აღვირს ხელი), უტაცებია (ეტაცებინა)
უბამს (მიუბამს), მიუბა (მან მას დუქანს ყური), მიუბამს (მიებია)
უწერინებს (დაუწერინებს), დაუწერინა (მან მას მღვდელს სიგელი), დაუწერინებია (დაეწერინებინა).

§ 69. მოქმედებითი გვარის ზმნების მართლწერა

ქართული არის ზმნის აქტიური ფორმებით მდიდარი ენა. ეს იმას ნიშნავს, რომ ზმნათა უმეტესობა მოქმედებითი გვარისაა და, შესაბამისად, მასთან მართლწერის პრობლემებიც ხშირად იჩენს თავს.

1. იგებს თუ გებულობს?

იგებს, ითხოვს, იღებს... ფორმათა გვერდით აწმყოს წრეში იხმარება გებულობს, თხოულობს, ღებულობს... ტიპის ე. წ. „მიმღეობითი“ (ვნებითი გვარის მიმღეობისგან ნაწარმოები) ზმნები, რომლებიც შეიქმნა ასპექტის გამოხატვის სისტემის შეცვლის გამო[241].

---

[241] ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 498.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებით უპირატესობა ენიჭება **იგებს** ტიპის ფორმებს[242].

სწორია: იღებს, ითხოვს, იკლებს, იმატებს, ირემებს, იფიცებს, ფიცავს, ცნობს, ნატრობს;

და არა: ღებულობს, თხოულობს, კლებულობს, მატულობს, ჩემულობს, ფიცულობს, ცნობილობს, ნატრულობს.

მაგრამ მართებულად არის მიჩნეული იმ „მიმღეობითი“ ტიპის ზმნების ფორმები, რომელთაც აწმყოს წრეში გაჩენილი ცარიელი ადგილები შეავსეს და მომავალი დროის ზმნებთან ერთად „ასპექტობრივად დაპირისპირებული წყვილები შექმნეს“[243]:

> კადრულობს – იკადრებს; კისრულობს – იკისრებს; კითხულობს (ამბავს) – იკითხავს; კითხულობს (წიგნს) – წაიკითხავს; პოულობს – იპოვის [და არა იპოვნის]; სესხულობს – ისესხებს; ყიდულობს – იყიდის; შოულობს – იშოვის [და არა იშოვნის] (იქვე).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, მკვლევართა ნაწილის აზრით, „მიმღეობით“ ზმნებს განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ (კერძოდ, გამოხატავენ მოქმედების მრავალგზისობას, განგრძობითობას).

2. ახლა უპასუხებს თუ პასუხობს, უსაყვედურებს თუ საყვედურობს, უკარნახებს თუ კარნახობს?

ამ ზმნების დაწერილობაზე სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებული თვალსაზრისია გამოთქმული. (იხ. ზურაბ ჭუმბურიძე, პასუხობს და უპასუხებს, ჟურნალი ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1972, № 2; გიორგი შალამბერიძე, ქართული სწორმეტყველების ზოგიერთი საკითხი, 1980, გვ. 42-47; ქეთევან ლომთათიძე, კალკებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ქსკს, წიგნი VIII, გვ. 59; ვიოლა კალანდაძე, პასუხობს ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში, ქსკს, წიგნი IV, გვ. 101).

ხალხის სასაუბრო მეტყველებაში ფართოდ არის გავრცელებული **პასუხობს** ტიპის ფორმები როგორც ერთპირიანი

---

[242] ნორმების ბიულეტენი № 3, გვ. 30.

[243] ვ ი ო ლ ა კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, **გებულობს, ღებულობს** ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში, ქსკს, წიგნი I, გვ. 170.

(ტელეფონი არ პასუხობს), ისე ორ- და სამპირიანი მნიშვნელობით (მპასუხობს, გპასუხობს). გრამატიკოსთა უმრავლესობა მხარს უჭერს ამ ზმნების პირველ ვარიანტებს (**უპასუხებს, უსაყვედურებს, უკარნახებს**) როგორც აწმყოს, ისე მყოფადის მწკრივში (სახიარო ფორმების გარჩევა ხდება მხოლოდ კონტექსტის მიხედვით). ქართული ენის განმარტებით და ორთოგრაფიულ ლექსიკონებშიც იგივე ფორმებია მიჩნეული კანონიერად.

აწმყო-მყოფადის სახიარო ფორმების გასამიჯნავად სალიტერატურო ენაში თანდათან გზას იკაფავენ ჰპასუხობს, საყვედურობს, ჰკარნახობს, ჰპატიჟობს ზმნები. როგორც აღნიშნავენ, საერთო ენობრივი ტენდენცია მხარს უჭერს ამ ფორმათა გავრცელებას, მაგრამ საკითხი მაინც სადავოდ რჩება[244].

3. იცვამს თუ იცმევს?

-ევ, როგორც შუალობითი კონტაქტის ძველი მაწარმოებელი, მოუდის რამდენიმე ზმნას: ჭამს – აჭმევს (შეადარეთ: ჭამა და ჭმევა); სვამს – ასმევს; იცვამს – აცმევს. ასევე: ართმევს, არქმევს (ამათი ძირეული ფორმები აღარ იხმარება). დღეს ამ ზმნებში **-ევ** გააზრებულია თემის ნიშნად, შუალობითი კონტაქტის ფორმები კი **-ინ**-მაწარმოებლიანია: აჭმევინებს, აცმევინებს, ართმევინებს, არქმევინებს.

მაშასადამე, სწორი ფორმებია: იცვამს (თვითონ) და აცმევს (სხვას), იცმევს კი უმართებულოა.

4. ზელს თუ ზილავს? კბეჩს თუ კბიჩავს? წყვეტს თუ წყვიტავს?

ფუძედრეკადია ზმნები, რომელთაც I სერიაში ფუძეში **ე** ხმოვანი აქვთ, II სერიაში – **ი** (მათ ხმოვანმონაცვლეებსაც უწოდებენ). მაგ.:

ბრეცს – ბრიცა; ფხეკს – ფხიკა; წმენდს – წმინდა;
ადგენს – დაადგინა; არბევს – დაარბია – დაარბია.

მაწარმოებელი ელემენტები, რომლებიც ხმოვანმონაცვლე ზმნებს დაერთვის, დროთა განმავლობაში ფუძისეულად ქცეულან (იხ. თემის ნიშნები, № 1).

---

[244] ვ ი ო ლ ა კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, **პასუხობს** ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში, ქსკს, წიგნი IV, გვ. 144.

ფუძედრეკადი (ხმოვანმონაცვლე) ზმნები, გარდა სოგიერთი გამონაკლისისა, **-ავ** თემატური ნიშნის დართვის ტენდენციას იჩენენ, ამავე დროს, აწმყოშივე იცვლიან ფუძისეულ ხმოვანს. მაგ.: წმინდავს, წყვიტავს, ხვრიპავს, ხლიჩავს. ნორმის მიხედვით ასეთი ფორმები უმართებულოა (იხ. ნორმები, გვ. 204).

მაშასადამე, სწორია: ზელს, კბენს, ულენთს, წყვეტს.

ასევე: ეკ-დაბოლოებიანები: ბზეკს, დრეკს, ტლეკს, ფხეკს, ფშეკს, ჩხრეკს;
ეტ-დაბოლოებიანები: აჭყეტს, კვნეტს, ულეტს, სხლეტს, ფშვნეტს, ღლეტს, შრეტს, ცქვეტს, ჭვრეტს, ხვრეტს;
ეჯ-დაბოლოებიანები: გლეჯს, ღრეჯს;
ეხ-დაბოლოებიანები: გრეხს, წნეხს.

5. კვეთს თუ კვეთავს? ხვეწს თუ ხვეწავს?

ზმნათა უმეტესობას თემის ნიშანი დაერთვის. გარდა ფუძედრეკადი ზმნებისა (იხ. ზემოთ), უთემისნიშნოა რამდენიმე არაფუძედრეკადი ზმნაც. **ესენია:**

კვეთს, კვეცს, ჩეკს, ჩეჩს, ჩეხს, წერს, ხეთქს, ხვეტს, ხვეწს, იღეღს, იხვეჭს.

ამ ზმნების გარჩევა **-ავ**-თემისნიშნიანებისაგან შეგვიძლია საწყისის ფორმით: ამ უკანასკნელში შემორჩენილია თემის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი.

შეადარეთ: კვეთს – კვეთა; კვეცს – კვეცა და ბარავს – ბარვა; რეკავს – რეკვა.

მაშასადამე, სწორი ფორმებია: კვეთს, ხვეწს
(დაწვრილებით იხ. თემის ნიშნები, № 2).

6. წვრთნის თუ წრთვნის?

ძველად **წ**-ს შემდეგ იყო უმარცვლო **უ** (იწურთის, წუართონ, აღწურთა, მწურთელი), რომლის მაგივრადაც დღეს იწერება **ვ**.

მაშასადამე, სწორი ფორმებია: წვრთნის, ვწვრთნი, მწვრთნელი.

და არა: წროთნის, ვწროთნი, მწრთვნელი.

7. დავაკელი თუ დავაკლე?

ზმნებს, რომელთაც I სერიაში ფუძე შეკუმშული ჰქონდათ, წყვეტილში გაეშლებათ. ეს ეხება I და II პირის ფორმებს (ამ ჯგუფის ზმნებისათვის დამახასიათებელია ე. წ. „ნართაული“ **ი**) (გიორგი გოგოლაშვილი):

დავაკლებ – დავაკელი [და არა დავაკლე]
დაამყნობ – დაამყნი [და არა დაამყნე]
მივიმხრობთ – მივიმხარით [და არა მივიმხრეთ]
შეიპყრობთ – შეიპყარით [და არა შეიპყრეთ]
შევძლებ – შევძელი [და არა შევძლე]
ჩაფლავ – ჩაფალი [და არა ჩაფლე].

8. გარდამაეალ ზმნებს წყვეტილში მრ. რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნად მოუდით **-ეს**, და არა **-ნენ**, როგორც ზოგიერთ დიალექტშია (**ნენ** მოუდით გარდაუვალებს. იხ. გვ. 318 №18).

სწორია: ააგეს, დაშალეს, გაახარეს, გაზარდეს, შეამცირეს;

და არა: ააგენ, დაშალენ, გაახარენ, გაზარდენ, შეამცირენ.

9. დარგოს თუ დარგას? მორწყოს თუ მორწყას?

-ო- და **-ა-**დაბოლოებიანი პარალელური ფორმები აქვს რამდენიმე ზმნას II კავშირებითში. მათგან უპირატესობა ენიჭება პირველი რიგის ზმნებს, თუ მათ წყვეტილში მხ. რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშნად **-ო** აქვთ (საკონტროლოდ გამოვიყენოთ მრ. რიცხვის ფორმები, რომლებიც **ა** დაბოლოებით არაბუნებრივად ჟღერს).

სწორი ფორმებია:	**მცდარი** ფორმებია:
დაამყნო – დაამყნოს (დაამყნონ)	დაამყნა – დაამყნას (დაამყნან)
დაართო – დაართოს (დაართონ)	დაართა – დაართას (დაართან)
დარგო – დარგოს (დარგონ)	დარგა – დარგას (დარგან)
მიუსლო – მიუსლოს (მიუსლონ)	მიუსლა – მიუსლას (მიუსლან)
მორთო – მორთოს (მორთონ)	მორთა – მორთას (მორთან)
მორწყო – მორწყოს (მორწყონ)	მორწყა – მორწყას (მორწყან)
ჩაასო – ჩაასოს (ჩაასონ)	ჩაასვა – ჩაასვას (ჩაასვან).

10. ზმნების უმრავლესობას I თურმეობითში (კითხვა – რა უქნია?) აქვს **-ია** დაბოლოება: აუშენებია, გაუგზავნია, დაურწევია. გამონაკლისია **-ავ-** და **ამ**-თემისნიშნიანი ფორმები. ნორმის მიხედვით ეს თემატური ნიშნები ზმნებს I თურმეობითშიც გადაჰყვება (იხ. ნორმები, გვ. 217).

სწორია:

ვყვანტავ – გამოვყვანტავს	მე ის	ვაბამ – გამობამს	მე ის
ყარაულ – დაგიყარაულს	შენ ის	ისყამ – წაგისყამს	შენ ის
კვებავს – გამოუკვებავს	მას ის	დგამს – დაუდგამს	მას ის
ვკვლავთ – დაგვიკვლავს	ჩვენ ის	აღვიქვამთ – აღგვიქვამს	ჩვენ ის
რეკავთ – დაგირეკავთ	თქვენ ის	წარმოვთქვამთ – წარმოგითქვამთ	თქვენ ის
რეცხავენ – გაურეცხავთ	მათ ის	წარმოთქვამენ – წარმოუთქვამთ	მათ ის.

იგივე წესი ვრცელდება მეშველზმნიან ფორმებზეც (თუ ობიექტად I ან II პირია, I თურმეობითი მეშველზმნიანია), მაგრამ, რადგან ყველა გარდამავალი ზმნა III სერიაში ინვერსიული წყობისაა, I ობიექტურ პირს მეშველ ზმნად მოედის **ვარ**, II-ს – **ხარ**:

მმალავ – დაგიმალავვარ	შენ მე	მაბამ – გაგიბამვარ	შენ მე
მმალავს – დაუმალავვარ	მას მე	მაბამს – გაუბამვარ	მას მე
გმალავ – დამიმალავხარ	მე შენ	გაბამ – გამიბამხარ	მე შენ
გმალავს – დაუმალავხარ	მას შენ	გაბამს – გაუბამხარ	მას შენ.

მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში გავრცელებულია ამ ზმნათა უთემისნიშნო ფორმები: დაგიმალივარ, დაუმალივარ, დამიმალიხარ, დაუმალიხარ, გაგიპივარ, გაუპივარ, გამიპიხარ, გაუპიხარ და მისთ., რაც მომავალში ალბათ ნორმატიულ ლიტერატურაშიც აისახება[245] (იხ. თემის ნიშნები, № 5).

11. მოუხვეჭია თუ მოუხვეჭნია? მოეხვეჭა თუ მოეხვეჭნა?

ზოგჯერ I თურმეობითსა და II თურმეობითში ჩნდება ნარიანი უმართებულო ფორმები: მოუხვეჭნია, მოეხვეჭნა, მოგვიხვეჭნია, მოგვეხვეჭნა (გავრცელებულია ქართლურ და კახურ დიალექტებში). ნორმის მიხედვით კანონიერია მხოლოდ უნარო ფორმები (იხ. ნორმები, გვ. 222).

სწორი ფორმებია:	**მცდარი ფორმებია:**
მოუხვეჭია – მოეხვეჭა	მოუხვეჭნია – მოეხვეჭნა
მოგიხელია – მოგეხილა	მოგიხელნია – მოგეხილნა
მიცემია – მეცემა	მიცემნია – მეცემნა
დაგვიწყებია – დაგვეწყებინა	დაგვიწყნია – დაგვეწყნა
მოგიტაცებია – მოგეტაცებინა	მოგიტაცნია – მოგეტაცნა

[245] იხ. მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის თამარ ჯაშაკიძის რედაქციით, ახლად დაშვებული პარალელური ვარიანტები, გვ. 268.

მომილოცავს – მომელოცა	მომილოცნია – მომელოცნა
გაუბედავს – გაებედა	გაუბედნია – გაებედნა
გაუყიდია – გაეყიდა	გაუყიდნია – გაეყიდნა.

12. გაეკეთებინა თუ გაეკეთებია? გაეკეთებინოს თუ გაეკეთებიოს?

მოქმედებითი გვარის ზმნებს, რომლებსაც **-ებ** თემატური ნიშანი III სერიაშიც გადაჰყვება (არ გადაჰყვება უმარცვლოძირიან ზმნებს: აქებს, აცხებს, აწებს და მისთ.), II თურმეობითსა და III კავშირებითში თემის ნიშნის შემდეგ დაერთვის **-ი-ნ** (გაეკეთ-ებ-ინ-ა, გაეკეთ-ებ-ინ-ოს), მაგრამ დასავლურ დიალექტებში გვხვდება უნარო ფორმები (გაეკეთ-ებ-ია, გაეკეთ-ებ-ი-ოს), აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში კი – ძველი ქართულიდან შემორჩენილი ფორმები **ებ-ინ** დაბოლოების გარეშე (გაეკეთა, გაეკეთოს).

სწორია:	**და არა:**	
აეშენებინა	აეშენებია	ან აეშენა
გადაეცემინა	გადაეცემებია	ან გადაეცემა
დაგეტოვებინა	დაგეტოვებია	ან დაგეტოვა
დაებრუნებინა	დაებრუნებია	ან დაებრუნა
დამესაკუთრებინა	დამესაკუთრებია	ან დამესაკუთრა
მოეგონებინა	მოეგონებია	ან მოეგონა
მოემარჯვებინათ	მოემარჯვებიათ	ან მოემარჯვათ
მოეწადინებინა	მოეწადინებია	ან მოეწადინა.

13. მწკრივების შუალობითი კონტაქტის ფორმებში **-ი-ნ** მეორდება:

მოეზელინებინა, მოეზელინებინოს
გაეთიბვინებინა, გაეთიბვინებინოს
მოეთმენინებინა, მოეთმენინებინოს
გაებედვინებინა, გაებედვინებინოს.

14. **-ებ**-თემისნიშნიანი ზმნების შუალობითი კონტაქტის ფორმებში მეორდება **-ებ-ინ**:

გაენიავებინებინა, გაენიავებინებინოს
დაეთვალიერებინებინა, დაეთვალიერებინებინოს
აეგებინებინა, აეგებინებინოს.

§ 70. რთული ზმნები

15. სრულვყოფ, ვსრულყოფ თუ ვსრულვყოფ?

რთულ ზმნებში ხშირად ისმება თავსართული პირის ნიშნების ადგილის საკითხი. მოქმედებითი გვარის რთული ზმნების ძირითადი ნაწილი შედგება ფუძის სახით წარმოდგენილი სახელისა და **ყოფს** ზმნისაგან. ასეთ სიტყვებში ფორმაცვალებას განიცდის მხოლოდ მეორე კომპონენტი და პირის, რიცხვისა თუ ქცევის ნიშნებიც მას უნდა დაეურთოთ.

სწორია: სრულ-ვ-ყოფ, სრულ-ვ-ყოფ-თ, სრულყოფ-თ, სრულყოფ-ს, სრულყოფ-ენ, სრულ-ვ-ყაჟი, სრულ-ვ-ყო, სრულ-მ-ყვია, სრულ-მ-ე-ყო (თავსართული ნიშნები გამოყოფილია თეალსაჩინოებისათვის).

დაიმახსოვრეთ წესი:

თავსართული ნიშნები შუაში (ანუ შემადგენელ კომპონენტებს შორის) დაერთვის მხოლოდ იმ რთულ ზმნას, რომლის მეორე (ბოლო) ნაწილი ზმნაა (აქ არ იგულისხმება ვარ/ხარ-მეშველზმნიანი ფორმები), რთული სიტყვისგან (კომპოზიტისგან) ნაწარმოებს კი იგივე ნიშნები დაერთვის თავში (მაგ.: სულდგმული – **მ-ა-**სულდგმულებს).

რთული სიტყვისაგან ნაწარმოები ზმნის ამოსავალ ფუძეში მეორე კომპონენტი არასოდეს არ არის ზმნა (უმთავრესად მიმღეობაა, იშვიათად – სახელი). მაგ.: ზედამხედველი, თავმჯდომარე, გულთმისანი, ქედმაღალი.

რთულ ზმნებს ზმნისწინი არ დაერთვის. აწმყო-მყოფადის ფორმების ერთმანეთისაგან გარჩევა ხდება კონტექსტის მიხედვით. მაგ.: დღეს ამ ოჯახს მატერიალურად **უზრუნველყოფს** სახელმწიფო (აწმყოს მწკრივი). მამამ სამსახური იშოვა და მალე ის **უზრუნველყოფს** ოჯახს (მყოფადი).

რთული სიტყვისგან ნაწარმოები ზმნები კი (ზმნისწინი არც ამათ დაერთვის), რომლებიც უმეტესწილად ე. წ. საშუალი გვარისაა, მყოფადის მწკრივს იყენებენ შესაბამისი ფუძის მოქმედებითი გვარის ფორმებით. ამასთან, ერთპირიანებს სათავისო

ქცევის მოდელი აქვთ (თვალთმაქცი - **ვ-**თვალთმაქცობ, **ვი-** თვალთმაქცებ). ორპირიანებს - სასხვისოსი (შუამავალი – მე მას **ვ-ვ-**შუამავლობ, **ვ-უ-**შუამავლებ) (იხ. საშუალი გვარი, №10).

რთულ ზმნებში საკონტროლოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ I თურმეობითის ფორმა. მაგ.: სრულ-**მ-ი-**ყვია (გამოყოფილია პირის და ქცევის ნიშანი), სრულ-**გ-ი-**ყვია, სრულ-**უ-**ყვია, სრულ-**გვ-ი-**ყვია, სრულ-**გ-ი-**ყვია-თ, სრულ-**უ-**ყვია-თ (არავინ იტყვის: მისრულყვია, გისრულყვია, უსრულყვია, გვისრულყვია და ა.შ.).

მაშასადამე, სწორია: გულისხმავყოფ – გულისხმამიყვია, უარვყოფ – უარმიყვია, უზრუნველვყოფ – უზრუნველმიყვია, იავარვყოფ – იავარმიყვია, იძულებულვყოფ – იძულებელმიყვია, ნათელვყოფ – ნათელმიყვია, უგულებელვყოფ – უგულებელმიყვია, უვნებელვყოფ – უვნებელმიყვია, უკვდავყოფ – უკვდავმიყვია, უჩინარვყოფ – უჩინარმიყვია, ღალატვყოფ – ღალატმიყვია, ცხადვყოფ – ცხადმიყვია, შეურაცხვყოფ – შეურაცხმიყვია, ხელვყოფ – ხელმიყვია.

მაგრამ: წინასწარმეტყველი – **ვ-**წინასწარმეტყველებ – **მ-**იწინასწარმეტყველია (კომპოზიტისგან ნაწარმოებია).

16. უკუვაგდებ თუ ვუკუაგდებ ან ვუკუვაგდებ? ძალმიძს თუ მძალუძს?

რამდენიმე რთულ ზმნაში II კომპონენტად (ზმნურ ნაწილად) გვევლინება: **აგდებს, არიდებს, აქცევს, ყრის, გრძნობს, ეწიფება,** პირველ ნაწილად კი – სახელი ან ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებული სხვა სიტყვა, მაგ.: **ზე, თანა, უკუ, წიაღ, წინა.**

სწორია: უკუვაგდებ – უკუმიგდია, უკუვარიდებ – უკუმირიდებია, უკუვაქცევ – უკუმიქცევია, უკუვყრი – უკუმიყრია.

პირის ნიშნების დართვის ზემოაღნიშნული წესი ვრცელდება რთულ ინვერსიულ ზმნებზეც. მაგ.:

ხელმეწიფება (ძვ. ხელმეწიფების), ხელგეწიფება, ხელეწიფება, ხელგვეწიფება, ხელეწიფა;

ძალმიძს, ძალგიძს, ძალუძს, ძალგვიძს, ძალმედვა, ძალგედვა, ძალედვა, ძალგვედგა (III სერიის ფორმები არ ეწარმოებათ).

17. რთულ ზმნებს მიმღეობის მაწარმოებლები მეორე კომპონენტზე დაერთვის. მაგ.:

> უარმყოფელი, უარსაყოფი, უზრუნველსაყოფი, უზრუნველყოფილი, უგულებელყოფილი, უკვდავსაყოფი, უკვდავყოფილი, ხელმყოფელი, ხელყოფილი, უკუმგდები თანამგრძნობი, ნათლისმცემელი (ძვ. რელიგ), თაყვანისმცემელი, ნუგეშისმცემელი (// ნუგეშმცემელი), ნუგეშცემული, ყურადსაღები, წილხვდომილი, თანამდები, თანამსრახველი, ჯვარცმული.

ზემოთ ჩამოთვლილი რთული ზმნების ნაწილი ძველი ქართულიდანაა შემორჩენილი. დღევანდელ დღეს აღარ იხმარება: აღთქმა-ყო, ზრახვა-ყო, ლოცვა-ყო, ამბორს-უყო, ზე-სხდეს, წამუყენა, ნათელ-სცა, თავყანის-სცა, ნუგეშინი-სცა, ნათელ-იღო, მუცლად-იღო, წილ-ხუედა, წინა-აღუდგა, თანა-ედვა, თანა-ზრახვიდეს, ჯვარს-აცუა. ზოგი შესიტყვებით შეიცვალა, განსაკუთრებით ისინი, რომელთა სახელური ნაწილი ბრუნვის ნიშნით იყო გაფორმებული. მაგ.: თაყვანი სცა, ნუგეში სცა, ყურად იღო, ჯვარს აცვა (ვიოლა კალანდაძე, ქსკს, წ. II, გვ. 150).

18. ვარ-მეშველზმნიან რთულ ზმნებს თავსართული პირის ნიშანი თავშიც დაერთვის (ეს ეხება გარდაუვალ ზმნებსაც). მაგ.:

> დაეუხატავვარ, დაეუბამვარ (თუმცა ფაქტობრივად იხმარება: დაეუხატივარ, დაეუბივარ), ვწუხვარ, ვამხეიარ, ვუპყრივარ, ვწევარ, ვდგავარ.

მეორე სუბიექტური პირის ნიშნები თანამედროვე ქართულში აღარ გამოიყენება, ხოლო ძველი ნიშანი შემორჩენილია **ხ**-არ მეშველ ზმნასა და **ხვალ/ხვედ** ფუძის ფორმებში. მაგ.:

> წუხხარ, უკავიხარ, დარბიხარ, ჰგავხარ, მოხვალ, მოხვედი.

§ 71. ვ-ს შემონახვა, დაკარგვა და ჩართვა მოქმედებითი გვარის ზმნებში

19. ზმნაში, ისევე როგორც სახელში, **ვ** ბგერა ან ფუძისეულია, ან აფიქსისეული, ან ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებული. ზმნაშიც **ვ** იკარგება მაშინ, როდესაც ფონეტიკური გარემო ხელს უშლის მის წარმოთქმას. ეს კი იმ შემთხვევაში

ხდება, თუ **ვ**-ს წინ უძღვის ხმოვანი და მოსდევს წყვილბაგისმიერი ბგერები **ო** ან **უ**. ამიტომ ყურადღებით ვიყოთ იმ ფორმების დაწერილობისას, რომლებსაც მწკრივის ნიშნად მოუდით **ო** (ან დაერთვის **ო**-თი ან **უ**-თი დაწყებული ბოლოსართები).

ნორმების თანახმად, ვ უნდა დაცულ იქნეს:

ა) ყველა მწკრივის ფორმაში, მათ შორის II კავშირებითში, თუ **ფუძისეულია ან ფუძეს მიხორცებული**, რაც გამოჩნდება წყვეტილის მწკრივში:

გააამარტივ-ა – გააამარტივ-ოს; გაამწვავ-ა – გაამწვავ-ოს; გაატყავ-ა – გაატყავ-ოს; გააღვივ-ა – გააღვივ-ოს; გააშავ-ა – გააშავ-ოს; გააცივ-ა (წყალი) – გააცივ-ოს (მაგრამ: გააცია მას); დააბეჩავ-ა – დააბეჩავ-ოს; დააეჭვ-ა – დააეჭვ-ოს; დაახვავ-ა – დაახვავ-ოს; დაჩეჩქვ-ა – დაჩეჩქვ-ოს; მოკაკვ-ა – მოკაკვ-ოს; გაძარცვ-ა – გაძარცვ-ოს.

ასევე: ააღელვ-ა – ააღელვ-ოს; გააკვირვ-ა – გააკვირვ-ოს; გაუჭირვ-ა – გაუჭირვ-ოს; დაანახვ-ა – დაანახვ-ოს.

ეს ეხება იმ ზმნებსაც, რომლებშიც **-ოვ** ბოლოსართია ფუძეს მიხორცებული: აგრ-**ოვ**-ებს – მოაგრ-**ოვ**-ა – მოაგრ-**ოვ**-ოს; აძოვებს – აძოვა – აძოვოს; ქსოვს – მოქსოვა – მოქსოვოს.

ბ) წყვეტილის ყველა პირისა და რიცხვის ფორმებში, გარდა მხოლობითი რიცხვის III სუბიექტური პირისა, **-ობ**-თემისნიშნიან იმ ზმნებში, რომლებიც I თურმეობითში ფუძეში წარმოგვიდგენენ **ვ** ბგერას (იხ. ნორმები, გვ. 15). ანუ **ვ** დაცულია ისეთ ფორმებში, რომლებშიც მის გამოთქმას ხელს არ უშლის მომდევნო **ო** (მწკრივის ან პირის ნიშანი). ასეთი მწკრივები კი მხოლოდ წყვეტილი და I თურმეობითია. მაგ.:

ვანდობ, ვანდობდი, ვანდობდე, მივანდობ, მივანდობდი, მივანდობდე, მივანდ-**ვ**-ე, მივანდო, მიმინდ-**ვ**-ია, მიმენდო, მიმენდოს.

მაშასადამე, წყვეტილის ფორმის დასადგენად **-ობ**-თემისნიშნიანი ზმნა ჯერ უნდა გადავიყვანოთ I თურმეობითში (კითხვა - რა მიქნია?). თუ ეს მწკრივი **ვ**ინიანია, წყვეტილიც **ვ**ინიანი იქნება. მაგ.:

ვიტყობ – შემიტყ-**ვ**-ია – შევიტყ-**ვ**-ე, შეიტყ-**ვ**-ეს; **მაგრამ**: შეიტყო („საფარ-ბეგო, პირშაობა შენი ვიცი, შემიტყვია...“).

საკონტროლოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ ამავე ფუძის **-ებ-** თემისნიშნიანი ვნებითისა და საობიექტო მიმღეობის ფორმებიც. თუ ასეთ ფუძეებს აქვთ სტატიკური ვნებითის ფორმა, ისიც **ვ**ინიანი იქნება. მაგ.:

ვათრობ – დამით-**ვ**-რია (მეტათეზისით) – დავათ-**ვ**-რე, დაათ-**ვ**-რე, დაათ-**ვ**-რეს (თვრება – დამთვრალი)
ვალღობ – გამილღ-**ვ**-ია – გავალღ-**ვ**-ე, გაალღ-**ვ**-ე, გაალღ-**ვ**-ეს (ლღვება – ძველად – გამლღვალი)
ვალხობ – გამილხ-**ვ**-ია – გავალხ-**ვ**-ე, გაალხ-**ვ**-ე, გაალხ-**ვ**-ეს (ლხვება – ძველად – გამლხვალი)
ვაცხობ – გამომიცხ-**ვ**-ია – გამოვაცხ-**ვ**-ე, გამოაცხ-**ვ**-ე, გამოაცხ-**ვ**-ეს (ცხვება – გამომცხვარი)
ვაძრობ – გამიძ-**ვ**-რია (მეტათეზისით) – გავაძ-**ვ**-რე, გააძ-**ვ**-რე, გააძ-**ვ**-რეს (ძვრება – გამძვრალი)
ვამხობ – დამიმხ-**ვ**-ია – დავამხ-**ვ**-ე, დაამხ-**ვ**-ე, დაამხ-**ვ**-ეს (ამხობს – ამხვია)
ვარჭობ – დამირჭ-**ვ**-ია – დავარჭ-**ვ**-ე, დაარჭ-**ვ**-ე, დაარჭ-**ვ**-ეს (არჭობს – არჭვია)
ვასობ – ჩამის-**ვ**-ია – ჩავას-**ვ**-ე, ჩაას-**ვ**-ე, ჩაას-**ვ**-ეს (ასობს – ასვია)
ვატყობ – დამიტყ-**ვ**-ია – დავატყ-**ვ**-ე, დაატყ-**ვ**-ე, დაატყ-**ვ**-ეს (ატყობს – ატყვია)
ვაწყობ – დამიწყ-**ვ**-ია – დავაწყ-**ვ**-ე, დააწყ-**ვ**-ე, დააწყ-**ვ**-ეს (აწყობს – აწყვია)
ვახშობ – ჩამიხშ-**ვ**-ია – ჩავახშ-**ვ**-ე, ჩაახშ-**ვ**-ე, ჩაახშ-**ვ**-ეს

თუ I თურმეობითში **ვ** არა გვაქვს, იგი არც წყვეტილში არ ჩნდება. მაგ.:

ვადნობ – დამიდნია – დავადნე, დაადნე, დაადნეს (დნება – დამდნარი)
ვალპობ – დამილპია – დავალპე, დაალპე, დაალპეს (ლპება – დამპალი)
ვაფრთხობ – დამიფრთხია – დავაფრთხე, დააფრთხე, დააფრთხეს (ფრთხება – დამფრთხალი)
ვაქრობ – ჩამიქრია – ჩავაქრე, ჩააქრე, ჩააქრეს (ქრება – ჩამქრალი)
ვაშრობ – გამიშრია – გავაშრე, გააშრე, გააშრეს (შრება – გამშრალი)
ვამკობ – შემიმკია – შევამკე, შეამკე, შეამკეს.

20. ვ იკარგება **-ევ**-დაბოლოებიანი (ხმოვანმონაცვლე) ზმნების II სერიის ფორმებში:

ამჩნევ-ს – შეამჩნ-იე-ა ⇒ შეამჩნია, შეამჩნიოს
ამტვრ-ევ-ს – დაამტვრ-იე-ა ⇒ დაამტვრია, დაამტვრიოს
წააქც-ევ-ს – წააქც-იე-ა ⇒ წააქცია, წააქციოს
მირბ-ევ-ს – დამირბ-იე-ა ⇒ დამირბია, დამირბიოს
ურწ-ევ-ს – დაურწ-იე-ა ⇒ დაურწია, დაურწიოს

21. ვ ჩაერთვის:

ა) **-ა** ან **-ე** ხმოვნით დაბოლოებული სახელისგან ნაწარმოებ ზმნებს ყველა მწკრივში, გარდა II კავშირებითისა, თუ ბოლოკიდური **ა** და **ე** არ მოეკვეცება (იხ. ნორმები, გვ. 21). მაგ.:

ბინა – აბინა-**ვ**-ებს, დააბინა-**ვ**-ა, დააბინა-**ვ**-ოს ⇒ დააბინაოს
ლაქა – ალაქა-**ვ**-ებს, დაალაქა-**ვ**-ა, დაალაქა-**ვ**-ოს ⇒ დაალაქაოს
ხურდა – ახურდა-**ვ**-ებს, დაახურდა-**ვ**-ა, დაახურდა-**ვ**-ოს ⇒ დაახურდაოს
ბრმა – აბრმა-**ვ**-ებს, დააბრმა-**ვ**-ა, დააბრმა-**ვ**-ოს ⇒ დააბრმაოს
პატარა – აპატარა-**ვ**-ებს, დააპატარა-**ვ**-ა, დააპატარა-**ვ**-ოს ⇒ დააპატარაოს
ღრმა – აღრმა-**ვ**-ებს, გააღრმა-**ვ**-ა, გააღრმა-**ვ**-ოს ⇒ გაარღმაოს
სხვა – ასხვა-**ვ**-ებს, განასხვა-**ვ**-ა, განასხვა-**ვ**-ოს ⇒ განასხვაოს;

ასევე:

აბურთა-**ვ**-ებს, აბურთა-**ვ**-ა, აბურთა-**ვ**-ოს ⇒ აბურთაოს
აცურა-**ვ**-ებს, აცურა-**ვ**-ა, აცურა-**ვ**-ოს ⇒ აცურაოს
აჭიდა-**ვ**-ებს, აჭიდა-**ვ**-ა, აჭიდა-**ვ**-ოს ⇒ აჭიდაოს;

ასევე:

მზე – ამზე-**ვ**-ებს, გაამზე-**ვ**-ა, გაამზე-**ვ**-ოს ⇒ გაამზეოს
ხე – ახე-**ვ**-ებს, გაახე-**ვ**-ა, გაახე-**ვ**-ოს ⇒ გაახეოს
მხნე – ამხნე-**ვ**-ებს, გაამხნე-**ვ**-ა, გაამხნე-**ვ**-ოს ⇒ გაამხნეოს
ცალკე – აცალკე-**ვ**-ებს, დააცალკე-**ვ**-ა, დააცალკე-**ვ**-ოს ⇒ დააცალკეოს.

თუ ნასახელარ ზმნას წარმოებისას ბოლოკიდური **-ა** ან **-ე** მოეკვეცება, მას **ვ** არ ჩაერთვის.

დედა – ადედ-ებს; მონა – იმონ-ებს, მაგრამ: იმონა-**ვ**-ებს, დაიმონა-**ვ**-ა, დაიმონაოს.
მლაშე – ამლაშ-ებს; მწარე – ამწარ-ებს, მაგრამ: მორიგე – ამორიგე-**ვ**-ებს, ამორიგე-**ვ**-ა, ამორიგეოს.

ბ) **ო**-თი დაბოლოებული სახელისგან წარმოქმნილ ზმნურ ფორმებს წყვეტილში (სხვა მწკრივებში არ ჩნდება, არც სახელზმნებში). მაგ.: ბოლო – აბოლოებს, აბოლოებდა, აბოლოებდეს, დააბოლოებს, დააბოლოებდა, დააბოლოებდეს, **დააბოლოვა**, დააბოლოოს, დაუბოლოებია, დაებოლოებინა, დაებოლოებინოს; დაბოლოება, დაბოლოებული (იხ. ნორმები, გვ. 22).

ასევე:

დააუთო-**ვ**-ა, დააუთო-~~ვ~~-ოს ⇒ დააუთოოს [და არა დააუთაოს]
მოაოქრო-**ვ**-ა, მოაოქრო-~~ვ~~-ოს ⇒ მოაოქროოს
ასაზრდო-**ვ**-ა, ასაზრდო-~~ვ~~-ოს ⇒ ასაზრდოოს
დააჯილდო-**ვ**-ა, დააჯილდო-~~ვ~~-ოს ⇒ დააჯილდოოს
დააციწრო-**ვ**-ა, დააციწრო-~~ვ~~-ოს ⇒ დააციწროოს
გააუბრალო-**ვ**-ა, გააუბრალო-~~ვ~~-ოს ⇒ გააუბრალოოს
გააფართო-**ვ**-ა, გააფართო-~~ვ~~-ოს ⇒ გააფართოოს
დააახლო-**ვ**-ა, დააახლო-~~ვ~~-ოს ⇒ დააახლოოს
შეამჭიდრო-**ვ**-ა, შეამჭიდრო-~~ვ~~-ოს ⇒ შეამჭიდროოს.

უ-თი დაბოლოებულ ფუძეთაგან ნაწარმოებ ზმნებს **ვ** არცერთ მწკრივში არ ჩაერთვის: აყრუებს, დააყრუა; აბრუებს – გააბრუა; აბიაბრუებს, გააბიაბრუა; დაყრუება, დაყრუებული (იქვე).

შეადარეთ ვნებითი: ახლოვდება, ეიწროვდება, ყრუვდება, ბრუვდება.

გ) ე. წ. საშუალი გვარის ზმნებისგან ნაწარმოებ რამდენიმე ზმნას: სურს – ისურ-**ვ**-ებს, ჭირს – აჭირ-**ვ**-ებს (თუმცა შესაძლოა, **ვ** **ავ** თემის ნიშნის ნაშთი იყოს).

§ 72. პარონიმები

ამცნობს, აცნობებს – ცნობს;
ამცნობს, აცნობებს – აგებინებს, ატყობინებს; „კაჭკაჭმა შორიდანვე **ამცნო** თავისი მოსვლა ხმაურობით“ (ვაჟაფშაველა); დადგენილების შესახებ თავმჯდომარე **აცნობებს** გიორგის;
აცნობს – 1. უცნობ ვინმეს ნაცნობად ხდის (გიორგი თავის მეგობარს დედას **აცნობს**); 2. უცნობ ვითარებაში გაარკვევს ვინმეს (სკოლის ახალ დირექტორს კლასის ხელმძღვანელი მოსწავლეთა წარმატებას **აცნობს**).

ამხელს – ამხილებს – ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: სააშკარაოზე გამოჰყავს (ან გამოაქვს) და კიცხავს ვინმეს რაიმე ურიგობისათვის..., მაგრამ **ამხელს** ზმნას სხვა მნიშნელობებიც აქვს: 1. ავლენს, ამჟღავნებს: „თქვენივე სახე **ამხელს** თქვენს საიდუმლოს“ (ი. მაჩაბ. თარგმ.): 2. გააცხადებს, ამბობს: „არც გვარს **ამხელენ**, არც სახელს“ (აკაკი).

აპატიებს – ჩადენილი დანაშაულისათვის (ცოდვისათვის) არ დასჯის; მიუტევებს, შეუნდობს;
აპატივებს – პატივს, სასუქს აყრის, ანოყიერებს, აპოხიერებს მიწას.

გააგრძელებს – განაგრძობს – ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: დაუბრუნდება შეწყვეტილ საქმეს; განაახლებს (მგზავრმა შეისვენა და ისევ **გააგრძელა/განაგრძო** გზა), მაგრამ **გააგრძელებს** ზმნას სხვა მნიშვნელობებიც აქვს:
1. სიგრძეს მოუმატებს (**ხაზი გააგრძელა**);
2. დაწყებულ მოქმედებას შეწყვეტის გარეშე გაახანგრძლივებს: პატარა ლუკამ, ვითომ ვერ გაიგო დედის დაძახება, ისე **გააგრძელა** თამაში.

გადაწერს – გადაწერს წერილს.
გადასწერს – გადასწერს ჯვარს.

დააბერტყავს – ბერტყვით ზედ დააყრის; შეადარეთ: კალთას **დააბერტყავს** (= ყოველგვარ სიკეთეს უხვად, ბლომად მისცემს, მიანიჭებს);

დააბერტყებს – **საუბ.** მოიქნევს და დააგდებს, დაახეთქებს: „ჩოხა გულმოსულმა **დააბერტყა** იატაკს“ (დ. კლდ.).

დააცხებს (დააცხო; დაუცხია) – ზედ წაუსვამს, ზედ წასცხებს;
დააცხობს (დააცხო; დაუცხვია) – გამოაცხობს ბევრს.

დადებს – დადებს წიგნს:
დასდებს – დასდებს პატივს.

დაუწყია – დაუწყია მუშაობა,
დაუწყვია – დაუწყვია წიგნები.

ეძებს – 1. ცდილობს იპოვოს, მონახოს; 2. ცდილობს მიაღწიოს;
იძიებს – გამოძიებას აწარმოებს; იკვლევს; შეადარეთ: შურს იძიებს: სამაგიეროს გადაუხდის.

ინანებს (ინანა; უნანია) – სანანებელი გაუხდება; თავისი საქციელით უკმაყოფილო იქნება, ნაწყენი დარჩება;
ინანიებს (მოინანია: მოუნანიებია) – სინანულს გრძნობს და გამოსწორებას ცდილობს (**ინანიებს** ცოდვებს).

იწამლავს – საწამლავით იკლავს თავს;
იწამლებს – წამლებს მიიღებს, იმკურნალებს.

იხსენებს – იხსენებს წარსულს;
იხსენიებს – იხსენიებს მეგობარს/წინაპრის სახელს.

კაზმავს – 1. ამკობს, რთავს; 2. ამზადებს სამგზავროდ ცხენს;
კმაზავს – სანელებლებს უკეთებს საჭმელს.

უთხოვია (სთხოვს; სთხოვა) – უთხოვია თვითონ;
უთხოვებია (ათხოვებს; ათხოვა) – უთხოვებია სხვისთვის.

ურწყავს – ურწყავს ბაღს/ბოსტანს;
უწყავს – უწყავს ღვინოს/რძეს.

უსწავლია (ისწავლის; ისწავლა) – უსწავლია თვითონ;
უსწავლებია (ასწავლის; ასწავლა) – უსწავლებია ბავშვისათვის.

უქადის – ჰპირდება, აღუთქვამს;
უქადაგებს – ქადაგებს მისთვის, ურჩევს.

სჩადის – შვრება, აკეთებს: „რას **სჩადით**! – შემოუძახა...“ (ვაჟა);
ჩადის – ზემოდან ქვემოთ მიდის (კიბეზე **ჩადის**).

ჩასძრობია – ჩასძრობია შარვალი;
ჩასძრომია – ჩასძრომია სულში.

ჩაუცვამს (ჩაიცვამს; ჩაიცვა) – ჩაუცვამს თვითონ;
ჩაუცმევია (ჩააცმევს; ჩააცვა) – ჩაუცმევია ბავშვისთვის.

წაამატებს – დაუმატებს;
წაამეტებს – გადაამეტებს.

წამოიძღვანებს – თან წამოიღებს, წამოიყოლებს;
წამოიძღოლებს – წამოიმძღვარებს წინ; გამოიძღოლებს.

წყვეტს – წყვეტს საკითხს;
სწყვეტს – სწყვეტს გულს მეგობარს.

ჭამს – ჭამს პურს;
სჭამს – ჭირს მოსჭამს (იხ. ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი).

დანართი № 49

მოქმედებითი გვარის ზმნის უღლება

I სერია
აწმყოს წრე

მწკრივის დასახელება	კითხვა	მწკრივის ფორმა	სავრცობი და მწკრივის ნიშანი	დრო და კილო
1. აწმყო	რას ვშვრები? რას შვრები? რას შვრება? რას ვშვრებით? რას შვრებით? რას შვრებიან	ვალაგებ ალაგებ ალაგებს ვალაგებთ ალაგებთ ალაგებენ	Ø Ø (იშვიათად - ი, იხ. გვ. 390 - 393)	დრო – ახლანდელი (ან მუდმივი) კილო – თხრობითი (ნუ ნაწილაკის დართვისას – ბრძანებითი)

მაგ.: ახლა ვალაგებ. საერთოდ შენ ალაგებ? ის არ ალაგებს. ვალაგებ ხოლმე. თურმე ის ალაგებს. ის სხვას ალაგებინებს. შეიძლება/შესაძლოა/იქნებ/ეგებ/ალბათ ის ალაგებს. ნეტავ ვინ ალაგებს? ნუ ალაგებ! ნუ ალაგებს! ის რომ ალაგებს, მეც ვეხმარები.

2. უწყვეტელი	რას ვშვრებოდი?	ვალაგებდი	დ; ი	დრო – წარ-
	რას შვრებოდი?	ალაგებდი	(იკარგება	სული, კილო
	რას შვრებოდა?	ალაგებდა	III პირის	– თხრობითი
	რას ვშვრებოდით?	ვალაგებდით	ნიშნის	
	რას შვრებოდით?	ალაგებდით	დართვის	
	რას შვრებოდნენ?	ალაგებდნენ	გამო)	

მაგ.: გუშინ ვალაგებდი. ვალაგებდი ხოლმე. შენ ალაგებდი. თურმე ის ალაგებდა. ის ზოგჯერ სხვას ალაგებინებდა. შეიძლება/შესაძლოა/იქნებ/ეგებ/ალბათ ის ალაგებდა. ნეტავ ვინ ალაგებდა? სტუმრები მაშინ მოვიდნენ, სახლს რომ ვალაგებდი. თუ სახლს არ ვალაგებდი, წიგნს ვკითხულობდი. შენ რომ ალაგებდი, ის ურეკდა.

3. აწმყოს კავშირებითი	რას ვშვრებოდე?	ვალაგებდე	დ; ე	დრო – ახლან-
	რას შვრებოდე?	ალაგებდე		დელი, კილო
	რას შვრებოდეს?	ალაგებდეს		– კავშირებითი
	რას ვშვრებოდეთ?	ვალაგებდეთ		
	რას შვრებოდეთ?	ალაგებდეთ		
	რას შვრებოდნენ?	ალაგებდნენ		

მაგ.: ამ ოთახს, წესით, შენ უნდა ალაგებდე. მთელ სახლს მე რატომ უნდა ვალაგებდე? დღეს თურმე ის უნდა ალაგებდეს. დღეს ეგ არ უნდა ალაგებდეს? ნეტავ ყოველთვის ეგ ალაგებდეს ხოლმე. ნუთუ არ შეიძლება ეგ არ ალაგებდეს? შესაძლოა ეგ ალაგებდეს. შესაძლოა, (რომ) ოთახებსაც და ეზოსაც ეგ ალაგებდეს. მინდა მე ვალაგებდე. მინდა, (რომ) მხოლოდ კვირაში ერთხელ ვალაგებდე. სასურველია/კარგი იქნება, სახლსაც და ეზოსაც შენ ალაგებდე. არა მგონია, ყველა ოთახს მარტო ეგ ალაგებდეს. მსახური დილით ადრე უნდა დგებოდეს, მტვერს წმენდდეს, ოთახებს ალაგებდეს. შენ რომ არ ალაგებდე, რა გვეშველებოდა! თუ ალაგებდეს, მიეხმარე. ისე ბრაზობს, თითქოს/გეგონება მარტო ეგ ალაგებდეს. თუნდაც სხვას ალაგებინებდეს, რა შენი საქმეა? კაცი რომ თავის ოთახს ალაგებდეს, შენ რატომ უნდა შეუშალო ხელი?! შესაძლოა, არ ალაგებდეს, მაგრამ სხვა მხრივ ეხმარებოდეს. ნეტავ ყოველთვის ეგ ალაგებდეს ხოლმე.

მყოფადის წრე

4. მყოფადი	რას ვი'ზამ? რას ი'ზამ? რას ი'ზამს? რას ვი'ზამთ? რას ი'ზამთ? რას ი'ზამენ?	დავალაგებ დაალაგებ დაალაგებს დავალაგებთ დაალაგებთ დაალაგებენ	Ø; Ø	დრო – მომავალი კილო – თხრობითი (**ნუ** ნაწილაკის დართვისას – ბრძანებითი)

მაგ.: ხვალ დავალაგებ. არ/ვერ დავალაგებ. ისევ მე დავალაგებ ხოლმე. თ'ურმე ისევ ის დაალაგებს. სხვას დავალაგებინებ. მაინც არ დავალაგებ. ნეტავ ვინ დაალაგებს? ალბათ ის დაალაგებს, ნ'უ დაალაგებ! ნ'უ დაალაგებს! თ'უ არ დაალაგებ, ნ'უ აურევ მაინც! ის თ'უ დაალაგებს, მეც მიეხმარები. სანამ დაალაგებ, გაანიავე!

შენიშვნა: მყოფადის ფორმით შეიძლება გამოიხატოს წარსულ'ში მომხდარი განმეორებ'ული მოქმედება. მაგ.: ოთახს დაალაგებს, გაანიავებს, ხალიჩებს გაამზეურებს და საწერ მაგიდას უბრუნდება.

5. ხოლმე ობითი	რას ვი'ზამდი? რას ი'ზამდი? რას ი'ზამდა? რას ვი'ზამდით? რას ი'ზამდით? რას ი'ზამდნენ?	დავალაგებდი დაალაგებდი დაალაგებდა დავალაგებდით დაალაგებდით დაალაგებდნენ	დ; ი	დრო – წარსული, კილო – თხრობითი

მაგ.: ხანდახან თავის ოთახს თ'უ დაალაგებდა (იგ'ულისხმება „ხოლმე"). ალბათ უკვე დაალაგებდა. მარტო როგორ დაალაგებდა? ნეტავ თ'უ დაალაგებდნენ? თ'უ მთხოვდა, დავალაგებდი. თ'უ არ შეეძლო, ნ'უ დაალაგებდა. მე რომ არ დამეშალა, თ'ურმე მთელ სახლს დაალაგებდა. ეგონა, რომ შენ დაალაგებდი. მართლა ავად რომ ყოფილიყო, თვითონ დაალაგებდა? თ'უ დაალაგებდა, საჩ'უქარს მიიღებდა.

6. მყოფადის კავშირებითი	რას ვი'ზამდე? რას ი'ზამდე? რას ი'ზამდეს? რას ვი'ზამდეთ? რას ი'ზამდეთ? რას ი'ზამდნენ?	დავალაგებდე დაალაგებდე დაალაგებდეს დავალაგებდეთ დაალაგებდეთ დაალაგებდნენ	დ; ე	დრო – მომავალი, კილო – კავშირებითი

მაგ.: დღეს ნეტავ ის დაალაგებდეს! ნეტავ დაალაგებდე ხოლმე, რომ სხვებმაც მოგბაძონ! ავეჯი გადავაადგილოთ, სანამ სახლს დაალაგებდე. თავის ოთახს რომ დაალაგებდეს, ესეც საკმარისი იქნება. კარგი იქნება/სასურველია, თავის ოთახს ყოველთვის თვითონ დაალაგებდეს. სანამ დაალაგებდეს, თურმე ნებართვა უნდა აიღოს.

II სერია

7. **წყვეტილი**	რა ვქენი? რა ქენი? რა ქნა? რა ვქენით? რა ქენით? რა ქნეს?	(და)ვალაგე (და)ალაგე (და)ალაგა (და)ვალაგეთ (და)ალაგეთ (და)ალაგეს	Ø; ე, ი, Ø (ან ნართაული ი)	დრო – წარსული (წართქმით ბრძანებითთან – მომავალი), კილო – თხრობითი ან ბრძანებითი

მაგ.: ვალაგე, ვალაგე და ძლივს დავალაგე. ისევ შენ დაალაგე ხოლმე. არ/ვერ დაალაგე? მან უკვე დაალაგა. თურმე მან დაალაგა. ისევ იმას დავალაგებინე. მგონი/შეიძლება/ შესაძლოა/იქნებ/ეგებ/ალბათ მან დაალაგა. ახლავე დაალაგე! ბარემ დაალაგე! დაალაგე, რა! აბა, დაალაგეთ! თითქმის დაალაგა. ვითომ/თითქოს დაალაგა. კინაღამ მაგან დაალაგა. ნეტავ ვინ დაალაგა? გინდ დაალაგე, გინდ არა! ადგა და დაალაგა. ნუთუ/განა მან დაალაგა? ეფიქრობ/ვეჭვობ/ვგონებ/ჩანს/ეტყობა, მაგან დაალაგა. დავუშვათ/ვთქვათ, მაგან დაალაგა. სტუმრები წავიდნენ თუ არა, სახლი მაშინვე დავალაგეთ.

8. **II კავშირებითი**	რა ვქნა? რა ქნა? რა ქნას? რა ვქნათ? რა ქნათ? რა ქნან?	(და)ვალაგო (და)ალაგო (და)ალაგოს (და)ვალაგოთ (და)ალაგოთ (და)ალაგონ	Ø; ო, ე, ა	დრო – მომავალი, კილო – კავშირებითი (იშვიათად – ბრძანებითი)

მაგ.: შეიძლება/შესაძლოა დაალაგოს. არ შეუძლია დაალაგოს. არ შეუძლია არ დაალაგოს. შეიძლება მე დავალაგო? შეგიძლია დაალაგო. თურმე მარტო მე უნდა დავალაგო. ეგებ/იქნებ დაალაგოს. ნეტავ/დაე/ვინძლო მაგან დაალაგოს. ალბათ უნდა დაალაგოს. ბარემ მაგან დაალაგოს. არ შეუძლია დაალაგოს. მე უნდა დავალაგო. მინდა დავალაგო. მინდა, (რომ) ოთახიც და ეზოც დღესვე დავალაგო. არ დაალაგო! ვაითუ მარტომ დაალაგოს ხოლმე. ნეტავ ვის უნდა დაალაგებინოს? ცდილობს დაალაგოს. გადაწყვიტა დაალაგოს. არ

სურს დაალაგოს. მოდი ერთად დავალაგოთ! ადგეს და დაალაგოს! ახლავე დაალაგოს! არა, არ დაალაგოს! გთხოვ დაალაგო. ვეჭვობ/არა მგონია, მთელი სახლი მაგან დაალაგოს. დავუშვათ, დაალაგოს. თუ დაალაგოს, აღარ გაუწყრე. არ დავსჯი, ოღონდ დაალაგოს. გინდაც დაალაგოს, მაინც დავსჯი. რომ არ დაალაგო, რას გიზამენ? შენ რომ არ დაალაგო, სხვა დაალაგებს. მოდის/მოვიდა, რათა დაალაგოს. ეშინია, სხვამ არ დაალაგოს. გინდ ყოველდღე დაალაგოს, მაინც არ იღლება. გინდა არავინ დაალაგოს, მაინც არ შეემჩნევა.

III სერია (ინვერსიული)

9. I თურმეობითი	რა მიქნია?	(და)მილაგებია	Ø;	დრო –
	რა გიქნია?	(და)გილაგებია	-ი	წარსული,
	რა უქნია?	(და)ულაგებია	სტატიკური	კილო –
	რა გვიქნია?	(და)გვილაგებია	ზმნის ექ	თხრობითი
	რა გიქნიათ?	(და)გილაგებიათ	აფიქსის ნა-	
	რა უქნიათ?	(და)ულაგებიათ	შთია	

მაგ.: რამდენჯერ მარტოს დაულაგებია. რა კარგად დაულაგებია! ჯერ არ დამილაგებია (= არ მაქვს დალაგებული). სხვას დაულაგებია (იგულისხმება „თურმე“). აბა, არ დაგილაგებია! ეტყობა, მაგას დაულაგებია. ჩანს, სხვისთვის დაულაგებინებია, ქებაც დაუმსახურებია. ვხედავ, დაგილაგებია. თუ არ დაგილაგებია, ნახავ, რაც მოგივა.

შენიშვნა: თურმეობით ფორმა იშვიათად გამოიყენება ახლანდელი ან მომავალი დროის მნიშვნელობით: ლაშქრის შეყრა მიბრძანებია! თავში ქვა უხლია! აბა არ/ნუ დაულაგებია!

10. II თურმეობითი	რა მექნა?	(და)მელაგებინა	Ø; Ø	დრო – წარ-
	რა გექნა?	(და)გელაგებინა		სული, კილო
	რა ექნა?	(და)ელაგებინა		– თხრობითი
	რა გვექნა?	(და)გველაგებინა		ან
	რა გექნათ?	(და)გელაგებინათ		კავშირებითი
	რა ექნათ?	(და)ელაგებინათ		

მაგ.: დღეგამოშვებით მას უნდა დაელაგებინა ხოლმე. თითქოს მას უნდა დაელაგებინა. უკვე დაელაგებინათ (იგულისხმება „თურმე“). ეგებ/იქნებ დაგელაგებინა. თითქოს მას უნდა დაელაგებინა. ალბათ უნდა დაელაგებინა. შეიძლება/ შეეძლო/შეიძლებოდა დაელაგებინა. შემეძლო, არ დამელაგებინა. არ შეეძლო, არ დაელაგებინა. როგორ

უნდა დაელაგებინა მარტოს? უნდოდა/სურდა დაელაგებინა. უნდოდა/სურდა, (რომ) ოთახიც და ეზოც თვითონ დაელაგებინა. აბა არ დაელაგებინა! სთხოვა დაელაგებინა. გადაწყვიტა/ცდილობდა დაელაგებინა. ეტყობა, მაგას უნდა დაელაგებინა. თუ კარგი ამინდი გამოვიდოდა, ეზოც მას უნდა დაელაგებინა. ნახა, რომ სხვას დაელაგებინა. დროზე რომ დაელაგებინა, კინოში წასვლასაც მოასწრებდა. მიეიდა, რათა დაელაგებინა. ოღონდაც დაელაგებინა, ჩვენც დაეხმარებოდით. რომ დაელაგებინა, რას ეტყოდი?

II. III **კავშირებითი**	რა მექნას?	(და)მელაგებინოს	Ø; ო, დრო – წარ-
	რა გექნას?	(და)გელაგებინოს	ა, ე სული
	რა ექნას?	(და)ელაგებინოს	ან მომავ.,
	რა გვექნას?	(და)გველაგებინოს	კილო –
	რა გექნათ?	(და)გელაგებინოთ	კავშირებითი
	რა ექნათ?	(და)ელაგებინოთ	

მაგ.: დაე ყოველთვის ასე ლამაზად დაელაგებინოს. ღმერთმა ქნას, რომ მასაც ასე სწრაფად დაელაგებინოს. თავი ისე გიჭირავს, თითქოს/ვითომ მთელი სახლი შენ დაგელაგებინოს. ყველაფერი ბრწყინავს, თითქოს ახლახან დაელაგებინოთ (= თითქოს ახლახან დაულაგებიათო). ისეთი დღე არ ყოფილა, ეზო არ დამელაგებინოს. არ მახსოვს, სხვას ასე ლამაზად დაელაგებინოს. ვის გაუგია, კაცს სახლი დაელაგებინოს და მტვერი არ გადაეწმინდოს. ვუსურვებ, ყოველთვის მას დაელაგებინოს.

დანართი № 50

მოქმედებითი გვარის ზმნების უღლება

I სერია

აწმყოს წრე

ორპირიანი

1.	ვრეცხავ	რეცხავ	რეცხავს
	ვრეცხავთ	რეცხავთ	რეცხავენ
2.	ვრეცხავდი	რეცხავდი	რეცხავდა
	ვრეცხავდით	რეცხავდით	რეცხავდნენ
3.	ვრეცხავდე	რეცხავდე	რეცხავდეს
	ვრეცხავდეთ	რეცხავდეთ	რეცხავდნენ

მყოფადის წრე

4.	გავრეცხავ	გარეცხავ	გარეცხავს
	გავრეცხავთ	გარეცხავთ	გარეცხავენ
5.	გავრეცხავდი	გარეცხავდი	გარეცხავდა
	გავრეცხავდით	გარეცხავდით	გარეცხავდნენ
6.	გავრეცხავდე	გარეცხავდე	გარეცხავდეს
	გავრეცხავდეთ	გარეცხავდეთ	გარეცხავდნენ

II სერია

7.	(გა)ვრეცხე	(გა)რეცხე	(გა)რეცხა
	(გა)ვრეცხეთ	(გა)რეცხეთ	(გა)რეცხეს
8.	(გა)ვრეცხო	(გა)რეცხო	(გა)რეცხოს
	(გა)ვრეცხოთ	(გა)რეცხოთ	(გა)რეცხონ

III სერია

9.	(გა)მირეცხავს	(გა)გირეცხავს	(გა)ურეცხავს
	(გა)გვირეცხავს	(გა)გირეცხავთ	(გა)ურეცხავთ
10.	(გა)მრეცხა	(გა)გრეცხა	(გა)ერეცხა
	(გა)გვრეცხა	(გა)გრეცხათ	(გა)ერეცხათ
11.	(გა)მრეცხოს	(გა)გრეცხოს	(გა)ერეცხოს
	(გა)გვრეცხოს	(გა)გრეცხოთ	(გა)ერეცხოთ

სამპირიანი

1.	ვ\'ირავ	ს\'ირავ	ს\'ირავს
	ვ\'ირავთ	ს\'ირავთ	ს\'ირავენ

2.	ვწირავდი	სწირავდი	სწირავდა
	ვწირავდით	სწირავდით	სწირავდნენ
3.	ვწირავდე	სწირავდე	სწირავდეს
	ვწირავდეთ	სწირავდეთ	სწირავდნენ

მყოფადის წრე

4.	შევწირავ	შესწირავ	შესწირავს
	შევწირავთ	შესწირავთ	შესწირავენ
5.	შევწირავდი	შესწირავდი	შესწირავდა
	შევწირავდით	შესწირავდით	შესწირავდნენ
6.	შევწირავდე	შესწირავდე	შესწირავდეს
	შევწირავდეთ	შესწირავდეთ	შესწირავდნენ

II სერია

7.	(შე)ვწირე	(შე)სწირე	(შე)სწირა
	(შე)ვწირეთ	(შე)სწირეთ	(შე)სწირეს
8.	(შე)ვწირო	(შე)სწირო	(შე)სწიროს
	(შე)ვწიროთ	(შე)სწიროთ	(შე)სწირონ

III სერია

9.	(შე)მიწირავს	(შე)გიწირავს	(შე)უწირავს
	(შე)გვიწირავს	(შე)გიწირავთ	(შე)უწირავთ
10.	(შე)მეწირა	(შე)გეწირა	(შე)ეწირა
	(შე)გვეწირა	(შე)გეწირათ	(შე)ეწირათ
11.	(შე)მეწიროს	(შე)გეწიროს	(შე)ეწიროს
	(შე)გვეწიროს	(შე)გეწიროთ	(შე)ეწიროთ

დანართი № 51

მოძმედებითი გვარის ზმნების უღლება

ორპირიანი ზმნები

I სერია (ის მას)

აწმყოს წრე

1.	კვეთს	ბრეცს	ათევს	აცხელებს	ავლებს
2.	კვეთდა	ბრეცდა	ათევდა	აცხელებდა	ავლებდა
3.	კვეთდეს	ბრეცდეს	ათევდეს	აცხელებდეს	ავლებდეს

მყოფადის წრე

4.	გაკვეთს	დაბრეცს	გაათევს	გააცხელებს	გაავლებს
5.	გაკვეთდა	დაბრეცდა	გაათევდა	გააცხელებდა	გაავლებდა
6.	გაკვეთდეს	დაბრეცდეს	გაათევდეს	გააცხელებდეს	გაავლებდეს

II სერია (მან ის)

7.	(გა)კვეთა	(და)ბრიცა	(გა)ათია	(გა)აცხელა	(გა)აელო
8.	(გა)კვეთოს	(და)ბრიცოს	(გა)ათიოს	(გა)აცხელოს	(გა)აელოს

III სერია (მას ის)

9.	(გა)უკვეთია	(და)უბრეცია	(გა)უთევია	(გა)უცხელებია	(გა)უელია
10.	(გა)ეკვეთა	(და)ებრიცა	(გა)ეთია	(გა)ეცხელებინა	(გა)ეელო
11.	(გა)ეკვეთოს	(და)ებრიცოს	(გა)ეთიოს	(გა)ეცხელებინოს	(გა)ეელოს

შენიშვნა 1: III სერიაში **-ებ** თემატური ნიშანი არ გადაჰყვებათ იმ ზმნებს, რომელთაც უმარცვლო ძირი აქვთ. მაგ.: ა-ქ-ებს, ა-გ-ებს, დ-ებს, ა-გდ-ებს, ა-ღ-ებს, ა-ცხ-ებს, ა-წ-ებ-ს, არგ-ებს; აგრეთვე ფუძეკუმშვად ზმნებს, როგორიცაა: აკლებს, ასწრებს, აღაგზნებს.

შენიშვნა 2: ფუძედრეკად ზმნებს (**ბრეცს, ათევს**) ფუძისეული ხმოვანი ეცვლებათ ე/ი II სერიაში და III სერიის ორ მწკრივში.

I სერია (ის მას)

აწმყოს წრე

1.	ლესავს	აშრობს	შოულობს	აღიქვამს	წვრთნის
	ლესავენ	აშრობენ	შოულობენ	აღიქვამენ	წვრთნიან
2.	ლესავდა	აშრობდა	შოულობდა	აღიქვამდა	წვრთნიდა
	ლესავდნენ	აშრობდნენ	შოულობ-დნენ	აღიქვამდნენ	წვრთნიდნენ
3.	ლესავდეს	აშრობდეს	შოულობდეს	აღიქვამდეს	წვრთნიდეს
	ლესავდნენ	აშრობდნენ	შოულობ-დნენ	აღიქვამდნენ	წვრთნიდნენ

მყოფადის წრე

4.	გალესავს	გააშრობს	იშოვის	აღიქვამს	გაწვრთნის
	გალესავენ	გააშრობენ	იშოვიან	აღიქვამენ	გაწვრთნიან
5.	გალესავდა	გააშრობდა	იშოვიდა	აღიქვამდა	გაწვრთნიდა
	გალესავდნენ	გააშრობდნენ	იშოვიდნენ	აღიქვამდნენ	გაწვრთნიდნენ
6.	გალესავდეს	გააშრობდეს	იშოვიდეს	აღიქვამდეს	გაწვრთნიდეს
	გალესავდნენ	გააშრობდნენ	იშოვიდნენ	აღიქვამდნენ	გაწვრთნიდნენ

II სერია (მან ის)

7.	(გა)ლესა	(გა)აშრო	იშოვა	აღიქვა	(გა)წვრთნა
	(გა)ლესეს	(გა)აშრეს	იშოვეს	აღიქვეს	(გა)წვრთნეს
8.	(გა)ლესოს	(გა)აშროს	იშოვოს	აღიქვას	(გა)წვრთნას
	(გა)ლესონ	(გა)აშრონ	იშოვონ	აღიქვან	(გა)წვრთნან

III სერია (მას ის)

9.	(გა)ულესავს	(გა)უშრია	უშოვია	აღუქვამს	(გა)უწვრთნია
	(გა)ულესავთ	(გა)უშრიათ	უშოვიათ	აღუქვამთ	(გა)უწვრთ-ნიათ
10.	(გა)ელესა	(გა)ეშრო	ეშოვა	აღექვა	(გა)ეწვრთნა
	(გა)ელესათ	(გა)ეშროთ	ეშოვათ	აღექვათ	(გა)ეწვრთნათ
11.	(გა)ელესოს	(გა)ეშროს	ეშოვოს	აღექვას	(გა)ეწვრთნას
	(გა)ელესოთ	(გა)ეშროთ	ეშოვოთ	აღექვათ	(გა)ეწვრთნათ

დანართი № 52

მოქმედებითი გვარის ზმნების უღლება

საარვისო (ნეიტრალური) ქცევა	სათავისო (სასუბიექტო) ქცევა	სასხვისო (საობიექტო) ქცევა

I სერია

აწმყოს წრე

	ის მას		ის მას		ის მას მას	
1.	ასხამს	აქებს	ისხამს	იქებს	უსხამს	უქებს
2.	ასხამდა	აქებდა	ისხამდა	იქებდა	უსხამდა	უქებდა
3.	ასხამდეს	აქებდეს	ისხამდეს	იქებდეს	უსხამდეს	უქებდეს

მყოფადის წრე

4.	დაასხამს	შეაქებს	დაისხამს	შეიქებს	დაუსხამს	შეუქებს
5.	დაასხამდა	შეაქებდა	დაისხამდა	შეიქებდა	დაუსხამდა	შეუქებდა
6.	დაასხამდეს	შეაქებდეს	დაისხამდეს	შეიქებდა	დაუსხამდეს	შეუქებდეს

II სერია

	მან ის		მან ის		მან მას ის	
7.	(და)ასხა	(შე)აქო	(და)ისხა	(შე)იქო	(და)უსხა	(შე)უქო
8.	(და)ასხას	(შე)აქოს	(და)ისხას	(შე)იქოს	(და)უსხას	(შე)უქოს

III სერია (ინვერსიული)

	მას ის		მას ის		მას ის	
9.	(და)უსხამს	(შე)უქია	(და)უსხამს	(შე)უქია	(და)უსხამს	(შე)უქია
10.	(და)ესხა	(შე)ექო	(და)ესხა	(შე)ექო	(და)ესხა	(შე)ექო
11.	(და)ესხას	(შე)ექოს	(და)ესხას	(შე)ექოს	(და)ესხას	(შე)ექოს

შენიშვნა: III სერიაში მოქმედებითი გვარის ზმნებს ქცევის გაგება არა აქვთ საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო. კუთვნილება-დანიშნულება გადმოიცემა მხოლოდ აღწერითად (შესიტყვებით): დაუსხამს თავისთვის, დაუსხამს სხვისთვის, შეუქია თავი, შეუქია სხვისთვის.

დანართი № 53

გარდამავალი რთული ზმნების უღლება

	სუბიექტური წყობა		ობიექტური წყობა	

I სერია

აწმყოს წრე

1.	უარ-ვ-ყოფ	უკუ-ვ-ავდებ	უარ-მყოფ-ს	უკუ-მ-აგდებ-ს
	უარ-ყოფ	უკუ-აგდებ	უარ-გ-ყოფ-ს	უკუ-გ-აგდებ-ს
	უარ-ყოფ-ს	უკუ-აგდებ-ს	უარ-ყოფ-ს	უკუ-აგდებ-ს
2.	უარ-ვ-ყოფდი	უკუ-ვ-აგდებდი	უარ-მ-ყოფდ-ა	უკუ-მ-აგდებდ-ა
	უარ-ყოფდი	უკუ-აგდებდი	უარ-გ-ყოფდ-ა	უკუ-გ-აგდებ-ა
	უარ-ყოფდა	უკუ-აგდებდ-ა	უარ-ყოფდ-ა	უკუ-აგდებდ-ა
3.	უარ-ვ-ყოფდე	უკუ-ვ-აგდებდე	უარ-მ-ყოფდე-ს	უკუ-მ-აგდებდე-ს
	უარ-ყოფდე	უკუ-აგდებდე	უარ-გ-ყოფდე-ს	უკუ-გ-აგდებდე-ს
	უარ-ყოფდე-ს	უკუ-აგდებდე-ს	უარ-ყოფდე-ს	უკუ-აგდებდე-ს

მყოფადის წრე (მწკრიევები № 4, 5, 6) იყენებს აწმყოს წრის ფორმებს.

II სერია

7.	უარ-ვ-ყავი	უკუ-ვ-აგდე	უარ-მ-ყ-ო	უკუ-მ-აგდ-ო
	უარ-ყავი	უკუ-აგდე	უარ-გ-ყ-ო	უკუ-გ-აგდ-ო
	უარ-ყ-ო	უკუ-აგდ-ო	უარ-ყ-ო	უკუ-აგდ-ო
8.	უარ-ვ-ყო	უკუ-ვ-აგდო	უარ-მ-ყო-ს	უკუ-მ-აგდო-ს
	უარ-ყო	უკუ-აგდო	უარ-გ-ყო-ს	უკუ-გ-აგდო-ს
	უარ-ყო-ს	უკუ-აგდო-ს	უარ-ყო-ს	უკუ-აგდო-ს

III სერია (ინვერსიული)

9.	უარ-მ-იყვი-ა	უკუ-მ-იგდი-ა	უარ-ვ-უყვივარ	უკუ-ვ-უგდივარ
	უარ-გ-იყვი-ა	უკუ-გ-იგდი-ა	უარ-უყვიხარ	უკუ-უგდიხარ
	უარ-უყვი-ა	უკუ-უგდი-ა	უარ-უყვი-ა	უკუ-უგდი-ა
10.	უარ-მ-ეყ-ო	უკუ-მ-ეგდ-ო	უარ-ვ-ეყავი	უკუ-ვ-ეგდე
	უარ-გ-ეყო	უკუ-გ-ეგდ-ო	უარ-ეყავი	უკუ-ეგდე
	უარ-ეყ-ო	უკუ-ეგდო	უარ-ეყ-ო	უკუ-ეგდ-ო
11.	უარ-მ-ეყო-ს	უკუ-მ-ეგდო-ს	უარ-ვ-ეყო	უკუ-ვ-ეგდო
	უარ-გ-ეყო-ს	უკუ-გ-ეგდო-ს	უარ-ეყო	უკუ-ეგდო
	უარ-ეყო-ს	უკუ-ეგდო-ს	უარ-ეყო-ს	უკუ-ეგდო-ს

ვნებითი გვარი

ვნებითი გვარისაა გარდაუვალი ზმნა, რომლის ზოგადი ყალიბია **[ზმნური ფუძე] – თემის ნიშანი – ი** (ვიხატები, იხატები, იხატება – ძვ. იხატების) ან **[ზმნური ფუძე] – ი – ვარ/ხარ/-ა** (ვხატივარ, ხატიხარ, ხატია). მისი კონსტრუქცია უცვლელია: სამივე სერიაში შეეწყობა ბრუნვაუცვლელი სუბიექტი და ობიექტი (ეგება ის მას, დაეგო ის მას, დაჰგებია ის მას, უგია ის მას, ეგო ის მას, ჰგებია ის მას).

ტრადიციული განმარტების მიხედვით კი ვნებითი გვარისაა ზმნის ფორმა, რომელიც გამოხატავს გრამატიკული სუბიექტის მიერ განცდილ მოქმედებას. „აქ მოქმედება „ემართება“ ანუ „მოსდის“ პირს, რომელიც **განიცდის ვნებას**, თუმცა კი ზმნის ფორმიდან არა ჩანს, თუ ვისგან არ რისგან“[246]. მაგ.: ინგრევა, ილახება, ირითმება, ეხაზება, ეპობა, მოგერიებულ იქნა.

მაგრამ ქართულში, ევროპული ენებისაგან განსხვავებით, არის ისეთი ვნებითებიც, რომელთა სუბიექტური პირი აშკარად აქტიურია, მოქმედი, და არა მოქმედების განმცდელი. მათი სუბიექტი სულიერია ან მეტაფორულად მასთან გათანაბრებული. მაგ.: აცხრება, გადაიკარგება, ემზადება, ექაჩება, ეყრდნობა, ეხსუბება, უწყრება. ამას გარდა, ერთი და იგივე ფორმა ერთ შემთხვევაში შეიძლება გამოხატავდეს აქტიურ მოქმედებას (მაგ.: მაიმუნი იგრიხება), მეორე შემთხვევაში – პასიურს (მაგ.: თოკი ადვილად იგრიხება).

ვნებითი გვარის ზმნების უმეტესობა მოქმედებითის მობრუნებული ფორმაა (ერთი გვარიდან მეორეში გადაყვანა არის ფორმის მობრუნება, ანუ **კონვერსია**). კონვერსიის დროს აქტივის სუბიექტური პირი იკარგება, პირდაპირობიექტური პირი კი ვნებითის გრამატიკული სუბიექტი ხდება. მაგ.:

S	მოქმ.	0 პირდ.		S	ვნებ.		
მხატვარი	ხატავს	ყვავილს.		ყვავილი	იხატება		
S	0 ირ.	0 პირდ.	მოქმ.	S	0 ირ.	ვნებ.	
მხატვარი	შვილს	ყვავილს	უხატავს.	ყვავილი	შვილს	ეხატება.	

[246] ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 282.

§ 73. დინამიკური ვნებითი

ვნებითი გვარი (შემოკლებით – პასივი) ორი სახისაა: დინამიკური და სტატიკური. დინამიკური გამოხატავს მოქმედების პროცესს (იფინება, ეწერება), სტატიკური – შედეგს (ფენია, უწერია). დინამიკური ვნებითი არის პრეფიქსიანი (ე. წ. **ი**ნიანი და **ე**ნიანი), სუფიქსიანი (ე. წ. **დ**ონიანი) და უნიშნო: **ი**-ლესება, **ე**-ლესება, ს'უსტ-**დ**-ება (უ-ს'უსტ-**დ**-ება), ქრება (უ-ქრება).

> **შენიშვნა**: სხვა თვალსაზრისით, **ე**- და **უ**- ირიბი ობიექტის სასიგნალო ნიშნებია, **ი**- – უკუქცევითობისა (უკუქცევითია იმ ზმნის ფორმა, რომლის სუბიექტი თავისივე მოქმედების ობიექტია, ანუ რომელსაც უბრუნდება თავისივე მოქმედება (ყვავილი იშლება) ან მოქმედების შედეგი (სადილს იმზადებს).

პრეფიქსიანი ვნებითი მოქმედებითი გვარის ზმნის კონვერსიული ფორმაა, რასაც ვერ ვიტყვით უნიშნო ფორმებზე. ე. წ. დონიანი ვნებითიც ალბათ ძირეულია.

აწმყოში დინამიკური ვნებითის ძირითადი ყალიბებია:

I. ი/ე – [ფუძე] – ები/ება: ვ-ი-ხატ-ები, ი-ხატ-ები, ი-ხატ-ება; მი-ე-მგზავრ-ება;

II. ა) Ø – [ფუძე] – დ – ები/ება: ლამაზ-დ-ები, პატარავ-დ-ება, ხევ-დ-ება;
ბ) ი/უ – [ფუძე] – დ – ები/ება: მ-ი-ლამაზ-დ-ება, გ-ი-ლამაზ-დ-ება, უ-ლამაზ-დ-ება;
გ) ა – [ფუძე] – დ – ები/ება: მი-ა-ჩერ-დ-ება, ა-მახსოვრ-დ-ება, ა-ვიწყ-დ-ება;

III. ა) Ø – [ფუძე] – ები/ება: ვ-თბ-ები, თბ-ები, თბ-ება;
ბ) ი/უ – [ფუძე] – ები/ება: მ-ი-თბ-ება, გ-ი-თბ-ება, უ-თბ-ება;
გ) ა – [ფუძე] – ები/ება: წა-ა-დგ-ება, ა-წყდ-ება.

§ 74. ვნებითი გვარის ზმნების მართლწერა

ვნებითი გვარის ზმნების გამოყენებას უკავშირდება მართლწერის არაერთი საკითხი.

1. ე. წ. პირველადი საწყისებისაგან ნაწარმოებ ბოლოსართიან ვნებითებს აწმყოს წრის (უსრული ასპექტის ფორმები) არ გააჩნიათ.

მცდარი ფორმებია: ბრიალდება, გიზგიზდება, კაშკაშდება, თუხთუხდება.

მაგრამ: აბრიალდება, აგიზგიზდება, აკაშკაშდება, ათუხთუხდება.

აწმყოში ამ ზმნებს ენაცვლება ე. წ. მედიუმის (საშუალი გვარის) ფორმები: ბრიალებს, გიზგიზებს, კაშკაშებს, თუხთუხებს.

2. ძველად ვნებითი გვარის ზმნებში თემის ნიშანს ან მის ნაშთს უშუალოდ მოსდევდა აწმყოს მწკრივის ნიშანი – **-ი** (ი-ყ-ოფ-**ი**-ს, ი-ხატ-ვ-**ი**-ს). თანამედროვე ქართულში ამ ზმნათა უმეტესობას დაერთვის **-ებ** თემატური სუფიქსი, თუმცა ზოგიერთს დღევანდლამდე შემორჩა ძველი დაბოლოება.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით (1968, 1998) პარალელურ ფორმათაგან:

ა) მართებულია როგორც ახალი, ისე ძველი ფორმები:

იბრუნება // იბრუნეის, იგვება // იგვის, იდაგება // იდაგვის, იკარგება // იკარგვის, დაისმება // დაისმის (კითხვა, საკითხი; **მაგრამ**: ისმის ხმა, ისმება ღვინო – ი. ბ.), ექადება // ექადის // ექადნება (**მაგრამ**: იქადის, და არა იქადნება);

ბ) უპირატესობა ენიჭება პირველს, დასაშვებად მიიჩნევა მეორე:

იკითხება (// იკითხეის), იკვლება (//იკვლის), იმალება (// იმალვის), იმკება (// იმკის), იმსჭვალება (// იმსჭვალვის), ინახება (// ინახეის), ირწყვება (// ირწყვის) ისხმება (// ისხმის), იფარება (// იფარვის).

გ) ზოგჯერ უფრო ბუნებრივი ჩანს ძველი, ვიდრე უზმნისწინო **-ებ**-იანი ფორმები: ერთვის (მაგრამ: დაერთვება, ჩაერთვება) ეკვრის, ერწყმის, ითქმის, იძვრის (მაგრამ: აღიძვრება, დაიძვრება)[247].

შენიშვნა: ძველ ფორმებს შეიძლება ჰქონდეთ გარკვეული სტილისტიკური დატვირთვა, თუმცა სხვა მწკრივებში (აწმყოს გარდა) უმჯობესია გამოვიყენოთ **-ებ**-იანი ენებითები.

3. უმარცვლო და შეკუმშულ ფუძეებში **-ებ** როულდება მოქმედებითი გვარის ზმნებისაგან გადმოყოლილი თემისნიშნისეული **-მ** ან **-ვ** თანხმოვნით, რომლებიც ზმნას II სერიაში ჩამოსცილდება **-ებ**-თან ერთად:

დგ-ამ-ს – ი-დგ-**მებ**-ა – და-ი-დგ-ა
ა-ბ-ამ-ს – ი-ბ-**მებ**-ა – და-ი-ბ-ა
რგ-ავ-ს – ი-რგ-**ვებ**-ა – და-ი-რგ-ო [და არა დაირგა]
რწყ-ავ-ს – ი-რწყ-**ვებ**-ა – მო-ი-რწყ-ო [და არა მოირწყა]
მი-უ-ხღ-ავ-ს – მი-ე-ხღ-**ვებ**-ა – მი-ე-ხღ-ო [და არა მიეხღა]

4. თუ **ანალოგიური** ფუძეები თავდება **ნ, რ** და **ლ** (ნარნარა) ბგერებიდან ერთ-ერთით, რომელსაც წინ უძღვის სხვა თანხმოვანი (**ვ**-ს გარდა), თემისნიშნისეული **-ვ** განიცდის მეტათეზისს:

და-წ**ნ**-ავ-ს – და-ი-წ(ნ-ვ)-ებ-ა ⇒ და-ი-წვ-ებ-ა (და-ი-წ-ა)
მო-ხ**ნ**-ავ-ს – მო-ი-ხ(ნ-ვ)-ებ-ა ⇒ მო-ი-ხვ-ებ-ა (მო-ი-ხ-ა)
და-უ-კ**რ**-ავ-ს – და-ი-კ(რ-ვ)-ებ-ა ⇒ და-ი-კვ-ებ-ა (და-ი-კ-ა)
გამო-ხ**რ**-ავ-ს – გამო-ი-ხ(რ-ვ)-ებ-ა ⇒ გამო-ი-ხვ-ებ-ა (გამო-ი-ხ-ა)
გა-სხ**ლ**-ავ-ს – გა-ი-სხ(ლ-ვ)-ებ-ა ⇒ გა-ი-სხვ-ებ-ა (გა-ი-სხლ-ა)
და-კ**ლ**-ავ-ს – და-ი-კ(ლ-ვ)-ებ-ა ⇒ და-ი-კვ-ებ-ა (და-ი-კლ-ა)

მაგრამ: აღ-ნიშნ-ავ-ს – აღ-ი-ნიშნ-ება;
მიჯნ-ავ-ს – ი-მიჯნ-ება;
ბეგრ-ავ-ს – ი-ბეგრ-ება;
ტიხრ-ავ-ს – ი-ტიხრ-ება;
ნათლ-ავ-ს – ი-ნათლ-ება;

---

[247] თ ი ნ ა თ ი ნ ღ ვ ი ნ ა ძ ე, დარღვეები ენებითი გვარის ფორმათა მართლწერისა და გამოყენებისას თანამედროვე ქართულში, ქსკს, წიგნი V, თბ., 1983, გვ. 94.

ფურცლ-ავ-ს – ი-ფურცლ-ება (ფუძეები მარცვლიანია)

და არა: აღინიშვნება, იმიჯვნება, იბეგვრება და ა.შ.

5. მოქმედებითი გვარის ზმნებს კონვერსიის დროს ვნებითში გადაჰყვება **-ევ** ბოლოსართი (არწ-ევ-ს – ირწ-ევ-ა), რომლის თანხმოვნითი ნაწილიც იკარგება **-ოდ**-სავრცობიან მწკრივებში (იხ. № 25 „ბ“).

სწორია: ამღერ-**ევ**-ს – ი-მღერ-ევ-ა – ი-მღერ-ე~~ვ~~-**ოდ**-ა
ახვ-**ევ**-ს – ეხვ-ევ-ა – ეხვ-ე~~ვ~~-**ოდ**-ა
ხ-**ევ**-ს – ი-ხ-ევ-ა – იხ-ე~~ვ~~-**ოდ**-ა.

6. **-ევ**-დაბოლოებიანი ვნებითის ფორმები თავისებურებას ავლენენ II სერიის მწკრივებში. როგორც წესი, მოქმედებითი გვარის ზმნებში ფონეტიკური ფაქტორის გამო **-ევ** ბოლოსართის **ე** ხმოვანს **ი** ცვლის, შემდეგ კი ორ ხმოვანს შორის მოქცეული **ვ**-ც იკარგება და რჩება მხოლოდ **ი** (ეს არ ეხება **-ევ** თემატურ სუფიქსს, რადგან ის ზმნას არ გადაჰყვება II სერიაში): ანგრ-**ევ**-ს – და-ანგრ-ი~~ვ~~-ა ⇒ და-ანგრ-**ი**-ა. შესაბამისი ფუძის ვნებითშიც იგივე ხდებოდა, რის გამოც ერთმანეთს ემთხვეოდა მოქმედებითი გვარის სათავისო (სასუბიექტო) ქცევისა და **ი**ნიანი ვნებითის ფორმები: დაინგრია, დაირწია, დაიხია. მოგვიანებით ენამ დაიწყო ამ ფორმათა გამარტივება: ზოგიერთ ვნებითს დაეკარგა **-ევ-ივ**-სუფიქსისეული **ი**-ც (ასეთ ზმნებში **-ევ** გააზრებულ იქნა თემის ნიშნად), ზოგი აღწერით წარმოებაზე გადავიდა: გამოკვლეულ იქნა/იქნეს, მოწვეულ იქნა/იქნეს (იხ. აღწერილობითი ვნებითი).

სწორია: იბნ-ევ-ა – და-იბნ-ა; იმღერევა – აიმღერა; იმსხვრევა – დაიმსხვრა; იმშევა – დაიმშა; ინგრევა – დაინგრა; ინჯღრევა – დაინჯღრა; ირღვევა – დაირღვა; ირხევა – დაირხა (იხ. ნორმები, გვ. 209-210).

7. **ი** არ იკარგება, თუ **-ევ**-დაბოლოებიან ორპირიან მოქმედებითს შეესაბამება **ე**-პრეფიქსიანი ვნებითი, რომელსაც ერთი პირის გაგება აქვს:

აზღვ-ევ-ს – ე-ზღვ-ევ-ა – და-ე-ზღვ-ი~~ვ~~-ა [და არა დაეზღვა];
შეათრევს – შეეთრევა – შეეთრი~~ვ~~-ა [და არა შეეთრა];
გახვევს – გაეხვევა – გაეხვი~~ვ~~-ა [და არა გაეხვა].

8. ამ ფუძედრეკად ზმნებს წყვეტილის მრ. რიცხვის III სუბიექტური პირის ფორმებში შემონახული აქვთ **ივ**:

აირ-ივ-ნენ, დაილივნენ, შეესივნენ, შეეხვივნენ, დაეხლვივნენ, შეეთრიევნენ, გაეხვივნენ.

9. ფუძეკუმშვად ზმნებს ფუძე გაეშლებათ წყვეტილში:

ე-ე-ცნ-ობ-ი – გა-ე-ე-ცან-ი (ეცნობი – გაეცანი); ეეცრდნობი – მიეეცრ**დენი**; ეთვრები – დაეთ**ვერი**; ეიბნევი – დაეი**ბენი**; ეიმსხვრევით – დაეისხ**ვერით**; ეიმტვრევით – დაეიმტ**ვერით**; ეინგრევი – დაეინ**გერი**; ეინძრევი – გაეინ**ძერი**; ეინჯღრევი – დაეინ**ჯღერი**; ეიჭრები – დაეი**ჭერი**; ეტყვრები – გაეტ**ყვერი**; ეცხრები – დაეც**ხერი**; ეწყრები – გაეწ**ყერი**.

ზოგ მათგანს **სალაპარაკო ენაში** პარალელურად უვითარდება შეკუმშული ფორმებიც: გაეტყვრი, გაეწყრი, დაეშვრი, დაეცხრი[248].

10. მოქმედებითი გვარის ზმნის III სუბიექტური პირისა და მრ. რიცხვის ნიშანი წყვეტილში არის **-ეს**, ვნებითისა კი – **-ნენ**, თუმცა ხშირია მათი აღრევა.

სწორია: დაეთანხმ-ნენ, დაეხმარნენ, დაეჯახნენ, ეჩხუბნენ, შეეცადნენ, შეეხნენ;

და არა: დაეთანხმეს, დაეხმარეს, დაეჯახეს, ეჩხუბეს, შეეცადეს, შეეხეს.

11. ასეთივე დარღვევა განსაკუთრებით ხშირია იმ ვნებითების უღლებისას, რომლებიც წარმოშობით ორპირიანია და რომლებსაც მოგვიანებით გაუჩნდათ მეორე ირიბი ობიექტი. ეს ზმნებია: ეეედრება, ეკითხება, ესესხება, ეცილება, ეხვეწება, უყვება, ჰპირდება. ასევე: ედავება, ევაჭრება, ეთამაშება, ემუდარება, ემუქრება, ეცვკვება, მიუხვდება[249]. მათ არასწორად უწყობენ პირებს II სერიაში: შეეედრა მან მას ის და შეეედრეს მათ მას ის.

როგორ ავიცილოთ თავიდან ასეთი შეცდომა? გაეიხსენოთ დინამიკური ვნებითის ძირითადი დაბოლოება აწმყოში. ეს არის **-ები** I-II პირში და **-ება** – III-ში. ამ ნიშნის მიხედვით ზემოთ

---

[248] დ ა მ ა ნ ა მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 211.

[249] ვ ა ხ ტ ა ნ გ ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 109-117.

ჩამოთვლილი ზმნები ვნებითი გვარისაა, ვნებითის კონსტრუქცია კი სამივე სერიაში უცვლელია. ამრიგად,

სწორია: შეევედრა ის მას (ან მათ) მას, შეევედრნენ ისინი მას მას; შეეკითხა ის მას მას, შეეკითხნენ ისინი მას მას; მოვუყევი მე მას მას, მოვუყევით ჩვენ მას მას; მოუყვა ის მას მას, მოუყვნენ ისინი მას მას;

და არა: შეევედრა მან მას (ან მათ) ის, შეევედრეს მათ მას ის; შეეკითხა მან მას ის, შეეკითხეს მათ მას ის; მოვუყევი მე მას ის, მოვუყევით ჩვენ მას ის; მოუყვა მან მას ის, მოუყვეს მათ მას ის.

12. თუ ზმნის ფუძე თავდება **ნ** თანხმოვნით, **-ნენ** ნიშნის დართვისას ერთმანეთის გვერდით მოხვდება ორი **ნ**:

გაიგზავნ-ნენ, გაექანნენ, მოევლინნენ, ჩაეტანნენ.

მაგრამ, როგორც მიუთითებენ, თანხმოვანთა ამგვარ შეხვედრას თანამედროვე სალიტერატურო ენა ალბათ თავს აარიდებს[250].

13. ამავე ზმნებს (და ზოგიერთ სხვა პრეფიქსიან ვნებითსაც) II კავშირებითში აქვს **-ონ** დაბოლოება (**-ო** მწკრივის ნიშანია, **-ნ** – III სუბიექტური პირის ნიშანი მრ. რიცხვში):

გაიგზაონ-ონ, გაექანონ, მოევლინონ, ჩაეტანონ.

მაგრამ დარღვევაა **-ონ** დაბოლოების წინ **-ნ** სუფიქსის ჩართვა.

სწორია: დაგვეხმარ-ონ, დაიმალონ, დაისაჯონ, ეწვიონ, ეხვეწონ, მოერიდონ, შეეცადონ, შეიკრიბონ, შეეხიდონ, ჩაერთონ;

და არა: დაგვეხმარნონ, დაიმალნონ, დაისაჯნონ, ეწვიენონ, ეხვეწნონ, მოერიდნონ, შეეცადნონ, შეიკრიბნონ, შეეხიდნონ, ჩაერთნონ.

14. დიალექტებში შეინიშნება ტენდენცია უნიშნო ვნებითის პრეფიქსიან ვნებითად გადაქცევისა.

---

[250] თ ი ნ ა თ ი ნ დ ვ ი ნ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი. ქსკს, წიგნი V, გვ. 100.

სწორია: თვრება – დათვრა, ცვდება – გაცვდა, ცხვება – გამოცხვა, წყდება – გაწყდა (ის);
და არა: ითრობა (ან ითვრება) – დაითრო, იცვითება – გაიცვითა, იცხობა – გამოიცხო, იწყვიტება – გაიწყვიტა.

15. დიალექტიზმად მიიჩნევა ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი დავიმალენით ტიპის ფორმები:

სწორია: ავიყარეთ, დავიმალეთ, გაიფანტეთ, მიეკარეთ, მოვეფარეთ;

და არა: ავიყარენით, დავიმალენით, გაიფანტენით, მიეკარენით, მოვეფარენით.

16. III სერიაში ერთპირიანი და ორპირინი ვნებითები განსხვავებულად იწარმოება: ერთპირიანები ეყრდნობიან მიმღეობას (იხ. ვნებითი გვარის მიმღეობა), ორპირიანები – საწყისს (იხ. საწყისი). ერთპირიან ზმნებს წარსული დროის საობიექტო მიმღეობის ფორმაზე დაერთვის მეშველი ზმნა, რომელიც III პირში იკვეცება, ამასთან, I თურმეობითის ფორმაში პირველი პირის ნიშანი ორმაგად გამოიხატება. მაგ.:

მოქმედებითი	ვნებითი	მიმღეობა	I თურმეობითი (ვნებითი)
მზრდის ის მე	ვიზრდები მე	გაზრდილი	გა-ვ-ზრდილ-ვ-არ
მხიბლავს ის მე	ვიხიბლები მე	მოხიბლული	მო-ვ-ხიბლულ-ვ-არ
დამასახლებს ის მე	დავსახლდები მე	დასახლებული	და-ვ-სახლებულ-ვ-არ
მათბობ შენ მე	ვთბები მე	გამთბარი	გავმთბარ-ვ-არ

ასევე იწარმოება ის **ე**-პრეფიქსიანი ვნებითი, რომელსაც ერთი პირის გაგება აქვს. მაგ.:

გამამგზავრებს ის მე	გავემგზავრები მე	გამგზავრებული	გა-ე-მგზავრებულ-ვ-არ
დამამხობს ის მე	დავემხობი მე	დამხობილი	და-ე-მხობილ-ვ-არ
მომამზადებ შენ მე	მოვემზადები მე	მომზადებული	მო-ე-მზადებულ-ვ-არ
ჩამრევ შენ მე	ჩავერევი მე	ჩარეული	ჩა-ე-რეულ-ვ-არ

17. II თურმეობითსა და III კავშირებითში მეშველ ზმნას ჩამოსცილდება **ვ**. შეადარეთ:

	I პირი	II პირი	III პირი
I თურმეობითი	მო-ვ-ნათლულ-ვ-არ	მონათლულ-ხ-არ	მონათლულ-ა

[illegible] მი-ვ-ხათლულ-იყავ მოვხათლულ-იყავ მოხათლულ-იყო
[illegible] მი-ვ-ხათლულ-იყო მოვხათლულ-იყო მოხათლულ-იყოს

[illegible] ზმნებითი III სერიაში იწარმოება საწყისით. [illegible] ზმნის ხასიათს, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, თავისი საწყისი აქვთ და მოქმედებითისას იყენებენ. შესაფერის ლექსიკონულ გარემოში ირიბობიექტური პირის ნიშანიც დაჩნდება ხოლმე.

[illegible]			ზმნებითი			საწყისი	I თურმეობითი (ზმნებითი)
[illegible]	ის	მას	მიეცა	ის	მას	მიცემა	მიუცია
[illegible]	ის	მე	გამიცდება	ის	მე	გაცდენა	გამიცდენია
[illegible]	ის	შენ	დაგწყება	ის	შენ	დაწყება	დაგიწყებია
[illegible]	ის	მას	შენ დაგწყო	შენ	მას	დაწყება	დაგიწყებიხარ
[illegible]	ის	მას	მას აეხდება	ის	მას	ახდენა	აეხდენია
[illegible]	ის	მე	მას შემეგებება	ის	მე	შეგება	შემეგებებია
[illegible]	ის	მას	მე შეეგებები	მე	მას	შეგება	შეეგებებიხარ
[illegible]	ის	მას	მას მოეკვეთება	ის	მას	მოკვეთა	მოეკვეთია
[illegible]	ის	მას	მას გაელღება	ის	მას	გაღება	გაელღია
[illegible]	ის	მას	მას გაეწყება	ის	მას	გაწყება	გასწყია
[illegible]	ის	მას	მას გადაეფარება	ის	მას	გადაფარება	გადაეფარებია

[illegible] ზმნებითს II თურმეობითი და III კავშირებითი [illegible] როგორც **ოდ** სავრცობით, ისე მეშველი ზმნით. [illegible] ნორმაა მხოლოდ სავრცობიანი წარმოება:

გასწყ-ოდ-ა, გასწენ-ოდ-ეს; დასტყობ-**ოდ**-ა, დასტყობ-ოდ-ეს; გაშწყრომ-ოდ-ა, გაშწყრომ-**ოდ**-ეს; დაეგრეხ-ოდ-ა, დაეგრეხ-ოდ-ეს; შეგვვედრებ-**ოდ**-ა, შეგვვედრე-ოდ-ეს; ჩაგვვარდნ-ოდ-ა, ჩაგვვარდნ-**ოდ**-ეს.

[illegible] გასწყობოდეს, გასწყნოდეს; დასტყობოდეს, დასტყობოდეს; გაშწყრომოდეს, გაშწყრომოდეს; დაეგრეხოდეს, დაეგრეხოდეს; შეგვვედრებოდეს, შეგვვედრებოდეს; ჩაგვვარდნოდეს, ჩაგვვარდნოდეს.

[illegible] საწყისის ა ალაბიალებლის წინ ჩაერთვის **ნ. ომ** და [illegible] ასეთი ორიანიანის ზმნებითის გადაზიდვა III სერიაში:

[illegible] მისწყდა ნ ია, მოხვდა-ნ-ოდა, მოხვდა-ნ-ოდ-ეს;
[illegible] შესწყდ-ომ-ოდა, შესწყდ-ომ-ოდ-ა.
შესწყდა თუ ეს;
[illegible] ასთოდა თუ ეს ოდეს.
ასთოდა თუ ეს ოდეს.

ვ ვნებითი გვარის ზმნებში

21. თუ საწყისში თემისნიშნისეული **ვ** გვაქვს, ის აღმოჩნდება I თურმეობითის ფორმაშიც:

გადაეკეტება	გადაკეტ-ვა	(⇐ გადაუკეტ-ავს)	გადაჰკეტ-ვია
გაეთიშება	გათიშ-ვა	(⇐ გაუთიშ-ავს)	გასთიშ-ვია
გამეწურება	გაწურ-ვა	(⇐ გამიწურ-ავს)	გამწურ-ვია
დაგეთუთქება	დათუთქ-ვა	(⇐ დაგითუთქ-ავს)	დაგთუთქ-ვია
დაგვეხატება	დახატ-ვა	(⇐ დაგვიხატ-ავს)	დაგვხატ-ვია
დაეკარგება	დაკარგ-ვა	(⇐ დაუკარგ-ავს)	დაჰკარგ-ვია
დაერთვება	დართ-ვა	(⇐ დაურთ-ავს)	დართ-ვია
გაეპარება	გაპარ-ვა	(⇐ გაეპარება)	გაჰპარ-ვია.

შენიშვნა: გააპარებს ზმნის საწყისია **გაპარება**[251].

22. II თურმეობითში (და აქედან III კავშირებითში) ეს თემისნიშნისეული **ვ** იკარგება **-ოდ** სავრცობის წინ (ნორმები, გვ. 19):

გადაჰკეტ-~~ვ~~-ოდ-ა	დაგვხატ-~~ვ~~-ოდ-ა
გასთიშ-~~ვ~~-ოდ-ა	დაჰკარგ-~~ვ~~-ოდ-ა
გამწურ-~~ვ~~-ოდ-ა	დართ-~~ვ~~-ოდ-ა

შენიშვნა: ზოგიერთი სახელმძღვანელოს ავტორი **დასაშვებად** მიიჩნევს **ვ**-ს შენარჩუნებას, თუ ამ უკანასკნელს წინ უძღვის თანხმოვანი[252].

23. თემისნიშნისეული **ვ** არ დაიკარგება, თუ მეტათეზისის წესის მიხედვით საწყისშივეა გადანაცვლებული (ნარნარა ბგერის წინ):

გაუხიზნ-ავ-ს – გახიზნ-ვ-ა ⇒ გახიზვნა – გახიზვნია, გახიზვნოდა

დაუკაწრ-ავ-ს – გაკაწრ-ვ-ა ⇒ გაკაწვრა – გაჰკაწვრია, გაჰკაწვროდა

დაუფურცლ-ავ-ს – დაფურცლ-ვ-ა ⇒ დაფურცვლა – დაჰფურცვლია, დაჰფურცვლოდა

---

[251] იხ. ქეგლ.

[252] ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა რ ა ბ უ ლ ი, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004, გვ. 155.

24. საზოგადოდ კი **-ოდ** სავრცობის წინ **ვ** არ იკარგება, თუ ძირეულია და მოსდევს თანხმოვანს (იხ. ნორმები, გვ. 14):

იგვის – იგვ-ოდ-ა – დაიგავ-ა; იწვის – იწვ-ოდ-ა – დაიწვა;

მაგრამ: უძღვის – უძღ~~ვ~~ოდა ⇒ უძღ-ოდ-ა – გაუძღვა.

25. **-ოდ** სავრცობის დართვისას **ვ** იკარგება (იხ. ნორმები, გვ. 19):

ა) თუ ძირეული არ არის:

იდაგ-ვ-ის, იდაგ-~~ვ~~-ოდ-ა ⇒ იდაგ-ოდ-ა
იკარგ-ვ-ის, იკარგ-~~ვ~~-ოდ-ა ⇒ იკარგ-ოდ-ა
იხატ-ვ-ის, იხატ-~~ვ~~-ოდ-ა⇒ იხატ-ოდ-ა(იხ. № 2-ის შენიშვნა)
ერთ-ვ-ის, ერთ-~~ვ~~-ოდ-ა ⇒ ერთ-ოდა (იხ. № 2-ის „გ“)

ასევე: ისწრაფ-ვ-ის (**ვ** მოგვიანებით ჩაერთო) ⇒ ისწრაფ-~~ვ~~-ოდ-ა, ისწრაფ-ოდ-ა.

შენიშვნა: ვახტანგ იმნაიშვილის რეკომენდაციით, უმჯობესია, **სწრაფვის** პირიანი ფორმები გამარტივდეს და **ვ**-ს გარეშე დაიწეროს, როგორც ძველად იწერებოდა (მით უმეტეს, რომ წარმოქმნილი **ფვ** კომპლექსი აუტანელია წარმოსათქმელად ქართულისათვის): „...იქნებ შეველიოთ ძალით ჩატენილ არაფრის მაქნის ვ ბგერას... უფუნქციო ელემენტებს რატომ ვუმატებთ ზმნურ ფორმებს, ქართულ ზმნას კიდევ უფრო გართულება სჭირდება?“

მართლაც, გავიხსენოთ „შუშანიკის წამება“: „ნ'ურას ისწრაფი, იყოს შენ თანა“.

მკვლევრის აზრით: „... **ვ** გაძევებულ უნდა იქნეს ამ ფუძიდან და უნდა ვთქვათ და ვწეროთ: ვისწრაფი, ისწრაფი, ისწრაფის, ვისწრაფით, ისწრაფით, ისწრაფიან, ვისწრაფოდი, ისწრაფოდი, ისწრაფოდა, ვისწრაფოდე, ისწრაფოდე, ისწრაფოდეს...“[253]

ბ) **-ევ** დაბოლოებიან ზმნებში, განურჩევლად იმისა, **-ევ** ძირეულია თუ ბოლოსართისეული, რადგან **ვ** მოსდევს ხმოვანს:

---

[253] ვ ა ხ ტ ა ნ გ ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ისწრაფის თუ ისწრაფვის? დასახელებული ნაშრომი, გვ. 196.

ილევა – ილე-ⷯ-ოდ-ა
ირევა – ირე-ⷯ-ოდ-ა
ეტევა – ეტე-ⷯ-ოდ-ა
ერკვევა – ერკვე-ⷯ-ოდ-ა
ეწევა – ეწე-ⷯ-ოდ-ა
ესევა – ესე-ⷯ-ოდ-ა
იბნევა – იბნე-ⷯ-ოდ-ა
ინგრევა – ინგრე-ⷯ-ოდ-ა
ირხევა – ირხე-ⷯ-ოდ-ეს
იხევა – იხე-ⷯ-ოდ-ეს

26. ვ ჩაერთვის (ნორმები, გვ. 20-22):

ა) I-II სერიის მწკრივებში – ბოლოხმოვნიანი სახელებისგან ნაწარმოებ ვნებითებს (ა-თი დაბოლოებულებს ჩაერთვის იმ შემთხვევაში, თუ ხმოვანი არ მოეკვეცებათ):

მუშა – მუშა-**ვ**-დება – და-მუშა-**ვ**-და (მაგრამ: შეშა – შეშ-დება, გა-შეშ-და)
ხე – ხე-**ვ**-დება – გა-ხე-**ვ**-და
უცხო – უცხო-**ვ**-დება – გა-უცხო-**ვ**-და
ბლუ – ბლუ-**ვ**-დება – და-ბლუ-**ვ**-და

ბ) III სერიის ფორმებსა და სახელზმნებში – მხოლოდ კვეცადი სახელებისგან ნაწარმოებ ვნებითებს:

მუშა – და-მუშა-**ვ**-ებულა, და-მუშა-**ვ**-ებულიყო, და-მუშა-**ვ**-ებულიყოს; და-მუშა-**ვ**-ება, და-მუშა-**ვ**-ებული;
ხე – გა-ხე-ვ-ებულა, გა-ხე-ვ-ებულიყო, გა-ხე-ვ-ებულიყოს; გა-ხე-ვ-ება, გა-ხე-ვ-ებული;

მაგრამ: უცხო (უკვეცელი) გა-უცხო-ებულა, გა-უცხო-ებულიყო, გა-უცხო-ებულიყოს; გა-უცხო-ება, გა-უცხო-ებული. ბლუ (უკვეცელი) – დაბლუ-ებულა, დაბლუ-ებულიყო, დაბლუ-ებულიყოს; დაბლუ-ება, დაბლუ-ებული.

§ 75. ვნებითის ნიუანსები

27. ვნებითი გვარის ზმნებს ქართულში შეუძლიათ გადმოსცენ ისეთი ნიუანსები, როგორიც ევროპულ ენებში მხოლოდ აღწერითი ფორმითაა და ვრცელი შესიტყვებებით არის შესაძლებელი. ეს ნიუანსები აკაკი შანიძემ **შესაძლებლობის, მიჩნევისა** და **გუნების** სახელებით აღნიშნა[254].

---

[254] ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 290-291.

შესაძლებლობის ვნებითი (რომელსაც არნოლდ ჩიქობავამ **პოტენციალისი** უწოდა) უშვებს ან უარყოფს ზმნით გამოხატული მოქმედების შესაძლებლობას: (არ) იცხოვრება, (არ) გაისვლება, (არ) დაედგომება, (არ ეჭმევა), (არ) ესმევა (დიალექტებში გვხვდება აგრეთვე იჭმის, თუმცა ნორმით კანონიერად მხოლოდ **-ებ**-იანი ფორმებია მიჩნეული: ი/ეჭმება, ი/ესმება).

მიჩნევის ვნებითებია: ეამაყება (მეამაყება, გეამაყება, ვეამაყები, ეამაყები), ებეკრება, ემძიმება, ემწარება, ესხვაფერება, ეცოტაება.

გუნების ვნებითებია: ემღერება (მემღერება, გემღერება), ეცეკვება, ეცინება. მათ ხშირად ახლავს კითხვითი სიტყვა „რა“: რა ეკონცერტება, რა ექუთაისება, რა ექეიფება, რა ეხუმრება.

ვნებითი გვარის ზმნას შეუძლია გამოხატოს უნებლიე მოქმედებაც: შემოელანძღება, შემოათენდება, შემოადნება, შემოეფშვნა, შემოეხარჯა. ასევე: მეჭმევინება, გეცემინება, ეწერინება.

ზემოთ ჩამოთვლილი ზმნები ინვერსიული (შებრუნებული) წყობისაა, ამასთან, ზოგი პირნაკლია, ზოგი – ნაკლული უღლების მქონე.

§ 76. დეპონენსები

28. დეფექტურია აგრეთვე ე. წ. დეპონენსები – ფორმით პასიური, შინაარსით აქტიური ზმნები. ესენია:

> იბღვირება, იბწკინება, იგესლება, იკვრევინება, იკორტნება, ილოღნება, ილუკმება, იმადლება, იმანჭება, იმზირება, იმრიზება, ისუსხება, იფიცება, იფხორება, იღიმება, იღმურძლება, იღრინება, იღრიჯება, იყურება, იშმუშნება, იწყევლება, იჭყიტება.

დეპონენსური შინაარსისაა ენიანი ვნებითები:

> ებაასება, ებოდიშება, ედავება, ეთათბირება, ეთამაშება, ელაპარაკება, ეკამათება, ეკითხება, ელაზღანდარავება// ელაზღანდარება, ემუქრება, ეპაექრება, ესესხება, ეხხუბება, ეჭორავება.

მათ ერთპირიანი ფორმების მაგივრობას უწევენ ე. წ. მედიოაქტივები: ბაასობს, ბოდიშობს, დავობს, თათბირობს, თამაშობს

და მისთ. (მრავლობითში: ელაპარაკებიან ერთმანეთს – ლაპარაკობენ ერთმანეთთან ან ერთმანეთში).

დეპონენსები პარალელურად გამოიყენება ჩვეულებრივი ვნებითის ფუნქციით (ამ შემთხვევაში მათ სრული პარადიგმა აქვთ). მაგ.: მასწავლებლები მოსწავლეს გაკვეთილს **ეკითხებიან** (დეპონენსი) და სტუდენტებს ლექცია **ეკითხებათ** (ვნებითი).

ზოგიერთმა დეპონენსმა შეიძლება აწარმოოს წყვეტილის ფორმა: იგინა (შეიგინა), იყეფა (დაიყეფა), იყურა (თუმცა ეს ფორმები დეპონენსების უღლების პარადიგმის ნაწილია თუ არა, ესეც საკითხავია). ჩვენთვის ამჯერად ის არის საინტერესო, წყვეტილის ფორმებს სუბიექტი სახელობითში უნდა შევუწყოთ თუ მოთხრობითში.

რომელია მართებული კონსტუქცია: შეიგინა იგი თუ შეიგინა მან? ფორმა დაუდგენელია. (როგორც სამეცნიერო, ისე მხატვრულ ლიტერატურაში გვხვდება ორივე ვარიანტი). როგორც აღნიშნავენ, ზოგიერთ დეპონენსს უღლების ნაკლული პარადიგმის შესავსებად შეიძლება შეენაცვლოს შესაბამისი ფუძის აქტივის სათავისო (სასუბიექტო) ქცევის ფორმა (პირდაპირი ობიექტის გარეშე). ასეთ შემთხვევაში სუბიექტი მოთხრობითში დადგება[255]:

> დაიყეფა მან, დაიფიცა მან, მოიტყუა მან, იყურა მან, ილანძღა მან, მოიწერა მან, იგინა მან, დაიხოქა მან, მოიხედა მან.

მაგრამ: დაიმუქრა იგი, გაიბღვირა იგი, დაიღრიჯა იგი, შეიშმუშნა იგი (იქვე).

სხვა თვალსაზრისით, ასეთი შენაცვლება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ენაში ერთმანეთის პარალელურად არსებობს გაიზმორებს – გაიზმორება ტიპის (ანუ იდენტური შინაარსის მქონე – ი. ბ.) ფორმები. მაგ.:

> გამოიჭვრეტს – გამოიჭვრიტება, გამოიჭყეტს – გამოიჭყიტება, დაიყეფებს – დაიყეფება, შეიგინებს – შეიგინება, გაიღიმებს – გაიღიმება, მოიკეცავს – მოიკეცება[256].

---

[255] დ ა მ ა ნ ა მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 208.

[256] მ უ რ მ ა ნ ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, იხ. „ანუკამ ილანძღა და იგინა“ თუ „ანუკა ილანძღა და იგინა“? ქსკს, წიგნი IV, გვ. 194-196 და ინტერნეტი ice.ge/new/pages/samples/books/Binder4.pdf - თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, გვ. 510.

ეს დასკვნა ასე უნდა გავიგოთ: ბრუნვაცვალებადი სუბიექტი შეეწყობა იმ ზმნას, რომელიც შეენაცვლება წარმოდგენილ დეპონენსს.

„ქართული მეტყველების კულტურის“ მიხედვით (ავტორი – აკადემიკოსი ავთანდილ არაბული) „ნორმა... იცავს იმ კონსტრუქციას, რომელიც სისტემურად და ისტორიულად გამართლებულია“.

არასწორია: გულშემატკივარმა ერთი გულიანად შეიგინა.

სწორია: გულშემატკივარი შეიგინა (იხ, გვ. 184).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად[257] **შეიგინება** ზმნას ორი მნიშვნელობა აქვს: 1. უშვერ სიტყვებს წარმოთქვამს (ე. ი. თავად შეიგინება – ი. ბ.). 2. შეაგინებენ, გაილანძღება, შეიბილწება (ე. ი. სხვის მიერ იქნება შეგინებული, გალანძღული – ი. ბ.).

იმის დასადგენად, თუ კონკრეტულ შემთხვევაში რა სემანტიკური მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ზმნას, შეგვიძლია გამოვიყენოთ I თურმეობითის ფორმა (კითხვა – რა უქნია?): შეუგინია მას, მაგრამ: შეგინებულა იგი; დაუჩოქია მას, მაგრამ: დაჩოქილა იგი: მოუკეცავს მას, მაგრამ: მოკეცილა იგი. პირველი რიგის ზმნები (შეუგინია, დაუჩოქია, მოუკეცავს) ენაცვლება იგინება, იჩოქება, იკეცება დეპონენსებს და შეიწყობს ბრუნვაცვალებად სუბიექტს, მეორე რიგის ზმნები კი ჩვეულებრივი ვნებითებია, რომლებსაც ყველა მწკრივი ეწარმოება და რომელთა სუბიექტი ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია.

ჩვენი აზრით, სუბიექტური ფორმის განსასაზღვრად შეგვიძლია მოვიშველიოთ მისი მრავლობითი რიცხვის ფორმა პრედიკატულ განსაზღვრებასთან ერთად:

უმჯობესია: გულშემატკივრებმა გაბრაზებულებმა შეიგინეს; და არა: გულშემატკივრები გაბრაზებულები შეიგინნენ.

დანართი № 54

დინამიკური ვნებითი გვარის ზმნის უღლება

	ერთპირიანი		ორპირიანი			
			I სერია			
			აწმყოს წრე			
აწმყო	ვიცავ	იცავ	იცავს	ვიცავთ	იცავთ	იცავენ
	ვიცავები	იცავები	იცავებიან	ვიცავებით	იცავებით	იცავებიან
უწყვეტელი	ვიცავებოდი	იცავებოდი	იცავებოდა	ვიცავებოდით	იცავებოდით	იცავებოდნენ

[257] ქეგლ-ის ერთტომეული.

	ვიმალებოდით	იმალებოდით	იმალებოდნენ	ვეცემებოდით	ეცემებოდით	ეცემებოდნენ
აწმყო	ვიმალებოდე	იმალებოდე	იმალებოდეს	ვეცემებოდე	ეცემებოდე	ეცემებოდეს
შარავანდი	ვიმალებოდეთ	იმალებოდეთ	იმალებოდნენ	ვეცემებოდეთ	ეცემებოდეთ	ეცემებოდნენ

მყოფადის წრე

მყოფადი	დავიმალები	დაიმალები	დაიმალება	დავეცემები	დაეცემები	დაეცემება
	დავიმალებით	დაიმალებით	დაიმალებიან	დავეცემებით	დაეცემებით	დაეცემებიან
ხოლმეობითი	დავიმალებოდი	დაიმალებოდი	დაიმალებოდა	დავეცემებოდი	დაეცემებოდი	დაეცემებოდა
	დავიმალებოდით	დაიმალებოდით	დაიმალებოდნენ	დავეცემებოდით	დაეცემებოდით	დაეცემებოდნენ
მყოფადის კაუშთი	დავიმალებოდე	დაიმალებოდე	დაიმალებოდეს	დავეცემებოდე	დაეცემებოდე	დაეცემებოდეს
	დავიმალებოდეთ	დაიმალებოდეთ	დაიმალებოდნენ	დავეცემებოდეთ	დაეცემებოდეთ	დაეცემებოდნენ

II სერია

წყვილი	(და)ვიმალე	(და)იმალე	(და)იმალა	(და)ვეცემე	(და)ეცემე	(და)ეცემა
	(და)ვიმალეთ	(და)იმალეთ	(და)იმალნენ	(და)ვეცემეთ	(და)ეცემეთ	(და)ეცემნენ
II კაუშთი	(და)ვიმალო	(და)იმალო	(და)იმალოს	(და)ვეცემო	(და)ეცემო	(და)ეცემოს
	(და)ვიმალოთ	(და)იმალოთ	(და)იმალონ	(და)ვეცემოთ	(და)ეცემოთ	(და)ეცემონ

III სერია

I თურმეობითი	დავიმალულვარ	დამალულხარ	დამალულა	დავეცემულვარ	დამალეცემარ	დამალეცა
	დავიმალულვართ	დამალულხართ	დამალულან	დავეცემულვართ	დამალეცემართ	დამალეცნენ
II თურმეობითი	დავიმალულიყავ	დამალულიყავ	დამალულიყო	დავეცემოდი	დამალეცემოდი	დამალეცემა
	დავიმალულიყავით	დამალულიყავით	დამალულიყვნენ	დავეცემოდით	დამალეცემოდით	დამალეცემოდნენ
III კაუზატივი	დავიმალულიყო	დამალულიყო	დამალულიყოს	დავეცემოდე	დამალეცემოდე	დამალეცემოდეს
	დავიმალულიყოთ	დამალულიყოთ	დამალულიყონ	დავეცემოდეთ	დამალეცემოდეთ	დამალეცემოდნენ

შენიშვნა: I-პირიანი ვნებითები III სერიაში იწარმოება საუღლებელი ზმნის მიმღეობითა და მეშველი ზმნით, 2-პირიანები – საუღლებელი ზნის საწყისითა და მეშველი ზმნით.

დანართი № 55

დინამიკური ვნებითი გვარის ზმნების უღლება

I სერია

აწმყოს წრე

	ევ-ბოლოსართიანი	უნიშნო	დონიანი	მათ შორის ე.წ. პირველადი საწყისისაგან ნაწარმოები
აწმყო	ირწევა	ქრება	წითლდება	–
	ირწევიან	ქრებიან	წითლდებიან	
უწყვეტელი	ირწეოდა	ქრებოდა	წითლდებოდა	–
	ირწეოდნენ	ქრებოდნენ	წითლდებოდნენ	
აწმყო-შირებითი	ირწეოდეს	ქრებოდეს	წითლდებოდეს	–
	ირწეოდნენ	ქრებოდნენ	წითლდებოდნენ	

მყოფადის წრე

მყოფადი	დაირწევა	გაქრება	გაწითლდება	აგიზგიზდება
	დაირწევიან	გაქრებიან	გაწითლდებიან	აგიზგიზდებიან
ხოლმეობითი (პირობითი)	დაირწეოდა	გაქრებოდა	გაწითლდებოდა	აგიზგიზდებოდა
	დაირწეოდნენ	გაქრებოდნენ	გაწითლდებოდნენ	აგიზგიზდებოდნენ
მყოფადის კაუშ-თი	დაირწეოდეს	გაქრებოდეს	გაწითლდებოდეს	აგიზგიზდებოდეს
	დაირწეოდნენ	გაქრებოდნენ	გაწითლდებოდნენ	აგიზგიზდებოდნენ

II სერია

წყვეტილი	დაირწა	გაქრა	გაწითლდა	აგიზგიზდა
	დაირწნენ	გაქრნენ	გაწითლდნენ	აგიზგიზდნენ
II	დაირწეს	გაქრეს	გაწითლდეს	აგიზგიზდეს
კავშირებითი	დაირწნენ	გაქრნენ	გაწითლდნენ	აგიზგიზდნენ

III სერია

I თურმეობითი	დარწეულა	გაქრალა	გაწითლებულა	აგიზგიზებულა
	დარწეულან	გაქრალან	გაწითლებულან	აგიზგიზებულან
II თურმეობითი	დარწეულიყო	გაქრალიყო	გაწითლებულიყო	აგიზგიზებულიყო
	დარწეულიყონ	გაქრალიყონ	გაწითლებულიყონ	აგიზგიზებულიყონ
III	დარწეულიყოს	გაქრალიყოს	გაწითლებულიყოს	აგიზგიზებულიყოს
კავშირებითი	დარწეულიყონ	გაქრალიყონ	გაწითლებულიყონ	აგიზგიზებულიყონ

შენიშვნა: ე. წ. პირველადი საწყისისაგან ნაწარმოებ სუფიქსიან ვნებითს (აგიზგიზდა) აწმყოს წრის (უსრული ასპექტის) ფორმები არ გააჩნია. მას ენაცვლება ე. წ. საშუალო გვარის ფორმები (გიზგიზებს, გიზგიზებდა, გიზგიზებდეს). იხ. ვნებითი გვარის ზმნების მართლწერა, № 1.

§ 77. სტატიკური ვნებითი

როგორც აღვნიშნეთ, დინამიკური ვნებითი გამოხატავს მოქმედების პროცესს, სტატიკური კი ამ მოქმედების შედეგად მიღებულ მდგომარეობას. მაგ.: ხატია (= დახატული არის), წერია, აბნევია, აგია, უპყრია, ატყვია. **შეადარეთ**:

	დინამიკური ვნებითი	**სტატიკური ვნებითი**
აწმყო	ხალიჩა იფინება	ხალიჩა ფენია
წყვეტილი	ხალიჩა დაიფინა	ხალიჩა ეფინა

სტატიკურობის ცნება, ფართო გაგებით, ე. წ. მედიალური ზმნების უმრავლესობასაც მოიცავს. მედიუმებიც ფიზიკურ ან სულიერ მდგომარეობას (უძრაობას, სტატიკას) გადმოსცემენ (წევს, წუხს), მაგრამ, სტატიკური ვნებითისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში არასოდეს არ ჩანს მოქმედების შედეგი (თვით ისეთ ზმნებშიც კი, რომლებიც სემანტიკურად აქტიურ მოქმედებას გამოხატავენ: ტრიალებს – იტრიალა, დის – იდინა, ჭიდაობს – იჭიდავა). როგორც აღნიშნავენ, ეს არის „დინამიკა სტატიკაში“.

სტატიკურ ვნებითს ახასიათებს ბევრი თავისებურება. კერძოდ:

ა) ზმნისწინს არ დაირთავს და, აქედან გამომდინარე, ასპექტს ვერ აწარმოებს;

ბ) არ ეწარმოება შუალობითი კონტაქტი;

გ) საკუთარი ფორმით ეწარმოება მხოლოდ აწმყოს მწკრივი;

დ) საერთოდ არ გააჩნია უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი, დანარჩენ მწკრივებს კი ივსებს დინამიკური ვნებითისაგან სესხების გზით;

ე) ყველა ნასესხები ფორმა (გარდა III სერიის მწკრივების ფორმებისა) **ენიანია**, რადგან სტატიკური ვნებითები ორპირიანია ან წარმოშობით ორპირიანი. გვხვდება რამდენიმე სამპირიანი ზმნაც, რომელსაც ორი ირიბი ობიექტი შეეწყობა (აქედან ერთი მფლობელი ობიექტია). მაგ.: მიცვია, მისხია, მივლია, მიბია, მიქვია).

აწმყოში სტატიკური ვნებითის ყალიბებია:

I. Ø [ზმნური ფუძე] – ი + ვარ/ხარ/ა. მაგ.: ვ-წერ-ი-ვარ, წერ-ი-ხარ, წერ-ი-ა.

II. ი/უ [ზმნური ფუძე] – ი + ვარ/ხარ/ა. მაგ.: გ-ი-წერ-ი-ვარ, მ-ი-წერ-ი-ხარ, მ-ი-წერ-ი-ა; ვ-უ-წერ-ი-ვარ, უ-წერ-ი-ხარ, უ-წერ-ი-ა.

III. ა –[ზმნური ფუძე] – ი + ვარ/ხარ/ა. მაგ.: ვ-ა-წერ-ი-ვარ, ა-წერ-ი-ხარ, ა-წერ-ი-ა; ვ-ა-ნთ-ი-ვარ, ა-ნთ-ი-ხარ, ა-ნთ-ია.

§ 78. სტატიკური ვნებითის მართლწერა

1. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აწმყოს მწკრივის III სუბიექტურ პირს აქვს **ია** დაბოლოება. გამონაკლისია რამდენიმე **-ავ**-თემისნიშნიანი ზმნა, რომლებიც I-II პირში არ იხმარება.

სწორია: აკრავს, ახურავს, უჭირავს, ჰბურავს;

და არა: აკცრია, ახურია, უჭერია, აბურია.

2. სტატიკური ვნებითის **აწმყოს მწკრივის** ფორმაში არ აისახება III სუბიექტური პირის რიცხვი:

სწორია: ის/ისინი ხატია, წერია;

და არა: ისინი ხატიან, წერიან.

3. იმავე მწკრივში აისახება ირიბი ობიექტის მრავლობითობა:

ის ჩვენ **გვ**-იხატია, ის თქვენ **გ**-იხატია-**თ**, ის მათ უხატია-**თ**.

შენიშვნა: თუ მიცემითში მდგომი სახელი პირსონალური პირია (ადამიანი), სტატიკური ვნებითის ორპირიანი ფორმები ინვერსიული შინაარსისაა (იხ. გვ. 320-321, ინვერსია).

4. ერთპირიანი ზმნები III სერიაში ეყრდნობიან მოქმედებითი გვარისაგან ნაწარმოებ საობიექტო (ვნებითი გვარის) მიმღეობას, ორპირიანები – საწყისს, ისევე როგორც შესაბამისი ფუძის დინამიკური ვნებითები, ოღონდ ზმნისწინის გარეშე (დანართში ზმნისწინები დეფისით გამოყოფილია თვალსაჩინოებისათვის).

ზოგ ზმნას სესხების გზითაც უჭირს III სერიის ფორმების წარმოება (ზოგს II სერიისაც). ესენია: აბეჭდია, აბნევია, ავალია, აკმევია, ალაგია, ამხვია, აოხრია, არგია, ატრიალია, აფენია, აფრქვევია, აშავია, მარხია, სტენია, სჩრია, უკეთია, ურჩევნია, უჭყეტია, ყუნტია, ჩხირია, ხირია[258].

დანართი № 56

დინამიკური და სტატისტიკური ვნებითის უღლების ნიმუშები

ერთპირიანი ზმნები

	დინამიკური	სტატიკური	დინამიკური	სტატიკური
1.	იყრება	ყრია	ინთება	ანთია
2.	იყრებოდა	–	ინთებოდა	–
3.	იყრებოდეს	–	ინთებოდეს	–
4.	და-იყრება	ეყრება	ა-ინთება	ენთება
5.	და-იყრებოდა	ეყრებოდა	ა-ინთებოდა	ენთებოდა
6.	და-იყრებოდეს	ეყრებოდეს	ა-ინთებოდეს	ენთებოდეს
7.	და-იყარა	ეყარა	ა-ინთო	ენთო
8.	და-იყაროს	ეყაროს	ა-ინთოს	ენთოს
9.	და-ყრილა	ყრილა	ა-ნთებულა	ნთებულა

[258] აკაკი შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 315-318.

10.	და-ყრილიყო	ყრილიყო	ა-ნთებ'ულიყო	ნთებ'ულიყო
11.	და-ყრილიყოს	ყრილიყოს	ა-ნთებ'ულიყოს	ნთებ'ულიყოს

შენიშვნა: ისევე, როგორც ზმნები ყრია და ანთია, იუღლება ერთპირიანი სტატიკური ვნებითები (ფრჩხილებში მითითებულია მყოფადის, წყვეტილისა და I თურმეობითის ფორმები: გდია (ეგდება, ეგდო, გდებ'ულა), კიდია (ეკიდება, ეკიდა, კიდებ'ულა), აბია ის (ებმება, ება, ბმ'ულა), აგია (ეგება, ეგო, გებ'ულა), არჭვია (ერჭობა, ერჭო, რჭობილა), ასვენია (ესვენება, ესვენა, სვენებ'ულა), აწყვია (ეწყობა, ეწყო, წყობილა).

ო რ პ ი რ ი ა ნ ი ზ მ ნ ე ბ ი

	დინამიკური	სტატიკური	დინამიკური	სტატიკური
1.	ეფარება	აფარია	ენთება	უნთია
2.	ეფარებოდა	–	ენთებოდა	–
3.	ეფარებოდეს	–	ენთებოდეს	–
4.	მი-ეფარება	ეფარება	ა-ენთება	ენთება
5.	მი-ეფარებოდა	ეფარებოდა	ა-ენთებოდა	ენთებოდა
6.	მი-ეფარებოდეს	ეფარებოდეს	ა-ენთებოდეს	ენთებოდეს
7.	მი-ეფარა	ეფარა	ა-ენთო	ენთო
8.	მი-ეფაროს	ეფაროს	ა-ენთოს	ენთოს
9.	მი-ჰფარებია	ჰფარებია	ა-ნთებია	ნთებია
10.	მი-ჰფარებოდა	ჰფარებოდა	ა-ნთებოდა	ნთებოდა
11.	მი-ჰფარებოდეს	ჰფარებოდეს	ა-ნთებოდეს	ნთებოდეს

შენიშვნა 1: ისევე, როგორც ზმნები **აფარია** და **უნთია**, იუღლება ორპირიანი სტატიკური ვნებითები: **აბარია** (ებარება, ებარა, ჰბარებია), **აბია** ის მას (ებმება, ება, ჰბმია), **ავლია** (ევლება, ევლო, ვლებია), **აკერია** (ეკერება, ეკერა, ჰკერებია), **არტყია** (ერტყმება, ერტყა, რტყმია), **აკრავს** (ეკვრება, ეკრა, ჰკვრია).

შენიშვნა 2: რამდენიმე ზმნა განსხვავებ'ულად აწარმოებს III სერიის ფორმებს (იხ. დანართი № 57). ესენია: **თესია** (უთესია), **წერია** (უწერია), **ხატია** (უხატია), **უბჯენია, უხელია, ხურავს, ჰბურავს**. ისინი ეყრდნობიან არა მოქმედებითი გვარის ზმნისაგან, არამედ დინამიკური ვნებითისაგან ნაწარმოებ მიმღეობას (ერთპირიანები) და საწყისს (ორპირიანები).

დანართი № 57

უღლების ნიმუშები

	ერთპირიანი ზმნები			ორპირიანი ზმნები		
	დინამიკური	სტატიკური	დინამიკური	სტატიკური	დინამიკური	სტატიკური
1.	იოესება	ოესია	ეთესება	ჳთესია	ეხურება	ხურავს
2.	იოესებოდა	–	ეთესებოდა	–	ეხურებოდა	–
3.	იოესებოდეს	–	ეთესებოდეს	–	ეხურებოდეს	–
4.	და-იოესება	ეთესება	და-ეთესება	ეთესება	და-ეხურება	ეხურება
5.	და-იოესებოდა	ეთესებოდა	და-ეთესებოდა	ეთესებოდა	და-ეხურებოდა	ეხურებოდა
6.	და-იოესებოდეს	ეთესებოდეს	და-ეთესებოდეს	ეთესებოდეს	და-ეხურებოდეს	ეხურებოდეს
7.	და-იოესა	ეთესა	და-ეთესა	ეთესა	და-ესურა	ეხურა
8.	და-იოესოს	ეთესოს	და-ეთესოს	ეთესოს	და-ეხუროს	ეხუროს
9.	და-ოესილა	თესებულა	და-სთესია	სთესებია	და-ხურვია	ხურებია
10.	და-ოესილიყო	თესებულიყო	და-სთესოდა	სთესებოდა	და-ხუროდა	ხურებოდა
11.	და-ოესილიყოს	თესებულიყოს	და-სთესოდეს	სთესებოდეს	და-ხუროდეს	ხურებოდეს

შენიშვნა 1: ისევე, როგორც ზმნა **თესია**, იუღლება: **წერია** (ეწერება, ეწერა, წერებულა; დინამიკურია დაწერილა), **ხატია** (ეხატება, ეხატა, ხატებულა; დინამიკურია დახატულა).

შენიშვნა 2: ისევე, როგორც ზმნა **ჳთესია**, იუღლება: **უბჯენია** (ებჯინება, ებჯინა, ჰბჯინებია; დინამიკურია დაჰბჯენია); **უწერია** (ეწერება, ეწერა, სწერებია; დინამიკურია დასწერია); **უხატია** (ეხატება, ეხატა, ხატებია; დინამიკურია დახატვია); **უხელია** (ეხილება, ეხილა, ხილებია; დინამიკურია ახელია).

შენიშვნა 3: ისევე, როგორც ზმნა **ხურავს**, იუღლება: **ჰბურავს** (ებურება, ებურა, ჰბურებია; დინამიკურია დაჰბურვია).

§ 79. აღწერილობითი ვნებითი

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ვნებითი გვარის ზმნების ბუნებრივი ანუ ორგანული (სინთეზური) ფორმების გარდა გამოიყენება ე. წ. აღწერილობითი (პერიფრაზული) ფორმები, რომლებიც შედგება წარსული დროის ზმნისწინიანი მიმღეობის ფუძისა და **იქნა/იქნეს** მეშველი ზმნისაგან. მაგ.:

> შემჩნეულ იქნა/იქნეს, უკუგდებულ იქნა/იქნეს, რეგისტრირებულ იქნა/იქნეს.

ასეთი ვნებითი თანდათან იფართოებს მოქმედების არეს, ამდენად, დგება მისი არა მარტო მართლწერის, არამედ მართებულად გამოყენების საკითხიც.

1. აღწერილობითი ვნებითი ი ხ მ ა რ ე ბ ა :

ა) როცა ვნებითი გვარის ზმნას საერთოდ არ ეწარმოება ორგანული ფორმა ან არ იხმარება II სერიაში. მაგ.: შეათავსა (მან ის) არის მოქმედებითი გვარის ზმნის წყვეტილის მწკრივის ფორმა, მაგრამ არ არსებობს მისი კონვერსიული ვნებითი – შეთავსდა. მის ნაცვლად იხმარება შეთავსებულ იქნა. ასევე მოქმედებითია შენიშნავს, შენიშნა, შენიშნოს, ვნებითი – შეინიშნება, მაგრამ II სერიის ფორმები მხოლოდ აღწერითია: შენიშნულ იქნა/იქნეს.

სწორი ფორმებია: გადაიტანა, გადაიტანოს (მოქმ.) – გადატანილ იქნა/იქნეს;
წაიღო, წაიღოს – წაღებულ იქნა/იქნეს;
შეისწავლის, შეისწავლა, შეისწავლოს – შეისწავლება, შესწავლილ იქნა/იქნეს;
გამოიყენებს, გამოიყენა, გამოიყენოს – გამოიყენება, გამოყენებულ იქნა/იქნეს.

II სერიაში კონვერსიულ ფორმებს აღწერითად აწარმოებს -**ევ**-სუფიქსიანი ფუძედრეკადი ზმნების ნაწილი:

> შეიჩვ-ევ-ს, შეიჩვ-ი-ა, შეიჩვ-ი-ოს – შეჩვეულ იქნა/იქნეს;
> გამოიკვლევს, გამოიკვლია, გამოიკვლიოს – გამოკვლეულ იქნა/იქნეს;
> მოიწვევს, მოიწვია, მოიწვიოს – მოწვეულ იქნა/იქნეს.

-ენ-დაბოლოებიანი წუძედრეკადი ზმნებისგანაც ძნელად იწარმოება ვნებითის ორგანული ფორმები:

სწორია: მიაელ-ენ-ს, მიაელ-ინ-ა, მიაელ-ინ-ოს — მიელენილ იქნა/იქნეს;
მოითმენს, მოითმინა, მოითმინოს — მოთმენილ იქნა/იქნეს;
მოისმენს, მოისმინა, მოისმინოს — მოსმენილ იქნა/იქნეს;
შეადგენს, შეადგინა, შეადგინოს — შედგენილ იქნა/იქნეს;
შეიძენს, შეიძინა, შეიძინოს — შეძენილ იქნა/იქნეს;
ჩაიდენს, ჩაიდინა, ჩაიდინოს — ჩადენილ იქნა/იქნეს.

ორგანული ფორმის წარმოება ვერ უხერხდებათ ვერც იმ ზმნებს, რომელთა აღწერილობითი ვნებითის სახელადი ნაწილი რთული ან **-იზ-** და **-ირ**-ბოლოსართიანი უცხოური სიტყვებისაგან (ან შესიტყვებისაგან) ნაწარმოები მიმღეობის წუძეა:

უარყოფილ/უსრუნველყოფილ/ავტომატიზებულ/ ცენტრალიზებულ იქნა/იქნეს;

ბ) როცა II სერიაში ერთმანეთს ემთხვევა მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევისა და **ი**-პრეფიქსიანი ვნებითის ფორმები, რომელთა გარჩევა მხოლოდ კონტექსტითაა შესაძლებელი. მაგ.:

გადაიწია (გოგონამ თმა), მაგრამ: გადაიწია (ღობე). **ასეთივე ზმნებია:** დაიბნია, დაისახა, დაიშალა, დაიძლია, დაიწყო, ჩაიწერა;

გ) როცა ვნებითის ორგანული ფორმები არაბუნებრივია და აღარ იხმარება.

ესენია: აირჩა, გამოიშვა, დაირბა, დაიშვა, შეიმჩნა;

უნდა იყოს: არჩეულ/გამოშვებულ/დარბეულ/დაშვებულ/ შემჩნეულ იქნა/იქნეს;

დ) როცა წინადადებაში წინ წამოსაწევია გარკვეული ფაქტი, ქმედება, და არა სუბიექტის როლი ამ ქმედებაში. მაგ.:

1952 წ. იუდეის უდაბნოში იტალიელთა არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილ იქნა ოთხი ქართული წარწერა. **შეადარეთ**: 1952 წ. იუდეის უდაბნოში იტალიელთა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა ოთხი ქართული წარწერა;

ე) ოფიციალური დოკუმენტების ენაში დადგენილებების, გადაწყვეტილებების გამოტანისას, განკარგულებების მიცემისას, რადგანაც **იქნეს** ფორმა აღწერილობით ვნებითს ანიჭებს კატეგორიულობას: გამოხატავს მომავალში აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას[259]:

> დაადგინეს: მოწვეულ/ანულირებულ/დემობილიზებულ... იქნეს.

მოდალობის გასაძლიერებლად აღწერით ფორმებს დაერთვის მოდალური სიტყვები ან ნაწილაკები: შესაძლებელია (შესაძლოა), შეიძლება (არ შეიძლება), უნდა. მაგ.:

> შეიძლება (არ შეიძლება) აღიარებულ იქნეს, უნდა გამოთხოვილ იქნეს, შესაძლოა რეალიზებულ იქნეს.

ზოგიერთ ზმნას ეწარმოება ორგანული ვნებითი, მაგრამ სტილისტიკურად უპირატესობა მაინც აღწერით ფორმას ეძლევა, რადგან ამ უკანასკნელს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს, გამოიყენებოდეს განზოგადებულსუბიექტიანი აქტიური ზმნების ნაცვლად. **გაანალიზდა, დაჯილდოვდა, წახალისდა** უფრო პასიურია, ვიდრე **გაანალიზებულ, დაჯილდოებულ, წახალისებულ იქნა** ფორმები[260].

2. აღწერილობითი ვნებითის **შეზღუდვა საჭიროა**:

ა) როცა უფრო ბუნებრივი ჩანს ვნებითის ორგანული ფორმები. მაგ.:

> წერილი დაიწერა და გაიგზავნა. წიგნი გამოიცა და დარიგდა. ხილი მოიკრიფა და დაფასოვდა;

და არა: წერილი დაწერილ და გაგზავნილ იქნა. წიგნი გამოცემულ და დარიგებულ იქნა. ხილი მოკრეფილ და დაფასოებულ იქნა;

ბ) როცა აქტიური (თუნდაც განუსაზღვრელპირიანი) ზმნების გამოყენება უფრო შესაფერისია.

---

[259] თინათინ ღვინაძე, აღწერითი ვნებითი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქსკს, წიგნი IX, თბ., 1989, გვ. 284.

[260] თინათინ ღვინაძე, ვნებითი გვარის ფორმათა გამოყენებისათვის თანამედროვე ქართული პრესის ენაში, ქსკს, წიგნი III, თბ., 1980, გვ. 256.

წელს კახეთში ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს [და არა მიღებული იქნა].

ტყიდან მორები გამოზიდეს და მდინარეზე დააცურეს [და არა გამოზიდულ და დაცურებულ იქნა].

მერიამ თბილისის შემოგარენში დარგო და გაახარა უამრავი წიწვოვანი მცენარე [და არა დარგულ და გახარებულ იქნა].

გ) როცა სულიერი საგნის აღმნიშვნელი სუბიექტი მრავლობით რიცხვშია (რადგან აღწერილობით ვნებითს უჭირს მრავლობითი რიცხვის გამოხატვა).

უმჯობესია: გამარჯვებული ძიუდოისტები ეწვივნენ ტელევიზიას (ან მიიწვიეს ტელევიზიაში).

და არა: გამარჯვებული ძიუდოისტები მიწვეულ იქნენ ტელევიზიაში.

3. აღწერილობითი ვნებითის ფორმების მართებულად გამოსაყენებლად საჭიროა იგი გ ა ნ ვ ა ს ხ ვ ა ო თ შედგენილი შემასმენლისაგან. ეს განსხვავება შემდეგში გამოიხატება:

ა) შედგენილ შემასმენელში სახელად ნაწილად გამოყენებლია როგორც მიმდეობა, ისე სხვა მეტყველების ნაწილები, მეშველ ზმნად კი – არის, იქნება, იყო, ყოფილა, გახლავს, დარჩა, ჩანს, დადგა (სამივე პირის ორივე რიცხვში):

ღამე არის/იქნება/იყო/ყოფილა ნისლიანი. ბავშვები **გახარებული არიან.** ვარდები **გაშლილია.** ისინი დიდი თეატრის **მსახიობები ყოფილან.** ჩვენ **მეზობლები ვართ.**

ბ) შედგენილი შემასმენელი განარჩევს სულიერსა და უსულოს:

შვილი **გაგზავნილი მყავს.** წერილი **გაგზავნილი მაქვს.**

გ) მისი სახელადი ნაწილი თითქმის ყოველთვის სახელობითი ბრუნვის ფორმითაა. იგი შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს ზმნურ ნაწილს:

არის/იქნება/იქნა/იქნეს/იყო/ყოფილა **აღწერილი. რეგისტრირებული** ვართ/ხართ/არიან/იქნებიან/იყვნენ/ ყოფილან. ეს **არჩეული** უნდა ყოფილიყო.

დ) აღწერილობითი ვნებითის სახელადი ნაწილი კი მხოლოდ მიმღეობაა, რომელიც ყოველთვის უსწრებს მე'შველ ზმნას და წარმოდგენილია ფუძის სახით:

მიწვეულ იქნა, **მოწვეულ** იქნეს, უნდა **გამოკვლეულ** იქნეს;

ე) აღწერილობითი ვნებითის ზმნური ნაწილი გვხვდება მხოლოდ II სერიის მწკრივებში მხოლოობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ფორმით (ანუ მხოლოდ ერთი პირის გაგება აქვს):

ეს ასრი უკუგდებულ **იქნა/იქნეს**. მატჩის ანგარიში არ შეიძლება ანულირებულ **იქნეს**;

ვ) აღწერილობითი ვნებითი არ განარჩევს სულიერსა და უსულოს:

ბავშვი **მიღებულ იქნა**. თანხა **მიღებულ იქნა**.

ზ) აღწერილობითი ვნებითი მონაწილეობს ვნებითი გვარის პარადიგმაში. მაგ.:

I სერია

აწმყო	იკითხება	იხსენიება	ირჩევა
უწყვეტელი	იკითხებოდა	იხსენიებოდა	ირჩეოდა
აწმყოს კავშირებითი	იკითხებოდეს	იხსენიებოდეს	ირჩეოდეს
მყოფადი	წაიკითხება	მოიხსენიება	აირჩევა
ხოლმეობითი	წაიკითხებოდა	მოიხსენიებოდა	აირჩეოდეს
მყოფადის კავშირებითი	წაიკითხებოდეს	მოიხსენიებოდეს	აირჩეოდეს

II სერია

წყვეტილი	წაკითხულ იქნა	მოხსენიებულ იქნა	არჩეულ იქნა
II კავშირებითი	წაკითხულ იქნეს	მოხსენიებულ იქნეს	არჩეულ იქნეს

III სერია

I თურმეობითი	წაკითხულა	მოხსენიებულა	არჩეულა
II თურმეობითი	წაკითხულიყო	მოხსენიებულიყო	არჩეულიყო
III კავშირებითი	წაკითხულიყოს	მოხსენიებულიყოს	არჩეულიყოს

ვფიქრობთ, აღწერილობით ენებითთან დაკავშირებით გასაზიარებელია ის მოსაზრება, რომ „მოცემული სტრუქტურის (მიმღეობის ფუძე + იქნა/იქნეს – ი. ბ.) კომპონენტების გადასმისას (რიგის შეცვლის ან გათიშვის დროს) საქმე გვექნება პასიური სემანტიკის მქონე ჩვეულებრივ აღწერით ფორმასთან, ჩვეულებრივ შედგენილ შემასმენელთან, რომელშიც ენებითი გვარის მიმღეობა სახელობით ბრუნვაშია (იქნა აშენებული, აშენებული რომ იქნეს...)“[261].

აღწერილობითი ენებითი შეუსღუდავად გამოიყენება პრესისა და სამეცნიერო ლიტერატურის ენაში. მის გავრცელებას ხელი შეუწყო სხვა ენებიდან პირდაპირმა გადმოთარგმნამაც. საჭიროა შეისღუდოს პასიურ კონსტრუქციათა მოჭარბებულად გამოყენება და, სადაც შესაძლებელია, ვიხმაროთ ქართული ენისათვის უფრო ბუნებრივი აქტიური ფორმები.

---

[261] თ ი ნ ა თ ი ნ ღ ვ ი ნ ა ძ ე, აღწერილი ენებითი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქსკს, წიგნი IX, გვ. 290.

საშუალი გვარი

თანამედროვე მორფოლოგიური კვალიფიკაციის მიხედვით საშუალი, როგორც გვარი, არ არსებობს. სხვადასხვა სტრუქტურისა და უღლების მქონე ზმნებს, რომლებიც არც მოქმედებითია და არც ვნებითი და რომლებიც გარდაუვალია, მაგრამ არ არის კონვერსიული რომელიმე გვარის მიმართ, მხოლოდ პირობითად უწოდებენ საშუალი გვარისას. ჩვენც ვიზიარებთ ამ მოსაზრებას, თუმცა ჯერჯერობით არსებული ქართული ენის ძირითადი სასწავლო სახელმძღვანელოების შესაბამისად ამ ტიპის ზმნებს გვარის ცალკე სახეობად გამოვყოფთ.

მოქმედებითი და დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებს უღლების სისტემა ნორმალურად აქვთ განვითარებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ მოეპოვებათ ყველა მწკრივის ფორმა და აწმყოს ფუძეზე ზმნისწინის დართვით ეწარმოებათ მყოფადის მწკრივისა და სრული ასპექტის ფორმა (ხატავს – დახატავს; იფარება – დაიფარება). ე. წ. საშუალი გვარის ზმნა კი „უწესოა“: მას შეუძლია მხოლოდ აწმყოს წრის ან აწმყოს მწკრივის წარმოება, დანარჩენ მწკრივებს ივსებს შესაბამისი ფუძის მოქმედებითი ან ვნებითი გვარის ფორმებით (თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც). ამის მიხედვით ის ან საშუალმოქმედებითია (მედიოაქტივი), ან საშუალვნებითი (მედიოპასივი). ამასთან, საშუალი გვარის ზმნებს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, სრული ასპექტის წარმოება არ შეუძლიათ. ზმნისწინებს, რომლებსაც ისინი აწმყოშიევე დაირთავენ, არ აკისრიათ სრული ასპექტის მაწარმოებლის ფუნქცია და მხოლოდ მიმართულებას ან მოქმედების ინტენსივობას აღნიშნავენ (მოდის, დასცქერის, დაქრის, გაკივის).

საშუალი გვარის ზმნებს არაერთი თავისებურება ახასიათებთ: ზოგს მხოლოდ სუბიექტური წყობა აქვს, ზოგს – მხოლოდ ობიექტური, ზოგი I და II პირში მეშვეულზმნიანია, ზოგს მხოლოდ III პირი შეუწყობა, ზოგი III სერიაშია ინვერსიული, ზოგი – აწმყოშივე. ბევრი ზმნა ნაკლულ მწკრივებს სესხების გზითაც ვერ ივსებს.

აწმყოში საშუალი გვარის ზმნის ზოგადი ყალიბები იგივეა, რაც მოქმედებითისა. კერძოდ:

I. [ზმნური ფუძე] – Ø: თოვს, დუღს, უყეფს; დგას, სურს, სძულს.

II. [ზმნური ფუძე (ე/ი)] – Ø: კბენს – უკბინა; სწყენს – აწყინა.

III. [ზმნური ფუძე] – თემის ნიშანი: ცურავს, ცურაობს, ტრიალებს, იღვიძებს; ღვიძავს.

§ 80. საშუალმოქმედებითი გვარის ზმნები

მოქმედებითისაგან ნასესხებ ერთპირიან ზმნებს სათავისო ქცევის მოდელი აქვთ (დუღს – იდუღებს, იდუღა), ორპირიანებს – ძირითადად სასხვისოსი, თუმცა იშვიათად ეწარმოებათ (ჰპატრონობს – უპატრონებს, უპატრონა; სდარაჯობს – უდარაჯებს, უდარაჯა). რამდენიმე ზმნა თავსართთან ერთად ზმნისწინსაც დაირთავს (იყეფებს – დაიყეფებს; იქუხებს – დაიქუხებს).

საშუალმოქმედებითი გვარის ზმნების კონსტრუქცია სამივე სერიის მიხედვით ასეთია:

ა) ის, მან, მას (III სერიის ფორმები ინვერსიულია). მაგ.:

წუხს – იწუხებს, იწუხა, უწუხია
(ეწუხა)
ტირის – იტირებს, იტირა, უტირია
(ეტირა)
იცინის – იცინებს, იცინა, უცინია
(ეცინა)
კნავის – იკნავლებს, იკნავლა, უკნავლია
(ეკნავლა)
ბზუის – იბზუელებს, იბზუელა, უბზუელია
(ებზუელა)
თრთის – ითრთოლებს, ითრთოლა, უთრთოლია
(ეთრთოლა)
თვლემს ის (მაგრამ: სთვლემს მას) – ჩათვლემს, ჩათვლიმა, ჩაუთვლემია (ჩაეთვლიმა)
ილხენს – მოილხენს, მოილხინა, მოულხენია
(მოელხინა)
ბრუნავს – იბრუნებს, იბრუნა, უბრუნია
(ებრუნა)
გორავს – იგორებს, იგორა, უგორია
(ეგორა)

ღელავს – იღელვებს, იღელვა, უღელვია (ელელვა)
ციმციმებს – იციმციმებს, იციმციმა, უციმციმია (ეციმციმა)
ფარფატებს – იფარფატებს, იფარფატა, უფარფატია (ეფარფატა)
ფრიალებს – იფრიალებს, იფრიალა, უფრიალია (ეფრიალა)
იძინებს – დაიძინებს, დაიძინა, დაუძინია (დაეძინა)
ამთქნარებს ის (მაგრამ: ამთქნარებს მას) – დაამთქნარებს, დაუმთქნარებია (დაემთქნარებინა)
მორცხვობს – იმორცხვებს, იმორცხვა, უმორცხვია (ემორცხვა)
გორაობს – იგორავებს, იგორაა, უგორავია (ეგორავა)
თავმჯდომარეობს– ითავმჯდომარევებს, ითავმჯდომარეა, უთავმჯდომარევია (ეთავმჯომარევა)
ხელმწიფობს – იხელმწიფებს, იხელმწიფა, უხელმწიფია (ეხელმწიფა)
საზრდოობს – ისაზრდოებს, ისაზრდოა, უსაზრდოია (ესაზრდოა)
ცრუობს – იცრუებს, იცრუა, უცრუია (ეცრუა)
დავობს – იდავებს, იდავა, უდავია (ედავა).

შენიშვნა: მხოლოდ აწმყოს წრის წარმოება შეუძლია ამავე ზმნების ზმნისწინიანი და სასხვისო ქცევის ფორმების უმეტესობას. მაგ.: დაბზუის, დაქრის, დაგორავს, დაფარფატებს, მოღელავს: დაჰბზუის, მისტირის; უთრთის, უბრუნავს, უგორავს, უღელავს, უციმციმებს, უფარფატებს, უფრიალებს. სასაუბრო ენაში ნაკლული მწკრივები მათ შეიძლება შეევსოთ დონიანი ვნებითის ფორმებით. მაგ.: აუთრთოლდება, აუციმციმდება, აუფარფატდება, აუფრიალდება (ამავე ფუძეებისგან ნაწარმოებ ვნებითებს კი აწმყოს წრეში ჩაენაცვლება საშუალის ფორმები. იხ. ვნებითი გვარის ზმნების მართლწერა, № 1).

ამ ორპირიანი ზმნების ნაწილი ინვერსიული შინაარსისაა, როცა მორფოლოგიური სუბიექტი რეალურად პასიურია (ობიექტია), ხოლო მორფოლოგიური ობიექტი (ძირითადად პერსონალური პირი) – აქტიური. მაგ.: უწუხს, უძგერს, უტირის, უკვნესის (მას გული), უშფოთავს (მას სული), უელავს (მას თვალები), უბრუის, ულაყლაყებს (მას თავი).

ბ) ის მას, მან მას, მას (მისთვის) (III სერიის ფორმები ინვერსიულია). მაგ.:

ჰკბენს – უკბენს, უკბინა, უკბენია (ეკბინა)
რქენს – ურქენს, ურქინა, ურქენია (ერქინა)
სწყენს – აწყენს, აწყინა, უწყენია (ეწყინა)
სჯობნის – აჯობებს, აჯობა, უჯობნია (ეჯობნა)
დასცინის – დასცინებს, დასცინა, დაუცინია (დაეცინა)
შელმუის – შელმუვლებს, შელმუვლა, შეულმუვლია (შეელმუვლა)
სცემს – სცემს, სცემა (მან მას, და არა მან ის), უცემია, (ეცემა მას მისთვის)
უკირკიტებს – უკირკიტებს, უკირკიტა, უკირკიტია (ეკირკიტა)
ერთგულობს – უერთგულებს, უერთგულა, უერთგულია (ეერთგულა)
მოციქულობს – უმოციქულებს, უმოციქულა, უმოციქულია (ემოციქულა).

გ) ის, –, –. მხოლოდ აწმყოს წრის ფორმები მოეპოვება ბევრ ზმნას, როგორიცაა: ილტვის, იჩქარის, ყვავის, ბჭობს, დარდიანობს, ერობს, ლხინობს, მხნეობს, ფასობს, შიშობს, ჭარბობს.

აწმყოს წრის გარდა სხვა მწკრივების წარმოება ძნელად უხერხდება წარმოქმნილი სახელებისაგან ან კომპოზიტებისაგან ნაწარმოებ ზმნებსაც, მაგ.: გესლიანობს, მდგომარეობს, მევახშეობს, მიმდინარეობს, მძვინვარებს, მჭმუნვარებს; გულზვიადობს, ენამახვილობს, მჭევრმეტყველებს, აგრეთვე ორპირიან ზმნებს: ლამობს, მადლობს, სწყალობს, სჭარბობს (იხ. ა-ს შენიშვნა).

დ) პირგაუჩინარებულია ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ზმნები. ისინი მხოლოდ მხ. რიცხვის III პირის ფორმით იხმარება. მაგ.:

თოვს – ითოვებს (ან მოთოვს, თუ ყურადღება გამახვილებულია თოვლზე), ითოვა (ან მოთოვა), უთოვია (ან მოუთოვია), (ეთოვა ან მოეთოვა)
ქუხს – იქუხებს, იქუხა, უქუხია (ექუხა)
ყინავს – მოყინავს, მოყინა, მოუყინავს (მოეყინა)
წვიმს – იწვიმებს (ან წამოწვიმს), იწვიმა (ან წამოწვიმა), უწვიმია (ან წამოუწვიმია), ეწვიმა (ან წამოეწვიმა).

§ 81. საშუალმოქმედებითი გვარის ზმნების მართვა

1. ვიცინი თუ ვიცინივარ? ვმღერი თუ ვმღერივარ?

საშუალმოქმედებითი გვარის ზოგ ზმნას მდგომარეობისა და მოძრაობის აღმნიშვნელი საშუალვნებითების ანალოგიით აწმყოს მწკრივის I და II პირში ხედმეტად უჩნდება მეშველზმნიანი ფორმები.

სწორია: ვიცინი (იცინი), ვკენესი, ვკივი, ვმღერი, ვტირი, ვღმუი, ვყვირი, ვჩივი, ვწივი, ვხვნეში, ვორთი, ვკრთი, ვტყუი, ვძრწი.

და არა: ვიცინივარ (იცინიხარ), ვკენესივარ, ვკივივარ, ვმღერივარ, ვღმუივარ, ვყვირივარ, ვჩივივარ, ვწივივარ და მისთ.

გამონაკლისია: დავდივარ (დადიხარ), დავრბივარ, ვდუღვარ, ვწუხვარ (წუხხარ).

2. იღვწის თუ იღწვის?

ამ ზმნაში **ვ**-მ შეცვალა უმარცვლო **უ**. ძველი ფორმებია: იღუწის, იღუაწა, მოღუაწე, მოღუაწება, ღუაწლი[262]. საკონტროლოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვა მწკრივების, აგრეთვე სახელზმნის ფორმები: იღვაწებს, იღვაწა, უღვაწია, ღვაწლი, მოღვაწე (არავინ იტყვის: იღწავებს, იღწავა, უღწავია, ღწაველი, მოღწავე).

მაშასადამე, სწორი ფორმაა იღვწის.

3. ვარგვარ თუ ვარგივარ?

ვარგა წარმოშობით სახელი და ზმნაა (შედგენილი შემასმენელი — ვარგ არს). **ა** მეშველი ზმნის ნაშთია, რომელიც ამჟამად პირის ნიშნის ფუნქციითაა აღჭურვილი[263]. ასე რომ, გრამატიკულად კანონიერი ფორმებია: ვვარგვარ, ვარგხარ, ვარგა, ვვარგვართ, ვარგხართ, ვარგან — და ასეც არის შეტანილი

---

[262] იხ. ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი.

[263] ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 190.

უამრავ ნორმატიულ გამოცემაში. მაგრამ, თუ რეალობას თვალს გავუსწორებთ, აშკარაა წინააღმდეგობა სალიტერატურო ენის ნორმასა და ცოცხალ მეტყველებას შორის. ამ უკანასკნელში კი ეს ზმნა ასეთი ფორმებით იხმარება: ვვარგივარ, ვარგიხარ, ვარგა. იგივე ფორმები დასტურდება ახალი ორთოგრაფიული ლექსიკონის ელექტრონულ ვერსიაში[264] (მართლაც, განა რომელიმე ენათმეცნიერი იტყვის თავის სამზარეულოში: „მზარეულად არ ვვარგვარ“?).

4. **-ავ** და **-ივ** მარცვლებით დაბოლოებულ ზმნებს ნასესხებ ფორმებში უჩნდებათ **-ილ**-ბოლოსართისეული **ლ**, **უ**-თი დაბოლოებულებს კი – **ვ** და **ლ**, როგორც ეს სათანადო მოქმედებითშია:

ბღ-**ავ**-ის – იბღ-**ავ-ლ**-ებს; კნავის – იკნა**ვლ**ებს; ღნავის – იღნა**ვლ**ებს;
კ-**ივ**-ის – იკ-**ივ-ლ**-ებს; ჩივის – იჩი**ვლ**ებს; წივის – იწი**ვლ**ებს;
ბზ-**უ**-ის – იბზ-**უ-ვ-ლ**-ებს; ზმუის – იზმუ**ვლ**ებს; შხუის – იშხუ**ვლ**ებს.

გამონაკლისი: ტყ-უ-ის – იტყ-უ-ებს, რადგან სათანადო მოქმედებითია **ატყუებს**.

5. რამდენიმე ზმნას მოქმედებითისაგან გადმოჰყვება **-ოლ** ბოლოსართი:

იბრძვის [და არა ბრძოლობს] – იბრძ**ოლ**ებს; თრთის – ითრთო**ლ**ებს; ქრის – იქრო**ლ**ებს.

6. აღმოსავლურ დიალექტებში ზოგ ზმნას I და II თურმეობითში ჩაერთვის **ნ** ბოლოსართი (უთამაშნია, ეთამაშნა), რაც ნორმის დარღვევაა (იხ. ნორმები, გვ. 222).

სწორია: ულოცია, უსრიალია, უტირია, უწუხია;

და არა: ულოცნია, უსრიალნია, უტირნია, უწუხნია.

7. მოქმედებითი გვარის ზმნებს III სუბიექტური პირისა და მრ. რიცხვის ნიშნად წყვეტილში მოუდით **-ეს** ბოლოსართი. იგივე ნიშანი უნდა ჰქონდეთ იმ ზმნებს, რომლებიც ნაკლულ მწკრივებს მოქმედებითი გვარის ფორმებით ივსებენ.

---

264 იხ. ინტერნეტი, ena.ge/orthography-online.

სწორია: იმუშაევს, ითამაშეს, იგუნდაევს, უდარაჯეს;

და არა: იმუშაევენ, ითამაშენ, იგუნდაევენ, უდარაჯენ.

8. ზოგ ზმნას ხან ერთპირიანის მნიშვნელობა აქვს, ხან ორპირიანისა. ესენია: ბოდავს, გალობს, გლოვობს, თამაშობს, იკვეხნის, ლაპარაკობს, მღერის, ნანობს, სწავლობს, ფიქრობს, ფიცულობს, ყვირის, ჩივის, წუხს. მაგ.:

ეს კაცი მთელ დღეს მღერის (ის), მაგრამ: ეს კაცი „ჰერიოს“ მღერის (ის მას);
ეს ბავშვი კარგად ცეკვავს (ის), მაგრამ: სამი თვის ცოტნე ინასარიძე „ყაზბეგურს“ ცეკვავს (ის მას).

ასეთ ზმნებს საკუთარი წარმოების ფორმები მხოლოდ აწმყოს წრეში აქვთ, დანარჩენს სესხულობენ მოქმედებითისაგან, ანუ იუღლებიან როგორც საშუალმოქმედებითი გვარის ზმნები. მაგ.:

ბოდავს – იბოდებს, იბოდა, უბოდია; გალობს – იგალობებს, იგალობა, უგალობია; თამაშობს – ითამაშებს, ითამაშა, უთამაშია; ლაპარაკობს – ილაპარაკებს, ილაპარაკა, ულაპარაკია; მღერის – იმღერებს, იმღერა, უმღერია; სწავლობს – ისწავლის, ისწავლა, უსწავლია.

შენიშვნა: ამღერდება, ალაპარაკდება, ათამაშდება, აჭიკჭიკდება და მისთ. ვნებითი გვარის ფორმებია, რომლებსაც აწმყოში ენაცვლება საშუალმოქმედებითი გვარის ზმნები: მღერის, ლაპარაკობს, თამაშობს, ჭიკჭიკებს და მისთ.

9. თანავუგრძნობ თუ ვუთანაგრძნობ? ვთანამშრომლობ თუ თანავმშრობლობ?

-ობ-თემისნიშნიან ზმნათა დიდი ჯგუფი ნასახელარია. ისინი იწარმოება როგორც მარტივი, ისე რთული სახელებისაგან (კომპოზიტებისაგან). ასეთი კომპოზიტების ბოლო კომპონენტი უმეტესწილად მიმღეობაა, იშვიათად – სახელი (მაგრამ არა ზმნა). მაგ.: შუამავალი, ქვემძრომი, გულფიცხი, ქედმაღალი.

როგორც აღვნიშნეთ (იხ. მოქმედებითი გვარი, № 15), I სუბიექტურ-ობიექტური და II ობიექტური პირის, აგრეთვე ქცევის ნიშნები **რთული სახელებისგან ნაწარმოებ** ზმნებს თავში

დაერთვის (თანამშრომელი ⇒ **ვ**-თანამშრომლობ), **რთულ ზმნას** კი – შუაში, შემადგენელ კომპონენტებს შორის (თანა-ვ-უ-გრძნობ). საკონტროლოდ აქაც შეგვიძლია გამოვიყენოთ მყოფადისა და I თურმეობითის ფორმები. ნასახელარ ზმნებს მყოფადში ჩაენაცვლება მოქმედებითი გვარის ზმნის სათავისო (ერთპირიანებს) და სასხვისო (ორპირიანებს) ქცევის ფორმები. მაგ.:

ავადმყოფი ⇒ **ვ**-ავადმყოფობ, **ვ-ი**-ავადმყოფებ,
მ-ი-ავადმყოფია (არავინ იტყვის: ავადმიმყოფია)

გულთმისანი ⇒ **ვ**-გულთმისნობ, **ვ-ი**-გულთმისნებ,
მ-ი-გულთმისნია

გულშემატკივარი ⇒ **ვ**-გულშემატკივრობ (მე მას),
ვ-უ-გულშემატკივრებ, **მ-ი**-გულშემატკივრია

ვაჟკაცი ⇒ **ვ**-ვაჟკაცობ, **ვ-ი**-ვაჟკაცებ, **მ-ი**-ვაჟკაცია

ზედამხედველი ⇒ **ვ**-ზედამხედველობ,
ვ-ი-ზედამხედველებ, **მ-ი**ზედამხედველია

ქედმაღალი ⇒ **ვ**-ქედმაღლობ, **ვ**-ი-ქედმაღლებ,
მ-ი-ქედმაღლია

შუამდგომელი ⇒ **ვ**-შუამდგომლობ (მე მას),
ვ-უ-შუამდგომლებ, **მ-ი**-შუამდგომლია.

შეადარეთ რთული ზმნები: ნათელ-**ვ**-ყოფ – ნათელ-**მ**-ი-ყვია; უკვდავ-**ვ**-ყოფ – უკვდავ-**მ**-ი-ყვია; უკუ-**ვ**-ფენ – უკუ-მ-ი-ფენია, თანა-**ვ**-უგრძნობ (როგორც რთული ზმნა) და **ვ**-თანამშრომლობ (როგორც რთული სიტყვისგან ნაწარმოები ზმნა).

10. მას (მისთვის) უხელმძღვანელია თუ უხელმძღვანელებია?

ზოგჯერ **-ობ**-თემისნიშნიან ერთპირიან და ორპირიან ზმნებს აწმყოში აქვთ ომონიმური ფორმები, რადგან ფონეტიკური მიზეზის გამო III ირიბობიექტური პირის ნიშანი წარმოდგენილი არ არის. მაგ.: მკითხაობს ის (= მკითხავია) და მკითხაობს ის მას. ასეთი ფორმები თემის შედგენილობის მიხედვით ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან I თურმეობითში (ზოგჯერ II თურმეობითსა და III კავშირებითშიც). კერძოდ, ორპირიან ზმნებს თემა გართულებული აქვთ -ებ ნიშნით. მაგ.: ხელმძღვანელობს ის მას – უხელმძღვანელებია მას (მისთვის). შეადარეთ:

	1-პირიანი	2-პირიანი	1-პირიანი	2-პირიანი	1-პირიანი	2 პირიანი
აწმყო	მაჭანკლობს	მაჭანკლობს	მკურნალობს	მკურნალობს	მასპინძლობს	მასპინძლობს
მყოფადი	იმაჭანკლებს	უმაჭანკლებს	იმკურნალებს	უმკურნალებს	იმასპინძლებს	უმასპინძლებს
წყვეტილი	იმაჭანკლა	უმაჭანკლა	იმკურნალა	უმკურნალა	იმასპინძლა	უმასპინძლა
I თურმ.	უმაჭანკლია	უმაჭანკლებია	უმკურნალია	უმკურნალებია	უმასპინძლია	უმასპინძლებია

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როცა საქმე ეხება I და II ირიბობიექტური პირის ფორმაწარმოებას, სალიტერატურო ენა ზოგჯერ უპირატესობას ანიჭებს სახელურ-ზმნურ შესიტყვებას. მაგ.: მასპინძლობს ის მას, მაგრამ: ის მე **მასპინძლობას მიწევს**, ის შენ **მასპინძლობას გიწევს**. ასევე ის მას ხელმძღვანელობს, მაგრამ: ის მე ხელმძღვანელობას მიწევს, ის შენ ხელმძღვანელობას გიწევს.

§ 82. ვ-ს შემონახვა, დაკარგვა და ჩართვა საშუალმოქმედებითი გვარის ზმნებში

ნორმების თანახმად,

12. **ვ** დაცულ უნდა იქნეს:

ა) სხვათა სიტყვის **-ო** ნაწილაკის წინ, თუ შემასმენლად **-ავ-** ან **-ევ-**ბოლოსართიანი ზმნების I ან II პირის ფორმებია (იხ. ნორმები, გვ. 10):

ეგორაევო (გორაევო), ვტოკაევო, ვბრუნაევო, მივაღწევო.

ბ) **-ობ-**თემისნიშნიანი ზმნების ყველა მწკრივში, მათ შორის II და III კავშირებითში, თუ **ვ** ძირეულია. მაგ.:

მორცხვობს, მორცხვობდა, მორცხვობდეს, იმორცხვებს, იმორცხვებდა, იმორცხვებდეს, იმორცხვა, იმორცხვოს, უმორცხვია, ემორცხვა, ემორცხვოს; დავობს, დავობდა, დავობდეს, იდავებს, იდავებდა, იდავებდეს, იდავა, იდავოს, უდავია, ედავა, ედავოს.

ასევე: ბავშვობს, გლოვობს, გულუხვობს, ეჭვობს, მოურავობს.

13. ფუძის ბოლოკიდური **ვ** იკარგება (იხ. ნორმები, გვ. 19):

უწყვეტლის **-ოდ** სავრცობის წინ.

ბღავის – ბღაჶ-ოდა ⇒ ბღაოდა; კივის – კიჶ-ოდა ⇒ კიოდა; კნავის – კნაჶ-ოდ-ა ⇒ კნაოდა; ყვავის – ყვაჶ-ოდ-ა ⇒ ყვაოდა; წივის – წიჶ-ოდ-ა ⇒ წიოდა; ჭყავის – ჭყაჶ-ოდ-ა ⇒ ჭყაოდა.

14. ვ ჩაერთვის:

ა) **ცურაობს** ტიპის და ა-თი დაბოლოებული სახელებისაგან წარმოებულ -ობ-თემისნიშნიან ზმნებს (თუ წარმოებისას ა არ მოეკვეცება) ნასესხებ მწკრივებში, გარდა II და III კავშირებითისა (იხ. მოქმედებითი გვარი, № 17 „ა“):

მუშა-ობს –	იმუშა-ვ-ებს,	იმუშა-ვ-ა,	მაგრამ:	იმუშა-ოს	II კავშ.
	უმუშა-ვ-ია,	ემუშა-ვ-ა,	მაგრამ:	ემუშა-ოს	III კავშ.
გუნდა-ობს –	იგუნდა-ვ-ებს,	იგუნდა-ვ-ა,	მაგრამ:	იგუნდა-ოს	II კავშ.
	უგუნდა-ვ-ია,	ეგუნდა-ვ-ა,	მაგრამ:	ეგუნდა-ოს	III კავშ.
კოხტა-ობს –	იკოხტა-ვ-ებს,	იკოხტა-ვ-ა,	მაგრამ:	იკოხტა-ოს	II კავშ.
	უკოხტა-ვ-ია,	ეკოხტა-ვ-ა,	მაგრამ:	ეკოხტა-ოს	III კავშ.
ბურთა-ობს –	იბურთა-ვ-ებს,	იბურთა-ვ-ა,	მაგრამ:	იბურთა-ოს	II კავშ.
	უბურთა-ვ-ია,	ებურთა-ვ-ა,	მაგრამ:	ებურთა-ოს	III კავშ.
მოძრა-ობს –	იმოძრა-ვ-ებს,	იმოძრა-ვ-ა,	მაგრამ:	იმოძრა-ოს	II კავშ.
	უმოძრა-ვ-ია,	ემოძრა-ვ-ა,	მაგრამ:	ემოძრა-ოს	III კავშ.
ცურა-ობს –	იცურა-ვ-ებს,	იცურა-ვ-ა,	მაგრამ:	იცურა-ოს	II კავშ.
	უცურა-ვ-ია,	ეცურა-ვ-ა,	მაგრამ:	ეცურა-ოს;	III კავშ.

მაგრამ: არსება – არსებ-ობს, იარსებ-ებს;
შრომა – შრომ-ობს, იშრომ-ებს (ა მოეკვეცა).

ბ) ე-თი (თუ წარმოებისას არ მოეკვეცება) და **ო**-თი დაბოლოებული სახელებისგან წარმოქმნილ საშუალმოქმედებითებს ნასესხებ მწკრივებში (თუმცა ასეთი ზმნები ცოტაა და მათაც უჭირთ ნასესხები ფორმების წარმოება. მაგ.:

მორიგე – მორიგე-ობს, იმორიგე-ვ-ებს; მონაწილე – მონაწილე-ობს, იმონაწილე-ვ-ებს; მაგრამ: მეფე – მეფ-ობს, იმეფ-ებს (ე მოეკვეცა).

უცხო – უცხო-ობს, იუცხო-ვ-ებს; საზრდო – საზრდო-ობს, ისაზრდო-ვ-ებს.

დანართი № 58

§ 83. საშუალმოქმედებითი გვარის ზმნების უღლება

ერთპირიანი ზმნები

I სერია (ის)

აწმყოს წრე

1.	დ'ულს	ილხენს	კივის	ზმ'ეის	ქრის
2.	დ'ულდა	ილხენდა	კიოდა	ზმ'ეოდა	ქროდა
3.	დ'ულდეს	ილხენდეს	კიოდეს	ზმ'ეოდეს	ქროდეს

მყოფადის წრე

4.	იდ'ულებს	მოილხენს	იკივლებს	ი'ზმ'ევლებს	იქროლებს
5.	იდ'ულებდა	მოილხენდა	იკივლებდა	ი'ზმ'ევლებდა	იქროლებდა
6.	იდ'ულებდეს	მოილხენდეს	იკივლებდეს	ი'ზმ'ევლებდეს	იქროლებდეს

II სერია (მან)

7.	იდ'ულა	მოილხინა	იკივლა	ი'ზმ'ევლა	იქროლა
8.	იდ'ულოს	მოილხინოს	იკივლოს	ი'ზმ'ევლოს	იქროლოს

III სერია (მას)
ინვერსიული

9.	უდ'ულია	მოულხენია	უკივლია	უზმ'ევლია	უქროლია
10.	ედ'ულა	მოელხინა	ეკივლა	ეზმ'ევლა	ექროლა
11.	ედ'ულოს	მოელხინოს	ეკივლოს	ეზმ'ევლოს	ექროლოს

I სერია (ის)

1.	შრიალებს	ხტ'უნავს	უცხოობს	ხტ'უნაობს	კაცობს
2.	შრიალებდა	ხტ'უნავდა	უცხოობდა	ხტ'უნაობდა	კაცობდა
3.	შრიალებდეს	ხტ'უნავდეს	უცხოობდეს	ხტ'უნაობდეს	კაცობდეს
4.	იშრიალებს	იხტ'უნებს	იუცხოვებს	იხტ'უნავებს	–
5.	იშრალებდა	იხტ'უნებდა	იუცხოვებდა	იხტ'უნავებდა	–
6.	იშრიალებდეს	იხტ'უნებდეს	იუცხოვებდეს	იხტ'უნავებდეს	–

II სერია (მან)

7.	იშრიალა	იხტ'უნა	იუცხოვა	იხტ'უნავა	–
8.	იშრიალოს	იხტ'უნოს	იუცხოოს	იხტ'უნაოს	–

III სერია (მას)
ინვერსიული

9.	უშრიალია	უხტ'უნია	უუცხოვია	უხტ'უნავია	–
10.	ეშრიალა	ეხტ'უნა	ეუცხოვა	ეხტ'უნავა	–
11.	ეშრიალოს	ეხტ'უნოს	ეუცხოოს	ეხტ'უნაოს	–

ორპირიანი ზმნები

I სერია (ის მას)
აწმყოს წრე

1.	სჩხვლეტს	უტატანებს	ღალატობს	(მო)უხმობს	უღელავს
2.	სჩხვლეტდა	უტატანებდა	ღალატობდა	(მო)უხმობდა	უღელავდა
3.	სჩხვლეტდეს	უტატანებდეს	ღალატობდეს	(მო)უხმობდეს	უღელავდეს

მყოფადის წრე

4.	უჩხვლეტს	(და)უტატანებს	უღალატებს	(მო)უხმობს	–
5.	უჩხვლეტდა	(და)უტატანებდა	უღალატებდა	(მო)უხმობდა	–
6.	უჩხვლეტდეს	(და)უტატანებდეს	უღალატებდეს	(მო)უხმობდეს	–

II სერია (მან მას)

7.	უჩხვლიტა	(და)უტატანა	უღალატა	(მო)უხმო	–
8.	უჩხვლიტოს	(და)უტატანოს	უღალატოს	(მო)უხმოს	–

III სერია (მას)
ინვერსიული

9.	უჩხვლეტია	(და)უტატანებია	უღალატია	(მო)უხმია	–
10.	ეჩხვლიტა	(და)ეტატანებინა	ეღალატა	(მო)ეხმო	–
11.	ეჩხვლიტოს	(და)ეტატანებინოს	ეღალატოს	(მო)ეხმოს	–

§ 84. საშუალვნებითი გვარის ზმნები

საშუალმოქმედებითი გვარის ზმნებთან შედარებით მცირეა საშუალვნებითი გვარის ზმნების რიცხვი. ესენია უმთავრესად უთემისნიშნო ზმნები, რომლებიც გამოხატავენ ფიზიკურ მდგომარეობას, ყოლა-ქონებასა და გრძნობა-აღქმას. მათი ნაწილი პირნაკლია, ინვერსიული, დეფექტური უღლების მქონე. მაგ.: დგას, სცივა, სცხელა, სჯერა, შია, სწყურია, უყვარს, შურს, სურს, ახსოვს, სწამს, მოსწონს, სწყინს, უკვირს, რცხვენია, ეშინია, ცივა, ცხელა, ბნელა, გრილა, (რა) აცინებს, (რა) ამღერებს.

საშუალვნებითი გვარის ზმნების კონსტრუქცია ძირითადად ასეთია:

ა) **ის, ის, ის. მაგ.:**

დგას – იდგება, იდგა, მდგარა (მდგარიყო)
დევს – იდება, იდო, დებულა (დებულიყო)
წევს – იწვება, იწვა, წოლილა (წოლილიყო)
ზის – იჯდება, იჯდა, მჯდარა (მჯდარიყო)
სხედს (ძვ.) – ისხდება, ისხდა, მსხდარა (მსხდარიყო)
მიდის – წავა, წავიდა, წასულა (წასულიყო)
არის – იქნება, იყო, ყოფილა (ყოფილიყო)

ბ) ის მას, ის მას, ის მას (მაგრამ ინვერსიული შინაარსისაა, თუ რეალურად აქტიურია მორფოლოგიური ობიექტი – მიცემით ბრუნვაში მდგომი სახელი). მაგ.:

უდევს – ედება, ედო, სდებია
უზის – ეჯდება, ეჯდა, სჯდომია
უწევს – ეწვება, ეწვა, სწოლია
სწყინს – ეწყინება, ეწყინა, სწყენია
ჰყოფნის – ეყოფა, ეყო, ჰყოფნია

გ) **მას ის, –, მას ის (სტაბილურად ინვერსიული).** მაგ.:

აქვს (მაქვს) – ექნება, –, ჰქონია (ჰქონოდა)
სძულს (მძულს) – ეძულება, –, სძულებია (სძულებოდა)
უყვარს (მიყვარს) – ეყვარება, –, ჰყვარებია (ჰყვარებოდა)
უნდა (მინდა) – ენდომება, –, ნდომია (ნდომოდა)
(მაგრამ: ინდომებს – ნდომებია)
სჭირს (მჭირს) – ეჭირვება, –, სჭირვებია (სჭირვებოდა)
ჰყავს (მყავს) – ეყოლება, –, ჰყოლია (ჰყოლოდა)

დ) **მას, მას, – (პირნაკლი, სტაბილურად ინვერსიული)**

ამთქნარებს (მამთქნარებს) – დამამთქნარებს,
დამამთქნარა, –
აცემინებს (მაცემინებს) – დააცემინა,
ახველებს (მახველებს) – დაახველებს, დაახველა, –
აკანკალებს (მაკანკალებს) – ააკანკალებს, ააკანკალა
აციებს (მაციებს) – გააციებს, გააცია
აურიალებს (გაურიალებს) – გააურიალებს, გააურიალა,
– აურჟოლებს (მაურჟოლებს) – გააურჟოლებს,
გააურჟოლა.

შენიშვნა: ამთქნარებს ის, დაამთქნარა მან, დაუმთქნარებია მას (მე ვამთქნარებ, დავამთქნარე, და-

მიმთქნარებია) საშუალმოქმედებითი გვარის არაინ-ვერსიული ზმნაა. ასეთივეა: აცემინებს, ახველებს, აბოყინებს.

§ 85. საშუალვნებითი გვარის ზმნების მართლწერა

1. ვდგავარ თუ ვდგევარ?

საშუალვნებითები აწმყოს მწკრივის I და II პირის ფორმებში მეშველ ზმნას დაირთავენ ფუძისეული ხმოვნის შეუცვლელად, მაგრამ ზოგიერთი ზმნა (ვდგავარ, ვგავარ, ვყავარ) ხშირად გვხვდება უმართებულო ფორმით: ვდგევარ, ვგევარ, ვყევარ (ალბათ **ვწევარ** ზმნის ანალოგიით). როგორ შევამოწმოთ, რომელია ფუძისეული ხმოვანი – ა თუ ე? საკონტროლოდ გამოვიყენოთ III პირის ფორმები: დგა-ს, ჰგავს, ჰყავს.

მაშასადამე, სწორია: ვდგავარ, დგახარ; ვგავარ, ჰგავხარ, გგავარ, მგავხარ; ვყავარ, ჰყავხარ; გყავარ, მყავხარ;

და არა: ვდგევარ, დგეხარ; ვგევარ, ჰგევხარ, გგევარ, მგევხარ; ვყევარ, ჰყევხარ

2. ზოგჯერ **მივდივარ** ზმნის ნაცვლად ხმარობენ **მივალ** ფორმას („მივალ გურიაში, მარა...“), რაც უხეში შეცდომაა. **მივდივარ** ახლანდელი დროის ფორმაა (კითხვა – რას ვშვრები?), **მივალ** კი – მომავალი დროისა (კითხვა – რას ვიზამ?).

მაშასადამე, სწორია: მივდივარ, მიდიხარ, მიდის (აწმყო), წავალ, წახვალ, წავა (მყოფადი).

3. **ვალ, ვედ** ფუძეების წინ I პირის ნიშანი არ იწერება (ენა ერიდება ორი ვ-ს ერთმანეთის გვერდით მოხვედრას).

სწორია: წავალ, წავედი;

და არა: წავვალ, წავვედი;

მაგრამ: წაუვალ, წაუვედი.

4. ურჩევნია თუ ურჩევნიან? ეშინია თუ ეშინიან?

საშუალი გვარის ზოგიერთ ზმნას სტატიკური ვნებითის ანალოგიით მიღებული აქვს **-ია** დაბოლოება. მაგ.: სწადია, სჯობია, ურჩევნია, უხარია (ძველად იყო: სწადის, სჯობს, ურჩევნის, უხარის). დიალექტებში მათ ხმარობენ **-იან დაბოლოებით**, რაც ნორმის დარღვევაა. ძველად ამ ზმნებში **-ან** იყო **მრ. რიცხვის** ნიშანი სახელობითში დასმული სახელისა (მაშინ აქტიური იყო ეს უკანასკნელი). დღევანდელ სალიტერატურო ქართულში მართებულად მიჩნეულია **ე. წ.** უნარო ფორმები:

> სწადია, სჯობია, ურჩევნია, უხარია; **ასევე**: შია, სწყურია, ეშინია, სცალია, რცხვენია.

ზემოთ ჩამოთვლილ ზმნებში დღეს გააქტიურებულია მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი, ამიტომ ნორმაა:

> ის/ისინი მე მირჩევნია, შენ გირჩევნია, მას ურჩევნია, ჩვენ გვირჩევნია, თქვენ გირჩევნიათ, მათ ურჩევნიათ (დაწვრილებით იხ. ობიექტური პირის ფორმები, № 15).

> **შენიშვნა:** გაგიხარია/გაგიხარიან ფორმა, რომელიც დღეს ჩართულად გამოიყენება, მიღებული უნდა იყოს გაიხარენ ზმნის I თურმეობითისაგან[265]. მაგ.: „მამული – გაგიხარია! – ბევრმა აქცია სახრავად...“ (ვახტანგ ჯავახაძე).

5. მაგალითი/ციტატა მოიყვანა თუ მოიტანა?

ერთი შეხედვით, უსულო საგნის აღმნიშვნელ სახელთან უნდა იხმარებოდეს **ტან** ფუძის მქონე ზმნა. მაგრამ ენობრივი ტრადიციით, როგორც უსულო ობიექტის შემთხვევაში იხმარება შეუსაბამო ზმნა, ისე სულიერ ობიექტებს უწყვილდება იმავე ზმნური ფუძით გამოხატული შემასმენელი. მაგ.: მანქანამ კაცი გაიტანა, ბავშვი შიშმა აიტანა, ქალი კანკალმა აიტანა[266].

როგორც აღნიშნავენ, „მყარი გამოთქმები ჩვეულებრივი ლოგიკის წესებს არ ემორჩილება. კერძოდ: ერთი მხრივ, გვხვდება: გვირაბი (სინათლე, არხი, წყალი...) გაიყვანა, ყველი

---

[265] მ ე რ ი შ ი ნ ჯ ი ა შ ვ ი ლ ი, ეშინიან თუ ეშინია? ურჩევნიან თუ ურჩევნია? ჰქვიან თუ ჰქვია? ქსკს, წიგნი I, თბ., 1972, გვ. 185-186.

[266] ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე, კოგნიტიურ კონცეპტთა და ენობრივ მოდელთა შეუსაბამობის შესახებ, ქსკს, წიგნი XIV, თბ., 2014, გვ. 133.

ამოიყვანა, კაბა წელში გამოიყვანა, რიცხვი ხარისხში აიყვანა, ამოცანა (მაგალითი) გამოიყვანა, წილადები ათწილადებში გადაიყვანა და ა.შ.

მეორე მხრივ, გვაქვს: კაცი წერამ (ჯავრმა, კანკალმა...) აიტანა“[267]. ჩანს, **ყვან** ფუძის მქონე ზმნასთან „შეხამებული ყველა სახელი – აზრი, ციტატა, მასალა, ციფრი, მაგალითი, ილუსტრაცია და მისთ. – ფიზიკურად მოტანილ ობიექტებს კი არ გულისხმობს, არამედ დასადასტურებლად და დასასაბუთებლად მოხმობილ, დამოწმებულ ობიექტებს“[268].

ასე რომ, სწორია: მაგალითი/ციტატა მოიყვანა და არა მოიტანა.

6. ავტომანქანა ჰყავს თუ ავტომანქანა აქვს?

ენამ ავტომანქანა, როგორც მოძრავი საგანი, სულიერი საგნის გამომხატველ არსებით სახელებს გაუთანაბრა, ამიტომ:

სწორია: ავტომანქანა ჰყავს;

და არა: ავტომანქანა აქვს.

7. როგორც აღვნიშნეთ, საშუალვნებითი გვარის ზმნები ნაკლულ მწკრივებს ივსებენ პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებით. ის, რაც ითქვა ვნებითი გვარის ზმნებზე მეშველზმნიან და -ოდ- სავრცობიან ფორმებთან დაკავშირებით, ვრცელდება საშუალვნებითებზედაც (იხ. ვნებითი გვარი, № 16-19).

მაშასადამე, სწორია: ვ-მდგარ-ვარ, ვ-წოლილ-ვ-არ, ვ-ყვარები-ვ-არ, ვ-ნდომი-ვ-არ; ვ-მდგარ-იყავი, ვ-წოლილ-იყავი, ვ-ყვარებ-ოდ-ი, ვ-ნდომ-ოდ-ი.

---

[267] შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, ჩვენი ენა ქართული, გვ. 17-18.

[268] შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, იქვე, გვ. 18.

ზმნების პარონიმული წყვილები

აწყენს – ავნებს, ზიანს მიაყენებს (ვინმეს ჯანმრთელობას);
აწყენინებს – არასასიამოვნო რაიმეს შეახვედრებს ან ეტყვის (ვინმეს).

ახურვებს – ხურვება (ცივებ-ცხელება) სჭირს;
ახურებს – 1. ძლიერ აცხელებს (ახურებს თონეს/ღუმელს...); 2. გ ა დ ა ტ ა ნ. აღაგზნებს.

ეჭვობს – საეჭვოდ მიაჩნია (ვეჭვობ, ამ წამალმა გაამართლოს);
ეჭვიანობს – ეჭვიანის თვისებებს ამჟღავნებს (უსაფუძვლოდ ეჭვიანობს მეგობარზე).

ლოცულობს – ლოცვას წარმოთქვამს;
ილოცება – 1. დასალოც სიტყვებს წარმოთქვამს ვინმეს (მაგ.: მოწყალების გამღების) მიმართ; 2. სადღეგრძელოს ამბობს.

ისუნთქებს – სუნთქვას მოჰყვება;
ისუნთქავს – შეისუნთქავს (ისუნთქავს ჰაერს/წამალს).

იქნება – (ხვალ კარგი ამინდი იქნება);
იქმნება – (ახალი ორგანიზაციები/პარტიები).

სწყინს – (სტუდენტს კრიტიკა);
სწყენს – (ბავშვს საჭმელი).

უშავს – (რა უშავს? – რა დაუშავდება? რა მოუვა? რა დაემართება?). შეადარეთ: არა უშავს (რა): 1. არაფერია, ნუ გეფიქრება; 2. ცუდი არ არის;
უშავდება – უფუჭდება, უბრკოლდება, უზიანდება (ხელი/ფეხი... უშავდება).

ძალაობს – ძალით, ჯიქურ მიდის წინ: „ვინც ძალაობდა – ფქვაედაო“ (ანდაზა);
ძალადობს – ვინმეზე ფიზიკურად ან სულიერად ზემოქმედებს; ძალმომრეობს (სცემს; ემუქრება).

ჭირს – ჭირს მუშაობა;
სჭირს – სჭირს გრიპი.

დანართი № 59

დინამიკური ვნებითისა და საშუალვნებითი გვარის ზმნების უღლების ნიმუში

ე რ თ პ ი რ ი ა ნ ი

	ვნებითი	საშუალვნებითი	ვნებითი	საშუალვნებითი
		I სერია (ის)		
		აწმყოს წრე		
1.	წვება	წევს	ჩნდება	ჩანს
2.	წვებოდა	–	ჩნდებოდა	ჩანდა
3.	წვებოდეს	–	ჩნდებოდეს	ჩანდეს
		მყოფადის წრე		
4.	დაწვება	იწვება	გამოჩნდება	–
5.	დაწვებოდა	იწვებოდა	გამოჩნდებოდა	–
6.	დაწვებოდეს	იწვებოდეს	გამოჩნდებოდეს	–
		II სერია (ის)		
7.	დაწვა	იწვა	გამოჩნდა	–
8.	დაწვეს	იწვეს	გამოჩნდეს	–
		III სერია (ის)		
9.	დაწოლილა	წოლილა	გამოჩენილა	–
10.	დაწოლილიყო	წოლილიყო	გამოჩენილიყო	–
11.	დაწოლილიყოს	წოლილიყოს	გამოჩენილიყოს	–

ო რ პ ი რ ი ა ნ ი

	ვნებითი	საშუალვნებითი	ვნებითი	საშუალვნებითი
		I სერია (ის მას)		
		აწმყოს წრე		
1.	უწვება	უწევს	უჯდება	უზის
2.	უწვებოდა	–	უჯდებოდა	–
3.	უწვებოდეს	–	უჯდებოდეს	–

მყოფადის წრე

4.	დაუწვება	ეწვება	დაუჯდება	ეჯდება
5.	დაუწვებოდა	ეწვებოდა	დაუჯდებოდა	ეჯდებოდა
6.	დაუწვებოდეს	ეწვებოდეს	დაუჯდებოდეს	ეჯდებოდეს

II სერია (ის მას)

7.	დაუწვა	ეწვა	დაუჯდა	ეჯდა
8.	დაუწვეს	ეწვეს	დაუჯდეს	ეჯდეს

III სერია (ის მას)

9.	დასწოლია	სწოლია	დასჯდომია	სჯდომია
10.	დასწოლოდა	სწოლოდა	დასჯდომოდა	სჯდომოდა
11.	დასწოლოდეს	სწოლოდეს	დასჯდომოდეს	სჯდომოდეს

შენიშვნა: წევს, დგას ტიპის ზმნებს აკლია უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი, თუმცა წინადადებაში ამ მწკრივების შინაარსის გადმოსაცემად ხშირად გამოიყენება წყვეტილი და II კავშირებითი. მაგ.: ლუარსაბი **იწვა** და ოცნებობდა; **იდგნენ** და **ელოდნენ**; ნაცარქექიასავით უნდა **იჯდეს** და ნაცარს ქექავდეს?

დანართი № 60

საშუალვნებითი გვარის ინვერსიული წყობის ზმნების უღლების ნიმუში

პ ი რ ნ ა კ ლ ი

I სერია (მე)

აწმყოს წრე

1.	მცივა	მშია	მძინავს	მამთქნარებს
2.	მციოდა	მშიოდა	–	მამთქნარებდა
3.	მციოდეს	მშიოდეს	–	

მყოფადის წრე

4.	–	მეშიება	მეძინება	დამამთქნარებს
5.	–	მეშიებოდა	მეძინებოდა	დამამთქნარებდა
6.	–	მეშიებოდეს	მეძინებოდეს	დამამთქნარებდეს

II სერია (მე)

7.	–	–	მეძინა	დამამთქნარა
8.	–	–	მეძინოს	დამამთქნაროს

III სერია (მე)

9.	მციებია	მშიებია	მძინებია	–
10.	მციებოდა	მშიებოდა	მძინებოდა	–
11.	მციებოდეს	მშიებოდეს	მძინებოდეს	–

ო რ პ ი რ ი ა ნ ი

I სერია (ის მე)

აწმყოს წრე

2.	მწყინს	მიყვარს
3.	მწყინდა	მიყვარდა
4.	მწყინდეს	მიყვარდეს

მყოფადის წრე

5.	მეწყინება	მეყვარება
6.	მეწყინებოდა	მეყვარებოდა
7.	მეწყინებოდეს	მეყვარებოდეს

II სერია (ის მე)

8.	მეწყინა	–
9.	მეწყინოს	–

III სერია (ის მე)

10.	მწყენია	მყვარებია
11.	მწყენოდა	მყვარებოდა
12.	მწყენოდეს	მყვარებოდეს

შენიშვნა: მწყინს (ისევე როგორც **მომწონს**) ნაკლულ მწკრივებში თავისი ფუძის ვნებითზე გადადის და სრული ასპექტის გაგებაც აქვს (**მეწყინა, მომეწონა**), განსხვავებით სხვა საშუალი გვარის ზმნებისაგან, რომლებიც ზმნისწინს საერთოდ არ დაირთავენ.

§ 86. ბრძანებითი კილოს ფორმათა მ ა რ თ ლ წ ე რ ა

ბრძანებითი კილო ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი (აკრძალვითი). უკუთქმითთან იხმარება არ და ნუ ნაწილაკები ან მათი შემცველი ნაცვალსახელები (არავინ, ნურავინ, არაფერი, ნურაფერი) და ზმნიზედები (არსად, ნურსად, არასდროს, ნურასდროს). ბრძანება (ან თხოვნა, ხვეწნა, წაქეზება-გამხნევება, დალოცვა, წყევლა, რჩევა-დარიგება, მოწოდება, მუქარა) ძირითადად II სუბიექტური პირისადმია მიმართული:

ისმინე, სწავლის მაძებნელო! ქართველო, ხელი ხმალს იკარ! აქ დაბრძანდი.

ბრძანება ზოგჯერ I პირს ეხება (მრავლობითის ფორმას), იშვიათად — III-საც (თუმცა II პირი აქაც ივარაუდება):

ნუ შევხედავთ ერთმანეთსა, ჩაგვაჭორიჭორებენო.
შეგვიტყობენ სიყვარულსა, დაგვაშორიშორებენო!
(ხალხური).

ერმა და ბერმა, ერმა და ბერმა
ყველამ თავისი საქმე აკეთოს! (მურმან ლებანიძე).

ბრძანებითი კილო გამოხატულია იმ ზმნებშიც, რომელთაც დაკარგული აქვთ სუბიექტური პირი:

ომი დამთავრდა, გეშინოდეთ მშვიდობისა!

ძველად წართქმით ბრძანებითს თავისი ფორმა ჰქონდა. მაგ., წყვეტილის ფორმა **დაჰფარე** თხრობითი კილოსი იყო, II ბრძანებითის **დაფარე** — ბრძანებითისა. ამჟამად კი ბრძანებითს საკუთარი ფორმები არ გააჩნია. ერთადერთი გამონაკლისია **ვედ** ძირის მქონე ზმნები, რომლებშიც ნაშთის სახით არის შემონახული განსხვავება ამ ორი კილოს ფორმებს შორის: მოხვედი თხრობითი კილოს ფორმაა, მოდი (მო-ვედ ⇒ მო-ედი ⇒ მოდი) — წართქმითი ბრძანებითისა.

თანამედროვე ქართულში ბრძანებითი კილო იყენებს თხრობითი და კავშირებითი კილოს ფორმებს. წართქმითი ბრძანებითი II პირისათვის იყენებს წყვეტილს, I და III პირისათვის — II კავშირებითს. წყვეტილის ფორმა **მასწავლე** წარსულის გაგებით თხრობითია, მომავლის გაგებით — ბრძანებითი. მაგ.:

აყვავებულა არაგვზე დეკა,
ნისლი მიცურავს მთა-მთა,
სევდა **მასწავლე**, ფშაველის ასული,
ემაგ თაფლისფერ თვალთა! (ელგუჯა უძილაური).

„ერთადამც დავღამდებოდეთ“, –
რაც ვერ გითხარი, ეს არის (შერმადინ ქალდანი).

ეგ კულულები მკერდზე მეყაროს,
შენი სიზმრების დაცვა მებაროს! (ნიკო გომელაური).

მთის კილოებში შესაძლოა, ბრძანებითის ასეთი ფორმაც შეგვხვდეს:

მაღლისა მთისა წვერზედა
საფლავი **გამითხაროდი,**
ჩემის სამშობლოს ქვიშანი
ხშირ-ხშირად **მომაყაროდი** (ვაჟა-ფშაველა).

დალოცვა, წყევლა გადმოიცემა კავშირებითი კილოსაგან ნასესხები ფორმებით:

სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი **გიკურთხოს** ზენამა! (ვაჟა-ფშაველა).

ბავშვობიდანვე ლექსით მომწამლეს,
ღმერთმა **შემარგოს!** (ნიკო გომელაური).

თვალი **დაუდგეს** ქართველ კაცს,
ველიჩკოს მოტრფიალესა! (აკაკი).

ყველაწმინდა **შეგეწიოს**, მისი მადლი **სწყალობდეს** ამ ოჯახს! (გიორგი ლეონიძე).

ზოგჯერ ასეთი მოდალობის გამოსახატავად იყენებენ წყვეტილის ფორმას, რაც გაუმართლებელია.

სწორია: აგაშენოს ღმერთმა! **დაილოცოს,** ღმერთო, შენი განგება! (აკაკი);

და არა: აგაშენა ღმერთმა! დაილოცა, ღმერთო, შენი განგება!

ბრძანებითი კილოს ფორმა გამოიყენება აღწერილობითი ვნებითის მომავალი დროის ფორმაში (გამოხატავს კატეგორიულად შესასრულებელ მოქმედებას).

სწორია: გამოკვლეული იქნეს, დაძლეული იქნეს;

და არა: გამოკვლეულ იქნას, დაძლეულ იქნას.

ბრძანებითი კილოს ზმნები წინადადებაში განსაკუთრებული სიძლიერით წარმოითქმება – თავში მახვილის დასმით. ამის შედეგად ისინი შეიძლება შეიკვეცოს: მოიტა (მოიტანე). შეკვეცილ ფორმებს იყენებენ როგორც სასაუბრო ენაში, ისე მხატვრულ ლიტერატურაში აზრის ემოციურად და ექსპრესიულად გადმოსაცემად.

თანახმად სალიტერატურო ენის ნორმებისა, ზმნა სრული სახით უნდა დაიწეროს.

სწორია: ჩამოდი, გამეცალე, შეხედე, წადი, მოდი, მოიცადე, გასწიე, მომყევი, დააყენე.

და არა: ჩამო, გამეცა, შეხე, წა, მო, მოიცა, გასწი, მომყე, დააყე.

ბრძანების გასაძლიერებლად ხოგჯერ გამეორებულია შემასმენელი:

ეს სხიერი, ეს ლიქოკი, ეს არხოტი
არ ჩააქრო, არ ჩააქრო! – გაფიცებდი,
არ წააგო, არ წააგო ეს წალკოტი! –
დამიხსომე, ასი წლის წინ გეძახოდი,
დამიხსომე, განჯღრეედი და გაღეიძებდი!
(მურმან ლებანიძე).

შვილი მქვია, შენი დარდი სისხლით დამაქვს,
არ ემსგავსო, არ ემსგავსო ბეითალმანს!
(მარიამ წიკლაური).

ზოგი ზმნა წყვეტილში დაირთავს ე. წ. უფუნქციო („ნართაულ“) **ი**-ს, რომელიც მწკრივის ნიშნად არის ქცეული. ახალ ქართულში წყვეტილის უნიშნო ფორმები (თუმცა არა ყველა ზმნისა) შესაძლოა იხმარებოდეს ბრძანებითი კილოს გამოსახატავად. მათ უმთავრესად სტილური დანიშნულება აქვთ.

სწორია როგორც: დაჯექი, შეუდექი, წამიძეხი, იწექი, დაჰკარი.
ისე: დაჯექ, შეუდექ, წამიძეხ, იწექ, დაჰკარ[269].

---

[269] ქეოლ.

მაგ.:

შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი,
დაჰკარ გრძნობით დაირასა,
თუ ხარ საქართველოს შვილი,
ნუ მომაკლებ მაგ ტკბილ ხმასა! (ივანე კერესელიძე).

უბე **შემიხსენ**, ცისკარო! (მანანა ჩიტიშვილი).

ბრძანებითი კილოს ფორმებთან შესაძლოა იხმარებოდეს ისეთი მოდალური სიტყვები და ნაწილაკები, რომლებიც აძლიერებენ მოწოდება-ბრძანებას. ესენია: აბა, დაე, ეგებ, მოდი, ვინძლო, იქნებ (იქნება), უნდა. მაგ.:

შვილმა **უნდა იცოდეს**, სად და რაზედ გაჩერდა მამა...
(ილია).

ვინძლო ქვეყანა **არ გააცინო**! (ალექსანდრე ყაზბეგი).

მოდი ვნახოთ ვენახი (ხალხური).

წართქმითი ბრძანებითის ფორმით გადმოცემული ზმნა აქტიურად მიიწევს წინადადების დასაწყისისაკენ, რითაც უფრო აქცენტირებული ხდება ნაბრძანები მოქმედება[270]. შეადარეთ:

შინ **დაბრუნდი** და მერე ვილაპარაკოთ.
დაბრუნდი შინ და მერე ვილაპარაკოთ.

პირველ წინადადებაში ბრძანება შედარებით სუსტადაა გამოხატული, ხოლო მეორეში – ძლიერად.

უკუთქმითი ბრძანების ფორმების გამოყენებისას მნიშვნელოვანია უარყოფითი ნაწილაკების სწორად გამოყენების საკითხი. **ნუ**-ნაწილაკიანი ბრძანებითი აწმყოსა და მყოფადის მწკრივების ფორმებს იყენებს:

ნუ ოხრავთ, ნუ გეფიქრებათ,
არაგვიანობს არაგვი... (ტარიელ ხარხელაური).

ნუ მიწყრები, ნუ მიწყრები, მზეო,
უშენობით მოეწყინა ცას... (მისივე).

---

[270] ა ს მ ა თ პ ა პ ი ძ ე, II კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქსკს, წიგნი IV, გვ. 148.

ქალაქს **ნუ წაიღებ** ყორნისფერ დალალებს,
მთებს უფრო უხდება მაგ თვალთა მშვენება.
(ელგუჯა უძილაური).

გვხვდება მაგალითები, რომელშიც ბრძანება წარსულ-დროიანი ფორმით არის გადმოცემული. ასეთ ბრძანებაში გამოთქმულია საყვედური, რომ გარკვეული ქმედებაა ჩადენილი[271].

გული **ნუ გამიწყალე. ნუ დამაბნიე.**

არ-ნაწილაკიანი ბრძანებითი, რომელიც უფრო კატეგორიულია, ვიდრე ნუ-ნაწილაკიანი, ფორმებს სესხულობს II კავშირებითისაგან:

ხანდისხან ამიფრინდება
ჭალისპირს უცხო ციცარი...
მოზიდული მაქვს ისარი,
მიუდევ ოფლგადამდინარი...
ღმერთო, **არ მომაკვლევინო,**
ისეთი ლამაზი არის!
(მანანა ჩიტიშვილი).

წინადადებაში აკრძალვა შეიძლება აღინიშნოს როგორც ცალმაგად (არ წახვიდეთ! არავინ წავიდეს! არსად წახვიდეთ! ნუღარ ვკამათობთ! ნურაფერი გაღელვებთ! ნურასდროს დაბრუნდება!), ისე ორმაგად (არცერთი არ ჩამორჩეს! ნურავინ ნუ დაიფიცებს ტყუილად!).

ზოგჯერ ორმაგი უარყოფის გამოყენება აუცილებელია (ამის შესახებ იხ. გვ. 255, ორმაგი უარყოფა).

§ 87. თავისებური ზმნები

თავისებური ჰქვია ზმნებს, რომლებიც არ ემორჩილებიან საზოგადოდ შემუშავებულ ნორმებს და ავლენენ რაიმე თავისებურებას. მაგ., თავისებურია ფუძემონაცვლე ზმნები, რომლებიც დანაკლის ფორმებს სხვა ფუძის ფორმებით ივსებენ. ნაკლულ ზმნებს, რომლებიც საერთოდ ვერ ივსებენ დანაკლის ფორმებს, დეფექტური (უწესო) ჰქვია.

---

271 ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 208.

თავისებურია შემდეგი ზმნები:

ა) რთული: უკვდავყოფს, უკუაგდებ, გძალუძს (იხ. მოქმედებითი გვარი, № 16, 17);

ბ) ე. წ. „მიმღეობითი“: ყიდულობს, ფიცულობს, ღებულობს, გებ'ულობს (იხ. § 68 № 1);

გ) ინვერსიული: მაქვს, მიმყავს, მიყვარს, მახსოვს, მესმის (იხ. § 60 „ბ“ და § 83);

დ) პირნაკლი: თოვს, წვიმს, ელავს (აქვს მხოლოდ III პირის ფორმა);

ე) ფუძემონაცვლე.

შენაცვლება ხდება პირში, რიცხვში, მწკრივში, ასპექტში (იხილე ასპექტი, უღლების ნიმუში), გვარში. მაგ.:

აგდებს – ყრის; სვამს – ჯდება; უმზერს – შეხედა; ამბობს – იტყვის – თქვა;

შენაცვლება რიცხვში

ქართულ ზმნას შეუძლია ბევრის მოქმედება გამოხატოს როგორც ბოლოსართებით (ვხატავ-**თ**, ხატავ-**ენ**, დახატ-**ეს**), ისე ფუძით, ანუ ზოგ ზმნას მხოლოობითში სხვა ფუძე აქვს, მრავლობითში – სხვა. ასეთ ზმნებს რიცხვში ფუძემონაცვლე ჰქვია. შენაცვლება ეხება სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს.

სუბიექტური პირების რიცხვში შენაცვლება ხდება გარდაუვალ ზმნაში, ობიექტური პირებისა – მხოლოდ გარდამავალში. სუბიექტური პირის მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნებია:

> ჯდება (ერთი) – სხდება (ბევრი); კვდება – იხოცება; ვარდება – ცვივა; გდია – ყრია; დევს – აწყვია.

ობიექტური პირის მიხედვით რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნებია:

> ჩააგდო (ერთი) – ჩაყარა (ბევრი); დასვა – დასხა; გატეხა – დაამტვრია (ან დაამსხვრია); მოკლა – დახოცა; დადო – დააწყო.

ზოგჯერ მრავლობითობა ორმაგად გამოიხატება: ბოლოსართებითაც და ფუძითაც. მაგ.:

> მეზღვაურები გემბანიდან ზღვაში **ცვიოდნენ**.
> გამოუცდელი მეომრები პირველივე შეტაკებაში **დახოცეს**.
> ქველანი გზაზე **ეყარნენ**.
> წიწილები ბუდეში **ჩასხდნენ**.

რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნების მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. ზმნას მრავლობითის ფუძით, ოღონდ მხოლოობითის ფორმით შეიწყობს სუბიექტი, რომელიც:

ა) კრებითი სახელია. მაგ.:

> ხალხი სხდება (**სხედს** მოძველებული ფორმაა და აღარ იხმარება). ახალგაზრდობა (კრებითი, და არა აბსტრაქტული სახელის მნიშვნელობით) მწვრთნელს მისცვივდა.

როგორც აღნიშნავენ, კრებითობა გულისხმობს მასობრივ სიმრავლეს, და არა ერთზე მეტს. „რიცხობრივი რაოდენობის კრებითი მნიშვნელობა ქართულში მხოლოდ სამეულით იწყება. ამასვე ადასტურებს მსოფლიოს მრავალი ხალხის ფოლკლორში

გავრცელებული სიმრავლის გამომხატველი რიცხვების ხმარების ტრადიციები, რომელთა მიხედვითაც რიცხვი **სამი** თავდაპირველი და მინიმალური სიმრავლის გამომხატველია“[272].

ბ) ნივთიერების აღმნიშვნელი (არათვლადი ან ძნელად დასათვლელი) არსებითი სახელია:

ფქვილი ტომრებიდან **ცვიოდა**. სანაპიროზე ქვიშა **ყრია**.

გ) კომპოზიტში შეწყვილებული სულიერი საგნის აღმნიშვნელი სახელია. მაგ.:

და-ძმა გიორგის **მისცვივდა**. მსახიობმა დედ-მამა პირველ რიგში **დასხა**.

დ) ებ-იან მრავლობითში დასმული უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელია. მაგ.:

ფურცლები მაგიდიდან **გადმოცვივდა**. ჭიქები **დაიმსხვრა**. ქარმა გამხმარი ფოთლები **ჩამოყარა**.

2. ზოგჯერ სიტყვა ფოთოლი კრებითი მნიშვნელობით იხმარება. გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის ლექს „გაზაფხულის“ პირველი სტრიქონი: „ტყემ მოისხა ფოთოლი“. ასევე სიმრავლის გამომხატველია სუბიექტი შემდეგ წინადადებებში:

წელს **ვაშლს** კარგად ასხია. **ცხვარი** კინაღამ კლდიდან გადაცვივდა.

3. როგორ გამოიხატება ზმნის რიცხვი, თუ სუბიექტად ან მის მსაზღვრელად კონკრეტული რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელია? – ასეთი სუბიექტი უწყვილდება მხოლოობით რიცხვში მდგომი ზმნით გამოხატულ შემასმენელს. მაგ.:

სახლში **ოთხი მძარცველი შემოვარდა.**
მესხენიტეებმა **ხუთი თვითმფრინავი ჩამოაგდეს**.
მასპინძელმა ორი ქათამი დაკლა.
ორი მუშა მშენებარე სახლიდან გადმოვარდა.

4. რამდენი პაციენტი იჯდა მოსაცდელში თუ რამდენი პაციენტი ისხდა მოსაცდელში?

სწორია: რამდენი პაციენტი იჯდა მოსაცდელში?

---

[272] შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, რიცხვში შეთანხმების პრინციპებისათვის ქართულში, ქსკს, წიგნი XIII, თბ., 2013, გვ.

ფუძითაც მხოლოობითის ფორმას მოითხოვს სუბიექტი, რომელსაც მსაზღვრელად ახლავს **გაურკვეველი სიმრავლის** გამომხატველი მსაზღვრელი, როგორიცაა: **ზოგი, ზოგიერთი, ბევრი, რამდენიმე, ყველა**[273].

5. ზოგი მშობელი მასწავლებელს მიევარდა თუ მისცვივდა?

სწორია: ზოგი მშობელი მასწავლებელს მიევარდა (იხ. № 5).

6. უამრავი ტურისტი ჩასხდა თუ ჩაჯდა ავტობუსში?

სწორია: უამრავი ტურისტი ჩასხდა ავტობუსში, რადგან, როცა სიმრავლის აღმიშნველი მსაზღვრელი გულისხმობს **მნიშვნელოვან** რაოდენობას, სუბიექტს უწყვილდება ზმნა მრავლობითის ფუძით, ოღონდ მხოლოობითის ფორმით[274].

7. სასაუბრო მეტყველებაში გვხვდება ისეთი გამოთქმებიც, რომლებიც მრავლობით რიცხვში დასმულ სუბიექტს (ან ობიექტს) არ უწყვილდება ფუძემონაცვლე ზმნა მრავლობითის ფუძით. მაგ.:

ფასები ავარდა და დავარდა. საქონელი იაფად უჯდებათ.

ზოგი გამოთქმა იდიომატურია. მაგ.:

მშრალზე დასვა.

რიცხვში ფუძემონაცვლეობა საწყისსა და მიმღეობასაც ახასიათებთ:

დაჯდომა – დასხდომა, დამჯდარი – დამსხდარი, გატეხილი – დამტვრეული, მოკლული – დახოცილი.

ამრიგად, თუ სახელი-სუბიექტი ან ობიექტი – ფორმით ან მნიშვნელობით მრავალს გულისხმობს, ზემოთ ჩამოთვლილ რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნებთან შეხამებისას უნდა გამოვიყენოთ მრავლობითის ფუძის მქონე ფორმები:

დასხა, დაიხოცა, გადაცვივდა, დაწყობა, დამტვრევა და მისთ[275].

---

[273] შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 79.

[274] შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 89.

[275] შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, ჩვენი ენა ქართული, თბ. 2002, გვ. 83.

§ 88. პირში მონაცვლე ზმნები

მეტყველების ერთ-ერთი სახეა თავაზიანი მეტყველება. თავაზიანი, მორიდებული საუბრის დროს თანამოსაუბრეს მიმართავენ „თქვენობით“ (ანუ ერთ პირს, ასაკით უფროსს, მიმართავენ მრავლობითი რიცხვის ფორმით) ან იყენებენ პირში მონაცვლე ზმნებს. მაგ.: მითხარით ან ბრძანეთ, მიიღეთ ან ინებეთ. ასეთივე წყვილებია:

ხართ – ბრძანდებით	მომეცით – მიბოძეთ
შემოდით – შემობრძანდით	მიიღეთ – ინებეთ
გეტყვით – მოგახსენებთ	ვარ – გახლავართ
გინდათ – გნებავთ	ვჭამე – გეახელით
თქვით – ბრძანეთ	წაულეთ – მიართვით
ჭამეთ – მიირთვით	როგორც გინდათ –
მოვედი – გეახელით	როგორც გენებოთ.

ეს ე. წ. თავაზიანობის ფორმულები ხაზს უსვამენ მოკრძალება-მორიდებას თანამოსაუბრისადმი. ამ ფორმათა პირველ პირში გამოყენება მიღებული არ არის. არ ითქმის: მე კარგად ვბრძანდები; ახლა წავბრძანდები და მერე მოვბრძანდები; საჭმელი არ მნებავს, უკვე მივირთვი (**სწორია:** უკვე გეახელით).

თავაზიანობის ფორმებით ზოგჯერ გაბრაზება და ირონია გამოიხატება. მაგ.: ვაუბატონი ჯერ არ აბრძანებულა? ახლა აბრძანდით და აქედან მიბრძანდით!

სხვადასხვა მნიშვნელობისაა ზმნები: **ინებეთ** და **მიირთვით**. პირველით მიმართავენ თანამოსაუბრეს, როცა რამის აღებას სთავაზობენ, მეორით კი – როცა ჭამას სთხოვენ.

დანართი № 61

მწკრივში მონაცვლე ზმნათა უღლება

აწმყო	მიდის	მიდის	დადის	იარება	დაიარება
უწყვეტ.	მიდიოდა	მიდიოდა	დადიოდა	იარებოდა	დაიარებოდა
აწმ.კავშ.	მიდიოდეს	მიდიოდეს	დადიოდეს	იარებოდეს	დაიარებოდეს
მყოფ.	წავა[1]	მივა[1]		იყლის	დაიყლის
ხოლმ.	წავიდოდა	მივიდოდა		იყლიდა	დაიყლიდა
მყ.კავშ.	წავიდოდეს	მივიდოდეს		იყლიდეს	დაიყლიდეს
წყვეტ.	წავიდა	მივიდა		იარა	დაიარა
II კავშ.	წავიდეს	მივიდეს		იაროს	დაიაროს

I თურმ.	წასულა	მისულა		შელია	დაშელია
II თურმ.	წასულიყო	მისულიყო		ქცლო	დაექცლო
III კავშ.	წასულიყოს	მისულიყოს		ქცლოს	დაექცლოს

აწმყო	აქცს	მიაქცს	მიაქცს	შეაქცს	დააქცს
უწყვეტ:	ჰქონდა	მიჰქონდა	მიჰქონდა	შეჰქონდა	დაჰქონდა
აწმყ.კავშ.	ჰქონდეს	მიჰქონდეს	მიჰქონდეს	შეჰქონდეს	დაჰქონდეს
მყოფ.	ექნება	წაიღებს[2]	მიიტანს[2]	შეიტანს	–
ხოლმ.	ექნებოდა	წაიღებდა	მიიტანდა	შეიტანდა	–
მყ.კავშ.:	ექნებოდეს	წაიღებდეს	მიიტანდეს	შეიტანდეს	–
წყვეტ.	–	წაიღო	მიიტანა	შეიტანა	–
II კავშ.	–	წაიღოს	მიიტანოს	შეიტანოს	–
I თურმ.	ჰქონია	წაუღია	მიუტანია	შეუტანია	–
II თურმ.	ჰქონოდა	წაეღო	მიეტანა	შეეტანა	–
III კავშ.	ჰქონოდეს	წაეღოს	მიეტანოს	შეეტანოს	–

აწმყო	ამბობს	ეუბნება	ხედავს	ხედავს
უწყვეტ:	ამბობდა	ეუბნებოდა	ხედავდა	ხედავდა
აწმყ.კავშ.	ამბობდეს	ეუბნებოდეს	ხედავდეს	ხედავდეს
მყოფ.	იტყვის	ეტყვის	ნახავს[3]	დაინახავს[3]
ხოლმ.	იტყოდა	ეტყოდა	ნახავდა	დაინახავდა
მყ.კავშ.:	იტყოდეს	ეტყოდეს	ნახავდეს	დაინახავდეს
წყვეტ.	თქვა	უთხრა	ნახა	დაინახა
II კავშ.	თქვას	უთხრას	ნახოს	დაინახოს
I თურმ.	უთქვამს	უთქვამს	უნახავს	დაუნახავს
II თურმ.	ეთქვა	ეთქვა	ენახა	დაენახა
III კავშ.	ეთქვას	ეთქვას	ენახოს	დაენახოს

შენიშვნა 1, 2: ლექსიკური განსხვავება ამ ფორმებს შორის ის არის, რომ **მივა** და **მიიტანს** ბოლო პუნქტს გულისხმობს, ხოლო **წავა** და **წაიღებს** – დასაწყისს

შენიშვნა 3: თუ **ხედავს** ზმნა საგნის ფიზიკურად აღქმის მნიშვნელობით არის ნახმარი, მაშინ მყოფადის მწკრივიდან **დანახვა** ენაცვლება, სხვა შემთხვევაში – **ნახვა**.

სახელზმნები

§ 89. ს ა წ ყ ი ს ი

ზმნისგან იწარმოება სახელზმნები ანუ ისეთი სიტყვები, რომელთაც აქვთ როგორც სახელის, ისე ზმნის ნიშნები. სახელზმნა ორგვარია: საწყისი (ხატვა, დახატვა) და მიმღეობა (დამხატველი, დახატული, დასახატავი).

ქართულში ზმნას ინფინიტივი არ მოეპოვება. მისი მაგივრობა ეკისრება ნაზმნარ სახელს, კერძოდ — საწყისს. ევროპული ენებისაგან განსხვავებით, ქართულში საწყისი იწარმოება ზმნისაგან. ის საყრდენია ზმნის ლექსიკური მნიშვნელობისათვის, და არა უღლების სისტემისათვის.

საწყისით სახელდება ის მოქმედება-მდგომარეობა, რომელსაც გამოხატავს ზმნის პირიანი ფორმა. მას დაესმის არსებითი სახელის კითხვა (რა?) და იბრუნვის როგორც არსებითი სახელი.

ზმნური ფორმებიდან საწყისს აქვს ასპექტი (თვლა – უსრული, დათვლა – სრული), შეუძლია აღნიშნოს მიმართულება (გასვლა – საიქითო, შემოსვლა – სააქეთო), აწარმოოს კონტაქტი (დალევა – უშუალო, დალევინება — შუალობითი, თუმცა ეს უკანასკნელი ფორმა იშვიათად იხმარება). ის ისევე მართავს სახელს ირიბ ბრუნვებში, როგორც ზმნა (ეს ეხება მიმღეობასაც). შეადარეთ: ცარიელი ხელებით იბრძვის — ცარიელი ხელებით ბრძოლა/მებრძოლი.

საწყისის მაწარმოებელია **-ა** ბოლოსართი, რომელიც დაერთვის აწმყოს ან მყოფადის ფუძეს პირის, რიცხვის, მწკრივის, ქცევის, გვარის, სიტუაციის (ე. წ. საზედაოს) ნიშნების ჩამოშორების შემდეგ. მაგალითები:

წერ-ს, ი-წერს, უ-წერს, წერ-ენ, ი-წერება, ე-წერება, ა-წერს — **წერ-ა**.
ვ-ა-შენებ, ვ-ი-შენებ, ვ-უ-შენებ, ვ-ა-შენებ-თ, შენ-დ-ება — **შენებ-ა**.

ზმნების უმეტესობას ზმნისწინი საწყისშიც გადაჰყვება:

გა-ალამაზებს — გა-ლამაზება; გამო-იზამთრებს — გამო-ზამთრება, გადა-იფ-რენს — გადა-ფრენა;

მაგრამ: და-ცურავს — ცურვა; და-სრიალებს — სრიალი; და-ხტის — ხტომა; გა-ყვირის (ის) — ყვირილი; გა-სცქერის — ცქერა.

ზმნების ერთ წყებას, უმთავრესად გარდაუვალებს, **-ა** მაწარმოებლის დართვისას ფუძე ურთულდება **ნ, ოლ, ომ** აფიქსებით. მაგ.:

ვარდება – ვარდ-**ნ**-ა, ითხოვს/სთხოვს – თხოვნა, იპოვის – პოვნა; იშოვის – შოვნა; ხვევს/ეხვევა – ხვევნა (მაგრამ: ახვევს/მოუხვევს – ხვევა, მოხვევა); ეხვეწება – ხვეწნა (მაგრამ: ხვეწს – ხვეწა);

ასევე: თრთის – თრთ-**ოლ**-ა; იბრძვის [და არა ბრძოლობს] – ბრძ**ოლა**; ისერის – სრ**ოლა**; ქრის – ქრ**ოლა**; ძრწის – ძრწ**ოლა**;

ასევე: დგას/დგება – დგ-**ომ**-ა; კრთის/კრთება – კრთ**ომა**; ჭირდა – ნდ**ომა**; სწვდება – წვდ**ომა**; სხდება – სხდ**ომა**; წყდება – წყდ**ომა**.

შენიშვნა 1: **ნ** აფიქსი საწყისიდან შესაძლოა გადავიდეს ზმნის პირიან ფორმაში: სდევს ⇒ დევნა ⇒ სდევნის; ეძებს ⇒ ძებნა ⇒ ძებნის; არის, იყო ⇒ ყოფნა ⇒ ყოფნის.

შენიშვნა 2: ისტორიულად, შესაძლოა, **-ა** ბოლოსართი **ს-** თავსართთან ერთად აწარმოებდა საწყისს: **ს**-ვლ-**ა**, **ს**-რბ-ოლ-**ა** (ძვ. ქართული: **ს**-რბ-**ა**); **ს**-ყიდ-ვ-**ა** (ეს **ს** მიმღეობაშიც არის გადასული: სა-**ს**-ყიდელი, წასა-**ს**-ვლელი).

ა-თი ნაწარმოები საწყისი ფუძეკვეცადია. მაგ.:

ამაღლებ-ა – ამაღლებ-ის, ამაღლებ-ით; აღდგომა – აღდგომის, აღდგომით; ნათლისღებ-ა – ნათლისღებ-ის, ნათლისღებ-ით: ხარებ-ა – ხარებ-ის, ხარებ-ით (ეს საწყისები გაარსებითებულია: აღნიშნავენ საეკლესიო დღესასწაულებს).

ზოგ საწყისს უძველესი ზმნური ფუძე აქვს დაცული:

სურს (ძვ. სურ-ავ-ს ⇒ ასურ-ვ-ებ-ს) – სურ-**ვ**-ილ-ი; სწყურია (ძვ. სწყურ-ავ-ს ⇒ აწყურ-ვ-ებ-ს) – წყურ-**ვ**-ილ-ი.

სპეციალურ გრამატიკულ ლიტერატურაში გამოყოფენ ე. წ. პირველად საწყისებს (ეს ტერმინი დაამკვიდრა არნოლდ ჩიქობავამ), ანუ მოქმედების აღმნიშვნელ პირველად სახელებს. მათი

უმეტესობა ფუძეგაორკეცებულია და აღნიშნავს მოძრაობას ან რაიმე მოქმედების თანამდევ ხმას. ესენია:

ბაასი, ბარბაცი, ბოდიალი, ბორძიკი, გურგური, კაშკაში, ლაპარაკი, ლიქლიკი, რაკრაკი, ნარნარი, ღაღადი, შრიალი, წკრიალი, ჭიკჭიკი, ჭუკჭუკი, ხარხარი, ხითხითი, ხორხოცი, ჯაყჯაყი.

პირველადი საწყისების რიცხვს აკუთვნებენ იმ სახელებსაც, რომელთა ნაწილი ნაწარმოებია ზმნისაგან (შესაძლოა, ამოსავალი ზმნა დაკარგულიც იყოს) ან მიღებულია ანალოგიით და რომლებიც ახალი ზმნების ფუძედ ქცეულა. ასეთებია:

ბრაგვანი, ბრახვანი, გოგმანი, კაკანი, ქვითინი, ყიყინი, ქიცინი, წრიპინი, ბაკუნი, გუგუნი, ზუზუნი, შხაპუნი, ჩქაფუნი, წკარუნი.

შენიშვნა: მეტყველების ნაწილთა სისტემაში სახელზმნის ადგილთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი გრამატიკოსი მას სახელად მიიჩნევს, ზოგი – ზმნად, ზოგი – დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად. ჩვენ ვიზიარებთ აკაკი დავითიანის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც სახელზმნა არც სახელია და არც ზმნა. ის დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილია, რომელსაც აქვს როგორც ზმნის, ისე სახელის ნიშნები.

საწყისის წარმოებისას შეცდომის თავიდან ასაცილებლად ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, თემისნიშნიანია თუ არა მოცემული ზმნა, რომელი ბგერით თავდება მისი ძირი (მოსალოდნელია თუ არა მეტათეზისი), რომელი გვარისაა და სხვ. შესაბამისად, საწყისთან დაკავშირებით შემუშავებულია მართლწერის რამდენიმე წესი.

1. თემის ნიშანი, **ი**-ს გარდა, ზმნას საწყისშიც გადაჰყვება. ამასთან, **-ა** მაწარმოებლის დართვის გამო **-ავ** და **-ამ** თემატური ნიშნები იკუმშება:

აჯიბრ-**ებ**-ს – შეჯიბრ-**ებ**-ა [და არა შეჯიბრი], უბიძგებს – ბიძგება [და არა ბიძგი, რომელსაც სხვა მნიშვნელობაც აქვს: შერყევა, შეძვრა. მაგ., მიწისძვრის ბიძგები], აწრთ-

ობ-ს – წრთ-**ობ**-ა, მუშაობს – მუშაობა [და არა მუშავი], ბეჭდ-**ავ**-ს – ბეჭდ-**ვ**-ა [და არა ბეჭდა], აბ-**ამ**-ს – ბ-**მ**-ა, გასც-**ემ**-ს – გაც-**ემ**-ა, დაყ-**ოფ**-ს – დაყ-**ოფ**-ა, მაგრამ: წვრთნ-**ი**-ს – წვრთნა.

ზმნას საწყისში გადაჰყვება **ევ, ეტ, ენ** ბოლოსართებიც:

იწვნ-**ევ**-ს – წვნ-**ევ**-ა; ჩქმ-**ეტ**-ს – ჩქმ-**ეტ**-ა [და არა ჩმეტა]; ფრ-**ენ**-ს – ფრ-**ენ**-ა [და არა ფრინვა].

2. არსებობს ერთი და იმავე ფუძისაგან ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ზმნები, რომლებიც სხვადასხვა თემატურ ნიშანს დაირთავენ. მათ საწყისში თავ-თავისი თემის ნიშანი გადაჰყვება:

შეკერ-ავ-ს – შეკერ-ე-ა, მაგრამ: დააკერ-ებ-ს – დაკერ-ებ-ა; დაფარ-ავ-ს – დაფარ-ე-ა, მაგრამ: დააფარ-ებ-ს – დაფარ-ებ-ა; ჩახშ-ავ-ს – ჩახშ-ე-ა, მაგრამ: ჩაახშ-ობ-ს – ჩახშ-ობ-ა.

3. საწყისი უმეტესწილად საზიაროა მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებისათვის (სტატიკურ ვნებითს ის შეზღუდულად ეწარმოება), უფრო სწორად, მოქმედებითის საწყისი, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, მისი კონვერსიული ვნებითის ფორმების საწყისიცაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ საერთო საწყისში გადასულია მოქმედებითი, და არა ვნებითი გვარის ზმნის თემატური ნიშანი. მაგ.:

ხატ-**ავ**-ს/იხატება/ხატია – ხატ-**ვ**-ა;
უფარ-**ავ**-ს/ეფარება/აფარია – ფარ-**ვ**-ა;
აწყ-**ობ**-ს/იწყობა/აწყვია – წყ-**ობ**-ა;
უთელ-**ავ**-ს/ეთელება – თელ-**ვ**-ა;
ყრ-**ი**-ს/იყრება/ყრია – ყრა;
გააჭირვებს/გაჭირდება – გაჭირვება;
აფენს/იფინება/ფენია – ფენა; კვნეტს/იკვნიტება – კვნეტა;
ურევს (ის მას მას)/ერევა/ურევია – რევა;
ათრევს/ეთრევა – თრევა.

4. რამდენიმე ზმნას თავ-თავისი საწყისი აქვს მოქმედებითსა და ვნებითში.

აწვენს – დაწვენა და წვება – წოლა;
გააპარებს – გაპარება და გაიპარება – გაპარვა;
განკურნავს – განკურნვა და განიკურნება – განკურნება;

შემოაწვდენს – შემოწვდენა და შემოსწვდება – შემოწვდომა;
ჩააძვრენს – ჩაძვრენა და ჩაძვრება – ჩაძრომა.

5. მოქმედებითისა და ვნებითის ზოგიერთი ფორმა ფონეტიკურად დაშორებულია ერთმანეთისაგან. აქედან გამომდინარე, მათი საწყისებიც განსხვავებულია. შეადარეთ:

მოქმედებითი: ტეხს – **ტეხა** და ვნებითი: ტყდება (⇐ ტხდება ⇐ ტეხდება) – **ტყდომა**; მოქმედებითი: წყვეტს (⇐ წყვედს ⇐ წყუედს) – **წყვეტა** და ვნებითი: წყდება (⇐ წყვდება) – **წყდომა**; მოქმედებითი: ხეთქს – **ხეთქა** და ვნებითი: სკდება (⇐ სქდება ⇐ ხთქდება) – **სკდომა**[276].

6. ზმნებს, რომელთაც მოქმედებითისა და ვნებითის (აქტივისა და პასივის) ყალიბი აქვთ, მაგრამ საპირისპირო გვარის ორგანული ფორმები არ მოეპოვებათ, საწყისი ჩვეულებრივი წესით ეწარმოებათ (აწმყოს ან მყოფადის ფუძეზე **-ა** მაწარმოებლის დართვით):

აითვალწუნებს – ათვალწუნება, აიკაპიწებს – აკაპიწება, ბრძანებს – ბრძანება, ცხადყოფს – ცხადყოფა, თანაუგრძნობს – თანაგრძნობა;

ასევე: მოერევა – მორევა, მოექავება – მოქავება, ჩააცივდება – ჩაცივება, წყრება – წყრომა.

7. ზმნის ფუძემონაცვლეობა საწყისშიც აისახება:

დაყენება – დადგომა, გადაგდება – გადავარდნა, დასმა – დაჯდომა, ყრა – ცვივნა;

ასევე: მოსვლა – მობრძანება, ჭამა – მირთმევა, გატეხა – მსხვრევა, აღება – აყვანა, ქონება – ყოლა.

8. განსხვავებულია საშუალის (მედიუმის) ყალიბისა და მოქმედებითი გვარის ზმნების საწყისები. **შეადარეთ:**

ბრუნავს (საშუალი) – ბრუნვა და აბრუნებს (მოქმედებითი) – ბრუნება; გორავს – გორვა და აგორებს – გორება; ტოკავს – ტოკვა და შეატოკებს – შეტოკება; წუხს – წუხილი და შეაწუხებს – შეწუხება.

---

[276] ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 289 და 555.

მაგრამ: ლოც'ულობს (ძვ. ილოცავს) და ლოცავს – ლოცვა; დაიძინებს და დააძინებს – დაძინება; იკლებს (ის) და აკლებს – კლება; მატ'ულობს და ამატებს – მატება.

9. საწყისის წარმოებისას თავისებ'ურებას იჩენენ ინ-ვერსი'ული ზმნები: ერთი და იმავე ფორმის ზმნებს ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა ფორმის საწყისები აქვთ. მაგ.:

მომწონს – მოწონება, მრცხვენია – სირცხვილი, მწადია – წადილი, მიხარია – სიხარ'ული, მძინავს – ძილი, მღვიძავს – ღვიძილი, მიყვარს – სიყვარ'ული, მძ'ულს – სიძ'ულვილი (ჩართ'ულია **ვ**), მინდა – ნდომა, მაქვს – ქონა, მყავს – ყოლა, მამთქნარებს – მთქნარება (**ვამთქნარებ** პირდაპირი წყობისაა).

10. მოქმედებითი გვარის **-ებ**-თემისნიშნიანი ნასახელარი ზმნების საწყისს უსრული ასპექტის ფორმები არ ეწარმოება. მაგ., არ არსებობს აწითლებს ზმნის საწყისი – წითლება, მაგრამ: გააწითლებს/გაწითლდება – გაწითლება.

არე(ალე)-ბოლოსართიანი მიმღეობისაგან ნაწარმოები ზმნების საწყისს სრული ასპექტის ფორმები არ გააჩნია (ზმნისწინი არ დაერთვის):

ბზინვარებს – ბზინვარება, მდუმარებს – მდუმარება, მქუხარებს – მქუხარება, მღელვარებს – მღელვარება, მძვინვარებს – მძვინვარება, მჭმუნვარებს – მჭმუნვარება.

11. მართლწერის თვალსაზრისით პრობლემ'ურია **-ავ**-თემისნიშნიანი ზმნისგან ნაწარმოები საწყისის ფორმები.

დაიმახსოვრეთ:

ა) -ავ თემატური ნიშანი საწყისში გადაჰყვება როგორც პირველად, ისე ნასახელარ ზმნებს შეკუმშული ფორმით:

ს**იდ-ავ**-ს – ს**იდ-ვ**-ა, მალ**ავს** – მალ**ვა**, ბარ-**ავ**-ს – ბარ-**ვ**-ა, ცელ**ავს** – ცელ**ვა**.

გამონაკლისია: ჩანთქ-**ავ**-ს (ძვ. ჩანთქ-ამ-ს) ზმნა, რომელშიც **-ამ** შეცვალა **-ავ** ბოლოსართმა, სახელზმნებში კი **-მ** დარჩა:

ჩანთქ-მ-ა, ჩამნთქ-მ-ელ-ი, ჩანთქ-მ-'ულ-ი (წიგნ'ურად – შთანთქავს, შთანთქმა, შთამნთქმელი, შთანთქმ'ული).

ბ) **-ავ-**თემისნიშნისეული **-ვ** საწყისში გადაჰყვება იმ ზმნებსაც, რომელთაც ისტორიულად არ ჰქონდათ ეს ნიშანი და ახალ ქართულში გაუჩნდათ (იხ. აქვე № 13).

სწორია: ბერტყ-ავ-ს (⇐ ბერტყს)– ბერტყ-ვ-ა [და არა ბერტყა], თიბავს – თიბვა, თესავს – თესვა, ლესავს – ლესვა, ქექავს – ქექვა, წეწავს – წეწვა, ხოცავს – ხოცვა.

გამონაკლისია: კვებ-ავ-ს – კვება და წვეთ-ავ-ს – წვეთა.

გ) თუ ზმნის ძირი თავდება **ნ, რ** და **ლ** (ნარნარა) თანხმოვნებიდან ერთ-ერთით, რომელსაც წინ უძღვის სხვა თანხმოვანი (ვ-ს გარდა) საწყისის წარმოებისას თემისნიშნისეული **-ვ** ნარნარა ბგერის წინ გადაინაცვლებს (ამ ფონეტიკურ მოვლენას **გადასმა ანუ მეტათეზისი** ჰქვია). იხ. გვ. 403 №23

ვ გადაინაცვლებს:

ნ ასო-ბგერის წინ:

აღნიშ-**ნ**-ავ-ს ⇒ აღნიშ-**ნ**-ვ-ა ⇒ აღნიშ-ვ-**ნ**-ა, გასაპნავს – გასაპვნა, გამოშიგნავს – გამოშიგვნა, გახიზნავს – გახიზვნა, მიჯნავს – მიჯვნა, წიდნავს – წიდვნა, წნავს – წვნა, ხნავს – ხვნა, ჯაგნავს – ჯაგვნა.

რ ასო-ბგერის წინ:

ბას-**რ**-ავ-ს ⇒ ბას-**რ**-ვ-ა ⇒ ბას-ვ-**რ**-ა, ბაწრავს – ბაწვრა, ბეგრავს – ბეგვრა, გატიხრავს – გატიხვრა, დაუკრავს – დაკვრა, საფრავს – საფვრა, კაწრავს – კაწვრა, მდუღრავს – მდუღვრა, მუსრავს – მუსვრა, ნაცრავს – ნაცვრა, ნესტრავს – ნესტვრა, ნომრავს – ნომვრა, ოხრავს – ოხვრა, პუდრავს – პუდვრა, სრავს – სვრა, სუდრავს – სუდვრა, ტიხრავს – ტიხვრა, ფატრავს – ფატვრა, ფილტრავს – ფილტვრა, ფიცრავს – ფიცვრა, ქინდრავს – ქინდვრა, შაშრავს – შაშვრა, შიფრავს – შიფვრა, ჩაგრავს – ჩაგვრა, ძრავს – ძვრა, ხოტრავს – ხოტვრა, ხრავს – ხვრა;

ლ ასო-ბგერის წინ:

არეკ-ლ-ავ-ს ⇒ არეკ-ლ-ვ-ა ⇒ არეკვ-ლ-ა, გაქუსლავს – გაქუსვლა, გესლავს – გესვლა, დაბურძგლავს – დაბურძგვლა, დორბლავს – დორბვლა, თაფლავს – თაფვლა, კაკლავს – კაკვლა, კარკლავს – კარკვლა, კენწლავს – კენწვლა, კირწყლავს – კირწყვლა, კლავს – კვლა, მარგვლავს – მარგვლა, მოვერცხლავს – მოვერცხვლა, მოკურცხლავს – მოკურცხვლა, მოხიბლავს – მოხიბვლა, მჭვარტლავს – მჭვარტვლა, ნათლავს – ნათვლა, ნისლავს – ნისვლა, ორთქლავს – ორთქვლა, ჟინუღლავს – ჟინუღვლა, სანთლავს – სანთვლა, სცინცლავს – ცინცვლა, სხლავს – სხვლა, ფერფლავს – ფერფვლა, ფურცლავს – ფურცვლა, ღრუბლავს – ღრუბვლა, შებუმბლავს – შებუმბვლა, ჩაფლავს – ჩაფვლა, ცეცხლავს – ცეცხვლა, ცრემლავს – ცრემვლა, წამლავს – წამვლა, წინწკლავს – წინწკვლა, წიხლავს – წიხვლა, ჭირხლავს – ჭირხვლა, ხანჯლავს – ხანჯვლა, ხუნძლავს – ხუნძვლა.

დ) **ვ**-ს გადასმა არ ხდება, თუ მის წინ ორი ნარნარა ბგერაა.

სწორია: განკურნ-ავ-ს – განკურნვა;

და არა: განკურვნა.

ე) თემისნიშნისეული **ვ** იკარგება **ვ**-თი დაბოლოებული ზმნების საწყისში, რადგან ქართული ენის ბუნება ვერ იტანს ერთმანეთის გვერდით ორ **ვ**-ს:

ჩეჩქ-ვ-ავ-ს ⇒ ჩეჩქ-ვ-ვ-ა ⇒ ჩეჩქ-ვ-ა, ცეხვავს – ცეხვა, ძარცვავს – ძარცვა, ძეძვავს – ძეძვა, წყავს – წყა, ჯაჭვავს – ჯაჭვა.

12. **-ამ**-თემისნიშნიან ზმნათა საწყისში ბაგისმიერი **მ** ბგერის გავლენით იკარგება ზმნის ბოლოკიდური **ვ** (წარმოშობით – უმარცვლო **უ**):

აღიქ-ვ-ამ-ს (⇐ აღიქ-უ-ამ-ს) ⇒ აღქ-უ-მ-ა ⇒ აღქ-მ-ა, აქუთქვამს – აღთქმა, მოთქვამს – მოთქმა, სყამს – სმა, ჩაიცვამს [და არა ჩაიცმევს] – ჩაცმა, წარმოთქვამს – წარმოთქმა.

13. **-ი**-თემისნიშნიანი, ერთთემიანი და ფუძედრეკადი (ხმოვანმონაცვლე) ზმნების საწყისს თემისნიშნისეული **-ვ** არ დაერთვის.

სწორია: აწონ-ი-ს – აწონა [და არა აწონვა], ბურძგნის – ბურძგნა, ჩიჩქნის – ჩიჩქნა, ჭმუხნის – ჭმუხნა, ჯიჯგნის – ჯიჯგნა.

ასევე: ყეფს – ყეფა [და არა ყეფვა], ჩეჩს/იჩეჩს – ჩეჩა, ხეოქს – ხეოქა, ხვეტს – ხვეტა, ხვეჭს/იხვეჭს – ხვეჭა (თუმცა ტენდენცია მიმართულია იქითკენ, რომ ზოგ უთემისნიშნო ზმნასაც დაერთოს **-ავ** ბოლოსართი. შესაბამისად მისგან ნაწარმოებ სახელზმნასაც (იხ. თემის ნიშნები, № 2-ის შენიშვნა და მოქმედებითი გვარის მიმღეობა № 3 ა);

ასევე: ბზეკს – ბზიკა – ბზეკა [და არა ბზეკვა ან ბზიკვა], ბრექს (ახლა იხმარება მხოლოდ ვნებითის ფორმა – იბრიქება) – ბრექა, დრეკს – დრეკა, ზელს – ზელა, ზნექს – ზნექა, კრეჭს – კრეჭა, ულეტს – ულეტა, ტყეპს – ტყეპა, ფხეკს – ფხეკა.

14. შეცდომების დიდი წილი მოდის საწყისის ზმნისწინიან ფორმებზე.

დაიმახსოვრეთ:

ა) მხოლოდ ძველი ფორმის ზმნისწინით იხმარება:

აღბეჭდვა, აღდგენა, აღზევება, აღსრდა, აღთქმა, აღმატება, აღმაფრენა, აღფრთოვანება, აღმოჩენა, აღმოცენება, აღქმა, აღშფოთება, აღჭურვა, განგმირვა, განგრძობა, განთესვა, განლაგება, განდევნა, განმარტება, განმუხტვა, განსაზღვრა, განსჯა, განტევება, განტვირთვა, განჭვრეტა, განხეთქილება, განხილვა, გარდატეხა, გარდაქმნა, გარდაცვალება, წარმოდგენა, წარმოთქმა, წარმოშობა, წარმოჩენა;

ბ) ძველი ზმნისწინით იხმარება ისეთი ზმნების საწყისებიც, რომლებშიც ზმნისწინის თანხმოვანი ლამობს ფუძესთან შეხორცებას (გავიხსენოთ არამართებული ფორმები: არდგენს, ანზოგადებს, ანცვიფრებს, ნკურნავს და მისთ.):

აღნიშვნა (მეტათეზისით), აღნუსხვა, აღრიცხვა, აღძრა, განზოგადება, განკურნება, განრისხება, განსხვავება, განცვიფრება, განცხადება, წარდგენა;

გ) რამდენიმე ზმნაში **აღ-** ზმნისწინის **ღ** თანხმოვანი კარგა ხანია ძირს მიუხორცდა (მაგ., **ვ**-აღიარებ, **ვ**-აღწევ) და,

ბუნებრივია, მათი საწყისებიც მხოლოდ ზმნისწინიანი ფორმით გვხვდება (აღიარება და მიღწევა).

დ) ზოგ შემთხვევაში ზმნისწინის ძველი და ახალი სახეობა პარალელურად იხმარება. შესაბამისად, საწყისის თანაბარუფლებიანი პარალელური ფორმებია:

> აღგზნება // აგზნება, აღმოხდომა // ამოხდომა, აღპყრობა // აპყრობა, აღსრულება // ასრულება, განთავისუფლება // გათავისუფლება, განმეორება // გამეორება, გარისხება // გარისხება, განსპეტაკება // გასპეტაკება, განხვავება // გასხვავება, განშორება // გაშორება.

ე) ზმნისწინის ძველი და ახალი ფორმები ზოგჯერ შინაარსობრივად განასხვავებენ საწყისის წყვილებს. მაგ.:

განდიდება – ამაღლება, წარჩინება, დიდი სახელის მინიჭება;
გადიდება – ზომის მომატება, დიდად გადაქცევა.

განკულაკება – კულაკის არაკულაკად გადაქცევა;
გაკულაკება – არაკულაკის კულაკად გადაქცევა.

განსვენება – დასვენება;
გასვენება – მიცვალებულის სასაფლაოზე წაღება.

წარმატება – კარგი შედეგის მიღება;
წამატება – მიმატება.

წარსული – განვლილი დრო;
წასული – აქედან იქით წასული[277].

ვ) ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონის მიხედვით ძველი და ახალი ზმნისწინით განსხვავებული პარონიმული წყვილებია:

გადათქმა – ნათქვამზე უარის თქმა; შეცვლა, უარყოფა;
გარდათქმა – ლექსად ქცევა: „ვპოვე და ლექსად გარდაეთქვი...“ (შოთა რუსთაველი).

გაკითხვა – 1. მოწყალების გაცემა; 2. გაგება, მოკითხვა (ამბისა);
განკითხვა – 1. გარჩევა, განხილვა; განსჯა, გასამართლება; 2. ე კ ლ ე ს. ვინმეს განსჯა ცოდვების გამო.

---

[277] ნ ი კ ა ნ დ რ ო ბ ა ს ი ლ ა ი ა, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1996, გვ. 222.

გარიგება – 1. რაიმეზე შეთანხმება ორმხრივი სარგებლის ნახვით;
2. ორ პირს შორის ქორწინების საქმის მოგვარება;
განრიგება – მოწესრიგება; განაწილება (ძალების განრიგება).

გაწირვა – განწირვა – ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს თავდადებას, მაგრამ **გაწირვას** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: ბედის ანაბარად დატოვება; გამეტება.

გაწმენდა – გასუფთავება (გაწმენდა ფეხსაცმლისა, გზისა...);
განწმენდა – ცოდვებისაგან განთავისუფლება.

ჩაგონება – შთაგონება – ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: შეგონება, დაჯერება; სხვის ნებისყოფაზე ზემოქმედება, მაგრამ **შთაგონებას** სხვა მნიშვნელობაც აქვს: შემოქმედებითი აღფრთოვანება (**შთაგონების** წყარო).

ზ) ერთი და იგივე ზმნისწინი დაერთვის საწყისის პარონიმურ წყვილებსა და სამეულებს:

აღთქმა – დაპირება, პირობის დადება;
აღქმა – გაგების, გაცნობიერების უნარი.

გაგება – რაიმეს მიხვედრა, შეგნება (აზრის გაგება გაუჭირდა);
გაგონება – რაიმე ხმის მოსმენა.

გადაცდენა – გადაცილება (ვადის/დროის); გზიდან გადაცდენა (სწორი გზიდან გადაცდენა);
გადაცდომა – სამართლებრივი ტერმინია = სამართლის ნორმის ისეთი დარღვევა, რომელიც იწვევს მცირე სასჯელს; მცირე დანაშაული.

გაკვალვა – გაწმენდა (თოვლისაგან გზის გაკვალვა);
გაკვლევა – გაგნება, პოვნა (ტყეში გზის გაკვლევა).

გაღვივება – გაჩაღება (გაღვივება ცეცხლისა); გაფუება, ამოყვანა (გაფუება ცომისა); გადატანითი მნიშვნელობით – გაძლიერება, გამწვავება, გაღრმავება;
გაღივება – ღივის გამოტანა (თესლის გაღივება).

მოთმენა – გაძლება, ატანა;
მოთმინება – მოთმენის უნარი.

შეყოლა – (სახლში შეყოლა);
შეყოლება – (პურზე ყველის შეყოლება);
შეყოლიება – (თავის შეყოლიება: თავის შექცევა).

შეწევა – შიგნით მიწევა (ურჯრის შეწევა);
შეწევნა – დახმარების გაწევა, მიშველება; წყალობა.

ცვლა – ცვალება – ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: შეცვლა, გარდაქმნა, მაგრამ **ცვლას** სხვა მნიშვნელობაც აქვს: 1. გამოცვლა; 2. გაცვლა, გაცვლა-გამოცვლა (საქონლის **ცვლა**); შეადარეთ: პირველი/მეორე **ცვლა** (სკოლაში, უნივერსიტეტში...), ღირსეული ცვლა, ნიჭთიერებათა **ცვლა**, ჟამთა **ცვლა**.

ხვეწნა – დაბეჯითებით თხოვნა, მუდარა, ვედრება;
ხვეწა – 1. ხვეწით თლა (ხონჩის ხვეწა); 2. ნართის გასუფთავება სახვეწით; 3. ტექსტის სტილისტიკურად გასწორება, დახვეწა.

15. ზოგჯერ საწყისისა და შესაბამისი ზმნის ფუძე ფორმობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებულია:

უამბობს (ამბავს უყვება) – მბობა (მაგრამ: თქვა – თქმა); არის, იყო – ყოფნა, აქვს – ქონა, იცის – ცოდნა, ულის – ლოდინი (⇐ ლოდილი).

ბევრია სადავო ფორმაც: სხვადასხვა სახელმძღვანელოს ან ლექსიკონის ავტორი (ან ავტორთა ჯგუფი) ერთი და იმავე ზმნის საწყისის სხვადასხვა ფორმას გვთავაზობს.

ზოგ ზმნას საერთოდ არა აქვს საწყისი, მათ შორის – ე.წ. პირველადი საწყისებისაგან ნაწარმოებ ზმნებს. ამ უკანასკნელთ საწყისის მაგივრობას უწევს თავ-თავისი ძირი. მაგ.:

ლაპარაკობს/ალაპარაკებს – ლაპარაკი; შრიალებს/აშრიალებს – შრიალი; ლაპლაპებს/ალაპლაპებს – ლაპლაპი.

მაგრამ: აალაპარაკებს/ალაპარაკდება – ალაპარაკება; აშრიალებს/აშრიალდება – აშრიალება; აალაპლაპებს/ალაპლაპდება – ალაპლაპება.

16. ტექნიკურ ტერმინოლოგიაში ისეთი საწყისებიც გვხვდება, რომლებიც შესიტყვებისგანაა მიღებული:

დ'უბლირება (⇐ დ'უბლირებას ახდენს), ზონდირება, კოდირება, კონცენტრირება.

არა გვაქვს ზმნები: ადუბლირებს ან დუბლირდება, აზონდირებს ან ზონდირდება და მისთ.[278]

17. საწყისის შინაარსი აქვს ტანვარჯიშთან დაკავშირებულ უამრავ ტერმინს (მათი დიდი ნაწილი უცხო ენებიდან გადმოაქართულა ან თავად შექმნა გიორგი ნიკოლაძემ, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია სპორტის განვითარება XX საუკუნის საქართველოში). ესენია:

ბრუნი, ბრჯენი, ბუქნი, გარბენი, დგომი, ზნექი, ფრენი, ქნევი, ხტომი, ჯდომი... და მაოგან ნაწარმოები კომპოზიტები: ჩოქბრჯენი, ცერდგომი, წინზნექი, უკუქნევი, განხტომი, სამხტომი და მისთ.

საწყისისაგან განსხვავებით, რომელიც ზოგად შინაარსს გადმოგვცემს, ეს ტერმინები ერთგზის შესრულებული მოქმედების სახელებია[279].

18. საწყისი მრავლობით რიცხვში არ იხმარება. მხოლოდ პოეზიაში შეიძლება შეგვხვდეს საწყისის **ნ**არიანი ფორმები. მაგ.:

ბერი მაუძღვა ლუხუმი,
ლურჯამ მაიღო **თქერანი**;
კლდეთაც კი ესმით, სალ კლდეთა,
მათურელთ გულის **ძგერანი**... (ვაჟა-ფშაველა).

როდესაც საწყისი აღნიშნავს არა მოქმედებას, არამედ საგანს, ანუ გაარსებითებულია, მას **ებ**-იანი მრავლობითიც ეწარმოება. შეადარეთ:

უფროსს უყვარდა **კითხვა**, უმცროსს – არა. მაგრამ: დაფაზე ჩამოწერეს **კითხვები**. ადამიანის **გამოცდა** ადვილია ბრძოლის, ნადირობისა და მოგზაურობის დროს. მაგრამ: 3 იანვრიდან სტუდენტებს **გამოცდები** ეწყებათ.

---

[278] ნ ა თ ე ლ ა მ უ ზ ა შ ვ ი ლ ი, ტერმინოლოგიური სიტყვათწარმოებისათვის, ქსკს, წიგნი XV, გვ. 129.

[279] ლ ა ლ ი ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ნასმნარ სახელთა წარმოების საკითხები სპორტის (ტანვარჯიშის) ტერმინოლოგიაში, ქსკს, წიგნი IX, თბ., 1989, გვ. 337.

19. როგორც აღვნიშნეთ, საწყისში შერწყმულია როგორც სახელის, ისე ზმნის თვისებები. იმისდა მიხედვით, თუ საწყისის რომელი თვისებაა წარმოსაჩენი – სახელური თუ ზმნური, იგი შეიძლება დაუწყვილდეს როგორც ზედსართავს, ისე ზმნიზედას[280]. სინონიმური წყვილებია:

ლამაზი ან ლამაზად წერა (ხატვა/ცეკვა/გაფორმება), კარგი ან კარგად სწავლა, სწრაფი ან სწრაფად კითხვა (სიარული/ლაპარაკი/აღზევება/დაწინაურება), ნელი ან ნელა სვლა, ტკბილი ან ტკბილად ძილი, სწორი ან სწორად მართვა, არასწორი ან არასწორად დაგეგმვა, მკვეთრი ან მკვეთრად დამუხრუჭება, დროული ან დროულად მოთხოვნა.

20. საწყისის მართლწერას უკავშირდება პუნქტუაციის წესებიც.

დეფისით იწერება:

ა) საწყისის ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტები, რომელთაც ზმნიზედის მნიშვნელობა აქვთ:

ჩქეფ-ჩქეფად, წრუპვა-წრუპვით (მაგრამ: წრუპწრუპით), წყობა-წყობად, ჭამა-ჭამით, ხტუნვა-ხტუნვით;

ბ) კომპოზიტები, რომლებშიც შეერთებულია მხოლოდ საპირისპირო მიმართულების ზმნისწინებით განსხვავებული საწყისები:

ასვლა-ჩასვლა, აწონ-დაწონა, გაელა-გამოელა, მიყრა-მოყრა, მიხრა-მოხრა, შეხლა-შემოხლა.

რთული სიტყვის პირველ კომპონენტს, თუ ის ორზე მეტმარცვლიანია, ბოლო ხმოვანი (საწყისის მაწარმოებელი) ეკვეცება:

აწევ-დაწევა, გაგზავნ-გამოგზავნა, გახედვ-გამოხედვა, გადაზიდვ-გადმოზიდვა, გადარბენ-გადმორბენა, გადაცემ-გადმოცემა, გადაწყობ-გადმოწყობა.

შესაძლოა, ბოლო ხმოვანთან ერთად თემის ნიშანიც (ან მისი ნაშთი) ჩამოშორდეს:

---

[280] ბ ე ს ა რ ი ო ნ ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ზმნის ხმოვანპრედიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983, გვ. 222.

მიკიბ-მოკიბ-ე-ა, მიტარ-მოტარება, გაგორ-გამოგორება, გადაგორ-გადმოგორება (// გადაგორებ-გადმოგორება).

გ) რთულფუძიანი საწყისები, რომელთა შემადგენელი ნაწილები მნიშვნელობის მხრივ ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვებია:

დაცვა-პატრონობა, კვნესა-ხვნეშა, მანჭვა-გრეხა, მოყლა-დამუშავება, მოთქმა-გოდება, მორთვა-მოკაზმვა, სმა-ჭამა (ან ჭამა-სმა), შებმა-შეტაკება, შევსება-შესწორება, ჩაცმა-დახურვა, წყწვა-გლეჯა, წყეველა-კრულვა, ხვნა-თესვა-თოხნა.

21. უდეფისოდ იწერება:

ე. წ. მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტი საწყისია:

გულისთქმა, გულისტკენა, გულისცემა, გულისწყრომა, თავდადება, თავგადადება, თავგამოდება, თავდაიწყება, თავმოწონება, თვალთახედვა, მაჯისცემა, ნათლისღება, სულისდგმა, სულთქმა, ტაშისკვრა, ტაშისცემა, ყურთასმენა, ცრემლდენა, წელთაღრიცხვა, ხაზგასმა, ხელგაშლა, ხელყოფა[281].

22. ცალ-ცალკე იწერება:

გულის აყრა/აჩუყება/აცრუება/გადაშლა/გატეხა/ფრიალი/შეღონება/წადილი/წასვლა/წუხილი/ჭიდილი/ხეთქა, ჟამთა სვლა, სულის მოთქმა, ღვთის რისხვა, ცრემლის (ცრემლების) ღვრა, ხელის აღება, ხელის შეშლა (მაგრამ: ხელშეშლა), ხმის დაყრა, ხმის მიცემა, ყურის დაგდება (მაგრამ: ყურისგდება), ყურის მოკვრა (მაგრამ: ყურმოკვრით)[282].

---

[281] იხ. ვ ა რ ლ ა მ თ ო ფ უ რ ი ა და ი ვ ა ნ ე გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1998.

[282] იქვე.

§ 90. მოქმედებითი გვარის მიმღეობა

მიმღეობა ჰქვია ნაზმნარ სიტყვას, რომელიც წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც მსაზღვრელი. ის მიუგებს კითხვებზე: როგორი? რომელი?

მიმღეობა, ისევე როგორც საწყისი, სახელის ნიშნებსაც ატარებს და ზმნისასაც. ის იბრუნვის როგორც ზედსართაული სახელი, ზმნური ნიშნებიდან კი აქვს გვარი (მაგ.: მოქმედებითი – ამჩქარებელი, ვნებითი – აჩქარებული, საშუალი – მოჩქარე), დრო (წარსული – გალამაზებული, მომავალი – გასალამაზებელი), ასპექტი (უსრული – მთლელი, თლილი, სრული – გამთლელი, გათლილი). გარდა ასპექტისა, ზმნისწინიანი ფორმები გამოხატავენ მოძრაობის მიმართულებასაც (სააქეთო – შემოსული, საიქითო – გასული).

ზოგიერთი ზმნისწინი ზმნასა და მისგან ნაწარმოებ მიმღეობას სრულიად უცვლის ლექსიკურ მნიშვნელობას (ამ მიზეზით საილუსტრაციოდ უმთავრესად მოყვანილი გვაქვს ზმნისწინიანი ფორმები). უზმნისწინო მიმღეობების ნაწილს დაკარგული აქვს ზმნური ნიშნები და სახელად არის ქცეული.

მიმღეობა წარმოებისას ეყრდნობა I სერიის (იშვიათად – II სერიის) თემას. აწმყოსა და მყოფადის ფორმებს ჩამოსცილდება პირის, რიცხვის, მწკრივის, ქცევისა და სიტუაციის (ე. წ. საზედაო) ნიშნები, სხვა მწკრივებს – სავრცობიც. რაც შეეხება თემის ნიშანს, მიმღეობის ფორმაში ის ზოგჯერ სრულად არის წარმოდგენილი, ზოგჯერ – შეკუმშული სახით, ზოგჯერ კი დაკარგულია.

მიმღეობა იწარმოება მრავალფეროვანი აფიქსებით და, შესაბამისად, მდიდარია ფორმებით. აქედან გამომდინარე, ხშირად დგება მისი მართებულად წარმოების საკითხი. ზოგჯერ ნორმირების ერთადერთი კრიტერიუმია არა რაიმე კანონზომიერება, არამედ ამა თუ იმ ფორმის გავრცელებულობა (მიმღეობებში სხვადასხვა ეპოქისა და დიალექტის ფორმებია შემონახული). ეს ართულებს მიმღეობის სწორი ფორმების შერჩევას და „თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთიანი პრინციპის უქონლობაზე მეტყველებს“[283].

---

[283] რ უ ს უ დ ა ნ ს ა ღ ი ნ ა ძ ე, მიმღეობურ ფორმათა სემანტიკური დიფერენციაცია ქართულში (ნორმირების ასპექტით), ქსკს, წიგნი XIII, გვ. 38.

მიმღეობის მართლწერასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია როგორც მისი, ისე ამოსავალი ზმნის ფორმების სიმდიდრე და თავისებურებანი. ტრადიციული კლასიფიკაციით, მიმღეობა არის მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი გვარისა (თუმცა ალბათ უფრო მისაღებია სამეცნიერო ტერმინები – სასუბიექტო და საობიექტო, რადგან მოქმედებითი გვარის მიმღეობა გვიხასიათებს გარდამავალი ზმნის სუბიექტს, როგორც პირდაპირი ობიექტის მიმართ მოქმედების შემსრულებელს, ხოლო ვნებითი გვარის მიმღეობა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, – იმავე ზმნის პირდაპირ ობიექტს. მაგ.: ნაცარქექია ქექავს ნაცარს. ნაცარქექია (სუბიექტი) არის **მქექავი,** ნაცარი (პირდაპირი ობიექტი) არის გაქექილი და სხვ. **მქექავი** მოქმედებითი გვარის (სასუბიექტო) მიმღეობაა, გაქექილი – ვნებითი გვარისა (საობიექტო)).

მოქმედებითი გვარის (სასუბიექტო) მიმღეობის ძირითადი მაწარმოებელია **მ (მა)** თავსართი დამოუკიდებლად ან **-ელ** და **-არ** (**რ**-ნარევ ფუძეებში **-ალ**) ბოლოსართებთან ერთად (ზმნისწინიან მიმღეობას მაწარმოებელი თავსართი ზმნისწინის შემდეგ დაერთვის). არაპროდუქტიულია თავსართ-ბოლოსართები: **მე-ე** (გამგე), **მა-ე** (მაცნე), **მ-ულ** (მსაჯული), **მა-ურ** (მაცდური), **მო-ედ** (მოქმედი), **მა-ის** (მაქნისი).

დაიმახსოვრეთ:

1. **მ**-თავსართი დაერთვის **-ევ**-ბოლოსართიან ზმნებს და **-ობ**-თემისნიშნიანთა უმეტესობას.

სწორია: იკელ-ევ-ს – გამო-**მ**-კელ-ევ-ი; ამთხვევს – დამმთხვევი; ამტვრევს – დამმტვრევი; არჩევს – გამრჩევი; იწვევს – მიმწვევი;

ასევე: აშრ-ობ-ს – გა-**მ**-შრ-ობ-ი; გაართობს – გამრთობი; განაგრძობს – განმგრძობი; გაუპობს – გამპობი; დააწყობს – დამწყობი; დააცხრობს – დამცხრობი; თმობს – დამთმობი; მიანდობს – მიმნდობი; მოსპობს – მომსპობი; შეატყობს – შემტყობი; ჩააქრობს – ჩამქრობი;

მაგრამ: ამხ-ობ-ს – და-მა-მხ-ობ-ელ-ი; ამკობს – შემამკობელი; შობს – მშობელი.

თანაბარუფლებიანი პარალელური ფორმებია:

გამომცნობი// გამომცნობელი, გამომცხობი // გამომცხობელი, დამგმობი // დამგმობელი, დამპყრობი // დამპყრობელი.

2. -ი- და **-ამ**-თემისნიშნიანი ზმნებისგან სასუბიექტო მიმღეობა იწარმოება **მ-ელ** თავსართ-ბოლოსართით. **-ელ** ბოლოსართის დართვით **ი** იკვეცება, **-ამ** და **-ავ** თემის ნიშნები კი იკუმშება (**-ი** ბოლოსართი თემის ნიშანია, თუ სმნას აწმყოს წრის სამიეე მწკრივში გადაჰყვება. მაგ.: აწმყო – ვთლ-**ი**, უწყვეტელი – ვ-თლ-**ი**-დ-ი, აწმყოს კავშირებითი – ვ-თლ-**ი**-დ-ე. მწკრივის ნიშნები უწყვეტლისა და აწმყოს კავშირებითის ფორმებში ბოლო ხმოვნებია, კერძოდ: **ი** და **ე**).

სწორია: გრაგნ-**ი**-ს – **მ**-გრაგნ-**ელ**-ი; დაკოცნის – დამკოცნელი; კორტნის – მკორტნელი; მოღლის – მომღლელი; ხედნის – მხედნელი; ჯღაბნის – მჯღაბნელი;

და არა: მგრაგნი, დამკოცნი, მკორტნავი, მომღალავი, მხედნავი, მჯღაბნავი.

შენიშვნა: **-ი**-თემისნიშნიანი ზმნისგან ნაწარმოები ზოგი მიმღეობა **-ავ**-თემისნიშნიანი ფორმითაა გავრცელებული: წველ-**ი**-ს – **მ**-წველ-**ავ**-ი, წონ-**ი**-ს – **მ**-წონ-**ავ**-ი, მაგრამ: ამწონი, და არა ამწონავი.

3. ერთთემიანი, ფუძედრეკადი (ხმოვანმონაცვლე), **-ემ-** და **-ავ**-თემისნიშნიანი ზმნებისაგან მიმღეობა იწარმოება როგორც **მ-** თავსართით, ისე **მ-ელ** თავსართ-ბოლოსართით. ზოგჯერ ძნელია, მოიძებნოს კრიტერიუმი, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ მართებული ფორმის შერჩევისას. მაგ.: **მ-** და **მ-ელ** აფიქსებით ნაწარმოები მიმღეობები ზოგჯერ თანაბაუფლებიან პარალელურ ფორმებადაა მიჩნეული, ზოგჯერ უპირატესობა ეძლევა თავსართიან ფორმას, ზოგჯერ კი – თავსართ-ბოლოსართიანს. ამასთან:

ა) ერთთემიანი ზმნები და მათგან ნაწარმოები მიმღეობები **-ავ** თემის ნიშნის დართვის ტენდენციას იჩენენ:

სწორია: კვეთს – მ-კვეთი [და არა მკვეთავი], ხვეწს – მხვეწი // მხვეწელი [და არა მხვეწავი];

მაგრამ დასაშვებ ფორმებად მიიჩნევა უთემისნიშნო ზმნებისგან ნაწარმოები: მჩეჩავი, მჩეხავი, მხვეტავი, უპირატესობა კი ეძლევა უთემისნიშნო მიმღეობებს, როგორიცაა: მჩეჩი // მჩეჩელი, მჩეხი // მჩეხელი, მხვეტელი (იხ. თემის ნიშნები, № 2-ის შენიშვნა).

ბ) როგორც ცნობილია, ფუძედრეკადი (ხმოვანმონაცვლე) ზმნები თემის ნიშანს არ დაირთავენ (თუმცა ისინიც, გარდა **-ევ**-ბოლოსართიანებისა, **-ავ** თემის ნიშნის დართვის ტენდენციას იჩენენ), ამიტომ მათ არც მიმღეობაში არ უნდა ჰქონდეთ თემის ნიშანი.

მ- თავსართით იწარმოება:

ყვლეფს – გა-მ-ყვლეფი; წყვეტს – გამწყვეტი; ბნედს – დამბნედი; გრეხს – დამგრეხი; გლეჯს – წამგლეჯი.

მცდარია: დამბნედავი ან დამბნიდავი, წამგლეჯავი ან წამგლიჯავი, დამგრეხავი ან დამგრიხავი, გამყვლეფავი ან გამყვლიფავი; გამწყვეტავი ან გამწყვიტავი.

მ-ელ თავსართ-ბოლოსართით იწარმოება:

დრეკს – მ-დრეკ-ელ-ი, დღვებს – მდღვებელი; კვნეტს – მკვნეტელი, წმენდს – მწმენდელი; წაბილწავს – წამბილწველი; ხვრეპს – მხვრეპელი;

მცდარია: მდრეკავი, მდღვებავი, მკვნეტავი, მწმენდავი, წამბილწავი, მხვრეპავი.

თანაბარუფლებიანი პარალელური ფორმებია:

დამდგენი // დამდგენ-ელ-ი, მჩხვლეტი // მჩხვლეტ-ელ-ი.

გ) -ემ თემის ნიშანი, რომელიც ერთადერთ ფუძეს დაერთვის, მიმღეობაშიც შენარჩუნებულია:

გასც-ემ-ს – გა-მ-ც-ემ-ი; გამოსც-ემ-ს – გამო-**მ**-ც-**ემ-ელ**-ი.

4. უამრავი პარალელური ცალის არსებობა აძნელებს მიმღეობის წარმოებას **-ავ**-თემისნიშნიანი ზმნებისგანაც. მაგ.:

სწორია მ-თავსართიანი ფორმები: გა-**მ**-ჭიმ-**ავ**-ი, დამგეგმავი, დამკრძალავი, დამნერგავი, დამხურავი, მკაფავი, მკეპავი, მკეტავი, მკვეცავი, მკილავი, მკონავი, მკურნავი, მმალავი, მსესხავი, მცოცავი, მხუთავი;

და არა: გა-მ-ჭიმ-ველი, დამგეგმველი, დამკრძალველი, დამნერგველი, დამხურველი, მკაფველი და მისთ.

სწორია: **მ-ელ**-თავსართ-ბოლოსართიანი ფორმები: გამო-მ-რთ-ვ-ელ-ი, დამლურსმველი, დამხარჯველი, მთესველი;

და არა: გამომრთაი, დამლურსმავი, დამხარჯავი, მთესავი.

ზოგჯერ უპირატესობა ეძლევა **მ-ელ** თავსართ-ბოლოსართიან მიმღეობას, ხოლო დასაშვებია **მ**-თავსართიანი ფორმები. მაგ.:

და-**მ**-დაღვ-ელ-ი (// და-**მ**-დაღავი), დამჩაგვრელი (// დამჩაგრავი), მსინჯველი (// მსინჯავი), მტანჯველი (// მტანჯავი), მცოდველი (// მცოდავი), მძრახველი (// მძრახავი), მხაზველი (// მხაზავი), შემნახველი (// შემნახავი), შემწირველი (// შემწირავი).

თანაბარუფლებიანი პარალელური ფორმებია:

გა-**მ**-მარგებლ-**ელ**-ი // გამმარგლ-ავ-ი, დამთუთქველი // დამთუთქავი, მკიცხველი // მკიცხავი, მომხიბვლელი (მეტათეზისით) // მომხიბლავი, მფლანგველი // მფლანგავი, მყლაპველი // მყლაპავი, მყნოსველი // მყნოსავი, წარმმართველი // წარმმართავი.

5. თუ ზმნის ფუძე ხმოვნით იწყება, **მ** თავსართს ემატება **ა** (გრამატიკოსთა მიერ მას სხვადასხვა კვალიფიკაცია ეძლევა).

სწორია: ა-სულდგმულებს – **მა**-სულდგმულებელი; ასწავლის – მასწავლებელი; ატარებს – მატარებელი; აღიარებს – მაღიარებელი; აყვედრის – მაყვედრებელი, აყოვნებს – მაყოვნებელი; აცოცხლებს – მაცოცხლებელი; გააბათილებს – გამაბათილებელი; გააგიჟებს – გამაგიჟებელი; გააერცელებს – გამავრცელებელი; გააკეთილშობილებს – გამაკეთილშობილებელი, გაანადგურებს – გამანადგურებელი; გაანაწილებს – გამანაწილებელი; განაზოგადებს – განმაზოგადებელი;

და არა: მსულდგმულებელი, მსწავლებელი, მტარებელი, მღიარებელი, მყვედრებელი, მყოვნებელი, მცოცხლებელი და ა.შ.

მაგრამ: ა-თანაბრებს – გა-მ-თანაბრებ-**ელ**-ი; ათენებს – გამოეჭენებელი; აკეთებს – გამკეთებელი; ანიავებს – გამნიავებელი;

6. თანაბარუფლებიანი პარალელური ფორმებია:

აღ-მა-შენებელი // აღ-მ-შენებელი, გამაღიზიანებელი // გამღიზიანებელი, გამაჩანაგებელი // გამჩანაგებელი, გამაცოცხლებელი // გამცოცხლებელი, მასაზრდოებელი // მსაზრდოებელი, შემაგინებელი // შემგინებელი, შემაკაკვებელი // შემკაკვებელი, შემაწუხებელი // შემწუხებელი.

7. ხმოვნით დაწყებული სახელისაგან ნაწარმოებ ზმნებს დაერთვის **მა-ელ** თავსართ-ბოლოსართი (მათ პარალელური ცალები არ გააჩნიათ):

ა-**მა-ორ**თქლებ-ელ-ი, ამა**ო**ხრებლი, გამა**ორ**კეცებელი, გამა**უმ**ჯობესებელი, გამა**უ**ქმებელი, დამაი**მ**ედებელი, დამაე**ჭ**ვებელი, მა**უწ**ყებელი, შემა**ერ**თებელი.

თუ ეს ხმოვანი **ა** არის, ერთმანეთის გვერდით მოხვდება ორი **ა**:

განმაახლებელი, დამაავადებელი, დამაავადმყოფებელი, დამაარსებელი, დამაახლოებელი, მაამებელი.

მა- დაერთვის აგრეთვე იმ ზმნებს, რომელთა ფუძე **მ**-თი იწყება (წარმოთქმის გასაადვილებლად, განსაკუთრებით - მაშინ, თუ ამ **მ**-ს მოსდევს თანხმოვანი).

სწორია: გა-მა-მდიდრებ-ელ-ი, გამამტყუნებელი, გამამწარებელი, გამამხიარულებელი, გამამხნევებელი, დამამდაბლებელი, დამამყარებელი, დამამშვენებელი, დამამშვიდებელი, დამამცირებელი, დამამძიმებელი, შემამსუბუქებელი;

და არა: გამმდიდრებელი, გამმტყუნებელი, გამმწარებელი და ა.შ.

თანაბარუფლებიანი პარალელური ფორმებია:

და-მა-მკვიდრებელი // და-მ-მკვიდრებ-ელ-ი,
დამამახინჯებელი // დამმახინჯებელი, დამამიწებელი // დამმიწებელი, დამამსგავსებელი // დამმსგავსებელი.

რიცხვში ზმნის მონაცვლეობა მიმღეობაშიც აისახება. შეადარეთ:

დააგდებს – დამგდები (როცა სამოქმედო ობიექტი ერთია);

დაყრის – დამყრელი (როცა სამოქმედო ობიექტი ბევრია).

მ(მა) – არ(ალ) თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები მიმღეობა ძირითადად გაარსებითებულია:

მაგ.:

მაცხოვარი, მათხოვარი, მ-კვლევ-**არ**-ი, მხატვარი, მწერალი.

მ და **მა-** თავსართები ენამ შესაძლოა გამოიყენოს მნიშვნელობათა განსასხვავებლად. მაგ.:

დამახასიათებელი – ნიშანდობლივი (თვისებები);
დამხასიათებელი – ვინც ახასიათებს.

მასესხებელი – ვინც ასესხებს;
მსესხებელი – ვინც სესხულობს.

მაცხოვრებელი – ვინც ვინმეს აცხოვრებს;
მცხოვრები – ვინც ცხოვრობს.

მაწარმოებელი – 1. ვინც აწარმოებს რამეს, მწარმოებელი. 2. გ რ ა მ ა ტ. რაც ფორმას აწარმოებს, მაგ., – თავსართი;
მწარმოებელი – ვინც ან რაც აწარმოებს, ქმნის, აკეთებს, ამზადებს რამეს.

§ 91. მიმღეობის პარონიმული წყვილები და სამეულები

ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონის მიხედვით პარონიმული წყვილები ან სამეულებია აგრეთვე:

გამტარი – სპეცნივთიერება, რომელიც გაუშვებს, გაატარებს, გადასცემს სითბოს, ელექტროობას, ბგერას;
გამტარებელი – ვინც ან რაც გაატარებს (ვინმეს ან რამეს); განმხორციელებელი (რეგისტრაციაში **გამტარებელი**; კანონის **გამტარებელი**). შეადარეთ: დროის გამტარებელი (=მომლხენი).

დამფარავი – 1. ვინც ან რაც დაფარავს (სიმართლის/ დამნაშავის **დამფარავი**); 2. გადამხდელი (ვალის **დამფარავი**); 3. მფარველი, დამცავი;

დამფარებელი – ვინც რაიმეს დაიფარებს ან დააფარებს (თავზე...); შეადარეთ: ხელის **დამფარებელი**;
მფარველი – გ ა დ ა ტ. მსრუნველი; დამცველი (**მფარველი** ანგელოზი).

დამცავი – რაც დაიცავს; რაიმესგან დასაცავად დანიშნული (**დამცავი** სათვალე/ნაგებობა...); შეადარეთ: **დამცავი** ფერი;
დამცველი – 1. ვინც დაიცავს; მფარველი; მხარის დამჭერი (მეგობრის **დამცველი**); 2. ს ა მ ა რ თ. პირი, რომელიც იცავს ვინმეს სასამართლო პროცესს; ადვოკატი; 3. ტ ე ქ. რასაც იზოლაციის დანიშნულება აქვს; იზოლატორი; დამცველი მოწყობილობა (დამცველები ამოვარდა).

მომკითხავი – მომკითხველი. ეს სიტყვები ერთი შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: ვინც მოიკითხავს (ვინმეს ან რაიმეს); ამბის მკითხველი;
მომკითხველი – ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობაც აქვს: პასუხის მომთხოვნი (ან ვინც უნდა მიაკითხოს; შენიშვნა ჩვენია – ი. ბ.).

შემმართავი, შემმრთველი – ვინც შემართავს რაიმეს, აღმართველი (სმლის... **შემმართავი/შემმართველი**),
შემმართებელი – გულადი, გამბედავი, ვაჟკაცი.

§ 92. ვნებითი გვარის მიმღეობა

ვნებითი გვარის (საობიექტო) მიმღეობა გარდამავალი ზმნის პირდაპირ ობიექტს (რომელიც იმავე ფუძის ვნებითის ფორმის სუბიექტია) გვიხასიათებს როგორც ზმნით გამოხატული მოქმედების ობიექტს. ის შესაძლოა იყოს წართქმითი (**დახვეწილი, აგებული**) ან უკუთქმითი (**დაუხვეწელი, აუგებელი**). წართქმითი მიმღეობა გამოხატავს წარსულ ან მომავალ დროს (სამივე დროის გაგება აქვთ მხოლოდ **ვალ**-ფუძიანი საშუალი გვარის ზმნისგან ნაწარმოებ ფორმებს). მაგ.:

პოეტი წერს ლექსს. ლექსი (პირდაპირი ობიექტი) არის **დაწერილი ან ნაწერი** (წარსულში), **დასაწერი** (მომავალში).

მასწავლებელი ასწორებს დავალებას. დავალება (პირდაპირი ობიექტი) არის **გასწორებული ან ნასწორები** (წარსულში), **გასასწორებელი** (მომავალში).

დაწერილი, ნაწერი, დასაწერი, გასწორებული, ნასწორები, გასასწორებელი ვნებითი გვარის (საობიექტო) მიმღეობებია (სტატიკურ ვნებითს მიმღეობის ფორმა არა აქვს).

1. წარსული დროის მიმღეობის მაწარმოებლებია: აფიქსები: **-ილ, -ულ, მ-არ (⇒ მ-ალ), ნა-. -ილ** და **-ულ.** ბოლოსართების განაწილება გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება: **-ილ** უმთავრესად იმ ზმნებს დაერთვის, რომელთაც ფუძეში **ე** ან **ო** ხმოვანი აქვთ, ხოლო **-ულ – ი-, უ-** ან **ა-**ხმოვნიანებს. გვხვდება გამონაკლისები, თუმცა მათგან მიმღეობის წარმოებისას შეცდომა მოსალოდნელი არ არის. მართლწერის საკითხი არ დგას არც ერთმარცვლიან (მაგ.: **რგავს**) ან ფუძეკუმშვად (მაგ.: **ვწნავ – დავწანი**) ზმნებთან, რომელთაგან ზოგს დაეროვის – **-ილ**, ზოგს – **-ულ** ბოლოსართი.

-ილ დაერთვის:

ა) ერთთემიან ზმნებს: კვეთს, კვეცს, ტეხს, ჩეჩს, ჩეხს, იღეღს, წერს, ხვეწს:

გაკვეთ-ილ-ი, შეკვეცილი, გადატეხილი, გაჩეჩილი, დაჩეხილი, გაღეღილი, მიწერილი, დახვეწილი;

ბ) ფუძედრეკად (ხმოვანმონაცვლე) ზმნებს, გარდა **-ევ**-ბოლოსართიანებისა: ამხელს, გლეჯს, ზელს, კბეჩს, ფლეთს, სრესს, ყვლეფს, წყვეტს, ხლეჩს:

გამხელ-ილ-ი, დაგლეჯილი, მოზელილი, ჩაკბეჩილი, ჩამოფლეთილი, გასრესილი, გაქცლეფილი, გადაწყვეტილი, გახლეჩილი;

გ) -ოფ-თემისნიშნიანებს (ასეთი ერთადერთი ფუძეა, რომელსაც სხვადასხვა ზმნისწინი დაერთვის): დაყ-ოფ-ს, გამოყოფს:

დაყოფ-ილ-ი, გამოყოფილი;

დ) -ობ-თემისნიშნიან ზმნათა ნაწილს: ამყნ-ობ-ს, განაგრძობს, გმობს:

დამყნ-ობ-ილ-ი, განგრძობილი, დაგმობილი;

ე) -ავ-თემისნიშნიანებს, რომლებშიც **-ავ** გვიანდელია: ბერტყ-ავ-ს, დანაყავს, თესავს, კეცავს, ლესავს, რეკავს, კერავს:

დაბერტყ-ილ-ი, დანაყილი (ამოსავალია ნაყ-ს), დათესილი, დაკეცილი, გალესილი, დარეკილი, ჩაკერილი;

მაგრამ: თიბავს – გათიბული (ამოსავალია თიბ-ს).

ვ) ზმნებს, რომელთაც **-ავ** თემის ნიშანი თავიდანვე ჰქონდათ, მაგრამ ფუძეში მოეპოვებათ **ე** ან **ო** ხმოვანი: ბეგრ-ავ-ს, თეთქვავს, ქელავს, კეტავს, სერავს, ცელავს; ბოჭავს, ზოგავს, ყნოსავს:

დაბეგრ-ილ-ი, დათეთქვილი, დაქელილი, დაკეტილი, დასერილი, მოცელილი; შებოჭილი, დაზოგილი, დაყნოსილი;

ზ) -ი-თემისნიშნიანებს (მნიშვნელობა არა აქვს, ფუძეში რომელი ხმოვანია): ბურძგნ-ი-ს, დაკლაკნის, დაღლის, დაჯაბნის, დაჯავშნის, დაჯღაბნის, მომკის, ფუთნის, ფურჩქნის, ჭმუჭნის, ჭმუხნის.

გაბურძგნ-ილ-ი, დაკლაკნილი, დაღლილი, დაჯაბნილი, დაჯავშნილი, დაჯღაბნილი, მომკილი, შეფუთნილი, შეფურჩქნილი, დაჭმუჭნილი, შეჭმუხნილი.

და არა: გაბურძგნ-ულ-ი, დაკლაკნული, დაღალული, დაჯაბნული, დაჯავშნული, დაჯღაბნული, მომკული, შეფუთნული, დაჭმუჭნული, შეჭმუხნული.

გამონაკლისია: ყიდის – გაყიდული, შეისყიდის – შესყიდული (ყიდის ზმნა **-ავ**-თემისნიშნიანი უნდა ყოფილიყო: საწყისში ყიდვაა.)

2. **-ულ** დაერთვის **-ამ-, -ებ-, -ემ**-თემისნიშნიან და **-ევ**-ბოლოსართიან ზმნებს, აგრეთვე **-ავ-** თემისნიშნიანთა ნაწილს. მაგ.: არტყ-ამ-ს – დარტყ-მ-ულ-ი (**უ**-ს წინ **-ამ** იკუმშება); ანათ-ებ-ს – განათ-ებ-ულ-ი; გასც-ემ-ს (ასეთი ერთადერთი ფუძეა) – გაც-ემ-ულ-ი; არწ-ევ-ს – დარწ-ე(ვ)-ულ-ი. ამასთან:

ა) **უ** ხმოვნის წინ **-ავ** თემის ნიშანი იკუმშება, ხოლო დარჩენილი თანხმოვანი იკარგება.

სწორია: დაფქ-ავ-ს – დაფქ-ულ-ი (ძველად იყო დაფქვილი); ჩათუთქავს – ჩათუთქული; ჩაფლავს – ჩაფლული; ჩაფუშაცს – ჩაფუშული;

ბ) **-ებ-** თემის ნიშანი **-ულ**-ბოლოსართიან ზმნას მიმღეობაშიც გადაჰყვება.

სწორია: ავს-ებ-ს – გავს-ებ-ულ-ი; ამზადებს – მომზადებული; გააყუჩებს – გაყუჩებული; დააზომებს – დაზომებული (**მაგრამ:** დაზომავს – დაზომილი); დააკუტებს – დაკუტებული; დააფიცებს – დაფიცებული (**მაგრამ:** დაფიცავს – დაფიცული); დაკიდებს – დაკიდებული; იწყებს – დაწყებული; შემოიმტკიცებს – შემომტკიცებული;

და არა: ავსილი, მომზადილი, გაყუჩული, დაკუტული, დაკიდული, დაწყილი, შემომტკიცული (გეხვდება დიალექტებში).

3. ზოგიერთი ზმნის ფუძისაგან სემანტიკურად განსხვავებული მიმღეობები იწარმოება.

ვნებითი გვარის მიმღეობის პარონიმული წყვილები

ვნებითი გვარის მიმღეობის პარონიმული წყვილებია:

გადაფარული – რაც რაიმეთი გადაფარეს ან გადაიფარა (თოვლით გადაფარული მინდორი);
გადაფარებული – რაც გადააფარეს; ზევიდან გაშლით დაფარებული; გადაბურული...

გაკითხული – 1. მოკითხული; ვინც მოწყალება მიიღო; 2. გაგებული (გაკითხული ამბავი);
განკითხული – 1. გასამართლებული; 2. ეკლ. განსჯილი; გაკიცხული; განკიცხული; გაკილული.

შეფარული – ის, რაც შეფარულია, დაფარული;
შეფარებული – ვინც ან რაც შეაფარეს ან შეეფარა; შეკედლებული.

4. წარმოების თვალსაზრისით განსხვავებული პარონიმული წყვილებია:

გამოდევნილი – ვინც ან რაც გამოდევნეს, გამოგდებული;
გამოდევნებული – ვინც ან რაც გამოედევნა, გამოეკიდა.

გატანილი – 1. შიგნიდან გარეთ წაღებული (ეზოში გატანილი მაგიდა); 2. გასაყიდად საექსპორტოდ წაღებული (საზღვარგარეთ გატანილი ღვინო); 3. გადატ. გახმაურებული (საქვეყნოდ გატანილი ამბავი); 4. ავტომანქანის ქვეშ მოქცეული;
გატანებული – ვინც ან რაც გაატანეს (ვინმეს ან რაიმეს).

მოგონილი – გამოგონილი (მოგონილი ჭორი);
მოგონებული – გახსენებული (მოგონებული ბავშვობა).

ჩაკერილი – რაც ჩაკერეს; გაკერილი;
ჩაკერებული – 1. რაც ჩააკერეს, კერვით ჩამაგრებული. 2. საუბ. ჩართული, ჩამატებული (მოთხრობაში ჩაკერებული ლექსი).

5. მ-არ თავსართ-ბოლოსართით საობიექტო მიმღეობა იწარმოება უნიშნო (ე. წ. III ტიპის) ვნებითისაგან (**რ**-ნარევ ფუძეებში **-არ** გადაიქცევა **-ალ**-ად).

სწორია: ღნ-ებ-ა – და-მ-ღნ-არ-ი; ობება – გამობარი; ჭკნება – დამჭკნარი; ფრთხება – და-მ-ფრთხ-ალ-ი; ქრება – გამქრალი.

ამავე ფუძის ზმნების მოქმედებითი გვარის ფორმები **-ობ-** თემისნიშნიანია: ადნობს, ათბობს, აჭკნობს, აფრთხობს, აქრობს. მათგან ნაწარმოები წარსული დროის მიმღეობებია: დადნობ-ილ-ი, გათბობილი, დაჭკნობილი, დაფრთხობილი, გაქრობილი, მაგრამ ისინი მცდარ ფორმებად მიიჩნევა და სალიტერატურო ენაში არ გამოიყენება.

ზოგ შემთხვევაში ამავე გზით მიღებული საობიექტო მიმღეობის ფორმები კანონიერია. მაგალითები:

გატყდება – გამტყდარი (რაც გატყდა)	გატეხს – გატეხილი (რაც გატეხეს)
მოცდება (ან მოსცდება) – მომცდარი (ვინც ან რაც მოცდა ან მოსცდა)	მოაცდენს – მოცდენილი (ვინც ან რაც მოაცდინეს)
მოხდება – მომხდარი (რაც მოხდა)	მოახდენს – მოხდენილი (რაც მოახდინეს)
შეძვრება – შემძვრალი (რაც შეძვრა)	შეაძვრენს – შეძვრენილი (რაც შეაძვრინეს)
წახდება – წამხდარი (რაც წახდა)	წაახდენს – წახდენილი (რაც წაახდინეს)
გალღვება – დასაშვებია გამლღვალი (რაც გალღვა)	გაალღობს – გალღობილი (რაც გაალღვეს)
ლხვება – [გამლხვალი] (რაც გალხვა)	ალხობს – გალხობილი (რაც გაალხვეს)

6. სხვა შემთხვევაშიც, შესაძლოა, ზმნის ფუძეს ჰქონდეს ორი საობიექტო მიმღეობა – ერთი მოქმედებითი გვარის ზმნისგან ნაწარმოები, მეორე – ვნებითისაგან. მაგ.:

გაპარული – მალულად, ჩუმად წასული;
გაპარებული – ჩუმად წაყვანილი, გაშვებული.

დახვედრილი – ვინც ან რაც დახვდა;
დახვედრებული – ვინც ან რაც დაახვედრეს.

შეგროვილი – ვინც ან რაც შეგროვდა;
შეგროვებული – ვინც ან რაც შეაგროვეს.

შერჩენილი – რაც შეარჩინეს ან შერჩა (შერჩენილი ვალი; ხესე შერჩენილი ფოთლები/ვაშლი);
შენარჩუნებული – რაც შეინარჩუნეს (შენარჩუნებული სიცოცხლე/სახელი/სიმდიდრე).

7. წარსული დროის მიმღეობა თავსართითაც იწარმოება. **ნა-** თავსართი დაერთვის I სერიის თემას (იშვიათად – II სერიის თემასაც): სვამს – ნა-სვამი; აპობს – ნაპობი; აწებს – ნაწები; გაყოფს – განაყოფი; გაცრის – განაცერი; ამსხვრევს – ნამსხვრევი; ამბობს – თქვა – ნათქვამი. უზმნისწინო ფორმების ნაწილი გაარსებითებულია (მაგ.: ნატეხი, ნაყინი, ნაწარმი, ნაჭერი, ნახერხი). ამასთან:

ა) **-ავ** თემის ნიშანი ზოგჯერ იკარგება:

ბეჟ-ავ-ს – ნა-ბეჟი; ბეჭდავს – ნაბეჭდი, გადარიცხავს – გადანარიცხი; დაკარგავს – დანაკარგი; შეღებავს – შენაღები; წავს – ნამწვი;

მაგრამ: მალ-ავ-ს – ნა-მალ-ავ-ი; პარავს – ნაპარავი; ფქვავს – ნაფქვავი.

შენიშვნა: ნა-პარ-ევ ფორმაში **ევ** უძველესი მაწარმოებელია (**-ავ** თემის ნიშნის ფონეტიკური ნაირსახეობა).

ბ) **-ებ-**თემისნიშნიან მიმღეობებს უთემისნიშნო პარალელური ცალებიც მოეპოვებათ.

სწორია: ნადუღები // ნადუღი, ნამზადები // ნამზადი; ნაშენები // ნაშენი.

გ) ზოგიერთი მიმღეობა საწყისის ფუძისაგან იწარმოება. მაგალითები:

ბრძოლა – ნა-ბრძოლი; დგომა – ნადგომი; ჯდომა – ნაჯდომი; პოვნა – ნაპოვნი; შოვნა – ნაშოვნი; თხოვნა – ნათხოვნი.

დ) ნა- პრეფიქსს ზოგჯერ **-არ** ბოლოსართიც ახლავს (თუმცა ეს თავსართ-ბოლოსართი არაპროდუქტიულია):

ნა-ომ-არ-ი, ნაქნარი, ნაშოვარი // ნაშოენი, ნათხოვარი (წიგნი);

მაგრამ: ნათხოვი (ცოლი), ნათხოვნი (ნებართვა).

ე) უსმნისწინო ფორმები წარსული დროის მიმღეობას ძირითადად **ნა-** პრეფიქსით ეწარმოება (იყიდა – ნაყიდი; იღრძო – ნაღრძობი; ნახა – ნანახი (= ნახული, მაგრამ ნანახი შენახულსაც ნიშნავს), ზმნისწინიანებში კი გვხვდება როგორც თავსართიანი, ისე ბოლოსართიანი წარმოება. მაგ.:

მონაგები, მოგებული; მონაპოვარი, მოპოვებული; მონაფენი, მოფენილი; მონაწყვეტი, მოწყვეტილი; მონაჭერი, მოჭრილი; მონაჭორი, მოჭორილი; მონახაზი, მოხაზული; შენაბამი, შებმული; შენარჩევი, შერჩეული; შენაღები, შეღებილი.

ნა-თავსართიანი და **-ილ/ულ** ბოლოსართიანი მიმღეობები მნიშვნელობით ერთი და იგივეა, მაგრამ ზოგჯერ ნორმად მიჩნეულია ბოლოსართიანი, და არა თავსართიანი ფორმა.

სწორია: შეგდებული, შეგლეჯილი, შესრულებული, შეშფოთებული, შეძრწუნებული;

და არა: შენაგდები, შენაგლეჯი, შენასრულები, შენაშფოთი, შენაძრწოლები // შენაძრწოლი.

-ებ და -ევ ბოლოსართთა მონაცვლეობა მიმღეობებსა და წინა ვითარების სახელებში

8. **ნა** თავსართი დამოუკიდებლად ან **-ევ** და **-არ(ალ)** ბოლოსართებთან ერთად წინა ვითარების სახელებსაც აწარმოებს (**ნა**ტაძრევი, **ნა**სოფლ**არი**, **ნა**ტერფ**ალი**) და ზოგჯერ ძნელია გარკვევა, **ნა**-პრეფიქსიანი ფორმა წინა ვითარების სახელია თუ საობიექტო მიმღეობა (მითუმეტეს, რომ ბევრი მათგანი გაარსებითებულია).

წინა ვითარების სახელისა და **ნა**-თავსართიანი საობიექტო მიმღეობის გამოყენებისას მართლწერის საკითხი დგება მაშინ, როდესაც წინა ვითარების სახელი ნაწარმოებია **ნა-ევ** თავსართ-ბოლოსართით და მიმღეობა ეყრდნობა **-ებ**-თემისნიშნიანი ზმნის ფუძეს: მიმღეობაში ბოლოკიდურ **-ებ**-ს ანაცვლებენ **-ევ** ბოლოსართით. ეს არ ეხება იმ ზმნებს, რომლებიც უღლების ჩვეულებრივ წესს მისდევენ: მყოფადის წრის ფორმებს აწარმოებენ აწმყოს წრის ფორმებზე ზმნისწინის დართვით[284]. **შეადარეთ:** აგებს – დააგებს, აქებს – შე-აქებს და თაკილობს – ითაკილებს, ქადაგებს – იქადაგებს. პირველი რიგის ზმნებისგან მიმღეობის წარმოებისას არ ხდება **-ებ/ევ** დაბოლოებათა აღრევა: აგებს – **ნაგები** (ნაგევი მოსალოდნელი არ არის), მეორე შემთხვევაში კი მართებული **ნათაკილები** და **ნაქადაგები** ფორმების ნაცვლად მოსალოდნელია მცდარი ნათაკილევი და ნაქადაგევი (როცა დრო არ იგულისხმება).

ასევე არ არის მოსალოდნელი **ებ** დაბოლოების **ევ** დაბოლოებით შენაცვლება შემდეგი ზმნებისგან ნაწარმოებ მიმღეობებში:

აწმყო	მყოფადი	
აბარებს	– დააბარებს	– ნაბარები
აბრუნებს	– დააბრუნებს	– ნაბრუნები
აგროვებს	– დააგროვებს	– ნაგროვები
აკეთებს	– გააკეთებს	– ნაკეთები
ასავსავებს	– გაასავსავებს	– ნასავსავები
ატარებს	– მოატარებს	– ნატარები
აშენებს	– ააშენებს	– ნაშენები

---

[284] თ ა მ ა რ ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, **ნა-** – **-ევ** და **ნა-**აფიქსებით სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ქსკს, წიგნი I, გვ. 139.

აჩვენებს	– მოაჩვენებს	– ნაჩვენები
აწებს	– ჩააწებს	– ნაწები
დებს	– დადებს	– ნადები
იტაცებს	– მოიტაცებს	– ნატაცები
კრებს	– შეკრებს	– ნაკრები[285]

9. ნორმების მიხედვით **-ებ** ბოლოსართი უნდა იხმარებოდეს როგორც მიმღეობებში, ისე ე. წ. მიმღეობის ტიპის (ანუ სახელისგან, მათ შორის ე. წ. პირველადი საწყისისგან ნაწარმოებ) ფორმებში, **-ევ** დაბოლოება კი – წინა ვითარების სახელებში[286].

სწორია: ნა-ანგარიშ-ებ-ი, ნათვალთვალები, ნალოლიაქები, ნამემკვიდრები, ნასწავლები, **მაგრამ:** ნასწავლი (ვინც ისწავლა, რაც ისწავლა), ნაქეიფები, ნაშალაშინები, ნაწვალები, ნახეტიალები;

და არა: ნა-ანგარიშ-ევ-ი, ნალოლიაევები, ნამემკვიდრევი, ნაქეიფევი, ნაშალაშინევი, ნაწვალევი, ნახეტიალევი.

10. ამავე ნორმებით გამონაკლისის სახით **-ებ**-დაბოლოებიანი მიმღეობების გვერდით დასაშვებად არის მიჩნეული უმართებულო, მაგრამ ფართოდ გავრცელებული **-ევ**-იანი ფორმები. მაგ.:

ნაჩქარევი, ნავარაუდევი, ნაგულისხმევი, ნაკარნახევი[287].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხშირად ერთი და იგივე მიმღეობა სხვადასხვა ორთოგრაფიულ ლექსიკონში სხვადასხვანაირი დაწერილობით არის წარმოდგენილი.

---

285 იქვე, გვ. 139-140.

286 ნორმების ბიულეტენი № 3, გვ. 20.

287 იქვე, გვ. 21.

ნა-თავსართიან სიტყვათა პარონიმული წყვილები

11. ნა-თავსართიან და **-ებ-** და **-ევ-**ბოლოსართიან სიტყვათა პარონიმული წყვილები და სამეულებია:

ნააბანოები – ვინც იბანავა; აბანოში ნამყოფი (ნააბანოები ბავშვი);
ნააბანოევი – ადგილი, სადაც ადრე აბანო იყო.

ნაასპარეზები – ვინც იასპარეზა,
ნაასპარეზევი – სადაც ასპარეზი იყო.

ნავარჯიშები – ვინც ან რაც ავარჯიშეს; ვინც ივარჯიშა;
ნავარჯიშევს – ვარჯიშის შემდეგ.

ნავახშმი, ნავახშმები – ვინც ივახშმა;
ნავახშმევს – ვახშმის შემდეგ.

ნაზამთრი, ნაზამთრალი, ნაზამთრები – ვინც ან რამაც ზამთარი გამოიარა;
ნაზამთრევს – ზამთრის შემდეგ.

ნამარხულები, ნამარხულევი – ვინც იმარხულა;
ნამარხულევს – მარხვის შემდეგ.

ნაოპერაციები – ვისაც ოპერაცია გაუკეთეს;
ნაოპერაციევი – ადგილი, რომელზედაც ოპერაცია გაკეთდა.

ნაპატრონები – ვისაც (რასაც) უპატრონეს, მოუარეს;
ნაპატრონევი, ნაპატრონალი – პატრონად ნამყოფი.

ნასადილები – ვინც ისადილა;
ნასადილევს – სადილის შემდეგ.

ნასამხრი, ნასამხრები – ვინც ისამხრა;
ნასამხრევს – სამხრის შემდეგ.

ნაქმარები – ვისაც ქმარი ჰყავდა;
ნაქმრევი – ვინც ქმარი იყო.

ნაწორწინები – ვინც იქორწინა;
ნაქორწილები – ქორწილში ნამყოფი;

ნაქორწილევს – ქორწილის შემდეგ.

ნაჩუქურთმები – ჩუქურთმით შემკული;
ნაჩუქურთმევი – ადგილი, სადაც ჩუქურთმა იყო.

12. წარსული დროის საობიექტო მიმღეობის უკუთქმითი ფორმები იწარმოება **უ-** ან **უ-ელ** აფიქსით, ამასთან:

ა) **უ-** თავსართის დართვისას **-ავ** თემის ნიშანი მიმღეობაშიც სრულად არის შენარჩუნებული.

სწორია: ა-უ-კინძ-ავ-ი, გაუკაფავი, გაულესავი, გაუხიზნავი, დაუტანჯავი, მოუნათლავი, წაუკითხავი;
და არა: ა-უ-კინძ-ე-ელი, გაუკაფველი, გაულესველი, გაუხიზნელი და ა.შ.

ბ) **-ელ** სუფიქსის დართვისას **-ავ** და **-ამ** თემის ნიშნები იკუმშება:

რგ-ავ-ს – და-უ-რგ-ე-ელ-ი; აბ-ამ-ს – და-უ-ბ-მ-ელ-ი.

13. მომავალი დროის საობიექტო მიმღეობა უმთავრესად **სა** და **სა-ელ** აფიქსებით იწარმოება. იმისდა მიხედვით, თუ რომელი ფორმაა უფრო გავრცელებული და რომელი ქრება ხმარებიდან, უპირატესობა ეძლევა ზოგჯერ თავსართიან, ზოგჯერ თავსართ-ბოლოსართიან წარმოებას, ზოგჯერ კი ასეთი ფორმები თანაბარუფლებიანია. ამასთან:

ა) უთემისნიშნო (ერთთემიანი და ხმოვანმონაცვლე) ზმნებისაგან მომავალი დროის მიმღეობა უმეტესწილად **სა-** თავსართით იწარმოება. ზოგჯერ მას ურთავენ **-ავ** ნიშანს, რაც ნორმის დარღვევაა.

სწორია: ტეხს – გა-სა-ტეხი [და არა გასატეხავი]; ჩეკს – დასაჩეკი; ჩეჩს – გასაჩეჩი; ჩეხს – დასაჩეხი; ხვეტს – მოსახვეტი; ხვეწს – დასახვეწი;

ასევე: გლესს – გა-სა-გლესი; გლეჯს – გასაგლეჯი; დრეკს – მოსადრეკი; თქვეფს – გასათქვეფი; კვნეტს – ჩასაკვნეტი; კრეჭს – გასაკრეჭი.

14. **ი**-თემისნიშნიანი ზმნებისგან მომავალი დროის მიმღეობა იწარმოება როგორც **სა-** თავსართით, ისე **სა-ელ** თავსართ-ბოლოსართით.

სწორია: გა-სა-გზავნი, დასავარცხნი, დასატკეპნი, საწიწკნი, საჯიჯგნი;

და არა: გა-სა-გზავნ-ელ-ი, დასავარცხნელი, დასატკეპნელი, საწიწკნელი, საჯიჯგნელი.

თავსართ-ბოლოსართიან ფორმებში შეცდომა მოსალოდნელი არ არის:

ა-**სა**-ხსნ-**ელ**-ი, აღმო**სა**ფხვრე**ლი**, გა**სა**სრდე**ლი**.

15. -**ავ**-თემისნიშნიანი უმარცვლოძირიანი და ერთმარცვლიანი ზმნებისგან ნაწარმოებ მიმღეობაში შენარჩუნებულია თემის ნიშანი (დაფქვავს – დასაფქვავი; დაწნავს – დასაწნავი), ერთზე მეტმარცვლიანი ფორმების მართლწერა კი პრობლემურია.

თემის ნიშანი გვხვდება მიმღეობებში:

გა-სა-ბაწრ-ავ-ი, გასაბედავი, გასაკითხავი, გასაკილავი, გასამართავი, გასაუჯავი, გასაფანტავი, გასაქირდავი, დასაგეშავი, დასანახავი, დასარაზმავი, დასაფარავი, დასაღუპავი, დასაჩაგრავი, დასახუჭავი, მოსათაფლავი, მოსაკაზმავი, შესაკინძავი, შესარისხავი, შესაღობავი, წასაბილწავი.

ზოგიერთი მიმღეობის დაწერილობა სადავოა. მაგ., ქართული ენის დიდი ორთოგრაფიული ლექსიკონის (1998 წ.) ავტორებს მართებულად მიაჩნიათ ქვემოთ ჩამოთვლილი თემისნიშნიანი ფორმები:

დასაკრძალავი, დასარაზმავი, დასასახავი, დასახურავი, დასასტამბავი, დასაფანტავი, დასაჩაგრავი, დასახატავი, დასახუჭავი.

სხვა ლექსიკონების მიხედვით კი კანონიერია ამ მიმღეობათა უთემისნიშნო ფორმებიც, რომლებიც სასაუბრო ენაში დიდი ხანია იხმარება (იხ. ელექტრონული ორთოგრაფიული ლექსიკონი ena.ge/orthography-online). მაგ.:

დასაკრძალი, დასარაზმი, დასასახი, დასახური, დასასტამბი, დასაფანტი, დასაჩაგრი, დასახატი, დასახუჭი.

უთემისნიშნოდ იხმარება:

გა-სა-ზომი, გასაწური, დასათესი, დასაკეტი, დასალეწი, დასაყეყი, დასარეკი, მისაბაძი, მოსალოცი (ბარათი), მაგრამ მოსალოცავი (ადგილები).

თანაბარუფლებიანი პარალელური ფორმებია:

გა-სა-თელი // გა-სა-თელ-ავ-ი, გასაკიცხი // გასაკიცხავი, გასალახი // გასალახავი, გასარეცხი // გასარეცხავი, გასაქექი // გასაქექავი, გასაძარცვი // გასაძარცვავი, გასაწკეპლი // გასაწკეპლავი, გასაწური // გასაწურავი, გასაჯოხი // გასაჯოხავი, დასაბუგი // დასაბუგავი, დასაგეგმი // დასაგეგმავი, დასადაღი // დასადაღავი, დასაკარგი // დასაკარგავი, დასაკუწი // დასაკუწავი, დასამალი // დასამალავი, დასამარხი // დასამარხავი, დასაფარი // დასაფარავი, დასაძრახი // დასაძრახავი, დასაწინდი // დასაწინდავი, დასახარჯი // დასახარჯავი, მოსათოკი // მოსათოკავი, მოსათუთქი // მოსათუთქავი, მოსარეკი // მოსარეკავი, მოსაქარგი // მოსაქარგავი, შესაზიდი // შესაზიდავი, შესანახი // შესანახავი, შესაფუთი // შესაფუთავი, შესაწირი // შესაწირავი, ჩასარიცხი // ჩასარიცხავი, ჩასაქოლი // ჩასაქოლავი.

16. მომავალი დროის მიმღეობის უზმნისწინო ფორმები ძირითადად გაარსებითებულია. მაგ.: საკეტი, სამარხი, საწური.

17. **-ებ**-თემისნიშნიანი ზმნების უმრავლესობას დაერთვის **სა-ელ** თავსართ-ბოლოსართი.

სწორია: იჯერებს – და-სა-ჯერ-ებ-ელ-ი; მოაგვარებს – მოსაგვარებელი; მოიპოვებს – მოსაპოვებელი; მოაჩვენებს – მოსაჩვენებელი; შეაბრუნებს – შესაბრუნებელი; შეადარებს – შესადარებელი; შეასხურებს – შესასხურებელი; შეახამებს – შესახამებელი; შეიბრალებს – შესაბრალებელი (ან შე-სა-ბრალ-ის-ი); შეიცოდებს – შესაცოდებელი; შეიწყალებს – შესაწყალებელი.

18. თავსართით იწარმოება **-ებ**-იან ზმნათა მცირე რიცხვი, მათ შორის პირველადი ზმნები, რომელთაც უმარცვლო ძირი აქვთ. მაგ.:

აქ-ებ-ს – შე-სა-ქები; აღებს – გამოსაღები; იღებს – ასაღები; აგდებს – გასაგდები; წააგებს – წასაგები; ავლებს

– გამოსავლები; შეახებს – შესახები; ასწრებს – მოსასწრები; იწყებს – დასაწყები (დასაწყისი = რაიმე მოქმედების, მოვლენის პირველი მომენტი ან მომენტები, – დასაბამი).

ასევე: შეიფერ-ებ-ს – შე-სა-ფერი (ან შესაფერისი); დაუშვებს – დასაშვები;

19. თანაბარუფლებიანი პარალელური ფორმებია: გასაგონი // გასაგონებელი, დასაკიდი // დასაკიდებელი, შესაფარი // შესაფარებელი, საპკური // საპკურებელი.

20. ზოგჯერ მიმღეობის საწარმოებელ ამოსავალ ფუძედ **-ოლ-, -ომ-** და **-ნ-**ბოლოსართიანი საწყისებიც გამოიყენება:

და-სა-წ-ოლ-ი, და-სა-დგ-ომ-ი, შე-სა-ხვეწ-ნ-ი // შე-სა-ხვეწ-ნ-ელ-ი // შე-სა-ხვეწ-არ-ი // შე-სა-ხვეწი.

21. პარონიმული წყვილებია:

მისაგები – 1. რაც უნდა მიუგონ, საპასუხო (მისაგები სიტყვა); 2. ძვ. სამაგიერო (სასჯელი);
მისაგებელი – რაც უნდა მიაგონ; რისი ღირსიცაა; რაც ეკუთვნის; სამაგიერო (თავისი მისაგებელი მიიღო); **შეადარეთ:** მიცვალებულის მისაგებელი.
მისაგებებელი – ვისაც ან რასაც უნდა მიეგებონ; შესახვედრი (მისაგეგებელი სტუმარი).

მისადგმელი – რაც უნდა მიადგან, მისაყუდებელი (მისადგმელი კიბე);
მისადგომი – 1. რასთანაც მისვლა შეიძლება (მისადგომი კლდე / ადგილი); 2. მრ. მისადგომები – საიდანაც მიადგებიან ქალაქს; ქალაქის მიმდებარე ტერიტორიები (თბილისის მისადგომები); 3. ნაპირი, რომელსაც გემები მიადგებიან.

დასაწვენი – ვინც უნდა დააწვინონ;
დასაწოლი – 1. ვინც უნდა დაწვეს; 2. სადაც უნდა დაწვნენ.

დასახვედრი – 1. ვისაც ან რასაც უნდა დაუხვდნენ; შეხვდნენ;
დასახვედრებელი – რაც უნდა დაახვედრონ (დასახვედრებელი სადილი).

მოსაგონარი – ვინმეს გასახსენებლად განკუთვნილი;
მოსაგონებელი – რაც უნდა მოიგონონ ან გაიხსენოთ.

საკურთხი და საკუთხებელი – ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: ვინც ან რაც უნდა აკურთხონ, მაგრამ **საკურთხს** განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: ჭირისუფლის მიერ ეკლესიაში მიტანილი საჭმელ-სასმელი (მიცვალებულის სახელზე), რომელსაც მღვდელი აკურთხებს;
საკურთხეველი – კანკელით გამოყოფილი ნაწილი ეკლესიისა.

22. მომავალი დროის საობიექტო მიმღეობით შესაძლოა აღინიშნოს სამოქმედო იარაღიც. მაგალითად, ასარევია ისიც, რაც მომავალში უნდა არიონ, და ისიც, რითაც უნდა არიონ. ასეთივეა: საბეჭდი, საბურღი, საპრიალებელი.

ზოგიერთი მიმღეობიანი კომპოზიტი გამოიყენება მანქანა-იარაღების სახელდებისათვის. მაგ.:

პირსაწმენდი, მტვერსასრუტი, ცეცხლსაქრობი, წყალსატუმბავი.

§ 93. -ად/დ ბოლოსართით საწყისისაგან ნაწარმოები მიმღეობები

23. ვნებითი გვარის მიმღეობის ბადალია ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისისაგან ნაწარმოები სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინები, რომლებიც გამოხატავენ საგნის უნარ-თვისებას, შესაძლებლობას. მაგ.:

აალებადი (აალებისუნარიანი), უანგვადი (ჟანგვის თვისების მქონე), ხსნადი (რაც სითხეში იხსნება), ამოხსნადი (რისი ამოხსნაც შესაძლებელია), მსხვრევადი (რაც ადვილად იმსხვრევა), თხევადი (დინების უნარის მქონე), ჭედადი (რისი დამუშავებაც შესაძლებელია ჭედვით).

ბოლო ხანებში იგრძნობა აღნიშნული მოდელის მიმღეობური ფორმებით ზედმეტად გატაცება. მიუღებელია **ად**-ბოლოსართიანი მიმღეობების ახალგაჩენილი ფორმები, როგორიცაა:

ცნობადი, ყურებადი, სმენადი, გაფიცვადი, გაკეთებადი, განხორციელებადი, კონტროლირებადი; კითხვადი, წერადი, დალევადი, მოგებადი, გაყალბებადი, მოტყუებადი, აყვავებადი (სალომე ომიაძე, დასახელებული ნაშრომი).

24. დემობილიზებული თუ დემობილიზირებული?

ვნებითი გვარის მიმღეობის ტიპისაა აგრეთვე რუსული ენის გზით შემოსული ფრანგულიდან ნასესხები სიტყვებისგან (უფრო სწორად – შესიტყვებისაგან) ნაწარმოები მიმღეობები, რომლებსაც ქართულში გადმოჰყვება **-იზა** ბოლოსართი. ამ მიმღეობებში სრულიად ზედმეტია **-ირ** მაწარმოებელი (იხ. გვ. 165). მაგ.: ავტომატიზაცია – ავტომატიზებული (რაც ავტომატური მექანიზმებით აღჭურვეს).

სწორი ფორმებია:	**მცდარია:**
დემობილიზაცია – დემობილიზებული (სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებული)	დემობილიზირებული (~~იერ~~)
იდეალიზაცია – იდეალიზებული (რაც გააიდეალეს)	იდეალიზირებული (~~იერ~~)
ინტელექტუალიზებული	ინტელექტუალიზირებული(~~ირ~~)
კომპიუტერიზებული	კომპიუტიზირებული (~~იერ~~)
მექანიზაცია – მექანიზებული (რაც მექანიზმებით აღჭურვეს)	მექანიზირებული (~~იერ~~)
მობილიზაცია – მობილიზებული (აქტიურ მდგომარეობაში გადაყვანილი)	მობილიზირებული (~~იერ~~)
მოდერნიზაცია – მოდერნიზებული (თანამედროვე გემოვნების შესაბამისად შეცვლილი)	მოდერნიზირებული (~~იერ~~)
პრივატიზაცია – პრივატიზებული (სახელმწიფო საკუთრების კერძო საკუთრებაში გადაცემული)	პრივატიზირებული (~~იერ~~)
სპეციალიზაცია – სპეციალიზებული (1. სპეციალობაში დახელოვნებული, 2. სპეციალობის მიხედვით დანაწილებული)	სპეციალიზირებული (~~იერ~~).

§ 94. საშუალი გვარის (მედიუმის) მიმღეობა

გარდაუვალ ზმნებს, რომელთაც აწმყოში აქვთ მოქმედებითი გვარის ზმნების ყალიბი, პირობითად მედიუმს უწოდებენ. ვნებითი გვარისაგან განსხვავებით, ასეთი ფორმებისაგან დამოუკიდებლად იწარმოება მიმღეობა. ეს მიმღეობა გვიხასიათებს მედიუმის სუბიექტურ პირს მდგომარეობის ან ისეთი მოქმედების მიხედვით, რომელიც არ არის მიმართული პირდაპირი ობიექტისადმი. ამდენად, ისიც სასუბიექტო მიმღეობაა, ისევე როგორც მოქმედებითი გვარის მიმღეობა. მაგ.:

> ფოთოლი შრიალებს. ფოთოლი არის **მოშრიალე**.
> პოეტი წუხს. პოეტი არის **მწუხარე**.
> ახალი წლის ღამეს თოვლი მოვიდა. თოვლი არის **მოსული**.

მოშრიალე, მწუხარე და მოსული მედიუმის მიმღეობებია.

მედიუმის ერთ ჯგუფს, რომელიც უღლებისას ნაკლულ მწკრივებს თავისივე ფუძის მოქმედებითით (აქტივით) ივსებს, აკაკი შანიძემ მედიოაქტივი უწოდა, ხოლო მეორეს, რომელიც ვნებითის (პასივის) წარმოებას იზიარებს, – მედიოპასივი. შესაბამისად, მედიუმის მიმღეობის ჯგუფიც ორნაირია – მედიოაქტივისა და მედიოპასივისა.

მედიოაქტივის მიმღეობის ძირითადი მაწარმოებლებია: **მ-, მო-ე, მ-არე, მ-არ**. ამასთან:

1. მ- პრეფიქსი დაერთვის:

ა) -ავ-თემისნიშნიან ზმნებს:

> ბაძ-ავ-ს – მბაძ-ავ-ი, ბრუნ-ავ-ს – მ-ბრუნ-ავ-ი; ბზინავს – მბზინავი (ან მბზინვარე); ბრჭყვინავს – მბრჭყვინავი; გორავს – მგორავი; ჟონავს – მჟონავი; როკავს – მროკავი (ძვ.); ხოხავს – მხოხავი; ფეთქავს – მფეთქავი;
> წარმოშობით ფუძედრეკადებს: ბრღღვინავს – მბრდღვინავი და ფშვინავს – მფშვინავი;

ბ) რამდენიმე ფუძედრეკად ზმნას. როგორც ვიცით, ფუძედრეკადი ზმნები **-ავ** თემატური ნიშნის დართვის ტენდენციას

იჩენენ. ზოგი მათგანის თემისნიშნიანი ფორმა პარალელურად დამკვიდრებულია და მიმღეობის ამოსავალი ფუძეა:

ფრენს // ფრინავს – მ-ფრინ-ავ-ი; ქშენს // ქშინავს – მქშინავი; [ღრენს //] ღრინავს – მღრინაეი.

2. მო-ე თავსართ-ბოლოსართი დაერთვის:

ა) -ობ-თემისნიშნიან ზმნათა მცირე ნაწილს (უმეტესობას მიმღეობის ფორმები არ ეწარმოება):

ასპარეზ-ობ-ს – მო-ასპარეზ-ე; დავობს – მოდავე; დარაჯობს ის/სდარაჯობს ის მას – მოდარაჯე; თარეშობს – მოთარეშე; კრიახობს – მოკრიახე; ნავარდობს – მონავარდე; სეირნობს – მოსეირნე; ქეიფობს – მოქეიფე; ჩქარობს – მოჩქარე; ძალადობს – მოძალადე.

ბ) ცურა-ობ-ს... ტიპის ზმნებს, რომლებიც მრავალჯერად მოქმედებას გამოხატავენ. მათ ნასესხებ მწკრივებში აქვთ **ვ** (იცურა-**ვ**-ებ-ს ⇐ აცურა-**ვ**-ებ-ს), რომელიც მიმღეობის ფორმაშიც უნარჩუნდებათ:

ბურთა-**ობ**-ს – **მო**-ბურთა-**ვ**-ე; ბუქსაობს – მობუქსავე; ბულრაობს – მობულრავე; კინკლაობს – მოკინკლავე; მუშაობს – მომუშავე; ქანაობს – მოქანავე; ცურაობს – მოცურავე (იხ. შენიშვნა); ჭიდაობს – მოჭიდავე; ხტუნაობს – მოხტუნავე (შეადარეთ: ხტის – მხტომი, მხტომელი; ხტუნავს – მხტუნავი; ხტება – მხტომარე).

შენიშვნა: მოცურავე – მცურავი – ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: ვინც ან რაც ცურავს, მაგრამ მათ განსხვავებული მნიშვნელობაც აქვთ: **მოცურავე** – ცურვის მცოდნე, ოსტატი; **მცურავი** – წყლის ზედაპირზე მოტივტივე[288].

გ) -ებ-თემისნიშნიან ფუძეგაორკეცებულ, **-იალ**-სუფიქსიან და სხვა ზმნებს. მაგ.:

ბაჯბაჯ-**ებ**-ს – **მო**-ბაჯბაჯ-**ე**; ბუტბუტებს – მობუტბუტე; გიზგიზებს – მოგიზგიზე; კამკამებს – მოკამკამე; კაშკაშებს – მოკაშკაშე; კისკისებს – მოკისკისე [და არა

---

[288] იხ. ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი.

მოკასკასე]; კისკასებს – მოკისკასე; ლასლასებს – მოლასლასე; ნარნარებს – მონარნარე; ჩახჩახებს – მოჩახჩახე; ჩუხჩუხებს – მოჩუხჩუხე; ციმციმებს – მოციმციმე; ჩაქჩაქებს – მოჩაქჩაქე; ჭიკჭიკებს – მოჭიკჭიკე; პარპაშებს – მოპარპაშე; ფარფატებს – მოფარფატე; ჩანჩალებს – მოჩანჩალე; ჩურჩულებს – მოჩურჩულე; წანწკარებს [და არა წკანწკარებს] – მოწანწკარე;

ასევე: კრიალ-**ებ**-ს – **მო**-კრ-იალ-ე; სრიალებს – მოსრიალე; ფრიალებს – მოფრიალე; შრიალებს – მო'შრიალე; ჩხრიალებს – მოჩხრიალე; ყიალებს – მოყიალე; ციალებს – მოციალე;

ასევე: ბუსღუნ-**ებ**-ს – **მო**-ბუსღუნ-ე; უალერსებს – მოალერსე; უკიჟინებს – მოკიჟინე; ციაგებს – მოციაგე; ციგლიგებს – მოციგლიგე; შეჰყურებს – შემყურე.

3. მ-არე დაერთვის ერთთემიან და **-ავ**-თემისნიშნიან ზმნათა ნაწილს. მაგ.:

დუმს – **მ**-დუმ-**არე**; დუღს – მდუღარე; თელემს – მთვლემარე; იღიმის – მოღიმარი (// მოღიმარე) // მღიმარი (// მღიმარე); იცინის – მცინარე; ჩქეფს – მჩქეფი // მჩქეფარე (გადმოჩქეფს – გადმომჩქეფარე); წუხს – მწუხარე; ქუხს – მქუხარე; ჭექს – მჭექარე;

ასევე: ბზინ-**ავ**-ს – **მ**-ბზინ-**არე** (ან მბზინავი); ბრწყინავს – მბრწყინავი ან მ-ს გარეშე: ბრწყინვალე (= 1. რაც ბრწყინავს, ელვარე, კაშკაშა; 2. გადატ. უჩვეულოდ კარგი, შესანიშნავი, საუცხოო, დიდებული; 3. ძვ. წარჩინებული გვარისა, წოდებისა)[289]. ელავს – დასტურდება მ-ს გარეშე: ელვარე; ღელავს – მღელვარე; შფოთავს – მშფოთვარე (ან მშფოთავი).

4. მ-არ (მ-ალ) დაერთვის ზმნებს:

იკვეხნის ის (// იკვეხის) – მ-კვეხ-არ-ი; სძლევს – მძლევარი, სდევს – მდევარი; ტირის (ის) – მ-ტირ-ალ-ი (ან მო-ტირ-ალ-ი); უმზერს – მზირალი; ყვირის (ის) – მყვირალი.

ამ წარმოების ზოგ მიმღეობას დაერთვის **-ა** ბოლოსართი, რომელიც გამოხატავს რაიმე ნიშან-თვისების მქონებლობას. მაგ.:

---

[289] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული.

მკვეხარა (ვინც იკვეხნის, ბაქია, ტრაბახა), მტირალა (ვისაც ტყუილუბრალოდ და ხშირად სჩვევია ტირილი), მყვირალა (1. ვისაც ან რასაც ყვირილი სჩვევია: 2. გადატან. მკვეთრი, თვალში საცემი; 3. გარეგნულად ეფექტური, მაგრამ უშინაარსო)[290].

5. მ-ან თავსართ-ბოლოსართი დაერთვის ზმნათა ერთ წყებას, რომლებსაც აწმყოს მწკრივის ნიშნად **ი** აქვთ და რომლებსაც ზოგჯერ პირდაპირი ობიექტი შეეწყობათ:

კივის (ის) – მ-კივ-ან-ი (⇒ მ-კივ-ან-ა); ჩივის (ის) – მომჩივანი // მოჩივარი [და არა მომჩივარი]; ჩხავის (ის) – მჩხავანი (⇒ მჩხავანა); წივის (ის) – მწივანი.

6. ზოგიერთი მიმღეობა საწყისის ფუძისაგან იწარმოება:

თრთოლა – მთრთოლი ან მთრთოლ-არე; სრბოლა – მსრბოლი; ქროლა – მქროლი ან მქროლავი; ძრწოლა – მძრწოლი; კრთომა – მკრთომი ან მკრთომარე; ხტომა – მხტომი.

7. არაპროდუქტიული მაწარმოებლებია: **მა-არ (მა-ალ), მო-არ (მო-ალ), მო-ედ, მ-არე**:

სწყენს – აწყინა – **მა**-წყინ-**არ**-ი; რქენს – **მა**-რქენ-**ალ**-ი; უცქერის – მაცქერალი; ჩხუბობს – **მო**-ჩხუბ-**არ**-ი მღერის ის (ხოგადად) – **მო**-მღერ-**ალ**-ი; რბის – ირბენს – ირბინა – მო-რბენ-ალ-ი (ძველად – მორბინალი); **მო**-რბ-ედ-ი ძვ. (წინამორბედი).
მო-ედ აწარმოებს აგრეთვე მოქმედებითი გვარის მიმღეობას: მო-ქმ-ედ-ი [და არა მომქმედი]; გლოვობს – **მ**-გლოვ-**იარე**.

8. ზოგჯერ ერთმანეთს უნაცვლებენ ბგერობრივად მსგავს, მაგრამ ლექსიკური მნიშვნელობით განსხვავებულ ფორმებს. ქეგლ-ის მიხედვით სხვადასხვა შინაარსისაა:

მჯობნი (⇐ სჯობნის) – ვინც სჯობნის ვინმეს; მომრევი; მძლეველი (ჩხუბში, ჭიდაობაში...);
მჯობი (⇐ სჯობია) – ვინც ან რაც სჯობია ვინმეს ან რამეს.

---

[290] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული.

მდევარი – 1. ვინც ან რაც დასაჭერად სდევს, მისდევს; 2. სახელდახელოდ შედგენილი რაზმი თავდამსხმელთა ან გაქცეულთა დასადევნებლად, შესაპყრობად;

მდევნელი – 1. ვინც ან რაც სდევს, დასდევს ვინმეს ან რამეს; 2. ვინც ან რაც სდევნის ვინმეს ან რამეს (ნადირის მდევნელი მონადირე); 3. ვინც თვალყურს ადევნებს.

მიმდევარი – 1. ვინც ან რაც მისდევს, უკან მიჰყვება ვინმეს ან რამეს; მიმყოლი; 2. ადამიანი, რომელიც მისდევს, აღიარებს ამა თუ იმ მოძღვრებას, შეხედულებას, თვალსაზრისს.

მდინარი – რაც მდინარებს;

მდინარე – ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარე (დიდი) წყალი);

მიმდინარე – 1. რაც მიმდინარეობს (არხში მიმდინარე წყალი); 2. ამჟამინდელი, ახლანდელი (მიმდინარე სასწავლო წელი); 3. ყოველდღიური, საყოველთაო; მორიგი (მიმდინარე საქმეები)

გამომდინარე – 1. რაც გამოედინება (ლიახვიდან გამომდინარე რუ); 2. რაც გამომდინარეობს (კონსტიტუციიდან გამომდინარე საარჩევნო კანონი).

9. მედიოპასიეის რამდენიმე მიმღეობაც საწყისის ფუძისაგან იწარმოება (ძირითადი მაწარმოებელია **მ-არე**). ესენია:

> ზის – იჯდა – ჯდომა – **მ-ჯდომ-არე**, მჯდომი (შეადარეთ: ჯდება – მჯდარი); სხედს (ძვ.) – სხდომა – მსხდომარე, მსხდომი (შეადარეთ: სხდება – მსხდარი); დგას – დგომა – მდგომარე, მდგომი (ვინც ან რაც დგას). შეადარეთ: მდგარი (ვინც ან რაც იდგა).

საწყისის ფუძისგანაა ნაწარმოები **მწოლიც, მწოლიარე** კი, სავარაუდოდ, მისგანაა მიღებული.

10. მედიუმის მიმღეობას დროის კატეგორია არა აქვს. გამონაკლისია **სვლის** გამომხატველი ზმნებისგან ნაწარმოები მიმღეობები. ასეთი ზმნების უღლებისას ერთმანეთს ენაცვლებიან **დი, ვალ** და **ვედ (ვიდ)** ფუძეები, რომლებსაც სხვადასხვა ზმნისწინი დაერთვის, ამათთან, მიმღეობაში გამოყენებულია **ვალ** ფუძე, რომელიც ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის:

> მომავალი ან მომსვლელი (დრო – ახლანდელი), მოსული (დრო – წარსული); მოსასვლელი (დრო – მომავალი).

11. პარონიმული წყვილებია:

მოსავალი – აღებული პროდუქციის მთელი რაოდენობა (პურის/ყურძნის მოსავალი);
მოსასვლელი – 1. რითაც უნდა მოვიდნენ (მოსასვლელი გზა);
2. ვინც ან რაც უნდა მოვიდეს.

შემოსავალი – (წლიური შემოსავალი);
შემოსასვლელი – (გზა/კარი/ჭიშკარი).

შესავალი – (პოემისა/რომანისა...);
შესასვლელი – (თეატრისა/მეტროსი...).

12. ინვერსიული (შებრუნებული) წყობის ზმნებში მიმღეობა გრამატიკულ (მორფოლოგიურ) ირიბ ობიექტს (რეალურ სუბიექტს) მიემართება (განსაზღვრავს). მაგალითები:

მაქვს – მქონე; მომწონს – მომწონე (თავმომწონე); მძულს – მოძულე; მიყვარს – მოყვარე, მოყვარული; მიხარია – მოხარული; მღვიძავს – მღვიძარე; მძინავს – მძინარე; მინდა – მნდომი (ან მნდომელი).

ზოგ ფორმაში შემონახულია უძველესი ზმნური ფუძე:

სურს – მოსურნე; შურს – მოშურნე[291].

ნ ამჟამად უფუნქციო ელემენტია.

---

[291] ბ ე ს ა რ ი ო ნ ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე და სხვ. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988. გვ. 301, შენიშვნა 1.

§ 95. ზმნიზედა

ზმნიზედა (იგივე ზმნისართი) არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილი, რომელიც გვიჩვენებს, თუ სად, როდის, როგორ, რა ზომით, რამდენჯერ, რატომ ან რისთვის ხდება ზმნით აღნიშნული მოქმედება.

ზმნიზედა მეტწილად ახლავს ზმნას (ლამაზად ხატავს) ან სახელზმნას (ლამაზად ხატვა, ლამაზად დახატული), ზოგჯერ ზედსართავ სახელსა (ძალიან თეთრი) და ზმნიზედას (ძალიან ნელა). ის შეიძლება შეგვხვდეს წევრ-კავშირისა და თანდებულის ფუნქციითაც. მაგ.: **სადაც** ვარდი ამოდის, იქ ეკალიც თესია. სახლის **წინ** ჭადარი ჩანს.

შინაარსის მიხედვით გამოიყოფა ზმნიზედის რამდენიმე ჯგუფი. ესენია:

ადგილის (კითხვები – **სად? საით? საიდან? საითკენ? სადამდე?**): შინ, წინ, ახლოს, შუაში, აქედან, იქითკენ, ზემოთ, გარეთ, სოფლად, ყველგან, სხვაგან, გზადაგზა, მაღლა-მაღლა.
მათ შორის **უარყოფითი:** არსად, არსაიდან, ვერსად, ნურსად.

დროის (კითხვები – **როდის? რა დროიდან? რა დრომდე?**): გუშინ, გვიან, ერთხელ, ზეგ, მალე, ჯერ, დღეს, ამასობაში, საღამოობით, პარასკეობით, პატარაობისას, ღამით, ხვალამდე, დღისით, დროდადრო, დღედაღამ, გვიან-გვიან.
მათ შორის **უარყოფითი**: არასდროს, ვერასდროს // ვერასოდეს, ნურასდროს.

ვითარებითი (კითხვები – **როგორ? რანაირად?**): ძლიერ, ჯიქურ, კარგად, ცხადად, გონიერულად, აუჩქარებლად, ცალყბად, კისკისით, თვალნათლივ, ოდნავ, შლიგინ-შლიგინით, ჩუმ-ჩუმად, თანდათან, გარდიგარდმო, ყალყზე, წოლელა, ჯდომელა.
მათ შორის **უარყოფითი:** ვერანაირად, ვერასდიდებით.

ზომა-ოდენობის (კითხვები – **რა ზომით? რა ოდენობით?**): მეტრობით, გრამობით, ტონობით, ცალობით, სულ,

სავსებით, მთლად, მთლიანად, ათად, ნახევრად, ამდენად, ერთიორად, მეტისმეტად.

რიგობით-ჯერობის (კითხვები – **რამდენჯერ? მერამდენედ? მერამდენეჯერ?**): ბევრჯერ, სოგჯერ, ასჯერ, ერთხელ (ერთგზის), სამგზის, მეორედ, ორიოდეჯერ, ამდენჯერ, მეოთხეჯერ, სამ-სამჯერ; მათ შორის **უარყოფითი**: არცერთხელ.

ზომა-ოდენობისა და რიგობით-ჯერობის ზმნიზედები, ისევე როგორც ვითარებისა, სინტაქსურად ვითარების გარემოებაა.

მიზეზის (კითხვები – **რატომ? რა მიზეზით?**): ამიტომ, მაგიტომ, იმიტომ.

მიზნის (კითხვები – **რისთვის? რად?**): ამისთვის, იმისთვის, მაგისთვის, ამად, იმად, გასათავისუფლებლად, მოსაყვანად, საბალახოდ.

კითხვითი: ზმნიზედების ჯგუფების კითხვები კითხვითი ზმნიზედებია: ესენია: **სად? როდის? როგორ? რა ოდენობით? რამდენჯერ? მერამდენედ? მერამდენეჯერ? რატომ? რისთვის?**

მიმართებითი, მიღებული კითხვით ზმნიზედებზე **-ც** ნაწილაკის დართვით (გამოიყენება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში წევრ-კავშირად): სადაც, როდესაც, როგორც, რამდენჯერაც, რატომაც, რისთვისაც.

განუსაზღვრელობითი, მიღებული კითხვით ზმნიზედებზე **-მე** ან **ღა-ც(ა)** ნაწილაკების დართვით: სადმე, სადღაც, როდისმე, როდისღაც, როგორმე, როგორღაც, რატომღაც, რამდენჯერმე.

ადგილის ზმნიზედის შესაბამისი კითხვები და მათგან ნაწარმოები მიმართებითი და განუსაზღვრელობითი ზმნიზედები წინადადებაში ადგილის გარემოებაა, დროის ზმნიზედისა – დროის გარემოება. იგივე ითქმის ვითარების, მიზეზისა და მიზნის გარემოებების კითხვებზე.

წარმოების მიხედვით ზმნიზედა არის პირველადი – ძირეული (აქ, იქ, წინ, შინ, ხვალ, სად) და ნაწარმოები (ეგრე, ერთგან, სამჯერ, წლობით, თავქვე, მეტრობით). წარმოქმნილი ზმნიზედა მეტწილად სახელის რომელიმე ბრუნვის „გაქვავებული“ ფორმაა (ძირითადად ეს ფაქტორი უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი მართლწერის დროს). მაგ., ზმნიზედად მიიჩნევა ვითარებითში დასმული ზედსართავი და რიცხვითი სახელები (ლამაზად ⇐ ლამაზი; ათად ⇐ ათი), უკუთქმითი მიმღეობები (აუღელვებლად ⇐ აუღელვებელი; დაუფიქრებლად ⇐ დაუფიქრებელი), აგრეთვე მოქმედებითში მდგომი მოქმედება-მდგომარეობისა და ემოციურობის გამომხატველი საწყისები (აჩქარებით ⇐ აჩქარება; აღტაცებით ⇐ აღტაცება).

ზმნიზედის მართლწერა

1. ნაწარმოები ზმნიზედები შეიძლება შეგვხვდეს როგორც თანდებულიანი, ისე უთანდებულო ფორმით. კერძოდ:

ა) მიცემითის ფორმით: ახლოს [და არა ახლო, მაგრამ: ახლომახლო ან ახლო-ახლო], მერმისს, წელს, წლეულს [და არა წრეულს], ნავახშმევს (=ვახშმის შემდეგ), ბევრს (მაგ., ბევრს ეცადა), განზე, გვერდზე, ალიონზე, ცამოწმენდილზე, ყირაზე, ძალზე [და არა ძალზედ], ბოლოში, თავში.

ბ) ნათესაობითის ფორმით: მარადის (შემოკლებით – მარად), ერთგზის, მარჯვნისკენ, შინისკენ.

გ) ნათესაობით-მიცემითის ფორმით: გათენებისას, დამშვიდობებისას, პატარაობისას, წასვლისას, მეზობლისას, მეგობრისას.

დ) მოქმედებითის ფორმით (ბოლოვდება თ-თი): გარეთ (⇐ გარე-დთ ⇐ გარე), ზემოთ // ზევით [და არა ზეით], ქვემოთ // ქვევით [და არა ქვეით], ფეხთით [და არა ფერხთით], წინათ [და არა წინედ], სიცილით, ვერასდიდებით, დღეიდან.

ე) ნათესაობით-მოქმედებითის ფორმით: დღისით, ნებსით (⇐ ნებისით).

ვ) ვითარებითის ფორმით: ალმაცერად, ქვეყნად (თუ მოქმედების ადგილს აღნიშნავს), ძველად, გაისად, წამიერად, ამაოდ, ვერანაირად, აპრიორულად, ამდენად, ასაშენებლად, მეტნაკლებად, მყისიერად, მკვირცხლად, მშვიდად, სისტემატურად [და არა სისტემატიურად], უამწიგნოდ, უდავოდ, უზმოდ [და არა უზმაღ], უსიტყოდ, უქმად, ყოვლად, ძირითადად [და არა ძირითადში], ჯეროვნად, შინამდე, ხვალამდე (// ხვალამდის).

> **შენიშვნა: მდე** და **მდის** თანდებულებიდან უფრო გავრცელებულია **მდე** სახეობა. ამასთან, **მდის** სახეობაა გამოყენებული ზოგიერთ „გაქვავებულ“ გამოთქმაში, როგორიცაა გამოთხოვების ფორმულები: ნახვამდის, ხვალამდის (ნორმები გვ. 99).

ვითარებითის ფორმა ბოლოვდება **დ**-თი, თუმცა ისმის **თ**, რის გამოც ხშირია მცდარი ფორმები. შეცდომის თავიდან ასაცილებლად გვირჩევენ, საორჭოფო ზმნიზედას დავურთოთ ნაწილაკი **-ვე**, რომელიც გამოავლენს, ბოლო ბგერა მჟღერი **დ** უნდა იყოს თუ ყრუ **თ**. მაგ.: უცბად-ვე, გარეთ-ვე[292].

ზ) სახელისაგან ნაწარმოებ ზმნიზედას ბრუნვის ნიშანი შეიძლება მოეკვეცოს მთლიანად ან ნაწილობრივ.

> **სწორია:** ყოველდღე (⇐ ყოველ დღე-ს), წუხელ (⇐ წუხელის, თუმცა ესეც დასაშვები ფორმაა), ერთობ (⇐ ერთობით), კარგ-ა (⇐ კარგად): კარგა მოზრდილი, მაგრამ: კარგად ზრდის.

2. ზმნიზედას შეიძლება ნაწილაკებიც დაერთოს. ესენია: **ვე, მე, ღა, ც** და სხვ. მაგ.: აქვე, აქეთკენვე, ახლავე, დღესვე (ახსუსტებს მოქმედების ადგილსა და დროს), სადმე, საიდანმე, მაშინღა მიხვდა (=მხოლოდ მაშინ მიხვდა), გვიანღა არის (=უკვე გვიან არის).

-ც ნაწილაკის დართვა იწვევს დაკარგული **ა**-ს აღდგენას ან მის გაჩენას ანალოგიით.

> **სწორია:** აქ-აქაც, აქედან-აქედანაც, დღეს – დღესაც, ერთხელ [და არა ერთჯერ] – ერთხელაც.

---

[292] ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა რ ა ბ უ ლ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 157.

3. ზოგ ზმნიზედას საკუთარი მაწარმოებლებიც აქვს. მაგ.: **-რე, -გზის, -გან, -ხელ, -ჯერ, -ივ** (გადავარდნილი ბრუნვის ნიშანი) და სხვ.

სწორია: ეგრე (ძველი ეგრეო. მაგ., ეგრეთ წოდებული, შემოკლებით – ე. წ.), ასე (⇐ ასრე), ეროგზის, ერთხელ, მაგრამ: ერთჯერ ოთხი ოთხია (მათემატ.), ორჯერ [და არა ორჯელ], მეორეჯერ, მაგრამ: პირველად, და არა პირველჯერ, რამდენჯერმე [და არა რამოდენიმეჯერ], ზოგან (⇐ ზოგგან), გასწვრივ, ოთხკუთხივ.

-ივ-ნიშნიანი წარმოება განსაკუთრებით ხშირად გვხვდება უკუთქმით მიმღეობასთან (აუჩქარებლივ, შეუჩერებლივ), თუმცა უმეტესწილად იხმარება მათი პარალელური ფორმები (აუჩქარებლად, შეუჩერებლად).

4. **-ობ-ით** ბოლოსართით ნაწარმოები ზმნიზედები დროს და ზომა-წონის ოდენობას აღნიშნავენ. აქედან:

ა) დროის ზმნიზედები (დილაობით, წლობით, ზამთრობით) აღნიშნავენ ისეთი მოქმედების დროს, რომელიც სისტემატურად მეორდება, ამიტომ ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ზედმეტია **მუდამ** და **ყოველ**:

მუდამ ორშაბათობით წვეულებას მართავდა.
ყოველ ზამთრობით გუდაურში ისვენებდა.

მაგრამ ბუნებრივია: ყოველ ორშაბათს, ყოველ ზამთარს.

ბ) ზომა-ოდენობის ზმნიზედები (ცალობით, ათობით, გრამობით, ტონობით) აღნიშნავენ რამდენჯერმე განმეორებულ ერთსა და იმავე ოდენობას:

ვაშლი **ტონობით** ჩააბარეს, ყუთები **ცალობით** მიითვალეს.

გარკვეულ კონტექსტში ისინი აღნიშნავენ განუსაზღვრელ რაოდენობას სიტყვის ძირით მითითებული რიცხვის ზევით (მაგ., **ათობით** ნიშნავს ორ ათეულზე მეტს, მაგრამ მაინც გაუკვეველ რაოდენობას). როდესაც ასეთი სიტყვა უშუალოდ ერთვის სახღვრულს, ის მსაზღვრელის მნიშვნელობას იძენს. ამ ტიპის

მსაზღვრელთან კი საზღვრული ყოველთვის მხოლოობით რიცხვში უნდა იდგეს. მაგ.:

ათასობით მომიტინგე [და არა მომიტინგეები] მთავრობის სახლის წინ შეიკრიბა.

შეადარეთ: მომიტინგეები **ათასობით** ჩამოვიდნენ სოფლებიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამგვარად ნაწარმოები სახელებიდან განუსაზღვრელი რაოდენობის გამოხატვის უნარი აქვს მხოლოდ რამდენიმე სახელს, რომლებიც ეყრდნობა ათი, ასი, ათასი, მილიონი, მილიარდი რიცხვითი სახელების ფუძეებს (ათასობით, ათეულობით, ასობით, ათასობით, მილიონობით, მილიარდობით). განუსაზღვრელი რაოდენობის გადმოსაცემად ვერ ვიხმართ ოცობით, სამასობით, ოთხიათასობით და მათს მსგავს მსაზღვრელებს[293].

5. დასასრულ თუ დასასრულს?

ორივე მართებული ფორმაა, ოღონდ თავ-თავის ადგილას. **დასასრულ** ჩართული სიტყვაა და იხმარება მოქმედების დამთავრების მნიშვნელობით. მაგ.:

დასასრულ, შევაჯამოთ ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტები.

მაგრამ თუ სიტყვა **დასასრული** გამოყენებულია ამა თუ იმ ღონისძიების ბოლო ნაწილის მნიშვნელობით, მაშინ მას დაემატება მიცემითი ბრუნვის **-ს** ნიშანი[294]. მაგ.:

სხდომის დასასრულს განიხილეს განცხადებები.

6. აქეთ თუ აქით? იქით თუ იქეთ?

ენობრივი დარღვევებიდან ერთ-ერთია ხმოვნის უმართებულოდ ცვლა. ზემოდასახელებული ზმნიზედები ნაწარმოებია **აქ** და **იქ** ფუძეებისაგან. აქ გამოიყენება, როცა მოქმედების ადგილი პირველ (მოლაპარაკე) პირთანაა ახლოს, **იქ** (ძველი ფორმაა – **იქი**) მიგვითითებს ადგილზე III პირის სიახლოვეს. მათგან შუა ხმოვნად **ი** აქვთ **ი** ხმოვნით დაწყებულ ზმნიზედებს: **იქით, იქიდან, იქითკენ**, ხოლო **ე** აქვთ ა-თი დაწყებულებს: **აქეთ, აქედან, აქეთკენ**.

მაშასადამე, **სწორია: აქეთ** და **იქით.**

---

[293] ცირა კალაძე, საზღვრულის რიცხვი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან, ქსკს, წიგნი IV, თბ., 1981, გვ. 228.

[294] შუქია აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, გვ. 47.

7. ასე თუ ესე?

სწორი ფორმის დამახსოვრების გასაადვილებლად გვირჩევენ ერთი ქართული ანდაზის გახსენებას[295]:

ასე, ჩემი მანა**სეო**,
ხან ისე და ხან **ასეო**.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე შემოკლება ა. შ. (ასე შემდეგ). საეჭვოა, ვინმემ დაწეროს ე. შ. (იქვე), მაგრამ ე. ი. (ესე იგი).

ამრიგად, **სწორია: ასე** და მისგან მიღებული ფორმები: **ასევე, ასეთნაირად, ასეთი, ასეთნაირი**.

8. ახლა თუ ეხლა?

ახლად აღმოჩენილ პლანეტაზე ვამბობთ, რომ ახლა (ახლახან) აღმოაჩინეს, **ახლად** დასრულებულ მშენებლობაზე – რომ ახლა (ახლახან) დაასრულეს.

მართებული ფორმის დასამახსოვრებლად შეგვიძლია აგრეთვე ეს სიტყვა დავუკავშიროთ მისი მონაწილეობით შედგენილ რთულ ზმნიზედას **ხელახლა**, რომელსაც არა აქვს გაჩენილი მცდარი პარალელური ფორმები (არავინ იტყვის: ხელეხლა).

მაშასადამე, **სწორია: ახლა, ახლავე, ახლაღა**.

9. ახლახან თუ ახლახანს?

როგორც აღნიშნავენ, **ს**-დართული ფორმა გაჩნდა **დიდხანს, ერთხანს** ზმნიზედების ანალოგიით[296].

გავიხსენოთ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება: დიდი ხანი, დიდმა ხანმა, დიდ ხანს... სწორედ ამ უკანასკნელ ფორმაშია „გაქვავებული“ კომპოზიტი **დიდხანს,** რომელიც ამის გამო ერთ სიტყვად იწერება. იგივე შეიძლება ითქვას **ერთხანს** სიტყვაზე: ერთი ხანი, ერთმა ხანმა, ერთ ხანს ⇒ **ერთხანს**. მაგრამ **ახლახან** რთული ზმნიზედის პირველი შემადგენელი სიტყვა **ახლა** არ წარმოადგენს მსაზღვრელს და არ იცვლება. შესაბამისად უცვლელი

---

[295] შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, ჩვენი ენა ქართული, გვ. 134.

[296] იქვე, გვ. 44.

რჩება მეორე კომპონენტი **ხანიც**[297]. ვერ ვიტყვით: ახლა ხანი, ახლა ხანმა, ახლა ხანს.

ამრიგად, **სწორი ფორმაა ახლახან**.

10. გარდა ზემოთ აღნიშნულებისა, ქართულ ენაში გაჩენილია ზმნიზედის ბევრი უმართებულო ფორმა:

სწორია:	**მცდარია:**
ამიერიდან, ამის შემდეგ	აწი
არასოდეს	არაოდეს, აროდეს
ასე	ასრე, ესე
ასეც	ასედაც
აქამდე (// აქამდის)	აქამდი, აქამდინ, აქამდისინ
ეგრე	ეგრედ, აგრე, მაგრამ: აგრერიგად
ისევ	ისევლე
კისრისტეხით	კისრისმტვრევით
მაგისთვის	მაგისთვინ
მაგიტომ	მაგიტო
მანდ	მაქ, მაქანე
მერმე	მერმედ, მემრე
პატივსაცემად	საპატივცემოდ
რამენაირად	რამეფრად
რაწამს	რამწამს
სადაც	საცა
სადღაც	საცხა, საცღა
საიდან	სიდან
საიდანღაც	საიდგანღაც
ფეხშიშველა	ფეხშველა
ყოველთვის	ყოველთვინ, ყოველთვისინ
ძალიან	ძაან
ხანდახან	ხანდისხან
ხვალ	ხვალე

11. ზმნიზედის მოძველებული ფორმებია:

ეგზომ, ეგოდენ, მიწყივ, როს, ჟამითი ჟამად.

12. თანაბარუფლებიანი პარალელური ფორმებია:

არასდროს // არასოდეს, განუწყვეტლივ // განუწყვეტლად, თავაუღებლად // თავაუღებლივ, რამდენჯერმე

---

[297] შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 45.

// რამდენიმეჯერ, ყირამალა // თავდაყირა, ყოველმხრივ // ყოველმხრით, ყოველღამ // ყოველღამე, შორიახლო // შორიახლოს, შორიშორ // შორიშორს, ზევით // ზემოთ, ქვევით // ქვემოთ. მაგრამ: ზემოთ [და არა ზევით] ან ქვემოთ [და არა ქვევით] აღნიშნული/ აღწერილი/ დასახელებული/ნამოთვლილი/ხსენებული.

13. რთული წარმოების ზმნიზედებში შემადგენელი ფუძეები სხვადასხვაგვარადაა შეერთებული: ზოგი ზმნიზედა დეფისით იწერება (თუ ის მექანიკურად აერთიანებს შემადგენელ ფუძეებს), ზოგი – უდეფისოდ.

დეფისით ფორმდება:

ა) ბრუნვის ნიშნის უქონელი კომპოზიტები, რომლებიც მიღებულია არსებითი სახელის ფუძის უკავშიროდ გაორკეცებით:

ადგილ-ადგილ, ბილიკ-ბილიკ, გვერდ-გვერდ (მაგრამ: გვერდიგვერდ), ეზო-ეზო, ვაკე-ვაკე, კვლევ-კვლევ, კიბე-კიბე, ლუკმა-ლუკმა, მთა-მთა, მარცვალ-მარცვალ, ნაბიჯ-ნაბიჯ, ნაპირ-ნაპირ, ნაწილ-ნაწილ, ნება-ნება, წყალ-წყალ (მაგრამ: წყალდაწყალ), წყება-წყება, სუნთქვა (მაგრამ: ხევდახევ);

ბ) ბრუნვის ნიშნით ან სხვა აფიქსით გაფორმებული ზმნიზედები, რომლებიც მიღებულია სახელის ან სახელზმნის ფუძის უკავშიროდ გაორკეცებით:

ბაკუნ-ბაკუნით, ზუზუნ-ზუზუნით, კრიალ-კრიალით, ლაპარაკ-ლაპარაკით, სკუპ-სკუპით, ფრიალ-ფრიალით, ფრუპვა-ფრუპვით (მაგრამ: ფრუპ-ფრუპით), ჯიხვ-ჯიხვით, გუნდ-გუნდად, დას-დასად, ზოლ-ზოლად, თითო-თითოდ, მძიმე-მძიმედ, რიგ-რიგად, ცალ-ცალად, ცერ-ცერად, ხალ-ხალად, წვეთ-წვეთად (მაგრამ: წვეთწვეთობით), ხელ-ხელად, ორ-ორჯერ, თითო-თითოჯერ.

გ) ფუძეგაორკეცებული ზმნიზედები:

გვიან-გვიან, ზევით-ზევით, შალ-შალ, ზალ-ზალ, ზედ-ზედ (მაგრამ: ზედიზედ), მაღლა-მაღლა, ნელა-ნელა, ხელ-ხელა, ცალ-ცალკე, ძლივ-ძლივს (მაგრამ: ძლივძლივობით);

დ) უკავშიროდ შეერთებული სხვადასხვა ფუძის მქონე ზმნიზედები:

ათჯერ-თერთმეტჯერ, დღისით-მზისით, ერთი-ორჯერ, ერთ-ორჯერ, ორჯერ-სამჯერ, უგზო-უკვლოდ, შაბათ-კვირას, ხვალ-ზეგ;

ე) უკავშიროდ შეერთებული საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ზმნიზედები:

აქა-იქ, აქეთ-იქითკენ, აღმა-დაღმა, გაღმა-გამოღმა, დილა-საღამოს, დღეს-ხვალ, ზამთარ-ზაფხულ, ზევით-ქვევით // ზემოთ-ქვემოთ, მეტ-ნაკლებად, წაღმა-უკუღმა.

14. უდეფისოდ იწერება:

ა) და კავშირით შეერთებული გაორკეცებული ფუძეები:

გულდაგული, დროდადრო, დღედადღე (მაგრამ: დღე-დღე, დღე-დღეზე), თანდათან, თვედათვე, კარდაკარ, კვალ-დაკვალ, მხარდამხარ, პირდაპირ, შიგადაშიგ, ხანდახან, ხელდახელ, ხმალდახმალ.

იშვიათად კავშირიანი ფუძეგაორკეცებული ზმნიზედების გვერდით გვაქვს უკავშიროდ გაორკეცებული ფუძეები. ისინი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, თავიანთი ლექსიკური მნიშვნელობით ოდნავ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგ.:
განდაგან – განის მიმართულებით, განივ; გარდიგარდმო; განზე;
გან-გან – უფრო და უფრო განზე.

გზადაგზა – 1. გზაში ყოფნის დროს, გზაზე (გზაში სვლის დროს); 2. გადატ. სხვა საქმესთან (საქმიანობასთან) ერთად, – შიგადაშიგ, თანდათან, სხვათა შორის;
გზა-გზა – 1. იგივეა, რაც გზადაგზა. 2. გზაზე, პირდაპირი გზით.

დღედადღე – თანდათან, ყოველდღე, განუწყვეტლივ;
დღე-დღე (დღე-დღეზე) – ამ დღეებში; ყოველდღე; მალე, მოკლე დრო'ში (რაიმეს მოლოდინისას იტყვიან).

ფეხდაფეხ – 1. კვალდაკვალ // მხარდამხარ. 2. ფეხით, ქვეითად;
ფეხ-ფეხ – ფეხით, ქვეითად.

წინდაწინ – 1. რამეზე წინ (დროის მიხედვით), რამეზე ადრე, რისამე (ძირითადის, მთავარის) მოხდენამდე, – წინასწარ, უწინ. 2. იგივეა, რაც წინ;
წინ-წინ – 1. პირველად, თავდაპირველად, უწინ. 2. იგივეა, რაც წინ.

ბ) ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, რომელთა შემადგენელი კომპონენტები მნიშვნელობას მოკლებული მარცვლებია:

ბაჯბაჯით, ლასლასით, ჩაქჩაქით, ჩიფჩიფით, წრუპწრუპით, ციმციმ.

ზოგჯერ ასეთ ფუძეში ცვლილება ხდება:

კანტიკუნტად, პანტაპუნტით, სხაპასხუპით, ღაპაღუპით.

გ) სხვადასხვა ფუძის (ან ფორმის) შეერთებით მიღებული ზმნიზედები:

აგრერიგად, ალალბედად, ალალბედზე, ანგარიშმიუცემლად, მაგრამ: არაფრის დიდებით (სამივე ორმაგ უარყოფას ითხოვს), არასდიდებით, არასგზის (არ იცამს), არაერთგზის (**მაგრამ:** არა ერთგზის და ორგზის) არცერთხელ (**მაგრამ:** არც ერთხელ და არც ორჯერ) ასიათასობით, ასწილად, გულაღმა, გუშინწინ, დღეგამოშვებით, დღემუდამ, დღენიადაგ, დღესაღამოობით [და არა დღესდღეისობით], დღეჩაგდებით, დღითიდღე, ეგრერიგად, ერთთავად, ერთიორად, ერთრიგად, ზედმიყოლებით, ზედმიწევნით, თავისდაუნებურად, თავისდღეში, თავისთავად, თავშექცევით, კინწისკვრით, მარჯნისფრად, მეტწილად, მეტნაკლებ, მუდამდღე, მუდამჟამს, მუხლმოყრით, მისდაუნებურად, მითუმეტეს, რამსიშორეზე, სიტყვასიტყვით, სულმთლად, სულყველგან // სუყველგან, სულყოველდღე // სუყოველდღე, სულყოველთვის // სუყოველთვის, უმეტესწილად, ყველანაირად, ყოველნაირად, ყოველდღე, ყოველთვე, ყოველკვირა (**მაგრამ:** ყოველ დღეს, ყოველ თვეს, ყოველ კვირას), ყოველსაათობით, ყოველღამ // ყოველღამე (**მაგრამ:** ყოველ ღამეს), ყოველწლიურად, შარშანწინ, შარშანწინისწინ, ჩემდათავად, ჩემდაუნებურად, ცალმხრივად, ცალყბად, ძალისძალად, ძველისძველად, ძილფხიზლად, წინდაუხედავად, წლითიწლობით, წინადღეს, წინადღით, წუთიწუთზე (მოვა), წუთწუთობით, ჭაპანწყვეტით, ხელაპყრობით, ხელაღებით, ხელნაქნევით,

ხვალღამ (**მაგრამ**: ხვალ ღამით), ხმადაბლებით, ჯერ-ჯერობით.

დ) რთული ზმნიზედები, რომლებიც ჩვენებითი ნაცვალსახელით იწყება:

ამასწინათ (შეცვლილი დაწერილობა), ამაღამ [და არა ამღამ], ამგვარად, ამდაგვარად, იმგვარად, ამნაირად, მაგნაირად, იმნაირად, ამჟამად, იმჟამად, ამრიგად, იმრიგად (=იმნაირად, იმგვარად), ამქვეყნად, იმქვეყნად (**მაგრამ**: საქართველო იმ ქვეყნად გადაიქცევა, რომელზეც ვოცნებობთ), ამწამსვე მოვა, ამწუთას, იმწუთას, ამხანად არ არის, იმხანად (=იმ ხანებში), ამჯერად, ამსიშორეზე.

15. **ცალ-ცალკე იწერება:**

ადრე თუ გვიან, ამას იქით, მას იქით, ასე და ასე, ასე და ისე, ასე თუ ისე, აქეთ და იქით, აწ და მარადის, ბოლოს და ბოლოს [და არა ბოლო-ბოლო], დღეის სწორს, დღეის იქით, დღეის ამას იქით, ერთი მხრივ // ერთი მხრით [და არა: ერთის მხრივ, ერთის მხრით], ერთი ხანია, ზევით და ზევით, თავის დღეში, თავის ნებაზე, ისის იყო (ეს-ეს იყო), კარგა ხანს, მაღლა და მაღლა, მერე და მერე, მით უფრო, ნებსით თუ უნებლიეთ, რა ხანია, უკეთ და უკეთ, უფრო და უფრო, ყოველ წელიწადს (**მაგრამ**: ყოველწლივ, ყოველწლობით, ყოველწლიურად), ყოველ კვირაში, შუა წლებში, შუა ხაზზე, შუა ხანებში, ჩვენს ერამდე // ჩვენს წელთაღრიცხვამდე, წინ და უკან.

16. ზოგიერთი ზმნიზედა ხშირად თავის დაქვემდებარებულ წევრთან ცალკე მდგომი თანდებულის ფუნქციას ასრულებს (თუმცა არსებობს სხვა თვალსაზრისიც)[298]. ესენია:

აქეთ, ახლოს, ბოლოს, ბოლოზე, გადაღმა, გამოღმა, გაღმა, განაპირას, გარეთ, გარშემო, გასწვრივ, გვერდით, გვერდზე, ზევით // ზემოთ, ირგვლივ, იქით, მარცხნივ, მარჯვნივ, მახლობლად, მოშორებით, ნაპირას, პირას // პირად, პირზე, პირდაპირ, უკან, ქვევით // ქვემოთ, ქვეშ,

---

[298] კ ა ხ ა გ ა ბ უ ნ ი ა, სიერცული და დროითი მიმართებების ამსახველი ზმნისართებისათვის ქართულში, ქსკს, წიგნი X, თბ., 1993, გვ. 287.

შორიახლო // შორიახლოს, ძირას, წინ, წინაშე, უმალ, მერე (უმჯობესია **შემდეგ**), წინათ.

ზმნიზედური თანდებულების მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

ა) ზმნიზედური თანდებულები უმეტესწილად ნათესაობითი ბრუნვის ფორმებთან გვხვდება.

სწორია: სახლის წინ, ორი დღის წინ, ხის უკან, მთის იქით.

გამონაკლისია: მყარი („გაქვავებული") გამოთქმები მიცემითი ბრუნვის ფორმით:

> ცხრა მთას იქით, ცხრა მთას გადაღმა, ზღვას გადაღმა, წყალს გაღმა, წყალს გამოღმა, პატარა ხანს უკან, სურგს უკან, პირს უკან (ნორმები, გვ. 122).

ბ) ზმნიზედური თანდებულები უნდა დაუკავშირდეს I და II პირის ნაცვალსახელების **ს**-მოკვეცილ ფორმებს, როგორიცაა: ჩემ, ჩვენ, შენ და თქვენ [და არა: ჩემს, ჩვენს, შენს და თქვენს]. ამის მიხედვით გვექნება:

> ჩემ გარშემო, ჩვენ გარშემო, ჩემ უკან, ჩვენ უკან, ჩემ შემდეგ, ჩვენ შემდეგ, შენ წინ, თქვენ წინ, შენ მახლობლად, თქვენ მახლობლად, შენ პირდაპირ, თქვენ პირდაპირ (ნორმები, გვ. 123).

გამონაკლისია მყარი შესიტყვებები: ჩემს იქით, ჩვენს იქით, შენს იქით, თქვენს იქით (ნორმები, გვ. 122-123).

გ) ზმნიზედური თანდებულები – აქეთ, იქით, უკან, შემდეგ – დაერთვის III პირის ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს:

> ამის იქით, მაგის იქით, იმის იქით, ამის აქეთ, ამის შემდეგ (ნორმები, გვ. 122-123).

მაგრამ ნაცვალსახელური შედგენილობის „გაქვავებულ" გამოთქმებში, რომლებსაც ზმნიზედის მნიშვნელობა აქვთ, ნაცვალსახელები მიცემითის ფორმითაა (ნორმები, გვ. 123):

> ამას იქით, მას შემდეგ, ამასწინათ (ნორმები, გვ. 123).

დ) აქეთ და **იქით** სმნიზედური თანდებულები უნდა გამოვიყენოთ მოქმედების ადგილის [და არა დროის] მნიშვნელობის გამოსახატავად. მაგ.:

მთის იქით, მდინარის აქეთ, კარადის უკან.

დროითი მნიშვნელობის გადმოსაცემად უპირატესობა უნდა მიეცეს თანდებულ-სმნიზედას **შემდეგ**[299].

უმჯობესია: მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

და არა: მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

ე) წინ და **უკან** ანტონიმური თანდებულ-სმნიზედებია, რომლებიც დროის აღმნიშვნელ სახელებთან ზოგჯერ უმართებულოდ იხმარება სინონიმური მნიშვნელობით. ადრინდელი ვითარების აღსანიშნავად უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ წინ (წინათ) თანდებულ-სმნიზედა.

სწორია: ორი საუკუნის წინ // წინათ ეს ყველას გაუკვირდებოდა.

და არა: ორი საუკუნის უკან ეს ყველას გაუკვირდებოდა.

ამასთან, რაც უფრო მცირეა დროის მონაკვეთი (საათი, წუთი, წამი) პარალელურ **წინ** და **წინათ** ფორმათაგან ჭარბობს **წინ** ვარიანტი, **წინათ** კი უფრო ხანგრძლივ პერიოდს შეეფერება[300].

სწორი გამოთქმებია: ორი საუკუნის წინ // წინათ, სამი წლის წინ // წინათ, ხუთი თვის წინ // წინათ, ერთი კვირის წინ // წინათ, მაგრამ: რამდენიმე დღის წინ, ნახევარი საათის წინ, ათი წუთის წინ.

ვ) დროის აღმნიშვნელ სახელებთან გვიანდელი ვითარების გადმოსაცემად ტრადიციულად იხმარებოდა თანდებულ-სმნიზედა **უკან**. მაგ.: სადილის უკან პარკში გაისეირნეს. ეს ამბავი ორი საათის უკან შევიტყვე. მოგვიანებით ამ მნიშვნელობით გამოყენებული **უკან** დიალექტიზმად იქცა. მას ჩაენაცვლა **შემდეგ**.

---

[299] ლ ე ო კ ვ ა ჭ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 169.

[300] შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 39.

სწორია: ორი საათის შემდეგ დაებრუნდი; ერთი თვის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა;

და არა: ორი საათის უკან დაებრუნდი; ერთი თვის უკან ყველაფერი შეიცვალა.

იგივე ითქმის მყარ გამოთქმაზე **მას უკან**.

სწორია: მას შემდეგ სიზმარი არ მინახავს; მას შემდეგ ბავშვი სრულიად გამოიცვალა;

და არა: მას უკან სიზმარი არ მინახავს; მას უკან ბავშვი სრულიად გამოიცვალა.

ზ) ძველ ქართულში ზმნიზედური თანდებულები უმეტესწილად მიცემითი ბრუნვის ფორმას ერთოდა. ზოგი მათგანი შეერწყა სახელის **ს**-მოკვეცილ ფორმებს. ამ გზითაა მიღებული ზოგიერთი რთული ზმნიზედა. ნორმების მიხედვით ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს:

> ლოდებშუა, ჭერქვეშ, კაკალქვეშ, ფეხქვეშ, კაკლებქვეშ, თავქვეშ, თვალწინ, ცხვირწინ, გუშინწინ, წყალგაღმა (ნორმები, გვ. 124).

ასევე: დახლქვეშ, თავდებქვეშ, თავზემოთ, თაღებქვეშ, კარწინ, ორწყალშუა, როსგქვეშ, რტოებქვეშ, სახურავქვეშ, ჩრდილქვეშ.

თანდებულის ფუნქციით რთული ზმნიზედებიც იხმარება. მაგ.:

> ჩემ თვალწინ, შენ ცხვირწინ, ჩვენ ფეხქვეშ, მის ჩრდილქვეშ, სახლის სახურავქვეშ[301].

17. ზოგ ზმნიზედას დაკარგული აქვს თავისთავადობა და მხოლოდ თანდებულის როლში გამოიყენება. მაგ. ამარა (პერანგის ამარა), დროს (ხატვის დროს), მიზეზით (ავადმყოფობის მიზეზით), წყალობით (ნიჭის წყალობით). ეს უკანასკნელი იხმარება ვისიმე დადებითი როლის გადმოსაცემად (მაგ., კეთილი ხალხის

---

[301] ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა რ ა ბ უ ლ ი, ზოგი წარმოქმნილი (მეორეული) ზმნისართის შეხამებისათვის ნაცვალსახელებთან, ქსკს, წიგნი XVI, თბ., 2014, გვ. 19-23.

წყალობით ლუკმას ჭამდა) ან გადატანითი, ირონიული მნიშვნელობით (ცოლების წყალობით ძმები გაიყარნენ), ამიტომ სტილისტიკური შეცდომაა:

> დაუდევრობის წყალობით ტექნიკის ერთი ნაწილი გამოსულია წყობიდან.

უნდა იყოს: დაუდევრობის გამო/შედეგად ტექნიკის ერთი ნაწილი გამოსულია წყობიდან[302].

დადებითი შინაარსი აქვთ აგრეთვე ზმნიზედებს — **მეოხებით** და **შემწეობით,** ამიტომ უმართებულოა:

> ჩვენი უვიცობისა და სიბრიყვის მეოხებით მამა-პაპათაგან სისხლით მორწყულსა და გაპოხიერებულ მამულს გადამთიელნი გეეცილებიან (არისტო ჭუმბაძე).

უნდა იყოს: ჩვენი უვიცობისა და სიბრიყვის გამო/შედეგად...

18. თანამედროვე ქართულში დროის გამოხატვისას ხშირად იხმარება სახელობითი და მიცემითი ბრუნვების პარალელური ფორმები. ეს ეხება როგორც ზმნიზედით, ისე დროის აღმნიშვნელი არსებითი სახელით გამოხატულ დროის გარემოებას (როგორიცაა: წელი, თვე, კვირა, დღე, საათი, წუთი, საუკუნე, ხანი, დრო, დილა, საღამო, ორშაბათი...). ამ უკანასკნელს მსაზღვრელად შეიძლება ახლდეს რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზედსართავი[303]. ნორმაა მხოლოდ მიცემითბრუნვიანი ფორმები.

სწორია:	**და არა:**
დიდხანს ეძებდა.	დიდი ხანი ეძებდა
ერთხანს აღარ გამოჩენილა.	ერთი ხანი აღარ გამოჩენილა.
კარგა ხანს ჩაფიქრებული იდგა.	კარგა ხანი ჩაფიქრებული იდგა.
ბოლო ხანებში მეცადინეობას უმატა.	ბოლო ხანები მეცადინეობას უმატა.

---

[302] თ ა მ ა რ ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, სიტყვა და შესიტყვება (წყალობით, მეოხებით, შემწეობით), ქსკს, წიგნი VI, თბ., 1984, გვ. 249-240.

[303] თ ა მ ა რ ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, მიცემითისა და სახელობითის გაქვავებულ ფორმათა გამოყენება დროის გამოხატვისას, ქსკს, წიგნი III, გვ. 215-216.

შვილის დაბრუნებას **ორ წელს** ელოდა.	შვილის დაბრუნებას ორი წელი ელოდა.
სამ დღეს და **ღამეს** გადაუღებლად წვიმდა.	სამი დღე და ღამე გადაუღებლად წვიმდა.
ნახევარ საათს ხმა არ ამოუღია.	ნახევარი საათი ხმა არ ამოუღია.
რამდენ თვეს დარჩები?	რამდენი თვე დარჩები?
იმ ღამეს არ დაუძინია.	ის ღამე არ დაუძინია.
მთელ დღეს მუხლჩაუხრელად შრომობდა.	მთელი დღე მუხლჩაუხრელად შრომობდა.
დათვს **მთელ ზამთარს** სძინავს.	დათვს მთელი ზამთარი სძინავს.

სახელობითში დაისმის პირდაპირი ობიექტი II-III სერიის ფორმებში წარმოდგენილ სმნებთან. მაგ.:

> ამ ლაპარაკში ოცი წუთი დავკარგეთ. ასე გაატარა რამდენიმე წელი. მთელი ღამე მოანდომა კაბის შეკერას.

> **შენიშვნა:** ჩვენ სმნიზედის კლასში გადასულად არ მივიჩნევთ დროის ან ადგილის აღმნიშვნელ არსებით სახელებს, როგორიცაა, მაგ.: ზამთარში, საუკუნეში, სოფელში, თბილისში. ეს არ ეხება რომელიმე ბრუნვის „გაქვავებულ“ ფორმებს (იხ. სმნიზედის მართლწერა, № 1).

19. ამ (იმ) წელს თუ ამ (იმ) წელში?

ფორმა წელში მიუღებელია სალიტერატურო ქართულისათვის. **-ში** თანდებული ერთვის ამ სიტყვის სრულ სახეობას:

> წელიწადში 12 თვეა. წელიწადში [და არა წელში] ერთხელ, ორჯერ და ა. შ.

სწორია: ამ წელს სკოლაში პირველად მივდივარ. ომი დაიწყო 1941 წელს (მაგრამ: ომი დაიწყო 41-ში), დაიბადა 1 მაისს (მაგრამ: დაიბადა მაისში). ქართულმა კულტურამ დიდი აღმავლობა განიცადა VIII-X საუკუნეებში. საშუალო სკოლა დავამთავრე 2001/2002 სასწავლო წელს, მაგრამ: ამ სკოლაში ვსწავლობდი 2001-2002 წლებში.

20. ზმნიზედის პარონიმული წყვილებია:

ამიტომ, ამის გამო – მიზეზი: ლუკამ გვიან გაიღვიძა, **ამიტომ/ამის გამო** სკოლაში დააგვიანდა;
ამისათვის – მიზანი: გამოცდები რომ უკეთ ჩააბარო, **ამისათვის** მეტი შრომაა საჭირო.

განურჩევლად – გაურჩევლად – ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს ერთნაირად, თანაბრად: „ხალხი ითხოვდა პირდაპირ შებმას – განურჩევლად, ვინც არ უნდა ყოფილიყო მოწინააღმდეგე“ (ალექსანდრე ყაზბეგი); „ყველას გაურჩევლად ეხუმრებოდა“ (მელანია). მაგრამ მეორეს განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: **გაურჩევლად** – 1. გარჩევის გარეშე (ლობიო გაურჩევლად დატოვეს), 2. განხილვის გარეშე (გაურჩევლად დარჩენილი საკითხი), გაურკვევლად (გაურჩევლად ნაწერი).

მთლად – მთლად გაგიჟდა;
მთლიანად – მთლიანად შეჭამა.

მოუთმენლად – ისე, რომ ვერ ითმენს: „მოხუცი მოუთმენლად მივარდა აბგას“ (ნიკო ლორთქიფანიძე);
სულმოუთმენლად – ისე, რომ სული არ მოუთქვამს; შეუსვენებლად, ძლიერ სწრაფად: „ბიჭმა ერთი ჩაფი ღვინო სულმოუთქმელად დაცალა“ (ნიკო ლორთქიფანიძე).

პირდაპირ – პირისპირ – ეს სიტყვები ერთ შემთხვევაში სინონიმებია და ნიშნავს: ვინმეს ან რაიმეს წინ, მოპირდაპირე მხარეს: **პირდაპირ/პირისპირ** ზის. მაგრამ ამ სიტყვებს სხვადასხვა მნიშვნელობაც აქვთ. **პირდაპირ** – 1. პირდაპირი მიმართულებით, გადაუხვევლად: მეგობარი **პირდაპირ** ჩემკენ წამოვიდა. 2. აშკარად, დაუფარავად, გარკვევით: „ვიტყვი **პირდაპირ,** დაუფარავად“ (აკაკი). 3. იხმარება გამაძლიერებელი ნაწილაკის ფუნქციით: გიორგი განერვიულდა, სისხლი თავში აუვარდა, **პირდაპირ** გაგიჟდა; **პირისპირ:** პირადად, უშუალოდ, მარტო: **პირისპირ** უნდოდა მეგობართან საუბარი.

როგორც – ისე, როგორც: „ყველას ნება აქვს – **როგორც** სურს, ისე შეიქციოს თავი“ (ილია);
როგორიც – ისეთი, როგორიც: იყიდა სწორედ ისეთი კომპიუტერი, **როგორიც** უნდოდა.

სწორად – 1. მართებულად: სწორად მოიქცა. 2. წრფივი ხაზით, არაირიბად: გზა **სწორად** მიდიოდა. 3. ტოლად, თანაბრად: **სწორად** შეჭრა თმისა;
სწორედ – ზუსტად, სახელდობრ: **სწორედ** ახლა/აქ.

ცალსახად – ერთმნიშვნელოვნად;
ცალმხრივად – მხოლოდ ერთი მხარის გათვალისწინებით; არა-ამთლიანად, არასრულად: საკითხი **ცალმხრივად** არის წარ-მოდგენილი.

ხელდახელ – 1. უცებ, ჩქარა, ხელად; სახელდახელოდ. 2. ხელით: „ფეხებს რომ მიწევთ, რა ჭიდაობის წესია, ერთი **ხელდახელ** უნდა მოხვიდეთ და ვნახოთ“ (თედო რაზი-კაშვილი);
ხელიხელ – ხელიხელ საგოგმანები: გ ა დ ა ტ ა ნ. გასაფრთ-ხილებელი, ძვირფასი; ძალიან კარგი.

§ 96. ცალკე მდგომი თანდებულები

თანდებული არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი ფორმაუცვლელი სიტყვა ან ბგერათა კომპლექსი, რომელიც დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას და ამყარებს გარკვეულ მიმართებას სახელსა და სახელს ან სახელსა და ზმნას შორის.

შედგენილობის მიხედვით თანდებული ორგვარია: მარტივი და რთული. მარტივია ერთმარცვლიანი თანდებულები (ვით, თან, ზე, ში, თვის, გან, კენ, ურთ, მდე), რთული – ორ- და მეტმარცვლიანები (მიერ, გამო, მიმართ, შესახებ, გარდა).

თანდებული შეიძლება უშუალოდ ერთოდეს ბრუნვის ფორმას (იშვიათად ფუძესაც) ან ცალკე იდგეს. ამის მიხედვით გვაქვს ბრუნვის ნიშანთან შერწყმული და ცალკე მდგომი თანდებულები (ბრუნვის ნიშანთან შერწმული თანდებულის მართლწერა იხილე ზემოთ, § 13)

ცალკე მდგომ თანდებულთა მ ა რ თ ლ წ ე რ ა

1. ერთზე მეტმარცვლიან თანდებულთა უმეტესობა ცალკე იწერება. ისინი დაერთვიან მხოლოდ მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებს. ამასთან:

მიცემითი ბრუნვის თანდებულები – **შორის** და **შუა** – დაერთვის ან ორ სახელს (მთასა და ბარს შორის), ან ისეთ ერთ სახელს, რომელსაც აქვს კრებითი შინაარსი (სტუდენტობას შორის), ან მრავლობით რიცხვშია (გულებს შორის), ან მსაზღვრელად ახლავს სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვა (ორ ღვას შუა, რამდენიმე პიროვნებას შორის).

შორის შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოობით რიცხვში დასმულ სახელთან ასეთ კონსტრუქციებშიც: დავითისა და ტარიელის ოჯახს შორის, მეცხრესა და მეცამეტე საუკუნეს შორის[304].

---

[304] ც ი რ ა კ ა ლ ა ძ ე, საზღვრული სახელის რიცხვი ორდა მეტ მსაზღვრელთან (დიდი და პატარა სახლი თუ დიდი და პატარა სახლები?), ქსკს, წიგნი II, გვ. 138.

2. შუა ისეთივე თანდებულია, როგორიც – შორის, „ოღონდ შუა უფრო მეტად გეოგრაფიული მდებარეობის წარმოდგენას გვაძლევს: შირაქი მდებარეობს ალაზანსა და იორს შუა. მაგრამ შეადარეთ: ალაზანსა და იორს შორის ის განსხვავებაა, რომ...“[305]

3. უმართებულოა შორის და შუა თანდებულების დართვა ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე. მაგ.: ცისა და დედამიწის შუა (უნდა იყოს: ცასა და დედამიწას შუა).

4. აღნიშნული თანდებულების დართვისას მიცემითი ბრუნვის ნიშანი ყოველთვის შენარჩუნებულია: მთებს შორის, ოთხ კედელს შუა (და არა: მთებ შორის, ოთხ კედელ შუა). ს-მოკვეცილი ფორმები გაკომპოზიტებულია და ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს:

> ლოდებშუა, ჭერქვეშ, კაკალქვეშ, ფეხქვეშ, კაკლებქვეშ, თვალწინ, ცხვირწინ, გუშინწინ, წყალგაღმა (ნორმები, გვ. 124).

5. ერთგვაროვანწევრებიან წინადადებაში **და** კავშირის წინამავალი სიტყვა იწერება გავრცობილი ფორმით. მაგ.:

> წამწამსა და წამწამს შუა ბაღი გაგიშენებია (ხალხური). ქალი მოხერხებულად ანაწილებდა სიყვარულს მშობლებს, და-ძმასა და მეგობრებს შორის.

თანიანი მრავლობითიც გაერცობილი ფორმითაა:

> შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდერის (ნიკოლოზ ბარათაშვილი).

6. შორის და **შუა** თანდებულები უნდა დაერთოს I და II პირის ნაცვალსახელების ს-მოკვეცილ ფორმებს, რომლებიც მიცემითი ბრუნვის ბადალია.

> **სწორია:** ჩვენ შორის, თქვენ შორის, ჩვენ და თქვენ შორის (იხ. ნორმები, გვ. 123).

7. იმ შემთხვევაში, როდესაც ორი ნაცვალსახელიდან ერთერთი არის პირველი პირის **მე** ნაცვალსახელი, იგი პირველ ადგილას დაისმის და ერთადერთი ლიტერატურული გამოთქმა იქნება: მე და შენ/თქვენ შორის/შუა ან მე და მას/მათ შორის/შუა. უმართებულოა ჩემ და შენ შორის და მისთ. თუ პირველი პირის

---

[305] ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 601.

ნაცვალსახელი მეორე ადგილას გადაისმის, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეენაცვლება **მე**-ს ჩემ: შენ და ჩემ შორის (ნორმები, გვ. 123):

8. ნათესაობითი ბრუნვის თანდებულები და გათანდებულებული სიტყვებია:

გამო, გარდა, მიერ, მიმართ, შესახებ, მაგიერ (წილ).

მაგ.:

პოეტის მიერ, უამინდობის გამო, მშენებელთა მიმართ, წასვლის შესახებ, პირველის გარდა, გარდა დაჯილდოებულისა, ჩემ გარდა, შენ გარდა, მათ გარდა.

სწორია: შენ ნაცვლად, შენ გამო, შენ გარეშე, შენ გარდა.

კუთხურია: შენ მაგიერ, შენი გადამკიდე ან შენი გამოისობით, შენ უიმისოდ, შენ მეტი.

9. გულისთვის ზოგ შემთხვევაში -თვის თანდებულის ნაცვლად იხმარება: ამხანაგის გულისთვის, ამხანაგისთვის.

10. მიერ, გამო, მიმართ თანდებულებთან ემფატიკური **ა** არ იხმარება.

სწორია: ქარის მიერ, ქარის გამო.

და არა: ქარისა მიერ, ქარისა გამო.

11. შერწყმულ წინადადებაში ცალკე მდგომი თანდებული იწერება ერთხელ – ერთგვაროვანი წევრების ბოლოს. მაგ.:

ის მადლიერებას გრძნობდა მეგობრების, მეზობლებისა და ნათესავების მიმართ. წასვლას ვერ დავიშლი სიცხისა თუ სიცივის გამო (**თუ და**-ს მნიშვნელობითაა).

12. უკავშირო ან სხვა კავშირით შეერთებისას ერთგვაროვანი წევრები გაუვრცობელი ფორმით იწერება:

ჯარისკაცმა ვერაფერი შეიტყო დედ-მამის, ცოლ-შვილის, და-ძმის შესახებ.
კაცი ხან შინაურის, ხან გარეულის გულისთვის დარბოდა დღენიადაგ.

13. გარდა თანდებული შეიძლება წინ უძღოდეს სახელს. ასეთ შემთხვევაში „თანდებულიანი სიტყვა წინადადებაში გამოიყენება შედარებით დამოუკიდებელი მნიშვნელობით, გამოიყოფა ასრობრივად და მეტყველების დროს გამოითქმის ლოგიკური მახვილითა და პაუზით“[306].

ამ ტიპის განკერძოებული სიტყვები უმთავრესად წინადადების თავში დაისმის და გავრცობილი ფორმით იწერება. **შეადარეთ:**

> გარდა სილამაზისა, ამ ქალს ბევრი სხვა ღირსებაც ჰქონდა. მოხიბლული სტუმრები, ერთი ყავარჯნიანი მოხუცის გარდა, სულ ცეკვით აცვივდნენ კიბეზე.

მაგრამ: ამ სიმღერის გარდა სხვაც ვიცი. მის გარდა ყველა მასწავლებელს ვუყვარდი.

ასევე განკერძოვდება და გავრცობილი ფორმით დაიწერება წინადადების წევრები, რომელთაც წინ უძღვის გათანდებულებული სიტყვები: ნაცვლად, ნიშნად, მიუხედავად, წინააღმდეგ, თანახმად, მსგავსად, მიხედვით. ისინი აღნიშნავენ გამორიცხვას, შენაცვლებას, დანიშნულებას, დათმობას, მიზეზს, შესატყვისობას. მაგ.:

ნაცვლად მშობლებისა, იქ უცხო ხალხი დამხვდა (თანდებულიანი სიტყვა განკერძოებულია). **მაგრამ:** წიგნების ნაცვლად რვეულები მოიტანეს (რის ნაცვლად? „წიგნების ნაცვლად“ უბრალო დამატებაა).

მიუხედავად მისი ახირებულობისა, მამაჩემი გარეშეებსაც ძალიან უყვარდათ. **მაგრამ:** ავადმყოფობის მიუხედავად სამსახურში დადიოდა.

თანახმად კანონისა, ჩვენ წილის მოთხოვნის უფლება არ გვქონდა. **მაგრამ:** ის კანონის თანახმად უნდა მოქცეულიყო.

წინააღმდეგ ჩემი სურვილისა, სიაში პირველი ჩამწერეს. **მაგრამ:** ამის წინააღმდეგ მოკამათეს არაფერი უნდა ეთქვა.

შედეგად ამისა, საქართველო ძლიერ ქვეყნად იქცა. **მაგრამ:** ამის შედეგად ბევრი კარგი საქმე გაეკეთეთ.

ნიშნად მადლობისა, ლომმა ანდროს ლაქუცი დაუწყო. **მაგრამ:** მან მადლობის ნიშნად თავი დაუქნია.

მსგავსად ამისა, ბედნიერებას უბედურება მოჰყვა თამარის შვილების მეფობის დროს. **მაგრამ:** მანანას ამის მსგავსად უნდა ჩაეცვა[307].

---

[306] ნიკანდრო ბასილაია, პუნქტუაცია. გვ. 75.

[307] მაგალითების უმეტესობა მოყვანილია ნიკანდრო ბასილაიას წიგნიდან „პუნქტუაცია“, გვ. 74-75.

14. ზოგი ზმნიზედა სახელის მიცემითი ან ნათესაობითი (უმეტესწილად) ბრუნვის ფორმებს ახლავს და თანდებულის ფუნქციას ასრულებს. მათ გათანდებულებული ზმნიზედები (ან ზმნიზედური თანდებულები) ჰქვია (იხ. ზმნიზედა, №16 ქვეპუნქტი). ასეთია, ძირითადად, დროისა და ადგილის ზმნიზედები. მაგ.:

წინათ, შემდეგ, წინ, აქეთ, იქით, ახლოს, ბოლოს, გადაღმა, გამოღმა, გაღმა, განაპირას, გარეთ, გარშემო (// გარეშემო), გასწვრივ, გვერდით (გვერდზე), დასწვრივ, ზევით, ზემოთ, ქვევით, ქვემოთ, მარცხნივ, მარჯვნივ, მახლობლად, შორიახლოს // შორიახლო, ახლომახლო, სიახლოვეს, მოშორებით, ნაპირას, პირდაპირ, პირას // პირად, პირზე, უკან, ქვევიდან, ქვემოდან, ქვეშ, ძირს (ძირას), წინაშე, უმალ, ერთად, ირგვლივ, შიგნით.

მიცემითი ბრუნვის ფორმას დაერთვის ვითარების ზმნიზედა – ერთად:

ის მოვიდა **ამხანაგთან ერთად** (ვისთან ერთად?).
ამ **სიტყვებთან ერთად** სტუმარი გარეთ გავიდა (როდის?).

15. როგორც გამონაკლისი, მიცემითი ბრუნვის ფორმით იხმარება გაქვავებული გამოთქმები:

ცხრა მთას იქით, ცხრა ზღვას იქით, ამას იქით, მას იქით, მას უკან, პატარა ხანს უკან, ზურგს უკან, პირს უკან, ცხრა მთას გადაღმა, ზღვას გაღმა, წყალს გაღმა, წყალს გამოღმა, მას შემდეგ, ამას გარდა, ამას წინათ (იხ. ნორმები, გვ. 122).

შენიშვნა: I და II პირის ნაცვალსახელებს „იქით“ ზმნიზედის დართვისას დაემატება „ს“: ჩემს იქით, შენს იქით, ჩვენს იქით, თქვენს იქით, რომლებიც გაქვავებული გამონათქვამებია (ნორმები, გვ. 122).

კავშირი

კავშირი არის დამხმარე სიტყვა, რომელიც აერთებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას. იგი გამოიყენება განკერძოებული წევრისა და ასახსნელ-დასაზუსტებელი სიტყვის დასაკავშირებლადაც. მაგ.:

> ლექსს მე ეუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
> რომ გაგიტანს **და** ცოცხლად დაგმარხავს.
> (ტიციან ტაბიძე).

> მე მომესაჯა სიცოცხლე **და** მეც მშვიდად ვიხდი. ზრუნვა **და** წყენა კარის ზღურბლთან მელოდებიან **და** მეც ვაპურებ, **მაგრამ** განა მშვიდად ვარ მართლა?! ცხოვრება ჩემი საქმე არ არის (ბესიკ ხარანაული).

შედგენილობის მიხედვით კავშირი ორგვარია: მარტივი (ერთსიტყვიანი) და რთული (ორ- და მეტსიტყვიანი):

> და, რომ, თუ, რაკი, სანამ, კი...
> თუ არა, როგორც – ისე, იმიტომ რომ; მიუხედავად იმისა, რომ...

კავშირი შეიძლება იყოს ცალეული (**რომ, რათა, ხოლო...**) და წყვილეული (**ხან-ხან, არა მარტო – არამედ...ც, თუმცა – მაგრამ...**). ფუნქციის მიხედვით გამოიყოფა ორი დიდი ჯგუფი: მაერთებელი და მაქვემდებარებელი.

> **შენიშვნა:** კავშირის გამოყენება სინტაქსისა და სტილისტის საკითხია, მაგრამ აქ განვიხილავთ, რათა მეტყველების ნაწილების მართლწერა ერთად იყოს წარმოდგენილი.

დაიმახსოვრეთ:

1. ერთ სიტყვად იწერება კავშირები: თუკი, რაკი, რაგინდ, თუგინდ, არათუ, არამარტო, რაწამს...

2. ცალ-ცალკე იწერება რთული კავშირები: თუ არა, როგორც კი, მაშინ როდესაც, ასე რომ...

3. უმართებულოა კავშირის დიალექტური ფორმების გამოყენება (ფრჩხილებში დასახელებულია მცდარი ფორმები):

მაგრამ (მარა), თორემ (თორე, თვარა), ოღონდ (ოღონც), რომ (რო, რომე), სანამ (სინამ), ვინაიდან (ვინაიდგან), რადგანაც (რადგანც), რაგინდ (რაგინდა), რახან (რახამ), რაწამს (რა მწამს, რაწამ), სადაც (საცა), ვიდრე (ვინემ).

4. ზოგი კავშირის ფორმა მოძველებულია:

სწორია: როცა, როგორც, რადგან...

მოძველებულია: რაჟამს (როს), ვით.

§ 97. მაერთებელი კავშირები

მაერთებელი კავშირი აერთებს ორ სიტყვას ან ორ თანასწორ წინადადებას. მაერთებელი კავშირებია: მაჯგუფებელი (და, თუ), მაცალკევებელი (თუ, ან, ან – ან, ან – ან არადა, ხან – ხან, ხან – ხანაც, ხან – ხან კი, გინდ – გინდ, გინდ – გინდაც, თუნდ – თუნდ, თუნდ – თუნდაც), მაპირისპირებელი (მაგრამ, ხოლო, კი, თორემ, არამედ, კი არა – არამედ, არამარტო – არამედ, ოღონდ, თუმცა), მაიგივებელი (ანუ, ესე იგი).

5. და შერწყმულ წინადადებაში იწერება უკანასკნელი ერთგვაროვანი წევრის წინ. იგი მიგვითითებს იმაზე, რომ ჩამოთვლა დამთავრებულია. მაგ.:

ტყე, მინდორი **და** ველი ამწვანდა.

და კავშირმა შეიძლება შეაერთოს არაერთგვაროვანი წევრებიც, აგრეთვე გამეორებული სიტყვები. მაგ.:

მარად და **ყველგან**, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!
(ილია).

სულ ზეცით, ზეცით, **მაღლა და მაღლა**,
ნაცრისფერ გზებზე შენს თვალებს ვუმზერ.
(ჯანსუღ ჩარკვიანი).

ზმნის ტავტოლოგიური გამეორება **და** კავშირის საშუალებით მნიშვნელობის გამაძლიერებელია:

ქუჩაში მძაფრი დაქროდა ქარი
და განუწყვეტლად **წვიმდა და წვიმდა** (გალაქტიონი).

და კავშირი ზოგჯერ წყვილ-წყვილად აერთებს ერთგვაროვან წევრებს (უმთავრესად ანტონიმებს და შინაარსობრივად ერთმანეთთან ახლოს მდგომ სიტყვებს:

დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა – ყველა შეხაროდა გაზაფხულს.

ამ წინადადებაში **და**-ს ნაცვლად შეგვიძლია ვიხმაროთ **თუ** კავშირიც (დიდი თუ პატარა). ორი **და** საჭიროა ასეთ შემთხვევაშიც:

ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში არაერთმა ქართველმა ისახელა თავი.

ამ წინადადებაში ჟურნალისტიკა და პუბლიცისტიკა ერთ დარგადაა გაერთიანებული.

6. მაჯგუფებელი კავშირის ფუნქციით გამოყენებული **ც**-დართული უარყოფითი ნაწილაკი წინადადებაში იმდენჯერ მეორდება, რამდენ წევრსაც (ან წინადადებასაც) ის აერთებს. კავშირები უნდა განლაგდეს ერთგვაროვანი წევრების წინ:

· **არც** მყვარებია, **არც** მიყვარს,
არც მდომებია, **არც** მინდა,
არც მწამებია, **არცა** მწამს
შენ გარდა კიდევ სხვა წმინდა (აკაკი).

ნურც მკვდარს გამწირავ, **ნურც** ცოცხალს... (აკაკი).

უმართებულოა: არ დაივიწყებს არც მშობლებს, არც ცოლ-შვილს მიატოვებს.

უნდა იყოს: არც მშობლებს დაივიწყებს, არც ცოლ-შვილს მიატოვებს.

როცა საკავშირებელნაწილაკიანი ერთგვარი წევრები **და**-თია შეერთებული, მათ შორის მძიმე არ დაისმის, თუმცა უმჯობესია ასეთ შემთხვევაში **და** საერთოდ არ ვიხმაროთ[308].

არ ჩანდნენ არც სტუმარი **და** არც მასპინძელი.

უმჯობესია: არ ჩანდნენ **არც** სტუმარი, **არც** მასპინძელი.

ან: არც სტუმარი ჩანდა, **არც** მასპინძელი.

7. წყვილეული კავშირის ერთი ნაწილი იწერება წინადადების ერთ ნაწილში, მეორე – მეორეში:

კიდეც მეტყემლებოდა, **კიდევ** ეჭამე ტყემალიო.

წყვილეულებში ხშირად ერთ-ერთ ნაწილად წარმოდგენილია ხოლმე **არამედ**, რომელიც ცალკე არ იხმარება (ძველ ქართულში **მაგრამ** კავშირის ფუნქციას ასრულებდა. მაგ.: მიუგო ყოველთა და ეტყოდა: მე ნათელ-გცემ თქვენ... **არამედ** მოვალს უძლიერესი ჩემსა... – ლუკა, 3,16.[309]).

არამედ წყვილდება უარყოფით ნაწილაკებთან, რის შედეგადაც წამოიქმნება მაჯგუფებელი და მაპირისპირებელი კავშირები. მაჯგუფებელი კავშირებია: **არამარტო – არამედ, არამხოლოდ – არამედ, არათუ – არამედ, არამცთუ – არამედ,** ხოლო მაპირისპირებელია: **არა – არამედ, კი არ – არამედ**. მაგ.:

> ხშირად უსამართლობას სჩადის **არამარტო** მოქმედი, **არამედ** უქმად მყოფიც (მარკუს ავრელიუსი).

> **შენიშვნა:** ახალი ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით **არამარტო** შერწყმულად იწერება (იხ. მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის თამარ ვაშაკიძის რედაქციით, თბ., 2016).

წყვილი კავშირების შემადგენელი ნაწილების ადგილი წინადადებაში განსაზღვრულია: ისინი წინ უნდა უსწრებდნენ დასაჯგუფებელ ან დასაპირისპირებელ წევრებს.

---

[308] ნ ი კ ა ნ დ რ ო ბ ა ს ი ლ ა ი ა, პუნქტუაცია, გვ. 176.

[309] მაგალითი მოყვანილია შოთა ძიძიგურის ნაშრომიდან „კავშირები ქართულ ენაში“, თბ., 1973, გვ. 47.

ამ საშინელი წამის დროს ძმანი ხერხეულიძენი **არამცთუ** არ შედრკნენ, **არამედ** ლომებად გადაიქცნენ და უყვრო მომატებული თავის განწირვით იბრძოდნენ (იაკობ გოგებაშვილი)[310].

შემასმენელს შეიძლება ახლდეს გარემოება და დამატება, არსებითი სახელით გადმოცემულ ერთგვაროვან წევრებს კი – განსაზღვრება. ეს სიტყვები შეიძლება მოექცნენ კავშირსა და დასაჯგუფებელ ან დასაპირისპირებელ წევრთა შორის. მაგ.:

მამამ სოფლიდან ჩამოგვიტანა **არამხოლოდ** ახალი ხილი, **არამედ** ბებიას გამომცხვარი მჭადები და ნახუქები.

მაჯგუფებელ წყვილ კავშირებთან ერთად ხშირად გამოიყენება დამხმარე გაძლიერებითი ნაწილაკები: ც, კიდეც... (ზოგ შემთხვევაში მათი დართვა აუცილებელია):

უკვე აყვავდა **არამარტო** იორდასალამი, **არამედ** ყაყაჩოც. ბიუსტი **არათუ** დააბრუნეს, **არამედ** აღმართეს **კიდეც** თავდაპირველ ადგილზე.

„დაუშვებელია ერთგვარ წევრთა დასმა მაჯგუფებელი თუ მაპირისპირებელი წყვილი კავშირის წინ, რადგანაც ასეთი უმართებულო სიტყვათგანლაგება აზრს აბუნდოვანებს“[311].

სწორია: აქეთ-იქით **ნუკი** (მიღებულია **კი ნუ**-ს გადასმით) აწყდები, **არამედ** სამართლიანობას შეუწონე ყოველი სწრაფვა და ყოველი წარმოდგენისას შეინარჩუნე გონებისმიერი ხედვის სიცხადე (მარკუს ავრელიუსი).

უმართებულოა: ამან გაამხიარულა არა თუ ბავშვები, არამედ დაძაბულობა შეანელა.

ამ წინადადებაში ერთგვარი წევრებია შემასმენლები, რომელთაგან პირველი (გაამხიარულა) უმართებულოდაა დასმული კავშირის წინ.

უნდა იყოს: ამან **არათუ** გაამხიარულა ბავშვები, **არამედ** დაძაბულობაც შეანელა.

---

[310] მაგალითი მოყვანილია ნიკანდრო ბასილაიას წიგნიდან „პუნქტუაცია“, გვ. 80.

[311] იხ. ნორმების ბიულეტენი № 3, გვ. 54.

უმართებულოა: სტუმარმა მოგვიხიბლა **არამარტო** გარეგნობით, **არამედ** დიდი შთაბეჭდილება დატოვა მოსწრებული სიტყვა-პასუხითაც.

უნდა იყოს: სტუმარმა მოგვიხიბლა **არამარტო გარეგნობით**, არამედ მოსწრებული **სიტყვა-პასუხითაც** (აერთებს ერთგვაროვან უბრალო დამატებებს).

ან: სტუმარმა **არამარტო მოგვიხიბლა** გარეგნობით, **არამედ** დიდი შთაბეჭდილება **დატოვა** მოსწრებული სიტყვა-პასუხითაც (აერთებს ერთგვაროვან შემასმენლებს).

7. პროზაულ ენაში გაუმართლებელია წყვილეულის კავშირის მეორე ნაწილის გამოტოვება. მაგ.:

უმართებულოა: არამხოლოდ მშობლები, მთელი კლასი გამოცხადდა კრებაზე.

უნდა იყოს: არამხოლოდ მშობლები, **არამედ** მთელი კლასი გამოცხადდა კრებაზე.

წყვილად იხმარება მაცალკევებელი კავშირები: **ან – ან (ან – ანდა, ან – ან – ან კიდევ), ხან – ხან (ხან – ხან კიდევ), გინდ(ა) – გინდ(ა), თუნდ(ა) – თუნდ(ა)**. სასვენი ნიშანი – მძიმე – დაისმის კავშირების წინ, გარდა პირველად ხმარებულისა. მაგ.:

ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს
შევსწირავ შენს მეგობრობას (აკაკი).

ხან წყურვილის მომკვლელო,
ხან მწყურვალის მკვლელო,
ხან თავთუხის ჩამყვანელო-დ
ხან ნარ-ეკალთ მმკელო,
ხან უკუდავად მცოცხლებელო,
ხან უგულოდ მცელო (ეთერ თათარაიძე).

ამგვარი შეერთების დროს **და** კავშირი საჭირო აღარ არის:

ხან ტიროდა და ხან იცინოდა.

უმჯობესია: ხან ტიროდა, ხან იცინოდა,

ან კავშირი ხოგჯერ ცალადაც გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში მის წინ მძიმე არ დაისმის:

სწორია: ჩაიხედე კაცთა სულებში და გულისხმაყავ, რას გაურბიან ბრძენნი **ან** რას მიელტვიან (მარკეს ავრელიუსი, ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი).

ასევე: წადი **ან** დარჩი.

შეადარეთ: **ან** წადი, **ან** დარჩი.

ან-ის სინონიმია **ანდა**, რომელიც წყვილში შედის მასთან: **ან** წადი, **ანდა** დარჩი.

ანდა იშვიათად ცალკეც გვხვდება:

> სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო
> **ანდა** არ იყოს ასე ლამაზი (ტიციან ტაბიძე).

ან მიღებულია **ანუ**-საგან, რომელიც ძველად მაცალკევებელი კავშირი იყო (ახლა მაიგივებელია). მათი ერთმანეთში აღრევა გაუმართლებელია.

როდესაც ცალად გამოყენებული **ან** კავშირი აერთებს რთული თანწყობილი წინადადების კომპონენტებს, მის წინ მძიმეს ხან სვამენ, ხან – არა. ნორმა დადგენილი არ არის.

იგივე სურათი გვაქვს, როცა მაცალკევებელი **თუ** კავშირი აერთებს ორ თანასწორ წინადადებას. როგორც თანწყობილ, ისე შერწყმულ წინადადებაში დასახელებული კავშირების წინ უმჯობესია არ ვიხმაროთ სასვენი ნიშანი[312]. მაგ.:

> რა გადაწყვიტეს **ან** ვინ შეასრულებს ამ გადაწყვეტილებას? (იოსებ გრიშაშვილი).

> დიდებთან თუ პატარებთან სულ ერთ ქოშებს აბარებდა. (იოსებ გრიშაშვილი).

8. მაპირისპირებელი კავშირები **(კი-ს გარდა) – მაგრამ, ხოლო, ოღონდ, თუმცა, კიდევ, თორემ** – წინ უსწრებენ წინადადების მეორე დაპირისპირებულ წევრს. მათ წინ ყოველთვის დაისმის მძიმე როგორც შერწყმულ, ისე თანწყობილ წინადადებაში. მაგ.:

> გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატია (კონსტანტინე გამსახურდია).

---

[312] ნიკანდრო ბასილაია, დასახელებული ნაშრომი. გვ. 88.

კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ,
ლამაზად მორთულ და მოკაზმული;
მაგრამ რამდენადც მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული (ილია).

ხოლო კავშირს უახლოვდება ფუნქციით **კი,** რომელიც არასოდეს არ იწყებს თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილს. ის იმ სიტყვის შემდეგ იკავებს ადგილს, რომელზედაც მოდის ლოგიკური მახვილი[313]. მაგ.:

სხვისთვის ხარ ჰარი-ჰარალი,
ჩემთვის კი მწარე გმინვა ხარ (იზო ბაქრაძე).

ამავე ფუნქციით იხმარება **კიდევ**:

აქ ხევია, გაღმა **კიდევ** – მინდვრები.

ზოგჯერ დაპირისპირების გასაძლიერებლად **მაგრამ** და **ხოლო** კავშირებთან ერთად **კი**-საც წერენ, რაც სტილისტიკური შეცდომაა. მაგ.:

უმართებულოა: მე მიმიღეს, ხოლო სხვები კი უკან გამოაბრუნეს (აკაკი).

უნდა იყოს: მე მიმიღეს, ხოლო სხვები უკან გამოაბრუნეს.

ასეთივე შეცდომაა ზედმეტი კავშირის ხმარება. ზედმეტი კავშირი გვხვდება ყველა ტიპის წინადადებაში – შერწყმულში, თანწყობილსა და რთულ ქვეწყობილში. მაგ.: **და – კი, მაგრამ კი, ოღონდ კი, ხოლო კი**[314]. მაგ.:

რაც რამ სარჩო-საბადებელი ჰქონდა დედამიწას, კაცს უძღვნა და თვითონ **კი** დარჩა ცარიელი (ვაჟა-ფშაველა).

ამ წინადადებაში **და,** რომელიც ზოგ მეცნიერს გამაძლიერებელ საშუალებად მიაჩნია, სრულიად ზედმეტია.

უნდა იყოს: რაც რამ სარჩო-საბადებელი ჰქონდა დედამიწას, კაცს უძღვნა, თვითონ **კი** დარჩა ცარიელი.

---

[313] ლ ე ო კ ვ ა ჭ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 369.

[314] ნ ი კ ა ნ დ რ ო ბ ა ს ი ლ ა ი ა, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1991, გვ. 236.

მაგრამ და **ხოლო** კავშირებმა შეიძლება დაიწყონ ახალი წინადადებაც, რომელიც აზრობრივად უპირისპირდება წინა წინადადებას. მაგ.:

მისი თვალები თითქოს ხვეწნასა და საყვედურს ერთად გამოთქვამდნენ. **მაგრამ** რა გასჩენოდა ხვეისბერს, ხვეის მმართველს, უბრალო მეომართან ან სახვეწარი, ან სასაყვედურო? (ალექსანდრე ყაზბეგი).

ამავე კავშირებით შეიძლება იწყებოდეს აბზაციც, თუ მასში გამოთქმული აზრი მიემართება წინა აბზაცში გამოთქმულ საპირისპირო აზრს. მაგ.:

არა, მე ვეღარ ვუცქერ ამ ბავშვის ამდენ ტანჯვასა და წვალებას.

თუ რამდენიმე დღის განმავლობაში პირი ჩვენკენ არ იბრუნა, შევსვამ ცხენზე და ჩემი ხელით ავუყვან ნაიბსა და იმის ცოლს... – უთხრა ზურაბმა თავის ცოლს – მაგდანს.

ხოლო მაგდანი ასე ადვილად ვერ დათმობდა ქეთოს და მზად იყო, ისევ თავის ახლოს დაემარხა თავისი ერთადერთი შვილი, ვიდრე გაეგზავნა ხელმეორედ და სამუდამოდ დაღესტანში (იაკობ გოგებაშვილი).

9. ჩვენი აზრით, მაპირისპირებელი კავშირების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ **და არა**-ც. მაგ.:

მოვიდა პეტრე, **და არა** პავლე.

ამ წინადადების მიხედვით მოსალოდნელი იყო პავლეს მოსვლა, მაგრამ მის ნაცვლად მოვიდა პეტრე. იგივე აზრი შეიძლება გამოვხატოთ არა – არამედ-მაპირისპირებელ კავშირიანი წინადადებით: მოვიდა არა პავლე, არამედ პეტრე. რა როლს თამაშობს და კავშირი წინადადებაში – მოვიდა პეტრე და არა პავლე? ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, თითქოს დასახელებულ მაგალითში გამოყენებულია სტილისტიკური ხერხი – ელიფსისი (წინადადებაში ადვილად მისახვედრი სიტყვის გამოტოვება) და **და** კავშირით დაჯგუფებულია შემასმენლები მოვიდა და არ მოვიდა (რაც თითქოს იგულისხმება). ელიფსისის მაგალითია:

დაპატიჟებულთაგან ზოგი მოვიდა, ზოგი - არა.

თუ გავითვალისწინებთ და კავშირის ფუნქციებს (ერთდროული თუ თანამიმდევრული მოვლენების, მიზეზშედეგობრიობის გამოხატვა, ერთგვაროვანი წევრების დაჯგუფება და მისთ.)

აშკარა გახდება, რომ დასახელებულ წინადადებაში **და არა** კი არ აჯგუფებს, არამედ აპირისპირებს ერთგვარ ქვემდებარეებს – პეტრესა და პაველს. ამაზე მეტყველებს პაუზაც **და არა**-ს წინ.

11. მაიგივებელი კავშირები (**ანუ, ესე იგი, მაშასადამე**) განკერძოებულ დანართს აერთებს ასახსნელ-დასაზუსტებელ წევრთან. დანართი თავისი კავშირითურთ (ან საკავშირებელი სიტყვითურთ) სასვენი ნიშნებით გამოიყოფა:

> ღობეზე შემოსკუპულიყო გოგრა, **ანუ** კვახი, და თავს იწონებდა. დასრულდა ჩვენი ნებივრობა (**ე. ი.** არდადეგები).
>
> ილია დაიბადა 8 ნოემბერს, **მაშასადამე** ძველი სტილით 27 ოქტომბერს.

ანუ-ს წინ ზოგჯერ მძიმეს აღარ სვამენ[315]. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) შემასმენელი განკერძოებული დანართის შემდეგაა. მაგ.:

> ზმნიზედა **ანუ** ზმნისართი **არის** მეტყველების ნაწილი.
> ბგერათა დამსგავსება **ანუ დისიმილიმაცია არის** ფონეტიკური მოვლენა[316].

ბ) განკერძოებული დანართი ახლავს არსებითი სახელით გამოხატულ მსაზღვრელს. ასეთ დროს განკერძოება ინტონაციურად შესუსტებულია, დანართი ლოგიკური მახვილით არ გამოიყოფა და ამის გამო მძიმის დასმა საჭირო არ არის. მაგ.:

> ვაჟა-ფშაველას **ანუ ლუკა რაზიკაშვილის** პოემები ღრმა პატრიოტული და ჰუმანური შინაარსისაა.
>
> ტყეში ნახული ეპიზოდის **ანუ სურათის** აღწერამ ძალიან დააინტერესა მოსწავლეები[317].

გ) წინადადება სახელდებითია. მაგ.:

> „სიყვარული ანუ დარო და მარო“[318].

---

315 ნ ი კ ა ნ დ რ ო ბ ა ს ი ლ ა ი ა, პუნქტუაცია, გვ. 183.

316 იქვე.

317 იქვე, გვ. 184.

318 ნ ი კ ა ნ დ რ ო ბ ა ს ი ლ ა ი ა, პუნქტუაცია, გვ. 183.

შენიშვნა: მაშასადამე ხშირად გვხვდება ჩართულის ფუნქციითაც (**ამგვარად, ამრიგად, ამდენად, ასე რომ** ჩართულების სინონიმად). მისი დანიშნულებაა ლოგიკური მახვილის დამყარება წინამავალ მსჯელობასთან.

მაშასადამე უმთავრესად წინადადების თავში გვხვდება (შეიძლება შუაშიც იყოს). სამეცნიერო ლიტერატურის ენაში იგი ხშირად იწყებს აბზაცს. მაგალითად:

მაშასადამე, „ქებაჲს“ ავტორი ქართულ ენას ანიჭებს მესიანისტურ მნიშვნელობას; შინაარსი ამ წერილისა მკითხველებს უკვე ეცოდინებათ და, **მაშასადამე**, მისი გამეორება საჭირო აღარ არის.

12. დანართთან ან სხვა განკერძოებულ წევრებთან საკავშირებელი სიტყვის ფუნქციას ასრულებენ აგრეთვე ზმნიზედები: **კერძოდ, მაგალითად, სახელდობრ, უმეტესად,** ამიტომ ისინი სასვენი ნიშნებით გამოიყოფიან იმ სიტყვებთან ერთად, რომელთაც ახლავან. (ქვემოთ მაგალითები მოყვანილია ნიკანდრო ბასილაიას წიგნიდან „პუნქტუაცია“).

> რევოლუციამდელ საქართველოს ქალაქებში, **კერძოდ თბილისში,** სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობა ჭიდაობა გახლდათ. აქ ბევრი ძვირფასი მცენარე იხარებდა, **მაგალითად ბრინჯი.** ჩვენ, **სახელდობრ ახალგაზრდებს**, გვიხაროდა მათი შემოსვლა ქალაქში.

განკერძოებული დანართის კავშირის ფუნქციით გამოიყენება აგრეთვე არსებითი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ ვინაობას, პროფესიას, გვარს, სახელს, წარმომავლობას. ისინი უმთავრესად წარმოდგენილნი არიან მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმით. მაგ.:

> მისი ქმარი, **სახელად** ოტია, **გვარად** ქამუშაძე, **წოდებით** აზნაური, იყო ნამდვილი გლეხი (დავით კლდიაშვილი).

§ 98. მაქვემდებარებელი კავშირები

13. მაქვემდებარებელი კავშირებია: **რომ, თუ, რათა, რაკი, თუკი, გინდ (გინდაც), თუმცა, ვინაიდან, ვიდრე, სანამ, რაწამს, თუ არა, ამიტომ, ამისთვის, როცა, როდესაც, როგორც კი, ასე რომ, ამის გამო, რის გამოც**. მაქვემდებარებელი კავშირები და საკავშირებელი სიტყვები (ე. წ. წევრ-კავშირები) იხმარება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებების დასაკავშირებლად.

ზოგიერთი საკავშირებელი სიტყვა რთულ ქვეწყობილ წინადადებაში იხმარება ორი სახით: შეუკვეცელად და შეკვეცილად ან ნაწილაკდართულად და უნაწილაკოდ, მაგ.: როდესაც – როცა, რადგანაც – რადგან, თუნდაც – თუნდ, ამიტომაც – ამიტომ, სანამდისაც – სანამ[319].

დაიმახსოვრეთ:

რომ კავშირის გამოყენება უმართებულოა:

ა) მიმართებით სიტყვებთან შემდეგ კონსტრუქციებში: ვინც რომ, რაც რომ, როგორც რომ, სადაც რომ. მაგ.:

დიდებაში იქორწინა,
სადაც (რომ) საყდარი არი (ხალხური).

ბ) რთულ კავშირებად გააზრებულ თუ რომ, თუნდაც რომ, რა რომ შესიტყვებებში:

ნუ დამძრახავ, საკადრისად
თუ (რომ) ვერას გემსახურე (აკაკი).

გ) ზმნური ფორმების ჩართულებთან: **რასაკვირველია, ცხადია, ბუნებრივია, უეჭველია, წარმოუდგენელია, შეუძლებელია**[320].

უმართებულოა: ცხადია, რომ ასეთი ხასიათი მასვე ენებდა.
შეუძლებელია, რომ ეს არ შეგენიშნათ.

---

[319] ნ ი კ ა ნ დ რ ო ბ ა ს ი ლ ა ი ა, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, გვ. 240.

[320] ლ ე ო კ ვ ა ჭ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 308.

უნდა იყოს: ცხადია, ასეთი ხასიათი მასვე ეკუთვნის.
შეუძლებელია, ეს არ შეგეძინათ.

მაგრამ „საკმარისია, აღნიშნული შესიტყვებიდან რომელიმე მოხვდეს შესიტყვებაში თუნდაც დამხმარე სიტყვასთან ერთად, რომ მთავარი წინადადების როლში გამოვიდეს და **რომ** კავშირით გამოეყოს წინადადებას“[321].

ყველასთვის ცხადია, რომ...
მაგრამ შეუძლებელია, რომ...

14. მიზნისგარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირებია **რომ** და **რათა** (თუმცა **რათა** უფრო წიგნურ მეტყველებას შემორჩა). თუ მთავარ წინადადებაში კორელატია **მისთვის, იმისთვის,** დამოკიდებული უნდა დავიწყოთ **რომ** კავშირით:

მხოლოდ იმისთვის მოვკვდები წყნარად,
რომ შენ მოგაკლო სიკვდილი ერთი (ზაურ ბოლქვაძე).

რათა კავშირთან კორელატი არ იხმარება, ამიტომ უმართებულოა შემდეგი წინადადება:

დაბრუნდა იმისათვის, რათა უკანასკნელად შეეცალო თვალი მშობლიური კუთხისათვის.

უნდა იყოს: დაბრუნდა, **რათა** უკანასკნელად შეეცალო თვალი... დაბრუნდა **იმისათვის, რომ** უკანასკნელად შეეცალო თვალი...

15. ბოლო ხანებში შესამჩნევად გაიზარდა მიზეზის გამომხატველი **რადგან** კავშირის გამოყენება მიზნის კავშირების ნაცვლად. ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავენ ჟურნალისტები. მაგ.:

უმართებულოა: ნინომ სამედიცინო უნივერსიტეტში ჩააბარა მისაღები გამოცდები, რადგან ოჯახის ტრადიციისამებრ ექიმი გამხდარიყო. მზეჭაბუკი სულ კოშკის გარშემო დადიოდა, რადგან პრინცესისათვის თვალი მოეკრა.

---

[321] ნელი ცქიტიშვილი, ჩართული, ქსკს, წიგნი VIII, გვ. 268 და ნიკანდრო ბასილაია, პუნქტუაცია, გვ. 57.

უნდა იყოს: ნინომ... გამოცდები, **რათა** ოჯახის ტრადიციისამებრ ექიმი გამხდარიყო. მ'სეჭაბუკი... დადიოდა, **რომ** პრინცესისათვის თვალი მოეკრა.

დაიმახსოვრეთ:

მიზნის გარემოებას შეეხამება კავშირებითი კილოს ფორმა (აწმყოს კავშირებითი, მყოფადის კავშირებითი, II კავშირებითი და II თურმეობითი III კავშირებითის მნიშვნელობით), მიზეზის გარემოებას კი – თხრობითი კილოსი (აწმყო, მყოფადი, წყვეტილი, I თურმეობითი).

მთავარ წინადადებაში თხრობითი კილოს ფორმაა ნახმარი, დამოკიდებულში – კავშირებითისა. **გამხდარიყო** და **მოეკრა** კავშირებითი კილოს ფორმებია (II თურმეობითი), ე. ი. დამოკიდებული წინადადებები მიზნისგარემოებითია, და არა მიზეზისგარემოებითი, ამიტომ **რადგან** კავშირის გამოყენება უხეში შეცდომაა. მიზნისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედების მიზან-დანიშნულებას და მოგვიგებს კითხვებზე: რისთვის? რა მიზნით? მთავარ წინადადებას ის უერთდება **რომ** ან **რათა** კავშირით. როგორც აღნიშნავენ, აქედან „საყოველთაოდ გავრცელებულია პირველი (რომ), „რათა“ კი უფრო წიგნის ენისათვის არის დამახასიათებელი და თანამედროვე სალიტერატურო ენაში შედარებით იშვიათად იხმარება“[322].

მთავარ წინადადებაში მისათითებელი სიტყვებია მიზნის ზმნიზედები: **იმისთვის, მისთვის**.

სწორია: საღამოობით მხატვრები ზღვის სანაპიროზე იკრიბებოდნენ, რათა/რომ ზღვაში მზის ჩასვენების ულამაზესი სურათი დაეხატათ.

ე. ი. დახატვა იყო მიზანი, და არა მიზეზი. ამიტომ უხეში შეცდომა იქნებოდა, თუ დამოკიდებულში გამოვიყენებდით **რადგან** კავშირს. იმ მიზნით გროვდებოდნენ, რადგან დაეხატათ.

ახლა ავიღოთ რომელიმე მიზეზისგარემოებითი დამოკიდებული რთული ქვეწყობილი წინადადება და დავუპირისპიროთ. მაგ.:

---

[322] ლ ე ო კ ვ ა ჭ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. გვ. 440.

მხატვრები სალამოობით იკრიბებოდნენ ზღვის სანაპიროზე და მზის ჩასვლის სურათს ხატავდნენ, რადგანაც ამ შეკვეთილი ნახატის გარეშე შინ ვერ დაბრუნდებოდნენ.

რა მიზეზით ხატავდნენ? – იმიტომ ხატავდნენ, რომ ამის გარეშე შინ ვერ დაბრუნდებოდნენ.

15. ახალ სალიტერატურო ქართულში წევრ-კავშირად ძირითადად იხმარება ხუთი მიმართებითი ნაცვალსახელი: **ვინც, რაც, რამდენიც, როგორიც, რომელიც**. აქედან პირველი სამი ურიცხვო სახელია; **როგორიც** მეტწილად მხოლობითშია, **რომელიც** ნაცვალსახელს კი ორივე მრავლობითის ფორმა ეწარმოება.

ქვემდებარულ, დამატებით და სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებებში წევრ-კავშირად ხშირად გამოიყენება მიმართებითი ნაცვალსახელი **ვინც**. მასთან ასახსნელ წევრად იგულისხმება ადამიანი (**რა** ჯგუფის სახელებთან იხმარება **რაც**). **ვინც** ყოველთვის წინ უსწრებს შემასმენელს:

კაცი **ის** არის, **ვინც** მამულს
გამოადგება შვილადა,
ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს,
თავი – სამსხვერპლო წილადა (რაფიელ ერისთავი).

ვინც განზოგადებული მნიშვნელობის კავშირია. უმჯობესია მასთან გამოვიყენოთ მხოლობით რიცხვში დასმული კორელატი (პირის ან განსაზღვრებითი ნაცვალსახელი).

კარგად **ის** იცინის, **ვინც** ბოლოს იცინის.
ყველა, ვინც სანადიროდ ემზადებოდა, ფეხზე დადგა.

როდესაც **ვინც** მიმართებით ნაცვალსახელს ერთვის **კი** ნაწილაკი, მისამართ სიტყვად გვაქვს (ან იგულისხმება) **ყველა**. მაგ.:

ყველა, ვინც კი პირველად თოფს აიღებს, კურდღელს ემუქრება (ვაჟა-ფშაველა).

17. თუ წევრ-კავშირად კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან მიღებული მიმართებითი ნაცვალსახელია, ახალ ქართულში **ც** ნაწილაკი დაერთვის არა წევრ-კავშირს, არამედ მის საზღვრულ სახელს. მაგ.:

ვისი ერდოც მაღალიო, მეც იმისი მაყარიო (არდაზა).

ზოგჯერ ბგერობრივად მსგავსი კავშირებისა და მაოი კორელატების აღრევა ხდება. თუ მთავარ წინადადებაში მისათითებელი სიტყვაა (ან იგულისხმება) ჩვენებითი ნაცვალსახელი **ისეთი**, დამოკიდებულში კავშირად გამოიყენება მიმართებითი ნაცვალსახელი **როგორიც**. ასევე დაჯგუფდება: **ისეთი – როგორითაც, ისეთივე – როგორიც, იმ – რომლითაც, იმავე – რომლითაც**. მაგ.:

„ნათქვამია: **ისეთმა** ფურმა დამწიხლოს, **როგორიც** ჩემზე მეტს იწველებაო“.

საკავშირებელი სიტყვა **რომელიც** იხმარება არსებითი სახელით გამოხატულ მისამართ სიტყვასთან. მაგ.:

კაცი, რომელიც...

უმართებულოა: ის, რომელიც (**მაგრამ:** ის, ვინც).

თუ კორელატია ვითარების ზმნიზედა **ისე**, მაშინ წევრკავშირად გამოყენებულ უნდა იქნეს მიმართებითი ზმნიზედა **როგორც**. შესაბამისად დაჯგუფდება: **ისე – როგორადაც, ისევე – როგორც (ან როგორადაც), იმდენად – რამდენადაც, იმდენჯერ – რამდენჯერაც**. მაგ.:

ისე ნაზია ეს მოგონება,
როგორც დემონის ფრთების შეხება (ტიციან ტაბიძე).

როდესაც დამოკიდებული წინადადების შემასმენლით გადმოცემული მოქმედება მთავრით გადმოცემულის თანადროულია, მაქვემდებარებელ კავშირად იხმარება **როცა** (როდესაც):

როცა ბარში ჭკუა იკარგება, მთაში ეძებენო.

მაგრამ, თუკი დამოკიდებული წინადადებით გადმოცემული მოქმედება უფრო ადრე ხდება და წინაპირობაა მთავრით გადმოცემული მოქმედებისა, მაშინ კავშირად იხმარება **რაც**. მაგ.:

მას შემდეგ, **რაც** ჩამოთოვა, გარეთ არ გაუხედავს.

დროისგარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში **მანამ** კორელატთან საკავშირებელ სიტყვად უნდა გამოვიყენოთ **სანამ**, და არა პირიქით. მაგ.:

სანამ თოხე ცხელია, პური **მანამ** ჩააკარიო.

უმართებულოა: მანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძვრესო.

უნდა იყოს: სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძვრესო.

მიზეზისგარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში კორელატად იხმარება **იმიტომ**, და არა იმისთვის.

უმართებულოა: ბავშვი ისევ შინ შებრუნდა **იმისთვის**, რომ ქუჩაში ძალიან ბნელოდა.

უნდა იყოს: ბავშვი **იმიტომ** შებრუნდა შინ, რომ ქუჩაში ძალიან ბნელოდა.

18. ზოგჯერ წინადადების ბოლოს მოთავსებული კორელატი (სხვადასხვა ჯგუფის ზმნიზედა) ინტონაციურად ეკვედლება დამოკიდებულ წინადადებას, რის შედეგადაც მიიღება რთული კავშირები: **იმიტომ რომ, მაშინ როდესაც, ისე როგორც, ისე რომ**... მაგ.:

ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, **იმიტომ რომ** იმისი სისხლი და ხორცი ვარ (ილია).

ჩემი განსაცდელი რა სახსენებელია, **მაშინ როდესაც** მთელი საქრისტიანო განსაცდელშია ჩავარდნილი?!
(აკაკი).

რომ კავშირი ხშირად გამოტოვებულია ქვემდებარულ და დამატებითდამოკიდებულ წინადადებებში.

გამიგონია, მთვარიან ღამეს
ტბასთან მიეიდა ერთი ირემი (იოსებ ნონეშვილი).

19. ზოგი სახის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში წევრკავშირებად გამოიყენება **უნდა**-ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელები (**ვინც, რაც, რომელიც**...) და ზმნიზედები (**სადაც, როდესაც, როგორც**...). ისინი ზმნას შეიწყობენ დადებითი ფორმით: **ვინც უნდა (რაც უნდა, სადაც უნდა**...). მაგ.:

ასეთ შესიტყვებებში **არ** ნაწილაკის დართვა რატომღაც უმართებულოდ (რუსული ენის გავლენად) არის მიჩნეული:

სადაც უნდა შევიარო,
ღვინოს დამაძალებენ,
მწუხარება ვერ დავფარო,
ღვინოს დააბრალებენ (გალაკტიონი).

მაგრამ სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **ვინც არ უნდა** ტიპის შესიტყვებაში **არ** ნაწილაკი დაცლილია უარყოფითი შინაარსისაგან. მას წინადადების ექსპრესიულობის, ემოციურობის ეფექტის გაძლიერების ფუნქცია აქვს. „რუსულის გზით შემოსული კონსტრუქცია მიესადაგა ქართულ ენას... ამიტომ შესაძლებელია იგი ჩაითვალოს სალიტერატურო ენის ნორმებით დასაშვებ ფორმად“[323].

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **ვინც უნდა** ტიპის შესიტყვებაში **არ** ნაწილაკის დართვა ბუნებრივი ჩანს, როცა მთავარი წინადადება წართქმითი შინაარსისაა[324]:

> **რაც არ უნდა** დიდი საქმე ჰქონოდა, მაინც დათმობდა წვიმაში დგომის გულისთვის (გურამ პეტრიაშვილი).
>
> **ვინც არ უნდა** იყო, მობრძანდი, ბატონო, სტუმარი ღვთისაა (ნოდარ დუმბაძე).

არ ნაწილაკი ზედმეტია, როცა მთავარი წინადადება მკვეთრად უარყოფითი შინაარსისაა, როცა იგი რადიკალურად უპირისპირდება დამოკიდებულს[325].

> რაც უნდა ჭირი მომკერძო,
> ბილწთ არ შავეკვრი ზავითა... (ვაჟა-ფშაველა).

როგორც აღნიშნავენ, **არ**-ნაწილაკიანი ფორმები უფრო ხშირია ზეპირმეტყველებაში. ჩანს, ენაში არის მისწრაფება, ტენდენცია **არ** ნაწილაკის დამკვიდრებისა და სათანადო პირობებში იგი თითქმის შეუზღუდავაც იხმარება[326].

20. ნათარგმნ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება **რა**-კავშირიანი დროისგარემოებითი დამოკიდებული წინადადება, თუმცა ცოცხალ მეტყველებაში ეს კავშირი იშვიათად გამოიყენება. მაგ.:

> მოისმინეს რა ახალი ამბავი, ყველანი გამხიარულდნენ.

უმჯობესია: როდესაც ახალი ამბავი მოისმინეს, ყველანი გამხიარულდნენ.

---

[323] ქ უ ჯ უ ნ ა ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი, 1996, გვ. 278.

[324] ა ს მ ა თ პ ა პ ი ძ ე, ერთი ტიპის კონსტრუქციის ევოლუციისათვის ქართულში, ქსკს, წიგნი X, გვ. 302.

[325] იქვე, გვ. 304.

[326] ა ს მ ა თ პ ა პ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე ფუნქციით რა კავშირი გამოიყენებოდა ძველ და საშუალო ქართულში (ძველ ქართულში ჰქონდა **რაჲ** ფორმა). მაგ.:

> იხილა **რაჲ** ძელსა დამოკიდებულად ძე თჳისი გოლგოთას ღმრთისმშობელმან, სულგრძელობასა მისსა ქებით ადიდებდა (სასულიერო პოეზია).
>
> **რა** მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა.
> (შოთა რუსთაველი)

რა (**რაჲ**) კავშირი ტმესადაც ჩაერთოდა ზმნაში. მაგ.:

> შე-რაჲ-ვიდეს შინა, არა პოვეს გუამი იგი უფლისა იესუჲსი (ლუკა 24).

21. კითხვითსიტყვიან დამოკიდებულ წინადადებაში ზედმეტია მაქვემდებარებელი კავშირი **თუ**. მაგ.:

> მოხუცი ვერ მიმხვდარიყო, (თუ) **რომელი** მხრიდან უბერავდა ქარი.
> ქალს ვერ გადაეწყვიტა, (თუ) **სად** წასულიყო.

22. ერთმანეთის გვერდით არ უნდა გამოვიყენოთ სინონიმური კავშირები: ვინაიდან და რადგანაც[327]. მაგ.:

> ვერ დაგეთანხმები, ვინაიდან და რადგანაც ვგრძნობ, რომ ცუდად დამთავრდება ეს ამბავი.

უნდა იყოს ერთ-ერთი კავშირი: ან ვინაიდან, ან რადგანაც.

---

[327] რ უ ს უ დ ა ნ ზ ე ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მართლწერის საკითხები, თბ., 2004, გვ. 130.

§ 99. ნაწილაკი

ნაწილაკი ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ ბგერას, ბგერათა კომპლექსს თუ სიტყვას, რომელიც ერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და მნიშვნელობას უცვლის მას რაიმე მხრით. მაგ.:

მწვანეა მუდამ წალკოტი,
არასდროს **თურმე არ** ჭკნება (ილია).

ქართული **მარტო** ენაა?
ქართული ქართველთ რწმენაა (მუხრანი).

ნაწილაკს უკავშირდება როგორც ორთოგრაფიის, ისე სტილისტიკისა და პუნქტუაციის საკითხები. ნაწილაკის მართლწერის მრავალფეროვნება განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით. კერძოდ: ზოგი ნაწილაკი შეიძლება ახლდეს მხოლოდ სახელს ან მხოლოდ ზმნას, ზოგი შეიძლება ყოველგვარ სიტყვასთან გვხვდებოდეს. ზოგი ნაწილაკი ცალკე იწერება, ზოგი – შერწყმულად, ზოგი დეფისით გამოეყოფა შესაბამის სიტყვას.

წინადადებაში განსაზღვრული არ არის ნაწილაკის ადგილიც. ზოგი წინ უძღვის სიტყვას, ზოგი – მოსდევს, ზოგის ადგილი კი თავისუფალია.

ფუნქციის მიხედვით ნაწილაკი მრავალფეროვანია. შესაბამისად, გამოიყოფა რამდენიმე შინარსობრივი ჯგუფი. ესენია:

ჩვენებითი: აი, აჰა, ჰა.

კითხვითი: თუ, ნუთუ, განა, ხომ, ა, მე (ეს ორი უკანასკნელი ძველ ქართულში გვხვდებოდა: მტკიცედ სდგაა? უწყი მეა?).

გამორჩევითი: ღა, მხოლოდ, მარტო.

განუსაზღვრელობითი: მე, ღა, რომლებსაც აკისრიათ წარმოქმნის ფუნქცია.

უკუთქმითი: არ, ვერ, ნუ, როდი. არ და ვერ ნაწილაკები მაწარმოებელი ელემენტების ფუნქციასაც ასრულებენ: კითხვითი ნაცვალსა-ხელებისაგან წარმოქმნიან უარყოფით ნაცვალსახელებს.

მიგებითი: დიახ, ჰო, კი (დადასტურებითი) და არა, ვერა, ნურა (უარყოფითი).

სიტყვასიტყვითი (სხვათა სიტყვის): –მეთქი, –თქო, –ო.

მიახლოებითი: –ოდე, ლამის, კინაღამ, თითქმის.

მოდალური (ნება-სურვილის, ნატვრის, წაქეზების, შესაძლებლობა-ვარაუდის გამომხატველი): დაე, აბა, ვინძლო, ეგების, ნეტავ, იქნებ, შესაძლოა (ეს უკანასკნელი აწმყოს კავშირებითთან სმნის ფუნქციით გამოიყენება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სმნისგან გათიშულია რამდენიმე სიტყვით).

წინადადებისგან ინტონაციურად გამოყოფილი ნაწილაკები, რომლებიც ზოგჯერ რაიმე გრძნობას გამოხატავენ და შორისდებულის ფუნქციას ასრულებენ: აი, აბა, აჰა, ჰა, მაშ. ნაწილაკები, რომლებიც რაიმე გრძნობას გამოხატავენ, მაგრამ შორისდებულის ფუნქციას არ ასრულებენ და ინტონაციურად განკერძოებას არ იჩენენ: ვაითუ (გამოხატავს შიშს), დაე (გამოხატავს მოწოდება-წაქეზებას), ნეტავ, ნეტამც (გამოხატავს ნატვრას).

ნაწილაკის მართლწერა

1. სიტყვასთან შერწყმულად იწერება უმარცვლო და ზოგი ერთმარცვლიანი ნაწილაკები (ორმარცვლიანებიდან – მხოლოდ ოდე): **ც(ცა), მც, ღა, ვე, ო.**

ცალკე იწერება როგორც ერთმარცვლიანი, ისე ორ- და მეტმარცვლიანი ნაწილაკები: **ხომ, თუ, რა, არ(არა), ვერ, ნუ, განა, ნუთუ, ხოლმე, თორემ, კინაღამ.**

დეფისით გამოიყოფა სიტყვასიტყვითი (ე. წ. სხვათა სიტყვის) ნაწილაკები: **-მეთქი, -თქო**, რომლებიც წინადადების ბოლო სიტყვას დაერთვის.

2. სიტყვის წინ დაისმის ნაწილაკები: **არ(არა), ვერ, ნუ, დაე, აკი, აბა, ნეტავ, მოდი, ვინძლო, აი, უნდა.**

სიტყვას შეიძლება წინ უძღოდეს ან მოსდევდეს ნაწილაკები: **განა, ხომ, ეგებ, იქნებ, კინაღამ, მაინც, თურმე, უკვე, ვითომ, თითქოს** (თუმცა მათი გამოყენება სიტყვის წინ უფრო ბუნებრივი ჩანს).

სიტყვას მოსდევს: **ც(ა), ვე, ღა, ოდე, ხოლმე**.

3. ცალკე მდგომ ნაწილაკთა უმართებულოდ გამოყენების შემთხვევათა დიდი წილი მოდის დიალექტურ ფორმებზე.

სწორია: აგერ, ბარემ, ვითომ, თითქოს, -თქო, კინაღამ, მხოლოდ, ლამის, შეიძლება, უნდა...

და არა: აგე, ბარე, მითომ, თითქო, -თქვა, კიღამ, მხოლოთ, რამის, შეილება, უნა...

4. თანაბარუფლებიანი პარალელური ფორმებია:

ეგებ // ეგება // ეგების, იქნებ // იქნება, თუნდ // თუნდა(ც) (ეს უკანასკნელი მაერთებელი კავშირის ფუნქციითაც გამოიყენება).

5. ნაწილაკის მართლწერა გულისხმობს კონტექსტის შესაბამისად მათს სწორად გამოყენებას. კერძოდ, უმართებულოა ერთი ნაწილაკის ხმარება მეორის ნაცვლად ანდა ერთ წინადადებაში ერთნაირი ფუნქციის მქონე ნაწილაკების დაკავშირება ერთსა და იმავე ან სხვადასხვა სიტყვასთან. მაგ., ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში ერთ-ერთი ნაწილაკი ზედმეტია:

შეათეთრეს **აგრეთვე** სასტუმრო ოთახიც.
მხოლოდ შენღა შემრჩი.
სახლში **მარტო** მოხუცებიღა დარჩენილიყვნენ.
კაცი პირველივე **დღესვე** ჩაება საქმიანობაში.

6. ცალკე მდგომი ნაწილაკი უშუალოდ უნდა ემეზობლებოდეს იმ სიტყვას, რომელსაც აზუსტებს:

სიტყვა გინდა?! – **მარტო წვიმას** აქვს სახელი ცხრა.
(მუხრანი).

ამიტომაა, რომ ნაწილაკის გადასმა სხვა ადგილას წინადადებას ელფერს უცვლის. მაგ., შეადარეთ:

მხოლოდ მეგობარმა მიულოცა და მაშინვე წავიდა.

მეგობარმა **მხოლოდ მიულოცა** და მაშინვე წავიდა.
მეგობარმა მიულოცა და **მხოლოდ მაშინ** წავიდა.

ნაწილაკისათვის ადგილის უმართებულოდ შერჩევა წინადადების აზრს აბუნდოვანებს ან სრულიად ამახინჯებს. მაგ.,

სწორია: დაიცადეთო, – ლამის დაუძახა მიმავალ ქალს. ამას მაშინვე უნდა მიმხვდარიყო.

და არა: დაიცადეთო, – დაუძახა ლამის მიმავალ ქალს. ამას უნდა მაშინვე მიმხვდარიყო.

7. უკუთქმითი ნაწილაკები შემასმენელთან იხმარება. ისინი განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებენ წინადადებას და გარკვეული კანონზომიერებით გამოიყენებიან. უარყოფითი ნაწილაკების ერთმანეთში აღრევა წინადადებას საგრძნობლად უცვლის ელფერს. მაგ.:

ა) არ ნაწილაკი I და II სერიის ფორმებთან გამოხატავს კატეგორიულ უარყოფას (არ აშენებს, არ ააშენა). მაგ.:

ისტორიაში დარჩა იუდა!
დღესაც აქ არის, არ გაიგუდა... (ნიკო გომელაური).

III სერიის ფორმებთან **არ** ნაწილაკი ნეიტრალურ ფაქტზე მიუთითებს (არ აუშენებია). გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება აღინიშნებოდეს მუქარაც:

აბა, არ გაუკეთებია!

არ ნაწილაკი კატეგორიულ უარყოფას არ გამოხატავს არც მაშინ, როცა იხმარება იმ ზმნებთან, რომლებიც ვერ იგუებენ **ვერ** ნაწილაკს:

არ მწყურია, არ შემიძლია, არ მესმის, არა მაქვს, არა მყავს, არ მაბადია, არ მემღერება...

ე. წ. ინფინიტურ კონსტრუქციებში **არ** ნაწილაკი შეიძლება დაერთოს ორივე ზმნას – დამხმარესაც და ძირითადსაც:

არ შეგვიძლია **არ** აღვნიშნოთ, **არ** შეეძლო **არ** ეოქვა.

არ განცვიფრებითი ნაწილაკიცაა (უცხოსავით **არ** ჩაგვიარა?!). მას შეიძლება ჰქონდეს დადასტურებითი ფუნქციაც:

მე რომ **არ** დამენახა, თვითონ ვერც შემამჩნევდა. აგერ **არ** მოდის?!

ბ) ვერ ნაწილაკი გამოხატავს შეუძლებლობას, გვხვდება სამივე სერიის ფორმებთან თხრობითსა და კავშირებით კილოებში (ვერ აშენებს, ვერ აშენებდეს...).

ვერ არ გამოიყენება გრძნობა-აღქმის, მყოფობის, მქონებლობისა და ზოგი სხვა ფუნქციის გამომხატველ ზმნებთან: სწყურია, სცივა, უყვარს, უნდა, ეეჭვება, არის, აქვს, ჰყავს, წერია, ასხია, აბადია, გააჩნია, არის, აქვს (**მაგრამ**: ისე ვერ არის, როგორც საჭიროა; კარგად ვერა აქვს საქმე...)[328].

ზოგ ზმნასთან გამოიყენება **არ** და **ვერ** ნაწილაკების სრული სახე: **არა** და **ვერა**. ასეთ ზმნებს არ მოეპოვებათ ზმნისწინი ან ხმოვანი თავსართები (გვარის, ქცევის, სიტუაციის ნიშნები):

არა მაქვს, არა მყავს, არა წუხს, ვერა ჩივის.

გ) ნუ ნაწილაკი გამოხატავს თხოვნით აკრძალვას და ძირითადად იხმარება აწმყოსა და მყოფადის ფორმებთან. მაგ.:

ნუ დაიფიცებ სხვის დედას და
ნურც სხვის ომში ნუ იომებ,
რადგანაც თავი
იმთავითვე წაგებული გაქვს!...
(რეზო ამაშუკელი, „მამლუქების სასაფლაო“).

„ნუ იხმარება შედეგობითის (თურმეობითის) ფორმებთანაც მუქარის მოდალური ფუნქციის გამოხატვისას: (აბა, ნუ გაუკეთებია!). ამ უკანასკნელ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება **არ** ნაწილაკს: აბა, არ გაუკეთებია!)“[329].

ნუ, როგორც წესი, იხმარება ბრძანებითი კილოს ზმნებთან თხოვნითი აკრძალვის გამოსახატავად. იგი იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს თხრობითი კილოს ფორმებთან. მაგ.:

თუ არ უნდოდა, ნუ დაწერდა.

---

[328] ს უ რ ა ბ ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების სტილური თავისებურებანი, ჟურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1970, № 2, გვ. 42.

[329] ბ ე ს ა რ ი ო ნ ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში, ქსკს, წიგნი VI, გვ. 140.

8. უარყოფითი **არ(არა)** ნაწილაკი სიტყვასთან შერწყმულიად იწერება, თუ იგი მაწარმოებლის (აფიქსის) ფუნქციას ასრულებს. იგი დაერთვის სახელებს, სახელზმნებს, ზმნიზედებს. მაგ.:

არსებითსა და ზედსართავს დაერთვის მხოლოდ **არა**: არათითი, არარეალობა, არათანაბარი, არადრეკადი...

საწყისს დაერთვის მხოლოდ **არ**: არდავიწყება, არგათენება, არცოდვა. თუმცა პოეზიაში შეიძლება სხვა ფორმაც შეგვხვდეს. მაგ.:

> **ვერკვლის** ციხე ვარ მგლისფერი,
> ამოსიდული დიდგორსა,
> შვიდპირად მაკრავს ღრუბელი,
> გველი მილოკავს ლიბოსა.
> ვერ იზამს წუთისოფელი,
> ფეხებზე დამიკიდოსა (ტარიელ ხარხელაური).

მიმღეობასა და ზმნიზედაში ჭარბობს **არა**-თი ნაწარმოები ფორმები:

> არარეალობა, არაბუნებრივი, არადამაჯერებელი, არაერთგზის (**მაგრამ:** არა ერთგზის და ორგზის), არაერთხელ (**მაგრამ:** არა ერთხელ და ორჯერ). **მაგრამ:** არდავიწყება, არგათენება, არნახული.

შეიცვალა ზოგი სიტყვის დაწერილობა. მაგ.,

სწორია: არაუადრეს, არაუგვიანეს, არაუმეტეს.

და არა: არა უადრეს, არა უგვიანეს, არა უმეტეს (იხ. მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის).

უარყოფითი ნაწილაკით ნაწარმოები უარყოფითი ნაცვალსახელი შეიძლება გაითიშოს, თუ იგი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი:

> არა იცის რა = არარა (არაფერი) იცის; ვერა გაიგო რა = ვერარა (ვერაფერი) გაიგო; ნურა გენაღვლება რა = ნურარა (ნურაფერი) გენაღვლება.
>
> **შენიშვნა:** არარა, ვერარა, ნურარა და მისთ. ნაცვალსახელებს არქაული იერი აქვთ.

9. მიგებითი ნაწილაკი გამოიყენება დასმული კითხვის პასუხად და ადასტურებს ან უარყოფს მას.

მიგებითი ნაწილაკი ორგვარია: დადასტურებითი და უარყოფითი.

დადასტურებითია: **დიახ** (გამოხატავს ზრდილობიან პასუხს), **ჰო** (ჰოდე) და **კი** (იხმარება შინაურ საუბარში). ამავე ფუნქციით გამოიყენება: **რასაკვირველია, რა თქმა უნდა, როგორ არა, რატომ არა, რატომ, სწორედ, აბა რა, კარგი, კარგი და პატიოსანი, კეთილი და პატიოსანი, მაშ, მაშ არა და, არის.**

უარყოფითი მიგებითი ნაწილაკებია: **არა** და **ვერა.**

მტკიცებისა და უარყოფისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად მიგებითი ნაწილაკი ზოგჯერ გამეორებულია:

ჰო, ჰო, მომაგონდა.

თუ მიგებითი ნაწილაკი ძლიერ გრძნობას გადმოსცემს, მის შემდეგ ძახილის ნიშანი დაისმის:

არა და არა! შენს ნათელ სურათს
ვერ შემოვაელებ დამისფერ ჩარჩოს.
(იოსებ გრიშაშვილი).

დასახელებულ წინადადებაში ავტორს შეეძლო გამოეყენებინა მძიმე, ძახილის ნიშანი კი მხოლოდ წინადადების ბოლოს დაესვა. მაგრამ თუ დიდი გრძნობით წარმოთქმული მიგებითი ნაწილაკი დიალოგში ცალკეა, მის შემდეგ ძახილის ნიშნის დასმა სავალდებულოა. მაგ.:

– დამპატიჟებ?
– როგორ არა!

მიგებითი ნაწილაკის განმეორებისას ძახილის ნიშანი შეიძლება დაისვას თითოეული ნაწილაკის შემდეგაც:

– როგორ უნდა გაძლო
– თუნდაც, – უალაჰნოდ?

– გაძლებ?
– ვერა!
– ვერა!

სხვას რამეთუ ყველას
შენი გიჯობს შენა

ღელე
მაცინცველა!.. (მუხრანი).

ძახილის ნიშანი დაისმის მაშინაც, როდესაც მიგებითი ნაწილაკი წინადადების ბოლოსაა:

ამას ვერ შევაწევ, ვერა!
არ დალევს, არა!

თუ კითხვასთან ერთად გამოხატულია ძლიერი გრძნობა, მიგებითი ნაწილაკის შემდეგ კითხვისა და ძახილის ნიშანი დაისმის:

– მოდიხარ?
– სად უნდა წამოვიდე, ყმაწვილო?
– არა?! (დავით კლდიაშვილი).

მიგებითი ნაწილაკი შეიძლება გაარსებითდეს და წინადადების ნებისმიერი წევრის ფუნქცია შეასრულოს. ასეთ შემთხვევაში იგი წინადადების წევრებისაგან სასვენი ნიშნებით არ გამოიყოფა:

არც „ჰოს“ ამბობს, არც „არას“, შარადაა ფარული...

10. -მეთქი, -თქო და **-ო** სიტყვასიტყვითი (სხვათა სიტყვის) ნაწილაკები გამოიყენება სხვისი ნათქვამის გადმოსაცემად.

ა) -მეთქი და **-თქო** შეაბამისი სიტყვისაგან დეფისით გამოიყოფა, **-ო** კი შერწყმულად იწერება.

-მეთქი გამოიყენება მაშინ, როდესაც მხოლოობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი პირველი პირი გადმოგვცემს თავის ნათქვამს ან განაზრახ-ნაფიქრალს. მაგ.:

პირდაპირ განვუცხადე: ყველა სულგაყიდული საქართველოსთან ბრძოლას ილიასთან ბრძოლით იწყებს-მეთქი. ჩვენი ცის ფერს ხომ მაინც ვერ შეცვლიან-მეთქი, – გავიფიქრე.

-თქო გამოიყენება პირველი პირის მიერ დანაბარებ სიტყვასთან, რომელიც მეორე პირმა მესამეს უნდა გადასცეს:

გადი და უთხარი: ამ ოთახში ვიღაც დიდ კაცს სძინავს-**თქო** (მიხეილ ჯავახიშვილი).
გადაეცი: პრასი არ გვინდა, პრასი გვაქვს-**თქო**.

-თქო იხმარება მაშინაც, როდესაც პირველი პირი მეორეს სთხოვს, რამე უთხრას მასვე, ე. ი. პირველ პირს:

> მითხარი, ეს აღარ განმეორდება-**თქო**.
> შემომფიცე: ერთ წელზე მეტხანს არ დავრჩები უცხოეთში და აუცილებლად დავბრუნდები-**თქო**.

-ო გამოიყენება მეორე და მესამე პირის ნათქვამის გადმოსაცემად. მაგ.:

> შენ მაშინ გამაფრთხილე: ეს დღე ბევრჯერ გაგახსენდებაო.
> ივანემ იკივლა, არიქა, ბატონო, თვალები დახუჭეო.
> (აკაკი).

-ო ხშირად იხმარება ანდაზებშიც, რადგან იგულისხმება: ნათქვამია, ამბობენ და მისთ. მაგ.:

> დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შეჭამსო.
> ჭირს ნუ დაუწვები, უფრო დაგაწვებაო.

მრავლობით რიცხვში იგივე ნაწილაკებია გამოყენებული, რაც მხოლობითში. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს პირველი პირი, რომლის ნათქვამსაც დაერთვის **-ო** ნაწილაკი:

> შევუთვალეთ: ცოტა შენ დათმე, ცოტას ჩვენ დავთმობთო.
> საქვეყნოდ განვუცხადეთ: დრო მოვა და ყველაფერს გაზღვევინებთო.

რომ-კავშირიან ირიბ ნათქვამს სიტყვასიტყვითი ნაწილაკი არ უნდა დავურთოთ. მაგ., **-ო** ზედმეტია შემდეგ წინადადებაში:

> იმ დროს მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ ჭკუა და სიკარგე როზგის ნაყოფიაო.

ბ) სხვათა სიტყვის ნაწილაკებს სხვადასხვა ფუნქცია აქვთ, თუმცა ხშირად ხდება მათი აღრევა (განსაკუთრებით – ბოლო პერიოდში). მაგ.:

> მე მადლი მოვახსენე და სიცილით ვუთხარი: დღეს კიდევ გადავრჩი-თქო.

უნდა იყოს: გადავრჩი-მეთქი.

გავიფიქრე: ხლვას გადავურჩი და მდინარე მახრჩობსო.

უნდა იყოს: მახრჩობს-მეთქი.

ასე გადაეცი: თქვენთვის არც მოსელა მიკითხავს და არც წასვლას გკითხავთო.

უნდა იყოს: გკითხავთ-თქო.

გ) წინადადებაში ნაწილაკიანი სიტყვის ადგილი და რაოდენობა გარკვეულწილად განსაზღვრულია. მარტივ წინადადებაში სხვათა სიტყვის ნაწილაკი ბოლოში დაისმის. წინადადების ბოლოს დასმული ნაწილაკიანი სიტყვა უფრო ხშირად ზმნაა, თუმცა შეიძლება სხვა სიტყვაც იყოს:

იესომ ბრძანა: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არგაკითხული, მე ვიყავი**ო** (ილია).

მერე მიუბრუნდა ჩემს მასწავლებელს და უთხრა: განსაკუთრებული ყურადღება მიაქციე ამ ყმაწვილსო.
(აკაკი).

ნაწილაკიანი სიტყვის სხვა ადგილას დასმა შესაძლებლადაა მიჩნეული მხოლოდ მაშინ, თუ იგი ზმნაა (ნორმები, გვ. 167). მაგ.:

მეფემან ბრძანა: **ვნახეო** მიზეზი ლხინთა ლევისა.
(შოთა რუსთაველი).

ამ სტილურ ხერხს განსაკუთრებით ხშირად იყენებს კონსტანტინე გამსახურდია, რაც მის პროზას განუმეორებელ ხიბლს ანიჭებს:

ფხოვის არწივებისა და ჯიხვებისათვის ვინ გაჭედა**ო** ხუნდები?
შენ მაგივრად მე შემეყაროსო ჟამი.
ასე ეგონა: იქ შევქმნი**ო** ახალ ცხოვრებას.

პოეზიაში გვხვდება ამ წესიდან გადახვევის შემთხვევებიც:

სასაცილოა სასაცილო სასაცილოზე...
მაგრამ **რად**-მეთქი გეცინება სულ სხვა კილოზე?
(იზო ბაქრაძე).

ნორმის მიხედვით ნაწილაკიან წევრთა რაოდენობა განისაზღვრება „სტილისტიკური საჭიროების მიხედვით“ (ნორმები, გვ.

167). ჩვეულებრივ, სხვათა სიტყვის ნაწილაკს ხმარობენ მხოლოდ ერთხელ (ისიც სხვისი ნათქვამის ბოლოს), თუ იგი არ წარმოადგენს გარკვეულ სტილურ ხერხს პერსონაჟის დასახასიათებლად.

11. ნაწილაკიანი სხვისი ნათქვამი უბრჭყალებოდ იწერება:

შოთამ თქვა: ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობიაო.

შეადარეთ: შოთამ თქვა: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“

ო-ნაწილაკიანი სხვათა სიტყვა ბრჭყალებში ჩაისმის, თუ ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ნაწილაკითურთ ის სხვისი ნათქვამია (ე. ი. ციტატაა):

ქართული ანდაზაა: „გონიერი კაცი ქვეყანას ამშვენებს, უგუნური ქვეყანას ამძიმებსო“.

12. ცალკე მდგომ ნაწილაკთა უმეტესობა **ზმნური წარმოშობისაა**. ასეთებია: **დაე, ვინძლო, ეგებ, თითქოს, თითქმის, იქნებ**. ისინი ხშირად გამოიყენება მოდალური შინაარსის გადმოსაცემად კავშირებითი კილოს ფორმებთან. მაგ.:

ვინძლო მივუსწროთ სანახაობას. ეცადე, **ეგებ ეშველოს**.

ზმნური წარმოშობის ნაწილაკების გამოყენებისას დაშვებული შეცდომა ძირითადად ორი სახისაა: **ა)** კავშირებითის ნაცვლად გამოყენებულია თხრობითი კილოს ფორმა და **ბ)** არასწორადაა შერჩეული კავშირებითი კილოს მწკრივებიდან რომელიმე.

დაიმახსოვრეთ:

ა) თითქოს ნაწილაკი კარგად ეგუება აწმყოს კავშირებითსა და III კავშირებითს, უფრო კი – ამ უკანასკნელს. ამიტომ უმართებულოა აწმყოს მწკრივის (ე. ი. თხრობითი კილოს ფორმის) გამოყენება აწმყოს კავშირებითის ნაცვლად.

სწორია: თითქოს არავის **ამჩნევდეს**, თავი ისე უჭირავს.

და არა: თითქოს არავის არ ამჩნევს, თავი ისე უჭირავს.

მაგრამ ისეთ წინადადებაში, სადაც აწმყო განუსაზღვრელობითი დროის ფუნქციითაა ნახმარი, იგი არ უნდა შეიცვალოს კავშირებითი კილოს ფორმით.

სწორია: მას მერე მთვარე **თითქოს** სიკეთეს **ემსახურება,** ნამდვილად კი დარჩა ძველი პატრონის მონად.

ასევე უმართებულოა წყვეტილისა და II თურმეობითის მწკრივების ფორმების გამოყენება III კავშირებითის ნაცვლად.

სწორია: ისე საყვედურით შემომხედა, თითქოს ჭექა-ქუხილიც ჩემი ბრალი **ყოფილიყოს** [და არა: ჩემი ბრალი იყო/ბრალი ყოფილიყო].
ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, თითქოს ქვეყანა **დაცარიელებულიყოს** [და არა: დაცარიელდა, დაცარიელებულიყო].

თუკი **თითქოს – II თურმეობითი** უმართებულო კომბინაციაა, მართებულია **თითქოს უნდა – II თურმეობითი**[330]. მაგ.:

ისე გადაიხარა გემის კიჩოზე, **თითქოს უნდა გაფრენილიყო.**

თანამედროვე ქართულში III კავშირებითის შინაარსი ხშირად გადმოცემულია სხვათა სიტყვის **ო** ნაწილაკის დართვით თხრობითი კილოს ზმნაზე:

ისე მიდის, **თითქოს** მიფრინავსო.
თითქოს არ ესმისო, ისეთი სახე მიიღო.

ზოგ ნაწილაკს საბოლოდ არ დაუკარგავს დამოუკიდებელი მნიშვნელობა. მაგალითად, ქვემოთ ჩამოთვლილ წინადადებებში **უნდა:**

ა) ზმნაა: სწრაფად დაბრუნება **უნდა;**
ბ) ნაწილაკია: სწრაფად **უნდა** დაბრუნდეს.

უნდა ნაწილაკი თანამედროვე ქართულში სამ მწკრივთან იხმარება. ესენია: აწმყოს კავშირებითი, II კავშირებითი და II თურმეობითი (III კავშირებითის ფუნქციით).

---

[330] ა ს მ ა თ პ ა პ ი ძ ე, მესამე კავშირებითი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, ქსკს, წიგნი II, გვ. 68.

უნდა-ნაწილაკიანი ფორმები გამოხატავენ კატეგორიულობის, ვალდებულების, აუცილებლობის მოდალობას.

აწმყოს კავშირებითის ფორმა უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როცა უნდა აღინიშნოს განუსაზღვრელ დროში შესასრულებელი მოქმედება, განგრძობითი, მრავალგზისი შინაარსისა[331].

> კი არ უნდა ვწერდე, ყვავილებით **უნდა ვწნავდე**, ჩემი სოფლის ყვავილებით **უნდა ვქსოვდე** ამ წიგნის კაბადონებს (გიორგი ლეონიძე).

II კავშირებითის ფორმა უნდა ვიხმაროთ მომავალ დროში შესასრულებელი მოქმედების აღსანიშნავად, თუ ეს მოქმედება აწმყოს კავშირებითის ფორმასთან შედარებით ნაკლებ კატეგორიულია:

> მე უნდა ვხატო (დავხატო).

შეადარეთ: მე უნდა ვხატავდე.

II თურმეობითს დაკისრებული აქვს III კავშირებითის ფუნქცია. მაგ.:

> ქალს ფანჯარაში **უნდა გამოედგა** ყვავილების ლარნაკი: ეს ნიშანი იყო.

როგორც აღნიშნავენ, **უნდა** ნაწილაკი „იცდენს“ III კავშირებითის ფორმებს[332]. „უნდა – III კავშირებითი თანამედროვე ქართულისათვის ზოგიერთი მწერლის სტილური თავისებურება თუა (მაგალითად ნიკო ლორთქიფანიძისა) და დამახასიათებელია აგრეთვე რაჭული დიალექტისათვის“[333]. მაგ.:

> ისიც თან უნდა გაგეყოლებინოს.

უნდა იყოს: ისიც თან **უნდა გაგეყოლებინა**.

---

[331] ა ს მ ა თ პ ა პ ი ძ ე, აწმყოს კავშირებითის ფუნქციებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი, ქსკს, წიგნი VI, გვ. 101.

[332] შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, შემასმენლისა და ნაწილაკის სინტაქსური ურთიერთობა ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, № 3, თბ., 1970.

[333] ა ს მ ა თ პ ა პ ი ძ ე, მესამე კავშირებითი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, ქსკს, წიგნი II, გვ. 68.

13. მართლწერის წესები უკავშირდება იმ ვითარებით ზმნიზედებს, რომელთა ლექსიკურ მნიშვნელობაში მოდალური ნიუანსი ჭარბობს და რომლებიც ხშირი ხმარების შედეგად ნაწილაკებად ქცეულა. ესენია: **ალბათ, აგრეთვე, უბრალოდ**... ეს ნაწილაკები გარკვეულ პოზიციაში (ძირითადი განმსაზღვრელია სიტყვათგანლაგება და ინტონაცია) ჩართულის ფუნქციას ასრულებენ.

ა) **ალბათ** ზმნიზედა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში თანდათან იცლება თავდაპირველი ლექსიკური მნიშვნელობისაგან (რასაკვირველია, უსათუოდ), ინტონაციურად ეკედლება მისამართ სიტყვას და ნაწილაკის როლში გამოდის[334].

ალბათ ნაწილაკია, როცა უშუალო მეზობლობაშია შემასმენელთან ან მიმღეობით გამოხატულ წევრთან, ამიტომ მძიმეებით არ უნდა გამოიყოს[335]:

> რა დამავიწყებს ნატვრებს,
> რვა წლიდან სევდის მომგვრელს...
> **ალბათ** ამიტომ ამტვრევს,
> ჩემი ლექსი თქვენს დოგმებს... (ნიკო გომელაური).

ზემოაღნიშნული ეხება ფრაზეოლოგიზმებსაც:

> **ალბათ** ანგელოზები დაუფრთხეს.
> ამასაც **ალბათ** თვალებში აქვს ჭკუა.

ალბათ ნაწილაკმა შეიძლება განკერძოებული წევრის **კავშირის** ფუნქცია შეასრულოს:

> გვერდით მდომი, **ალბათ მეზობელი,** ფეხზე წამოიჭრა.
> ქალს სახეზე ალმური აუვიდა, **ალბათ მორცხვობის გამო.**

ალბათ ჩართულად იქცევა, თუ შემასმენლისაგან ძალზე დაშორებულია[336]. მაგ.:

---

[334] ნ ე ლ ი ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ჩართული, ქსკს, წიგნი VIII, გვ. 258.

[335] იქვე, გვ. 258.

[336] ნ ე ლ ი ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი.

იწყება გრიგოლის მრისხანე ნავარდი ცეცხლმოდებულ მთებში და, **ალბათ,** ქვეყნად ძალიან ცოტა ადამიანი თუ აღმოჩნდება ისეთი, რომელსაც გრიგოლივით მარჯვნივ და მარცხნივ ექნიოს სმალი (ელგუჯა მაღრაძე).

ბ) აგრეთვე ნაწილაკი შემასმენელთან უშუალო მეზობლობაში ასრულებს **ც(ა)** და **კიდევ** ნაწილაკების როლს. მაგ.:

დავათვალიერეთ **აგრეთვე** გელათი = დავათვალიერეთ გელათიც. სტუდენტს მოეთხოვება **აგრეთვე** დამხმარე ლიტერატურის ცოდნა.

აგრეთვე ნაწილაკი ზოგჯერ **და** კავშირის ფუნქციას ასრულებს[337].

ყველა უმალ შეიკრიბა: მეზობლები, მეგობრები, **აგრეთვე** ნათესავები.

როცა **აგრეთვე** ნაწილაკით დაკავშირებული წევრი მრავალშემადგენლიანია, **აგრეთვე** განკერძოვდება და ჩართულის ფუნქციას შეასრულებს[338].

დეპუტატზე წარმოდგენას გვიქმნის მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, **აგრეთვე,** მისი უშუალო მონაწილეობით შემუშავებული ახალი პროგრამა.

გ) უბრალოდ ზმნიზედა ხშირად იხმარება ნაწილაკის ფუნქციით. სხვა მოდალური ნაწილაკებისაგან განსხვავებით, ის ნებისმიერ პოზიციაში ინტონაციურად განკერძოვდება და ჩართულის ფუნქციას ასრულებს[339]:

გზის გაგრძელებას, უბრალოდ, აზრი აღარ ჰქონდა.

როცა **უბრალოდ** ზმნიზედის მნიშვნელობითაა (= ჩვეულებრივად, სადად, მარტივად), იგი მძიმეებით არ გამოიყოფა:

ყოველთვის უბრალოდ იცვამდა.

---

337 იქვე.

338 ნ ე ლ ი ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული ნაშრომი.

339 იქვე

უბრალოდ ზმნიზედის ფართოდ გავრცელება ნაწილაკის ფუნქციით, რასაც ხელი შეუწყო რუსული ენის გავლენამ (გავიხსენოთ რუსული „просто“ – ქართულ სასაუბრო ენაში ჟარგონულად ნახმარი ბარბარიზმი), არასასურველია[340].

14. ნაწილაკს, რომელიც წინადადებაში ასრულებს კავშირის ფუნქციას, სასვენი ნიშნებიც ამის შესაბამისად დაესმის (იხ. კავშირის მართლწერა).

ა) მაერთებელ კავშირებად გვხვდება წყვილად გამოყენებული გაძლიერებითი ნაწილაკები: ც-ც, კიდეც-კიდეც.

ჩვეულებრივ, კავშირებად იხმარება **ც**-ნაწილაკიანი უკუთქმითი ნაწილაკები: არც-არც, ვერც-ვერც, ნურც-ნურც... მაგ.:

> დარეჯანმა შემოხედა, დაინახა, რომ ლუარსაბი ისევ ის ლუარსაბია, არც გიჟი, არც ჭკვიანი, არც ფლაჟი, არც ჩლავი (ილია).

ც ნაწილაკი გვხვდება რთული მაერთებელი კავშირების შემადგენლობაშიც: **არამარტო (არამხოლოდ) – არამედ ...ც, არათუ – არამედ ...ც**.

ბ) ცალად გამოყენებული **გინდ** და **თუნდ** ნაწილაკები მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციას ასრულებენ, წყვილად გამოყენებული – მაერთებელი (კერძოდ მაცალკევებელი) კავშირისას.

გ) ვითომ // ვითომც წარმოშობით მაქვემდებარებელი კავშირია და ამ დანიშნულებით დღესაც გამოიყენება კავშირებითის ფორმებთან, თუმცა – იშვიათად. მაგ.:

> გვიმტკიცებს, ვითომ ეს მას არ გაეგონოს.
> ისე გარბოდა, ვითომ ათი წლის ყმაწვილი ყოფილიყოს.

ნაწილაკის ფუნქციით **ვითომ** გამოხატავს:

- დაეჭვებას: **ვითომ** დაწყნარდა. **ვითომ** დაგვიჯერებს?
- გაკვირვებას, რომელიც თან ახლავს კითხვას: **ვითომ** მაგით ვინ უნდა შეეშინებინა?

დ) ნაწილაკი **ვიდრე** იხმარება შესიტყვებებში **მდე**-თანდებულიან სახელთან მისი მნიშვნელობის გასაძლიერებლად. მაგ.:

---

[340] ქსკს, წიგნი VII, გვ. 334.

ახალგაზრდობიდან მოყოლებული ვიდრე
მოხუცებულობამდე...

ამ საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე ჩვენს დრომდე...

მერე კვლავ გეტკინა
ვეღარ იდიადე,
ვერვინ მოგარჩინა
ვიდრე ილიამდე! (გელა გელაშვილი).

მაგრამ იგივე სიტყვა მაერთებელი კავშირია, თუ „იხმარება შედარებისა და შეპირისპირების შემთხვევაში“[341]:

და ვხარობ, რომ ვარ მე პროტესტანტი,
ვიდრე აღსავსე და კმაყოფილი (იოსებ გრიშაშვილი).

დღეს შენი აწმყო უფრო ბრწყინვალებს,
ვიდრე წარსული ათასწლეული (გიორგი ლეონიძე).

იგივე ნაწილაკი მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციითაც იხმარება (აღნიშნავს ზღვარს დროში).

ვიდრე ჭკვიანი მოიფიქრებს, გიჟი მთას გადაივლის.
(ანდაზა).

ე) თუ ნაწილაკია:

ის **თუ** გვიშველის. ხუთი წუთის საქალი **თუ** იქნება.
დათმობს **თუ**?

მაჯგუფებელი კავშირია (იგივეა, რაც **და**):

და სადაც მივიდა და სადაც შეჩერდა,
ქართლთან **თუ** კახეთთან მსგავსებას ეძებდა.
(იოსებ ნონეშვილი).

მაცალკევებელი კავშირია:

დღეა ნათელი **თუ** ღამე ბნელი, — ერთია ჩემთვის.
(გალაკტიონი).

მაქვემდებარებელი კავშირია:

გაგიჟება ჯობს, **თუ** გათავდა ლექსის მადანი.
(პაოლო იაშვილი).

---

[341] იხ. ქეგლ, ტ. IV, გვ. 62.

15. ნაწილაკი უშუალო კავშირშია წინადადების წევრთან. ამიტომ სასვენი ნიშნებით არ გამოიყოფა (გარდა მიგებითი ნაწილაკებისა). მაგრამ, როცა მას დაკისრებული აქვს რაიმე გრძნობის გამოხატვა და ინტონაციურადაც განკერძოებულია, იგი შორისდებულის ფუნქციას ასრულებს. სასვენი ნიშნებიც ამის შესაბამისად დაესმის. მაგ.:

ა) ინტონაციურად არ არის განკერძოებული, ამიტომ მძიმეებით არ გამოიყოფა ნატვრის (**ნეტავ // ნეტავი, ნეტამც**), ასევე შიშის (**ვაითუ**) გამომხატველი ნაწილაკები:

ნეტავ სიზმარში მენახე და აღარ გამთენებოდა!
(იზო ბაქრაძე).

ნეტამც არ დაგძინებოდა, ჩიტო ნიბლიავ, ნარზედა...
(ხალხური).

ვაითუ ფულების გამო ბოლო ჟამს გაიბეჭოსა!
(ვაჟა-ფშაველა).

ბ) თურმე, უნახაობის ნაწილაკი, არ განკერძოვდება (თუნდაც დისტანციურ პოზიციაში იყოს ზმნა-შემასმენელთან), ამიტომ მისი მძიმეებით გამოყოფა შეცდომაა. მართებულია:

ამ სოფელში ციხე-სიმაგრე **თურმე** თამარ მეფემ ააშენა.

მძიმეები ზედმეტია:

ეს ამბავი, თურმე, ყველაზე ადრე ერთმა მეზობელმა გაიგო.

სასაუბრო ენაში იხმარება ჩართული გამოთქმა: „თურმე, ნუ იტყვი(თ)“ და „თურმე, ნუ ბრძანებ(თ)“, რომელიც მძიმეებით გამოიყოფა:

თურმე, ნუ იტყვით, ამ სასაცილო ლუარსაბს.... იმ დროს ის ბუზები უთვლია! (ილია).

თურმე, ნუ ბრძანებ, ის გოგო დანიშნული არ ყოფილა?!

თურმე ნაწილაკის მართლწერასთან დაკავშირებულია სტილისტიკური ხასიათის საკითხებიც. **თურმე** არ უნდა გამოვიყენოთ უნახავი აქტის მწკრივების (თურმეობითების) ფორმებთან, რომლებიც ამ ნაწილაკის გარეშეც აღნიშნავენ უნახავ მოქმედებას.

სწორია: შენ სამკურნალო ბალახებივით
მოგიკრეფია სიტყვა ქართული (გიორგი ლეონიძე).

აცადმყოფობა ეგონათ, ბიჭო,
ლექსები, ტანზე გამონაყარი (ნიკო სამადაშვილი).

და არა: თურმე მოგიკრებია, თურმე ეგონათ.
წინადადებაში **თურმე** ნაწილაკის ადგილი თავისუფალია:

წაეკითხათ, ვერა ეგრძნოთ, **თურმე** იყვნენ ვიროსანნი.
(ხალხური).

გ) მძიმე არ დაისმის მოწოდება-წაქეზების ან დათმობის გამომხატველ ზმნური წარმოშობის ნაწილაკებთან, როგორიცაა **დაე** და **მოდი**. ზოგიერთი გრამატიკოსის აზრით, **დაე** (⇐დაეხსენ) შორისდებულია, ხოლო **მოდი** უმეტესწილად ჩართულად გვევლინება, ამიტომ წინადადებაში სასვენი ნიშნებით უნდა გამოიყოს. მაგრამ დაე ნაწილაკი, შორისდებულისგან განსხვავებით, არ არის რაიმე გრძნობით, რაიმე ემოციით გამოწვეული წამოძახილი და, რაც მთავარია, არ არის ინტონაციურად განკერძოებული. „ეს ნაწილაკი შინაარსობრივად უკავშირდება შემასმენელს, აძლიერებს მის ლექსიკურ მნიშვნელობას და მძიმით არ გამოიყოფა“ (ნიკანდრო ბასილაია, პუნქტუაცია, გვ. 190). მაგ.:

დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
(ნიკოლოზ ბარათაშვილი).

დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინია (ილია).

დაე სხვა გემები მორეკოს წყალმა,
გემუდარებით, იცინეთ, იცინეთ
როცა მე წავალ! (ირაკლი ჩარკვიანი).

დაე მუდამ იყოს მზე!

16. მოდი ნაწილაკთან არ დაისმის მძიმე შემდეგ წინადადებებში:

მოდი ვნახოთ ვენახი (ხალხური).

მოდი გადავქანდეთ ბავშვობაში,
ისევ ვითამაშოთ სახლობანა,
თორემ ეს დიდობა გამიჭირდა,
თავს რომ დამატეხა ქარბორბალა (ნანა აბესაძე).
მოდი და დასახლდი ჩემში სიმშვიდით,

სულში სისხლისდენა შემიწყვიტე (ნინო ხუროშვილი).

მაგრამ **მოდი** განკერძოვდება და მძიმეებით გამოიყოფა, როდესაც:

ა) საკმაოდ დაშორებულია შემასმენლისაგან. მაგ.:

> ეს საკითხი, **მოდი,** ჯგუფის ყველა წევრი რომ დაბრუნდება, მაშინ განვიხილოთ.
> ამ სასმისით კი, **მოდი,** ის დიდი ქართველები გავიხსენოთ, რომლებმაც მამული აქამდე მოიტანეს.

ბ) გამოხატავს თხოვნას, ვედრებას (სათანადო ინტონაციით), მძიმის დასმით ტექსტის ავტორი მიგვანიშნებს, რომ **მოდი** პაუზით გამოვყოთ. მაგ.:

> მოდი, დაუჯერე, რასაც უფროსები გირჩევენ: მათ შენთვის მხოლოდ კარგი უნდათ.
> მოდი, ამოიღე გულიდან ეგ საშინელი განრისხვა, თავს ნუ დაიღუპავ!
> მოდი, მოხშირდი, ჭაღარავ, წვერ-პირი მორთე თეთრადა.
> (ვაჟა-ფშაველა).

მოდი, გეძახი ათას წლის მერე... (გიორგი ლეონიძე).

17. შორისდებულის ფუნქციით გვხვდება ნაწილაკები: **აი, აჰა, ჰა, აბა,** თუმცა ხშირად სადავოა, როდის გამოხატავენ ისინი რაიმე გრძნობას და განკერძოვდებიან (ანუ სასვენი ნიშნებით გამოიყოფიან) და როდის ასრულებენ ნაწილაკის ფუნქციას.

როგორც ცნობილია, შორისდებული მოკლებულია სხვა სიტყვასთან კავშირს (მისი კვალიფიკაციის დადგენისას, მოუბრის გრძნობებისა თუ ნება-სურვილის გამოხატვასა და წარმოთქმის ინტონაციასთან ერთად, **სწორედ ეს სინტაქსური განკერძოებულობა უნდა იყოს ამოსავალი**). ნაწილაკისაგან განსხვავებით, ის მნიშვნელობას არ უცვლის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას. პირიქით, ზოგიერთი შორისდებულის კატეგორიას განსაზღვრავს წინადადება, რომელიც ახლავს შორისდებულს.

რა შემთხვევაში იძენენ შორისდებულის მნიშვნელობას ზემოთ ჩამოთვლილი ნაწილაკები? განვიხილოთ ისინი თანამიმდევრობით.

ა) აი, აჰა, ჰა ჩვენებითი ნაწილაკებია, როცა მიუთითებენ საგანზე ან მოვლენაზე, ამიტომ მძიმეებით არ გამოიყოფიან. მაგ.:

აი ია. აი შენი პატარა აკვანი...

აი სეირი, ჯერ არნახული (იოსებ გრიშაშვილი).

ჰა პირი და ჰა პურიო.
აჰა ივერის ნუგეშ-დიდება... პატარა კახი, მეფე ირაკლი!
(გრიგოლ ორბელიანი).

იგივე ნაწილაკები შორისდებულის ფუნქციას ასრულებენ და სასვენი ნიშნებით გამოიყოფიან, როცა გამოხატავენ რაიმე გრძნობას და მთელ წინადადებას მიემართებიან:

აი, მკვდარი არ ვყოფილიყავ, მე ვუჩვენებდი იმათ!..
(ილია).
დაისვამდი, მე ვიცი, მაგ ქეციან თავზე ბევრს კი მოძოვდნენ, **აი**! (ილია).
მე უფლის წინაშე აღთქმა მივეც, რომ დედობა გაგიწიო და, **აი,** დღეს მოვიდა ის დღე (ილია).

ხომ მშვიდობით ბრძანდებით კნიაზო? – შეჰყვირა უცებ სოფიომ. – **აი, აი, აი!** – ვთქვი თითქოს მეხდაცემულმა და გამოველ მეორე ოთახში, რომ აღარ გამეგონა სოფიოს მესამე მოკითხვა (ლავრენტი არდაზიანი).

და, **ჰა,** მთვარემაც ამოატანა! (აკაკი).

აჰა, ამოდის მხიარულად მზეც!

ბ) აბა ნაწილაკია, როცა გამოხატავს მოწოდება-წაქეზებას ან გაკვირვება-გაოცებას (სხვა მოსაზრებით, შორისდებულია):

აბა მომყევით. აბა დაიფიცე.
ოცი თუმანი აბა რა ფულია.
ეგრე იქნება, თორემ აბა საიდან გამოიცნო, რომ იქ ორმო არის? (ილია).

სალომე ჩამოსულა. – აბა სალომე?

მაგრამ იგივე ნაწილაკი შეიძლება ინტონაციურად განკერძოვდეს და შორიდებულის ფუნქცია შეასრულოს:

აბა! – ანიშნა თვალით იქ მყოფ სალდათებს და ერთ წამზე მათაც როზგები მოიტანეს.
(ალექსანდრე ყაზბეგი).

აბა, აბა! ეგეთები არ იყოს!

აბა ინტონაციურად გამოიყოფა მაშინაც, როცა გამოხატავს დასკვნას ან დასტურს:

აბა, მაგისთანა მისანია წიგნი (ილია).

გაიგე იმ საცოდავი გოგოს ამბავი? – აბა!
სანამ ძმა ჰყავდა, ვინ იყო მაგის დამჩაგვრელი?! – აბა!

18. სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული თვალსაზრისია გამოთქმული **მაშ** ნაწილაკთან დაკავშირებითაც. ზოგიერთი ავტორის აზრით, წინადადებაში **მაშ** ყოველთვის განკერძოვდება და, შესაბამისად, სასვენი ნიშნებით გამოიყოფა.

ჩვენი აზრით, **მაშ** სხვადასხვა სინტაქსურ პირობებში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს. იგი ნაწილაკია, როცა პაუზით არ არის გამოყოფილი, პაუზა კი განკერძოებული სიტყვების გამოყოფის ერთ-ერთი ძირითადი (თუმცა არასაკმარისი) საშუალებაა.

ქვემოთ დამოწმებულ მაგალითებში **მაშ** ნაწილაკი განკერძოებული სიტყვის ფუნქციას არ ასრულებს, ამიტომ მძიმეებით არ გამოიყოფა:

მაშ ვისია, თუ მაგისი არ არის? – გაიხმაურა მოსეს ხალხმა (ილია).
შენი გოშია ვარ, მაშ რა ვარ? (ილია).

თუ არც ყაყაჩოს ცეცხლია და არც ახალი იარა,
მაშ ეს ბებერი კრწანისი რა ძალამ ააბდღვრიალა?!
(ლადო ასათიანი).

მაშ მძიმით არ გამოიყოფა მაშინაც, როცა შედის მყარ გამოთქმაში „მაშ არა და“:

– რუსების მოგონილია განა ეგა?
– მაშ არა და შენი მაზლის – დავითისაა! (ილია).

– სულ ქვითკირის შენობა უნდა იყოს...
– მაშ არა და წნული იქნება.

მაგრამ **მაშ** სასვენი ნიშნებით გამოიყოფა, როცა გამოხატავს დასტურს, თანხმობას:

წამოხვალ ჩემთან ერთად? – მაშ.
ეა, თავადიშვილია, მაშ! (შიო არაგვისპირელი).

ბიჭებს მოვლა უნდა. – მაშ, მაშ! – ბევრმა არ იცის, როგორ მოეპყროს. – მაშ, არ იცის, თორემ, რომ იცოდეს, კარგია, მაშ! (ილია)

ამავე ნაწილაკმა შეიძლება გამოხატოს რაიმე გრძნობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი დამოუკიდებლადაა წარმოთქმული:

– ეგრე, ჩემო დარეჯან, ეგრე, გეთაყვანე! დედაკაცობაც ეგ არის და.

– **მაშ**?! – მიუგო ქებით თავგაზვიადებულმა ცოლმა. (ილია).

– სხვათა შორის, შენც მოგელიან ამ შაბათ-კვირას.

– მაშ! მეტი საქმე არა მაქვს!

§ 100. შორისდებული

შორისდებული არის ბგერა, ბგერათა ჯგუფი თუ განყენებული სიტყვა, რომელიც ადამიანის სულიერ განწყობილებას, ემოციებს ან ნება-სურვილს გამოხატავს:

ჰეი, ძმობილო, გახედე, რამდენი ყაყაჩო გაშლილა! (ლადო ასათიანი).

ო, საქართველოვ,
ალუბლისფერი ხარ საოცრება... (თინათინი).

მეტყველების ნაწილებში შორისდებული განცალკევებით დგას, რადგან არც დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვაა, არც დამხმარე. წინადადების წევრებთან მას მხოლოდ აზრობრივი კავშირი აქვს, და არა გრამატიკული.

შორისდებულის მნიშვნელობის გადმოსაცემად მთავარია ინტონაცია. მაგალითად, სხვადასხვა ტონით წარმოთქმულმა **ჰმ**-მ შეიძლება გამოხატოს: დაცინვა, ეჭვი, გაკვირვება, კმაყოფილება, სინანული, გაფრთხილება, ზიზღი, მრისხანება, წყენა, ტრაბახი, სევდა, სიხარული, საყვედური...

ცნობილია შორისდებულის ორი ძირითადი ჯგუფი, რომლებიც გამოხატაენ:

ა) ამა თუ იმ გრძნობას: სიხარულს, მწუხარებას.... (ესენი ე. წ. ემოციური შორისდებულებია). მაგ.: ახ, ოჰ, უჰ, ვაი, ერიჰა, ვაგლახ, ბეჩა, ვაშა, ვიშ, ბიჭოს, ბარაქალა, მახლას.

ბ) მოუბრის ნება-სურვილს: მოწოდებას, ბრძანებას, გაფრთხილებას, თხოვნას.... (ესენი ე. წ. იმპერატიული შორისდებულებია). მაგ.: სუ, არიქა, ჰა, ციც... ამ ჯგუფში აერთიანებენ იმ შორისდებულებსაც, რომლებიც ცხოველთა ან ფრინველთა მოსახმობად ან გასარეკად იხმარება. ესენია: აქშა, აცე, აცხა, აჩუ; ბელაჰ, ბული-ბული, ძიბა-ძიბა, წიპ, წიპ; ჯუჯუ, ჯუჯუ...

შორისდებულთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე უამრავი სიტყვა თუ ფრაზეოლოგიური ერთეული, რომლებიც გამოხატავენ ალერსს, მისალმება-გამოთხოვებას, მადლობას, დალოცვას, ლანძღვას, წყევლას, დაფიცებას, მობოდიშებას. მაგ.:

> დედაშვილობამ, ძმობამ, გენაცვალე, შემოგევლე, შენი ჭირიმე, ბოდიში, მაპატიე, უკაცრავად, გმადლობთ, ღმერთმა დაგწყევლოს, გამჩენმა ამოგაგდოს, შეგირცხვეს თავი, საღამო მშვიდობისა, ნახვამდის, ყოჩაღ, ბარაქალა, გეთაყვანე, ჰაი დედასა, ჰკა მაგას.

შორისდებულებს ფუნქციურად უახლოვდება ხმაბაძვითი სიტყვები, რომლებითაც გამოიხატება ცხოველების, ფრინველების, მწერების, უსულო საგნებისა თუ ბუნებრივი და ფიზიოლოგიური მოვლენების გამოცემული ხმა. მაგ.:

> ბზუ-ბზუ-ბზუ, ბუჰ, ჭახ, ჯახ, წკრ, ზუუუ, ყვიტ, ყვიტ, ყვიტ, ყიყლიყო, ხა, ხა, ხა...

ქართულში მტკიცედაა დამკვიდრებული უცხო ენებიდან შემოსული შორისდებულები; ალო (ინგლისური); აფერუმ, აფსუს, ახრუმალა, შაბაშ (სპარსული); ბარაქალა (არაბული); ბის (ლათინური); ბასტა, ბრავო (იტალიური); ჰაიდა (თურქული), ჰოპლა (ფრანგული), ჰაი, გიდი (თურქულ-სპარსული).

შორისდებული შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ერთი ხმოვნით (ა, ო...), რამდენიმე ხმოვნით (აა, ოი, აუ...), ბგერათა ჯგუფით (სუ, ოჰ, ჰერი...) და სიტყვით (ბიჭოს, ბოდიში, ძმობამ...).

ზოგი შორისდებული მხოლოდ თანხმოვნებს შეიცავს. მაგ.: ჰმ, ჰმმმ, ქსს, თსს, ნწ, ნტ, თფ...

„წერითი მეტყველება უძლურია სრულყოფილად გამოსახოს შორისდებულის ფონეტიკური მრავალფეროვნება. ამიტომ წერაში მისი ასოებით გამოსახულება მიახლოებითია“[342].

შორისდებული წინადადებაში განკერძოებით დგას და სხვა სიტყვებისაგან სასვენი ნიშნებით გამოიყოფა. სასვენი ნიშნების (მძიმის ან ძახილის ნიშნის) დასმა სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. კერძოდ: შორისდებული წინადადების თავშია დასმული თუ შუაში, დიდი გრძნობით წარმოითქმის თუ შესუსტებული ინტონაციით, ცალკეა თუ მეორდება.

ზოგჯერ შორისდებული დიალოგში ცალკე სიტყვის სახითაა წარმოდგენილი:

– პეტუშა გახსოვს?
– **იმე**!
– რა ბიჭი იყო!..
– აჰა! (მუხრანი).

ზოგი შორისდებული ერთმანეთის მიყოლებით მეორდება (განსაკუთრებით სიცილის გამომხატველი): ხა, ხა, ხა; ხი, ხი, ხი; ჰა, ჰა, ჰა; ჰო, ჰო, ჰო; იფ, იფ. მაგ.:

ხა, ხა, ხა! შვილი რომ ეყოლოს? (დავით კლდიაშვილი).

„გვხვდება ისეთი შორისდებულები, რომლებსაც თავიანთ აზრობრივ და სტრუქტურულ თავისებურებათა გამო გამეორება არ შეუძლიათ. ასეთებია: სს! იარ! სდექ! ბასტა! და სხვ.“[343]

წინადადების თავში დასმული შორისდებული განსაკუთრებით დიდი გრძნობით წარმოითქმის:

ახ! მეც მინდოდა, რომ მქონოდა სახლი და ფუძე.
(ტიციან ტაბიძე).

ქაქუც! – ავაჰმე! –
აფსუს! – სადა ხარ!..
ფხაა საჭირო ჩოლოყაათი! (მუხრან მაჭავარიანი).

ეჰ! სად არიან უძლეველი ურჩი მხედრები?

---

[342] ო თ ა რ გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში (ლექსიკონითურთ), თბ., 1979, გვ. 31.

[343] ო თ ა რ გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 31.

ო, რომ შემეძლოს, საქართველოს ავამხედრებდი.
(თინათინი).

შორისდებული ხშირად უძღვის მიმართვას და აძლიერებს მის ფორმას. მაგ.:

ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა (ლადო ასათიანი).
ჰაი, გიდი! –
ჩემო კარგო ქვეყანავ! –
ცნობის ღირსიც აღარა ხან შენ განა?!
(მუხრანი).

შორისდებულის მართლწერა

შორისდებულის მართლწერასთან დაკავშირებით უნდა დაიმახსოვროთ შემდეგი:

1. ერთ სიტყვად (უდეფისოდ) იწერება:

აბაიმე, დილილმე, ვაგლახმე, ვაიმე; იავნანა, იავნანინა, ოჰოჰო (მაგრამ: ოჰ! ოჰ!), ერიჰა, ჰეიჰა, ჰეიჰე, ჰეიჰეი, ჰოჰო, ჰოჰოი, ჰოჰოო...

2. ცალ-ცალკე იწერება:

აბა, ჰე, ჰა და ჰა; ჰაი და ჰა (ჰეი და ჰა); ჰაი და ჰაი, ჰაი დედასა, შენი კვნესამე.

3. დეფისით იწერება:

აბა-ბა-ბა, და-და-დაი, ნაუ-ნაუ-ნაუ, ტია-ტია, ტა-ტა-ტა, ტიკ-ტიკ, ყვა-ყვა, ჩუპრი-ჩუპარ, წი-წი-წი (იხმარება წიწილების მოსახმობად), მიაუ-მიაუ (კატის მოსახმობად), ბული-ბული (ბატის მოსახმობად), ჰაი-ჰაი, ჰაი-ჰა.

4. როდესაც შორისდებული მიმართულია მრავლისადმი, ზოგჯერ მას უმართებულოდ ურთავენ ზმნის მრავლობითი რიცხვის ნიშანს.

უმართებულოა: არიქაო, აჰაო, ბოდიშით, თქვენი ჭირიმეთ, საღამო მშვიდობისათ, სუთ, ძილი ნებისათ.

უნდა იყოს: არიქა, აჰა, ბოდიში, თქვენი ჭირიმე, საღამო მშვიდობისა, სუ, ძილი ნებისა.

მაგრამ თუ შორისდებულები ზმნური წარმოშობისაა, მაშინ მრ. რიცხვში ან სრდილობიან ფორმაში თ-ს დართვა აუცილებელია:

გაგიმარჯოთ, გენაცვალეთ, გმადლობთ, შემოგევლეთ.

5. გამარჯობა თუ გამარჯობათ?

გამარჯობა მისასალმებელი ფორმაა. ის არ არის ზმნა, ამიტომ მრავლობითობის აღმნიშვნელ **-თ** ნიშანს, წესით, არ უნდა ირთავდეს, მაგრამ გამონაკლისის სახით დ ა ს ა შ ვ ე ბ ფორმად არის მიჩნეული ერთზე მეტი პირისადმი ან „თქვენობით“ მიმართვისას“.

გამარჯობის პასუხად ჩვენ უკვე ზმნას ვიყენებთ, რომელსაც მრ. რიცხვში **თ** დაერთვის.

ასე რომ, **სწორია:** გაგიმარჯოს (როცა ერთ პირს მივმართავთ) და გაგიმარჯოთ (როცა ერთზე მეტ პირს მივმართავთ ან სრდილობიან ფორმას ვიყენებთ (იხ. პირისა და რიცხვის ნიშნები, № 21, გვ. 332-333).

6. იგივე შეიძლება ითქვას ზმნური წარმოშობის შორისდებულებზე: გენაცვალეთ, გმადლობთ, შემოგევლეთ, რომლებშიც **გ-თ** II ირიბობიექტური პირის ნიშანია მრავლობით რიცხვში.

7. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ მისალმებისა და დაშვიდობების გამომხატველი გამოთქმები. დღისა და საღამოს შესაბამისი მონაკვეთის მიხედვით ვესალმებით სიტყვებით:

დილა მშვიდობისა, დღე მშვიდობისა, საღამო მშვიდობისა.

ვემშვიდობებით სიტყვებით:

ნახვამდის, მშვიდობით, ღამე მშვიდობისა, ძილი ნებისა [და არა ღამე ნებისა].

§ 101. სიტყვის გადატანის წესები

1987 წელს თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენმა კომისიამ დაადგინა სიტყვის სტრიქონიდან სტრიქონზე გადატანის ახალი წესები (იხ. ნორმების ბიულეტენი № 3, გვ. 7-8). მოგვყავს ეს წესები სრულად.

სიტყვის გადატანის წესები ემყარება დამარცვლისა (ფონეტიკური დანაწევრება) და ფუძე-აფიქსთა გამოყოფის (მორფოლოგიური დანაწევრება) პრინციპებს:

1. ერთმარცვლიანი ანუ ერთხმოვნიანი სიტყვა არ ითიშება თანხმოვანთა სიმრავლის მიუხედავად. ერთნაირად გაუთიშავია, მაგალითად, **ის** და **გვბრდღვნის**.

2. ერთზე მეტმარცვლიანი სიტყვის გათიშულ ნაწილებში თითო ხმოვანი მაინც უნდა იყოს. არ შეიძლება, მაგალითად, სიტყვის ასე დამარცვლა და გადატანა: თრთვ-ილი, თრთ-ვილი, თრ-თვილი.... ფცქვ-ნიდა, ფცქ-ვნიდა, ფც-ქვნიდა... ანსამ-ბლს, ანსამბ-ლს... **სწორია:** თრთვი-ლი, ფცქვნი-და, ან-სამბლს.

3. ცალი თავკიდური ან ბოლოკიდური ხმოვანი (ისევე როგორც თანხმოვანი) სიტყვას არ ეთიშება. არ შეიძლება ასე გადატანა: ა-უღია ან აუღი-ა, ა-ტელიე ან ატელი-ე. **სწორია:** აუღია, ატე-ლიე.

4. თუ ხმოვნებს შორის ერთი თანხმოვანია, არ შეიძლება სიტყვის გათიშვა ამ თანხმოვანზე. მაგალითად, ასე: მატ-არ-ებელი, ან-აბ-არა... ამ შემთვევაში სიტყვა უნდა გაითიშოს ღია მარცვალზე (ე. ი. ხმოვანზე): მა-ტა-რე-ბე-ლი, ანა-ბა-რა.

5. სტრიქონთა მიჯნაზე მოხვედრისას ითიშება ხმოვნებს შორის მოქცეული ნებისმიერი ორი თანხმოვანი: ორ-მო, უც-ხო, ოთ-ხი, აფ-ხაზი, საჩ-ხერე, საქ-მე, საწ-ყალი, სატ-ყეო...
ცხადია, გათიშვა შეიძლება ღია მარცვალზედაც: სა-ტყეო, სა-ქმე...

6. თუ სტრიქონთა მიჯნაზე თავს იყრის ორზე მეტი თანხმოვანი, ზღვარი შეიძლება დაიდოს ნებისმიერ ორ თანხმოვანს შორის. მაგ.: დააფ-რქვევს, დააფრ-ქვევს, დააფრქ-ვევს (მაგრამ არა დააფრქვ-ევს). ამავე პირობებში:

ა) სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის უკეთ აღსაქმელად უმჯობესია, თუ ფუძისეულ თანხმოვნებს გაემიჯნება დამხმარე ელემენტის (აფიქსის, თანდებულის, ზმნისწინის...) თანხმოვნები. მაგალითად, ასე: სახლ-მა, სახლ-ში, სახლის-თვის; მესხ-ნი, მესხ-თა; გან-ვლო (მაგრამ: გა-ნა-ვითარა). აღ-შფოთდა (მაგრამ: აღა-შენა), წარ-გზავნა (მაგრამ: წა-რავლინა)...

ბ) ამ გზითვე გაითიშება სტრიქონთა გასაყარზე ერთმანეთის გვერდით მოხვედრილი ორი ერთნაირი თანხმოვანიც (ფუძისეული და აფიქსისეული, ან ორი სხვადასხვა ფუძისა): კოვზ-ზე, ღმერთ-თან, მათ-თვის, მოგ-გვრის, შებინდ-დება, გამ-მიჯვნელი... ერთ-თვიანი, კონტრ-რევოლუცია, და მისთ. (და არა: კოვ-ზზე, ღმერ-თთან, მოგგ-ვრის, ერთთ-ვიანი, კონტ-რრევოლუცია...).

გ) ასევე, თუ სტრიქონთა მიჯნაზე რთული სიტყვის ორზე მეტი თანხმოვანი იყრის თავს, უმჯობესია ბუნებრივი ზღვარი დაიდოს შემადგენელ ფუძეთა შორის იმისდა მიუხედავად, დეფისითაა ისინი შეერთებული თუ უდეფისოდ, სრული სახითაა წარმოდგენილი თუ შემოკლებით (აბრევიატურით). მაგალითად: ცოლ-ქმარი, ტუჩ-კბილი, ქართლ-კახეთი... ათ-წლიანი, თვით-მკვლელობა, ურთიერთ-დამოკიდებულება, სპორტ-კლუბი, პარტ-კომი, აგიტ-პროპაგანდა... (და არა: ათწ-ლიანი, თვითმ-კვლელობა, სპორ-ტკლუბი ან სპორტკ-ლუბი. ურთიერ-თდამოკიდებულება...).

ზემოთ მოყვანილი წესების თანახმად,

<u>სწორია</u>: სა-მაია (წესი N2), სამა-ია (წესი N2);
<u>მცდარია</u>: სამ-აია (წესი N4), სამაი-ა (წესი N3);

<u>სწორია</u>: გან-ცხადება (წესი N6ა), მაგრამ: გა-ნაცხადა, განა-ცხადა (წესი N6ა), განცხა-დება (წესი N2), განცხადე-ბა (წესი N2);
<u>მცდარია</u>: გა-ნცხადება (წესი N6ა), განც-ხადება (წესი N6ა), განცხ-ადება (წესი N6), განცხად-ება (წესი N4);

<u>სწორია</u>: აღ-შფოთდა (წესი N6ა), მაგრამ: აღა-შფოთა (წესი N6ა); აღშფო-თდა (წესი N2), აღშფოთ-და (წესი N5);
<u>მცდარია</u>: აღშ-ფოთდა (წესი N6ა), აღშფ-ოთდა (წესი N6);

<u>სწორია</u>: მა-მულში (წესი N2), მამულ-ში (წესი N6ა);
<u>მცდარია</u>: მამ-ულში (წესი N4), მამუ-ლში (წესი N6ა);

სწორია: ქა-რქაშში (წესი N2), ქარ-ქაშში (წესი N5), ქარქაშ-ში (წესი N6ბ);
მცდარია: ქარქ-აშში (წესი N6), ქარქა-შში (წესი N6ბ);

სწორია: ტე-ლევიზია (წესი N2), ტელე-ვიზია (წესი N2), ტელევი-ზია (წესი N2);
მცდარია: ტელ-ევიზია (წესი N4), ტელევ-იზია (წესი N4), ტელე-ვიზ-ია (წესი N4);

სწორია: პურ-ღვინო (წესი N6გ), პურ-ღვი-ნო (წესი N2), მაგრამ უმჯობესია: პურ-ღვინო;
მცდარია: პუ-რღვინო (წესი N6გ), პურ-ღ-ვინო (წესი N6გ), პურ-ღვ-ინო (წესი N6);

სწორია: კო-ნფლიქტი (წესი N2), კონ-ფლიქტი (წესი N6), კონფლი-ქტი (წესი N2), კონფლიქ-ტი (წესი N5), კონფ-ლიქტი (წესი N6).
მცდარია: კონფლ-იქტი (წესი N6).

სწორია: შე-კითხვა (წესი N6ა), შეკი-თხვა (წესი N2), შეკით-ხვა (წესი N6), შეკითხ-ვა (წესი N6);
მცდარია: შეკ-ითხვა (წესი N6ა), შეკითხვ-ა (წესი N3).

პირობითი ნიშნების განმარტება

[და არა...] – სწორი ფორმის მომდევნო უმართებულო ვარიანტი: აბსოლუტური [და არა აბსოლიტური]

[და არა ღრენს //] – ვარიანტი მოძველებულია

..//... – სალიტერატურო ენაში თანაბარუფლებიანი პარალელური ფორმები: დილას // დილით

... (//...) – მრგვალ ფრჩხილებში მოთავსებულია დასაშვები პარალელური ფორმა: მეხსარიდი (//მეხამრიდი)

../... – წილადის ხაზით გამიჯნულია სიტყვათშეხამებათა ცვალებადი წევრები:

> შენ გამო/გარდა/გარშემო/მაგივრად/მიერ = შენ გამო, შენ გარდა, შენ გარშემო, შენ მაგივრად, შენ მიერ.

(+ვ) – უნდა დაემატოს ვ.
(~~ალ~~), (~~ირ~~), (~~ჯ~~) – ზედმეტია ალ, ზედმეტია ირ, ზედმეტია დეფისი.
Ø – ცარიელი სიმრავლე.
ბრენდი – ი ფუძისეულია.
ბრენდ-ი – ი სახ. ბრუნვის ნიშანია.

შემოკლებათა განმარტება

ა. – აკაკი
ა. შ. – ასე შემდეგ
ანა – ანა კალანდაძე
აკაკი – აკაკი წერეთელი
გადატ. – გადატანითი მნიშვნელობით (ხატოვნად)
გვ. – გვერდი
გალაკტიონი – გალაკტიონ ტაბიძე
გრამატ. – გრამატიკული
და სხვ. – და სხვები
დან. – დანართი
დიალექტ. – დიალექტური
ე. ი. – ესე იგი
ეკლეს. – ეკლესიური, საეკლესიო
ე. წ. – ეგრეთ წოდებული
ვით. – ვითარებითი (ბრუნვა)
თბ. – თბილისი
თინათინი – თინათინ მღვდლიაშვილი
ი. ბ. – იზო ბაქრაძე
ი. – ილია
ილია – ილია ჭავჭავაძე
იხ. – იხილე
კ. – კოტე
მაგ. – მაგალითად
მათემ. – მათემატიკური
II კავშ. – მეორე კავშირებითი (მწკრივი)
II თურმ. – მეორე თურმეობითი (მწკრივი)
III კავშ. – მესამე კავშირებითი (მწკრივი)
მისთ. – მისთანანი
მიც. – მიცემითი (ბრუნვა)
მოთხრ. – მოთხრობითი (ბრუნვა)
მოქმ. – მოქმედებითი (ბრუნვა)
მოძვ. – მოძველებული (სიტყვა, ფორმა)
მრ. – მრავლობითი
მუხრანი – მუხრან მაჭავარიანი
მყოფ. – მყოფადი
მყ.-კავშ. – მყოფადის კავშირებითი (მწკრივი)
მხ. – მხოლობითი *II* მხოლობითი

ნათ. – ნათესაობითი (ბრუნვა)
რელიგ. – რელიგიური
რუს. – რუსული
სამართ. – სამართლებრივი
საუბ. – საუბრული, სასაუბრო
სახ. – სახელობითი (ბრუნვა)
სპეც. – სპეციალური
ტელ. – ტელეფონი
ტექნ. – ტექნიკური
უსლ – უცხო სიტყვათა ლექსიკონი
უწყვეტ. – უწყვეტელი (მწკრივი)
ფიზ. – ფიზიკური
ქ. – ქუჩა
ქელს – ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში (ჟურნალი)
ქსკს – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები
ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
ქეოლ – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი
$O_{3\ \text{პირდ.}}$ – III პირდაპირობიექტური (პირი)
$O_{3\ \text{ირ.}}$ – III ირიბიობიექტური (პირი)
ცნს – ცენტრალური ნერვული სისტემა
ძვ. – ძველი
წ. – წელი
წერეთ. – წერეთელი
წიგნ. – წიგნისა, წიგნური
წოდ. – წოდებითი (ბრუნვა)
წყვეტ. – წყვეტილი (მწკრივი)
ჭავჭ. – ჭავჭავაძე
ხოლმ. – ხოლმეობითი (მწკრივი)

დამოწმებული და გამოყენებული ლიტერატურა

სალიტერატურო ენის ნორმების კრებული და ლექსიკოგრაფიული წყაროები

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1970; 1986, ბიულეტენები № 1-2, 1985 და 3, 1987

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (ავტორები: ვარლამ თოფურია, ივანე გიგინეიშვილი), II გამოცემა, თბ., 1998

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რედაქტორი - არნოლდ ჩიქობავა), I-VIII, თბ., 1950-1964

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ახალი რედაქცია), I-III, თბ., 2008-2015

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1980

ლექსიკონი ქართული (სულხან-საბა ორბელიანი), თბ., 1966

ქართული ლექსიკონი, 1000-მდე ილუსტრაცია, 29 ათასი ზმნური სიტყვაფორმა (ავტორები: გიორგი ცოცანიძე, ნანა ლოლაძე, ქეთევან დათუკიშვილი), თბ., 2014

ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი (შემდგენლები: გიორგი გოგოლაშვილი, ციცინო კვანტალიანი, დალი შენგელია; რედაქტორები: ქეთევან ლომთათიძე, თედო უთურგაიძე, ბესარიონ ჯორბენაძე), თბ., 1989

ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი (მასალები ქართული ენის სისტემატური კურსისათვის), (შემდგენლები: ბესარიონ ჯორბენაძე, მანანა კობიძე, მარინე ბერიძე), თბ., 1988

ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი (რედაქტორი – თამარ ვაშაკიძე), თბ., 2011

ძველი ქართული ენის ლექსიკონი (ავტორი – იუსტინე აბულაძე), თბ., 1973

ძველი ქართული ენის სიტყვის კონა (ავტორი – ზურაბ სარჯველაძე), თბ., 2007

ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I-II, (შემდგენელი – ალექსანდრე ღლონტი), თბ., 2007

ქართული იდიომები (შემდგენელი – ალექსანდრე ონიანი), თბ., 1966

ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი (შემდგენელი – თედო სახოკია), თბ., 1979

ქართულ სინონიმთა ლექსიკონი (შემდგენელი – ალექსანდრე ნეიმანი), თბ., 1951

უცხო სიტყვათა ლექსიკონი (შემდგენელი – მიხეილ ჭაბაშვილი), III გამოცემა, თბ., 1989

უცხო სიტყვათა ლექსიკონი (შემდგენელი – სოლომონ თეზელიშვილი), თბ., 2007

მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის (რედაქტორი – თამარ ვაშაკიძე), თბ., 2016

ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, I-II, (მთ. რედაქტორი – თამარ ვაშაკიძე), თბ., 2010, 2011

საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (რედაქტორები შუქია აფრიდონიძე და თამარ ს'ურაბი'შვილი), თბ., 1987

საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (რედაქტორები: ალექსანდრე კობახიძე და მიხეილ ჭაბაშვილი), თბ., 1988

საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987

სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი (რედაქტორი – თამარ ვაშაკიძე), თბ., 2011

ინტერნეტი, www.ena.ge/orthography-online (ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, ავტორები: ჭაბუკი ქირია, ვახტანგ იმნაიშვილი, ქეთევან გოჩიტაშვილი, რატი სხირტლაძე)

ინტერნეტი, www.ice.ge/liv/liv/abrv.php (ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონი)

სხვადასხვა

ავტორი **წყაროს დასახელება**

არაბული ავთანდილი, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004

არაბული ავთანდილი, ზოგი წარმოქმნილი (მეორეული) სმნისართის შეხამებისათვის ნაცვალსახელებთან, ქსკს, წ. XIV, 2014

არაბული ავთანდილი, ქართველ- და ქართულ- მსაზღვრელ წევრთა განაწილებისათვის ერთი ტიპის კრებითი შინაარსის სახელებთან, ქსკს, წ. XVI, თბ., 2016

აფრიდონიძე შუქია, ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002

აფრიდონიძე შუქია, აბრევიაცია-შემოკლებანი, სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, დანართი № 7, თბ., 2011

აფრიდონიძე შუქია, პუნქტუაციის ძირითადი წესები, ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, თბ., 2011, დანართი 11

აფრიდონიძე შუქია, რიცხვში შეთანხმების პრინციპებისათვის ქართულში, ქსკს, წიგნი XIII, თბ., 2013

აფრიდონიძე შუქია, შემასმენლისა და ნაწილაკის სინტაქსური ურთიერთობა ქართულში, ჟურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, თბ., 1970, № 3

აფრიდონიძე შუქია, ხმაბაძვითი ზმნების სტრუქტურისა და მართლწერის საკითხები ქართულში, ქსკს, წ. X, თბ., 1993

ბალახაძე სიმონი, ქართული ენის გრამატიკის კონსპექტი, თბ., 2001

ბასილაია ლილი, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების თვითმასწავლებელი, თბ., 2014

ბასილაია ნიკანდრო, პუნქტუაცია, თბ., 1986

ბასილაია ნიკანდრო, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1996

ბასილაია ნიკანდრო, ქართული მართლწერის საკითხები, ნაკვეთი I, სოხუმი, 1960

ბურჭულაძე თეა, თანდებულიან და ნაწილაკდართულ რიცხვით სახელთა მართლწერისათვის, ქსკს, წ. XVI, თბ., 2016

ბურჭულაძე თეა, რიგობით რიცხვით სახელთა მართლწერის ზოგიერთი საკითხისათვის, ქსკს, წ. XVI, თბ., 2016

გაბუნია კახა, სივრცული და დროითი მიმართებების ამსახველი სმნისართებისათვის ქართულში, ქსკს, წ. X, თბ., 1993

გაჩეჩილაძე ოთარი, ქართული ენა, თბ., 1990

გაჩეჩილაძე ოთარი, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში (ლექსიკონითურთ), თბ., 1979

გელენიძე ლატავრა, არ/არა-ნაწილაკიანი სახელები ქართულში, ქსკს, წ. VI, თბ., 1984

გვანცელაძე თეიმურაზი, სპეციფიკურ აფხაზურ ფონემათა ქართულად გადმოცემის (ტრანსლიტერაციის) საკითხისათვის, ქსკს, წ. IX, თბ., 1989

გოგოლაშვილი გიორგი, სუბიექტური მესამე პირის -ო სუფიქსის შესახებ თანამედროვე ქართულში, ქსკს, წ. IV, თბ., 1981

გოგოლაშვილი გიორგი, ქართული ზმნის უღელილების სისტემა, თბ., 1988

გოგოლაშვილი გიორგი, დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბ., 1984

გოგოლაშვილი გიორგი, სახელთა ფუძისეული ხმოვნის რედუქციასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურა, ტ. V, 1981

დავითიანი აკაკი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973

დათეშიძე ნინო, აფიქსოიდთა სიტყვაწარმოებითი ფუნქციები ტერმინოლოგიაში, ქსკს, წ. XIII, თბ., 2013

დათუკიშვილი ქეთევანი, რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოებისათვის ქართულში, ქსკს, წ. XI, თბ., 1998

ვაშაკიძე თამარი, დანართიან და უდანართო სათაურ-სახელწოდებათა მართლწერისათვის, ქსკს, წ. XV, თბ., 2015

ვაშაკიძე თამარი, ერთი ტიპის დანართიანი სათაურის მართლწერისათვის, ქსკს, XIV, თბ., 2014

ვაშაკიძე თამარი, სახელისა და გვარის შებრუნებული წყობისათვის, ქსკს, წ. XIV, თბ., 2014

ზექალაშვილი რუსუდანი, ქართული მართლწერის საკითხები, თბ., 2004

ზურაბიშვილი თამარი, ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა საკითხისთვის, ქსკს, წ. IX, თბ., 1989

ზურაბიშვილი თამარი, მაყრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულ'ში, ქსკს, წ. I, თბ., 1972

ზურაბიშვილი თამარი, მიცემითისა და სახელობითის გაქვავებულ ფორმათა გამოყენება დროის გამოხატვისას, ქსკს, წ. III, თბ., 1980

ზურაბიშვილი თამარი, ნა-...ევ და **ნა-**აფიქსებით სახელთა წარმოებასთან დაკავ'შირებული ზოგიერთი საკითხი, ქსკს, წ. I, თბ., 1972

ზურაბიშვილი თამარი, სიტყვა და შესიტყვება (წყალობით, მეოხებით, შემწეობით), ქსკს, წ. VI, თბ., 1984

თალაკვაძე მარიამი, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1959

თოფურია ვარლამი, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965

იმნაიშვილი ვახტანგი, ქართული მართლწერის სადავო საკითხები, თბ., 2016

იორდანიშვილი ლალი, ნაზმნარ სახელთა წარმოების საკითხები სპორტის (ტანვარჯიშის) ტერმინოლოგიაში, ქსკს, წ. IX, თბ., 1989

კალანდაძე ვიოლა, გებულობს, ღებულობს ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში, ქსკს, წ. I, თბ., 1972

კალანდაძე ვიოლა, დარღვევები თანდებულთა გამოყენებისას თანამედროვე ქართული პრესის ენაში, ქსკს, წ. III, თბ., 1980

კალანდაძე ვიოლა, საშუალო სკოლის მათემატიკის სახელმძღვანელოთა ენობრივი დახასიათება, ქსკს, წ. V, თბ., 1983

კალანდაძე ვიოლა, სიმრავლიდან გამოყოფის სემანტიკის მქონე -გან-თანდებულიანი კონსტრუქციები თანამედროვე ქართულში, ქსკს, წ. XI, თბ., 1998

კალანდაძე ვიოლა, -კენ-თანდებულიანი შესიტყვებები და მათი ფუნქციურ-სემანტიკური ეკვივალენტები თანამედროვე სალიტერატურო ქართულ'ში, ქსკს, წ. VIII, თბ., 1988

კალანდაძე ვიოლა, პასუხობს ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში, ქსკს, წ. IV, თბ., 1981

კალაძე ცირა, საზღვრული სახელის რიცხი ორ და მეტ მსაზღვრელთან (დიდი და პატარა სახლი თუ დიდი და პატარა სახლები?), ქსკს, წ. II, თბ., 1979

კალაძე ცირა, საზღვრულის რიცხვი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან, ქსკს, წ. IV, თბ., 1981

კალაძე ცირა, სახელ-მამისახელობით მიმართვა ქართულში, ქსკს, წ. VI, თბ., 1984

კერესელიძე მარინე, სონორი თანხმოვნებისა და ხმოვნების უმართებულო ხმარებისათვის საერთაშორისო სიტყვებში, ქსკს, წ. XI, თბ., 1998

კვაჭანტირაძე თამაზი, მსგავსებითი შედარება ქართულში, თბ., 1978

კვაჭაძე ლეო, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996

კვაჭაძე ლეო, ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981

კიზირია ანტონი, ქართული ენა, თბ., 1974

კიზირია ანტონი, კომპოზიტი ახალ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურა, ტ. V, 1981

კობახიძე ალექსანდრე, როგორ ვიცავთ ქართული ენის ნორმებს, ქსკს, წ. XI, თბ., 1998

კობახიძე მაია, გენდერული ლექსიკა-ფრაზეოლოგია ტიპოლოგიურ ჭრილში (ქართული და ინგლისური ენების შედარება-შეპირისპირების ანალიზი) (დისერტაცია)

ლაბარტყავა მაკა, ერთი სახის კომპოზიტთა (თუ ტერმინთა) დაწერილობისათვის თანამედროვე ქართულში, ქსკს, წ. XV, თბ., 2015

ლაბარტყავა მაკა, თანდებულთა მართლწერისათვის თანამედროვე ქართულში, ქსკს, წ. XVI

ლეჟავა ლია, სტილისტიკური შეცდომები წინადადებაში სიტყვათგანლაგებისას თანამედროვე ქართული პრესის ენაში. ქსკს, წ. III, თბ., 1980

ლომთაძე ამირანი, დაშორებითი ბრუნვის შესახებ მეგრულში, მაცნე № 4, 1973

მაღლაკელიძე ნათელა, ზმნის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1997

მაღრაძე ვახტანგი, -ზე თუ -ში თანდებული, ქსკს, წ. XV, თბ., 2015

მაღრაძე ვახტანგი, კვლავ არ(ა) და ვერ ნაწილაკებით უმართებულოდ ნაწარმოები სიტყვების შესახებ, ქსკს, წ. XIV, თბ., 2014

მაღრაძე ვახტანგი, მრავლობითის ფორმის მქონე არაქართული გეოგრაფიული სახელების გადმოღებისათვის, ქსკს, წ. VIII, თბ., 1988

მელიქიშვილი დამანა, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001

მიქაძე მანანა, ქართული ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების სწავლების საკითხები სკოლაში

მიქიაშვილი ოთარი, ქაროული ენა, თბ., 2001

მუზაშვილი ნათელა, ტერმინოლოგიური სიტყვათწარმოებისათვის, ქსკს, წ. XV, თბ., 2015

ომიაძე სალომე, კოგნიტურ კონცეპტთა და ენობრივ მოდელთა შეუსაბამობის შესახებ, ქსკს, წ. XIV, თბ., 2014

პაპიძე ასმათი, აწმყოს კავშირებითის ფუნქციებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი, ქსკს, წ. VI, თბ., 1984

პაპიძე ასმათი, ერთი ტიპის კონსტრუქციის ევოლუციისათვის ქართულში, წ. X, თბ., 1993

პაპიძე ასმათი, მეორე კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქსკს, წ. IV, თბ., 1981

პაპიძე ასმათი, მესამე კავშირებითი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, ქსკს, წ. II, თბ., 1979

პაპიძე ასმათი, მსაზღვრელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები, ქსკს, წ. XI, თბ., 1998

საბაშვილი ბეატრისა, მრავლობითი რიცხვის **-თ(ა)**-სუფიქსიანი ფორმების გამოყენების შესახებ ახალ სალიტერატურო ქართულში, ქსკს, წ. I, თბ., 1972

სანიკიძე თამაზი, ქართული მართლწერა, თბ., 1998

სანიკიძე თამაზი, დავეუფლოთ ქართულ ენას, თბ. 1999

საღინაძე რუსუდანი, მიმღეობურ ფორმათა სემანტიკური დიფერენციაცია ქართულში (ნორმირების ასპექტით), ქსკს, წ. XIII, თბ., 2013

საღინაძე რუსუდანი, ქართული მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხები, ქუთაისი, 1995

სიმონიშვილი თ., ნაცვალსახელის სწავლება სკოლაში, თბ., 1958

სუხიშვილი მურმანი, „ანუკიმ ილანძღა და იგინა“ თუ „ანუკა ილანძღა და იგინა“? ქსკს, წ. IV, 1981

სუხიშვილი მურმანი, ერთი ტიპის გაორკეცებული სიტყვების შესახებ ქართულში, ქსკს, წ. XI, 1998

სუხიშვილი მურმანი, უარყოფითი წარმოების ერთი შემთხვევისათვის ქართულში, ქსკს, წ. VI, თბ., 1984

ტაბიძე მანანა, ქტემატონიმებისა და პრაგმატონიმების შესახებ ქართულში, ქსკს, წ. VIII, თბ., 1988

ტეტელოშვილი თეა, ერთი ტიპის უმართებულო ტენდენციის გამო პრესის ენაში, ქსკს, წ. XIV, თბ., 2014

ტუსკია მანანა, სიტყვაწარმოებითი აფიქსების ფუნქციები და შეხამებადობა სახელურ ფუძეთა სემანტიკური ჯგუფების მიხედვით, ქსკს, წ. X, თბ., 1993

უთურგაიძე თედო (თედორე), ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986

ფარეულიძე როსტომი, ჩენნურ ანთროპონიმთა ქართული ტრანსლიტერაციის საკითხები, ქსკს, წ. XIII, თბ., 2013

ფეიქრიშვილი ჟუჟუნა, კაუსატიურ ზმნათა მესამე სერიის ფორმები ახალ ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973

ფეიქრიშვილი ჟუჟუნა, ქართული ენის მორფოლოგია (სალექციო კურსი), ქუთაისი, 1992

ფეიქრიშვილი ჟუჟუნა, ქართული ენის სინტაქსი (სალექციო კურსი), ქუთაისი, 1996

ქართული ენა (წერილების კრებული), თბ., 1984

ქართული ენა (ტექსტების ანალიზი და მოდელირება. მართლწერის საკითხები), პირველი ნაწილი, X კლასის სახელმძღვანელო, ავტორები: ავთანდილ არაბული, ქეთევან რეხვიაშვილი, ნინო შარაშენიძე, მაია შაყულაშვილი, თბ., 2008

ქართული ენის ისტორია (ტარიელ ფუტკარაძის საერთო რედაქციით), ქუთაისი, 2006

ქართული სიტყვის კულტურის საკითხები I-XVI, თბ., 1972-2016

ღვინაძე თინათინი, აღწერითი ენებითი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქსკს, წ. IX, თბ., 1989

ღვინაძე თინათინი, დარღვევები ენებითი გვარის ფორმათა მართლწერისა და გამოყენებისას თანამედროვე ქართულში, ქსკს, წ. V, თბ., 1983

ღვინაძე თინათინი, ენებითი გვარის ფორმათა გამოყენებისათვის თანამედროვე ქართული პრესის ენაში, ქსკს, წ. III, თბ., 1980

ღლონტი მედეა, ინიციალები ქართულში – ქართული პირის სახელების მართლწერისათვის, ქსკს, წ. XVI, თბ., 2016

შალამბერიძე გიორგი, ქართული მართლწერა, თბ., 1984

შალამბერიძე გიორგი, ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1980

შალამბერიძე გიორგი, გაბეჭავა როზა, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1974

შამელაშვილი რაფიელი, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდიკა, თბ., 1958

შალვაშვილი ლეილა, მით-მისით რიგის ფორმები ქართულში, ქსკს, წ. IX, თბ., 1989

შალვაშვილი ლეილა, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმებისათვის, ქართული ენა (წერილების კრებული), თბ., 1984

შანიძე აკაკი, თხზულებანი თორმეტ ტომად, III (ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები), თბ., 1980

შანიძე აკაკი, ორმაგი გვარის ბრუნებისათვის, ქსკს, წ. I, თბ., 1972

შანიძე აკაკი, სალიტერატურო ქართულის საჭირბოროტო საკითხები, თბ., 1979

შანიძე მზექალა, ი-ხმოვნიანი საზოგადო სახელები ქართულში, ქსკს, წ. XI, თბ., 1998

შენგელია ვაჟა, ჩერქეზულ თანხმოვანთა ტრანსლიტერაციისათვის ქართულში, ქსკს, წ. XV, თბ., 2015

შინჯიკაშვილი მერი, განყენებული შინაარსის სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხისათვის თანამედროვე ქართულში, ქსკს, წ. VI, თბ., 1984

შინჯიკაშვილი მერი, ეშინიან თუ ეშინია? ურჩევნიან თუ ურჩევნია? ჰქვიან თუ ჰქვია?, ქსკს, წ. I, თბ., 1972

ჩიქობავა არნოლდი, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942

ჩიქობავა არნოლდი, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლი, ტ. I, თბ., 1950

ცისელაშვილი ლელა, კვლავ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების ერთი საკითხის შესახებ: მიესწერ თუ მივწერ, ვჰკითხავ თუ ვკითხავ? ქსკს, წ. XIV, თბ., 2014

ცქიტიშვილი ნელი, დანართის ძირითადი სტილისტიკური ფუნქციები და მართლწერასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ქსკს, წ. V, თბ., 1983

ცქიტიშვილი ნელი, ჩართული, ქსკს, წ. VIII, თბ., 1988

ძიძიგური შოთა, ქართული ენის თავგადასავალი, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974

ძიძიგური შოთა, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1973

ჭაბაშვილი მიხეილი, კუთვნილებითი კომპოზიტების მართლწერისათვის, ქსკს, წ. VIII, 1988

ჭაბაშვილი მიხეილი, მრავლობით რიცხვში ხმარებული ზოგი არსებითი სახელის შესახებ, ქსკს, წ. I, თბ., 1972

ჭაბაშვილი მიხეილი, რუსულ პირთა სახელების ქართულად გადმოცემისათვის, ქსკს, წ. XI, თბ., 1998

ჭილაია ანდრო, ჭილაია რამაზი, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბ., 1984

ჭუმბურიძე ზურაბი, გაბეჩავა როზა, ქართული ენა, X კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1997

ჭუმბურიძე ზურაბი, უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების სტილური თავისებურებანი, ჟურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1970, № 2

ხახიაშვილი ნინო, ერთი ფორმის დამკვიდრებისათვის ქართულში, ქსკს, წ. XVI

ხახიაშვილი ნინო, „ქრისტე აღდგა“ თუ „ქრისტე აღსდგა“, ქსკს, წ. XIV, თბ., 2014

ჯიბუტი ინგა, -იან, -ოვან, -ა სუფიქსთა ფუნქციისათვის ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში, ქსკს, წ. X, თბ., 1993

ჯორბენაძე ბესარიონი, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983

ჯორბენაძე ბესარიონი, უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში, ქსკს, წ. VI, თბ., 1984

ჯორბენაძე ნინო, ორთოგრაფიულად მცდარად მიჩნეულ ფორმაწარმოების რამდენიმე კერძო შემთხვევის ახსნისათვის თანამედროვე ქართულში, ქსკს, წ. XV, თბ., 1983

Виноградов Виктор Владимирович, Русский язык, Москва, 1972

Голетиани Георгий Георгиевич, Сопоставительная грамматика русского и грузинского языков, ч. I, Морфология, Тбилиси, 1970

ჰარუნ ჩიმქე, დისერტაცია „ზმნისწინთა სემანტიკური ნიუანსები ახალ სალიტერატურო ქართულში“, ინტერნეტი: www.atsu.edu.ge/en/images/pdf/disertaciebi/disertacia_chimke.pdf

ინტერნეტი: ice.ge/new/pages/samples/books/Binder4.pdf - თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია

ციცინო კვანტალიანი, ენაში მიმდინარე ზოგი გრამატიკული ცვლილების შესახებ, ინტერნეტი: www.ice.ge/new/ ენათმეცნიერების ინსტიტუტის 70-ე სამეცნიერო კონფერენცია.

ძართული ანბანი

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ

მ ნ ო პ ჟ რ ს ტ უ ფ ქ

ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ

ქართული ანბანის ადვილად დასამახსოვრებლად აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ ასე გაახმოვანა იგი: აბგად-ევზათ-იკალ-მანო, პაჟა-რასტა-უფქა-ღაყაშ, ჩაცა-ძაწა-ჭახა-ჯაჰა.

ორთოგრაფიული საძიებელი

საძიებელი შედგენილია წიგნის გვერდების მიხედვით (დანომრილია ქვეპუნქტები).

სწორი ფორმებია:		**მცდარია:**
ა		
არიქა	გვ. 332 № 20 და 565 № 4	არიქათ
ახლა	გვ. 503 № 8	ეხლა
აახლოებს	გვ. 379 ბ	აახლოვებს
ახლახან	გვ. 503 № 9	ახლახანს
აბარვინებს (← ბარვა, ← ბარავს)	გვ. 360 № 4	აბარინებს
აბეჭდვინებს (← ბეჭდვა, ბეჭდავს)	გვ. 360 № 4	აბეჭდინებს ან აბეჭვდინებს

აბინავებს – დააბინავა, **მაგრამ:** დააბინავოს
დააბინაოს გვ. 378 № 21

აბიტურიენტი — აბითურიენტი

აბოლოებს (წყვეტილში – დააბოლოვა), **მაგრამ:** ბოლოვდება, დაბოლოებულა (ენ. გვარი) გვ. 379 № 21 ბ — აბოლოვებს

აბონემენტი (**-მენტ** ბოლოსართის წინ ყოველთვის არის **ე**) — აბონიმენტი

აბსოლუტურად — აბსოლიტურად

აგრარული — აგრალური

ადამიანი, რომელიც გვ. 535 № 15 — ადამიანი, ვინც

ადგას — ადგია

ადეკვატური — ადექვატური

ადრესანტი (წერილის გამგზავნი) — ადრესატი (+ნ)

ადრესატი (წერილის მიმღები)

აეშენებინა გვ. 372 № 12 — აეშენებია ან აეშენა

ავადმყოფი — ავანტყოფი

ავანტიურა — ავანტურა

ავთენტური (= ნამდვილი, სარწმუნო, უტყუარი, სინამდვილის შესაბამისი)

ავითარებს გვ. 346 № 12 — ანვითარებს (ნ)

ავლადიდება (1-ცნებიანი კომპოზიტი) გვ. 281 ა — ავლა-დიდება

ავსებული — ავსილი

ავტობიოგრაფია გვ. 270 ვ — თავისი ავტობიოგრაფია (თავისი)

ავტომანქანა ჰყავს	გვ. 323 № 7 და გვ. 436 № 6	ავტომანქანა აქვს
ავტორალი		
აზერბაიჯანი		აზერბეიჯანი
ათავისუფლებს	გვ. 346 № 12	ანთავისუფლებს (ნ)
ათას მეერთე	გვ. 216-217 № 26	ათასმეერთე
ათვალიერებს		ათვარიელებს
ათიათასჯერ		
ათიათასობით		
აკომპანემენტი (მენტ-ის წინ ყოველთვის არის ე)		აკომპანიმენტი
აკრებინებს (ხალხს / რიცხვებს)		აკრეფინებს
აკრეფინებს (ხილს)		
აკურატული = 1. ზუსტად შემსრულებელი, წესიერი (ადამიანი); 2. კარგად შესრულებული, სუფთად გაკეთებული (ნამუშევარი)		
ალალბედად	გვ. 507 გ	ალალბედათ
ალაფურშეტი		ალ-ფურშეტი
ალბათ	გვ. 553 № 13	ალბად
ალიბიმ	გვ. 19 № 16 გ	ალიბმა
ამ კაცივით	გვ. 265 № 32 ა	ეს კაცივით
ამათგანი	გვ. 260 № 24	ამათთაგანი
ამა თუ იმ		ამათუიმ
ამას იქით, მას შემდეგ	გვ. 509 გ	
ამასწინათ (შეცვლილი დაწერილობა)	გვ. 508 დ	ამას წინად
ამაღამ → ამაღამდელი		ამღამ → ამღამინდელი

ამნისტია	ამინისტია
ამოარტყამს გვ. 354 № 4	ამოარტყავს
ამსიგანე	ამ სიგანე
ამსიშორეზე გვ. 508 დ	ამ სიშორეზე
ამქვეყნად, იმქვეყნად გვ. 508 დ	ამ ქვეყნად
ამ წელს (ბრუნდება) გვ. 513 № 19	ამ წელში (ბრუნდება)
ამწონი გვ. 469 № 2	ამწონავი
ამწუთას (მოვა) გვ. 273, 508 დ	ამ წუთას
ამწყალობნებს	ამწყალობებს
ანეკი-ბანეკი (საბავშვო თამაშობის სიტყვები) გვ. 282	
ანკი	
ანეკდოტი	ანეგდოტი
აპლოდისმენტი გვ. 47	
არათუ გვ. 521 № 1	არა თუ
არასგზით **არ** შერიგდნენ (ითხოვს ორმაგ უარყოფას) გვ. 507 გ	არასგზით შერიგდნენ
არასდიდებით, არაფრის დიდებით **არ** დაბრუნდება (ითხოვს ორმაგ უარყოფას)	არასდიდებით, არაფრის დიდებით დაბრუნდება
არ გააჩნია სახლი (მხოლოდ უქონლობის გამოსახატავად)	გააჩნია სახლი
არცთუ	არც თუ
მან აღნიშნა/განაცხადა, რომ	მან გააჟღერა, რომ
არცერთი (შეცვლილი დაწერილობა) გვ. 260	არც ერთი
არცერთი/არავითარი (ხერხი არ ჭრის) (ითხოვს ორმაგ უარყოფას) გვ. 261	არცერთი/არავითარი ხერხი ჭრის

არამარტო (შეცვლილი დაწერილობა) გვ. 521 № 1 — არა მარტო

არამც და არამც

არამცთუ

არაორდინარული (=არაჩვეულებრივი) — არაორდინალური

არაუადრეს (შეცვლილი დაწერილობა) — არა უადრეს

არაუგვიანეს (შეცვლილი დაწერილობა) — არა უგვიანეს

არაუმეტეს (შეცვლილი დაწერილობა) — არა უმეტეს

არდადეგები (მრ.) გვ. 46 № 6 — არდადაგი

არეკვლა (მეტათეზისით) გვ. 458 გ — არეკლვა

არითმია — არიტმია

არისტოკრატული (მანერები) გვ. 196

არისტოკრატიული (მმართველობა) გვ. 196

არტყამს გვ. 354 № 4 — არტყავს

არქიმანდრიტი — არხიმანდრიტი

არჩევანი, არჩევანის, **მაგრამ:** არჩევნები

არცერთხელ არ მოვიდა (ითხოვს ორმაგ უარყოფას) გვ. 255 და 256 ე — არცერთხელ მოვიდა

ასფალტი — ასვალტი

ასამბლეა — ანსამბლეა

ასე გვ. 502 № 7 — ასრე ან ესე

ასეთი — მასეთი

ასვამს (დაღს), სვამს (წყალს) გვ. 354 № 4

ასმევს (სხვას) გვ. 354 № 4

ასლი // პირი		კოპიო
ასმეხუთე	გვ. 216-217 № 26	ას მეხუთე
ასცდა (მიზანს)	გვ. 323 № 7	აცდა
ასხამს – დასხმა	გვ. 354 № 4	ასხავს
ატლანტის (ოკეანე)		ანტლანტიკის
აუბამს – ბმა	გვ. 354 № 4	აუბავს
აუწყვია	გვ. 376 ბ	აუწყია
აუდიენცია		აუდენცია
აუთოებს		აუთავებს
აუზი		ბასეინი (ბარბარიზმი)
აფრთხილებს		აბრთხილებს
აფურცვლინებს (მეტათეზისი)	გვ. 360 № 5	აფურცლვინებს
აქვს (სახლი), **მაგრამ:** არ გააჩნია (სახლი)		გააჩნია (სახლი)
აქეთ	გვ. 502 № 6	აქით
აქტი		აკტი
აქტივობა		აქტივობები
აღდგა, მაგრამ: **ქრისტე აღსდგა (ტრადიც.) // აღდგა**	გვ. 327 № 12	ტაძარი აღსდგა
აღვზრდი	გვ. 346 № 13	ავღზრდი
აღმოსავლელი		აღმოსავლეთელი
აღვნიშნავ	გვ. 346 № 13	ავღნიშნავ
აღნიშნავს	გვ. 346 № 12	ღნიშნავს
აღ-შფოთდა (სიტყვის გადატანა)	გვ. 343 № 6	აღშ-ფოთდა
აცალკევებს	გვ. 346 № 12	ანცალკევებს (ნ)
აცვიფრებს	გვ. 346 № 12	ანცვიფრებს (ნ)

აძლევს ხელს		აწყობს
აძლებს	გვ. 357 № 8	აძლობს
აწებს	გვ. 357 № 8	აწობს
აწყვია (ბეღური), დევს (ეროთი)	გვ. 447	
ახალ (იწერება სიტყვასთან ერთად: ახალთაობა), **მაგრამ:** ახალი თაობა		
ახატვინებს (← ხატავს)	გვ. 360 № 4	ახატინებს
ახლა, ხელახლა	გვ. 503 № 8	ეხლა
ახლავს (ვახლავარ)		ვახლავვარ
ახლახან	გვ. 503 № 9	ახლახანს, ეხლახან
ახსნა-განმარტება ↓ ახსნაგანმარტებითი შენიშვნა	გვ. 276,	ახსნა-განმარტებითი
აჯილდოებს, **მაგრამ:** დააჯილდოვა	გვ. 379 ბ	
აჰქონდა	გვ. 333	აქონდა
აჰყვა (ის მას)	გვ. 333	აყვა

ბ

ბავშვები ამბობენ ლექსებს		ბავშვები იძახიან ლექსებს
ბალეტმაისტერი		ბალეტმეისტერი
ბატონ-ყმა, **მაგრამ:** ბატონყმობა	გვ. 276, შენიშვნა, გვ. 189 გ	
ბევრჯერ		ბევრჯელ
ბევრს ეხვეწა	გვ. 499 № 1 ა	ბევრი ეხვეწა
ბეითალმანი (= უმემკვიდროდ გარდაცვლილის უპატრონო ქონება)		

ბესტსელერი (= წიგნი, რომელიც ადვილად იყიდება)		ბესთსელერი
ბეჰემოთი		ბეგემოტი
ბიზნესცენტრი	გვ. 285 № 5	
ბიულეტენი		ბიულეტინი
ბიურო		ბЮრო
ბმული		ლინკი (ბარბარიზმი)
ბოდიში!	გვ. 332 № 20	ბოდიშით!
ბოდიში მოუხადა	გვ. 349 № 17	
ბოკალი		ბაკალი
ბოლოს და ბოლოს	გვ. 508 № 15	ბოლო-ბოლო
ბონბონიერი		ბანბანერკა (ბარბარიზმი)
ბორშჩი		ბორში
ბრენდი (ბრენდი-მ) = თეთრი ღვინისგან გამოხდილი ალკოჰოლიანი სასმელი, ამზადებენ ხილისგან		
ბრენდ-ი (ბრენდ-მა) = სახელწოდების, სიმბოლური ნიშნისა და დიზაინის ერთობლიობა		
ბუენი		პლომბი
ბრონქიტი		ბრონხიტი
ბრტყელი		პრტყელი
ბრძენთაბრძენი	გვ. 281 ზ	
ბურახი		კვასი (ბარბარიზმი)

გ

გაამ**ზე**ოს (← მზე)	გვ. 378 № 21	გაამზევოს
გააუვნებლებს	გვ. 373 № 15	გააუვნებელყოფს
გააშა**ვ**ოს (ვ ფუძისეულია)	გვ. 375 № 15	გააშაოს
გაეკეთებინებინა (სხვისთვის)	გვ. 361-362 № 7	გაეკეთებინა
გაირუჯა		ზაგარი მიიღო
გავფცქვნათ		გავფრცქვნათ
გალაკონცერტი (დასაშვებია)		
გამამდიდრებელი	გვ. 472 № 7	გამდიდრებელი
გამამტყუნებელი	გვ. 472 № 7	გამმტყუნებელი
გამარჯობა! – გაგიმარჯოს! გამარჯობათ (დასაშვებია, როგორც გამონაკლისი) – გაგიმარჯოთ!	გვ. 332 №№ 21-22, გვ. 566 № 5	
გამი**ხ**არდა, გაგი**ხ**არდა		გამეხარდა, გაგეხარდა
გა**უ**ხარდა		გაეხარდა
გამოვაცხ**ვე**	გვ. 375 № 19 ბ	გამოვაცხე
გამ**ოთ**ქვამს		გამოსთქვამს
გამოკვეთს		გამოკვეთავს
გამოცდის		გამოსცდის
გამრჩევი	გვ. 468 № 1	
გამცემი	გვ. 470 გ	
განზოგადებული		განზოგადოებული
განმგრძობი	გვ. 468 № 1	
გატვრენილი		გატვრინული

გასათავისუფლებელი // განსათავისუფლებელი	გასანთავისუფლებელი
გასაკიცხი//გასაკიცხავი გვ. 487 გ	
გასაკვირველი // გასაკვირი	
გასამართავი	
გასაპნული	გასაპნილი
გასაჟუჟავი გვ. 486 № 15	
გასტანს (ეს დიდხანს გასტანს – **გამონაკლისი**) გვ. 326 № 11	გატანს (ეს დიდხანს)
გასტროლი	
გასცა (**გამონაკლისი**) გვ. 326 №11	გაცა
გამოსცა (**გამონაკლისი**) გვ. 326 №11	გამოცა
გასული რიცხვით გააფორმა	უკანა თარიღით გააფორმა
გასწია (შინისკენ – **გამონაკლისი**) გვ. 326 № 11	გაწია
გაუცხოება გვ. 379 გ	გაუცხოვება
გაცვალა გვ. 323 № 6	გასცვალა
გაციყვებული (რაც გააციეს)	
გაციებული (ვისაც გააცია)	
გაძარცვა	გაცარცვა
გაწმენდს გვ. 368 № 4	გაწმინდავს
გაკიცხა გვ. 323 № 6	გაჰკიცხა
გაჰყვა	გაყვა
გაჰყინვია გვ. 324 № 9 ა	გაყინვია
გგზავნის (ის შენ)	გზავნის (ის შენ)
გეახლებით მე საჭმელს (ზრდილობიანი ფორმა) გვ. 450 № 9	მივირთმევ მე საჭმელს, **მაგრამ**: მიირთმევ შენ, მიირთმევს ის
გერბი	ღერბი

გიზგიზებს გვ. 396 № 1 გიზგიზდება

გინახავვარ **(ახალი დაწერილობით დასაშვებია გინახივარ)** გვ. 355-356 № 5

გირაოს პირობებში ჩადენილი გირაოს ქვეშ ჩადენილი

გლეჯს გვ. 368 გლიჯავს

გმადლობ, გმადლობთ! – არაფერს, არაფრის! გვ. 332 № 20 მადლობ, მადლობთ

გოლის გამტანი გოლის ავტორი

გრედუიშენი (= დიპლომების გადაცემის ცერემონიალი)

გრეიპფრუტი გრეიფუტი

გრესს გვ. 368 გრიხავს

გრიგორიანი გრიგორიანელი

გულის ოპერაცია ოპერაცია გულზე

გულისხმისყოფა (= მიხვედრა, გაგება, შეტყობა)

გულისხმისმყოფელობა (=გონიერება)

გულისხმიერება გულისხმიერობა

გულისცემა

გულმკერდი (ერთცნებიანია) გულ-მკერდი

გვ. 281 № 2 ა

გულქართლი

გუშინდელი, გუშინდლის, **მაგრამ:** გუშინდელები გუშინდლები

გყავარ გვ. 434 № 1 გყევარ

გჯერა გჯერავს

ი

დააბინაოს (←ბინა)	გვ.378 № 21 ა	დააბინავოს
დააგიწროვა, მაგრამ: დაავიწროს	გვ. 379 № 21 ბ	დაავიწროვოს
დაამარცხა		დამარცხება მიაყენა (კალკი)
დაამარხვინა (← დამარხვა, ← მარხავს)	გვ. 360 № 4	დაამარხინა
დააუთოოს	გვ. 378 № 21 ბ	დააუთაოს
დაეფასებინა		დაეფასებია
დაეცა ხარისხი		ადგილი აქვს ხარისხის დაცემას (კალკი)
დაანახვებს		დაანახებს (+ვ)
დაგვეხმაროთ	გვ. 400 № 13	დაგვეხმარნოთ (ნ)
დადო (1 წიგნი), დააწყო (წიგნები)		დასდო (წიგნი, წიგნები)
დაე	გვ. 558 გ	დეე
დაემსგავსება		დაემგვანება
დავაწყვე, დააწყვე	გვ. 375 № 19 ბ	დავაწყე, დააწყე
დააწყო, დააწყვეს (წიგნები)		დააწყვო, დააწყეს
დავჩხრეკ	გვ. 368 № 4	დავჩხრიკავ
დავაძვრე	გვ. 375 № 19 ბ	დავაძრე
დაელაპარაკებივარ		დაველაპარაკებულვარ
დავხვრეტ	გვ. 368 № 4	დავხვრიტავ
დათვრა	გვ. 400 № 14	დაითრო
დაიბადა 1986 წელში	გვ. 513 № 19	დაიბადა 1986 წელს
დაისაჯონ	გვ. 400 № 13	დაისაჯნონ (ნ)
დაისიძებს		დაისიძევებს

დაკიდებული		დაკიდული
დალურსმული		დალურსმნული
დამგეგმავი	გვ. 470 № 4	დამგეგმველი
დამგრეხი	გვ. 470 ბ	
დამდგენი // დამდგენელი, დამდგენლის		დამდგენელის
დამთმობი	გვ. 468 № 1	
დამკრძალავი	გვ. 470 № 4	დამკრძალველი
დამპყრობი // დამპყრობელი	გვ. 468 № 1	
დამყნილი (← მყნის)		დამყნული
დანაყილი		დანაყული
დარგოს	გვ. 370 № 8	დარგას
დასაბეჭდავი ან დასაბეჭდი	გვ. 486 № 15	
დასაგეგმავი ან დასაგეგმი	გვ. 486 № 15	
დასავლეთი საქართველო		დასავლეთ საქართველო
დასავლეთ საქართველოს(ა)თვის		
დასავლეთი ნახევარსფეროს(ა)თვის		
დასაკარგი // დასაკარგავი		
დასალოცავი ან დასალოცი		
დასასრულ, შევაჯამოთ... მაგრამ: კრების დასასრულს უჩვენეს ფილმი		
დასახატავი ან დასახატი	გვ. 486 № 15	

დასვა (სკამზე)	
დასთენებია გვ. 326 № 10	დათენებია
დასხა (ძმები, ისინი, ხალხი) გვ. 447	დასვა (ძმები, ისინი, ხალხი)
დასდო (ბრალი)	დადო (ბრალი)
დასტყობოდა გვ. 402 № 19	დასტყობიყო
დატანჯა გვ. 323 № 6	დასტანჯა
დატოვებული	დატოვილი
დაუგვიანია (თვითონ) გვ. 428 № 10	
დაუგვიანებია (მას სხვა)	დაუგვიანია
დაუდგეს თვალი! (წყევლა) გვ. 442	დაუდგა თვალი!
დაუდევრობის გამო გვ. 511 № 17	დაუდევრობის წყალობით
დაქრის	დაჰქრის
დაძლეულ იქნეს გვ. 442 (ბოლო აბზაცი)	დაძლეული იქნას
დაძლია	დასძლია
დაჭყეტს გვ. 368 № 4	დაჭყიტავს
დაჰკარგვია გვ. 324 № 9 ბ	დაკარგვია
დაჰკაწვროდა (მეტათეზისი) (კაწრავს) გვ. 403 № 22	დაჰკაწვრიყო
დგახარ	დგეხარ
დებატები (მხოლოდ მრავლობითში) გვ. 46 № 6	დებატი
დებიუტი	პირველი დებიუტი (~~პირველი~~)
დედაბუდიანად	დედიან-ბუდიანად
დედაენა	დედა ენა
დედასამშობლო	

დედა ღვთისა

დედა ჩიტი

დედმამაცხონებული

დეზინფექცია — დიზინფექცია

დემობილიზებული — დემობილიზირებული ~~(ირ)~~

გვ. 165 № 1, გვ. 490

დეფისი — დეფიზი

დიალიზი — დეალეზი

დიდბუნებოვანი — დიდბუნოვანი

დიდხანს (ეძებდა) გვ. 512 № 18 — დიდი ხანი (ეძებდა)

დიზენტერია — დიზინტერია, დეზინტერია

დილა მშვიდობისა! — დილა მშვიდობის!

დილდილობით — დილ-დილობით

დისერტაცია დაიცვა — სამეცნიერო ხარისხი დაიცვა

დიქტოფონი — დიქტაფონი

დიფერენციაცია (= გამიჯვნა, განსხვავება)

დღევანდელი, დღევანდლის,
მაგრამ: დღევანდელები
როგორც მე-10 გვერდსეა

დღეის ამას იქით გვ. 508 № 15

დღესდღეობით — დღესდღეისობით

დღითიდღე (შეცვლილი დაწერილობა) — დღითი დღე

ე

ებმება	ებმევა
ეგეთი	ეგრეთი
ეგზემპლარი // ცალი	ეგზემპლიარი
ეგრეთწოდებული	ეგრედ წოდებული
ეიფორიული	ეიფორული
ეგზოტიკა	ეკზოტიკა
ევროპეოიდი (= ევროპული რასის მსგავსი) გვ. 281 ა	
ეკალბარდი	ეკალ-ბარდი
ეკვივალენტი	ექვივალენტი
ეკონომიკური (მდგომარეობა), **მაგრამ:** ეკონომიური = მომჭირნე (ცხოვრება), პოლიტეკონომია (გამონაკლისი)	
ელეთმელეთი გვ. 280 № 1 ა და გ	ელეთ-მელეთი
ელასტიკური გვ. 183	ელასტიური
ეპატაჟი (= სკანდალური საქციელი, რომელიც არღვევს საერთოდ მიღებულ ნორმებს)	
ერთადერთი	ერთად-ერთი
ერთ-ერთი (=ბევრთაგან ერთი რომელიმე) გვ. 277 და 284	ერთერთი
ერთი მხრივ, ერთი მხრით	ერთის მხრივ
ერთმა და იმავემ გვ. 264-265	ერთმა და იგივემ
ერთ თვეს წერდა გვ. 512 № 18	ერთი თვე წერდა
ერთხელ გვ. 501 № 3	ერთჯერ (**მაგრამ:** ერთჯერ ათი ათია)
ერთხელ და სამუდამოდ	ერთხელ და სამუდამოთ

ეროვნული		საეროვნო
ეს-ეს არის, ის-ის იყო	გვ. 508 № 15	ეს ეს არის
ესთეტიკა →ესთეტიკური	გვ. 183	ესთეტიური (+კ)
ესკორტი		ექსკორტი (-კ)
ესწრაფოდა	გვ. 404 № 25	ესწრაფვოდა (-ვ)
ეუბნება		ეუბნევა
ექიმ-კონსულტანტი	გვ. 279 № 15	
ექო		ეხო
ექსპლუატაცია		ექსპლოატაცია
ექსპრეზიდენტი		ექს-პრეზიდენტი
ექსტრადიცია		ექსტრადაცია
ექსტრავაგანტური		ექსტრავაგანტული
ეშინია	გვ. 434 № 4	ეშინიან
ეცალა		სცალოდა

ვ

ვავადმყოფობ-მიავადმყოფია

	გვ. 428 № 9	ვანზოგადებ (-ნ)
ვაზოგადებ	გვ. 346 № 12	
ვაი-ვაგლახი (მაგრამ: რის გაივაგლახით)		
ვამაყობ		მე ამაყი ვარ (კალკი)
ვალი მეზობლისა		ვალი მეზობლის
ვაჭართუხუცესი		ვაჭართ უხუცესი
ვაჟა-ფშაველა	გვ. 92, შენიშვნა	ვ.ფშაველა
ვდგავარ	გვ. 434 № 1	ვდგევარ

ვებგვერდი (დასაშვებია) = ქსელური მომსახურება

ვეზირი

ვენტი**ლ**ატორი — ვენტილიატორი

ვეუბნებოდი (მე), ჯერ ნუ ჩამოხვალ-**მეთქი** გვ. 547 № 10 — ვეუბნებოდი, ჯერ ნუ ჩამოხვალ-თქო

ვეუბნებოდით (**ჩვენ**), ჯერ ნუ ჩამოხვალ**ო**

ვერცერთი (შეცვლილი დაწერილობა) — ვერც ერთი

ვვარჯიშობ (მე) — ვარჯიშობ (მე)

ვ-თანამშრომლობ, **მ**-ითანამშრომლია გვ. 427 № 9 — თანავმშრომლობ

ვიზალიბერალიზაცია — ვიზა ლიბერალიზაცია

ვიზიტორი — ვიზიტიორი

ვინ და ვინ

ვინ**ე**გრეტი — ვინიგრეტი

ვისდამი // ვისადმი

ვი**ს**ზე, ვი**ს**ში, არავისზე, არავისში — ვიზე, არავიზე

ვიტამინიზებული გვ. 165 — ვიტამინიზირებული (ორ)

ვიფიქრე, დაბრუნდება-მეთქი გვ. 547 № 10 — ვიფიქრე, დაბრუნდება-თქო

ვიღაც-ვიღაც**ები** გვ. 263 — ვიღაც-ვიღაცეები

ვიცე-გუბერნატორი, **დასაშვებია: ვიცეგუბერნატორი** (შეცვლილი დაწერილობა)

ვიცინი, იცინი გვ. 425 № 1 — ვიცინივარ, იცინიხარ

ვკივი, კივი გვ. 425 № 1 — ვკივივარ, კივიხარ

ვაკონკრეტებ — ვკონკრეტდები

ვიმეორებ — ვმეორდები

ვტირი, ტირი	გვ. 425 № 1	ვტირივარ, ტირიხარ (~~ვარ, ხარ~~)
ვტყუი, ტყუი	გვ. 425 № 1	ვტყუივარ, ტყუიხარ (~~ვარ, ხარ~~)
ვმღერი, მღერი	გვ. 425 № 1	ვმღერივარ, მღერიხარ (~~ვარ, ხარ~~)
ვოკალურ-ინსტრუმენტული	გვ. 184	ვოკალურ-ინსტრუმენტალური (~~ალ~~)
ვსხედვართ (ჩვენ)	გვ. 447	ჩვენ ვზივართ
ვყვირი, ყვირი	გვ. 425 № 1	ვყვირივარ, ყვირიხარ (~~ვარ, ხარ~~)
ვჩივი, ჩივი	გვ. 425 № 1	ვჩივივარ, ჩივიხარ (~~ვარ, ხარ~~)
ვწივი, წივი	გვ. 425 № 1	ვწივივარ, წივიხარ (~~ვარ, ხარ~~)
ვწინასწარმეტყველებ	გვ. 374 № 15	წინასწარმეტყველებ
ვხტი, ხტი		ვხტივარ, ხტიხარ (~~ვარ, ხარ~~)

ზ

ზეადამიანური	გვ. 291 № 8	
ზელს	გვ. 368	ზილავს
ზემოთ აღნიშნული, **მაგრამ:** ზემოაღნიშნული		
ზის (ის), მაგრამ სხედან (ისინი) ხალხი სხედს (მოძველებულია)	გვ. 447 № 2	ზიან (ისინი)

ზოგადეროვნული

ზოგადსაკაცობრიო

ზოგადქართული ზოგად-ქართული

ზოგან ზოგგან

ზოგი ამხანაგი გვ. 271 № 34 ზოგი ამხანაგები

ზოგიერთი საკითხი გვ. 271 № 34 ზოგიერთი საკითხები

ზოოვეტერინარული ზოოვეტერინალური

ზღვარი, ზღვრის ზღვარის

ზღვისპირეთი

თ

თაგვობა (ფუძისეული **ვ** არ იკარგება **-ობა** ბოლოსართის წინ, თუ მოსდევს თანხმოვანს)

თავად-აზნაურები (მრ.), **მაგრამ:** თავადაზნაურული

თავდაყირა // ყირამალა

თავდებად დაუდგა თავდებში დაუდგა (კალკი)

თავზეხელაღებული თავზე ხელაღებული

თავზე გვირგვინდადგმული

თავისდაუნებურად (ახალი დაწერილობა) გვ. 293 №9 თავისდა უნებურად

თავისი, თავიანთი (ის / მუშა / ხალხი თავის საქმეს აკეთებს,

ისინი თავიანთ // თავის საქმეს
აკეთებენ, მუშები თავიანთ...)
გვ. 270 ზ

თავ-თავისი = თითოეულისა ცალ-
ცალკე: ყველამ / სამივემ თავ-
თავისი ჩანთა აიღო

თავისდღეში მისდღემჩი

თავისთავად თავის თავად

თავისუფლებისმოყვარე

თავლაფდასხმული

თავლაფი თავსლაფი

თავ-პირი

თავპირისმტვრევით გვ. 508 № 15

თავ-ფეხი

თავფეხშექცევით

თავს იდვა (= იტვირთა)

თავს დება (= კისრება, ტვირთვა,
მორჩილება, მოთმენა, ატანა)

თავსმდები (= მკისრებელი,
შუამდგომელი, პასუხისმგებელი)

თავქუდმოგლეჯილი

თამარ მეფის გამზირი გვ. 92 № 20 თ. მეფის გამზირი

თამაშგარე მდგომარეობა ოფსაიდი

თანამდევი (= მოვალე, მზღვეველი)

თანამდებყოფა (= კისრება)

თანამდებება // თანამდებობა
(= მოვალეობა)

თანამიმდევრულად //
თანმიმდევრულად

თანამოსახელე // სეხნია

თანა**ვ**უგრძნობ, თანა**მ**იგრძნია	გვ. 427 № 9	ვუთანაგრძნობ
თაყვანისცემა (= ლოცვა, მსახურება)		
თბო- და ელექტროენერგია	გვ. 285 № 4	თბო და ელექტროენერგია
თეატრალიზებული	როგორც მე-10 გვ-ის № 1-შია	თეატრალიზირებული (ორ)
თვალწინ, ჩემ თვალწინ		ჩემს თვალწინ
თვე-ნახევრის წინ		თვენახევრის უკან
თვითონ	გვ. 253	თითონ
თვით**მ**ფრინავი		თვითფრინავი
თვითმყოფადობა		
თვრება	გვ. 400 № 14	ითრობა
თითოეული	გვ. 259 № 23	თითეული, თვითოეული
თითოეული / ზოგი თქვენგანი	გვ. 259 № 23	თითოეული თქვენთაგანი (ორ)
თითო-თითო		
თითო-ოროლა		
თორემ		თორე, თვარა
თრომბი		ტრომბი
თუგინდ		თუ გინდ
თუ ვინიცობაა		
თუკი	გვ. 521 № 1	თუ კი
თქვენ გამო/გარდა/მიერ/შესახებ,	**მაგრამ**: თქვენ**ს** მეგობარს გვ. 259 № 22	თქვენს გამო/გარდა/მიერ
თქვენგან, თქვენკენ		თქვენსკენ
თქვენგანი	გვ. 259 № 23	თქვენთაგანი (ორ)

თქვენი ჭირიმე!	თქვენი ჭირიმეთ (ო)
-თქო (უთხარი, დაბრუნდი-თქო) გვ. 541 № 1	უთხარი, დაბრუნდი-თქვა
თხზულება, თხრობა	ნარატივი (ბარბარიზმი)

ი

იბრძვის	გვ. 426 № 5	ბრძოლობს
იგებს	გვ. 366 № 1	გებულობს
იდაყვი		ინდაყვი
იდეა		იდია
იდეალიზებული	გვ. 165 და 490	იდეალიზირებული (ირ)
იმავე საკითხმა	გვ. 264 № 30	იგივე საკითხმა
იმავეს ამბობს		იგივეს ამბობს
იმალება		მიმალვაშია
იმპროვიზებული	გვ. 165	იმპროვიზირებული (ირ)
იმქვეყნად (შეცვლილი დაწერილობა) გვ. 508 დ		
ინაუგურაცია		ინაგურაცია (+უ)
ინდივიდუალიზებული	გვ. 165 და როგორც 490-ე გვერდზეა	ინდივიდუალიზირებული (ირ)
ინვესტიცია		ინვენსტიცია (ც)
ინიცირება (= ინიციატივის გამოჩენა, ხელის შეწყობა; მაგ. კანონპროექტის ინიცირება)		
ინსტინქტი → ინსტინქტური		ინსტიქტი, ინსტიქტური
ინსტრუმენტული	გვ. 184 № 24	ინსტრუმენტალური (ალ)

ინტელექტუალიზებული როგორც 490-ე გვერდზეა	ინტელექტუალიზირებული (ირ)
ინტელექტი ↓ ინტელიგენტი	ინტილიგენტი
ინტენსივი ↓ ინტენსიური (ურ-ის დართვისას ვ იკარგვის, თუ წინ უძღვის ხმოვანი)	
ინფარქტი	ინფაქტი
ინციდენტი	ინცინდენტი (ც)
იოდიზებული	იოდიზირებული (ირ)
როგორც 165-ე გვერდზეა	
იპოვის	იპოვნის (ნ)
ირეალური	ირიალური
ირონიზებული	ირონიზირებული (ირ)
როგორც 165-ე გვერდზეა	
ირღვევა წესრიგი	ადგილი აქვს წესრიგის დარღვევას (კალკი)
ის ამბობს, რომ	ის იძახის, რომ
ის-ის იყო გვ. 508 № 15	
ის, ვინც გვ. 535 № 15	ის, რომელიც
ისწრაფოდა	ისწრაფვოდა (ვ)
ისხდნენ (ისინი) გვ. 447 № 1	იჯდნენ
იტყობინებიან	იტყობებიან
იტყუება	იტყუილება
იქით	იქეთ
იღებს გვ. 366 № 1	ღებულობს

იღვწის, იღვაწებს	გვ. 425 № 2	იღწვის
იღლება		იღალება
იყიდება		გაყიდვაშია (კალკი)
იშიასი		იშიაზი
იშოვის		იშოვნის
იცვამს (ტანსაცმელს)		იცმევს (**მაგრამ**: სხვას აცმევს)
იწილო-ბიწილო (1. ბავშვების თამაშობა; 2. გადატ. აბდაუბდა).		
იხვეჭს		იხვეჭავს
იხრჩობა		იღრჩობა
იჯარა		არენდა (ბარბარიზმი)

კ

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, **მაგრამ:** ანტონ კათალიკოსი		
კალათა // კალათი		
კამპანია (საარჩევნო)		
კომპანია (= ამხანაგობა, მაგ., სავაჭრო)		
კანცეროგენური		კანცეროგენული
კანფეტი		კამფეტი
კარგა ხანს (იდგა)	გვ. 512 № 18	
კარგი!	გვ. 565 № 4	კარგით!
კარი, კარები	გვ. 47 № 9	კარებები
კასრი		ბოჩკა (ბარბარიზმი)

კატასტროფული		კატასტროფიული (ი)
კატლეტი		კოტლეტი
კაქტუსი		კაკტუსი
კაცი, რომელიც		კაცი, ვინც
კეთილი შური		თეთრი შური
კეთილინებეთ		ნება იბოძეთ
კენჭისყრა		კენჭისყრები
კვირები		კვირეები
კვორუმი		ქვორუმი
კივი (შენ)	გვ. 425, № 1	კივიხარ (ხარ)
კილერი		ქილერი
კინტოური		კინტაური
კისრისტეხით	გვ. 245 ე	კისრისმტვრევით
კოლოკვიუმი		კოლოქვიუმი
კომენდანტი		კომენდატი (+ნ)
კომპანიონი		კამპანიონი
კომპაქტდისკი		
კომპეტენცია → კომპეტენტური		კომპენტენცია (ნ) → კომპენტენტური (ნ)
კომპიუტერიზებული	გვ. 490	კომპიუტერიზირებული (ირ)
კომპლიმენტი		კონპლიმენტი
კომპოტი		კამპოტი
კომპრომეტირებული როგორც 165-ე გვერდზეა		კომპრომენტირებული (ნ)
კომფორტი		კონფორტი

კონიუნქტურა – შექმნილი მდგომარეობა	კონიუქტურა	(+ნ)
კონსენსუსი	კონსესუსი	(+ნ)
კონსტატაცია	კონსტანტაცია	(ფ)
კონტინგენტი	კონტიგენტი	(+ნ)
კონტუზია	კანტუზია	
კონფერენცია	კომფერენცია (ფ-ს წინ შეცდომით ენაცვლება ნ-ს მ)	
კონფედერაცია	კომფედერაცია	
კონფლიქტი	კომფლიქტი	
კონფორმისტი	კომფორმისტი	
კორესპონდენტი	კორესპოდენტი	(+ნ)
კორექტურული (შეცდომა)		
კორექტული = ზრდილობიანი, ტაქტიანი (ადამიანი); სწორი, მოსაწონი (საქციელი)		
კოსტიუმი	კოსტუმი	
კრეატიული (არასტანდარტული, შემოქმედებითი)	კრეატული	
კრებს (ხალხს, რიცხვებს)		
კრეფს (ხილს)		
კუბმეტრი	კუბამეტრი	
კურაპალატი	კუროპალატი	

ლ

ლაიტმოტივი	ლეიტმოტივი	
ლაკონიური (← ლაკონია)	ლაკონური	(+ი)
ლამის (წაიქცა)	რამის (წაიქცა)	

ლაპარასკოპია	ლაპაროსკოპია
ლაურეატი	ლაურიატი
ლატარია	ლატარეა
ლეგალიზებული	ლეგალიზირებული (**დრ**)
ლეპტოპი // ლაპტოპი // ნოუტბუკი	
ლექსს ჭაჭავაძისას	ლექსს ჭავჭავაძისა
ლექცია-სემინარები (მრ.)	ლექცია-სემინარი
ლიდერი	ყველაზე ლიდერი
ლიეტუვა (შეცვლილი დაწერილობა)	ლიტვა
ლიმონის	ლიმნის
ლირიკული (← ლირიკა)	ლირიული (**+კ**)
ლუდი	პივა (ბარბარიზმი)
ლუკმაპური, **მაგრამ**: ერთი ლუკმა პური გვ. 283	ლუკმა-პური
ლურსმული	ლურსმნული (**წ**)

მ

მაგათ გადაწყვიტეს	მაგათმა გადაწყვიტეს
მაგალითი მოჰყავს გვ. 435 № 5	მაგალითი მოაქვს
მაგდენი წიგნი	მაგოდენი წიგნები
მაგისი აზრი	მაგის აზრი
მადლობის გადახდა გვ. 357 № 17	მადლობის მოხდა
მაზდეანი	მაზდიანი
მათს ბავშვს (შევხვდი) გვ. 266 № 33	მათ ბავშვს (შევხვდი)
მაინცდამაინც	მაინც და მაინც
მამა გიორგიმ გვ. 32 № 5	მამაო გიორგიმ

მამ'ულიშვილი		მამულისშვილი
მანდ		მაქ, მაქანე
მანი**კი**ური		მანიკური
მანჭვა-გრეხა	გვ. 277 № 4	მანჭვა-გრეხვა (ვ)
მაპროფილებელი (საგანი)		მაპროფილირებელი (ირ)
მართლა და მართლა		მართლადამართლა
მარო**ლ**მადიდებელი		მართმადიდებელი
მაროდიორი		მარადიორი
მასმედია		მას-მედია
მას შემდეგ	გვ. 509 გ	
მას აქეთ		
მას'შტაბი		მაშტაბი
მასხარად (იქცა), **მაგრამ:** მასხრად იგდებს		მასხარად იგდებს
მატარებელი	გვ. 471 № 5	მტარებელი
მატ**ი**ანე		მატეანე
მაღალზნეობრივი		
მაღიარებელი	გვ. 471 № 5	მღიარებელი
მაშია		ბასანოჟკი (ბარბარიზმი)
მაშინ როდესაც	გვ. 537 № 18	
მაქცია (= მითიური არსება, დაწ'ყევლილი ადამიანი, რომელიც საცსე მთვარის დროს იღებს მგლის მსგავსი ცხოველის სახეს)		
მახვში (= უფროსი, ხელმძღვანელი (სვანეთში))		
ქორა მახვში (= სახლის უფროსი)		
მაჯისცემა		მაჯის ცემა

მაჰმადიანი // მუსლიმანი // მუსულმანი (მოძველებ.)
მუსლიმი

მბაძავი // მბაძველი გვ. 491 № 1 ა

მგრძნობიარე, მტკივნეული, სენსიტიური (ბარბარიზმი)
სათუთი

მბრდღვინავი გვ. 491 № 1 ა მბდღვინავი **(+რ)**

მბრჭყვინავი გვ. 491 № 1 ა

მდგარი (ვინც ან რაც **იდგა**)
გვ. 495 № 9

მდგომი (ვინც ან რაც **დგას**)
გვ. 495 № 9

მეგაშოუ (მეგა = უზარმაზარი, დიდი ზომის)

მე და შენ შორის გვ. 517 №№ ჩემ და შენ შორის
6 და 7

მევალე (გამსესხებელი) — მოვალე (ვალის ამღები)

მერე და მერე გვ. 508 № 15

მეტადრე

მეფეთმეფე (= ყველაზე ძლიერი მეფე)
გვ. 281 ზ

მეფეთ[ა] მეფე (შესიტყვებაა, = მეფეთა შორის უმთავრესი)
გვ. 281 ზ-ს
შენიშვნა

მე-7, მე-20 მე-7-ე, მე-20-ე

მთესველი გვ. 470-471 № 4 მთესავი

მიამსგავსა მიამგვანა

მითუმეტეს (შეცვლილი დაწერილობა)		მით უმეტეს
მისაღებია		მიღებადია
მისდამი (// მისადმი)		
მისდაუნებურად	გვ. 507	მისდა უნებურად
მის მიერ		თავის მიერ
მისტიკა → მისტიკური	გვ. 183	მისტიური (+კ)
მისტირის	გვ. 324 № 9 და 323 № 7	
მისხის მისხი (= შორეული ნათესავი)		
მიტანილ იქნა, იქნა მიტანილი	გვ. 419 დ	
მიხრა-მოხრა	გვ. 278 № 9	მიხვრა-მოხვრა (ვ)
მიჰყიდის (ის მას მას)		მიყიდის (ის მას მას), მაგრამ: ის მე მას
მიჰქონდა		მიქონდა
მიჰყავხარ		მიყევხარ
მკვნეტელი	გვ. 470 ბ	მკვნეტავი
მმფარველობს (ის მე)		მფარველობს (ის მე)
მნდომი // მნდომელი	გვ. 406 № 12	
მობილიზებული	გვ. 490	მობილიზირებული (ირ)
მოვალე (= ვისაც ვალი აქვს)		მევალე
მოვალეობის მოხდა	გვ. 349 № 17	
მოვევლე (მე), მოვლე (შენ)		მოვლე (მე)
მოიყვანა მაგალითი/არგუმენტი/ ციტატა/ციფრი	გვ. 435 № 5	მოიტანა მაგალითი...
მოკრიფა	გვ. 323 და 6	მოჰკრიფა
მომილოცავს	გვ. 371 და	მომილოცნია

მომღლელი	გვ. 469 № 2	მომღალავი
მომხდომი		მომხვდური
მონოპოლიზებული	როგორც 490-ე გვერდზეა	მონოპოლიზირებული (ირ)
მონუმენტური	გვ. 184 № 24	მონუმენტალური (ალ)
მოსდებს (ის მას შარს)		მოდებს (+ს)
მოსქო	გვ. 174 № 6	მოსქელო
მოსყიდვა		მოყიდვა
მოსწონს	გვ. 324 № 9ე	მოწონს
მოუყვა (ის მას მას)	გვ. 324	მოუყვა (მან მას ის)
მოქმედი	გვ. 468 № 1	მომქმედი (მ)
მოღიმარი // მღიმარი	გვ. 493 № 3	მომღიმარი (მ)
მოშურნე	გვ. 496 № 12	
მოჩანს		მოსჩანს
მოჩიავარი // მომჩიავანი	გვ. 494 № 5	მომჩიავარი
მოცინარი // მცინარი // მცინარე	გვ. 493 № 3	მომცინარი (მ)
მოწამებრივი		მოწამეობრივი (ო)
მოწმდება		ხდება შემოწმება (კალკი)
მოწყვლადი (= მტკივნეული, საფრთხილო საკითხი, დაუცველი ჯგუფი, რომელიც განსაკუთრებულ მიდგომას, ზრუნვას საჭიროებს, ბარბარიზმი)		
მოჰკითხა	გვ. 323 № 6	მოკითხა
მოჰფარებოდა	გვ. 402 № 19	მოჰფარებიყო
მსჯავრდადებული		მსჯავრდებული
მტრობა		მტერობა

მუდამდღე

მუდამჟამს

მულტიპლიკაციური (ფილმი)	მულტიფიკაციური
მუნდშტუკი	მუშტუკი
მუყაო	კარდონი (ბარბარიზმი)
მუშამბა	კლიონკა (ბარბარიზმი)
მცხოვრები (= ვინც ცხოვრობს)	მაცხოვრებელი (= ვინც აცხოვრებს)
მცხოვრებლები	მცხოვრებები

მწველავი გვ. 469 № 2

მწ**ვ**რთნელი	მწრთენელი
მწინილი	წინილი
მჭადი	ჭადი
მჭევრმეტყველი	მჭერმეტყველი **(+ვ)**

მხარე, მხარის, მხარეები, **მაგრამ:** ყოველი მხრიდან

მხარბეჭი	მხარ-ბეჭი
მხოლოდ და მხოლოდ	მხოლოდდამხოლოდ

მხოლოობითი // მხოლობითი (გრამატიკული რიცხვი)

მხტუნავი გვ. 492 ბ

მხცოვანი (← მხცე = ჭაღარა)	მცხოვანი
მჯერა	მჯერავს

მჯობი (← სჯობია) გვ. 294 № 8

მჯობნი (← სჯობნის) გვ. 294 № 8

ნ

ნაანგარიშები	გვ. 483 № 9	ნაანგარიშევი
ნავსაყუდელი		ნავთსაყუდელი (თ)
ნაბარები	გვ. 482 № 8	ნაბარევი
ნავარაუდევი	გვ. 483 № 10	ნავარაუდები
ნათლისღება		
ნათხოვი (ცოლი), ნათხოვნი (ნებართვა), ნათხოვარი (წიგნი)	გვ. 496	
ნაკლებგავრცელებული, **მაგრამ:** ნაკლებად გავრცელებული		
ნატვრის ხე		ნატვრისხე
ნატიურმორტი – ნახატი, რომელზეც გამოსახულია ყავილები, ხილი, ნანადირევი, გაწყობილი სუფრა		
ნაუცბადევი		ნაუცბათევი
ნაქმარები (ვისაც ქმარი ჰყავდა)	გვ. 484	ნაქმარევი
ნაქმრევი (ვინც ქმარი იყო)		ნაქმრები
ნაშვილები (ვინც იშვილეს)		ნაშვილევი
ნაჩქარევი	გვ. 483 № 10	ნაჩქარები
ნებსით თუ უნებლიეთ	გვ. 508 № 15	ნებსით თუ უნებლიედ
ნევროზი – ნერვული სისტემის დაავადება (უსლ)		ნერვოზი
ნერვი, ნერვული (დაავადება), **მაგრამ:** ნერვიული (ადამიანი)		ნევრი
ნიღბის		ნიღაბის
ნიშანსვეტი – მნიშვნელოვანი მომენტი, საფეხური, ეტაპი რისამე განვითარებაში (ქეგლ)		ნიშან-სვეტი

(ერთცნებიანი კომპოზიტია) გვ. 284 ა

ნიშანწყალი – მცირე რამე, რისამე მანიშნებელი, რისამე კვალი-ნასახი, ნატამალი (ქეგლ) გვ. 284 ა	ნიშან-წყალი
ნემსი	ნევსი
ნოუტბუკი	ნოუთბუქი
ნული . გვ. 222 № 33	ნოლი, მაგრამ სწორია: ორმოცდაერთით ნოლი
ნუმერაცია	ნომერაცია
ნურცერთი თქვენგანი გვ. 266	ნურც ერთი თქვენთაგანი (ფა)
ნუსხური	ნუსხახუცური

ო

ობლომოვშჩინა გვ. 165 № 2	
ოთხწელწად-ნახევარი გვ. 220 № 30	
ორთვე-ნახევარი გვ. 220 № 31	ორ-თვენახევარი
ორ-ნახევარი გვ. 220 № 30	
ომბუდსმენი	ომბუსმენი (+დ)
ორადორი გვ. 201	ორად ორი
ორანგუტანგი	ორანგუტანი (+გ)
ორგანი	ორღანი
ორდინარული (= ჩვეულებრივი)	ორდინალური
ორ- და სამსართულიანი გვ. 285 № 4	ორ და სამსართულიანი
2- თუ 3-სართულიანი გვ. 285 № 4	2 თუ 3-სართულიანი
2-, 3- ან 4-სართულიანი გვ. 285 № 4	

ორი ათასმა, **მაგრამ**: ორმა მილიონმა გვ. 207	ორმა ათასმა
ორივე მოვიდა	ორივე მოვიდნენ ან ორთავე მოვიდა
ორივენი მოვიდნენ	ორთავენი მოვიდნენ
ორი **ოქროს** მედალი (ის-ელემენტიანი მსაზღვრელი აღნიშნავს მასალას) გვ. 127 ა და ბ	ოქროს ორი მედალი
ორი **ჩაის** ტილო (აღნიშნავს დანიშნულებას)	ჩაის ორი ტილო
ორი **გოჭის** ფეხი (აღნიშნავს წარმომავლობას)	გოჭის ორი ფეხი
მამაჩემის ორი მედალი (აღნიშნავს საკუთრებას) გვ. 128 გ	ორი მამაჩემის მედალი
ზამთრის ცივი ღამე (აღნიშნავს კუთვნილების ნიუანსს)	
ორიოდ-სამიოდე	
ორი საუკუნის წინ // წინათ გვ. 510 ე და ვ	ორი საუკუნის უკან
ორმოცი-ორმოცდაათი	ორმოც-ორმოცდაათი
ორნაქმარები (= ვინც ორჯერ იყო გათხოვილი)	
ორ-ორი; ორ-ორჯერ	
ორსაათ-ნახევარი,	ორ საათ-ნახევარი
ორსერიიანი	ორსერიანი
ორქიდეა (= ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარე, აქვს სურნელოვანი ყვავილები)	ორხიდეა
ორშაბათი დილა	ორშაბათ დილა
ორწყალშუა	

ორჯერ-სამჯერ

ოქროსფერი

ოღროჩოღრო

ოჯახისთავი

პ

პალიმფსესტი (= ეტრატ-ხელნაწერი, რომელზეც ძველი ტექსტი გადაფხეკილია და ახალია დაწერილი) პალიმსესტი (+ფ)

პარადიგმა (= რომელიმე სიტყვის ფორმათა ტაბულა, როგორც ბრუნების ან უღლების ნიმუში)

პარადოქსული (= უჩვეულო აზრი, მსჯელობა, განსხვავებული საყოველთაოდ აღიარებულისაგან) პარადოქსალური (~~ულ~~)

გვ. 184 № 24

პარალიზებული როგორც 490-ე გვერდზეა პარალიზირებული (~~ირ~~)

პარასკეობით პარასკევობით (~~ე~~)

პარაფირება (= საერთაშორისო ხელშეკრულებაზე წინასწარი ხელმოწერა მხოლოდ ინიციალებით ოფიციალურ ხელმოწერამდე (უსლ))

პარაფრაზი // პერიფრაზი (= გამოთქმა, რომელიც აღწერით გადმოსცემს სხვა გამოთქმის ან სიტყვის აზრს)

პარიტეტული
(= მხარეთა თანასწორობაზე დაფუძნებული (უსლ))

პასქა (= სააღდგომო ნამცხვარი) პასკა

პატივსაცემი საპატიცემო

პატიობს აპატიებს

პატიჟებს პატიჟობს

პედიკიური პედიკური

პენიტენციარული პენიტენციალური

პენიტენციური პენიტენციული

პერსონა გრატა (= სასურველ კანდიდატურად მიჩნეული პირი)

პერსონა ნონ გრატა
(= არასასურველი პირი)

პერფორმანსი (= სპექტაკლი, წარმოდგენა, სანახაობა)
ბარბარიზმია

პიარი ფიარი

პიედესტალი პედესტალი

პილიგრიმი

პიჟამა პიჟამო

პირველი, 1-ელი // 1-ლი
გვ. 219, 229 და 215 № 21

პირი // ასლი კოპიო (ბარბარიზმი)

პირისახე

პირმშო პირველი პირმშო
(პირველი)

პლაჟი პლიაჟი (ჟ)

პლასტილინი პლასტელინი

პლეადა	პლიადა	
პლებისციტი (= საერთო-სახალხო კენჭისყრა)		
პლინთუსი (= ლარტყა)	პლინტუსი	
პლუსი	პლიუსი	(ი)
პნევმონია (= ფილტვების ანთება)		
პოვა (მან ის)	ჰპოვა	(ჰ)
პოლიომიელიტი	პოლიომელიტი	(+ი)
პოლიტიზებული როგორც 490-ე გვერდზეა	პოლიტიზირებული	(ირ)
პოპვარსკვლავი	პოპ-ვარსკვლავი	
პორტფოლიო	პორთფილიო	
პოსტსკრიპტუმი (P.S.) (= მინაწერი წერილის ბოლოს)		
პოსტფაქტუმი		
პოტენციური	პოტენციალური	(ალ)
პრანჭვა-გრეხა	პრანჭვა-გრეხვა	(ვ)
პრეამბულა (= მნიშვნელოვანი აქტის შესავალი ნაწილი)		
პრევენცია (= წინასწარი ზომების მიღება რისამე თავიდან ასაცილებლად)		
პრეზუმფცია (= ვარაუდზე დამყარებული მოსაზრება, რაიმე ვარაუდის აღიარება სარწმუნოდ, სანამ არ დამტკიცდება მისი მცდარობა)	პრეზუმცია	(+ფ)
პრემიერ-მინისტრი **(// პრემიერმინისტრი – ახლად დაშვებული ფორმა)**		
პრეტენდენტი	პრეტედენტი	(+ნ)

პრეცედენტი (= პირველად მომხდარი რამ)

პირველი პრეცენდენტი (პირველი)

პროსპექტი // გამზირი

პუდრი

პუდრა

პურღვინო გვ. 281 № 2 ა

პუტჩი, პუტჩისტი

პუჩტი, პუჩტისტი

ჟ

ჟალუზი-მ გვ. 19 № 16 გ

ჟალუსმა

ჟამთააღმწერელი

ჟღალი (თმა)

ჟღალისფერი

ჟამთა სვლა

ჟლეტს, ჟლიტა გვ. 368 № 4

ჟლიტავს

ჟრჟოლა

ჟრუოლვა

ჟიური, ჟიურიმ გვ. 19 № 16 გ

ჟიურმა

ჟურნალი „თბილისელები“, ჟურნალმა „თბ-მა“, ჟურნალ „თბ-ებს“, ჟურნალ „თბ-ის“, ჟურნალ „თბ-ებით“, ჟურნალ „თბ-ებად“, ჟურნალო „თბ-ებო“ გვ. 47

ჟურნალი „თბილისელების“ (ნათ. ბრ.)

ჟურნალი „თბილისელებით“ (მოქმ. ბრ.)

ჟურნალ-გაზეთები (მრ.)

ჟურნალ-გაზეთი

ჟღენთს გვ. 368 № 14

ჟღინთავს

რ

რაგბი; რაგბიმ; მორაგბე გვ.19 №16 გ	რაგბმა
რა და რა	
რა და რანაირი	
რადიო- და ტელეგადაცემები გვ. 285 №4	რადიოგადაცემები და ტელეგადაცემები
რა ვიცი	რავი
რატომ არ მოხვედი?	რაზე არ მოხვედი?
რათა გაიგონოს	რადგან გაიგონოს
რა თქმა უნდა	რათქმაუნდა
რამდენი წიგნი	რამდენი წიგნები
რამდენიმე	რამოდენიმე
რამდენიმე მოსწავლე	რამდენიმე მოსწავლეები
რამდენჯერმე გვ. 501 № 3	რამოდენიმეჯერ
რამის // რამესი (ნათ. ბრუნვა)	
რამსიდიდე	რამსიდიდო
რამსიშორით	
რამეთუ (იხმარება მხოლოდ ზეაწეული სტილით გამართულ მეტყველებაში)	ქურთუკი უნდა ჩავიცვა, რამეთუ მცივა
რაქიტი	რახიტი
რაღაც-რაღაცები	რაღაც-რაღაცეები
რაღაც	რაცხა (დიალექტ.)
რახან	რახამ (დიალექტ.)
რა ხანია	რახანია
რახარუხი	რახირუხი
რაჰათლუკუმი	რახათლუხუმი

რეზუსფაქტორი

რეკომენდებული როგორც 490-ე გვ-ზეა — რეკომენდირებული (არ)

რელიკვია — რელიქვია

რეკავს — რეკს

რეკვიემი — რექვიემი

რელევანტური (= 1. მნიშვნელოვანი, არსებითი, ფასეული; 2. მართებული, დროული, საქმესთან დაკავშირებული)

რესპექტაბელური (= პატივსაცემი, დარბაისლური) ბარბარიზმია

რესპონდენტი — რესპოდენტი (+ნ)

რეფერალი (= სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის უზრუნველყოფა)

როგორ[ა] ხარ? — რავა ხარ? რაფერ ხარ?

როგორც კი — გვ. 521 № 2

რომანტიკა → რომანტიკული — რომანტიული (+კ)
გვ. 182-183 № 23

როცა // როდესაც

რუდიმენტი (= 1. ჩანასახი, საწყისი; 2. გამქრალი მოვლენის ნარჩენი, გადმონაშთი)

რუდიმენტული — რუდიმენტალური (არ)

რუკა — რუქა

რუსთაველური

რუსოფილი (= რუსეთისა და ყოველივე რუსულის მოყვარული)

რუსოფობი (= იმავეს მოძულე)

რცხვენია — გვ. 434 № 2 — სცხვენია

რჯული — სჯული (ძვ.)

ს

საბავშვო	საბავშო
სადავო	სადაო
სადაცაა	საცაა
საერთო-სახალხო	საერთოსახალხო
საერთო-საკაცობრიო	
საერთოქართული	საერთო-ქართული
სათავო (ოფისი)	სათაო
სათვალე (ეკეთა) გვ. 47	სათვალეები (ეკეთა)
სათნოყოფა (= მოწონება)	
სათნოჩინება (= მოწონება, ჯეროვნად მიჩნევა)	
საკინძელა	სტეპლერი (ბარბარიზმი)
საკინძელას ტყვია	საკინძელას სკოპი (ბარბარიზმი)
საკომენდანტო (საათი)	საკომენდატო **(+ნ)**
საკოსტიუმე	საკოსტუმე
სამარშრუტე ტაქსი	მარშრუტკა (ბარბარიზმი)
სამარ**ხვ**ო	სამარხო
სამიოდე, სამიოდ	
სამსახურებრივი	სამსახურეობრივი **(რ)**
სამწერლო (ასპარეზი)	
სამწერლობო (ენა)	
სანდვიჩი	სენდვიჩი
სასმელი, სასმლის, **მაგრამ:** სასმელად, სასმელები	
სასწაულთმოქმედი // სასწაულმოქმედი	

საქმე ისაა, რომ		საქმე იმაშია, რომ (კალკი)
საქორწილო (მზადება), საქორწინო (ბეჭედი)		
საქსოფონი		საქსაფონი
საღამო მშვიდობისა! (მისალმებისას)		საღამო მშვიდობის!
ღამე მშვიდობისა! (დამშვიდობებისას)		
საცობი		პრობკა (ბარბარი'სმი)
სახლ-მუზეუმი	გვ. 279 № 15	
სდის (ცრემლი), **მაგრამ:** დის (წყალი)		
სერბი		
სვამს (სკამზე)		აჯენს
სვამს (ღვინოს)	გვ. 351 გ	ლევს (ღვინოს)
სვიტერი // სვიტრი		
სთავაზობს	გვ. 324 № 8	თავაზობს (+ს)
სთხოვს	გვ. 324 № 8	თხოვს (+ს)
სიმპა**თ**ია		სიმპატია
სი**რ**ოფი		სეროფი
სისტემატურად (// რეგულარულად)		სისტემატიურად (რ)
სისტემურად (= სისტემის მიხედვით)		
სი**უ**იტა = მუსიკალური ნაწარმოები (უსლ)		სუიტა
სიურპრიზი — მოულოდნელი საჩუქარი, მოულოდნელი სასიამოვნო ამბავი (უსლ)		სურპრიზი

სკაბრესული (= უხამსი, უწმაწური)	
სკოლა-ინტერნატი – დახურული ტიპის სასწავლებელი, სადაც მოსწავლეები ცხოვრობენ სახელმწიფოს ხარჯზე (უსლ)	სკოლა-ინტერნეტი
სკრუპულოზური (= 1. დაწვრილებითი; 2. წვრილმანური)	სკურპულოზური
სლოვაკია → სლოვაკიური	სლოვაკური
სნოუბორდი	
სოია	სოიო
სომხეთი	სასომხეთი
სოციალ-ეკონომიკური	
სოციალურ-პოლიტიკური	
სპარტა→სპარტელი → სპარტული	სპარტანული (აღზრდა)
სპეკულანტი	სპეკულიანტი (ი)
სპეციალიზებული გვ. 490 და 165	სპეციალიზირებული (ირ)
სპეციფიკა → სპეციფიკური გვ. 182-183 № 23	სპეციფიური (+კ)
სპორადული (= არამუდმივი; რაც დროდადრო იჩენს თავს)	
სრესს გვ. 352 № 1	სრესავს, სრისავს
სრულად (= უკლებლივ)	
სრულიად (= მთლიანად)	
სრულყოფ, სრულმიყვია გვ. 373 № 15	ვსრულყოფ
სტაბილიზებული გვ. 490	სტაბილიზირებული (ირ)
სტანდარტიზებული გვ. 490 და 165	სტანდარტიზირებული (ირ)
სტატუეტი (= პატარა სტატუა)	სტატუეტკა (ბარბარიზმი)

სტერილიზებული გვ. 490 და 165 სტერილიზირებული ~~(არ)~~

სტილი = ქცევის ან მოქმედების თავისებურებები, მანერა

სტილიზებული გვ. 490 სტილიზირებული ~~(არ)~~

სტილური (მახასიათებლები)

სტილისტური (= ამ თუ იმ სტილთან დაკავშირებული)

სტილისტურად (= სტილის მიხედვით, სტილის თვალსაზრისით)

სტილისტიკური = სტილისტიკის დამახასიათებელი (სტილისტიკური შეცდომები)

სტიპენდია სტეპენდია

სტიპენდიატი სტიპენდიანტი ~~(ნ)~~

სტკივა ტკივა

სტუმარ-მასპინძელი (წამოდგა)

↓

სტუმარმასპინძლობა გვ. 276, შენიშვნა სტუმარ-მასპინძლობა

სულმთლად

სულიწმიდა სულიწმინდა

სულყველა // სუყველა

სულყოველდღე // სუყოველდღე

გვ. 507 გ

სუპერმარკეტი

სუროგატი დედა // დედისმაგიერი

სქემმონაზონი სქიმმონაზონი

sჩადის (საქმეს), ჩადის (კიბეზე) გვ. 326 № 11

სცემა (მან მას) ცემა (მან ის)

სცოდავს	ცოდავს
სცხელა გვ. 326 № 10	
სძინავთ მათ გვ. 329 № 15 ბ	ძინავთ
სძლევს, სძლია (მას)	ძლევს
სძულს გვ. 324 № 9 ე	ძულს
სწამს გვ. 324 № 9 ე	
სწერია (ჯვარი) გვ. 328 № 14	
სწორად (დაწერა)	სწორედ დაწერა
სწორედ (= ზუსტად: სწორედ ამიტომ მიველი)	
სწყურია	წყურია
სწყინს	წყინს
სჭარბობს (ის მას), ჭარბობს (= ბევრია)	ჭარბობს (ის მას) სჭარბობს ის
სჭირდება	ჭირდება
სჯობნის (ის მას)	ჯობნის
სჯობს (ის მას), ჯობს // ჯობია (ასე)	
სჭირს (გრიპი), ჭირს (კარგი ექიმი)	
სხედან (ისინი), მაგრამ: ზის ის გვ. 447	ზიან ისინი, სხედს ხალხი (მოძველებულია)
სხდება (ხალხი), მაგრამ: ჯდება (ის) გვ. 447-449	

ტ

ტაბურეტი	ტაბურეტკა (ბარბარიზმი)
ტატუ	
ტაშისმკვრელი	

ტაშ-ფანდურა, ტაშ-ფანდური

ტელე- და რადიოწამყვანი, ტელე-რადიოწამყვანი გვ. 285 № 4

ტელეპათია – ადამიანის საკუთარი ძალით გადასცეს გრძნობები და ემოციები შორ მანძილზე — ტელეპატია

ტერიტორიული გვ. 184 № 24 — ტერიტორიალური (ალ)

ტერმინთქმნადობა

ტოქშოუ — თოქ-შოუ

ტრამვაი, ტრამვაები (მრ.) — ტრამვაიები

გვ. 19 № 16 გ

ტრავმა — ტრამვა

ტრავმირებული — ტრამვირებული

ტრანკვილიზატორი – ფსიქოტროპული საშუალება, რომელიც დამთრგუნველად მოქმედებს ცნს-ზე, რის მეშვეობითაც სუსტდება ან ქრება ფსიქოზები, მაგ., დაძაბულობა, აღელვებისა და შიშის გრძნობა — ტრანსკვილიზატორი (ს)

ტრანსლაცია — ტრანსლიაცია (რ)

ტრანსპლანტაცია — ტრანსპლატაცია (+ნ)

ტრილერი — თრილერი

ტყისმცველი — ტყის მცველი

ტყუი — ტყუიხარ

ტყუილი — ტყვილი

ტყუპისცალი — ტყუპის ცალი

უ

უარყოფილ იქნეს გვ. 415 № 1 — უარყოფილი იქნას

უგრძნია — უგვრძნია, უგრძვნია (ვ)

უგუნური — უგნური (+უ)

უდავოდ გვ. 500 № 8 — უდაოდ

უვნებელვყავი, უვნებელმიყვია გვ. 373 № 15 — ვუვნებელყავი, ვუვნებელვყავი

უზნეო — უზნეური

უზრუნველვყავი, უზრუნველმიყვია გვ. 373 № 15 — ვუზრუნველყავი

უზრუნველყოფილ იქნა, მაგრამ: იქნა უზრუნველყოფილი — უზრუნველყოფილი იქნა

უკავია (ხელში წიგნი, უკავია თანამდებობა)

უჭირავს (თავი კარგად)

უკარნახებს (ის მას მას) გვ.367 № 2 — კარნახობს

უკაცრაული პასუხია

უკვდავყოფ, უკვდავმიყვია გვ. 373

უკვეცელი, უკვეცლის, მაგრამ: უკვეცელები

უკუვაგდე, უკუმიგდია გვ. 374 № 16

უმეტესწილად // მეტწილად

უმკურნალებია (მისთვის) გვ. 428 № 10 — უმკურნალია

უმსგავსობა — უმსგავსოება (ტ)

უნახავხარ (// უნახიხარ – ახლად დაშვებული ფორმა) გვ. 367

უპასუხებს გვ. 367 № 2 — პასუხობს

უპრეცედენტო		უპრეცენდენტო (ნ)
უსხამს (წყალს), დასხმა		უსხავს
უფრო და უფრო	გვ. 308 № 15	
უღალატია		უღალატნია (ნ)
უქმადმყოფი		
უჩქმიტა		უჩმიტა (+ქ)
უცხოური // უცხო ენა		
უცბად	გვ. 500 № 3	უცბათ
უჯერებს		უჯერის
უხარია	გვ. 434 № 4	უხარიან
უხელმძღვანელებს		უხემძღვანელებს (+ლ)

ფ

ფამილიარული		ფამილარული (რ)
ფანტასტიკა → ფანტასტიკური		ფანტასტიური (+კ)
ფარენჰაიტის სკალა		ფარენგაიტის სკალა
ფართო		ფართე
ფაქტი აშკარაა		ფაქტი სახეზეა (კალკი)
ფაქტობრივი		ფაქტიური
ფეიერვერკი		ფოიერვერკი, ფეერვერკი
ფეისბუკი		ფეისბუქი
ფეიხოა		ფეიხოია (რ)
ფერისცვალება		
ფერფური		
ფეხთით		ფერხთით (რ)

ფეხსაცმლის, **მაგრამ:**
ფეხსაცმელები

ფეხისხმასაყოლილი

ფინანსები (მრ.) გვ. 46 № 6 ფინანსი, მაგრამ: საფინანსო

ფიქციური ფიქტიური

ფლეილისტი (= სიმღერების სია/
კრებული) ბარბარიზმია

ფონენდოსკოპი ფონედოსკოპი (+ნ)

ფორსმაჟორული ფორსმაჟორული

ფსევდომეცნიერული ფსევდო-მეცნიერული

ფშაურ-ხევსურული ფშავ-ხევსურული

ფხრეწს გვ. 368 № 4 ფხრიწავს

ქ

ქალბატონი თამარის, **მაგრამ:** ქალბატონ თამარის
პროფესორ თამარის (ნათ.ბრ.) პროფესორი
თამარის

ქალმა **თავისი** ეჭვი გაგვიზიარა
(ეჭვი ამ ქალისაა)

ქალმა **მისი** ეჭვი გაგვიზიარა
(ეჭვი სხვისია)

ქართული დელეგაცია,
ქართველი დეპუტაცია
გვ. 180 ბ

ქარცეცხლი (I-ცნებიანი კომპოზიტი) ქარ-ცეცხლი

ქედმოუხრელი ქედუხრელი

ქენჯნის, ქენჯნა ქეჯნის, ქეჯნა (+ნ)

ქვა ქვაზედაც

ქველმოქმედი	ქველმომქმედი (მ)
ქვემოდასახელებული, **მაგრამ:** ქვემოთ დასახელებული გვ. 294	
ქვეტექსტი, ქვეცნობიერი	
ქირომანტია	ხირომანტია
ქოლესტერინი	ხოლესტირინი
ქოლეცისტიტი	ხოლეცისტიტი
ქორო	ხორო
ქსელი – ქსლის, **მაგრამ:** სატელეფონო ქსელები	
ქსენოფილია (ზოგადად უცხოელის სიყვარული) გვ. 291	
ქსენოფობია (ზოგადად უცხოელის სიძულვილი) გვ. 291	
ქუდბედიანი	

ღ

ღამე მშვიდობისა! (მხოლოდ დამშვიდობებისას) გვ. 566, 7	ღამე მშვიდობის
ღერი (= ცალი: თმის ღერი)	
ღერო (= მცენარის ტანი: ხის, სიმინდის)	
ღვთისმეტყველი	
ღვთისმშობელი	
ღვთის უკეთესი	
ღონივრად; ღონიერად	
ღონისღონე	
ღუმელი, ღუმლის, მაგრამ: ღუმელები	

ყ

ყაენი (// ყეენი)

ყალბისმქნელი — ყალბისმქმნელი ~~(მ)~~

ყალთაბანდი

ყარაჩოხელი — ყარაჩოღელი

ყბადაღებული თემა (= ხმაურიანი, საკამათო თემა)

ყელიანი ფეხსაცმელი — ბაშმაკი

ყვავის (ის) — ჰყვავის ~~(ჰ)~~

ყველა ესწრება, ყველანი ესწრებიან

ყველა მოსწავლე, რომლებიც — ყველა მოსწავლეები

ყველა მხრით

ყვირი — ყვირიხარ ~~(ხარ)~~

ყიდდა — ყიდიდა

ყიდვა, მაგრამ: სყიდვითი უნარიანობა

ყიფლიბანდი

ყოველდღე/ყოველთვე/ყოველკვირა

ყოველსაათობით, **მაგრამ:** ყოველ საათს

ყოველღამ // ყოველღამე, **მაგრამ:** ყოველ ღამეს

ყოველ წელიწადს, **მაგრამ:** ყოველწლიურად

ყოვლადმოწყალე

ყოვლისშემძლე // ყოვლისშემძლებელი

ყოველივე ეს აისახა... გვ. 294 — ეს ყველაფერი აისახა....

ყრია (ბევრი), გდია (ერთი) გვ. 447

შ

შაებნელი

შამპანური — შამპანიური (რ)

შახტი — შახტა (რუს.)

შაჰინშაჰი

შეამცირეს გვ. 370 № 8 და 318 № 18 — შეამცირენ

შეახედვინებს (← შეხედვა, ← შეხედავს) გვ. 360 № 4 — შეახედინებს (+ვ)

შედგება (ის სკამზე), **მაგრამ**: შესდგება ფეხით (ის მას)

შეევედრა (ის მას მას) გვ. 324 — შეევედრა (მან მას ის)

შეერივნენ გვ. 411 — შეერიენ

შეეხნენ გვ. 379 № 10, 370 № 3, 318 № 18 — შეეხეს

შევატყვე გვ. 389 — შევატყე (+ვ)

შევიტყვე (← შემიტყვია) გვ. 376-377 ბ — შევიტყე (+ვ)

შე კაი კაცო (წოდ. ბრ.)

შესყიდული

შესცოდებს — შეცოდებს

შევვარდნილვარ — შევარდნილვარ (+ვ)

შევარდა (ის/ზოგი), **მაგრამ**: შეცვივდნენ (ისინი), შეცვივდა (ხალხი) გვ. 460-461

შევიდნენ — მოხდა შესვლა (კალკი)

შევუწყვე გვ. 389 — შევუწყე (+ვ)

შეიქნა (ცუდად), შეიქმნა (ახალი რამ)

შესთავაზა მან მას ის — შეთავაზა

შესთავაზეს — გაუკეთდათ შეთავაზება (კალკი)

შეურაცხვყოფ, შეურაცხმიყვია გვ. 373, № 15 — ვშეურაცხყოფ

შემატა — შეჰმატა (ჰ)

შემოვარდა (ბიჭი, 4 ბიჭი, ზოგი ბიჭი), მაგრამ: შემოცვივდა (და-ძმა, უამრავი მაშველი), შემოცვივდნენ (მაშველები) გვ. 448 №№ 4 და 6

შემოიპაროს — შემოიპარნონ (ნ)

შემოქმედი — შემომქმედი (მ)

შენ გამო/გარდა/მიმართ გვ. 518 № 8 — შენს გამო/გარდა/მიმართ

შენ და ჩემ შორის გვ. 258 № 19 — ჩემ და შენ შორის, **მაგრამ**: მე და შენ შორის

შენ მიერ მოწვეულ — შენს მიერ მოწვეულ (ს)

შენკენ გვ. 259 № 22 — შენსკენ (ს)

შენს მეგობარს შევხვდი გვ. 266 № 33 — შენ მეგობარს შევხვდი

შესცილებია გვ. 324 № 9 ა, შენიშვნა

შეცდომა მოუვიდა — შეცდომა დაუშვა

შეძლებს, შეძლო გვ. 323 № 6 — შესძლებს, შესძლო (ს)

შეწყვიტა (მან ის) გვ. 323 № 6 — შესწყვიტა (ს)

შეჯიბრება — შეჯიბრი

შთანთქავს გვ. 355, შენიშვნა და 457 № 11 — შთანთქამს

შთანთქმა გვ. 457 № 11 ა
(გამონაკლისი)

შინაარსობრივი გვ. 175 № 12 შინაარსობლივი

შლაპა შლიაპა

შრამი (= ნაჭრილობევი)

შუაგზა შუა გზა

შუამდგომლობს, ვშუამდგომლობ, მიშუამდგომლია გვ. 428 № 9 შუავმდგომლობ

შუა საუკუნეები საშუალო საუკუნეები

შუასაუკუნეობრივი შუასაუკუნოებრივი

შუქჩრდილი შუქ-ჩრდილი

ჩ

ჩადის (კიბეზე), **მაგრამ:** სჩადის
(დანაშაულს)

ჩავაქრე გვ. 375 № 10ბ ჩავაქვრე

ჩაიხანა (= საჩაიე სახლი)

ჩაკრული ჩაკრობილი

ჩანთა სუმკა (ბარბარიზმი)

ჩანთქმა გვ. 457 № 11 ა

ჩანს სჩანს

ჩაროზი // დესერტი

ჩასძინებია მას ჩაძინებია

ჩაცმის სტილი, მანერა დრესკოდი (ბარბარიზმი)

ჩემ გარშემო, გვ. 259, **მაგრამ:** ჩემს გარშემო

ჩემს იქით (გამონაკლისი)

გვ. 509 ბ და 520 № 15-ის შენიშვნა	
ჩემდათავად, ჩემდაუნებურად	ჩემდა უნებურად
გვ. 507 გ	
ჩემ შემდეგ, ჩემ წინ გვ. 509 ბ	ჩემს შემდეგ / წინ
ჩვარი	მჩვარი (მ)
ჩვენგანი გვ. 260	ჩვენთაგანი (თა)
ჩვენ შორის გვ. 258 და 517 № 6	ჩვენს შორის
ჩრდილოელი	ჩრდილოეთელი (ეთ)
ჩიფსი	ჩიპსი
ჩხრეკს გვ. 368 № 4	ჩხრიკავს

ც

ცალკეული გვ. 271 № 34-ის შენიშვნა	
ცალ-ცალკე	
ცამოწმენდილზე	
ცვლის (ის მას), გაცვალა	სცვლის (პირდაპირ ობიექტს III პირში ნიშანი არა აქვს)
ცივილიზებული (= კულტურული, ცივილიზაციას ზიარებული) როგორც 165-ე გვერდზეა	ცივილიზირებული (ირ)
ცივილური (= არასამხედრო, სამოქალაქო)	ცივილური ქცევა
ცილისმწამებელი, **მაგრამ:** ცილს სწამებს	ცილის მწამებელი
ციროზი	ცეროზი
ცისფერთვალა // ცისფერთვალება	

ციტატა მოიყვანა გვ. 435 № 5	ციტატა მოიტანა
ციხე-სიმაგრე (ახალი დაწერილობა)	ციხესიმაგრე
ცოლისდა	ცოლის და
ცოლ-ქმარი, რომლებიც	ცოლ-ქმარი, რომელიც
ცოტახანს (დამელოდე), **მაგრამ**: ცოტა ხანს გაევლო	
ცოტ-ცოტათი, მაგრამ: ცოტცოტაობით	
ცრუმოწმე	ცრუ მოწმე
ცრუპატრიოტი	ცრუ პატრიოტი
ცხადვყოფ, ცხადმიყვია გვ. 427 № 9	ვცხადყოფ, ვცხადვყოფ
ცხრა მთას იქით (მყარი გამოთქმა) გვ. 524	ცხრა მთის იქით

ძ

ძალიან	ძაან
ძალზე	ძალზედ
ძალმიძს, ძალგიძს, ძალუძს, ძალმედვა, ძალგედვა, ძალედვა	გძალუძს
ძეხორციელი	
ძველთაძველი // ძველისძველი	
ძვირი	ძვირიანი
ძირითადად	ძირითადში
ძიძიშვილი	
ძმისწული	
ძღვენით (მოვიდა)	

ძღვნად (მიართვა)

ძვ. წ. – ძველი წელთაღრიცხვით

ძლიერ ძრიელ

ძლივძლივობით

ძმადნაფიცი

ძმადშეფიცული

ძუ მგელი

წ

წამდაუწუმ

წარმოჩნდა წარმოჩინდა (თ)

წარდგა ის წარსდგა (ხ)

წაღებულ იქნა გვ. 415 № 1 ა წაღებული იქნა

წევს, ვწევარ ვწევვარ

წეწვა-გლეჯა წეწვა-გლეჯვა (ვ)

წვენი, წვნის, **მაგრამ:** წვენები გვ. 10

წვრთნის გვ. 369 № 6 წრვთნის

წიდა შლაკი

წინა თარიღით გაფორმება უკანა რიცხვით გაფორმება

წინადღეს; წინადღით წინა დღეს; წინა დღით

წინათ (← წინა-ით) წინად

წინათქმა // წინასიტყვაობა // წინასიტყვა

წიწილა (ქათმისა), წიწილი (გველისა)

წლეულს		წრეულს	
წლითიწლობით		წლითი წლობით	
წლინახევრის			
წელიწად-ნახევრის			
წლისთავი (ასი)			
წმენდს	გვ. 368	წმინდავს	
წმიდათაწმიდა		წმინდათა წმინდა	(ნ)
წუთიწუთზე (მოვა)			
წუხს, წუხხარ (შენ)	გვ. 375 № 18	წუხარ	(+ნ)
წყვეტს	გვ. 368 № 4	წყვიტავს	

ჭ

ჭაპანწყვეტა			
ჭერქვეშ			
ჭვალი		მჭვალი	(მ)
ჭვარტლი		მჭვარტლი	(მ)
ჭვირნიშანი (გამჭვირვალე გამოსახულება ქაღალდში, ქაღალდის ფულის ჭვირნიშანი – ქეგლ)			
ჭვირსანიშნი (რითაც ფურცელზე მონიშნავენ ტექსტის რომელიმე მონაკვეთს)		მარკერი	
ჭვრეტს	გვ. 368 № 4	ჭვრიტავს	
ჭიკარტი		კნოპკა (ბარბარიზმი)	
ჭინჭარი		ჯინჭარი	

ხ

ხალხი მოკლეს	გვ. 447	ხალხი დახოცეს
ხალხმა/ყველამ თავისი...	გვ. 277	ხალხმა/ყველამ თავიანთი
ხანდახან		ხანდისხან
ხბოები // ხბორები		
ხელმოწერა, **მაგრამ:** ხელის მოწერა		
ხელოვანი, ხელოვანის, ხელოვანები **(შეცვლილი დაწერილობა)**		ხელოვნის
ხეტიალობს	გვ. 358 გ	ხეტიალებს
ხეტყე	გვ. 281 № 1 ა	ხე-ტყე
ხვალ		ხვალე
ხვალღამ, მაგრამ: ხვალ ღამით		
ხვრეპს	გვ. 368	ხვრიპავს
ხმა-კრინტი		
ხორვატია, ხორვატიული		
ხორვატი		
ხრიალებს	გვ. 358 გ	ხრიალობს
ხსნადი	გვ. 489 № 23	
ხუთ-ექვსჯერ, ხუთჯერ-ექვსჯერ		
ხურდამურდა		ხურდა-მურდა
ხუცესმონაზონი		ხუცეს-მონაზონი

ჯ

ჯაბნის, დაჯაბნა მან ის	O₃ პირდ.	სჯაბნის (III პირდაპირობიექტურ პირს ნიშანი არა აქვს) (ს)
ჯაზბენდი		

ჯდება (ის), მაგრამ სხდებიან (ისინი), სხდება (ხალხი) გვ. 447-449

ჯანმრთელობა — ჯამთელობა (+ნ)

ჯობია (ის ასე), **მაგრამ:** სჯობს (ის მას) — სჯობია (ის), ჯობს (ის მას)

ჯელი // ჯეილი

ჯერ ერთი... მეორეც... — ჯერ ერთი... მეორეც ერთი...

ჯვრისწერა (// ჯვარისწერა)

ჯღაბნის

ჰ

ჰაბიტუსი (გარეგნული შესახედაობა)

ჰაგიოგრაფია (ლიტ-რა, რომელშიც აღწერილია წმინდანთა ცხოვრება) — აგიოგრაფია

ჰაი, გიდი გვ. 565 № 2

ჰალვა — ხალვა

ჰალუცინაცია (არარსებული საგნებისა და ხმების მოჩვენება) — გალუცინაცია

ჰარამხანა (მუსლიმანის სახლში მისი ცოლებისათვის გამოყოფილი ბინა) — ჰარემი

ჰაუპტვახტი (დასაპატიმრებელ სამხედრო მოსამსახურეთა მოსათავსებელი სადგომი) — გაუბახტი

ჰბაძავს ის მას გვ. 324 № 9 გ — ბაძავს

ჰგავს ის მას	გვ. 323 № 1	გავს
ჰგავხარ		ჰგევხარ
ჰგვრის ის მას მას		გვრის
ჰგონია	გვ. 324 № 9 ბ	გონია
ჰემოგლობინი		გემოგლობინი
ჰეპატიტი		გეპატიტი
ჰიმნი		გიმნი
ჰკარნახობს	გვ. 324 № 8	კარნახობს
ჰკითხავს	გვ. 324 № 8	კითხავს
ჰპირდება, დაჰპირდა ის მას მას	გვ. 324 № 9 ა	პირდება, დაპირდა მან მას ის
შენიშვნა		
ჰქვია	გვ. 324 № 9 ბ	ქვია
ჰქონდა		ქონდა
ჰყავს (ავტომანქანა)	გვ. 323 № 7; გვ. 324 № 9 ე და 436 № 6	აქვს (ავტომანქანა)
ჰყვარებია		ყვარებია
ჰყვება		ყვება
ჰუმანოიდები (= ადამიანის მსგავსი)		

შენიშვნა: შეცვლილი დაწერილობები შეტანილია ახალი ორთოგრაფიული ლექსიკონიდან „მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“ (რედაქტორი – თამარ ვაშაკიძე, თბ., 2016).

ბარბარიზმები

„ბარბარიზმია ყოველი უცხო სიტყვა, რომლის საჭიროებაც ენაში არ არსებობს (შესაბამისი სიტყვა მას უკვე მოეპოვება), ანდა რომლის გამოყენებაც ჯერ სპეციალისტების მიერ არ არის სანქცირებული“ (ავთანდილ არაბული)[344].

როგორც აღნიშნავენ, ნარევი მეტყველება უმთავრესად ახასიათებთ ნახევრად განათლებულ ან შეუგნებელ, მეტიჩარა ადამიანებს[345]. უცხოური სიტყვებით ზედმეტად გატაცება საზიანოა ეროვნული ენისათვის. საჭიროა ენის დანაგვიანების წინააღმდეგ თავდაუზოგავი ბრძოლა, რადგან, როგორც გრიგოლ ორბელიანი ამბობს: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..“ ქვემოთ ჩამოთვლილია ყველაზე ხშირად ხმარებული ბარბარიზმები.

ბარბარიზმი	**ქართული შესატყვისი**
ამწეკრანი	ამწე
აპლიკანტი	განმცხადებელი
ატვიორტკა	სახრახნისი
აფლოუდი, აფროუდინგი	ატვირთვა
ბაგაჟნიკი	საბარგული
ბაკი	ავზი
ბალეშჩიკი	ქომაგი, გულშემატკივარი
ბალკონი	აივანი
ბარგალკა	კუთხსახერხი, კუთხოვანა
ბასანოჟკი	მაშია
ბასეინი	აუზი
ბაშმაკი	ყელიანი ფეხსაცმელი

[344] ავთანდილ არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004, გვ. 235.

[345] ნიკანდრო ბასილაია, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1991, გვ. 105.

ბეგრაუნდი	ფონი, კონტექსტი, განათლება, ცოდნა, წარმომავლობა, ოჯახი
ბეისბოლი	კეტბურთი
ბენეფიციარი (= პირი, რომელიც იღებს უფლებას ან სხვა სახის სარგებელს განსაზღვრული დოკუმენტის საფუძველზე)	მოსარგებლე
ბონჟურ	გამარჯობა
ბრასლეტი	სამაჯური
ბროშკა	გულსაბნევი
ბუბლიკი	ბლითი
ბულინგი	ჩაგვრა, აბუჩად ადგება, დაშინება-დატერორება, გარიყვა (გვხვდება ძირიდათად სკოლებში)
ბულკი	ფუნთუშა
გაიდლაინი	სახელმძღვანელო პრინციპი, რეკომენდაცია, ინსტრუქცია
გაიკა	ქანჩი
გალსტუკი	ჰალსტუხი
გატისკვა	წნეხში გატარება
გაშეარება	გაზიარება
გლამურული	ბრწყინვალე
გლუშიტელი	მაყუჩი
გრელკა	სათბურა
გრეჩიხა	წიწიბურა
დაანონსება	წინასწარ გამოცხადება
დააფდეითება	განახლება
დაპოსტვა	რეკლამის გაკეთება, პოპულარობის გაზრდა
დაგრუზვა	დათრგუნვა
დაედითება	რედაქტირება, გასწორება (ტექსტისა)

დათაგვა	მონიშვნა
დაკლიკება	დაწკაპუნება
დაუნლოუდი, დაუნლოუდინგი	ჩამოტვირთვა
დაფორვარდება	გადაგზავნა
დაქენსელება	გაუქმება
დაშიარება	გაზიარება
დაჩექინება	დარეგისტრირება
დედლაინი	ბოლო ვადა, ვადაში ჩატევა, მოსწრება
დეფინაცია	განმარტება
დიფერენციაცია	განმიჯვნა, განსხვავება
დრაივი	მუხტი
დრესკოდი[346]	ჩაცმის სტილი ან მანერა, ჩაცმულობა
ელექტრიჩკა	ელექტრომატარებელი
ელიმინაცია	აღმოფხვრა
ემერჯენსი	სასწრაფო დახმარება, სასწრაფო დახმარების მანქანა
ენდიუზერი	საბოლოო მომხმარებელი
ესკალაცია	გამწვავება
ვაბშე	საერთოდ
ვალიდური	სარწმუნო, მოქმედი და კანონიერი ძალის მქონე
ვანა	აბაზანა
ვედრო	სათლი
ვეშოლკა	საკიდი
ვიზა ფასილიტაცია	ვიზის მიღების გაადვილების პროცესი
ვიჩინა	შაშხი
ვოლი	კედელი
ვორქშოპი	სამუშაო შეხვედრა, სემინარი

[346] თამარ მახარობლიძე, ზოგი რამ უცხო სიტყვათა შესახებ, ქსკს, წიგნი XIV, გვ. 122.

ზაგარი — ნამსეური, რუჯი
ზაგლუშკა — სახშობი
ზაჟიგალკა — სანთებელა

თინეიჯერი — ყმაწვილი, მოზარდი
თიმი — გუნდი, ჯგუფი

იგნორირება — უგულებელყოფა
ივენთი — ღონისძიება
იმეილი — ელექტროფოსტა
იმპლემენტაცია (= საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესრულება) — შესრულება, განხორციელება, რეალიზაცია
ინოვაცია — სიახლე
ინსპირაცია — შთაგონება
ინსტალაცია — მონტაჟი, განთავსება (სივრცეში, ჰაერში, მიწაზე, წყალზე)
ისტებლიშმენტი — მმართველი წრეები
იუზერი — მომხმარებელი

კალბასი — ძეხვი
კანატკა — საბაგირო
კაპლი — წვეთები
კაროჩე — მოკლედ
კასტინგი — შერჩევა
კაშნი — კაშნე, ყელსახვევი
კიპიტელნიკი — მადუღარა
კლიზმა — ოყნა
კლუჩი — ქანჩის გასაღები
კოაბიტაცია, კოჰაბიტაცია — თანაცხოვრება, თანაარსებობა
კოლაბორაცია — თანამშრომლობა, ერთობლივი მუშაობა
კორუფცია — მექრთამეობა
კოფიბრეიკი — შესვენება ყავით ან ჩაით
კრანი — ონკანი
კრეატიული — შემოქმედებითი

კრიშა — სახურავი
კრიშკა — ხუფი
კუმირი — კერპი
კურტკა — ქურთუკი

ლაითი — მსუბუქი, იოლი
ლაივი — პირდაპირი ეთერი
ლაიქი — მოწონება
ლამპოჩკა — ნათურა
ლანჩი — მსუბუქი სადილი
ლეგიტიმაცია — დაკანონება
ლინკი — ბმული
ლიდერშიპი — ხელმძღვანელობა, ხელმძღვანელი
ლოკაცია — ადგილი, ადგილმდებარეობა
ლუზერი — უიღბლო, ხელმოცარული, უხეირო, უვარგისი ადამიანი
ლუსტრაცია — გამოაშკარავება

მაზი — საცხი
მაზოლი — კოჟრი
მაიატნიკი — ქანქარა
მაიკა — მაისური
მალინა — ჟოლო
მარიაჟი — პრანჭვა
მაროჟნი — ნაყინი
მარშრუტკა — სამარშუტო ტაქსი
მერჯინგი — შერწყმა
მითინგრუმი — შესვენების ოთახი
მესიჯი — შეტყობინება
მონიტორინგი — მეთვალყურეობა
მოწყვლადი — მტკივნეული, საფრთხილო
მოხოდვა — მოქმედების დაწყება, ენერგიაზე მოსვლა, მოტივაციის შექმნა

ნაგლი	თავხედი
ნაკანეჩნიკი	ბუნიკი
ნარატივი	თხრობა, თხზულება, ამბის მოყოლა
ნასკი	წინდა
ნასოსი	საქაჩი
ნეოვორქინგი	კონტრაქტები, კავშირები, ურთიერთობები
ნიუსი	ახალი ამბავი
ოქეი	კეთილი
პადაკონნიკი	რაფა
პადზემკა	მიწისქვეშა გადასასვლელი
პადიეზდი	სადარბაზო
პაკრიშკა	საბურავი
პარკინგი	ავტოსადგომი
პასტა	ბურთულიანი კალამი
პერაუკი	ღვეზელი
პერფორმანსი	სპექტაკლი, სანახაობა, წარმოდგენა
პესოკი	შაქრის ფხვნილი
პეჩენია	ნამცხვარი
პივა	ლუდი
პლასკაგუფცი	ბრტყელტუჩა
პლაში	საწვიმარი, ლაბადა
პლიტა	ქურა
პოდნოსი	სინი, ლანგარი
პოლი	იატაკი
პონჩიკი	ფუნჩულა
პოპკორნი	ბატიბუტი
პრავადნიკი	გამცილებელი
პრარაბი	საქმის მწარმოებელი
პრიცეპი	მისაბმელი
პრობკა	საცობი
პროვაიდერი	მიმწოდებელი

პროსტინა	ზეწარი
პროსტა	უბრალოდ
პრუჟინა	ზამბარა
შესტი	თუნუქი
ჟილკა	ჟინი
ჟოლობი	საწვიმარი ღარი
ჟუჟაჩკა	საღეჭი რეზინი
რაზბავიტელი	განმზავებელი
რაზგონი	გაქანება
რაკეტკა	ჩოგანი
რაკოვინა	ნიჟარა
რაფინირებული	დახვეწილი
რეგულაციები	წესები
რეკრუტირება	აყვანა, მოზიდვა
რელევანტური	1. მნიშვნელოვანი, არსებითი, ფასეული; 2. მართებული, დროული, შესაბამისი, საქმესთან დაკავშირებული
რიმეიკი	გადამუშავება, გადამუშავებული
რესპექტაბელური	პატივსაცემი, დასაფასებელი, დარბაისლური
რუმკა	სირჩა
სალიარკა	დიზელის საწვავი
სალფეტკი	ხელსახოცი
საპოჟკები	ჩექმა
საროჩკა	პერანგი
სგუშონკა	შედედებული რძე
სეილი	ფასდაკლება
სელებრითი	ცნობილი / პოპულარული ადამიანი
სემიჩკა	მზესუმზირა
სენსიტიური	მტკივნეული, მგრძნობელობითი, სათუთი, ფაქიზი

სერი	რუხი
სეტკა	ბადე
სვარკა	შედუღება
სიმკარტა	ბარათი
სმეტანა	არაჟანი
სოსკა	მაწოვარა
სტაფი	თანამშრომლები, პერსონალი
სტაფმითინგი	თანამშრომლების შეკრება, სხდომა
სტენკა	კედელი
სუიციდი	თვითმკვლელობა
სუმკა	ჩანთა
სუხარი	ორცხობილა
სფიჩი	სიტყვა, გამოსვლა
ტაბურეტკა	ტაბურეტი
ტავარი	საქონელი
ტაჩკა	ურიკა
ტოლერანტობა	შემწყნარებლობა
ტორმუზი	მუხრუჭი
ტრანსფორმაცია	გარდაქმნა
ტრენდი	მიმართულება, ტენდენცია
ტუმბოჩკა	ტუმბო
უბორკა	დალაგება
უგალოკი	კუთხის დივანი
უგოლნიკი	კუთხოვანი რკინა, კუთხოვანა
უდლინიტელი	დამაგრძელებელი სადენი
უიკენდი	შაბათ-კვირა
უნივერსი	სამყარო
ფართი	წვეულება, შეკრება, მიღება, დროსტარება
ფანარი	ფარანი
ფართუკი	წინსაფარი
ფასფორდი	პაროლი

ფეიკნიუსი	ყალბი ინფორმაცია
ფეისი	სახე
ფეჩი	ღუმელი
ფიგურანტი	მონაწილე, მოქმედი პირი
ფიდბექი	გამოხმაურება
ფლეილისტი	სიმღერების სია/კრებული
ფორმირება	შექმნა
ფრენდი	მეგობარი
ქეისი	1. კერძო შემთხვევა, სასამართლო საქმე, შემთხვევა სასამართლო პრაქტიკაში; 2. მობილური ტელეფონის და სხვ. ჩასადები
ქვიზი	(წერითი) ტესტი
შირმა	თეჯირი
შკაფი	კარადა
შლიფოვკა	ხეხვა, დახვეწა
შოკირება	გაოგნება
შოპინგი	საყიდლებზე სიარული მაღაზიებში
შპაკვლა	ფითხნა
შტამი	მიკროორგანიზმების წმინდა კულტურა, საფუძველი
შუბა	ქურქი
ჩაო	ნახვამდის
ჩაინიკი	ჩაიდანი
ჩაშკა	ფინჯანი
ჩელენჯი	გამოწვევა
ჩიფსები	ხრაშუნა
ჩულანი	საკუჭნაო
ცეპი	ჯაჭვი
ცეპლენიე	გადაბმულობა

ხალასტოი	უქმი სვლა
ხამუტი	ცალუღი
ხრუსტალი	ბროლი
ჰაბი	ცენტრი
ჰაილაითი	მნიშვნელოვანი მომენტი
ჰაუსი	სახლი
ჰობი	გატაცება
ჰოლი	შესასვლელი
ჰონორარი	გასამრჯელო

იხ. ინტერნეტი: http://barbarisms.com ბარბარიზმების ონლაინლექსიკონი და უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

კ ა ლ კ ე ბ ი

კალკი, ენათმეცნიერული გაგებით, არის სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც აგებულია სხვა ენის სიტყვის ან გამოთქმის მიხედვით (უსლ)[347]. როგორც არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავს, კალკი გვაქვს მაშინ, როდესაც ახალი სიტყვის წარმოებისას (ანდა გამოთქმის შექმნისას) მასალას საკუთარს იყენებენ, ოღონდ სესხულობენ სიტყვის წარმოქმნის პრინციპს (ანდა მთელი გამოთქმის შედგენის წესს)[348].

კალკი, როგორც სესხების ერთი სახე, მაშინაა დადებითი მოვლენა, როდესაც იგი ზუსტად გამოხატავს აზრს და აკლებს მშობლიურ ენას (თუ მისი შესატყვისი სიტყვა ან გამოთქმა არ გვაქვს მშობლიურ ენაში)[349]. ასეთი კალკებია, მაგ.: თვითმფრინავი, თანამგზავრი, ნაცვალსახელი, ქვემდებარე, დღის წესრიგი და სხვ.

ამრიგად, კალკები ზოგჯერ თუ ამდიდრებენ მიმღებ ენას, ზოგჯერ საფრთხეს უქმნიან, რადგან ავიწროებენ და ენაცვლებიან მის ბუნებრივ კონსტრუქციებს. ბოლო დროს უცხო ენების გავლენით ხშირად ცვლიან ზმნის აქტიურ ფორმებს სახელზმნებით. არასაჭიროებისამებრ იყენებენ ენებითი გვარის ზმნების აღწერით ფორმებს, რაც აღარიბებს და ბუნებრიობას უკარგავს ქართულ ენას. მაგ., უმჯობესია ზმნის პირიანი ფორმების გამოყენება შემდეგ წინადადებებში:

> წელსაც, ისევე როგორც შარშან, სათნოების სახლში დარიგებული იყო (უმჯობესია: დარიგდა) საახალწლო ნობათი. მასპინძლებსაც ჰქონდათ მომზადებული (მასპინძლებმაც მოამზადეს) სიურპრიზი: ხანდაზმულთა შესრულებით გამართულ იქნა (გაიმართა) კონცერტი.

ქვემოთ ჩამოთვლილია ქართულში გავრცელებული კალკები.

---

[347] მ ი ხ ე ი ლ ჭ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989.

[348] ა რ ნ ო ლ დ ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 195.

[349] ნ ი კ ა ნ დ რ ო ბ ა ს ი ლ ა ი ა, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1991, გვ. 107.

კალკი	უნდა იყოს
ადგილი აქვს შრომის ნაყოფიერების ზრდას	იზრდება შრომის ნაყოფიერება
ადგილი არ ჰქონია რემონტის შეფერხებას	არ შეფერხებულა
არ აწყობს	ხელს არ აძლევს
ატარებს კონკურსს	მართავს/აწყობს კონკურსს
ატარეთ სათვალე	გაიკეთეთ/იხმარეთ/გამოიყენეთ სათვალე
აწარმოებს მოსავლის აღებას	იღებს მოსავალს
ახდენენ შემოწმებას	ამოწმებენ, მოწმდება
ახორციელებს ნარგავების მოვლას	უვლის ნარგავებს
გაატარეს მკაცრი ზომები	მიიღეს ზომები
გააკეთა მოხსენება	მოხსენებით გამოვიდა
რეალიზაცია გაუკეთა საქონელს	გაასაღა საქონელი
გაგებით ეკიდება კანონის მოთხოვნებს	ანგარიშს უწევს, ემორჩილება კანონის მოთხოვნებს
გადმომირეკე	ხელახლა/ისევ/კვლავ/ განმეორებით დამირეკე
გამარჯვებული გამოვიდა	გაიმარჯვა

გამოსასვლელი დღე	უქმე დღე
გამოსასვლელი ტანსაცმელი	საგარეო ტანსაცმელი
გამოყენება აქვს მედიცინაში	გამოიყენება მედიცინაში
განახორციელებს დარგვას	დარგავს
განიცადა მარცხი	დამარცხდა
განიცდის კადრების ნაკლებობას	აკლია კადრები
გატეხა ჭიქა	გაუტყდა ჭიქა
გაყიდვაშია	იყიდება
დაკარგა	დაეკარგა
დაუშვა შეცდომა	მოუვიდა შეცდომა
დახმარება აღმოუჩინა	დაეხმარა
ზრუნვას იჩენს	ზრუნავს
თავდებში დაუდგა	თავდებად დაუდგა
თვლის მასწავლებლად	მიაჩნია მასწავლებლად
მიმალვაშია	იმალება
მთვრალ მდგომარეობაშია	მთვრალია
მოყვანილია მოძრაობაში	ამოძრავებულია
მოიყვანა სისრულეში	შეასრულა
[რომანში] მოცემულია	რომანში მოთხრობილია/ნაჩვენებია/ გადმოცემულია/ასახულია/აღწერილია
მუსიკის ქვეშ	მუსიკის თანხლებით
მუქ ფერებში გვიხატავს	მუქი ფერებით გვიხატავს

რეგისტრაციაში გატარებული არ არის	არ არის რეგისტრირებული
სამშობლოსადმი სიყვარული	სამშობლოს სიყვარული
საქმე იმაშია, რომ სახეზეა დანაშაულის ნიშნები	საქმე ისაა, რომ აშკარაა დანაშაულის ნიშნები
სტარტი აიღო ახალმა წელმა	ახალი წელი დაიწყო
შეფასება მისცა წესრიგში მოიყვანა	შეაფასა მოაწესრიგა

მაგალითები მოყვანილია წიგნებიდან: ავთანდილ არაბული, „ქართული მეტყველების კულტურა“, ნიკანდრო ბასილაია, „ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა“ და ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. VII, თბ., 1985.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მეტყველების ნაწილები 3

I. არსებითი სახელი 4

§ 1. თანხმოვანფუძიან არსებით სახელთა მართლწერა 6
§ 2. ფუძეკუმშვადი სახელები 6
§ 3. თავისებურად ბრუნებადი ფუძეკუმშვადი სახელები 11
§ 4. ფუძეუკუმშველი სახელები 12
§ 5. ხმოვანფუძიან სახელთა მართლწერა 14
§ 6. კვეცად-კუმშვადი არსებითი სახელები 17
§ 7. ფუძეუკვეცელი არსებითი სახელები 18
§ 8. ვითარებითი ბრუნვის ფორმების დაბოლოება 28
§ 9. წოდებითი ბრუნვის ფორმათა მართლწერა 29
§ 10. ემფატიკური ა-ს ხმარება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში 33
§ 11. ემფატიკური ი 43
§ 12. მრავლობითი რიცხვის ფორმათა მართლწერა 44
§ 13. თანდებულიან ფორმათა მართლწერა 47
§ 14. ნაწილაკიან არსებით სახელთა მართლწერა 63
§ 15. არსებითი სახელის ბრუნვის ნიშნები და ბრუნვათა ფუნქციები 66
§ 16. ბრუნვათა ფუნქციები 70

საკუთარ სახელთა მართლწერა 75
§ 17. ადამიანთა სახელებისა და გვარების მართლწერა 75
ადამიანთა საკუთარი სახელების ბრუნება 81
§ 18. ადამიანთა გვარების მართლწერა 83
ადამიანთა გვარების ბრუნება 85
სახელისა და გვარის ერთად ბრუნება 95
გვარისა და სახელის ბრუნება 100
§ 19. გეოგრაფიულ სახელთა მართლწერა 105
§ 20. სასაქონლო ნიშნების სახელები 118

არსებითი სახელი მსაზღვრელად 119
§ 21. ატრიბუტული მსაზღვრელი არსებითი სახელისა და საზღვრულის მართლწერა 119
§ 22. სუბსტანტიური (ის-ელემენტიანი) მსაზღვრელი არსებითი სახელისა და საზღვრულის მართლწერა 125
§ 23. სათაურ-სახელწოდებათა მართლწერა 132
დანართიანი სათაურის ბრუნება 136
დანართი ხმოვანფუძიანია 136
დანართი თანხმოვანფუძიანია 137
§ 24. სათაური მსაზღვრელ-საზღვრულია 139
ატრიბუტულმსაზღვრელიანი სათაურის ბრუნება 140
მართულმსაზღვრელიანი სათაურის ბრუნება 143
სათაური სახელ-გვარია 147
§ 25. სათაურის პირველი კომპონენტი ფორმაუცვლელი სიტყვაა 148
§ 26. ორსიტყვიანი სათაურის პირველი კომპონენტი თანხმოვანფუძიანია 150
სათაური ზმნური შესიტყვებაა 155

წარმოქმნილი არსებითი სახელები 159

§ 27. წარმოქმნილ არსებით სახელთა მართლწერა 159

უცხო სიტყვების მართლწერა 164

პარონიმები და პარონიმია 166
§ 28. არსებითი სახელების პარონიმული წყვილები 167

II. ზედსართავი სახელი 171

§ 29. ზედსართავი სახელის მართლწერა 171
ლირიკული თუ ლირიული? 182
ფანტასტიკური თუ ფანტასტიური? 182
პარადოქსული თუ პარადოქსალური? 184
ვ-ს შემონახვა, დაკარგვა და ჩართვა ზედსართავ სახელებში 185
რთულფუძიანი ზედსართავი სახელები 187
§ 30. მსაზღვრელი ზედსართავის მართლწერა 191

§ 31. ზედსართავი სახელის პარონიმული წყვილები 196

III. რიცხვითი სახელი 200

§ 32. რაოდენობითი რიცხვითი სახელის მართლწერა 201
§ 33. რაოდენობითი რიცხვითი სახელის ბრუნება 203
რაოდენობითი რიცხვითი სახელის ბრუნება არსებით სახელთან ერთად 206
ნაწილაკიან რაოდენობით რიცხვით სახელთა ბრუნება 214
§ 34. რიგობითი რიცხვითი სახელის მართლწერა 215
რიგობითი რიცხვითი სახელის ბრუნება 219
§ 35. წილობითი რიცხვითი სახელი 220
§ 36. რიცხვითი სახელის გამოხატვა ციფრებით 223
ციფრებით გამოსახული თანხმოვანფუძიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელის ბრუნება 225
ციფრებით გამოსახული ხმოვანფუძიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელის ბრუნება 225
ნაწილაკიანი რიცხვითი სახელის ბრუნება 227
ციფრებით გამოხატული რიგობითი რიცხვითი სახელის ბრუნება 229
§ 37. რიცხვითი სახელის გამოსახვა რომაული ციფრებით 232
§ 38. როგორ გამოსახავდნენ რიცხვებს რომაული ნიშნებით? 233
§ 39. რიცხვების გამოსახვა ასოებით 239
§ 40. ჩამონათვალის ნუმერაცია 240
§ 41. რიცხვითი სახელისგან წარმოქმნილ სახელთა მართლწერა 244
§ 42. რიცხვითი სახელი სიტყვათა მყარ შენაერთებში 245

IV. ნაცვალსახელი 246

§ 43. ნაცვალსახელის ჯგუფები 246
§ 44. ნაცვალსახელთა მართლწერა 247
III პირის ნაცვალსახელის ბრუნება 249
თითოეული, თვითეული თუ თითეული? 252
კუთვნილებითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელების ბრუნება 252

§ 45. ორმაგი უარყოფა 255
§ 46. თანდებულიან ნაცვალსახელთა მართლწერა 257
§ 47. ნაწილაკიან ნაცვალსახელთა მართლწერა 262
-მე-ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნება 263
-ღა- და -ღაც-ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნება 263
-ვე-ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნება 264
§ 48. ნაცვალსახელი მსაზღვრელად 267
თავისი თუ მისი? 269
თავიანთი თუ თავისი? 270
§ 49. ნაცვალსახელის ადგილი არაერთგვარმსაზღვრელიან შესიტყვებაში 272

კომპოზიტი 274

§ 50. კომპოზიტის მართლწერა 274
§ 51. დეფისიანი შეერთება 275
§ 52. უდეფისო შეერთება 280
§ 53. აფიქსოიდებით ნაწარმოები სიტყვები 287
§ 54. შესიტყვებები 293

სიტყვის შემოკლება 295

§ 55. აბრევიატურები 295
§ 56. აკრონიმები 298
§ 57. გრაფიკული შემოკლება 302

V. ზმნა 309

§ 58. პირისა და რიცხვის ნიშნები 309
§ 59. სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები 310
§ 60. ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები 310
§ 61. ინვერსია 311
§ 62. პირისა და რიცხვის ნიშნების მართლწერა 313
პირველი სუბიექტური პირი და რიცხვი 312
მეორე სუბიექტური პირი და რიცხვი 316
მესამე სუბიექტური პირი და რიცხვი 317

§ 63. ობიექტური პირის ფორმები 321
პირველი პირი 321
მეორე პირი 321
ინვერსიული წყობა 323
მესამე პირი 323

ქრისტე აღსდგა თუ ქრისტე აღდგა? 327
გამარჯობა თუ გამარჯობათ? 323

ზმნისწინი 334

§ 64. ზმნისწინის მართლწერა 342
დამირეკე თუ გადმომირეკე? 348
მადლობა გადაუხადა თუ მადლობა მოუხადა? 348
§ 65. ასპექტის ფორმათა მართლწერა 350
ასპექტში ფუძემონაცვლე ზმნათა უღლება 352
§ 66. თემის ნიშნები 352
§ 67. შუალობითი კონტაქტის ფორმათა მართლწერა 359
§ 68. ქცევის ფორმათა მართლწერა 362

მოქმედებითი გვარი 364

§ 69. მოქმედებითი გვარის ზმნების მართლწერა 366
იგებს თუ გებულობს? 368
იცვამს თუ იცმევს? 368
ზელს თუ ზილავს? 368
კვეთს თუ კვეთავს? 369
დარგოს თუ დარგას? 370
მოუხვეჭია თუ მოუხვეჭნია? 371
§ 70. რთული ზმნები 373
სრულვყოფ თუ ვსრულყოფ? 373
§ 71. **ვ**-ს შემონახვა, დაკარგვა და ჩართვა მოქმედებითი გვარის ზმნებში 375
§ 72. პარონიმები 380
მოქმედებითი გვარის ზმნის უღლება 382
მოქმედებითი გვარის ზმნების უღლება 388
მოქმედებითი გვარის ზმნების უღლება (ორპირიანი ზმნები) 390
მოქმედებითი გვარის ზმნების უღლება 392
გარდამავალი რთული ზმნების უღლება 393

ვნებითი გვარი 394

§ 73. დინამიკური ვნებითი 395
§ 74. ვნებითი გვარის ზმნების მართლწერა 396
ვ ვნებითი გვარის ზმნებში 403
§ 75. ვნებითის ნიუანსები 405

§ 76. დეპონენსები 406
დინამიკური ვნებითი გვარის ზმნის უღლება 408
დინამიკური ვნებითი გვარის ზმნების უღლება 409
§ 77. სტატიკური ვნებითი 410
§ 78. სტატიკური ვნებითის მართლწერა 411
დინამიკური და სტატისტიკური ვნებითის უღლების ნიმუშები 412
უღლების ნიმუშები 414
§ 79. აღწერილობითი ვნებითი 415

საშუალი გვარი 421

§ 80. საშუალმოქმედებითი გვარის ზმნები 422
§ 81. საშუალმოქმედებითი გვარის ზმნების მართლწერა 425
თანავუგრძნობ თუ ეუთანაგრძნობ? 427
§ 82. **ვ**-ს შემონახვა, დაკარგვა და ჩართვა საშუალმოქმედებითი გვარის ზმნებში 429
§ 83. საშუალმოქმედებითი გვარის ზმნების უღლება 431
ერთპირიანი ზმნები 431
ორპირიანი ზმნები 432
§ 84. საშუალვნებითი გვარის ზმნები 432
§ 85. საშუალვნებითი გვარის ზმნების მართლწერა 434
ზმნების პარონიმული წყვილები 437
დინამიკური ვნებითისა და საშუალვნებითი გვარის ზმნების უღლება 438
საშუალვნებითი გვარის ინვერსიული წყობის ზმნების უღლება 439

§ 86. **ბრძანებითი კილოს ფორმათა მართლწერა** 441
§ 87. **თავისებური ზმნები** 445
შენაცვლება რიცხვში 447
§ 88. პირში მონაცვლე ზმნები 450
მწკრივში მონაცვლე ზმნათა უღლება 450

სახელზმნები 452

§ 89. საწყისი 452

§ 90. მოქმედებითი გვარის მიმღეობა 467

§ 91. მიმღეობის პარონიმული წყვილები და სამეულები 473

§ 92. ვნებითი გვარის მიმღეობა 475

ვნებითი გვარის მიმღეობის პარონიმული წყვილები 478
-ებ და **-ევ** ბოლოსართთა მონაცვლეობა მიმღეობებსა და წინა ვითარების სახელებში 482
ნა-თავსართიან სიტყვათა პარონიმული წყვილები 484
§ 93. **-ად/დ** ბოლოსართით საწყისისაგან ნაწარმოები მიმღეობები 489

§ 94. საშუალი გვარის (მედიუმის) მიმღეობა 491

VI. ზმნიზედა 497

§ 95. ზმნიზედის მართლწერა 499

VII. თანდებული 516

§ 96. ცალკე მდგომ თანდებულთა მართლწერა 516

VIII. კავშირი 521

§ 97. მაერთებელი კავშირები 522
§ 98. მაქვემდებარებელი კავშირები 532

IX. ნაწილაკი 540

§ 99. ნაწილაკის მართლწერა 541

X. შორისდებული 562

§ 100. შორისდებულის მართლწერა 565

§ 101. სიტყვის გადატანის წესები 567

პირობითი ნიშნების განმარტება 569

შემოკლებათა განმარტება 570

დამოწმებული და გამოყენებული ლიტერატურა 572

ქართული ანბანი 580

ორთოგრაფიული საძიებელი 580

ბარბარიზმები 643
კალკები 653

სარჩევი 657

იზო ბაქრაძე

ქართული მართლწერის საკითხები

დაიბეჭდა სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში“
თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. № 5

ტელ.: საპატრიარქოსთან არსებული
განათლების ცენტრი – 2-98-89-78, 599 70-71-64
ავტორი – 2-43-20-33, 595 24-47-78
ადგილზე უფასოდ მიტანის სერვისი – 2-43-20-33, 595 54-15-05